1985

ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

8/114

# 5

1985

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 61-ე | № 5 | მაისი, 1985 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გალაკტიონ ტაბიძე — ეგ არის და გორის ციხე! ლექსი . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

გრიგოლ აბაშიძე — სამძიმარი. რომანი. . . . . . . . . . . 4
გიორგი ხუხაშვილი — ჯარისკაცები მღერიან ქარში. პოემა-რეკვიემი . . . . 71
შოთა ასანიშვილი — მოლოდინი. ჩანახატი . . . . . . . . . . . . . 77
ლეონიდ რეშეტნიკოვი — პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე კოლოდნისათვის ბრძოლის ჟამს, იური ანოხინი — „...სიყვარულს უშენებია!“ ლექსები. თარგმნა აკაკი გეწაძემ . . . . . . . . . . . . . . 79
კონსტანტინე ლომია — საუბარი გმირთან (თავები პოემიდან). აფხაზურიდან თარგმნა შოთა აკობიამ . . . . . . . . . . 83
ალექსანდრე ტაბატაძე — ბალადა ომის ინვალიდისა. ლექსი . . . . . . . 87
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ცეცხლში გახვეული დედამიწა (ომგადახდილის მოგონება). დასასრული . . . . . . . . . . 88

### ნარკვევი

გრიგოლ ბრეგაძე — სოციალისტურ ერთა თანამეგობრობა დიდ სამამულო ომში 118

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ელიზა გენძეხაძე — „მუსიკა ქარში“ და ომის ექო . . . . . . . . 124
გურამ ბენაშვილი — ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი... . . . . . 132
შუქია აფრიდონიძე — „ცათა მაღალთა მადლი“ . . . . . . . . . 142

### პუბლიკაცია

სარგის კაკაბაძე — ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ . . . . . . 149

(იხ. მეორე გვერდი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი (გაგრძელება)

### მოგონებები, ფაქტები

სოლომონ ხუციშვილი — სახელოვანი მოქალაქე და მოაზროვნე . . . . . . 155
ოთარ ცქიტიშვილი — „ივერიის" სურვილი და დღევანდელობა . . . . . . 162
ნატალია ორლოვსკაია — „იბერიის თემა" XVI საუკუნის ინგლისურ რომანში 166

### წიგნების მიმოხილვა

დავით მჭედლური — ჩვენი მომავლის გასააზრებლად . . . . . . . 169
რუსუდან თურნავა — მარი ბროსეს მხატვრული ბიოგრაფია . . . . . . . . 174

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ნ. ებრალიძე (პ/მგ. მდივანი), კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

# ეგ არის და გორის ციხე!

ყოველ ახალ გამარჯვების
შემდგომ წესად შემოვიღე,
ალტაცებით შემოვძახე:
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ, რომ აქ ბჭეები
ინგრეოდა, როგორც რიყე,
დღეს რომ სახლი აგვიგია —
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობენ თუ: რის სინათლე,
ყურთასმენა ნუ წაიღე,
მაგრამ აქ რომ სინათლეა —
ეგ არის და გორის ციხე!

ომში ვიყავ, მტერს ბერლინი
მივუგრიხე, მოვუგრიხე,
ცხრა მაისით შემოვძახე:
ეგ არის და გორის ციხე!

ომს აქეთაც დიდი შრომის
დღე დღეებზე ვათარიღე,
გადახედეთ ქართლის ბაღებს —
ეგ არის და გორის ციხე!

მაშ წინ გასწი, მშენებელო,
გზას მიხედე, მამულს მიჰყე,
ეგ არის და ჩვენი ძმობა,
ეგ არის და გორის ციხე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# სამძიმარი

რომანი

დაცემული ვაკე ცის დასალიერამდე გრძელდება.

მზე ჩასულია და წითლად შემღვრეულ ჰორიზონტს შავი ღრუბელი ეძალება.

ქარისაგან დაძრული ღრუბელი ხან სულ დაბლა ჩამოდის, ფარდასავით ეშვება და ცას აბნელებს, ხან მაღლა იწევს, ცის კიდურს შორდება, და ჩასული მზის სუსტი გამონათება მკვეთრად გამოჰყოფს იქ, ცისა და მიწის შესაყართან, მხართეძოზე წამოწოლილ ორ უცნაურ არსებას.

კაცი იქით მიდის, იმ ცის დასალიერისაკენ.

ხედვადაძაბული გაჰყურებს იმ ორ უცნაურ არსებას და ვერ მიმხვდარა, რა უნდა იყოს.

პირველად ვეებერთელა ფერად ბუშტებს მიამგვანა, ქარი რომ აქანავებს და უჩინარი ხელით დაბმული თოკი მიწიდან მაღლა ასაფრენად არ უშვებს.

ცოტა გზა რომ გაიარა, მათი მოხაზულობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და ზღაპრული დევები წარმოუდგა, რომელთაც ის იყო ვახშამი მოეთავებინათ, უზარმაზარ მუცლებში სულ ცოტა, თითო ირემი და თითო რუმბი ღვინო გადაეშვათ და ფაშვებგაბერილები ინელებდნენ ჩვეულებრივი ასი კაცის საკმარის ულუფას.

კაცი იმ შემაღლებულს მიუახლოვდა, წეღან რომ შორიდან ჰორიზონტად ჩანდა.

უკვე კარგად ხედავს, დევებად რომ ეჩვენებოდა, ორი დიდი ქვევრი ყოფილა. ქვევრები ერთიმეორის ახლო, ერთმანეთისკენ პირმობრუნებულები წვანან შემაღლებულზე.

კაცი გაკვირვებული შედგა.

ტრიალ მინდორზე უკაცურ ადგილას მოსახლე არავინა ჩანს და სახლი და მარანიც არსად უნდა იყოს.

ვეებერთელა ქვევრებს შემოუარა, მუცლებზე ხელი დაარტყა, მერე სათითაოდ შიგ ჩახედა და მთელი ხმით ჩასძახა:

— ეჰე-ჰეეეიიი!

— ეჰე-ჰეეეიიი!

გამოსძახა ქვევრმა და მისივე ჩაძახილი გამრავლებული და გაძლიერებული დაუბრუნა.

კაცის გონებაში ბავშვობის მოგონების სურათები, ჰურ-მარანის ახლო პატარა და-ძმებთან თამაში გაცოცხლდა, რაღაც სიამე და შვება იგრძნო, გახალისებული ქვევრზე ჩამოჯდა და იქაურობას თვალი დინჯად მოავლო.

ოდნავ დაბლა, საკმაოდ მოზრდილ ფართობზე მინდორი საგანგებოდ დახაზულსა ჰგავდა. თხრილები ერთიმეორის გასწვრივ სწორად მიემართებოდნენ, სწორკუთხედებსა და კვადრატებს, ზოგან წრეებსა და ნახევარწრეებს ქმნიდნენ.

ალაგ-ალაგ დიდრონი ლოდები იყო ამართული და ძველი კერამიკის, კრამიტისა და მოჭიქული ჭურჭლის ნამსხვრევები ეყარა.

მთელი ეს ფართობი საგანგებოდ დაგვილსა და გაწმენდილს ჰგავდა. შორიახლო, სახელდახელოდ გამართული ღამის გასათევი კარვები იდგა და ქვევრზე, შემომჯდარი კაცი მიხვდა: იგი არქეოლოგიური გათხრების მოედანს წასდგომოდა თავს.

ქვევრში ჩაძახილზე კარვიდან ვიღაც გამოვიდა, ჭურზე გადამჯდარ კაცს ერთხანს უყურა, მერე ხელი აუქნია და დაუყვირა:

— ქვევრს მოშორდი, მაგაზე ჯდომა არ შეიძლება!

კაცი უმალვე ჩამოხდა ქვევრიდან, სიტყვის შეუბრუნებლად, დატუქსული ძაღლივით გაიძურწა და იქაურობას გაშორდა.

„ძვირფასო დია!

რამდენიმე დღის წინ დავიწყეთ ნაქალაქარის ბოლოზე დაზვერილი სამაროვნის გათხრა. სამაროვანში სხვადასხვა ტიპის სამარხები აღმოჩნდა: ქვისა, კრამიტისა და ქვაყრილის სამარხების გვერდით, ქვევრ-სამარხები გავთხარეთ და ჩემთვის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს იყო.

ქვევრები გამომწვარი წითელი თიხისაა და თითქმის არ განსხვავდება ჩვენში დღემდე გავრცელებულ საღვინე ჭურებისაგან.

ქვევრში მიცვალებულთა დამარხვა ძველთაგანვე ჰქონიათ წესად შუმერებს, პროტოხეთებს, ხმელთაშუაზღვის სხვა ხალხებს, რომელთა შორის მეცნიერები ქართველთა წინაპრებს ვარაუდობენ.

საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა და თავად სიტყვა ღვინო სხვა ხალხებში ქართულიდან გადაღებულად მიიჩნევენ.

დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ქვევრი ქართველი კაცის ყოფაში ადრევე არ ყოფილიყო დამკვიდრებული, როგორც ღვინის შესანახი ჭურჭელიცა და როგორც მიცვალებულთა სამარხი.

ჩვენს მიერ გათხრილ ქვევრ-სამარხებში მიცვალებულები მოხრილი ესვენა ქვევრების მოყვანილობის შესაბამისად.

ისინი მხართეძოზე წამოწოლილებსა ჰგავანან და თავი სამხრეთისკენა აქვთ მიმართული. ქვევრებში მიცვალებულთა ძვლებთან ერთად მცირე ზომის თიხის ჭურჭელი და სამკაულებიც ბლომად იყო.

მძივებსა და სამკაულებს რომ დავყურებდი, მათ შენს ყელზე და გულმკერდზე წარმოვიდგენდი და იმ წუთს ისინი ხელახლა უბრუნდებოდნენ სიცოცხლესა და სიტურფითა და სიყვარულით იწყებდნენ სუნთქვას.

ორი ქვევრი, შემთხვევით, ისე დადგეს ბიჭებმა — პირით ერთმანეთისკენ, რომ ერთიმეორისკენ მოუწყინარი სწრაფვის ასოციაცია აღმიძრა და ეს ჩემი ფიქრი მაშინვე ქაღალდზე გადავიტანე.

ქვევრიდან თავგამოყოფილებს იცნობ: ერთი შენა ხარ, მეორე — მე. ქალ-ვაჟი ერთმანეთისკენ მიზიდულან კოცნით შესაერთებლად და სიკვდილის დამთრგუნველ მარადიული სიყვარულის ზეიმად მესახებიან.

თუ ამ ხუმრობა-ჩანახატმა შენში სხვა, უსიამოვნო გრძნობა აღძრას, დახიე და ნაკუწებად ქცეული დაწვი, ან ქარს გაატანე.

როგორ მწყდება გული, რომ ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვან ჟამს აქ არა ხარ და ჩემთან ერთად არ ხარობ წარმატებული გათხრების სიხარულით.

გეხვეწები, გადადე ყველა საქმე და ჩამოდი, დაუყოვნებლივ.

უშენოდ ძალიან მიჭირს, ვეღარ ვძლებ

და საქმეს გულს ვერ ვუდებ.
გკოცნი და გეხვევი.
გელი მოუთმენლად,
შენი გურამი“.

ვინ იცის, მერამდენეჯერ გადაიკითხა ეს წერილი დიამ და მერამდენეჯერ დაეწაფა ამბორით შესაერთებლად ქაღალდზე დახატულ, ერთიმეორისკენ მიზიდულ ტუჩებს.

საათს დახედა. ავტობუსი ერთ საათში უნდა გასულიყო. ბარათი სათუთად ჩადო ტანისამოსთან ერთად, ჩემოდანი დახურა, ხელი დაავლო და კიბეზე დაეშვა...

ავტობუსი ქვემო ქართლისკენ მიჰქროდა. დია სარკმლიდან გაჰყურებდა ამწვანებულ ფერდობებსა და მაღლა აზიდულ მთებს, მაგრამ ისინი თითქოს იყვნენ და არც იყვნენ, ავტობუსის მგზავრი მათ ხედავდა, მაგრამ ვერ აღიქვამდა, რადგან სხვა ფიქრს წაეღო მისი გონება.

ის ფიქრი, ისევ და ისევ, ერთმანეთისკენ მიმართულ ორ ქვევრს დასტრიალებდა, იმ ქვევრებიდან გამომზირალ ორ ნაცნობ სახეს ხედავდა, ერთიმეორის შეერთებას რომ ისწრაფოდნენ.

## გურამ ვაშაძის დღიურიდან

სამი დღეა, რაც დია ჩამოვიდა და ქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ მგონია. ჩვენთან ერთადაა გათხრებზე, მოპოვებული ნივთების გაწმენდასა და დალაგებაში გვეხმარება.

იგი სიცოცხლისა და სილამაზის დღესასწაულს ჰგავს, ძველ სამარხებს შორის რომ დადის გამომწვევად და სიკვდილის არსებობას გვავიწყებს.

შევცქერი მას, მისი უდარდელი კისკისი ჩამესმის და სიკვდილი აზრს ჰკარგავს, მისი ძალისა და უძლეველობის აღარ მჯერა, აღარც ის მახსოვს, რომ სიკვდილის საუფლოში ვარ, თითქმის მტვრადქცეულ ჩონჩხების გარემოცვაში.

სამარხები ისეა გახსნილი, როგორც მეორედ მოსვლისათვის იყო ნაწინასწარმეტყველები. განსხვავება ის არის, რომ ამ საფლავების ბინადრებს აღარაფერი აშფოთებთ, აღარც სიცოცხლე და აღარც სიკვდილი, აღარც განკითხვის დღისა ეშინიათ და აღარც ჩადენილი ცოდვებისათვის პასუხისგებისა.

ისინი უკვე არარაობას, არყოფნას ეკუთვნიან და ამიტომ დროისა და სივრცის გარეშე არიან. მათ გარეშემო ჭიები და ჭიანჭველებიც აღარ დაფუსფუსებენ, რადგან ყველაფერი, რის გამოცლაც შეიძლებოდა, გამოცლილი აქვთ და სხვა სულიერის საზრდოდ აღარა შერჩენიათ რა.

ძველი ებრაელები და შემდეგ ქრისტიანებიც მკაცრად ექცეოდნენ მიცვალებულებს. მიწა ხარ და მიწად იქეციო, — ამ სიტყვებით უშვებდნენ სამარეში მკვდარს, მის სხეულს შავ მიწაში გასახრწნელად იმეტებდნენ და ჭიებსა და მატლებს უტოვებდნენ გამოსაკვებად.

ეს პროცესი რომ გარდუვალად და ღვთისაგან დადგენილად მიაჩნდათ, კარგად ჩანს მისდამი ბიბლიური იობის დამოკიდებულებაში.

ბნელ სამარეს, ქვესკნელს, მრავალტანჯული იობი თავის „სახლს“ უწოდებს, ხოლო ჭია-მატლს „დედასა“ და „დას“.

ადამიანის ქვევრში დამარხვაც არსებითად არ განსხვავდება დასაფლავების ებრაული დ ქრისტიანული წესებისაგან: ქვევრი ჰერმეტულად დახურული არ არის და, თუმცა შედარებით გვიან, მაგრამ გახრწნა ისევე ხდება, როგორც ჩვეულებრივ კუბოთი ან სუდარით ჩასვენებული მიცვალებულისა.

ისტორიაში ცნობილ ხალხთაგან ერთადერთნი ძველი ეგვიპტელები იყვნენ, რომლებიც მიცვალებულს ცეცხლსა და მიწას არ აძლევდნენ შესაჭმელად.

ეგვიპტელთა რწმენით, სული სხეულზეა სამუდამოდ დამოკიდებული, მათი გაყრის შემდეგაც. ამიტომ სხეული შენახული უნდა იყოს გაუხრწნელად, ფორმის დაუკარგავად. ადამიანის სული, რომელიც სიკვდილის შემდეგ ათასგვარ გარდაქმნასა და სახეცვლილე-

ბას განიცდის, მუდმივ კავშირშია ამქვეყნად დარჩენილ, სურნელებით გაჟღენთილ საკუთარ სხეულთან, უხრწნელ ბალზამირებულ მუმიასთან.

ქართველები ძველად საუკუნო განსასვენებელს „საძვალეს“, „ძვალშესალაგსაც“ ეძახდნენ.

ძვლებს ძველად მაგიურ ძალასაც მიაწერდნენ.

სიცოცხლეში მტრებზე გამარჯვებებით სახელგანთქმული სარდლის ძვლებს, მისი გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ნაწილებივით, წინ წაიმძღვარებდნენ ხოლმე ბრძოლის ველზე, რადგან სჯეროდათ, რომ გამარჯვება იმ ძვლების განუყრელი თანამგზავრი იყო.

ომებში უძლეველ ინგლისის ერთ-ერთ მეფეს ანდერძად დაუბარებია, სიკვდილის შემდეგ მისი ძვლები ხორცისაგან განეცალკევებინათ, ხორცი მიწაში დაემარხათ, ხოლო ძვლები ბრძოლებში თან ეტარებინათ, როგორც გამარჯვების მომტანი თილისმა.

მიუწვდომელის წვდომის სურვილით შექმნილ ძველი ადამიანების ფანტაზიას ხშირად სკეფსისიც თან სდევდა. ეტყობა, მათ ბოლომდე არ სჯეროდათ საიქიო ცხოვრების სრულფასოვნება და, სისხლითა და ხორცით სავსე ჯანსაღი სხეულის ხანმოკლე სიცოცხლესთან შედარებით, არარაობად ეჩვენებოდათ ამქვეყნიურ ვნებებს მოკლებული აჩრდილების მარადიული სიცოცხლე.

„ილიადის“ სწორუპოვარი გმირი აქილევსი ამიტომ ვერ ეგუება ელიზეუმის ველებზე ლანდად და უსიცოცხლო აჩრდილად ცხოვრებას.

„— კეთილშობილო ულისე! — გულმოკლული ეუბნება იგი ოდისევსს, — ნუ ამბობ მკვდართა ცხოვრების ქებას, მიცვალებულთა საუფლოში მეფობას მერჩია დედამიწაზე იმ უსახლკარო დღიურ მუშად მეცხოვრა, ლუკმაპურისათვის რომ მწარე ოფლსა ღვრის“.

ასეთივე ღრმააზროვანია ერთი სომხური ანდაზაც: ცოცხალი ვიყო და — თუნდ ცხენის ქაჩაჩში...

ალბათ, ქართველებსაც გვაქვს სიკვდილისა და საიქიო „ცხოვრების“ წინაშე ამქვეყნიური ცხოვრების უპირატესობის მაღიარებელი [illegible], ამჟამად ახლა არ მაგონდება.

ადამიანს ყველა დროში აწუხებდა კითხვა: რა ელის მის სულსა და სხეულს სიკვდილის შემდეგ.

ვინ იცის, ეგებ მართალია ბრძენი, რომელიც ამბობს: „შენ კითხულობ, სად უნდა განისვენო სიკვდილის შემდეგ? — იქ, სადაც განისვენებენ, ვინც ჯერ არ დაბადებულან“.

რამდენი პოეზია და ფანტაზია იყო ძველი ეგვიპტელებისა და ბერძნების მითოლოგიაში!

ძველი ბერძნების წარმოდგენით, სიკვდილი და ძილი ერთი დედის—ბნელი ღამის შვილები არიან და მძინარენი და მკვდრები ერთსა და იმავე სიზმრებს ხედავენ.

თუ მართლა სადმე ხედავენ მკვდრები და ცოცხლები ერთსა და იმავე სიზმრებს, ეს აქ უნდა იყოს, ძველისძველ სამაროვანზე, სადაც ელინისტური ხანის სამარხების ტერიტორიაზე, ოცი საუკანის წინათ მიწას მიბარებულთა ძვლების გვერდით გვძინავს ჩვენ, მეოცე საუკუნის ცოცხალ ადამიანებს.

დიახ, ჩვენც გვძინავს, ცოცხლებს და სიზმრებს ვხედავთ, ან არცა გვძინავს და ფიქრისა და ოცნების ფრთებით სადღაც დავფრინავთ.

ან კიდევ, ჩემსავით სიყვარულის ნეტარებაში ჩაძირულნი, ახალი სიცოცხლის ჩასახვის იმ სიხარულს განვიცდით, როცა ადამიანები ღმერთებს უტოლდებიან და თავად ქმნიან, თავიანთ ხატად და სახედ, სიცოცხლის გაგრძელებას.

ხვალ იმერეთიდან ჩამოსახლებული სოფელი ჩამოჰყავთ. მათ შესასახლებლად აშენებული კოტეჯები უკვე მზად არის; სკოლის ახალი შენობა მალე ბავშვების ჟრიამულით გაივსება და გადმოსახლებული სოფელი წინაპართა ნასახლარებზე გააჩაღებს კერიას.

ერთი კოტეჯი მეც აღმითქვეს ახალი დასახლების ტერიტორიაზე და თუ დაპირება დროზე აასრულეს, მაშინ ჩემს

ბედს ძალლი არ დაჰყეფს, დიაც აქ გადმოვა საცხოვრებლად.

მატარებელი უცებ დამუხრუჭდა და შეინჯღრა. შიომ თვალი გაახილა და ლოგინზე წამოიწია. უეცარი შენჯღრევისაგან თაროებიდან ბარგი გადმოცვივდა.

შეშინებული, უდროო დროს გაღვიძებული ბავშვები ყურის წამღებად აღნავლდნენ.

შიო წამოდგა. სარკმელს გახედა. გარეთ ჯერ კიდევ ღამის ბინდბუნდი იდგა და არაფერი ჩანდა.

მატარებელში ციოდა.

წუხელ ჯერ ვაგონის გამყოლს ეჩხუბა, მერე მატარებლის უფროსიც მოძებნა და იმასაც ცხარე დღე აყარა, მაგრამ სათბობი არსად იყო და მათი ხელების ულონო სავსავი გათოშილ მგზავრებს რას გაათბობდა?

სიცივისაგან აკანკალებული ბავშვების წიაქი და გამწარებული დედების შფოთი, როგორც იქნა, ნაშუაღამევს დაცხრა.

ბავშვები და ქალები დაწვნენ, ზედ, რაც ხელთ მოჰყვათ, ის წაიხურეს და, ბოლოს, კაცებმაც რომ ძილს მისცეს თავი, შიო მაშინღა მიწვა, გაუხდელად.

მიწვა, მაგრამ ნერვებაწეწილსა და გუნებაწამხდარს დიდხანს არ დაეძინა.

ბოლოს დაღლილობამ მაინც თავისი ქნა, შიომ თვალი მიხუჭა და მიიძინა.

მაგრამ გულისძილში წასვლაც ვერ მოასწრო, რომ მატარებელი შეინჯღრა და შიოც კინაღამ საწოლიდან გადმოვარდა.

თვალების ფშვნეტით წამოდგა, ღილები შეიკრა და ვაგონის დერეფანში გამოვიდა.

უეცარი შენჯღრევით შემკრთალ ბავშვებს ჯერაც ვერ შეებრუნებინათ ძილი. აქა-იქ კიდევ ისმოდა მათი ტირილი და გაბოროტებული დედების ქოქოლა.

შიო სარკმელს გაჰყურებდა, ნელნელა თენდებოდა. გარეთ ცივი ქარი უბერავდა, შეჭირხლულ ხის ტოტებს აქანავებდა და მიწიდან თრთვილით დაფარულ ფოთლებს ხვეტდა.

გარედან სუსხი მატარებლის ფარფალალა სარკმლებში ატანდა და ისედაც გაყინულ ვაგონებს კიდევ უფრო ჰყინავდა.

მატარებელმა თანდათან უკლო სვლას.

ორთქლმავალმა ერთი შეჰკივლა, მერე მძიმედ დაიქშინა, ორთქლის თეთრი სქელი ღრუბელი გამოუშვა და გაჩერდა.

მგზავრები წამოიშალნენ.

ბავშვებმა ტირილს უმატეს და მატარებელში ერთი გნიასი ატყდა.

ბალღების ტირილი და დედების წივილ-კივილი ყურს უხვრეტდა და თავის ქალას ხდიდა შიოს.

პატარა სადგურს აფორიაქებული გაჰყურებდა. იმ სადგურზე რომ კაციშვილი არ ჰაჰანებდა, ცუდად ენიშნა.

მატარებლის გაჩერება და შიოს გარეთ გავარდნა ერთი იყო.

უკაცურ სადგურს ირგვლივ შემოუარა. დამხვდური ვერავინ იპოვა, მაგრამ ამას რას დაეძებდა, ხალხის გადასაყვანი და ბარგის გადასაზიდი მანქანები არსად ჩანდა.

რა უნდა ეღონა ამ უთენია დილას! ამდენი ბავშვი და ქალი ღია ცის ქვეშ როგორ დაეყარა, ისიც ამისთანა ქარყინვაში!

სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, მაგრამ თავისთავი აღარ ახსოვდა.

შორს, სადღაც, სადგურის მორიგეს მოჰკრა თვალი. ეგონა მეშველაო, სულმოუთქმელად მიეჭრა და სალამიც არ გახსენებია, ისე დააყარა:

— მანქანებით უნდა დაგვხვედროდნენ, მაგრამ კაცი პატრონი არ ჩანს, და იმ გაყინული ვაგონებიდან ახლა, ამ მეორედმოსვლაში, ღია ცის ქვეშ გადმოვყარო ბალღები?!

მორიგე გამოუძინებელი ჩანდა. პირდაღებული მიშტერებოდა და აზრზე ვერ მოსულიყო.

— სად არი მანქანები, არ მეტყვი? სად წავიყვანო ეს ხალხი? — გაცოფე-

ბულმა შიომ ხელები მხრებში ჩაავლო და მაგრად შეაჯანჯღარა.

მორიგე გამოფხიზლდა და გონს მოეგო, მაგრამ იმანაც ხელები გაასავსავა და ძლივს ამოღერღა:

— მე თქვენი მანქანების არაფერი ვიცი. აქ არავინ მოსულა და არც არავის გავუფრთხილებივარ.

შიომ მორიგეს ზურგი აქცია. ისევ სადგურს შემოუარა, სანამდისაც მიუწვდა, იქაურობას ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და სანუგეშო რომ ვერაფერი იპოვა, მატარებლისკენ მიბრუნდა...

— რაღაც გაუგებრობაა. მანქანები არ ჩანან. რაიკომში ჩავირბენ და ახლავე აქ გავჩნდები. თქვენ მანამდე მატარებელში დარჩით, ბარგსაც ნუ გადმოტვირთავთ, — დაუბარა მის შესახვედრად ვაგონებიდან გამოსულ, დაბნეულ მგზავრებს და, ბევრ ახსნა-განმარტებას აღარ მოჰყოლია, სადგურისაკენ გადაჭრა და თავქვე დაეშვა.

ქალებმა უკან წყევლა-კრულვა დაადევნეს, მაგრამ შიოს უკვე აღარაფერი ესმოდა.

აუხსნელი დაუდევრობითა და არაორგანიზებულობით თუ უპასუხისმგებლობით აღშფოთებული, იგი თავის გულში ათასნაირად ჰკიცხავდა რაიონის ხელმძღვანელებს ახლადჩამოსახლებულთა მიმართ გამოჩენილი მიუტევებელი უყურადღებობისათვის. სამკვიდროდან დედაწულიანად აყრილ ხალხს არათუ თვითონ არ დახვდნენ, მანქანებიც არ დაახვედრეს, რომ სადგურიდან სახლებამდე ქალები და ბავშვები გადაიყვანონ და ბარგი გადაზიდონ.

ყველაზე მეტად შიოს სკოლის დირექტორზე მოსდიოდა გული.

სამი დღით ადრე აქეთ იმისთვის წამოვიდა მირიანი, რომ გადმოსახლებულთა მიღების სამზადისისათვის ეხელმძღვანელა და, ბოლოს, სადგურიდან მანქანებით წასძღოლოდა ახალი ბინებისაკენ.

მირიანის პასუხისმგებლობის დიდი იმედი არასოდეს ჰქონია, დაუდევარი და არხეინი კაცისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა სად არი?!

თბილისში რომ მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების მიმართ ესოდენ უსულგულო დამოკიდებულების ამბავი ჩაიდეს, ერთ დღეს აღარ გააჩერებენ თავთავიანთ ადგილებზე აქაურ ხელმძღვანელებს!

— არა, უთუოდ ძნელად გასათვალისწინებელი რაღაც მოხდა, თორემ შეუძლებელია, მანქანები მაინც არ დაეხვედრებინათ, — უმტკიცებდა თავისსავე თავს უზომოდ აღშფოთებული, თითქმის სასოწარკვეთამდე მისული შიო და, კი არ მიდიოდა, მირბოდა ეს დროული კაცი.

სირბილისა და გაბრაზებისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. აქოშინებული, დაღმართზე კისრისტეხით ჩარბოდა და გამვლელ-გამომვლელს ყურადღებას არ აქცევდა.

— ჩამოხვედით, ბატონო შიო? — ჩაესმა უცებ ნაცნობი ხმა.

— ჩამოვედით! — ძლივს გასაგონად თქვა წამით შეჩერებულმა შიომ. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

იქაური სკოლის დარაჯი, როგორღაც გამომცდელად შეჰყურებდა დაღლილ, აქოშინებულ შიოს და, სახეზე დამცინავი ღიმილი უთამაშებდა.

— დირექტორს ხომ არ ეძებთ, ბატონო შიო?

— როგორ? იცი სად არის თუ?

— წელან შემხვდა, რესტორანის წინ, საბარგო მანქანები მორეკა და თვითონ რაიკომთან და აღმასკომთან ერთად ხაშის საჭმელად შევიდა.

ამას კი არ ელოდა შიო!

რა დროს ხაში და რესტორანი იყო, როცა სადგურზე დაყრილი, სიცივისაგან გათოშილი ბავშვები დაბინავებას უცდიან.

— მართალს ამბობ? ხომ არ გეშლება? — ბოლოში მოსაწმენდად იკითხა შიომ და გზისპირა ლოდზე ჩაიკეცა.

— მართალია, ამ ორი კვირის წინ დამნიშნეთ ახალი სკოლის დარაჯად,

მაგრამ თქვენ და თქვენი დირექტორი სხვებში როგორ ამერევით! ჩემი თვალით ვნახე, ამ ერთი საათის წინ, მდივანთან და თავმჯდომარესთან ერთად რომ შევიდა რესტორანში.

გაბრაზებამ და აღშფოთებამ მთლად წამოაწითლა შიო. „თფუო", ერთი ამოიძახა, ფეხზე წამოხტა და, თავქვე ისევ სირბილით დაეშვა.

— დაილლებით, ბატონო შიო, ნუ ირბენთ, პურის ჭამას ასე მალე ვერ მორჩებიან და, მიუსწრებთ, აბა სად წავლენ! — დაადევნა დარაჯმა.

შიოს აღარაფერი ესმოდა.

თავდაღმართი ჩაათავა და ძუნძულით სწორ, ფართო გზაზე გავიდა.

ქანცგაწყვეტილი თანდათან ნაბიჯზე გადავიდა.

რაიონის მთავარ ქუჩაზე გასასვლელად მიხვევ-მოხვევა არ დასჭირებია რესტორანის ფერად ფირნიშს შორიდანვე მოჰკრა თვალი.

ეზოში მართლა იდგა რამდენიმე სატვირთო მანქანა. მძღოლები ერთად შეჯგუფებულიყვნენ, რაღაცას ჰყვებოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

შიომ მათ უხმოდ ჩაუარა. მანქანებს თვალი მოავლო. ათი დათვალა. ნაბიჯს აუჩქარა, რესტორანის დაბალი კიბე აირბინა, კარი შეაღო და ზღურბლზე გაქვავდა.

სუფრას, რაიკომის მდივნისა და აღმასკომის თავმჯდომარის გარდა, კიდევ ორი უცნობი უჯდა.

მირიანი ფეხზე იდგა, ცალ ხელში ღვინით სავსე სასმისი ჰქონდა, მეორეს ლამაზად შლიდა, რაღაცას ჰყვებოდა და მსმენელები სიცილით იხოცებოდნენ. ზღურბლიდან აღშფოთებით მზირალი შიო რომ დაინახა, მირიანი გაშრა, ჭიქა დადგა და ენა პირში ჩაუვარდა.

მერე, როგორც იყო, ენა ამოიდგა და საქციელწამხდარმა დამნაშავის თვალებით შეხედა შიოს.

— ჩამოხვედით, შიო? ასე ადრე?— დაბნეულმა ძლივს ამოშაქრა და მაჯის საათს დახედა.

მერე უცებ, თითქოს, ეს არის, ახლა გამოერკვაო, შუბლზე [illegible]

— მომკალი შენი ხელით, შიო, ღირსი ვარ, და ახიც იქნება! ეს რა მომივიდა, შენი ჭირიმე!

საჩხუბრად გამზადებულ შიოს უცებ აჰყარა იარაღი მირიანის მავედრებელმა გამოხედვამ. შერიგება და პატიება არც უფიქრია, მაგრამ როგორღაც გაღლვა და მოლბა.

ენაზე მომდგარი სათქმელი დაეკარგა, ხმის ამოღება ველარ მოახერხა, თვალზე ცრემლი მოადგა და უცებ შეტრიალდა.

— მოვდივართ, შიო, მოვდივართ! — გასძახა მირიანმა, — აბა, ავიშალოთ! — ხელით ანიშნა თანამეინახეებს და სუფრას მოსწყდა.

შიო გარეთ იცდიდა.

საავდროდ გამზადებული ღრუბელი უკვე დამცხრალიყო და შიო ახლა გალახულივით, თავჩაღუნული ელოდა მირიანის გამოსვლას.

რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე მსუბუქ მანქანაში ჩასხდნენ და მირიანიც მიიპატიჟეს.

— მე აგერ, დემოკრატიასთან, ჩემს შიოსთან ერთად სატვირთოში ჩავჯდები. — გასძახა მირიანმა, სატვირთოს კაბინის კარი გამოაღო, დაჯდა და შიოს ხვეწნით მიმართა:

— აგერ მოდი, შიო, ჩემთან, ორივე დავეტევით.

დირექტორმა მძღოლისკენ გაიჩოჩა. ბავშვი რომ გაიბუტება და მერე შესარიგებლად გული მოუბრუნდება, ისე წამოვიდა შიო, მომბალი და დარცხვენილი.

მირიანის გვერდით თავჩაღუნული დაჯდა და მანქანა დაიძრა.

— მოსაკლავი ვარ შენგან. ეს რა მომივიდა, ან შენ რა დღეში ჩაგაგდე და, ან ის ხალხი! მაგრამ კი მიცნობ, რა უბედური ხასიათიც მაქვს, არაფერზე უარის თქმა არ შემიძლია. კიდევ კარგი, რომ ქალად არ გავჩნდი!

შიო გაბუსხული იჯდა, თავს არ იღებდა.

— შტერი ვარ! იდიოტი ვარ! რა დროს ხაში იყო, ასე საშური საქმე მქონდა. მაგრამ ხომ გეუბნები, წინაღმდეგობის ნიჭი არ მომცა ღმერთმა. როგორც შემიპატიჟეს, უარი ვერ ვთქვი. კრეტინი ვარ და იდიოტი, მაგრამ შენ კი უნდა გამიგო და მაპატიო, შიო! ოღონდ შენ გამიგე და, სხვას არ ვჩივი, კაცმა რომ თქვას, არც ისე გამოუსწორებელი უბედურება მომხდარა, რაღაც ნახევარი საათით დავიგვიანეთ და, სულ ეგ არი! მომიბრუნდი ახლა, გამოიხედე ჩემსკენ და ამყევი!

მირიანმა მხარზე მოხვია ხელი, შიო ბავშვივით მიეკრა მკერდზე და დირექტორმა სიმღერა წამოიწყო:

ბროლის ყელსა მოგეხვევი, ვარალო...

შიო უკვე სხვა იყო, წელანდელი გაბრაზების კვალი აღარ ემჩნეოდა. მირიანის ,მომხიბლავმა ხმამ, იქნებ მის უნებურად, შიოს შეჩვეული ხმაც გამოიხმო. ჯერ გაუბედავად, მერე უფრო თამამად აჰყვა და მძღოლმაც რომ ბანი მისცა, არემარეს სმენის დამატყვევებელი სიმღერა მოეფინა.

* * *

ორი დღე აცალა მირიანმა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. იმ ორი დღის განმავლობაში ახალი სოფელი ფუტკრის სკას ჰგავდა. დიდი და პატარა, ყველა ირჯებოდა, ახალ სახლებსა და ეზოებში გაუთავებელი ფუსფუსი და მისვლა-მოსვლა იყო.

ახალ ფუძეზე დამკვიდრება ბარგის დალაგებით როდი თავდებოდა, სახლისა და ეზო-კარის ყოველ კუნჭულს გასინჯვა და ათვისება, პატრონის მზრუნველი ხელი სჭირდებოდა.

ძველი, შეჩვეული სამკვიდრო-სამყოფლის დატოვებით მიყენებული ტკივილი თანდათან ნელდებოდა ახლის სიხარულით, ახალი ფუძისა და ჭერის გამო გაჩენილი ათასგვარი საზრუნავით.

მესამე დღეს პირველად დაირეკა ახალი სკოლის ზარი.

სწავლის დაწყებამდე მასწავლებლებთან ერთად ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ დაათვალიერა სკოლის ახალი შენობა მირიანმა. საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში ყურადღებით გასინჯა ინვენტარი.

მასწავლებლები აღფრთოვანებას ვეღარ ფარავდნენ, მოწონების ნიშნად თავს აქნევდნენ, მერხებზე სხდებოდნენ, მაგიდებისა და სკამების სიმაგრეს, ელექტრონისა და წყლის გაყვანილობის მუშაობას ამოწმებდნენ.

გაკვეთილების შემდეგ მირიანმა დირექტორის კაბინეტში პედსაბჭოს სხდომა გამართა, მასწავლებლებს ახალი სკოლის შენობა და ახალმოსახლობა მიულოცა და ერთხელ კიდევ რომ თავი მოეწონებინა, ღიმილით იკითხა:

— როგორია ჩვენი ახალი სკოლა, ა?

— დიდებულია!

— ჩვენს ძველ სკოლასთან შედარებაც არ შეიძლება.

ერთმანეთს ასწრებდნენ პედაგოგები.

— ზოგიერთი თქვენთაგანი, როგორც ვიცი, ფეხს ითრევდა, და წინააღმდეგი იყო აქ გადმოსახლების, — გამარჯვებული სარდლის თვითკმაყოფილებით მოავლო თვალი კოლეგებს.

—კი, მართალია, მაგრამ ყველაფერს თავისი გამართლება აქვს, — ამოიოხრა მათემატიკის მასწავლებელმა, — მშობლიური კარ-მიდამოს მიტოვება ძნელი და მტკივნეული იყო. იქ ჩვენი მამა-პაპის სალოცავი და საძველეა.

— იქაური ჰაერი და მიწა-წყალი...

— ჰაერი და მიწა-წყალი, არც აქ არი დასაწუნი, — მოუჭრა სათქმელი გეოგრაფიის მასწავლებელს მირიანმა.

— არა, მაგას როდი ვამბობ...

— ამასთან, აქაური მიწა-წყალი ნაყოფიერებითა და მოსავლიანობითაა განთქმული.

— ეგეც სწორია, მირიან ბატონო, მაგრამ ხომ იცით, ნათქვამია, ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბუდეც იქ არისო.

— ვიცი, ვიცი, შეჩვეული ჭირი გერჩიათ, მაგრამ ცოტა მოიცადეთ, აქაურობასაც შეეჩვევით და, მერე აქედან,

ნებით კი არა, ძალით აღარსად წახვალთ.

— ალბათ, ეგრე იქნება.

— მარტო თქვენზე კი არ უნდა იფიქროთ, თქვენი ბავშვებისა და სამშობლოს მომავალზეც უნდა იზრუნოთ.

— მართალია, მირიან ბატონო, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, ახლა ამ კამათს აზრიც აღარა აქვს. დავსახლდით და მორჩა! ამ ნაბიჯის სიკეთეს თქვენ უკვე ხედავთ. გავა დრო და კიდევ უფრო მეტ სიკეთეს რომ დაინახავთ, მაშინ ამ საქმის თაოსნების დალოცვასა და სამადლობელს ვერ აუხვალთ.

მირიანი წამოდგა.

— ახალ სკოლაში სწავლის დაწყების აღსანიშნავად ჩემთან გეპატიჟებით ყველას.

მასწავლებლები მხიარულად წამოიშალნენ.

დირექტორმა ადრეც იცოდა თავის სახლში თანამშრომლების გამასპინძლება და, არც ახლა გაჰკვირვებიათ პურ-მარილზე მიწვევა.

— როდის მოასწარით, მირიან ბატონო?

— პურ-მარილის მომზადება? მე რას მოვასწრებდი, ყველაფერი განათლების განყოფილებამ გამომიგზავნა. მაგრამ სუფრასაც გაწყობა უნდა, და, თქვენ იცით, ქალებო! ცოტა დაწინაურდით და თქვენებურად იდიასახლისეთ ჩემს უქალო ოჯახში.

— ახლავე, ბატონო მირიან.

— თქვენ ნურაფერზე შეწუხდებით. ახლავე თქვენსას გავჩნდებით, სუფრასაც გავაწყობთ და, თუ რამე აკლია, ჩვენც ჩვენი ოჯახებიდან მივუმატებთ

— აკლია კი არა, ჩიტის რძეც არ დავიწყებიათ. ა, ჩემი სახლის გასაღები. სუფრა ზემოთ გაშალეთ, აივანზე, ციცინო, ცოტა მიალაგეთ კიდეც იქაურობა, თორემ, ხომ იცით მარტოხელა კაცის ამბავი, არეულ-დარეულია.

— ნურაფრისა ნუ გეფიქრებათ, მირიან ბატონო, ცოტა შეყოვნდით და ყველაფერს ისე დაგახვედრებთ, როგორც თქვენს დირექტორობას შეეფერის, — დაფაცურდა ციცინომ ფურცლები ჩამოართვა და მასწავლებელ ქალებს მირიანის სახლისკენ გაუძღვა.

ერთი საათის შემდეგ მასწავლებელ კაცებს თავისი კოტეჯის კიბეზე ამოუძღვა დირექტორი.

— აბა გახედეთ, როგორი ხედია! — აღტაცებით თქვა მირიანმა, ხელი გაშალა, და კიბეზე ამოსული სტუმრები აივნის მოაჯირისკენ მოიხმო.

— დიდებული ხედია. მთელი ხეობა თითქო ხელისგულზეა.

— ამაში მაინც დაგვითმე, ბატონო დირექტორო! — ღიმილით მიეახლა გეოგრაფიის მასწავლებელი, — გადასახედად და გასახედ-გამოსახედავად ჩვენი ზემო იმერეთი სჯობს აქაურობას.

— არა, სულ იმისთანა მდებარეობა ვერ არი, მაგრამ ხედი აქაც ლამაზია და დიდებული.

— ის რა მოჩანს, მირიან ბატონო, ჰორიზონტზე?

— ქვევრებია, უძველესი ქვევრები, გუშინ იქით ვიყავი და სწორედ მაგ ქვევრებს წავადექი თავს.

— ქვევრები?

— ჰო, არქეოლოგების მიერ გათხრილ ძველ სამაროვანში აღმოჩენილი ქვევრები ყოფილა და სანამ ამას გავარკვევდი, ღამეები არ მეძინა.

— იცი, ვინ ხელმძღვანელობს მაგ გათხრებს, მირიან? — იკითხა შიომ.

— არა, არ დავინტერესებულვარ.

— ჩვენი სანდროს შვილი, გურამი.

— რას ამბობ, კაცო? ამხელაა სანდროს შვილი? თუმცა კი იქნება, სანდრო ჩემზე უფროსი იყო და, რომ დაიღუპა, იმ დროს ბიჭი მოზრდილი ჰყავდა.

— ჩავიდეთ ერთხელ, მირიან, დავათვალიეროთ ეგ გათხრები. ამბობენ, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენებიაო.

— წავიდეთ, აუცილებლად წავიდეთ, — აღფრთოვანდა მირიანი, — შემახსენე, ამ დღეებში წავიდეთ.

სუფრა უკვე გაწყობილი იყო. თამადად ჩვეულებისამებრ მირიანი დადგა და, ცოტა ხნის შემდეგ მარტო მხიარული სიცილ-ხარხარი კი არა, ხმაშეწყობილი სიმღერაც დაგუგუნდა და ახალი სახლის ჭერი ამაღლდა.

ტყუპებივით ჰგავანდნენ ახალი საცხოვრებლები ერთიმეორეს. დირექტორისა და მასწავლებლების სახლები სკოლის ირგვლივ, მაღლობზე, ერთიმეორის მიყოლებით იყვნენ ჩარიგებულნი და ყველას თავ-თავისი ეზო ჰქონდა მავთულის ბადეებით შემოღობილი.

ახალი მოსახლეები თავ-თავიანთ ნაკვეთებში გამოსულიყვნენ, ბარავდნენ და ხეხილს რგავდნენ.

მზე უკვე გადახრილი იყო.

შიო თავის ორ ვაჟთან ერთად მიწას აბრუნებდა სავენახედ.

— ნეტა, როგორი ღვინო დადგება აქაური ვაზის? — იკითხა ავთანდილმა და, ბარზე დაყრდნობილი, მამას მიაჩერდა.

— როგორიო? — გამოეპასუხა შიო, — აქაური ღვინო კახურსაც არ უდებს ტოლს.

— ჩვენებურს აჯობებს?

— ჩვენებური აქაურთან ვერ მოვა, მჟავეა და სიმაგრეც ნაკლები აქვს.

— მასპინძელო! — გაისმა ეზოს ბოლოდან.

მამა-შვილებმა თავი აიღეს, შუბლზე ხელი მოიჩრდილეს და ჭიშკარს გახედეს.

ჭიშკართან ახალგაზრდა კაცი იდგა და შორიდან ულიმოდათ.

ეტყობოდა, შინაური იყო, მასპინძლების მიგებებას არ დაელოდა, უბრალო რაზით გადაკეტილი ჭიშკარი შეაღო და მბარავებისკენ გაემართა.

— მუშაობთ, არა? ებრძვით მიწას ეს განათლებული ხალხი, ხომ? — შორიდანვე დაიწყო გურამმა.

— რას იზამ, ცხოვრება ბრძოლაა, — ხუმრობითვე უპასუხა შიომ, — სკოლიდან რომ ვთავისუფლდებით, ვჩიჩქნით ამ დალოცვილ მიწას მე და ჩემი ბიჭები.

— გურამს გაუმარჯოს!

— გამარჯობა, ბიძია შიო!

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მერე გურამმა ახალგაზრდებზე გადაინაცვლა.

— რამოდენა ვაჟკაცები გამხდარან! აღტაცებით თქვა და შიოს ვაჟები დაკოცნა.

— მე უნდა მომეძებნე, მაგრამ შენ დამასწარი, — შეჰღიმა შიომ.

— რას ამბობ, ძია შიო, იმდღესავე მინდოდა ამოსვლა, მაგრამ ახალი სამაროვნები გავხსენით და მთელი თბილისი ჩვენთან იყო ჩამოსული.

— მნიშვნელოვანი თუ აღმოჩნდა რამე?

— ძალიან მნიშვნელოვანი. ელინისტური ხანის ხელოვნების ნიმუშები, ძვირფასი სამკაულები, იშვიათი ოსტატობით ნაკეთები, ოქროს ნივთები და კერამიკა!

— მომილოცავს! ეგ კარგია, მაგრამ ჩვენი დამწერლობის ნიმუშებს რომ იპოვიდეთ, აღმოჩენა ის იქნებოდა.

— ოო, ეგ ყველა ქართველი არქეოლოგის ოცნებაა, მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არაფერი ჩანს.

— შინ შევიდეთ და იქ ვისაუბროთ, — ხელი მოხვია შიომ. — აბა, ბიჭებო, თქვენც გეყოფათ მამულისა და ოჯახის სამსახური, წავიდეთ.

ბიჭებმა ბარს ხელი უშვეს და უფროსებს მიჰყვნენ.

ციცინო შვილსავით შეეგება გურამს, გადაკოცნა და სიყვარულით მოიკითხა.

— კარგი ცოლი მოგიყვანია, მაგრამ ამდენ ხანს ჩვენ რატომ არ გვაჩვენე?

— როდის გაჩვენებდით, ციცინო დეიდა, მე აქ ვარ და, ის თბილისშია.

— ეჰ, ეგ არ ვარგა, ახალდაქორწინებულები ერთად უნდა იყოთ.

— ერთად ვიქნებით. ახლა, აგერ, ერთ კოტეჯს მეც შემპირდნენ თქვენს უბანში და თუ ჩემს ცოლს აქ სადმე სამსახური ვუშოვე, თქვენი მეზობლები ვიქნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას რა აჯობებს! ახლა ეს მითხარი, შენი ცოლი რა განათლებითაა, — იკითხა შიომ.

— ექიმია, ბავშვთა ექიმი.

— ჰოდა, ჩვენთან იმუშაოს, სკოლის ექიმად.

— გაქვთ ადგილი, თუ?

— გვაქვს. ჩვენი ექიმი ძველ სამკვიდროს ვერ შეელია და არ გადმოგვყვა. მისი შტატი თავისუფალია.

ციცინო სუფრას შლიდა და ფაციფუცობდა.

— დაბრძანდით, შვილო გურამ. ამ ყანის მუშებისათვის შინაური ვახშამი მაქვს. შენ არ გელოდით და ღარიბ მასპინძლობას ნუ დაგვიწუნებ.

— რას ბრძანებ, დეიდა ციცინო! მე ახალი ნასადილევი ვარ და, მაინც არაფერი მინდა. ისე დავჯდები, სასაუბროდ.

— არც ღვინოს დალევ, ჩვენებურს?
— ეშმაკურად შეჰლიმა შიომ.

— თქვენებურ ღვინოზე კი ვერ ვიტყვი უარს.

— ჰოდა, შევექცეთ ამ ჭინჭილით და ვისაუბროთ. წეღან პასუხი არ მითხარი. შენი ცოლი სკოლის ექიმობას ისურვებს?

— ისურვებსო? რა საკითხავია, სიხარულით წამოვა, ოღონდ...

— ოღონდ, რა?

— მე ვერ ვთხოვ მირიანს და, რომ ვთხოვო კიდეც, არ გამიკეთებს.

— ეგ ჩემზე იყოს, მე მოველაპარაკები.

— უზომოდ მადლობელი დაგრჩებით, მეც და ჩემი ცოლიც.

შიომ ორი ჭინჭილა აავსო, ერთი გურამს დაუდგა, მიუჯახუნა და მოკლედ თქვა:

— ეს ჩვენ პირველ შეხვედრას გაუმარჯოს ამ ახალ მიწა-წყალზე, ახალ სახლ-კარსა და ფუძეზე.

— გაუმარჯოს! ბედნიერი ყოფილიყოს ჩემი ფეხი თქვენს ახალ სახლში. ჯანმრთელობა და სიხარული, ლხინი და დოვლათი გიმრავლოთ ახალ ჭერქვეშ!

მუშაობით დაღლილი მამა-შვილები მადიანად შეექცეოდნენ სამხარს.

გურამი ჯერ ხაჭაპურს წაეტანა, ცოტა მოციცქნა, მერე ხილს მისწვდა.

— რატომ გგონია, რომ მირიანი ცოლის მოწყობაზე არ დაგეხმარება? — თავაუღებლად იკითხა შიომ.

— არ დამეხმარება. მე მაგის ძველი და ახალი ცოდვები ვიცი და, ცოლს მომიწყობს კი არა, რომ შეეძლოს, მეც მომიშორებდა აქედან. ამასწინათ, გოგებაშვილის მედლით რომ დააჯილდოვეს, ვილაცასთან წამომცდა, ადრე გოგებაშვილის გინებაში იღებდა ჯილდოს, ახლა ქებაში იღებს-მეთქი. მაშინვე მიუტანეს და კინაღამ ინფარქტი მოსვლია. მას მერე თვალს მარიდებს და სათოფეზე არ მეკარება.

— შენც რა გალაპარაკებლია! ახალგაზრდობით კაცს შეცდომა მოსვლია. ახლა ის შეცდომა თუ შეიგნო და გამოასწორა, მაინც ცხვირში უნდა ვადინოთ?

— შეცდომის შეგნება და გამოსწორება ის იქნებოდა, ოფიციალური აღიარებით გამოსულიყო, მოენანიებინა და ეთქვა, უმწიფრობითა და უმეცრებით მომივიდაო. გაუგებდნენ და აპატიებდნენ, თანაც იმ შეცდომის გამოსასწორებლად გადადგმულ ნაბიჯს მოუწონებდნენ. ეგ კი, ადრე ჩადენილ დანაშაულს მალავს და, არათუ საჯაროდ გმობს თავის შეცდომებს, ბიბლიოთეკებიდან იმ გაზეთების გაქრობაზე ზრუნავს, რომლებშიც გოგებაშვილს ლაფს ასხამდა და რისთვისაც მაშინ ტაშს უკრავდნენ. ხვალ რომ ისევ დადგეს ჩვენი კლასიკოსების დევნის დრო, ალბათ, გამოვა და იტყვის, მე ჩემი ადრინდელი პოზიციის ერთგული დავრჩი, მაიძულებდნენ, მაგრამ სიმტკიცე გამოვიჩინე, იგი არსად და არასოდეს დამიგმიაო.

გურამი სიბრაზისაგან წამოწითლდა.

— დამშვიდდი ახლა, ნუ ცხარობ. კაცს დღევანდელი საქმიანობა უნდა დავუფასოთ და, თუ ქვეყნის სასარგებლოდ ირჯება, მისი წარსულის ჩხრეკას მოვეშვათ.

— ჩაგ პრინციპით მე ვერც ვიმუშავებ და ვერც ვიცხოვრებ. მე სხვა თაობის წარმომადგენელი ვარ და დანაშაულის დავიწყებაც დანაშაულად მიმაჩნია.

— ახალგაზრდებს შემწყნარებლობა და ლმობიერებაც უნდა გქონდეთ. დანაშაულის ძირისძირობამდე ჩაყოლა არაფერს მოგცემს და არც გირჩევ... მართლა, ამ დღეებში გათხრების დათვალიერებას აპირებს მირიანი და ცუდად არ შეხვდე.

— ჩვეულებრივად შევხვდები, მისი მოსვლით ვერ აღვფრთოვანდები, მაგრამ ვეცდები, არც გავღიზიანდე.

— ეგრე სჯობს. ყველა საქმეში სიმშვიდე და სიდინჯე თავი და თავი. ახლა ეს მითხარი, შენ აქ რომანის დასაწერად გადმოიხვეწე და როგორ მიდის საქმე?

— წელიწადი მაინც მინდა კიდევ.

— წელიწადი ბევრი არ არი. ისტორიულ თემაზეა, არა?

— ჰო, ბახტრიონის თემაზე. ქართველთა მიწა-წყალზე შაჰ-აბაზის მიერ უცხო ტომის ჩამოსახლებაზე. ის ტომი შემდეგ ძალიან მომრავლდა და ქართველობას შთანთქმით ემუქრებოდა — ქართველები შეითქვნენ და კახეთში ერთიანად გაჟლიტეს ისინი, ვისაც საბოლოოდ ქართველების ასიმილაცია უნდა მოეხდინა.

— ნუთუ შეძლებდნენ ჩვენს ასიმილაციას?

— შეძლებდნენო? მაგათ ჩვენზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი ბიზანტიის იმპერია დაამხეს და ბერძნები მათი სამკვიდროდან ამოძირკვეს...

რაღა ბერძნები, აგერ ჩვენი მეზობელი და მონათესავე ალბანელები, ისე მოინელეს და გააქრეს, მეცნიერებს მათი ნამსხვრევებისთვისაც ვეღარ მიუგნიათ.

— მართლა, როგორ კვალწმინდად გაქრა ეს ალბანეთი!

— ამიერკავკასიაში სამი ქრისტიანული სახელმწიფო იყო — საქართველო, სომხეთი და ალბანეთი. ალბანელები პირველნი ღებულობდნენ აღმოსავლეთიდან მოვარდნილი წამლეკავი ტალღების დარტყმას და წაილეკნენ კიდევაც.

ჩვენს წინაპრებს მეტი შორსმჭვრეტელობა და ენერგია აღმოაჩნდათ. მათ რომ ბახტრიონში თარაქამები არ გაეჟუჟათ, ახლა აღარც კახეთი იქნებოდა ჩვენი და აღარც თბილისი.

— ალბათ, აგრე იქნებოდა. ჩვენი წინაპრების ეგ ღვაწლი ხალხურმა პოეზიამაც ჯეროვნად დააფასა და ლიტერატურამაც, მარტო ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი" რადა ღირს.

— „ბახტრიონის" გმირების დროს საკითხი მარტივად წყდებოდა. ვინც ვის მოერეოდა, გამარჯვებაც მას რჩებოდა. ჩვენს დროში, როცა ხალხები ერთიმეორის მეზობლად, მეგობრულად ვცხოვრობთ, ერთმანეთის გაჟლეტა და ამოძირკვა ფიქრადაც არავის მოუვა. არადა, ისინი მრავლდებიან, ჩვენ კი თითო-ოროლა ბავშვსღა ვჯერდებით და თუ ასე გაგრძელდა, მალე სულაც გადავშენდებით.

— ეგ ჩვენი დიდი უბედურებაა!

— რაც თემურლენგმა და შაჰ-აბაზმა ვერ შესძლეს, იმას ჩვენ თვითონ ვუმზადებთ ჩვენს თავს — ქართველობის გადაშენებასა და ჩვენი სახსენებლის გაქრობას.

— მაგაზე მეც ბევრს ვფიქრობ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვხედავ.

— გამოსავალი ერთია, ქალი სამსახურს უნდა მოვაშოროთ და ოჯახს დავუბრუნოთ, ამასთან, ყალბად გაგებულ, ყველასათვის სავალდებულო უმაღლეს განათლებას არ უნდა გადავყვეთ და შვილების გაჩენაზე უნდა ვიზრუნოთ. თორემ რასა ჰგავს, იმის მაგივრად რომ შთამომავლობის მომრავლებაზე ვიფიქროთ, ქუდზე კაცი უმაღლესი განათლების მიღებაზე ხარჯავს ახალგაზრდობის საუკეთესო წლებს. სხვები კი ამ დროს ათსა და მეტ შვილსაც აჩენენ და უდიპლომოდაც ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ. ქართველებისათვის დღეს ის აჯობებდა, მრავალშვილიანი დედები

გვყოლოდა მეტი და არა დიპლომიანი ქალები, რომლებიც ალარც ოჯახისთვის არიან და ვერც ჩვენი კულტურისათვის მოაქვთ დიდი სარგებელი.

— მაგ მდგომარეობის არანორმალურობას ყველა გრძნობს, მაგრამ გამოსავალს ვერავინ პოულობს. შენც ცოტა აუბრალოებ მაგ რთულ სოციალურ პრობლემას. ეტყობა, საქმე ეგრე მარტივად ვერ მოგვარდება... რა ხანია რაც აქ მუშაობ?

— წელიწადზე მეტია.

— კმაყოფილი ხარ?

— ძალიან! დრო საკმაო მაქვს. ხალხი ცოტა მყავს და, ნელ-ნელა ვთხრით. თავისუფალ დროს კარგად ვიყენებ, ეთნოგრაფიას ვსწავლობ, ფოლკლორს ვკრებ.

— ენა თუ ისწავლე აქაურების?

— ცოტა ადრეც ვიცოდი, ახლა მეტწილად მაგათთან მაქვს ურთიერთობა. გათხრებზედაც ადგილობრივი ახალგაზრდები გვყავს მუშებად. რომ არ მდომოდა, მაინც უნდა მესწავლა, მაგრამ ჩემი ამბავი იცი, ლექსიკონებს თავს ვაკლავდი და, ახლა მარტო ლაპარაკი კი არა, წერაც თავისუფლად შემიძლია.

— ყოჩაღ! აგრე უნდა. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებ, ძირფესვიანად უნდა დაეუფლო.

— ენის დაუფლებამ ბევრი რამ გამიადვილა, მშვენიერი ზღაპრები და თქმულებები ჩავიწერე. ყოფის ამსახველი ლექსებიც ბლომად შევაგროვე და იმ ლექსებში ქართველებთან ურთიერთობაც თავისებურადაა არეკლილი. ამ კუთხის ისტორიაც კარგად შევისწავლე, აქაურობა სულ ფეხდაფეხ მაქვს დავლილი. ეს მხარე რომ დიდად დაწინაურებული ყოფილა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლები კიდევ ბლომადაა შემორჩენილი, ხოლო არხების ნაშთებსა და ციხე-სიმაგრეების ნანგრევებს სათვალავი არა აქვს. შარშან ტყეში ერთ მშვენიერ ეკლესიას წავაწყდი, სახურავი გადახდოდა და ფრესკები წვიმას ჩამოერეცხა. სამაგიეროდ, ჩუქურთმები და წარწერები თითქმის დაუზიანებლად იყო გადარჩენილი. ეკლესია თამარის დროინდელი აღმოჩნდა. ვახუშტიც იხსენიებს, როგორც კეთილნაშენ, გუმბათიან ტაძარს.

ტაძრის გეგმა ავიღე, თბილისს შევატყობინე, აღრიცხვაზე არ იყო და ავაყვანინე. წელს უკვე აღდგენითი სამუშაოები დაიწყება, გადახურავენ და შეაკეთებენ.

— ეგეც კაი საქმე გაგიკეთებია, შენი მაგალითი იმას ამტკიცებს, თუ როგორ საჭიროა ჩვენი მივიწყებული კუთხეებისათვის ყურადღების მიქცევა. თბილისში ამის ფასს რას გააკეთებდი, კარგი ჰქენი, რომ სამუშაოდ და საცხოვრებლად აქ გადმოხვედი.

— თუ კაცს საქმის კეთება უნდა, გასაკეთებელს ყველგან მოძებნის, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი მომავლისთვისაც და საქმისთვისაც ჩემი აქ ყოფნა მეტი სარგებლის მომტანი იქნება.

ბიჭებმა სამხრობა მოათავეს, ბოდიში მოიხადეს და ფეხზე წამოდგნენ.

გურამი აღფრთოვანებული შეჰყურებდა უკვე დაჭაბუკებულ, თვალტანად ძმებს.

— რა ვაჟკაცები დაზრდილან! — აღმოხდა გურამს.

— ჰო, არა უშავთ, მამას უნდა აჯობონ, — მოიწონა შიომ თავი.

— ის ურჩევნია მამულსაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. ტარიელი, მგონი, წელს ათავებს სკოლას, არა?

— კი, ბიძია გურამ, წელს ვათავებ.

— მერე, სად აგრძელებ სწავლას, რომელ ფაკულტეტზე.

—ისტორიულზე ვფიქრობ, — დარცხვენით თქვა ტარიელმა და თავი ჩაღუნა.

— ჰო, მახსოვს, ისტორიული წიგნების კითხვა გიყვარდა. იცი, რა გითხრა, მოდი, ჩემთან იარე, გათხრებზე გამუშავებ და ცოტას გამეცადინებ კიდეც.

— მაგ სიკეთეს თუ იზამ! — სახე გაებადრა შიოს.

— ჩემს მომზადებაზე დროს როგორ დავკარგვინებ, ბიძია გურამ.

— რას მიქვია დროს დაკარგვა. ხვალიდანვე მოდი, გათხრებზე გაგაფორმებ მუშად, პრაქტიკულად გაეცნობი არქეოლოგიას და თანაც ცოტა ფულსაც გააკეთებ. არც ეს აწყენს შენისთანა ახალგაზრდას.

— მე ფული სულაც არ მაინტერესებს...

— ფული? ფული ხელის ჭუჭყია, მაგრამ არც უმაგისობავარგა. ერთი სიტყვით, ხვალ გელი. — გურამი წამოიწია, მაჯის საათს დახედა, — წავალ, თორემ შევაგვიანე და ცოლი მოიწყენდა.

— ჰო, ახალგაზრდა ცოლის მარტო დატოვება ცოდვაა. მეორედ უცოლოდ აღარ მოხვიდე. შენს ცოლს, შენს ახალ ოჯახს ვუსურვოთ ბედნიერება, — თქვა შიომ, ჭინჭილა მიაწოდა გურამს და თვალმოწკურულმა ღვინო ყელში რაკრაკით მიუშვა.

გურამი მთელმა ოჯახმა ჭიშკრამდე მიაცილა, და ხვევნა-კოცნით დაემშვიდობნენ.

ადრე გარდაცვლილი მამის ზრუნვას მოკლებული დია, ადრევე მიეჩვია დამოუკიდებელ ცხოვრებას. დედა გვიანობამდე ვერ ბრუნდებოდა სამსახურიდან და დია მთელი დღე შინამოსამსახურის იმედად ჰყავდა დატოვებული.

ქალიშვილობაში რომ შევიდა, ისედაც ლამაზი გოგონა, ერთიორად გაკეთდა და დამშვენდა. თვალი ყველას მისკენ გაურბოდა და ყველა მის სიახლოვეს ეძებდა. გამცილებლებისა და შეხვედრის მსურველთა რიცხვმა ერთბაშად იმატა და დიას ბინაზე ტელეფონის ზარს მოსვენება აღარ ჰქონდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა.

ბავშვების ექიმი უნდა გავხდე, სხვის შვილებსაც ვუმკურნალებ და თავადაც ბლომად გავაჩენ ბალღებს, თორემ მე რომ დედისერთა ვარ, რა სიკეთეა, დის სიყვარული მე არ ვიცი და, ძმის ალერსით, ეტყოდა ხოლმე დედას დაუ-[illegible] შაობით ქანცგაწყვეტილს [illegible] თავისი ცხოვრებისა და არაადამიანური შრომის გამართლებას მომავალი შვილიშვილების ბედნიერებაში ხედავდა.

მეოთხე კურსამდე ძლივს მიატანა დიამ. ბოლოს მასაც გაუძნელდა ირგვლივ მორიალე ჭაბუკების მოგერიება.

დედაც მიხვდა, რომ თუ დროზე არ ჩააბარებდა საიმედო პატრონს, შვილსაც გზა აებნეოდა და მისი შრომაც წყალში ჩაიყრებოდა.

დიას მშვენიერებით გონწართმეულთა შორის სახელიანიც ბევრი იყო და შეძლებულიც, მაგრამ დედის გული უფრო მის შვილზე უიმედოდ შეყვარებული გურამის თანაგრძნობითა და სიმპათიით იმსჭვალებოდა.

გურამს ნიჭიერი ახალგაზრდის სახელი ჰქონდა და მეცნიერებაში მის დიდ მომავალზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. თავად მოკრძალებულ გურამს არც თავისი ნიჭით მოჰქონდა თავი და არც მომავლის იმედით. მისი უპირატესობა დიასადმი უსაზღვრო სიყვარული იყო.

ამ სიყვარულს არც ანგარება ასაზრდოებდა და არც პატივმოყვარეობა. გურამს დია მთელი თავისი არსებით უყვარდა და მზად იყო მისი ბედნიერების სამსხვერპლოზე, საკუთარი სიცოცხლის ჩათვლით, ყველაფერი მიეტანა.

თავისი გრძნობების ხმამაღლა გამჟღავნებას ვერ ბედავდა, აღსარებას მხოლოდ ლექსებს ანდობდა და იმ ლექსებს რომ დროდადრო დიას გადასცემდა ხოლმე, წითლდებოდა, მისი თანდასწრებით წაკითხვის ნებას არ აძლევდა და სატრფოსაგან ისე გარბოდა, თითქოს მისთვის სატრფიალო სონეტი კი არა, ბომბი გადაეცეს, რომელიც მხოლოდ მისი თანდასწრებით აფეთქდებოდა.

იმ ლექსებმა ამაღლებულ სიყვარულზე მეოცნებე გოგონას ძილი და მოსვენება დაუკარგა. მისი გული უკვე სხვას ეკუთვნოდა, მაგრამ გურამის აღსარების გულგრილად წაკითხვა მაინც

არ შეეძლო და თავდავიწყებამდე მისული მისი ტრფობაც პოულობდა ქალიშვილის გულში ჩუმსა და გაუცნობიერებელ ადგილს.

დია განზრახ ისე აწყობდა, რომ მათი შეხვედრიდან შეხვედრამდე ერთ კვირას თუ არა, რამდენიმე დღეს მაინც გაევლო. მაგრამ დათქმულ დღეს მუდამ გულის ფანცქალით ელოდა, რადგან იცოდა, გურამი ხელცარიელი არ მოვიდოდა, თავისი გულის მღელვარებას ახალ ლექსებში გადმოღვრიდა და იმ ლექსებთან მარტო დარჩენილ დიას გრძნობათა იმ პირველქმნილ სიწმინდეზე დააფიქრებდა, რომელიც, ბევრის დაკვირვებით, ჩვენს დროში სრული გაქრობის ან გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი.

დიას გულწრფელად მოსწონდა გურამის ლექსები. ნაცნობ პოეტებს ავტორის ვინაობის გაუმხელად წააკითხა ზოგიერთი მათგანი და როცა მათაც მიუდგომლად დაადასტურეს მისი შთაბეჭდილების სისწორე, დია სიხარულით ცას ეწია.

შემდგომი შეხვედრების დროს გურამს ლექსები შეუქო და თუმცა ლექსებში გამჟღავნებულ გრძნობებზე პასუხის გაცემას თავი აარიდა, შეყვარებული ჭაბუკი საწერად წააქეზა და წაახალისა.

— დანაშაულია, კაცს ასეთი ლექსების წერა შეეძლოს და სისტემატურად არ წერდეს! ვინ იცის, იქნებ შენი მოწოდება სულაც მწერლობაა და არა მეცნიერება?!

— რაღა დავმალო და, ზოგჯერ მეც ეგრე მგონია, — გამოტყდა გურამი.

—შენს ლექსებში გრძნობათა ისეთი სინატიფე და სიახლეა, გამოთქმის ხელოვნების ისეთ სიმაღლესა და უნაკლო გემოვნებას ამჟღავნებ, რომ, ეტყობა, გუშინ არ დაგიწყია წერა.

— ბავშვობიდან ვწერ, მარტო ლექსებს კი არა, მოთხრობებსაც, — კიდევ უფრო გადმოშალა გული ქებით ფრთაშესხმულმა გურამმა.

— ჰოდა, მაგას რა სჯობს! უნდა წერო და წერო. მეცნიერების ფასი სხვაზე ნაკლებად არ ვიცი, მაგრამ შენი არჩევანი რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული, მე მწერლობას გირჩევდი.

შენზე, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული ეგ არჩევანიცა და მთელი ჩემი სიცოცხლეცო, უნდოდა ეთქვა გურამს, მაგრამ სითამამე არ ეყო, ენა არ დაემორჩილა და გულისნადები გულშივე დაიმარხა, რომ უახლოეს ლექსებში უფრო დამაჯერებლად, ლაღად და მიმზიდველად გაემჟღავნებინა სატრფოსათვის.

დია ვაჟის ათორთქებულ მზერას რომ წააწყდა, სახე მოარიდა, მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და შთაბეჭდილების გასაფანტავად, სხვათა შორის დაასკვნა:

— არჩევანს თავად ცხოვრება გიკარნახებს და მაგას, ალბათ, დრო უნდა. მანამდე კი ნურც მეცნიერებას დააკლებ გულსა და მონდომებას, ნურც ლექსებსა და მოთხრობებს.

განაჩენი გამოტანილი იყო.

დიას მიერ გამხნევებული და წახალისებული გურამი კიდევ უფრო მეტი ბეჯითობით ჩაუჯდა წიგნებს. ქვემო ქართლის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვართა შესწავლას შეუდგა და ვრცელი მონოგრაფიის დასაწერად მასალების შეგროვება დაიწყო.

ამასობაში დიას ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა: ლამაზმა ჭაბუკმა, რომელიც ფარვანასავით მუდამ თავს დასტრიალებდა და რომლის მიმართაც დიაც არ იყო გულგრილი, ერთ მშვენიერ დღეს გავლენიანი კაცის ქალიშვილი შეირთო მოსკოვში, თვითონაც იქ გადაბარგდა და სიყვარული კარიერას ანაცვალა.

დიასა და იმ ჭაბუკის ურთიერთობა ყველამ იცოდა, მათი დაქორწინება შორეული მომავლის საქმედ არ ეჩვენებოდათ და ბედის ჩარხის ამგვარად დატრიალებამ ქვეყანა აალაპარაკა.

უზომოდ შეურაცხყოფილი დია ერთხანს შინ ჩაიკეტა და გარეთ აღარ გამოდიოდა.

ქალიშვილს არც ისე თავდავიწყებით უყვარდა ის ჭაბუკი, რომ გულიდან ვერ ამოერეცხა, ამაყ გოგონას ქვეყნის ყბაში ჩავარდნა უფრო აღშფოთებდა და გულს შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა უფრო უკლავდა, ვიდრე საქმროს დაკარგვა.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რომ ეძებდა, სწორედ მაშინ გამოეცხადა გურამი.

— ლენინგრადს უნდა წავიდე, ჩემს ხელმძღვანელ პროფესორთან, სამუშაოდ, ერთი წლით.

— უი, რა კარგია! — გულწრფელად გაიხარა დიამ, — ნეტავ მეც შემეძლოს ლენინგრადს წამოსვლა!

— შეუძლებელი რა არის, ოღონდ შენ ისურვე და...

— მე იქ რა უნდა ვაკეთო, ან სად უნდა ვიცხოვრო?

— ჩემთან, ჩემი პროფესორის ლენინგრადის ბინაზე ან აგარაკზე...

— მერე, მე რას დამარქმევ, რას ეტყვი შენს პროფესორს, ჩემი ვინ არიო? და, თუ ცოლიო? — მაცდურად გაუღიმა დიამ.

— პროფესორმა იცის, რომ მე და არა მყავს, — დაიბნა გურამი.

— მაშინ, რა, ცოლად უნდა წარმადგინო?

გურამი წამოწითლდა, თავი ჩაღუნა და თითქმის ჩურჩულით ამოთქვა:

— სწორედ მაგ ბედნიერების სათხოვნელად ვარ მოსული, დია.

დია გურამისგან ამდენ სითამამეს არ მოელოდა, გაოცდა, მაგრამ არ გაბრაზებულა.

ჭაბუკი უცებ მოწყდა, ქალიშვილს მუხლებზე მოეხვია და შეევედრა:

— ოღონდ წამომყევი და, თუ გინდა, თავს შემომივლე. მე უშენოდ ლენინგრადში კი არა, აქ ვეღარ შევძლებ ცხოვრებას. თუ უარს მეტყვი, ახლავე თავს მოვიკლავ.

გურამი სულმოუთქმელად ლუღლუღებდა, დიას ფეხებს უკოცნიდა და თავის ალებას ვერ ბედავდა.

დია მუხლებზე მოხვეულ გურამს არ უძალიანდებოდა, თავადაც მანამდე განუცდელ რაღაც გრძნობას აეყოლიერებინა და მთელ სხეულში ნეტარების ჟრჟოლა უვლიდა.

თვითონაც ვერ გაიგო, როგორ წაიღო ხელი ვაჟის ქოჩრისაკენ, თითები თმებში გაუყარა, დაყვავებით ჰკითხა.

— დედაჩემს სთხოვე ჩემი თავი? დედამ რომ არა ქნას? — ეს უკვე თანხმობა იყო.

გურამი წამოხტა, დიას მოეხვია, ხელები დაუკოცნა და გახარებულმა შესძახა:

— ახლავე წავალ დედაშენთან, ცრემლებით შევევედრები! — აღგზნებული, ერთიანად აფორიაქებული გურამი ერთხელ კიდევ დაეწაფა დიას ხელს და ოთახიდან ტყვიასავით გავარდა.

დედას თავის ოცნებაში კრგახნის წინათ ჰყავდა გურამი სასიძოებს შორის ამორჩეული. მის ქალიშვილზე უსაზღვროდ შეყვარებული, მომავლის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი, თვითონაც კარგი ოჯახის შვილი იყო, და დედას თავისი ერთადერთი შვილის ქმრად უკეთესი ვინ უნდა ენატრა?

დედა გურამის თხოვნამ გაახარა, დალოცა და გაამხნევა:

— მეც ვაუკაცივით ამოგიდგებით მხარში, რაც შემეძლება ზრუნვას არ მოგაკლებთ, არც თქვენ და არც თქვენ მომავალ შვილებს.

იმ ღამეს დედა-შვილს დილამდე არ დაუძინია. ცხოვრებაში გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის წინ პირველად ერთმანეთის წინაშე ჩხრეკდნენ იმ ადამიანის ავ-კარგს, რომელსაც სამუდამოდ უკავშირებდნენ თავიანთ ბედსა და მომავალს.

— მადლობა ღმერთს, რომ ამას მოვესწარი. ამის შემდეგ, თუნდაც მოვკვდე, თან შენი დარდი აღარ წამყვება, რადგან ისეთი პატრონის იმედად გტოვებ, რომელსაც ჩემზე ნაკლებად არ უყვარხარ, — თვალცრემლიანი ამბობდა შვილზე ზრუნვას გადაგებული დედა.

— დღეიდან ჩემი ცხოვრების მიზა-

ნი გურამისათვის ხელის შეწყობა იქნება. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მისმა ნიჭმა ფრთა გაშალოს და, მარტო ჩემთვის კი არა, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის საამაყო მოღვაწე გახდეს, — ფიცს სდებდა დედის წინაშე თავისთავზე უზომოდ შეყვარებული, მარტოობასა და ნებივრობაში გაზრდილი დია, მშობელს მონატრებულივით ეკვროდა და გულმკერდს სიხარულის ცრემლით ულტობდა.

დია და გურამი შეუღლდნენ და ლენინგრადს გაემგზავრნენ.

თბილისელ ლამაზთაგან უმშვენიერესის მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა ბევრი აალაპარაკა. მითქმა-მოთქმა დიას დედამდეც აღწევდა და გულს სიამაყით უვსებდა საზოგადოების მსჯავრი: დია მარტო უმშვენიერესი კი არა, უჭკვიანესიც ყოფილა, რომ ამდენი მაღალი თანამდებობის მქონესა და შეძლებულ თაყვანისმცემლებს პირში ჩალა გამოავლო და არჩევანი იმ ახალგაზრდაზე შეაჩერა, რომელსაც ნიჭისა და მომავლის მეტი დღესდღეობით არაფერი გააჩნიაო.

წელიწადმა გაირბინა.

ზაფხული ველზე გაატარეს ახლად შეუღლებულებმა. გურამი ქვემო ქართლის არქეოლოგიურ გათხრებს ჩაუდგა სათავეში. ექსპედიციამ ათასი საზრუნავი გაუჩინა; რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად აღარ ეცალა.

ქმარი რომ ამ დღეში იყო, ცოლი რაიონულ საავადმყოფოში საექიმო პრაქტიკას ღებულობდა.

ღამეს გათხრების ტერიტორიაზე, საველე კარავში ატარებდნენ და დილით ადრე იწყებდნენ ფიქრსა და გარჯას.

ზაფხული რომ მიიწურა, ისევ თბილისს დაუბრუნდნენ. გურამი ისევ მუზეუმსა და ბიბლიოთეკებში შრომობდა თავაუღებლად, დია ლექციებზე დადიოდა და ასე მიჰქროდა დრო შეუმჩნევლად.

— შვილიშვილი მინდა და დროზე მომასწარით!—დროდადრო შეახსენებდა ხოლმე შვილსა და სიძეს დიას დედა.

— ვიდრე ექიმის დიპლომს არ ავიღებ და გურამი დისერტაციას არ დაიცავს, შვილიშვილზე არც იოცნებო! — ეტყოდა დია, და გაწბილებული დედის დასაწყნარებლად დაყვავებით დაუმატებდა:

— შვილი რომ გავაჩინო, ლექციებზე ველარ ვივლი. გურამსაც ახალი უამრავი საზრუნავი უნდა გავუჩინო. რაღა დაგვრჩა, ერთ წელიწადში დავამთავრებ ინსტიტუტს, გურამიც მორჩება თავის დისერტაციას და, მერე თუ გინდა, სულ ტყუპებს გაგიჩენ, რომ დაკარგული დრო აგინაზღაურო, — კისკისებდა დია და კოცნით ამშვიდებდა დედას, რომელიც უკვე გრძნობდა დროის ქროლვის ულმობლობას, ჭაღარასა და უღონობასთან ერთად მისთვის სიცოცხლის მიწურულის სუსხი და სევდა რომ მოჰქონდა.

## ისევ გურამ ვაშაძის დღიურიდან

ბავშვობაში, როცა სოფლად ვიყავი, ღამით სასაფლაოსთან გავლისა მეშინოდა.

ახლა კარვები ძველთაძველ სამაროვანზე გვაქვს გამართული, ახალ-ახალ საფლავებსა ვთხრით, ადამიანთა ჩონჩხებს დავყურებთ და ღამე მათ ახლოს ისე გვძინავს, თითქოს ისინი არც არსებობენ.

ისინი ჩვენს სიმშვიდეს არ არღვევენ, სიკვდილი და სიცოცხლე ერთიმეორის გვერდით არიან და ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

მაგრამ განა მარტო საფლავებთან ხვდებიან ისინი ერთმანეთს.

მათი მარადიული თანაარსებობა ჩვეულებრივ პირობებში ჩვენთვის შეუმჩნეველია. ისინი გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს და ბრძოლის ამ განუწყვეტლობაზე ჩვენ მხოლოდ მაშინ დავფიქრდებით ხოლმე, როცა ერთი იმარჯვებს მეორეზე, როცა კრიზისიდან გამოსული ავადმყოფის გამობრუნებით ვხარობთ,

ან როცა ახლობელ ადამიანს ვაბარებთ მიწას.

სიკვდილი თითქმის აბსტრაქციაა, სანამ უშუალოდ ჩვენ, ან ჩვენს ახლობელ ადამიანს არ შეეხება; იგი თავისთვის არსებობს და ჩვენ — ჩვენთვის.

სიკვდილი, მიცვალებულის გასვენების ცერემონიალი, თეატრია მათთვის, ვის გულსა და გრძნობასაც იგი უშუალოდ არ შეხებია. ამიტომ არ ითვლება მკრეხელობად მიცვალებულის სიახლოვეს ხუმრობა და სიცილი. ეს რომ ასეა, დღეს ერთხელ კიდევ დავრწმუნდი.

შუადღე იყო. ტელეფონზე გამომიძახეს იმ დროს, როცა ახალი სამარხის გათხრასა და კარგად შენახული ჩონჩხის გასუფთავებას მოვრჩით.

თბილისთან ტელეფონით საუბარი დავამთავრე, უკან გამოვბრუნდი და რას ვხედავ!

სამარხში შიოს ტარიელი ჩამდგარა, ხელში მიცვალებულის თავის ქალა უჭირავს და გამოთქმით კითხულობს:

„საბრალო იორიკ!

მე მახსოვს იგი საკვირველი ხუმარა და მშვენიერი ამბების მომგონი იყო. ათასჯერ მეტად ვუტარებივარ თავის მხარზედ და ახლა როგორ მეზიზღება იმისი დანახვა. ლამის გული ყელში მომებჯინოს. აი, აქ ჰქონდა ის ტუჩები, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიკოცნია. სად არის ახლა შენი მხიარულება, შენი სიცელქე, შენი სიმღერა? ნაპერწკლები შენი ოხუნჯობისა, რაც ყველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? რატომ ეს მაინც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების კრეჭა აიგდო? სად არის შენი სავსე, მოცინარი ლოყები? წადი ახლა, ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარი, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერუმარილი წაითხიპნოს, იმის ბოლო მაინც ეს არის“...

6

მონოლოგი დამთავრდა.

სამარხის ირგვლივ შემოჯარულმა არქეოლოგებმა ტაში დასცხეს. ტაშს სიცილ-ხარხარი და მხიარული შეძახილები მოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე სიკვდილის წინაშეც თავისას აგრძელებს და, ყველაზე დამწუხრებულ ჭირისუფალსაც ძალა არჰყოფნის უარი უთხრას ზოგიერთი ადამიანური ინსტინქტის დაკმაყოფილებაზე.

სიცოცხლეს თავისი გზა აქვს გასავლელი, თავისი ციკლი აქვს დასაწყისიდან დასასრულამდე გასავლელი და, რაც უნდა მოხდეს, მან ეს გზა უნდა გაიაროს.

როგორ ახლოსაც არ უნდა ჩაუაროს სიკვდილმა, როგორ ახლობელსაც არ უნდა შეეხოს მისი მსახვრელი ხელი, ადამიანი იმაზე არ ფიქრობს, რომ თვითონაც უნდა მოკვდეს, რადგან მისთვის დანიშნული სიკვდილის ჟამი შორეული მომავლის საქმედ აქვს მიჩნეული.

ის მომავალი ისე შორეულად ეჩვენება, რომ არ ადარდებს დროის ულმობელი ქროლვა, თითოეული განვლილი დღით სიცოცხლის ბოლოს მოახლოება.

ადამიანმა იცის, რომ იმ ბოლოს დადგომა გარდუვალია, მაგრამ როდის დადგება, ეს არ იცის; და სწორედ ეს არცოდნა უადვილებს ყოველდღიურ ცხოვრებას.

ყოველი ადამიანი ცდილობს, რითიმე გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, რაც შეიძლება შორს გადასწიოს ის ბოლო, რომლის შემდეგაც თვითონ აღარ იქნება.

სიცოცხლის დასრულების, სიკვდილით სამუდამოდ გაქრობის აზრს რომ ვერ ეგუება, ამიტომ შექმნა ადამიანმა იმქვეყნად ცხოვრების გაგრძელების წარმოდგენა.

ეს წარმოდგენები, სხვადასხვა ვარიაციებით, ერთმანეთს იმეორებენ და ავსებენ და სიკვდილის შემდეგ მარადიული ცხოვრების რწმენას ამკვიდრებენ.

მაგრამ სიკვდილისა და სამუდამოდ გაქრობის შიშისაგან ადამიანს ვერც სარწმუნოება ათავისუფლებს.

ამიტომ ეძებს იგი სხვა გზებს უკვ-

დავებისა და მარადისობისაკენ, ამიტომ იბრძვის შთამომავლობის ფიქრსა და ხსოვნაში სიცოცხლის გაგრძელებისათვის.

უკვდავებისათვის ბრძოლაში გაჯიბრებით იქმნება გმირობისა და ზნეობრიობის მაგალითები, ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრები.

ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს აქვს გმირობითა და ხელოვნებით სიკვდილის დათრგუნვის ილუზია, ეს რწმენა ასხამს ფრთებს მის თავგანწირვასა და შემოქმედებისათვის თავდადებას...

საბრალო იორიკ!

საბრალო იორიკ!

ჩამესმის ყურში კეთილშობილი უფლისწულის ნაღვლიანი სიტყვები, მერე ამ სიტყვებს ტაში და სიცილ-ხარხარი ფარავს და უკვდავების იმედის ფრთამოტეხილი ფრინველი ნელ-ნელა ეშვება ურწმუნოების ბნელი უფსკრულისაკენ.

ხვალ მირიანი და შიო აპირებენ ჩვენთან მოსვლას გათხრების დასათვალიერებლად. გამაფრთხილეს, შეიძლება რაიონის ხელმძღვანელობაც მოვიდეს. სხვაგვარად, ალბათ, არც მოხდება, რადგან მირიანი მარტო არსად მიდის, ან რაიკომის მდივანთან ერთად დაჰქრის მანქანით, ან ალმასკომის თავმჯდომარესთან. სადაც კაი სუფრა იშლება, ყველა მაგისთვისაა.

სამწუხაროდ, დია თბილისს წავიდა ორიოდ დღით და სტუმრებს პურმარილით ვერ დავხვდები.

მირიანმა პირობა შეასრულა.

შიოს გარდა კიდევ ორი მასწავლებელი იახლა და რაიონის ხელმძღვანელობას გათხრებზე მოუძღვა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ადრეც გვწვევია, ეტყობა, ქართული კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ რატომღაც რუსულს ეძალება.

მარტო რომ დამიხელთა, მოულოდნელად ქართულად გამომელაპარაკა:

—კაცო, აქ ჩვენი ძველები არ მარხია?

— არა, აქ იმ დროს თქვენი წინაპრები არ სახლობდნენ. [illegible]ში, სულერთიანად ქართველების [illegible] მიცვალებულები ასაფლავია-მეთქი, რომ მივუგე, ცოტა შეცბა.

— მაშ, ჩვენები სად იყვნენ? — იკითხა ცოტა არ იყოს ნაწყენმა.

თქვენები მაშინ აქედან შორს იყვნენ-მეთქი, რომ ვუთხარი, არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია, მხარზე ხელი მომხვია და ალალად მითხრა:

— ახლა ხომ ერთადა ვართ! ჰოდა, სულ ერთად ვიყოთ, ასე ძმურად. რა ჩვენი სადარდებელია, ოცი საუკუნის წინათ ვინ სად იყო, არა?! — შემომცინა და თეთრი კბილები შემომანათა.

პირველმა მდივანმა თავისკენ მიხმო და ამაზე შეწყდა ჩვენი საუბარი.

ნაკითხი კაცი ჩანს პირველი მდივანი. ამ მხარის ისტორია კარგად სცოდნია და ჩვენი საქმისადმიც ინტერესს იჩენს.

დაწვრილებით გამომკითხა, სად და როგორ ვინახავთ მოპოვებულ მასალას; აღმითქვა, რომ საგამოფენო შენობას დაგვიდგამს და ჩვენი ტერიტორიის დაცვასაც უზრუნველყოფს.

სამარხების შემოვლასა და ახსნა-განმარტებას რომ მოვრჩით, სტუმრები ჩემთან მოვიწვიე, სუფრაზე ხილითა და გამაგრილებელი წყლით გავუმასპინძლდი.

მირიანს კედელზე გაკრული დიას სურათების სიმრავლე ეცა თვალში. ახლო მივიდა და საგანგებოდ დაუწყო თვალიერება.

— ვინაა, გურამ, ეს ლამაზი ქალი; რომელი კინოვარსკვლავია? — ფოტოებისგან თვალმოუშორებლად იკითხა მირიანმა.

მე ცოტა წამოვწითლდი და არაფერი ვუპასუხე.

— მარლენ დიტრიხია თუ პოლა ნეგრი? თუ — არც ერთიც არ არის, და ორივეს კი სჯობს? — განაგრძობდა მირიანი და მზერა ერთი სურათიდან მეორეზე გადაჰქონდა.

მერე იქ მყოფთ თვალი მოავლო და ხმადაბლა ვადმომილაპარაკა:

— ეტყობა ექსპედიციაში ქალები არა გყავს და სურათებს აყოლებ გულს.

ექსპედიციის მონაწილეთა უმრავლესობა ქალებია-მეთქი, ღიმილით განვუმარტე.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, ამოირჩიე ყველაზე მშვენიერი და შეირთე, თორემ ჩემოდენა რომ მოიყრები, მერე მაგ საქმე გაგიძნელდება, — კიდევ უფრო ხმადაბლა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა.

ის იყო, უნდა გამშორებოდა, რომ კედელზე ჩემი სალაღობო ჩანახატი შეამჩნია — ერთმანეთისკენ მიმართული ორი ქვევრი, ქვევრებიდან გამოყოფილი ჩემი და დიას თავებით.

— ეს ის არი? — მკითხა და ხელი დიას ფოტოებისკენ გაიშვირა.

— დიახ-მეთქი, — მივუგე.

— ეს კიდევ შენა ხარ? — ახლა ქვევრიდან გამოყოფილ ჩემს თავს დაადო ხელი.

—დიახ, მე ვარ-მეთქი, დავუდასტურე და ცოტა უხერხულად გამეღიმა.

— ყოჩაღ! კარგად დაგილაგებია ცხოვრება! — გაღიზიანებულმა თქვა, მერე თავისთვის რაღაც ჩაიქირქილა და სუფრას დაუბრუნდა.

— აქ ახლო კლდიდან გადმომდინარი წყარო იყო, — თქვა მდივანმა და მზერა მე მომაპყრო.

— დიახ, გახლავთ! — დავუდასტურე და თან დავსძინე, — თუ ინებებთ, ახლავე მოვატანინებ.

— სწორედ კარგი იქნება, — თქვა მდივანმა და მაშინვე კართან მდგარ თანამშრომელს ვანიშნე.

ექსპედიციის ახალგაზრდა მუშა, ლადო დარბაიძე მაშინვე ადგილს მოსწყდა და გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ, სველი თუნგულით და დაორთქლილი ჭიქით პირველ მდივანთან გაჩნდა, წყალი დაუსხა და თავაზიანად გაუწოდა.

მირიანი ჩემს თანამშრომელს მიაშტერდა და თვალი აღარ მოაცილა. მერე, პირველმა მდივანმა რომ ჭიქა წყალი ნახევარზე დაიყვანა, [illegible] სკოლის დირექტორმა ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მდივანმა ჭიქა დადგა, ისიც წყლის მომტან ჭაბუკს მიაშტერდა. ბიჭი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ხომ არავის სურს წყალიო, წაილუღლუღა და, მსურველი რომ არავინ აღმოჩნდა, თუნგულა მაგიდაზე დადო და ოთახიდან გავიდა.

სტუმრები მალე წავიდნენ. დამშვიდობებისას პირველმა მდივანმა მადლობა გადაგვიხადა და აღგვითქვა, რომ უახლოეს დღეებში რაიკომში გამომიძახებდა და ჩვენს საქმეებს მოაგვარებდა.

მდივანი სიტყვის კაცი აღმოჩნდა.

მეორე დღესვე დარეკა და რაიკომში შევლა მთხოვა.

შინაური კაცივით შემხვდა, მომიკითხა და გრძელ მაგიდაზე პირისპირ დამიჯდა.

დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებთ და, რაც მთავარია, მაღალ მეცნიერულ დონეზეო, შეგვაქო. მერე ჩვენი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას შეუდგა, ზოგი იქვე გამოიძახა და ზოგსაც ტელეფონით მისცა დავალება, ყველას ვადა დაუნიშნა და სიტყვა ჩამოართვა, რომ დაპირებას დროზე შეასრულებდნენ.

ამას რომ მორჩა, აუდიენცია დამთავრებულად ჩავთვალე, მადლობა გადავუხადე და წასასვლელად წამოდგომა დავაპირე.

ერთი საქმე მეც მაქვსო, თავჩაღუნულმა თქვა და ხელით მანიშნა, დამჯდარიყავი.

დავჯექი და სმენად ვიქეცი.

— კარგი იქნება, კადრების შერჩევა ჩვენც შეგვითანხმოთ ხოლმე, — თქვა და თვალი თვალში გამიყარა.

— რომელ კადრებს გულისხმობთ, ექსპედიცია თბილისში დაკომპლექტდა და იქ მისი შემადგენლობა ყველასთან შეთანხმებულია, — მივუგე დამშვიდებით.

— არა, მე მეცნიერ მუშაკებს არ ვგულისხმობ, ადგილობრივ კადრებზე

გეუბნებით, — ისევ თავაუღებლად თქვა და საქაღალდეს ჩახედა.

— ადგილობრივი მხოლოდ შავი მუშები გვყავს, მიწის მთხრელები და ამწმენდები.

— მეც სწორედ მანდა ვარ! — გამარჯვებულის ღიმილი მომაფრქვია და განაგრძო, — აი, გუშინ რომ ცივი წყალი დაგვალევინა, — ისევ საქაღალდეს ჩახედა, — ლადო დარბაიძე...

— დიახ, ლადო დარბაიძე.

— როცა ის აგყავდათ თქვენს თანამშრომლად, ალბათ, არ იცოდით, ვისი შვილია და ვინ იყო მისი დედ-მამა...

— არა, არ ვიცოდი, მაგრამ კიდევაც რომ მცოდნოდა, შავ მუშად აყვანაზე უარს ვერ ვეტყოდი.

— უარი უნდა გეთქვათ, მით უფრო, რომ თვითონ თქვენც მეტი სიფრთხილე გმართებთ.

ამას კი აღარ მოველოდი, გავშრი და ენა ჩამივარდა.

— ამას გარდა, ისიც გეცოდინებათ, ეგ ბიჭი დეკლასირებულია, სამუშაოზე დიდხანს არსად ჩერდება, ლოთობს.

— უფრო მაგის გამოც მივიღე მუშად, რაც ჩვენთან არის, სმაზე ხელი აიღო და გამოსწორების გზას დაადგა.

— მაგის გამოსწორებაზე, თუ საჭიროდ ჩავთვლით, ჩვენ ვიზრუნებთ, თქვენ, თქვენი საქმე გაქვთ, მეცნიერების სამსახური, — კუშტად თქვა და გამოსათხოვრად ხელი გამომიწოდა.

— დავითხოვო სამუშაოდან?

— ეგ თქვენი საქმეა, ჩვენ თქვენს ავტორიტეტს ვუფრთხილდებით. თუ დატოვებთ, პასუხსაგებ საქმეზე ნუ დაუშვებთ.

— ჩვენთან ისეთი რა არის პასუხსაგები? მიწას თხრის და მერე აწმენდაში გვშველის.

— მოდი, მოვეშვათ გულუბრყვილობის თამაშს, ბავშვები აღარა ვართ, — მოსჭრა მდივანმა, ხელი ცივად ჩამომართვა და დამცინავი ღიმილით გამომაცილა.

დარეტიანებული გამოვედი. მდივანი მარტო დარბაიძეს კი არა, მეც უნდობლობას მიცხადებდა და დღეს თუ მიწისმთხრელს მათხოვნინებდა სამსახურიდან, ხვალ ჩემი დათხოვნის საკითხსაც დააყენებდა, თუ „საჭიროდ ჩათვლიდა".

ვერ გამეგო, რას ემართლებოდა ამ უსახლკაროსა და ობლობაში გაზრდილ ახალგაზრდას, რატომ უშლიდა ხელს, რომ პატიოსანი შრომით ლუკმა-პური ეშოვნა და ავაზაკობის გზას არ დასდგომოდა.

ამ ფიქრში რომ ვიყავი, უცებ მდივნისა და მირიანის გუშინდელი სტუმრობის ბოლო ეპიზოდი გამახსენდა: როცა დარბაიძემ მდივანს ცივი წყალი მიართვა, მირიანმა რაღაც უჩურჩულა და მდივანი დაჟინებით მიაჩერდა წყლის მომტანს.

ნუთუ მირიანის დასმენით მოქმედებდა დღეს რაიკომის მდივანი, როცა, დარბაიძის გამო ამდენი საყვედური მითხრა და, ბოლოს, თავად ჩემს ბიოგრაფიასაც გადასწვდა?!

რაკი ეჭვი აღმეძრა, იმ ეჭვმა დასაბუთებაც მომთხოვა და ჩემს გონებაში უმცირეს დეტალამდე აღდგა გუშინდელი სურათი: მირიანი ჯერ თავად დააკვირდა კარგად დარბაიძეს, აშკარად შეეტყო, რაღაც არ მოეწონა მისი. შუბლი შეიკრა და სახე მოეღუშა. მდივანს რომ ეჩურჩულებოდა, ზედ მიეკრა და სკოლის დირექტორი წამით უხსენებლად მომეჩვენა, ყურში ჩასაძრომად რომ იწელებოდა და ვიწროვდებოდა.

ამ ასოციაციამ გუნება მომიწამლა. ბრაზისაგან გულს ვასკდებოდი და ვგრძნობდი, რომ ეჭვისა და მრისხანებისაგან თუ არ გავთავისუფლდებოდი, ვერ მოვისვენებდი.

ჯერ გავიფიქრე, მირიანს მივხდომოდი, ძველი და ახალი გადმომელაგებინა, გამელანძღა და მიწასთან გამესწორებინა. ცოტაც რომ დავფიქრდი, ეს ნაბიჯი ნაჩქარევად ჩავთვალე. შეუმოწმებელი ეჭვით მოქმედება არასაკადრისად მივჩნიე. დაცდის და სიდინჯის უპი-

რატესობა გავითვალისწინე და შიო გამახსენდა.

შიოსავით ვინ იცნობს მირიანს, ან მე ვის ვენდობი შიოზე მეტად! შიო მირიანის უახლოესი კაცია, მაგრამ ჩემთვისაც მამასავით ახლობელია. ჰოდა, მასზე უკეთ ვინ განსჯის ჩემს ეჭვს, ვინ იქნება მისებრ მიუკერძებელი და მიუდგომელი?! თუ მირიანის დანაშაულს ვერ დავადგენ, ყოველ შემთხვევაში, სათქმელს მაინც ვეტყვი, ბრაზს და ჯავრს მაინც გადმოვანთხევ და ამით მაინც გულს მოვიოხებ.

ამ აზრს რომ დავადექი, აღარ დავაყოვნე და შიოსკენ გავწიე.

კიბე სულმოუთქმელად ავიარე. კარი ღია იყო. შიო მაგიდას უჯდა და წერდა.

— შეიძლება? — ვიკითხე ზღურბლთან შეჩერებულმა.

— მობრძანდი, გურამ.

ჩემს დანახვაზე სახე გაუნათდა, წამოდგა და მომეგება.

— რა კარგია, რომ მოხვედი! — გულწრფელად გაიხარა შიომ.

— ცოტა ხნით შემოვიარე, ერთი საკითხის გარკვევაში უნდა დამეხმარო.

— ცოტა ხნით, რათა! აგერ დაბრძანდი. და მალე ვახშამსაც შევექცეთ.

სკამზე დავეშვი. სული მოვითქვი და მღელვარება დავიოკე.

— რა მოხდა, აფორიაქებული მეჩვენები, — მკითხა შიომ და პირდაპირ დამიჯდა.

— ლადო დარბაიძეს თუ იცნობ, ბიძია შიო?

— ლადოს? შენთან რომ მუშაობს?

— ჰო, გუშინ რომ ცივი წყლით გაგიმასპინძლდათ.

— როგორ არ ვიცნობ, ვასოს შვილს.

— ვასო ვინ იყო?

— ვასო? დიდი კაცი იყო. ეგ ბიჭი პატარა დარჩა, ჯერ ბებია ზრდიდა სოფელში, მერე დეიდამ შეიფარა. სკოლა ძლივს დაამთავრა და სწავლის გაგრძელებაზე არც უფიქრია. სოფელ-სოფელ დაეხეტებოდა, ქირაზე მუშაობდა და ცოტასაც სჯერდებოდა.

— აქ როგორ მოხვდა?

— მთელი სოფელი რომ გადმოსახლდა, მარტო დარჩენა არც მაგან ისურვა.

— როგორი ბიჭია?

— ცოტა აცვენილია, სვამს, მაგრამ არავის არაფერს უშავებს. ორ კაპიკს რომ იშოვნის, სადაც დათვრება, იქ იძინებს. ადრე ბავშვობაში იძახოდა, დიდი კაცი უნდა გავხდეო. მერე და მერე, მამაც დაივიწყა, ბოლოს ერთ უწყინარ, უნებისყოფო არსებად ჩამოყალიბდა, არც ვინმეს ერჩის და ვერც თავისთავს არგია. ჯან-ღონე არ აკლია და ყოველდღიური შრომით ლუკმა-პურს შოულობს.

— ჩემთანაც მუშად არი.

— კარგია, თუ არ მოსწყინდა. ერთ ადგილას არსად ჩერდება.

— ვინ აჩერებს, თორემ იქნებ კიდევაც გაჩერებულიყო. რაც ჩვენთან მოვიდა, სმაზე ხელი აიღო.

— რას ამბობ! რამ უშველა?!

— აქ ერთი არქეოლოგი ქალიშვილი მყავს, მაგასავით უდედმამო და ობლობაში გაზრდილი. იმას დაუმეგობრდა და მის საამებლად ღვინოზე კი არა, თავზე აიღებს ხელს.

— კაი ამბავი მითხარი, იქნებ გამოსწორდეს ეგ უბედური.

— ვინ აცლის, თორემ გამოსწორდებოდა!

— როგორ თუ ვინ აცლის?!

— ძია შიო, — უცებ გადავუხვიე სათქმელს, — მირიანი იცნობს მაგ ბიჭს?

— იცნობსო? მამამისის განუყრელი მეგობარი იყო, ვასო უმირიანოდ პურს არ ჭამდა და ეგ ბიჭიც სულ მუხლზე უჯდა მირიანს.

— ასე ყველასთან კარგად როგორ იყო ეგ მირიანი?

— მირიანს შენც იცნობ, მომხიბლავი პიროვნებაა, კაცს არ აწყენინებს,

პირიქით, ალერსით და ქება-დიდებით ავსება იცის, კაი სიტყვა-პასუხი და კაი სიმღერა ყველას სიამოვნებს და ერთხელ თუ ვინმეს პურმარილზე შეხვდა, მერე უმაგისოდ სუფრაზე აღარ სხდებიან.

— ეს კაია, მაგრამ საქმე?

— საქმე? მირიანს ისე აქვს აწყობილი სკოლა, რომ ყოველდღიური შავი სამუშაოთი არ ვტვირთავთ, სამაგიეროდ, გარედან გვეხმარება, სკოლის ყველა საჭიროებას იოლად აგვარებს და ჩვენი სკოლაც სულ მოწინავეა.

— თქვენ წელს იწყვეტთ და ის ქეიფობს, არა?

— არა, არც სულ ეგრეა, მაგ რომ სკოლაში ერთ დღეს შემოიხედავს, ერთი კვირის საქმეს აკეთებს.

— შენ რომ ალერსს და კაი სიტყვა-პასუხს ეძახი, მაგას მლიქვნელობა ჰქვია.

— მლიქვნელობა რა საკადრისია, მირიანი თავს არავის წინაშე არ დაიმცირებს და ღირსებას არ შეილახავს.

— გუშინ თუ დააკვირდი მირიანს, დარბაიძემ რომ ცივი წყალი მოართვა მდივანს?

— არა, არ დავკვირებივარ.

— ჯერ იყო და ლადოს მიაშტერა გაოცებული თვალი, მერე მდივანს ყურში დიდხანს რაღაც უჩურჩულა.

— ვითომ რა უნდა ეჩურჩულა?

— არ ვიცი, მაგრამ ამ დღეს მდივანმა გამომიძახა და საყვედური მითხრა, დარბაიძე რატომ მოაწყე სამუშაოდო.

— ეგ შენ მირიანის წაჩურჩულებად მიიღე?

— მაგასაც არ დასჯერდა, მეც გადამომწვდა, სიფხიზლე გმართებთ და თქვენს ავტორიტეტს უნდა გაუფრთხილდეთო.

— ეგეც მირიანის წაჩურჩულებად ჩათვალე, არა? შენ უკვე მოწიფული კაცი ხარ და განსაცდელიც ბევრი გაქვს გამოვლილი. დროა, იცოდე, როგორ არი მოწყობილი ჩვენი ქვეყანა. შენ ვიდრე აქ ჩამოხვიდოდი, შენი პირადი საქმე, კარგა ხნით ადრე იდო რაიკომის მდივნის მაგიდაზე, და მარტო შენი კი არა, ჩემიც, მირიანისაც, დარბაიძისაც და, ყველასი, ვისი პიროვნებაც რითიმე დააინტერესებდა რაიკომს.

— ეგ რომ აგრეა, ვიცი, მაგრამ გუშინდელ ჩურჩულს, რომ დღევანდელი უსიამოვნება მოჰყვა, ერთმანეთთან როგორ არ დავაკავშირო?

— დარბაიძეს რომ მირიანი არ დაეხმარება, ბეზღებდა, თუ გინდა, ხატზე დავიფიცებ. ის კი არა, მამა რომ დაკარგა, ჩუმჩუმად, მაგ ბიჭს ფულს უგზავნიდა და ყურადღებას არ აკლებდა.

— ამდენი ვაჟკაცობაცა აქვს მირიანს, რომ ასეთი დახმარების გაწევას გაბედავდა?!

— ბედავდა. ორჯერ მე თვითონ გამატანა ბებიამისთან ფული.

— ღმერთმა ქნას, აგრე იყოს! ღმერთმა ქნას, ჩემი ეჭვიც უსაფუძვლო გამოდგეს! — ამოოხვრით ვთქვი და წამოვდექი.

შიომ ჭიშკრამდე გამომაცილა, ბევრი მეხვეწა, ვახშმად დავრჩენილიყავი, მაგრამ გუნებაწამხდარს ვახშმისა და საუბრის გაგრძელების თავი აღარ მქონდა.

დაღლილი და მოშლილი, ფეხებმა ძველ სამაროვნამდე ძლივს მიმიტანა, ლოგინზე გაუხდელად დავეგდე და მაშინვე დამეძინა.

ერთი კვირაც არ გასულა მდივანთან ჩემი საუბრიდან და დილით მაგიდაზე დარბაიძის განცხადება დამხვდა, სამუშაოდან წასვლის თაობაზე. დავავალე, ჩემთან მოეყვანათ, რომ წასვლის მიზეზი მეკითხა, მაგრამ არ მოვიდა.

დიას შეხვედრია გუშინ და მისთვის უთქვამს, ჩემს გამო ჩემს უფროსებს საყვედური რატომ უნდა უთხრანო. ისევ

სჯობს, მე წავიდე და როგორც აქამდე მიცხოვრია, ისე ვიცხოვრო.

„ეგ ბიჭი გზააბნეულია, სამუშაოზე დიდხანს არ ჩერდება, ლოთობს".

— გამახსენდა მდივნის ნათქვამი და გული დამეწვა. ლოთობასაც ალბათ, იმიტომ მიჰყო ხელი, რომ ადამიანური სითბო ვერსად ნახა და თავშესაფარიც ვერსად იპოვა.

„მაგის გამოსწორებაზე, თუ საჭიროდ ჩავთვლით, ჩვენ ვიზრუნებთ", — ჩამესმოდა უგულოდ ნათქვამი მდივნის სიტყვები და ბრაზი მახრჩობდა, არა მარტო მისი გულგრილობის, არამედ ჩემი ულონობის გამოც.

მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციას რაიკომის პირველი მდივანი თავმჯდომარეობდა.

მომხსენებლის შემდეგ თავმჯდომარემ პირველი სიტყვა მირიანს მისცა. მირიანი ორი კვირით ადრე იყო გაფრთხილებული. საინტერესო, შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა და აღფრთოვანებულმა დარბაზმა ოვაცია გაუმართა.

ტაშის ქუხილში ჩამოვიდა ორატორი ტრიბუნიდან, კმაყოფილი ღიმილით მადლობის ნიშნად თავი დაუკრა დარბაზს და თავის ადგილას, თავმჯდომარის გვერდით დაჯდა.

თავმჯდომარემ კამათში ჩაწერილ მომდევნო ორატორს მისცა სიტყვა და, დაჯდა თუ არა, მირიანის მიმართ კომპლიმენტებად დაიფრქვა.

— დიდებული სიტყვა წარმოთქვით, — ჩურჩულით ეუბნებოდა სიხარულით სახეგაბრწყინებული მდივანი, — სხვანაირად არც მოველოდით, ვინც თქვენს ნიჭიერებას და ერუდიციას ვიცნობთ. განსაკუთრებით საინტერესო რაიონის ისტორიული ექსკურსი და საქართველოს ამ ნაწილის ეროვნული აღორძინების პერსპექტივებზე საუბარი იყო.

ილია ჭავჭავაძის ციტატებმა და ხალხურმა ლექსებმა ხომ კიდევ მეტად გაამშვენიერეს თქვენი ისედაც მშვენიერი სიტყვა და, სიხარულის ცრემლები მოჰგვარეს მსმენელებს. ეს ისეთი სიტყვაა, ნამდვილად დაბეჭდვის ღირსია, რომ ყველამ წაიკითხოს და არ დაიკარგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასა ბრძანებთ, მე ასეთ სიტყვებს ხშირად ვამბობ და ყველა რომ დავბეჭდო...

— ყველა არა, მაგრამ ეს კი უსათუოდ უნდა დაიბეჭდოს. ამაზე მე ვიზრუნებ, — დაბეჯითებით თქვა მდივანმა და თავისი გულითადი მადლობა ერთხელ კიდევ გამოხატა მირიანის ხელზე ხელის მოჭერით.

ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ რაიონის სკოლების დირექტორები და მასწავლებლები.

მორიგ ორატორს რომ სიტყვას აძლევდა, თავმჯდომარე მომდევნო გამომსვლელის გვარსაც აცხადებდა.

სხდომა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. თავმჯდომარემ საათს დახედა და, ორატორს ისე მისცა სიტყვა, მის შემდეგ გამომსვლელი აღარ დაუსახელებია.

— შემდეგი ვინ იქნება? ვინ მოემზადოს? — გაისმა დარბაზიდან.

— შემდეგი შესვენების შემდეგ გამოცხადდება, — მშვიდად განმარტა თავმჯდომარემ.

— მე ვთხოულობ სიტყვას. გთხოვთ, შესვენებამდე მომცეთ. — გაისმა დარბაზიდან.

მაღალი, ჭაღარაფაფრიანი კაცი ადგილიდან წამოდგა და, ჯოხს დაბჯენილი, კონფერენციის პრეზიდიუმისკენ დაიძრა.

— დაბრძანდით, ამხანაგო ვალერიან! — მოუწოდა თავმჯდომარემ და ზარი დააწკარუნა, — თქვენ კამათში ჩაწერილი არა ხართ, რადგან კონფერენციის დელეგატიც არ ბრძანდებით.

— მე მოვითხოვ, მომცეთ სიტყვა, — ისევ გაისმა ხავერდოვანი ბარიტონი და ბერიკაცმა ჯოხი ჰაერში შეათამაშა.

— შესვენების შემდეგ, ამხანაგო ვალერიან! შესვენებაზე მოვილაპარაკოთ, — დაუყვავა თავმჯდომარემ.

— მოვილაპარაკოთ! სიტყვა სიტყვაა!

— თქვა ვალერიანმა და, სადაც იდგა, იქვე დაჯდა, თავისუფალ სკამზე.

— ეგ ვინ არის? — ჰკითხა თავმჯდომარეს მირიანმა.

— ეგ ძველი ესერია, ერთხანს დიდი კაცი ყოფილა, მერე გადაუსახლებიათ. იქ ცოტა აურევია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრილა. ბოლოს, ავადმყოფობის გამო გათავისუფლებული, საქართველოში დაბრუნებულა; აქაური კაცია და საბოლოოდ ჩვენი საპატრონო შეიქნა. სხვა, უფრო შესაფერისი სამუშაო ვერაფერი გამოვუძებნეთ, გაზეთების კიოსკი ჩავაბარეთ. ზის ახლა იმ კიოსკში და ყიდის გაზეთებს, მაგრამ დრო ბევრი აქვს და უმთავრესად სხვა საქმით არის დაკავებული. მორწმუნე გამხდარა, რელიგიების ისტორიას ჩასჯდომია და ახლა ერთი აკვიატებული იდეით არის შეპყრობილი: სხვადასხვა რელიგიები ერთმანეთთან უნდა მოვარიგოო, ერთი საერთო უნივერსალური რელიგია უნდა შევქმნა და იმ რელიგიას რომ მთელი კაცობრიობა იწამებს, მერე ხალხთა შორის წინააღმდეგობა მოიხსნება, აღარც ომი იქნება, აღარც შური და მტრობა, აღარც კაცის კვლაო.

— ჰაუ, რა მაგრად გაუფრენია! — გაეცინა მირიანს.

— აფრენს, რა თქმა უნდა, მაგრამ არავის ერჩის, ვნება არავისთვის მოაქვს, ზის თავისთვის კიოსკში, კედლები ქრისტეს, ბუდას და სხვა რელიგიების შემქმნელების სურათებით აქვს დაფარული და ერთთავად სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებს.

ორატორმა სიტყვა დაამთავრა, თავმჯდომარემ მაშინვე შეწყვიტა მირიანთან ჩურჩული, ფეხზე წამოდგა და ნახევარსაათიანი შესვენება გამოაცხადა.

პრეზიდიუმმა სცენიდან მეზობელ ოთახში გადაინაცვლა.

ზოგი სავარძელში ჩაჯდა, ზოგიც, ფეხზე მდგარი, ლიმონადსა და მინერალურ წყალს სვამდა და საუბრობდა.

რაიკომის მდივანი და მირიანი დივანზე მოთავსდნენ.

— მშვენიერი იყო, ბატონო მირიან!

— დიდებული გამოსვლა გქონდათ!

— სიამოვნებით გისმინეთ!

მიმართავდნენ მირიანს აქეთ-იქედან, ნაცნობები და უცნობები. ზოგი შორიდან ულოცავდა, ზოგიც პირდაპირ მისკენ მოდიოდა, ხელს მაგრად ართმევდა და გულწრფელ მადლობას ეუბნებოდა.

რაიკომის მდივანმა ბოთლი ბორჯომი მოატანინა და, ის იყო, მირიანს ჭიქა შეუვსო, რომ თავს ვალერიანი დაადგათ.

— ამხანაგო მდივანო! შესვენების შემდეგ პირველი სიტყვა ჩემია! — გადაწყვეტილად თქვა, მდივანს და მირიანს შუა ისე მოთავსდა, ამ უკანასკნელისათვის არც შეუხედავს.

— ჯერ მასწავლებლები უნდა გამოვუშვათ, მათი კონფერენციაა და პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესებაზე სიტყვა მათ ეკუთვნით.

— ეგ ეგრეა, მაგრამ...

ვალერიანმა მხოლოდ ახლა შეამჩნია მირიანი, ბოდიში მოუხადა და ხელი გაუწოდა.

— ძალიან მომეწონა თქვენი სიტყვა, ყმაწვილო, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი სიტყვაც არ იქნება ნაკლებ საინტერესო.

— მაინც რაზე გინდათ ილაპარაკოთ, ბატონო ვალერიან? — ეშმაკურად შეჰლიმა მდივანმა.

— რა თქმა უნდა, რელიგიაზე, ჩემს მიერ შექმნილ უნივერსალურ რელიგიაზე.

— მერე არის აქ სამაგისო აუდიტორია?

— მასწავლებლებზე უკეთესი აუდიტორია, სად უნდა იყოს?! მომისმენენ, სხვაზე უკეთ გაიგებენ და, შემდეგ თავიანთ მოწაფეებს გადასცემენ. ასე ვრცელდებოდა ყველა ახალი რელიგიური მოძღვრება.

—მოგისმენენ კია, ბატონო ვალერიან? ამ დარბაზში, ალბათ, ერთიც არ იქნე-

ბა მორწმუნე. ახალგაზრდობამ სარწმუნოებას ზურგი აქცია, დიდი და პატარა ყველა ათეისტია.

— სწორედ მაგ ნიადაგშია საჭირო ახალი სარწმუნოების თესლის ჩაგდება, იგი უთუოდ იხარებს და ნაყოფსაც უხვად მოგვცემს.

— მე იმის გარანტიას ვერ მოგცემთ, ჯერ ქრისტესა და მაჰმადის მსგავსად, თითო-ოროლა თანამოაზრე უნდა გაიჩინოთ, მერე მათი რიცხვი თანდათან რომ გაიზრდება, ხალხმრავალ აუდიტორიას მაშინ უნდა მიმართოთ და, წარმატებაც არ დააყოვნებს, რადგან ხალხის იმ სიმრავლეში, უმეტესობა თქვენს მოძღვრებას ნაზიარები იქნება.

— ალბათ, სწორია თქვენი რჩევა, მაგრამ მაგას დიდი დრო უნდა. ქრისტეცა და ბუდაც ახალგაზრდობიდანვე ქადაგებდნენ და ავრცელებდნენ თავიანთ რელიგიას. მე კი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ათეიზმის ქადაგებას მოვანდომე. ხანში რომ შევედი, ჭეშმარიტება მაშინღა შევიგნე და მაშინ შევუდექი ყველა უმთავრესი რელიგიების ურთიერთთან მორიგების საფუძველზე ახალი რელიგიის შექმნას.

— უკვე მოარიგეთ, ბატონო ვალერიან, ერთმანეთთან რელიგიები? — სერიოზულად შეეკითხა მირიანი.

— მოვარიგე. მცირე გამონაკლისს გარდა, თითქმის შევათანხმე ყველა რელიგია ერთმანეთთან. ზოგი, მაგალითად, ქრისტიანობა და ბუდიზმი, შემწყნარებლობისა და მოყვასის სიყვარულის ნიადაგზე შეერწყნენ ერთიმეორეს. მაგრამ ზოგიერთი წინააღმდეგობის მოხსნა თავსამტვრევად მრჩება, ვერ იქნა და, სემიტური რელიგიები — მოსეს რჯული და მაჰმადის ისლამი ვერ დავუახლოვე ქრისტესა და საკია მუნის მოძღვრებას. სემიტების რელიგიები შურისმგებლები არიან: თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ — ქადაგებენ მოსე და მაჰმადი, ქრისტე კი სრულ მიტევებას გვასწავლის: მარჯვენა ყბაზე რომ გაგარტყან, მარცხენა მიუშვირეო. ამ საფუძველზე უნდა მორიგდეს ეს ორი, ერთიმეორის გამომრიცხავი მოძღვრება, დღემდე ვერ ჩამაგონა ზენაარმა, დღემდე ვერ ვიპოვე ამ საიდუმლოს გასაღები.

— ო ო, ეგ სერიოზული დაბრკოლება გადაგღობვიათ წინ. ქრისტესა და ბუდას რელიგიების შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმსარებელი მაჰმადის მოძღვრებასა ჰყავს და თუ ისლამი თქვენი ახალი რელიგიის მიღმა დარჩა, ეს დიდად შეუშლის ხელს მის უნივერსალიზმსა და საყოველთაო გავრცელებას.

— მართალია! სრული ჭეშმარიტებაა და, სწორედ ამიტომ ვიმტვრევ თავს სემიტური რელიგიების ქრისტიანობასთან თანხმობაში მოყვანისათვის, მაგრამ ამდენი თავის მტვრევაც საზიანოა, ალბათ, და, ეტყობა, დავიღალე, საშინელი თავის ტკივილი დამჩემდა...

ვალერიანმა შუბლი მოისრისა და ხელები უღონოდ ჩამოყარა.

— ცუდად ხომ არა ხართ?

მირიანმა წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა.

ვალერიანმა წყალი მოსვა, მერე წყლით შუბლი გაისველა .

— ცოტა სუსტადა ვარ, ეტყობა, ვიღელვე... სჯობია, შინ წავიდე, დავისვენო. ხმადაბლა თქვა ფერწასულმა ვალერიანმა.

რაიკომის მდივანი ცოტა არ იყოს, შეაშინა ბერიკაცის უეცარმა გაფითრებამ.

— ნამდვილად სჯობს, წახვიდეთ და დაისვენოთ... მანქანას მოგცემთ.

მდივანმა მძღოლი მოიხმო, შინ მიიყვანეო, დაავალა, ვალერიანს ხელი შეაშველა და წამოაყენა.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

— ჩვენ კიდევ შევხვდებით, ყმაწვილო, და საინტერესო საუბარი გვექნება, თქვენ, ალბათ, წიგნები და ჟურნა-

ლები გჭირდებათ, მე შემიძლია თქვენთვის გადავინახო, გამომიარეთ.

— კი, ბატონო, სიამოვნებით გამოგივლით! — წამოდგა მირიანი, კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

— როგორ ადვილად დააწყნარეთ, გცოდნია მაგის ენა.

— ვიცი, პირველად როდი ვხვდები. თუ აჰყევი და ეკამათე, უარესად ხელდება და ვერ მოერევი. ასე რომ დაუყვავებ და ლაპარაკს მის მიერ შექმნილ რელიგიაზე გადაიყვან, მაშინვე მოლბება, აბრეშუმივით ხდება და თავისი მოძღვრების გადმოცემით ტკბება. შენ, ალბათ, შაყირად მოგეჩვენა და გაგიკვირდა რაიკომის მდივნისაგან ესოდენ არასერიოზული საუბარი, მაგრამ გამოცდილებით ვიცოდი, სხვა ვერაფერი მიშველიდა. ხომ ნახე, როგორ გაფითრდა, ეგრე ხშირად ემართება, უცებ გული ცუდად უხდება და სისუსტე ერევა.

ელექტრონის ზარმა გამაფრთხილებლად გაიწკრიალა, საუბარი შეწყვიტეს და ისევ პრეზიდიუმის მაგიდას მიაშურეს.

მირიანი თავის კაბინეტში გაზეთებს ათვალიერებდა. კარი წყნარად გაიღო და დირექტორს მომხიბლავი ხმა ჩაესმა.

— შეიძლება, ბატონო დირექტორო?

დირექტორმა თავი აიღო და თვალს არ დაუჯერა: კარის ზღურბლზე ის „კინოვარსკვლავი" იდგა, რომლის სურათებსაც ალტაცებული შეჰყურებდა ამასწინათ, არქეოლოგებთან სტუმრობისას.

დია თავს არ იღებდა და მისკენ დაბნეულად მზირალ დირექტორს თვალს არ უსწორებდა.

მირიანი ერთხანს მონუსხულივით შეჰყურებდა არაჩვეულებრივად ლამაზ უცნობ ქალს.

მერე, ცოტა გონს რომ მოეგო, სკამიდან წამოიწია, წამოდგა და ძლივს ამოთქვა:

— მობრძანდით!

დია ნელი ნაბიჯით დაიძრა.

თვალმოუცილებლად მიშტერებულმა დირექტორმა ესღა მოახერხა, სკამი გამოსწია და სტუმარს დაჯდომა შესთავაზა.

დაბრძანდით.

ძლივს გასაგონად თქვა მირიანმა და როგორც კი უცნობი დაჯდა, თვითონაც მოცელილივით დაეშვა სკამზე.

ქალს ან სითამამე არ ჰყოფნიდა, ან რაიმე მოსაზრებით თავს მაღლა არ სწევდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

როდის-როდის, ხმაგაბზარულმა იკითხა დირექტორმა.

— მე გურამ ვაშაძის მეუღლე გახლავართ.

— რას ამბობთ?

გაოცებით ამოიძახა მირიანმა და თვალები ლამის გადმოუცვივდა.

მერე, თავისი განცვიფრების უხერხულობას რომ მიხვდა, ნაძალადევი ღიმილი მოიშველია და, ვითომ მოულოდნელი აღმოჩენით გახარებულმა, დასძინა:

— სასიამოვნოა! სასიამოვნოა!

— ჩემს შესახებ შიომ გითხრათ, — თავი ოდნავ ასწია დიამ და დირექტორს შეჰლიმა.

დიდრონი თაფლისფერი თვალებიდან გამოტყორცნილმა ნაპერწკლებმა და წამით გამომკრთალმა კბილების ელვამ მირიანს ისევ დაუკარგა წონასწორობა.

— კი... კი... როგორ არა, — თავის ქნევით დაუდასტურა.

— როგორც ბატონმა შიომ მითხრა, განცხადება დავწერე და მოგართვით.

დიამ ხელჩანთა გახსნა და შუაზე გაკეცილი ფურცელი ამოაფრიალა.

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი!

მირიანმა ხელი სწრაფად გაუწოდა, თითქოს ეშინია, არ გადაიფიქროსო. განცხადება თითქმის გამოსტაცა ხელიდან, წინ დაიდო და ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე წააწერა რეზოლუცია.

დიას დირექტორისათვის სახეში აღარ შეუხედავს, მაგრამ მისი ხელის მოძრაობისთვის თვალი არ მოუცილებია და, არც ის გამოჰპარვია, რომ მირიანს

თითები უკანკალებდა და მღელვარების დასაფარავად ხელი ისე ფართოდ გაჰკრა, ხელმოწერამ ფურცლის ნახევარი დაიჭირა.

ხელი მოაწერა და, თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა, შვება იგრძნო, ღრმად ამოისუნთქა და დიას ქვეშ-ქვეშ გახედა.

— კანცელარიას გადავცემ და დანიშვნას ახლავე გააფორმებენ.

— დიდი მადლობა! — ისევ გაიელვა დიას მომაჯადოებელმა ღიმილმა და მირიანის გამაოგნებელი სტუმარი ფეხზე წამოდგა.

მირიანიც წამოიწია და, მათი თვალები წამით რომ ერთმანეთს შეხვდნენ, კაცი უმალ დადნა, იმ თვალების ცეცხლს ვერ გაუძლო და ლუღლუღით იკითხა:

— როდის შეუდგებით?

— როცა თქვენი ნება იქნება.

— თუნდაც..., დღეიდანვე.

— დღეიდან? დღევანდელი დღე თითქმის მიიწურა და რაღა დარჩა! მე მგონია, აღარ ღირს. ხვალ დილიდან გეახლებით.

— როგორც თქვენ გსურდეთ!

დიამ თავი დაუკრა, ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა და ხელი გაუწოდა.

მირიანი იმ ხელს დამშეულივით ეცა და, ალბათ, დიდხანს არ გაუშვებდა, დია რომ არ შებრუნებულიყო და ხელი უცებვე არ დასხლტომოდა.

ქალი წავიდა.

დირექტორმა თვალი გააყოლა, ერთი ამოიოხრა და სკამზე მძიმედ დაეშვა.

მღელვარება ნელ-ნელა უცხრებოდა, თანდათან გონს მოდიოდა.

მხრებზე დაწოლილი სიმძიმე ეხსნებოდა, სხეულში სიმსუბუქეს გრძნობდა და აუხსნელი, ერთბაშად მოძალებული სიცოცხლის სიხარული გასაფრენად ფრთებს ასხამდა.

თვალები უნათდებოდა და ტუჩებთან ღიმილი ეპარებოდა. რა ემართებოდა, ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც დიდი და არაჩვეულებრივი მოხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამის ოჯახში დღესასწაული იყო. დია ახლად ჩამოსახლებულთა სკოლის ექიმად დანიშნეს და ამიერიდან ერთად ცხოვრებას მოწყურებული ცოლ-ქმარი სულ ერთად იქნებოდნენ.

უჩვეულოდ ალტაცებული დია სულ ენად იყო გაკრეფილი. იგი ხან მომავლის გეგმებს აწყობდა, ხან ისევ და ისევ სკოლის დირექტორს უბრუნდებოდა, მასთან ხანმოკლე საუბარს იხსენებდა და, თუმცა არ ამჟღავნებდა, გუნებაში მირიანზე გამარჯვებას ზეიმობდა.

სანამ დირექტორთან შევიდოდა, სკოლის მასწავლებელმა ქალებმა ყურები გამოუჭედეს, მირიანისთანა მომხიბვლელი კაცი ჩვენს დღეში არ გვინახავსო, ჩვენ ყველანი ჩუმად ვიყავით ჩვენს დირექტორზე შეყვარებულიო.

— თურმე ყველა კაი ქალი მაგის ცოლობაზე ოცნებობდა, — ალგზნებული უყვებოდა გურამს დია პედაგოგი ქალების ნაამბობს, — მაგრამ თვითონ ჯერ არც არავინ შეჰყვარებია და არც ცოლის შერთვა უფიქრია სერიოზულადო. ჯერ ქალი არ გამოჩენილა, მაგის მიმართ რომ გულგრილობა გამოეჩინოსო. ეს თვითონაც კარგად იცის და ამიტომ ყველას ერთნაირად ექცევა — ცოტა ირონიულად და ზოგჯერ ცინიკურადაცო. თუ ვინმესადმი ინტერესი აღძვრია და დაახლოებია, ეს სიახლოვე დიდხანს არასოდეს გაგრძელებულა. ქალთან დამყარებულ ხანმოკლე კავშირს ისე ოსტატურად წყვეტს, ვითომც არაფერი ყოფილიყოს და არც რაიმე ვალდებულება ჰქონოდეს გუშინდელი გატაცების წინაშე. მაგის მიერ მიტოვებული და გაწბილებული ქალები, წყევლა-კრულვის მაგიერ, ლოცვა-კურთხევას უთვლიან და მასთან გატარებულ დღეებს სიამაყით იგონებენო.

— ეგ დრო, ალბათ, წარსულს ჩაბარდა, — არხეინად თქვა გურამმა, — მირიანი ორმოცს გადაცილებული კაცია

და, არა მგონია, დონ ჟუანად კიდევ ვარგოდეს.

— უი, რას ამბობ! ჯერ საერთოდ რა არის კაცისათვის ორმოცი წელი, და მერე მაგისთანა კაცისათვის! ისე გამოიყურება, ოცდაათისაც არ გეგონება! — დაუფიქრებლად წასცდა დიას და, აზრზე რომ მოვიდა, გვიანღა იყო ენაზე კბილის დაჭერა.

—ოჰო, შენზეც მოუხდენია გავლენა იმ ქალების მოჭორილსა და მირიანის ყბადაღებულ „მომხიბვლელობას“!

— სულაც არა! — შუბლი შეიკრა დიამ, — შესვლის წინ ჩემს გულში გადავწყვიტე, ზედაც არ შემეხედა. ვგრძნობდი, როგორ მჭამდა თვალებით, მაგრამ არაფრად ჩავაგდე, თავაულებლად, ორიოდე მშრალი სიტყვა მივუგდე, საქმეს სწრაფად მოვრჩი და, როგორც ცივად შევედი, ისევე გამოვედი. ოფიციალური, საქმიანი კითხვა-პასუხის იქით არც მომავალში წავა ჩვენი საუბრები და მალე ნახავს, რომ თუ ჩემთანაც იმასვე დააპირებს, რაც სხვებთან გასვლია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება და არაფერი გამოუვა, — თავმომწონედ დაიქადა დიამ და, უკვე ქმრის ყელზე შემოჭდობილმა, ჩურჩულით დაუმარცვლა:

— ქმარი მაგაზე ახალგაზრდა მყავს და მაგაზე სახელოვანი, მე რით უნდა მომხიბლოს მაგან?!

ერთი გულით რომ ამას ამბობდა დია, მეორე გული ჩუმად ხარობდა იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც მან ყველა ქალების საოცნებო მამაკაცზე მოახდინა. ქალური პატივმოყვარეობა გამარჯვებას ზეიმობდა და, თუმცა გონიერება სიფრთხილესა და გულცივობას ჰკარნახობდა, ქალებისაგან ნანებივრები მირიანის გაოგნება და სრული ულონობა მისი მშვენიერების წინაშე, გულის რომელიღაც კუნჭულს სიამაყით უვსებდა.

## გურამ ვაშაძის დღიურიდან

ეროვნული

დღეს დია სკოლის ექიმად დანიშნეს. ჩვენი ოცნება ასრულდა, ამიერიდან ერთად ვიქნებით და ჭირიცა და ლხინიც ერთი გვექნება.

ტყუილად მშინებია მირიანის. როცა სკოლის ექიმად დიას დანიშვნა უთხოვია შიოს, ერთი არ შეყოყმანებულა და ისიც უთქვამს, მადლია, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გაყრილებივით ცალ-ცალკე ცხოვრებას ბოლო მოეღებაო.

მირიანი ჩემთვის ისევ გამოცანად რჩება. მე რომ მის ბიოგრაფიას ვიცნობ, მისგან ყოველგვარ სიბინძურეს მოველი, მაგრამ ჩემი ეს რწმენა როგორღაც ვერ ეგუება დარბაიძის ობლისადმი მის მიერ გამოჩენილ ადამიანურ დამოკიდებულებას. ვერც მამაჩემის ოჯახისადმი კეთილი დამოკიდებულების გამომხატველი ჟესტი — სკოლის ექიმად დიას დანიშვნა უთავსდება მასზე გავრცელებულ იმ ხმებს, რომლებიც ჩვენი ოჯახის უბედურების მიზეზად მას და მხოლოდ მას, თვლიან.

მაინც რა საოცარი ბედი აქვს მირიანს. ერთ დროს კომკავშირის გამოჩენილი აქტივისტი, რომელიც ხშირად გამოდიოდა პრესის ფურცლებზე და მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვებით საზოგადოების ყურადღებას იქცევდა, ყველასათვის მოულოდნელად გაეცალა თავის წრესა და ხელმძღვანელ სამუშაოს, თავისივე სურვილით მივარდნილი სოფლის სკოლის დირექტორად წავიდა და ფაქტიურად თავი ცოცხლად დაიმარხა.

ბედის გამოცდა არ ისურვა, ჩუმად და უხმაუროდ აიბარგა თბილისიდან და მის ირგვლივ დალესილ მტერ-მოყვარეს გაეცალა.

მუშაობით თავი არასოდეს მოუკლავს, მთელი სიცოცხლე თამადობისა და დროსტარების მეტი არაფერი უქეთებია და რაკი ერთხელვე ნიჭიერის სახელი დაერქვა, მერე ფონს სულ იმ

ნიჭითა და დაშაქრული ენით გადიოდა.

ამბობენ, იქაც, სოფლის იმ სკოლაში, დირექტორის მოადგილის, მისი ბავშვობის მეგობრის, შიოს რჩევით გადაიკარგა და საქმე ისე მოაწყო, მთელი სამუშაო იმავე შიოს აჰკიდაო.

თვითონ თურმე სულ გარეთ „აგვარებდა“ საქმეებს.

ამ მხრივ მართლაც შეუცვლელი ყოფილა, სადაც რამეს ითხოვდა სკოლისათვის, თავის დღეში უარით არავინ ისტუმრებდა და ყველაფერს ადვილად და უმტკივნეულოდ უკეთებდნენ.

შიო დირექტორისა და თავის საქმეს, ორივეს, ერთგულად და დაუყვედრებლად აკეთებდა.

მირიანი ბავშვობიდანვე უყვარდა, ბოლომდე მისი ნიჭის თაყვანისმცემელი დარჩა და საამაყოდ მიაჩნდა მის მოადგილედ მუშაობა.

პატიოსანი და შრომისმოყვარე შიო თავისი მეგობრის ყველა ნაკლზე თვალს ხუჭავდა; მისი კარგიც მოსწონდა და ავიც და მისდამი ერთგულებისა და ნდობის ზომა არ იცოდა.

მირიანიცა და შიოც მამაჩემის სტუდენტები იყვნენ. მამას ორივე გამორჩეულად უყვარდა და თუმცა მათზე ათიოდე წლით უფროსი იყო, ტოლებსავით ექცეოდა, ექსკურსიებსა და ექსპედიციებში დაჰყავდა და შინაც ხშირად პატიჟებდა სტუმრად.

ერთ დღეს, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, მირიანი უნივერსიტეტის ვესტიბულში მდგარა და იქ მყოფთ თურმე რაღაცას დიდი გზნებით უმტკიცებდა.

მერე უცებ იმ ბიჭებს წინ წასძღოლია, უნივერსიტეტის დამაარსებელი რექტორის სურათს მისწვდომია, კედლიდან მოუგლეჯია და ძირს დაუნარცხებია.

ამ დროს თურმე მამაჩემი კიბეზე ჩამოდიოდა. თავისი საყვარელი მასწავლებლის ასეთი შეურაცხყოფა ვერ მოუთმენია, მირიანს მივარდნია და სილა გაუწნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიანი დაბნეულა და, ვიდრე გონს მოვიდოდა, მამაჩემი იქაურობისათვის გაურიდებიათ.

მერე, ის იყო, მამასთან ერთად უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი დააპატიმრეს და ჩვენი ოჯახის ბედიც ჩარხუკულმა დატრიალდა.

დედამ ძლივძლივობით მცირეხელფასიანი სამსახური იშოვა და წაქცეულ ოჯახს ლუკმა-პურის სახსარი გაუჩინა.

ერთხელ ღამით მირიანი მოვიდა.

მე ლოგინში ვიწექი, მაგრამ ჯერ კიდევ არ მეძინა.

კარი დედამ გაუღო. მირიანი დაბნეული, აფორიაქებული შემოვიდა.

დედამ, სალამისა და მოკითხვის მაგიერ, წარბშეკრულმა მიახალა:

— კაენ, სად არის ძმა შენი, აბელ?

მირიანი გაფითრდა, ყბა აუკანკალდა და ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

გალახულივით თვალი მოგვავლო, ცივად შებრუნდა და კარი ისე მოიჯახუნა, კინაღამ ჩამოაგდო.

ის დღე იყო და, მირიანი ჩვენს ოჯახს არ გაჰკარებია, აღარც დედაჩემის ამბავი უკითხავს და აღარც ჩემი.

შორიდან კი მოგვდიოდა ხმები, როგორ ცრემლითა და ფიცით იმართლებდა თავს ჭორად გავრცელებული ბრალდებისა და ბოროტი მითქმა-მოთქმისაგან.

მალე ჩვენი სამი ოთახიდან ორი დაგვაცლევინეს და ჩვენ ერთ ოთახში დაგვტოვეს. ბარგი და ავეჯი იმდენი არა გვქონდა რა, მაგრამ ბიბლიოთეკის დატევა გაგვიჭირდა. დედა გადაფოფრილი ადგა თავს ჩვენს შემავიწროებლებს და ერთ ფურცელსაც არ ანებებდა დასაკარგავად.

როგორც იქნა „დალაგებას“ მოვრჩით. წიგნები ერთიმეორეზე ეწყო იატაკიდან ჭერამდე, ოთახში მოსატრიალებელი ადგილი აღარ რჩებოდა, მაგ-

რამ დედა მაინც გულს არ იტეხდა. ოღონდ ბავშვს უპატრონოდ ნუ დამაგდებინებენო, იტყოდა ხოლმე და ღმერთსაც სულ ამას ევედრებოდა.

ჯერ კიდევ „ლაგებაში“ ვიყავით, რომ შიო გვესტუმრა.

სანოვაგით გატენილი ხურჯინი კართან მოიხსნა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— ეგ რამ მოგატანინა, ვინმემ რომ დაგინახოს და დაგიწეროს, ხომ დაიღუპე! — შეიცხადა დედამ.

— მაგის სულ არ მედარდება, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, მშვიდად თქვა შიომ და სკამზე ჩამოჯდა.

შიო სამხარაძე საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა უნივერსიტეტში. ნიჭიერსა და შრომისმოყვარეს, შეეძლო მეცნიერებაში წარმატება ჰქონოდა, მაგრამ ცოლ-შვილს ადრე მოეკიდა.

აქეთ — ახალი ოჯახი და იქით — მოხუცი მშობლები მის ძალ-ღონესა და ყურადღებას მთლიანად თხოულობდნენ.

ამოდენა ტვირთით მეცნიერების ძნელ გზაზე შორს ვერ წავალო, მიხვდა და მშობლიურ სოფელში მასწავლებლად წასვლა არჩია.

ჯერ ისტორიის გაკვეთილები აიღო, მაგრამ მალე სასწავლო ნაწილის გამგეობა და დირექტორის მოადგილეობა შეუთავსეს და ზომაზე მეტად დატვირთეს.

მშობლები ჯერ კიდევ ფეხზე იდგნენ, კარ-მიდამო და ვენახი სანიმუშო ჰქონდათ და ნასწავლი შვილი რომ მხარში ამოუდგათ, ერთიორად გამხნევდნენ და გაიხარეს.

სიყვარულით შერთული ცოლი მისებრ უპრეტენზიო გამოდგა. სოფლად წასვლას უყოყმანოდ დათანხმდა და იმავე სკოლაში რუსული ენის მასწავლებლობა დაიწყო.

დროდადრო თბილისში ჩამოსულ შიოს უნივერსიტეტის ამხანაგი ან პროფესორი თუ შეხვდებოდა და სოფელში გადაკარგვას უსაყვედურებდა, სამხარაძე მოკრძალებით მიუგებდა: დედაქალაქის საშუალო მეცნიერს სოფლის კარგი მასწავლებელი სჯობს. მე იქ უფრო საჭირო ვარ, ჩემი და სხვისი შვილების აღზრდა დიახაც საპატიო საქმედ მიმაჩნიაო.

სტუდენტობაშივე სიბეჯითითა და პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა შიო. მირიანივით ცაში არ დაფრინავდა, პირველი კაცობა და თავის გამოჩენა ძილს არ უტეხდა. ერთთავად წიგნებს უჯდა და დღე და ღამე მეცადინეობაში ჰქონდა გასწორებული.

მირიანი უნივერსიტეტში შესვლისას გაიცნო. მაშინვე მოიხიბლა მისი ხალისიანი ბუნებითა და ადამიანებთან დაახლოების გასაოცარი ნიჭით. იმთავითვე მისი გავლენის ქვეშ მოექცა და თავიდანვე იწამა მისი დიდი მომავალიცა და არაჩვეულებრივი ნიჭიერებაც,

მშობლები ხშირ-ხშირად უგზავნიდნენ შიოს სურსათ-სანოვაგესა და სახლის ღვინოს და მირიანს სანახევროდ მის ოთახში ჰქონდა ბინა.

ციცინოც მან გააცნო და მისივე რჩევით შეირთო. პირველი მაყარიც თვითონ იყო და პატარძალი რომ სოფელში წაიყვანეს, იქ გამართული ქორწილის თამადობაც არავისთვის დაუთმია...

შიო სტუდენტობაშივე დაუახლოვდა თავის მასწავლებელს, გურამის მამის, სანდროს ოჯახს.

სანდროს მეუღლემ, თამარმა, პირველი შეხვედრიდანვე კეთილი თვალით შეხედა შიოს, მირიანზე უფრო მას ენდობოდა და მისი ერთგულება სჯეროდა.

სოფელში გადაკარგული შიო, ზოგჯერ არდადეგებზე თბილისში ჩამოდიოდა, სანდროს ოჯახს ძღვენით მოიკითხავდა და პატარა გურამი ზემო იმერეთში მიჰყავდა ზაფხულის გასატარებლად.

ახლა, თბილისში შიოს ჩამოსვლა და სანდროს ოჯახში ძღვენით გამოცხადება მართლაც დიდი გაბედულება იყო და

თითქმის თავზე ხელის აღებას უდრიდა.

იჯდა ახლა ეს პატიოსანი კაცი ქვეშაგებლით გატენილ მაფრაშებს შორის ჩაჭედილ სკამზე, თავის ქნევით ავლებდა თვალს წიგნებითა და ავეჯით გაძეძგილ ოთახს და დედას ამხნევებდა:

— გული არ გაიტეხოთ, ქალბატონო თამარ, მთავარია, ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ და გურამს უმამობა არ აგრძნობინოთ.

— მეც სულ მაგას ჩავძახი ჩემს თავს, არაფერს არ დავეძებ, ოღონდ ეს ბავშვი გავზარდო და სანდროს ნახვას მოვესწრო.

— ყველაფერ სიკეთეს მოესწრებით, დღეს ასეა და ხვალ ისე იქნება, — შიომ ჩვენი დაცლილი ნაბინავარის კარი შეაღო, ერთ წუთს იქაურობას თვალი მოავლო და კარი ისევ მიხურა.

— თუ იცით, ვინ სახლდება თქვენს ოთახებში?

— არა, ჩვენ ვინ გვეტყოდა.

— მირიანს მისცეს.

— აა? — შეიცხადა დედამ.

— ამ სამი დღის წინ შეუთავაზებიათ მირიანისათვის ეგ ბინა.

— ეს კიდევ ახალი სასჯელი! როგორ უნდა ვუყურო ყოველ დღე ქმრის დამღუპველს და ჩემი ოჯახის დამაქცევარს.

— მირიანს, მგონი, უარი უთქვამს, იმ მიზეზით, რომ ჩვენთან მოდის სკოლის დირექტორად.

— ჯანდაბასაც წასულა!

— ისე კი გერჩიათ, მირიანი რომ ჩამოსახლებულიყო, მარტოხელა კაცია და თქვენი ოჯახის პატივისცემაც აქვს.

— არ გამაგონო, შიო! რაც პატივისცემა ჰქონია, აგერ გამოჩნდა, ქმარი დამიღუპა და ოჯახი ამ დღეში ჩამიგდო.

— მაგას ნუ იტყვი, თამარ, ჭორებს ნუ აჰყვები და უდანაშაულო კაცს საქვეყნოდ ნუ გალანძღავ!

— ჭორი რატომ შენზე არ თქვეს?! თუ გინდა, რომ შენც არ დაგკარგო, მირიანის სახელი აღარ მიხსენო, — მკაცრად მოსჭრა დედამ და ორივე დადუმდა.

ერთხანს ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ შიომ დაარღვია:

— მე წავალ ახლა, ცუდად ნუ ჩამომართმევთ და ცოტა ფულს დაგიტოვებთ, ვიცი, რა გაჭირვებაშიც იქნებით, — ხმადაბლა თქვა, გულის ჯიბიდან გაკეცილი ფულის შეკვრა ამოიღო და მაგიდაზე დადო.

დედა ცივ უარზე დადგა, ფულის მიღება არ უნდოდა, მაგრამ შიომ ფული მაგიდაზე დააგდო, ქუდს ხელი დაავლო და კარს მიაშურა.

ზღურბლზე შემდგარმა ერთი მოიხედა.

თვალზე ცრემლმომდგარმა თქვა, მშვიდობით იყავითო, — და წავიდა.

ჩვენს ორ ოთახში ვიღაც ფეხბურთელი შემოასახლეს.

შიო დროდადრო გვაკითხავდა და, რაც შეეძლო, ყურადღებას არ გვაკლებდა.

მამაჩემის მიერ დათესილი სიკეთე არც სხვებს ავიწყდებოდათ.

ერთი მათგანი მამაჩემის სომეხი მეგობარი იყო, სორბონში რომ სწავლობდა მასთან ერთად. შორეულ უცხოეთში ორი მოძმე ხალხის შვილი ღვიძლი ძმებივით დამეგობრებულან. მათ საერთო ხელმძღვანელი, ცნობილი პროფესორი არქეოლოგი, ჰყოლიათ, წარმოშობით პოლონელი.

იმ პროფესორს ორივე კავკასიელი გამორჩეულად ჰყვარებია. ზაფხულობით ეგვიპტეში დაჰყავდა გათხრებზე და ორივეს სორბონში დატოვებას ჰპირდებოდა თურმე; მაგრამ სამშობლოს ვერც ერთი ვერ შელევია და საუნივერსიტეტო კურსის დამთავრებისთანავე შინისაკენ გამოუწევიათ.

მერე ისე მომხდარა, რომ მამაჩემის სომეხ მეგობარს რუსი ქალიშვილი შეურთავს და ლენინგრადში გადასახლებულა.

მაინც მამაჩემთან ურთიერთობას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტდა, ზაფხულობით საქართველოში ჩამოდიოდა და ოჯახით ჩვენთან ერთად ისვენებდა.

მამაჩემის იმ სომეხმა მეგობარმა მომხდარი ამბის შემდეგ არათუ დედაჩემთან მიწერ-მოწერა შეწყვიტა, ტელეფონითაც ხშირად გვირეკავდა და ყოველთვიურად ფულს გვიგზავნიდა.

მერე, მე რომ წამოვიზარდე და ისტორიის ფაკულტეტზე შევედი, კარმირ ბლურის გათხრებზე წამიყვანა და პრაქტიკულად მაზიარა არქეოლოგიის მეცნიერებას ურარტუს დედაქალაქის — თეიშებაინის ნანგრევებზე.

მირიანისადმი ეჭვი და უნდობლობა ჩემზეც გადმოვიდა. ბევრჯერ სცადა მოლბობა და დაახლოება, მაგრამ ჩემის მხრით ყოველთვის გულცივობასა და უნდობლობას აწყდებოდა, ალერსი და ზრუნვა წყალში ეყრებოდა და, რაკი არაფერი გაუვიდა, ხელი ჩაიქნია, თავადაც გამერიდა და გამიუცხოვდა.

ვერიდებოდი ლოლოსა, შემომხვდა სოფლის ბოლოსაო, ჩვენზე ყოფილა ნათქვამი. ბედმა მე და მამაჩემის მტერმოყვარე ისევ შეგვყარა.

ისიც მეყოფოდა, რომ დია მის სკოლაში მუშაობს ექიმად.

ახლა სახლს გვპირდებიან მაგათ დასახლებაში და თუ დავმეზობლდით, მაშინ ხომ საშველი აღარ იქნება, ყოველდღე წინ უნდა შევეფეთო, მოკითხვაზე და სალამზე მეც მოკითხვით და სალმით უნდა ვუპასუხო...

მირიანის ცხოვრებაში რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ისედაც სიცოცხლის მოყვარულს, ბოლოს სულ ემღერებოდა და ბავშვივით ყველაფერი ეხალისებოდა.

ირგვლივ მყოფნი ატყობდნენ მისი ხასიათის შესამჩნევ ცვლილებას, მაგრამ ვერც სხვებს აეხსნათ და ვერც თავად გეტყოდათ, თუ რა იყო მომხდარი ცვლილების მიზეზი.

სკოლაში დროზე ცხადდებოდა და მუშაობას ყველაზე გვიან ამთავრებდა. წინანდებურად თვალი სულ გარეთ აღარ ეჭირა, საქეიფოდ ადვილად აღარავის მიჰყვებოდა.

წესად დაიდო: იყო თუ არა საჭირო, გაკვეთილების დაწყების წინ მთელი სკოლა უნდა შემოევლო.

კაბინეტიდან გამოსვლისას ჯიბის სარკეში დიდხანს იცქირებოდა, თმებს ისწორებდა და წვრილად გაშვებულ ულვაშებში ჭაღარას ეძებდა, რომ პოვნისთანავე გაექრო.

ექიმის კაბინეტს რომ მიუახლოვდებოდა, მუხლები მოეკვეთებოდა, კარს გულისფანცქალით შეაღებდა, სახეწამოწითლებული დიას თავს ძლივს დაუქნევდა, ენაჩავარდნილი, კარს სწრაფად მიხურავდა და გზას აგრძელებდა.

შემოვლას რომ მორჩებოდა და თავის სამუშაო ოთახს დაუბრუნდებოდა, სკამზე მძიმედ დაეშვებოდა. თავისთავს იმის ანგარიშს სთხოვდა, დიას რატომ ვერ გამოელაპარაკა, ორიოდ თბილი სიტყვა რატომ ვერ უთხრა და ენა რამ ჩაუგდო.

ეს შემოვლა რომ სულაც ექიმის ყოველდღე ნახვის სურვილით შემოიღო, თავს ვერც ამაში უტყდებოდა მირიანი.

სადმე კორიდორში ან ოთახში თუ შემთხვევით შეეფეთებოდა დირექტორს, არც დია ჩერდებოდა, მასაც სახე უწითლდებოდა და სწრაფად გაცლას ცდილობდა.

ერთმანეთს თავის დაკვრით უხმო სალამს მისცემდნენ და გვერდს ცივად ჩაუვლიდნენ.

დიას გუნებაში ეცინებოდა დირექტორის ამგვარ ულონობასა და დაბნეულობაზე.

ზოგჯერ ბავშვური ჟინი მოუვლიდა, თვითონ გამოეწვია, წაეთამამებინა ეს სხვებთან ენაწყლიანი და მხოლოდ მის წინაშე დამუნჯებული დონ ჟუანი, მაგრამ ეს მხოლოდ წამით...

დიას ამ სურვილს მაშინვე ის აუხსნელი შიში ერეოდა, რომელსაც მირიანის წინაშე იჩენდა გაუცნობიერებლად.

კატათაგვობანას თამაში ამ კაცთან საშიში იყო და დია ამ საქმეში ბოლომდე ვერც თავისთავს ენდობოდა.

ქმრის სახელსა და საკუთარ პატიოსნებას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა დია. ამიტომაც ცდილობდა სიცივის ის ზღუდე, რომელიც მირიანსა და მის შორის იყო აღმართული, არასგზით არ შეესუსტებინა. ერთადერთი საფრთხე, რომელიც ამ კაცისგან ასე ჩუმად, მაგრამ თითქმის გარდუვალად ემუქრებოდა, საგონებელში აგდებდა.

გრძნობდა, არც ისე შეუვალი იყო მოგონილი სიცივის ჯავშანი, რომელსაც მისი გულისათვის მირიანის ისრები უნდა აერიდებინა.

ამიტომ უხმობდა გონებას და თავს ნებას არ აძლევდა გამოცდის წინაშე დაეყენებინა საკუთარი ნებისყოფის სიმტკიცე.

პედსაბჭოს სხდომაზე თუ სხვა კრებებზე დია მირიანისაგან ყველაზე შორს ჯდებოდა, .მისკენ დროდადრო ქვეშ-ქვეშ ძლივს გაიხედავდა და, ჩუმად შემოსული, ჩუმადვე გადიოდა.

თანამშრომლები, განსაკუთრებით ქალი მასწავლებლები ამჩნევდნენ მირიანის ზნის შეცვლას, ჩურჩულებდნენ და ჭორაობდნენ, მაგრამ ხელმოსაჭიდში ვერაფერში გამოეჭირათ და ეჭვი ვერაფერზე მიეტანათ.

კოხტად ჩაცმა-დახურვა ადრეც უყვარდა მირიანს, მაგრამ რაც აქ გადმოვიდა, ორი ხელი ახალი კოსტუმი შეაკერინა და გარეგნობის მიმართ ზრუნვას უმატა.

`როცა აქ სახლდებოდა, ყველამ იცოდა, გაუთხოვარი უფროსი და უნდა ჩამოეყვანა, მაგრამ დრო გადიოდა, მირიანი დას არ იბარებდა და მარტოხელა ცხოვრებას აგრძელებდა.

ადრე რომ ბინაში ერთი რკინის საწოლისა, ორიოდ მორყეული სკამისა და მოძველებული მაგიდის მეტი არაფერი ედგა, ახლა ნელ-ნელა სახლის მოწყობილობაც განაახლა.

რომ გეკითხათ, ამას რისთვის აკეთებდა, ვერც ამის პასუხს მოგცემდათ.

მის არსებაში, ჩუმად, რომელიღაც სხვა მირიანი ჩასახლებულიყო, ის სხვა ვიღაც დიდი ცვლილებებისათვის ემზადებოდა და იმ მოსალოდნელი ცვლილებების შესაფერის მოქმედებას ჰკარნახობდა ძველ მირიანს, რომელსაც ამ მოქმედების აზრი ვერ გაეგო და ვერ წარმოედგინა.

ყველა ხედავდა, მირიანს ცხოვრების რაღაც ახალი ინტერესი გაუჩნდა, მაგრამ სად იყო ამ ინტერესის სათავე, არც სხვა ვინმემ იცოდა და ვერც თავად გაერკვია ბოლომდე.

როგორც იქნა, დაპირება შეასრულეს და, გურამს ახლად აშენებული კოტეჯი მისცეს გადმოსახლებული სოფლის ტერიტორიაზე.

გურამი და დია მირიანისა და შიოს სახლების მწკრივში დაბინავდნენ, დასახლების ბოლოში.

მირიანს რომ თავისი აივნიდან გადმოეძახნა, ახალ მეზობელს ხმას მიუწვდენდა, მაგრამ მაინც ყურის მეზობელი არ ეთქმოდა და გურამისთვის ეს ცოტას როდი ნიშნავდა.

გათხრებით მოპოვებული მასალიდან რაც ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო, გურამმა თბილისის მუზეუმში ჩაიტანა, გათხრების ტერიტორიაზე სახელდახელო დროებითი შენობა დაადგმევინა და დანარჩენი მასალა იქ გამოფინა.

გამოფენის მოწყობაში დია ეხმარებოდა. ისედაც საინტერესო სამუშაო მისმა მონაწილეობამ კიდევ უფრო სახალისო გახადა.

სილამაზის თანდაყოლილი გრძნობა და ფაქიზი გემოვნება დიას ყოველ ნაბიჯში მჟღავნდებოდა — თაროებზე მასალის განლაგებაშიც, მოხდენილი წარწერების მიყენებაშიც.

შაბათ-კვირაობით ექსკურსანტებით სავსე ავტობუსები ამოდიოდა და გურამსა და მის თანამშრომლებს არა მარტო ახსნა-განმარტების მიცემა უხდებოდათ, მათ პიკნიკებზეც, ტყის პირას, მწვანეზე გაშლილ სუფრაზეც უნდა გაეტეხათ მათთან ერთად პური.

პატარა კოტეჯის მოწყობაშიც დიამ სული და გული ჩააქსოვა. ავეჯი ბევრი არა ჰქონდათ რა, მაგრამ რაც ჰქონდათ, ლამაზი და გამორჩეული იყო. იმ ცოტა ავეჯით ისე კოხტად გააწყო დიამ ახალი ბინა, გამოსვლა აღარ მოგინდებოდა.

სტუმართმოყვარე ცოლ-ქმარი სადილად და ვახშმად მარტონი იშვიათად სხდებოდნენ.

თბილისიდან დაძრულ ყველა ცნობილ ადამიანს, ქალსა თუ კაცს, გათხრების სანახავად იმიტომაც მოუხაროდათ, რომ მშვენიერ დიას მოინახულებდნენ და მისი შეუდარებელი მასპინძლობით დატკბებოდნენ.

ვეებერთელა მთვარე, რომ ამოვიდოდა და ცა ვარსკვლავებით მოიჭედებოდა, გურამის აივნიდან კიდევ დიდხანს ისმოდა ხმამაღლა თქმული ლექსები და სმენის დამატყვევებელი სიმღერისა და გიტარის ხმები.

ყველასაგან განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით გარემოცული დია ბედნიერების მწვერვალზე იყო.

იგი უხვად იმკიდა კეთილ ნაყოფს მის მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯისა, რომელსაც მისმა თბილისელმა მეგობარმა ქალებმა „სოფელში გადაკარგვა" შეარქვეს.

დროდადრო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თბილისში ჩასვლასაც ახერხებდა, სამეცნიერო დისპუტებსა და გახმაურებულ სპექტაკლებს ესწრებოდნენ და მათ გამოჩენას საზოგადოება სიმპათიით ხვდებოდა.

ყოველივე ამას შეუმჩნევლად საკმაო დრო მიჰქონდა და გურამი ხვდებოდა, რომ ამ ფუსფუსში მთავარ საქმეს სცდებოდა.

რომანიცა და სადოქტორო დისერტაციაც, ორივე, შუა გზაზე ჰქონდა გურამს მიტოვებული, ვერ იქნა და, საფუძვლიანად, ბოლომდე ველარცერთს ველარ ჩაუჯდა.

—შაბათ-კვირას გათხრებზე შენი ყოფნა, სულაც არ არის საჭირო და სავალდებულო, — გამოუცხადა ერთ მშვენიერ დღეს დიამ, და გურამი მიხვდა, რომ უმთავრესი საქმისაგან მის მოცდენას, მასზე ნაკლებად არც მისი მეუღლე განიცდიდა.

— ექსკურსანტებს შენი არქეოლოგებიც აუთავდებიან, განსაკუთრებით „იორიკი".

— შეერქვა ტარიელს ეგ სახელი, არა?

— შეერქვა. ყოველი ახალი ჩონჩხის თავზე ჰამლეტის მაგ მონოლოგს აკითხებენ. ვიღაცამ ერთხელ თვითონ მას დაუძახა „იორიკი", ამ ნათლობამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია და ეს სახელი აიტაცეს. ახლა ტარიელს უკვე აღარავინ ეძახის და, რაც მთავარია, თვითონაც შეეჩვია მეტსახელს, „იორიკის" დაძახილზე გაღიმებული მორბის. საერთოდ, უნდა გითხრა, იორიკი საუკეთესო ყმაწვილია, მამამისივით ალალი და პატიოსანი. შენ ის უნდა ნახო, რა საინტერესოდ უხსნის დამთვალიერებლებს, როგორი გატაცებით უამბობს ელინისტურ კულტურასა და მაშინდელ საქართველოზე.

ჰოდა, შენც მოეშვი ზედმეტ თავგამოდებას, ეგ საქმე მაგ ყმაწვილებს მიანდე. შენ მხოლოდ სპეციალისტებსა და საპატიო სტუმრებს შეხვდი ხოლმე.

— ამიერიდან ეგრე ვიზამ, — დაეთანხმა გურამი.

— შენს დასაწერს, სხვა ვერავინ დასწერს, ზედმეტ ფუსფუსს თავი ანებე და სამუშაოს ჩაუჯექი.

— რომანიც ნახევრამდე მაქვს მიყვანილი და სადოქტოროს დასრულებასაც ბევრი აღარა აკლია რა.

— რამდენჯერ გირჩიო, ორი კურდღლის დევნას თავი ანებე, ერთ-ერთს მიხედე და მხოლოდ იმ ერთზე იფიქრე.

— მარტო ორი კურდღლის მდევარს კი არა, ზოგჯერ ბურიდანის იმ დიდყურას ვგავარ, ერთ მხარეს რომ თივა ედო და მეორე მხარეს — ბზე. შიოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ჯერ რომლ-

ის ჭამას შესდგომოდა. რომანის პერიპეტიები და სადოქტორო შრომის თეზისები ჩემს თავში ისე ირევა, უპირატესობა ვერცერთისათვის ვერ მიმიცია. გულით რომ მინდა, რომანი გავაგრძელო, ამ დროს გონება მირჩევს, დისერტაცია დროზე დავამთავრო, ოჯახი ფეხზე დავაყენო და მხოლოდ მერე ვიფიქრო რომანის დასასრულზე.

— სისულელეა! რა ისეთი დიდი ოჯახი გაწევს მხრებზე, რომ სული ვერ მოითქვა და ის არ აკეთო, რაც გულითა გსურს და უფრო არსებითადაც გესახება. დალამება იმიტომაც მიხაროდა, დღისით დაწერილ რომანის ახალ თავებს მიკითხავდი. გახსოვს? ქართული ულენშპიგელი უნდა დავწეროო, რომ გამანდე, მეორე დღესვე ჩამოვიტანე შარლ დე კოსტერის რომანი და თავაუღებელ კითხვაში ღამე თეთრად გავათენე. წაკითხულისაგან დიდი სიამოვნება მივიღე და შენი რომანის გეგმა რომ გამაცანი, სიხარულით ცას ვეწიე. იგი მხოლოდ მებრძოლი ხალხური სულით ჰგავდა ულენშპიგელს, სხვა მხრივ ქართული იყო, ჩვენი წარსულითა და დღევანდელობით შთაგონებული.

რა გატაცებით წერდი და მერე უცებ დადექი. ნუთუ შეგიძლია, ამდენ ხანს მიატოვო შენი საყვარელი გმირები, თამამად არ გაუძღვე მათ ბახტრიონზე საიერიშოდ და, ბოლოს, შენს ხალხთან ერთად არ ღვარო ცრემლი სპარსელთაგან მათი წამების გამო.

— არა, აღარ შემიძლია, დია, თავში კიდევ ათასი ახალი იდეა და სიუჟეტი მომდის და სანამ დაწყებულს არ დავამთავრებ, ხელი ვერაფრისათვის მომიკიდია.

— შენ ოღონდ წერას მიუბრუნდი და ყველა საქმისაგან გაგათავისუფლებ, დილით ადრე აგაყენებ და საღამოს დროზე დაგაძინებ, რომ კარგად გამოძინებულმა მთელი ძალით იმუშაო, ყოველ ახალ ფურცელს მაშინვე გადაგიბეჭდავ და, წამით აღარაფერზე მოგაცდენ.

— გამოვა კი რომანი? რაც დაწერილი მაქვს, კაციშვილისთვის არ მიმიცია წასაკითხად. არადა, რაღა დიდის ვინმესგან მოწონება და გამხნევება!

— ჩემი მოწონება არაფერს ნიშნავს, გურამ? მე ხომ აღფრთოვანებული ვარ წაკითხულით!

— შენ და მე ერთნი ვართ. სულითა და ხორცით ერთ არსებად ქცეულნი. ჩემი შემოქმედება შენი შემოქმედებაცაა, ჩემდამი ერთგულება და ჩვენი ბედის განუყოფლობა ჩემსავით შენც გართმევს უნარს ობიექტური იყო ჩემი ნაწარმოების შეფასებაში. მე ზომაზე მეტად კრიტიკული ვარ ჩემი თავის მიმართ, მაგრამ არც ეს კმარა. ადამიანი სარკეში ხედავს თავის ნაკლს. მწერლის სარკე მკითხველია. მკაცრი და მიუდგომელი მკითხველი.

— შენს ბიჭებს წააკითხე. მათ შორის ბევრია ნაკითხი და განათლებული.

— წავაკითხებ, განა არა. ისინიც შენსავით აღფრთოვანდებიან, ისინი ხომ ჩემზე დამოკიდებულები, ჩემი ხელქვეითები არიან, ჩემს ავტორიტეტში მტკიცედ დარწმუნებულნი.

— მირიანს რომ წააკითხო? — დასცდა დიას.

უმალ თვითონვე გაიფიქრა, ეს რამ გამახსენაო და გურამს შემკრთალმა შეხედა.

ფიქრში წასულ გურამს დიას აღელვება არც შეუმჩნევია.

— კი, ეგეც ვიფიქრე, მირიანიც ისტორიკოსია, მაგრამ მას სულ ბოლოს გადავცემ, როცა სხვების აზრი მეცოდინება და ჩემს შესაძლებლობას ამოვწურავ. მირიანი კეთილი გულით არ წაიკითხავს ჩემს წიგნს, საგანგებოდ დაიწყებს სუსტი ადგილების ძებნას და, ბოლოს, ეგეთი წამკითხველიც სარგებელს მომიტანს.

— მიო? მიო ისტორიკოსიც არის, ფხიზელი განმსჯელიც და შენთვის კეთილისმდომელიც.

— მიოს უთუოდ უნდა წავაკითხო. ამას წინათ შემხვდა და საყვედური მითხრა. შენი რომანის შესახებ სხვებისაგან რატომ უნდა შევიტყოო, ნუთუ იმ-

დენი ნდობა არა გაქვს ჩემი, დაბეჯდ-ვამდე გადამახედო, ეგებ მეც მოგცე სასარგებლო რჩევაო.

— მჯერა, მასაც მოეწონება, არ შეი-ძლება არ მოეწონოს მასაც, სხვებსაც, შენს მტრებსაც და კეთილისმდომთაც. არ შეიძლება, იმიტომ, რომ ღრმააზ-როვანია, შთაგონებით დაწერილია და ფორმითაც ახალი, თავისებური. თუ ასე არ არის, მაშინ ბრმა ვყოფილვარ და დაუნახავი. სხვათა წიგნებში თუ კარგად ვერკვევი, შენს წიგნზე რამ უნ-და დამიბრმაოს თვალი? განა მართლა ბრმად მიყვარხარ?! მე შენს ბევრ ნაკლს ვხედავ. ზოგის გამოსწორებაში გეხმარები და ზოგსაც ვურიგდები. რო-გორც დაუძლეველსა და გამოუსწორე-ბელს. შენც აგრე არა ხარ ჩემს მიმართ?

— არა, შენ უნაკლო ხარ. ყოველ შე-მთხვევაში, ჩემთვის უნაკლო ხარ!

სადამო ხანს მირიანის ეზოს ორი ურემი მოადგა.

ერთ ურემზე უზარმაზარი ქვევრი იდო და ძლივს ეტია.

მეორეზე მომცრო ქვევრი და ორიო-დე დერგი ეწყო. ჭურებიცა და დერგ-ებიც ისე იყო ფოთლებსა და ფუჩეჩზე დასვენებული, ღელეჩებითა და ბაწრე-ბით დაკრული და გაძაგრული, რომ ძვრა არ ჰქონდათ.

მირიანი აივანზე გამოვიდა. მისი სახ-ლის წინ შეჩერებულ ურმებს გადმო-ხედა და სახე გაუნათდა.

— არ დაიშალა არჩილმა, ხომ? მა-ინც თავისი გაიტანა და გამოგზავნა, არა?

— დიახ, ბატონო დირექტორო! გა-მოგზავნა და თან სალამიც გაახლათ, — დაბლიდან ასძახა თეთრწვერა მეურმემ, ქუდი მოიხადა და მიესალმა.

— სუფრაზე შემპირდა და მაშინვე შორს დავიჯერე, ან ღვინო სადა მაქვს, რომ ჩავასხა, და ან შენი ვალი რით გადავიხადო-მეთქი, მაგრამ ვინ დამი-ჯერა! — ხმამაღლა ლაპარაკით ჩამო-დიოდა კიბეზე მირიანი.

მეურმეებმა ხარები უღლიდან გამო-ხსნეს, ქვევრებს საბელები შემოაცალეს და იქაურობას თვალი მოავლეს.

— სად დავაწყოთ, ბატონო დირექ-ტორო? — იკითხა ახალგაზრდა მეურ-მემ.

— სად დავაწყოთ, და... — დაფიქრ-და მირიანი და მანაც მუშტრის თვალ-ით შემოატარა მზერა ირგვლივ.

— მარანი სადაც გექნებათ, ჭურებ-იც იქ უნდა იყოს, — შეეშველა წვე-როსანი მეურმე.

— მარანზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრ-ამ. ალბათ, აქ უნდა გავმართოთ, ქვედა სართულზე... აგერ, აივნის ქვეშ დავაწ-ყოთ ჯერჯერობით და მერე ვნახოთ, — თქვა მირიანმა და მეურმეებს აივნის ქვეშ შეუძღვა.

— არჩილმა შემოგითვალათ, მუშებს ამ დღეებში გაახლებთ და ამ ჭურებს მე ჩავაყრევინებო.

— ეგ კი მეტისმეტი იქნება-თქო, გა-დაეცით, — ვითომ იხუმრა მირიანმა.

— ქვევრებს რომ ჩაყრით, ღვინო ჩემზე იყოსო, მეურნეობის დირექტო-რმა.

— რას მიშვრებით, ხალხო? ობო-ლი ვარ თუ მამხითვებთ?! — ქირქილ-ით თქვა მირიანმა.

მეურმეებმა დერგები გადმოაწყეს და დადგნენ.

— მეც რომ მოგეხმაროთ, სამნი მო-ვერევით? — იკითხა მირიანმა და დიდ ქვევრს დააცქერდა.

— შენც არ მომიკვდე! სულ ცოტა ორი კაცი კიდევ გვინდა.

— კაცის მეტი რა არის, ახლავე!— ტაში შემოჰკრა მირიანმა, კიბის რამდე-ნიმე საფეხური აირბინა და გასძახა:

— შიო! ტარიელ!

— ბატონო! — გამოსძახა ციცინომ.

— კაცები შინ არიან, ციცინო?

— კი, ბატონო. შინ არიან.

— ერთ წუთს მომეშველონ, თუ ქა-ლი ხარ.

— ახლავე, შენი ჭირიმე, — გაისმა ისევ ციცინოს ხმა.

შიო მართლა ერთ წუთში გაჩნდა თა-ვისი ორი ვაჟით. დანაჩრჩენი მეზობლე-

ბიც მოგროვდნენ და შეიქნა ერთი დავა და კამათი, რამდენ კაცს და როგორ აეწყოა დიდი „ჩასავალი ქვევრი“.

მეზობლებს შორის მირიანმა გურამი შენიშნა, გაუღიმა და თავისკენ იხმო.

—ეს კია შენი გათხრილი ქვევრების ოდენა, — ხელი შემოჰკრა „ჩასავალ ქვევრს“.

— მგონი, მეტიც არი, — დაუდასტურა გურამმა და უზარმაზარ ქურს ხელით ადამიანსავით მიუალერსა.

— სადაური თიხაა? — მიმართა მეურმეებს.

— აქაური, ბატონო, ჩვენი სოფლის. ჩვენ აქედან ხუთ კილომეტრში ვცხოვრობთ.

— თქვენი გამომწვარია?

— ჩვენი, ბატონო!

— მერე ვისგან ისწავლეთ ქურჭლის გამოწვა?

— ვისგან ვისწავლიდით, ჩვენს მამებს და პაპებს მეტი რა უკეთებიათ?!

— გესმით, ბატონო მირიან? ამითიც ხომ დასტურდება ჩვენს გათხრებში მოპოვებული მასალის ადგილობრივი, ენდემური წარმომავლობა და კულტურული ტრადიციების უწყვეტლობა, — განმარტა გურამმა, ქვევრს ხელი შემოჰკრა და ყური დაადო.

ქვევრის მიერ გამოცემული ხმა მრავალგზის მეორდებოდა, თითქოს ქარი არხევს ხმის უხილავ ტალღებს და გაჩუმებას არ ანებებსო.

„ჩასავალი ქვევრი“ რამდენიმე ვაჟკაცმა ფრთხილად ასწია, აივნის ქვეშ შეიტანა და ფრთხილადვე დაუშვა მიწაზე.

— კაი დაგემართოს, კაი ქვევრია, მაგრამ ქვევრი ულვინოდ?—იკითხა გვიან შემოსწრებულმა ციცინომ.

— ბიძია მირიანის ქორწილისათვის ღვინოც იქნება, — დაუფიქრებლად, უზრუნველად თქვა გურამმა. და მირიანის ალეწილ სახეს რომ შეხედა, ენაზე იკბინა.

— ღვინოც მალე იქნება და ჩემი ქორწილიც, ოღონდ შენ არ მოგიწევს მაყრობა და ვერც სიმღერის გუნებაზე მეყოლები! — შეუღრინა უცებ აფეთქებულმა მირიანმა და ფოსოებში ღრმად წასული თვალებით [illegible] გაუყარა გურამს.

მირიანმა პირველად ხმამაღლა განაცხადა ის ფარული გულისნადები, რომელსაც აქამდე თავისთავსაც ვერ უმხელდა.

მანაც ენაზე იკბინა და იქ მყოფთ თვალი მოავლო, თითქო იმის გაგება უნდოდა, დაცდენილმა სიტყვამ რა შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა ჩაწვდა თუ არა გადაკრულად ნათქვამსო.

გურამი არც დაფიქრებულა იმაზე, თუ რას გულისხმობდა მირიანი, მიხვდა, რომ მისმა ხუმრობამ ვერც ვერავინ გააცინა და არც არავის ესიამოვნა. უხერხულობა იგრძნო და დაიბნა. ე, მანდ ჩემს ნათქვამს არავინ ჩაეძიოს და კიდევ ზედმეტი არაფერი ვთქვაო, გაიფიქრა მირიანმა და, კიბისკენ წავიდა.

მეზობლები დაიშალნენ და წავიდწამოვიდნენ.

მეურმეებმა ხარები ისევ შეაბეს და წასასვლელად რომ მოემზადნენ, მაშინ გამოჩნდა მირიანი: დოქით ღვინო და სინით ხილი მოჰქონდა.

— ერთი ჭიქით უნდა დაილოცოთ! — მიმართა მეურმეებს და ღვინო დაუსხა.

მეურმეები რომ ახალმოსახლობასა და ქურ-მარანს ლოცავდნენ, მირიანმა ორღობეში მიმავალ გურამს მოჰკრა თვალი.

— ლაწირაკი! მაგის დასაცინიც გავხდი, არა?! ენახოთ, იქნებ ღვინოც იყოს და ქორწილიც, მაგრამ მაგის გულის გასახეთქად! — გულში თქვა მირიანმა და მიმავალს გესლიანი ღიმილით გააყოლა თვალი.

დილით კლასის დამრიგებელმა მოწაფის ავადმყოფობა შეატყობინა მირიანს.

— ოთხი დღეა სკოლაში არ დადის.

მაღალი სიცხე და საეჭვო სიმპტომები აქვს. რაიონში სახადის შემთხვევებია და მეშინია...

— ჩვენს ექიმს არ უნახავს?

— არა, არ შემიტყობინებია. გუშინ მე თვითონ ვინახულე ბავშვი, საეჭვოდ მეჩვენა, გადამდები არ იყოს.

— რას ამბობ! ახლავე გავგზავნოთ ჩვენი ექიმი და რაიონიდანაც ინფექციონისტი გამოვიძახოთ, —შეშფოთდა დირექტორი.

ზარს ხელი დააჭირა და შემოსულ მდივანს სკოლის ექიმის მოძებნა დაავალა.

მერე ტელეფონის ნომერი აკრიფა და რაიონის ჯანგანს ინფექციონისტი ექიმის გამოგზავნა სთხოვა.

ყურმილი რომ დადო, მდივანი გოგონაც შემოვიდა და მოახსენა:

— ქალბატონი დია ავადმყოფ მოწაფესთან წასულა, ბინაზე.

— ალბათ, იქ წავიდა, — დაასკვნა კლასის დამრიგებელმა, — მეც წავალ, ბატონო მირიან.

— ჰო, წადი... წადი... საღამოს შეიდი საათისთვის დამპირდნენ რაიონიდან ექიმის გამოგზავნას და მაგ დროისთვის მეც მოვალ.

საღამომდის ავადმყოფისა ვედარაფერი შეიტყო მირიანმა.

დაძქმული დრო რომ მოახლოვდა, შინიდან გამოვიდა და ავადმყოფის სანახავად გასწია.

გურამის კარ-მიდამოს რომ მიუახლოვდა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. ექიმის ეზოსკენ გახედვა არ უნდოდა, მაგრამ ცალი თვალი მაინც იქით გაექცა.

ეზოში გურამი დაინახა, ნოხზე წამოწოლილი წიგნს კითხულობდა.

თუ დია დაბრუნდა, ავადმყოფის ამბავი ამასაც ეცოდინებაო, გაიფიქრა და, თუმცა გურამის გამოლაპარაკება არაფრად ეპიტნავებოდა, როგორც კი ღობეს გაუსწორდა, გასძახა:

— გურამ!

გურამი წამოიწია. გაშლილი წიგნისთვის ხელი არ გაუშვია, ისე წამოდგა.

— ოჰ, ბატონო მირიან, მობრძანდით, — ცოტა დარცხვენილმა და დაბნეულმა გამოსძახა და სტუმრისკენ წამოვიდა.

— წიგნს კითხულობ, არა? კაია, რომ ბევრს კითხულობ, მოასწარი, თორემ ჩემსავით რომ ხანში შეხვალ, წიგნისთვის ვეღარ მოიცლი! რამე კაი წიგნი იქნება, მაჩვენე...

გურამმა გადაშლილი წიგნი გაუწოდა.

— ნერონის ცხოვრებაა. იმ ადგილს ვკითხულობდი, დედა რომ მოაკლევინა.

— საკუთარი დედა რომ მოაკლევინა, არა? დიდი გარყვნილი ხალხი იყვნენ რომის კეისრები! — ლაპარაკობდა მირიანი და თვალს წიგნის სტრიქონებს აყოლებდა, — ა, თუ არა! დაუგდე ყური! „სარწმუნო ცნობების საფუძველზე კიდევ უფრო მეტ საშინელებასაც დასძენენ, თითქოს თვითონ მიირბინა მოკლული დედის სანახავად, მისი სხეულის შიშველ ნაკვთებს ხელს ავლებდა, მოსწონდა და ქებას ასხამდა“... ეს ვინ ყოფილა, კაცო! — გულწრფელად აღშფოთდა მირიანი, — მკვდარს უსინჯავდა სხეულს მუშტრის თვალით? მერე ისიც მშობელ დედას?! წაიღე, თუ კაცი ხარ!

მირიანმა ზიზღი და აღშფოთება სხვაგვარად ვერ გამოხატა, წიგნი ორივე ხელით მაგრად დახურა და პატრონს შეაჩეჩა.

— მოდი და ჩაუგდე ხელში მაგნაირ კაცს ძალაუფლება! ის რომელი იყო, სენატში რომ თავისი ცხენი შეიყვანა?

— კალიგულა!

— ჰო, კალიგულა! ეგეც არ იყო ნაკლები დამთხვეული! ამ კეისრებმა ეს ამბავი გამახსენა. ერთი იურისტი იყო თბილისში, მამაშენი კარგად იცნობდა. იმდენად განთქმული თამადა იყო, მისი იურისტობა აღარავის ახსოვდა. კარგ ორატორად ითვლებოდა, მალაღფარდოვანი და ყვავილოვანი სიტყვებით აბრუებდა მსმენელებს. ჰოდა, იმას უყვარდა რომის კეისრების და ციცერონის გამონათქვამების დამოწმება. პირველად რომ მოვისმინე მისი

ხატოვანი სადღეგრძელოები, განვცვიფრდი, თავბრუ დამასხა ციტატებმა, რომლებსაც ოსტატურად ურთავდა სადღეგრძელოებში. ფენომენალური მეხსიერების მქონედ და ენციკლოპედიურად განათლებულ კაცად მეჩვენა.

მაგრამ მეორედ რომ შევესწარი მის თამადობას, პირველი შთაბეჭდილება ერთიანად გამიქარწყლდა: იგივე სადღეგრძელოები და იგივე გაზეპირებული ციტატები, იმავე რიხითა და პათოსით ჩამოარაკრაკა და მესამედ, უკვე აღარ მომინდა მის სუფრაზე დაჯდომა... ისე, რომის იმპერატორები, როგორც მე ვიცი, ან მთლად ბრძენები იყვნენ, ან მთლად გიჟები.

— არა, საშუალოებიც იყვნენ ხოლმე. მაგრამ შეუზღუდავი ძალაუფლება ნერონის მსგავს ტირანებს წარმოშობდა. როცა სენატის გავლენა სუსტდებოდა და მთელი ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში იყრიდა თავს, ისეთ ბრძენ იმპერატორსაც კი, როგორიც მარკუს ავრელიუსი იყო, ქვეყნის ამომგდები რჩებოდა მემკვიდრედ.

— აგრე იყო, აბა! მაგრამ ჯანდაბას რომიც და მისი იმპერატორებიც! ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს და, იმას უნდა მივხედოთ ახლა.

— რა გასაჭირი, ბატონო მირიან?

— რა და, მოწაფე გაგვიხდა ავად, სახადზე აქვთ ეჭვი.

— ვიცი... ვიცი... სწორედ მაგ მოწაფის სანახავად წავიდა შუადღისას დია და აქამდე არ დაბრუნებულა.

— არ დაბრუნებულა, არა? — წამით ჩაფიქრდა. მირიანი.

მირიანი საგონებელში ჩავარდა. ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. გული რომ დიას შესახვედრად მიუწევდა, გონება საწინააღმდეგოს კარნახობდა!

ამ ჭოჭმანში რომ იყო, საიდანღაც მანქანამ მოაყვირა, მისგან შორიახლო დამუხრუჭდა და სარკმლიდან ალმასკომის თავმჯდომარემ გამოყო თავი.

— მირიანს გაუმარჯოს! — ხელი გამოუწოდა სარკმლიდან თავმჯდომარემ.

— ანდროს სიცოცხლეს — გაიძახოდა მირიანი, თავმჯდომარის გამოწვდილ ხელს ორივე ხელი ჩაავლო და ერთხანს აჯანჯღარა.

— როგორა გვყავს შენი თავი, ანდრო ბატონო, ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობა კია, მაგრამ ამ საღამოს რაიკომის რიგგარეშე პლენუმია, ტელეფონს არ ვენდე და რაკი აქეთ სხვა საქმეც მქონდა, შენი წაყვანა მე ვივალდებულე.

თავმჯდომარემ კარი გამოუღო და ანიშნა მანქანაში ჩამჯდარიყო.

მირიანი თავმჯდომარეს ჩაუჯდა, გურამს ხელი დაუქნია და მანქანა დაიძრა.

რაიონის ხელმძღვანელობაში მოულოდნელი ცვლილება მოხდა — პირველი მდივანი თბილისში გადაიყვანეს.

მდივანი ელოდა ამ დაწინაურებას და მირიანს სულ იმას ჰპირდებოდა, თუ ეს მოხდა, ჩემს მოადგილედ წაგიყვანო.

მირიანმა გადაყვანილი მდივნის გამოსათხოვარ სუფრაზე დიდებულად ითამადა, მდივანი იმ კუთხის აშენებლად გამოიყვანა და ასეთი მოამაგის წასვლის გამო მსმენელებს ცრემლი მოჰგვარა.

ძველი მდივანი რომ პირზე კოცნით გაისტუმრა, ახალი მდივნის შესახვედრად გამართული პირველივე სუფრის თამადადაც დადგა, ჯერ კიდევ უცნობ ხელმძღვანელს ფეხქვეშ გაეგო, იმდენი აქო, ლამის სულში ჩაუძვრა. ბოლოს ხელი რომ გადახვია, გულაჩუყებულმა მდივანმა თვითონ გაიწია მის მოსახვევად და მონატრებული უსაყვარლესი ადამიანივით დიდხანს კოცნა.

ისევ დაიკარგა მთელი კვირით მირიანი. ბოლოს, რომ გამოჩნდა, ახალი მდივანიც თან ჩამოიყვანა, სკოლა და ახალი დასახლება დაათვალიერებინა, გათხრებზეც გამოატარა და ტყეში ისეთი სუფრა გაუმართა, მის სიცოცხლეში რომ ვერ დაივიწყებდა.

ისე მოხიბლა ეს ახალი მდივანი, უმი-

რიანოდ პურის საჭმელად აღარ ჯდებოდა, დღეში რამდენიმეჯერ ურეკავდა, ან იქით იბარებდა და მანქანას უგზავნიდა, ან აქეთ აკითხავდა და თან მიჰყავდა.

ამ მისვლა-მოსვლასა და დროსტარებაში, მოსწავლის ავადმყოფობა სულ დაავიწყდა მირიანს და მხოლოდ მაშინ იტკიცა შუბლში, ერთ დილას შიო რომ შევიდა მის კაბინეტში შეწუხებული.

— დავიღუპეთ, მირიან! იმ ბავშვს ინფექცია აღმოაჩნდა.

— რას ამბობ, კაცო! — შეიცხადა დირექტორმა.

— ეგ კიდევ არაფერი! თავს ჩვენი ექიმი ადგა და ისიც ავად გახდა.

— დია, კაცო?

— დია — გურამის ცოლი.

— გადაედო?

— ეტყობა, გადაედო.

— ღმერთო, მომკალი! — გულწრფელად აღმოხდა მირიანს, — ბავშვები ხომ არ უნდა დავითხოვოთ, კარანტინი ხომ არ უნდა მოვაწყოთ?

— არა, როგორც ექიმები ამბობენ, რაკი იმ ბავშვს სხვა მოწაფეებთან კონტაქტი არ ჰქონია, კარანტინი საჭირო არ იქნებაო.

— დია? დიას რა ეშველება? სად წევს?

— ისიც იქვე დააწვინეს, რაიონის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში.

— ეს რა ცუდი ამბავი მითხარი, შიო, — თავი გადააქნია მირიანმა, — ცალკე ოთახი თუ დაუთმეს დიას?

— არა, და სწორედ მაგის სათხოვნელად იყო გურამი, შეგვეხვეწა, იქნებ ვინმეს დაურეკოთო.

— ახლავე დავრეკავ!

მირიანმა ნომრები აკრიფა, რაიკომის მდივანს დაწვრილებით გააცნო მდგომარეობა და, ბოლოს, დიასათვის ცალკე პალატა სთხოვა.

მირიანმა დიდი მადლობა გადაუხადა და ყურმილი დადო.

— ვის ელაპარაკე? — იკითხა შიომ.

— ახალ მდივანს.

— გიშველა ღმერთმა! კაი-კაცია?

მირიანმა ამართულ[illegible]

— ასეთი ვინმეა.

— ჰოდა, უარს არ გეტყოდა.

— უარი კი არა, ახლავე გასცემს განკარგულებას. — მირიანი წამოდგა, აღელვებულმა ბოლთის ცემა დაიწყო, ის იყო, მეორედ შემობრუნდა და ტელეფონის ზარიც აწკრიალდა.

— გისმენთ, ბატონო!.. ჰო, შენი ჭირიმე... დიახ... დიახ... ღმერთმა აგაშენოს! მიიღე ჩემი მხურვალე კოცნა და უდიდესი მადლობა! ნახვამდის, და კიდევ ათასი მადლობა!..

მირიანმა ყურმილი დადო.

— ნახევარ საათში გადაიყვანენ ცალკე პალატაში.

— ღმერთმა გიშველოს! ძალიან საქმე გააკეთე!

— არ ვნახოთ, კაცო? არ მივიდეთ საავადმყოფოში?

— უნდა ვნახოთ, მაგრამ ვინ განახვებს?! ავადმყოფთან არ მიგვიშვებენ და, ისე რა აზრი აქვს, ამბის გაგება ტელეფონითაც შეიძლება.

— აჰ, უხერხულია, რომ არ მივაკითხოთ, ჩვენი თანამშრომელია.

— მე უკვე ვიყავი ერთხელ. ავადმყოფთან არ შემიშვეს.

— შენ რაკი ყოფილხარ, ხვალ მე წავალ, ავადმყოფს თუ არ მაჩვენებენ, ექიმებს მაინც გავესაუბრები, ვინ იცის, ეგებ რაიმე წამალი იყოს საშოვნელი.

მეორე დღეს მირიანი მარტო მივიდა საავადმყოფოში.

შესასვლელშივე დიას პალატის ნომერი იკითხა, თეთრი ხალათი ჩაიცვა და ისე თავდაჯერებული გაემართა ინფექციური განყოფილებისკენ, შეჩერება ვერავინ გაუბედა.

ბედად, განყოფილების გრძელ კორიდორში არავის გადაჰყრია.

მეხუთე პალატას მიადგა და, რაკი კარი ოდნავ მოღებული იყო, შიგ შეიხედა: პალატაში დია მარტო იწვა და ეძინა.

მირიანი ფეხაკრეფით შევიდა და კა-

რი ფრთხილად მოხურა. გახშირებული სუნთქვა და ალმოდებული სახე ენიშნა — ავადმყოფს დიდი სიცხე უნდა ჰქონოდა.

მაგრამ მირიანს ამის ფიქრისთვის საღლა ეცალა! მის წინ სამოთხის ბაღი გადაშლილიყო: მძინარეს გულმკერდი სანახევროდ მოშიშვლებული ჰქონდა და მკლავები საბანს ზემოთ ეწყო.

მირიანმა იმ გულმკერდსა და მკლავებს თვალი რომ ერთხელ დაადგა, მერე ვეღარ მოსწყვიტა.

სახე წამოენთო და გონება დაუბნელდა. სურვილმა ალეირი წაართვა და რეტდასხმული მუხლებზე დაეცა.

ორ ძუძუს შორის ჩავარდნილი ჩრდილის ვიწრო ღარზე დაიხარა და აკოცა.

ავადმყოფი არ შერხეულა.

მირიანი წამოიწია და ახლა შუბლი და ლოყები დაუკოცნა.

ავადმყოფმა წამწამები წამით გახსნა, მზერა უაზროდ მიმოატარა და თვალი ისევ დახუჭა.

ისევ ჩაიჩოქა მირიანმა და ახლა ქალის შიშველ მკლავებს დაუწყო უგონოდ კოცნა.

კორიდორში ხმაური გაისმა.

მირიანი წამსვე გამოერკვა და ფეხზე წამოხტა.

თეთრი ხალათი მხრებზე გაისწორა, უკან დაიხია და საწოლის ბოლოს დადგა.

ოთახში მთავარი ექიმი და მორიგე შემოვიდნენ.

— ღმერთო მოძკალი! აქ როგორ აღმოჩნდით, ბატონო მირიან?! — შეშფოთება ვერ დამალა მთავარმა ექიმმა, — რატომ ჯერ ჩემთან არ შემოხვედით. ან თქვენ რად იგდებთ თავს საფრთხეში, ან ჩვენ რას გვერჩით?! ხომ იცით, ინფექციურში ასე შესვლა არ შეიძლება, გადამდებია.

— არაფერია, ინფექცია ხომ არ დაფრინავს, რომ ავადმყოფის გაუკარებლად მეცეს.

„გაუკარებლადო“, იცრუა მირიანმა. კიდევ კაი, წუთით შეაგვიანეს ექიმებმა და დიას ლოგინთან ჩაჩოქილს ვერ მოუსწრეს, თორემ ხომ ნახავდნენ, როგორ „არ გაჰკარებია“ ავადმყოფს.

მთავარმა ექიმმა მკლავში ხელი გაუყარა და პალატიდან გამოვიდნენ.

— მაინც ისე როგორ შემოხვედით, რომ ვერავინ გაიგო? მორიგე ექიმსა და ექთნებს მკაცრად დავსჯი, — დაიმუქრა მთავარი ექიმი.

— თუ ჩემი ცოტა პატივისცემა გაქვთ, ჩემს გამო ნურავის დასჯით, მაგათი ბრალი არ არის, თითქმის შემოვიპარე.

— გაფრთხილებული მყავანან მეკარეები, რომ არავინ შემოუშვან. ისიც იციან, რომ თქვენისთანა საპატიო პიროვნების მოსვლა უნდა მაცნობონ.

— დამნაშავე მხოლოდ მე ვარ, ჩუმად მინდოდა შემოსვლა, ხმაურის აუტეხლად. დასასჯელი თუ ვინმეა, მე ვარ და მევე უნდა მაპატიოთ.

მთავარმა ექიმმა ხელები უღონოდ გაასავსავა.

— როგორი მდგომარეობაა? — მორიგე ექიმს მიუბრუნდა მირიანი, — ნამდვილად იგივე ინფექციაა?

— ნამდვილად, როგორც ჩანს, მოწაფისაგან გადაედო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, გართულების გარეშე.

— რამე ისეთი წამალი ხომ არ არი საჭირო, აქ რომ არ გვშოვებათ, თბილისში დავარეკინებდი.

— არა, ჩვენ ყველაფერი გვაქვს. ასეთ შემთხვევაში მედიკამენტები დიდ ეფექტს არ იძლევიან, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერს ვაკლებთ... იმედი უნდა ვიქონიოთ, თქვენი მოწაფის მსგავსად, თქვენს ექიმსაც მალე წამოვაყენებთ ფეხზე.

— აბა თქვენ იცით! თქვენს ხელშია ჩვენი სულიცა და ხორციც, თქვენი სიტყვაც გვჯერა და საქმეც. მადლობა და დაფასება ჩვენზე იყოს!

—რაიკომის მდივანმა ორჯერ დარეკა. ჯერ ცალკე პალატაში გადაგვაყვანინა თქვენი ექიმი, მერე კიდევ საგანგებოდ იკითხა, როგორ არისო. თქვენ ხშირად ხართ მასთან და უთხარით, რომ ძალ-

ლონეს არ ვზოგავთ ავადმყოფის განსაკურნავად.

— ვეტყვი, უსათუოდ ვეტყვი. აბა, ნახვამდის! იცოდეთ, თქვენს იმედად ვართ.

— ნახვამდის, ბატონო მირიან.

— ნახვამდის!

მიდიოდა მირიანი და თავისთავს არ უჯერებდა, რომ სულ რამდენიმე წუთის წინ დიას ლოგინთან იყო ჩაჩოქილი და მძინარეს კოცნიდა.

რამ აფიქრებინა და რამ გააბედვინა! ასე როგორ დაკარგა ჭკუა ამ ხნის კაცმა, გონება ისე როგორ დაუბნელდა, რომ დღისით, მზისით სახელმწიფო დაწესებულებაში, უნახავივით ეცა იმ ქალს, რომელსაც მანამდე ხელსაც ძლივს ართმევდა და, რომლისთვისაც დღემდე, ერთი თბილი ან გადაკრული სიტყვის თქმაც ვერ გაებედნა.

ექიმებს რომ შემოესწროთ, ან ქმარი დასდგომოდა თავზე? ან თვითონ ავადმყოფს რომ გაღვიძებოდა და კივილი აეტეხა?!

ჰაუ, რა სკანდალი იქნებოდა!!

როგორ გაილანძღებოდა და ქვეყნის სასაცილო გახდებოდა ეს ყველასაგან პატივსაცემი, „ახალგაზრდობის მთელი თაობების“ აღმზრდელად ცნობილი კაცი!

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალები აქეთ ეხვეოდნენ მირიანს, თვითონ თავგამოდებას არასოდეს, არავის მიმართ არ იჩენდა.

აქ რამ გადარია, რომ მძინარ ქალს, ისიც სიცხიანსა და სახადიანს, მივარდა და გულმკერდი დაუკოცნა.

წყევლიდა თავისთავს გაუგონარი გაოგნებისა და სულწასულობისათვის და ლამის პირჯვრის წერით უფლისათვის მადლი შეეწირა, რომ საქვეყნოდ გამოჭენებასა და თავის მოჭრას გადარჩა.

მაგრამ, როგორც დიას შიშველი მკლავები გაახსენდებოდა და თვალწინ მისი გულმკერდი დაუდგებოდა, ტუჩთან მაცთური ღიმილი აუთამაშდებოდა, ისევ თვალთ უბნელდებოდა და გონებას კარგავდა.

მაინც რა მშვენიერი იყო მძინარე დია! როგორ მართლა ბროლისაგან ნათალს ჰგავდა მისი გულმკერდი და როგორ ზღვასავით ვრცელი და სავსე ეჩვენა.

როგორ სართვლოდ შემოსული მტევნებივით ღუოდნენ და როგორ ხელშეუვლებს ჰგავდნენ მაგარი და მკვრივი ძუძუები! მათ ჯერ კიდევ არ მიჰკარებოდათ ბალღის ხარბი ბაგეები, რომელთაც რძის გარდა, დედის ძუძუებიდან კიდევ ის სიმკვრივე და შემართულობაც მიაქვთ, ვაჟკაცებს რომ ეგრე იზიდავს და სისხლს უმღვრევს.

მიდიოდა მირიანი და თავი ვერ წაერთმია ერთიმეორის საწინააღმდეგო ფიქრისა და განცდისათვის. ხან რომ შიში ეუფლებოდა იმის გაფიქრებით, გაუგონარ სკანდალს გადავრჩიო, ხანაც თვალწინ ისევ მძინარი დიას შიშველი გულმკერდი ედგა, შემოსულ ვენახს რომ ჰგავდა, რომლის დაუკრეფავად და დაუწურავად დატოვება ისეთივე ცოდვა იყო, როგორც დამძიმებული თავთავის მოუმკელად და გაულეწავად დაგდება.

გატყდა ძილი და გაქრა უდარდელი ცხოვრება. მირიანი თავისთავს ებრძოდა, უნდოდა დიაზე ფიქრი დაევიწყებინა, და დრო ჩვეულებრივ ლხინსა და ქეიფში მოეკლა, მაგრამ გული აღარ ემორჩილებოდა, გულს თავისი საფიქრალი და მუდმივი სადარდელი გასჩენოდა.

ცხადად თუ სიზმრად, სულ დია ელანდებოდა.

რაიონის საავადმყოფოსკენ გავლისა ეშინოდა, იცოდა, დიას პალატაში რომ კიდევ მოხვედრილიყო, საკუთარი თავისადმი კონტროლს ისევ დაკარგავდა და, ვინ იცის, ის შემთხვევა როგორ განმეორდებოდა, რა სკანდალით დამთავრდებოდა სიგიჟემდე მისული გაოგნება?

ყოველდღე რეკავდა საავადმყოფოში, უკეთ და უკეთ არისო, რომ ეტყოდნენ, ბავშვსავით უხაროდა.

მასწავლებლებთანაც სულ დიაზე უნ-

დოდა ელაპარაკნა, მაგრამ როგორც სკოლის ექიმზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, ქალალდების ქექვას იწყებდა, თავჩალუნული, გასუსული უგდებდა ყურს და გულში სიამე ეღვრებოდა.

მარტო დარჩენილს, თვალწინ ის თეთრი პალატა ედგა, ბალიშზე მისვენებული მშვენიერი დია, ვიწრო, გაზიდული თვალები რომ ოდნავ გაახილა შემკრთალმა, დიდრონი წამწამები ხატპეპელას ფრთებივით რომ შეარხია და უმალვე დახუჭა.

ნეტავ თუ მოასწრო იმ ერთ წამს მის საწოლთან ჩაჩოქილი მირიანის თვალის მოკვრა?!

არა, ალბათ, ვერა! თორემ არ შეიძლებოდა გაუგონარი თავხედობის გამო აღშფოთება არ გამოეხატა.

სიცხისაგან გათანგულს, ალბათ, აღქმისა და რეაქციის უნარი დაქვეითებული ჰქონდა და არაფერი გაუგია.

მაგრამ თვალი? თვალი ხომ გაახილა, თუნდაც სულ ერთი წამით! ის ერთი წამი ხომ ეყოფოდა იმის დასანახავად, თუ როგორი თავდავიწყებით უკოცნიდა გულმკერდს მირიანი.

ვინ იცის, იქნებ ეამა კიდეც და თვალი განგებ დახუჭა, რომ ვაჟკაცის კოცნით მოგვრილი ნეტარება გაეხანგრძლივებინა.

მირიანს ეს უკანასკნელი ვერსია უნდოდა დაეჯერებინა, რადგან ის უფრო აძლევდა ხელს და მომავლისათვის საიმედოდ ეჩვენებოდა.

რაკი ნახა, ვინც ვიყავი, და მაინც კოცნა არ დამიშალა (ხომ შეეძლო ჩემთვის ხელი ეკრა და მშველელებისათვის დაეძახნა!), ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა დროს, სხვა გარემოებაში...

მირიანს ოცნების ფრთები ნეტარების ბურუსში მიარწევდა და ამგვარი ზმანებიდან გამოსვლა უამურ გუნებაზე აყენებდა.

იმ დღეს თავს ძალა დაატანა და ლოგინიდან წელი ძლივძლივობით აითრია.

აზმორებდა და წელში ამტვრევდა.

მაინც თავს არ გაუტყდა, უღონობა გამოუძინებლობას დააბრალა, უმალოდ წაისაუზმა და სკოლისკენ გაემართა.

სკოლაში რომ მივიდა, თავის ტკივილმაც უმატა.

როგორც იყო, შუადღემდე გაუძლო. ბოლოს მასწავლებლებთან თათბირს რომ მორჩა, შიო და ციცინო დაიტოვა.

— რაღაც ვერა ვარ კარგად, — ზმორებით თქვა და გრძლად დაამთქნარა.

— მეც არ მომწონხარ, სახეზე ალმური აგდის, — შეშფოთებით თქვა ციცინომ და მიუახლოვდა.

— შეუძლოდ ხომ არა ხარ, მირიან? — ჰკითხა შიომ.

— ჰო, რა ვიცი, ცოტა თავი მტკივა და ტანში მამტვრევს.

— სიცხეს ხომ არა გრძნობ? თვალები წითლადა გაქვს ამღვრეული, — აწრიალდა ციცინო, მაჯა დაუჭირა და გაიტრუნა.

— აჩქარებულია! — თქვა ციცინომ და ახლა შუბლზე დაადო ხელი.

— შუბლზე ცეცხლი გიკიდია, ნამდვილად დიდი სიცხე გაქვს! — აფორიაქდა ციცინო.

— არ დაგვღუპო, მირიან, შენც არ... — დაბნეული მიაშტერდა შიო.

— კაი, კაი, ნუ შექმნით პანიკას, — არ დააცალა სათქმელის დამთავრება მირიანმა, — ისეთი არაფერია, გუშინდელი ნაქეიფარი ვარ და თანაც გამოუძინებელი.

— ღმერთმა ქნას, ასე იყოს, — ნაძალადევად შეჰლიმა შიომ.

— მე მგონია, დღეისთვის ეყოფა ხალხსა და სამშობლოს ჩემი სამსახური. თქვენი ნებართვით შინ წავალ, გამოვშუშდები, ხვალ ისევ ჩიტივით წამოვფრინდები და აქ გავჩნდები, —ვითომ ხუმრობდა მირიანი, მაგრამ, ეტყობოდა, სულაც არ ეხუმრებოდა და თავს ძალას ატანდა.

ჭიშკრამდე მიაცილეს ციცინომ და შიომ.

— ახლავე დაწექი, მირიან, გაკვეთილებს როგორც მოვრჩებით, მაშინ-

ჰე მოგაკითხავთ, — დაადევნა მიმავალ დირექტორს ციცინომ.

მირიანი თვალს მიეფარა.

— არ მომწონს, ისეთ ნიშნებს ამბობს, თან მაღალი სიცხეც უნდა ჰქონდეს, — მიუბრუნდა ქმარს ციცინო.

— მაინც რამ მიიყვანა იმ დასაქცევ ინფექციურში?! — შეშფოთება ვერ დამალა შიომ.

— იქ მისვლით რა უნდა დაშავებოდა, ხელს არ ჩამოართმევდა და ახლოს არ გაეკარებოდა.

— ეგ შენ საიდან იცი?

— მირიანიც ასე ამბობს და დიაც, ის კი არა, დიას არც გაუგია თურმე მირიანის მისვლა.

— ეგენი აგრე იტყვიან.

— რაო? გადამრევს ეს კაცი! — გაოცებული მიაჩერდა ციცინო ქმარს.

შიომ ხელი ჩაიქნია. თავი ჩაღუნა და, სკოლისკენ მიბრუნდა.

„ჩემო სიცოცხლევ!

მადლობა ღმერთს, რომ უკეთა ხარ! უშენოდ წარმოუდგენლად უმწეო და საცოდავი ვარ. ვერც შინ ვუდებ გულს მუშაობას, ვერც გათხრებზე ვჩერდები. მთელი დღეები შენი საავადმყოფოს ეზოში ვარ, წინ და უკან დავდივარ და ვუცდი... ვინმემ რომ მკითხოს, რას უცდიო, პასუხსაც ვერ გავცემ. ვიცი, რომ აქ ტყუილად დავბორიალობ, აქედან ვერც რამეს გშველი და ვერც გხედავ, მაგრამ შინ ვერ ვძლებ და სხვაგანაც არსაით მინდა წასვლა.

მახსოვს, მამაჩემს ერთი გოშია ჰყავდა. პატარა ლეკვი გაზარდა და სულ თან დასდევდა, სადაც უნდა წასულიყო.

მამაჩემი რომ დააპატიმრეს, მანქანას გასდია, დიდხანს ურბინა იმ შენობას, სადაც პატიმარი შეიყვანეს, არასგზით დედაჩემს აღარ წამოჰყვა, იმ შენობის მოპირდაპირე სახლის აივანქვეშ დაწვა, აღარც წყალი დალია, აღარც საჭმელს გაეკარა და, ასე მოკვდა, პატრონის მოლოდინში.

მეც იმ ძაღლივით ვარ შენი ერთგული. რაც მე და შენ ერთადა ვართ, უშენოდ ცხოვრება ველარც კი წარმომიდგენია და შენ ისევე აუცილებელი ხარ ჩემი არსებობისათვის, როგორც წყალი და ჰაერი. არა, წყალი და ჰაერი მხოლოდ სიცოცხლის გაგრძელებისათვის, ფიზიკური არსებობისათვის არის აუცილებელი, შენ კი ჩემთვის აზრი ხარ სიცოცხლისა, ჩემი ცხოვრების გვირგვინი და მშვენება ხარ.

რაც შენ მანდა ხარ, ქვეყანა ჩემთვის მაგ საავადმყოფოს კედლებით შემოიზღუდა, დანარჩენი სამყარო გაქრა და აღარ არსებობს.

ერთადერთი, რითაც ახლა ვსულდგმულობ, შენი გამოჯანმრთელების რწმენა და იმედია.

მთელი ჩემი სულიერი და ფიზიკური ენერგია შენზე ფიქრად იქცა. ბიოდენების, ტელეპატიისა და უხილავი ელექტროტალღებისა მჯერა, მჯერა ჩემი შენდამი, თითქმის არაადამიანური სიყვარულის, და ისიც მჯერა, რომ ჩემი ეს დაჟინებული სურვილი და ურყევი რწმენა შენს სნეულებას დაამარცხებს.

და, აკი უკეთაც ხარ!

დია... ჩემო დია!...“

კორიდორში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაცები გარბოდნენ და გამორბოდნენ.

მერე ხმამაღალი ლაპარაკიც გაისმა.

დიამ გურამის წერილის კითხვა შეწყვიტა და ხმაურს მიაყურა.

ცოტა ხნის შემდეგ მის პალატაში მორიგე ექიმმა შემოიხედა. ნამტირალევ თვალებს ცხვირსახოცით იწმენდდა და სლუკუნებდა.

— შეიძლება? — იკითხა და თან თვალი მოავლო იქაურობას.

— მობრძანდით. — უპასუხა დიამ და ლოგინზე წამოიწია.

რაკი დია მარტო იყო, შემოსულმა მეტი თავისუფლება იგრძნო, საწოლთან ახლო მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— ბატონი მირიანი მოიყვანეს, თქვენი დირექტორი.

— მირიანი?

— ჰო, იმასაც... — მორიგე ექიმს ქვითინი წასკდა.

— იმასაც სახადი შეეყარა?

— ჰო, იმასაც თქვენი ავადმყოფობა შეჰყრია და ახლა მე ვეწირები...

— შენ რათა? შენ რა შუაში ხარ?

— ჩემი მორიგეობის დროს გინახულა. შენს პალატაში ისე შემოსულა, მე არ შემიტყვია. მე და მთავარი ექიმი რომ მოვედით, უკვე აქ იყო.

— მე რომ არაფერი გამიგია?..

— შენ მაშინ სიცხით იყავი გათანგული და რას გაიგებდი. ალბათ, ვერც ხელს ჩამოართმევდი და არც სხვა რაიმე კონტაქტი გექნებოდა.

— არავითარი. ხომ გითხარით, მისი არც მოსვლა გამიგია და არც წასვლა.

— მთავარი ექიმი მაშინვე დამემუქრა, ეს შენი უპასუხისმგებლობითა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით მოხდა ინფექციურ ავადმყოფთან მნახველის უნებართვოდ შემოსვლაო; მერე როგორი მნახველის, რაიონში რომ გავლენიანი კაციაო! დამემუქრა, თუ სკოლის დირექტორს რაიმე დაემართა, პასუხს შენ აგებო. ახლა, მირიანიც რომ აქ მოიყვანეს, მთავარმა ექიმმა გამომიცხადა, მოხსნილი ხარო.

ექიმმა სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და აზლუქუნდა.

— დაწყნარდით... დამშვიდდით, გეთაყვა...

— რამ უნდა დამამშვიდოს, რა მეშველება!

— გეშველება, უფროსი ცხელ გულზე გეტყოდა, გადაუვლის და... თვითონ მირიანს შეეხვეწე, მან სთხოვოს.

— მირიანთან თუ თქვენ მიშუამდგომლებთ.

— მე? — დაიბნა დია, — მე კი ვთხოვდი, მაგრამ სანამ მე ვნახავ...

— წერილი მიმიწერეთ, პატარა ბარათი, სულ ორიოდე სიტყვა. შეეხვეწე, ჩემი ბავშვების ცოდვაში ნუ ჩადგება. ოღონდ ახლა გადამარჩინე და, როგორც გსურდეს, მიმსახურე, — ექიმი მუხლზე დაეცა, ქვითინებდა და ევედრებოდა.

შებრალა დიას უდანაშაულო ქალი, რომელმაც ღამეები უთია და, რომლის თავდადებამაც სასიკვდილოდ გ[illegible]ე-ბული მოამჯობინა.

— დამშვიდდი, ნუ ტირი, ძალიან მიჭირს, მაგრამ შენგან ისე ვარ დავალებული, უარს ვერ გეტყვი... მომეცი ეგ ფანქარი და ბლოკნოტი.

ექიმი წამოხტა და მიაწოდა.

სიკვდილივით არ უნდოდა დიას მირიანისთვის წერილის მიწერა, მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდა.

დიდხანს იფიქრა და ძალიან ეცადა, წერილი მხოლოდ საქმისათვის აუცილებელი სიტყვებისგან შეედგინა:

„ბატონო მირიან!

ძალიან შემაწუხა თქვენმა ავადმყოფობამ.

ექიმი, რომელმაც მე გადამარჩინა და რომელიც თქვენი მკურნალიც იქნება, განსაცდელშია.

გთხოვთ, მოუსმინოთ და დაეხმაროთ.

მაპატიეთ შეწუხება.

პატივისცემით დია".

როგორც კი დაცარიელდა მირიანის პალატა და ავადმყოფი მარტო დაიგულა, თვალცრემლიანი ექიმი ფეხაკრეფით შევიდა და დირექტორს დიას წერილი გადასცა.

მირიანმა წერილი რამდენიმეჯერ გადაიკითხა. არ სჯეროდა, რომ დია სწერდა, ქალი, რომელიც ხეირიანად არასოდეს გამოლაპარაკებია და რომლის ბარათი კი არა, ღიმილიანი სალამიც მისთვის სანატრელი იყო.

ისე რას უნდა გაეხარებინა მირიანი, როგორც ამ წერილმა გაახარა!

რაკი წერილს სწერს, ალბათ, რაღაც სიახლოვესაც გრძნობს მისდამი. აკი უტყდება, ძალიან შემაწუხა შენმა ავადმყოფობამო! ჰოდა, თუ ასე არი, იქნებ მაშინაც ყველაფერი გაიგო და თავი განზრახ მოიმძინარა!

მირიანს ექიმი ქალის ქვითინი ჩაესმა და გამოერკვა.

— პირადად გადმოგცა? — იკითხა და ბარათი ჰაერში აიფრიალა.

— პირადად. ეს წუთია, თავისი ხელით დაწერა.

— როგორ არი? თავს როგორ გრძნობს?

— კარგად, ბატონო მირიან! მალე ფეხზე ადგომის ნებას მივცემთ.

— კარგია... კარგია... ახლა ის მიამბე, შენ რა გაჭირვება გაქვს და რით უნდა დაგეხმარო.

ექიმმა დაწვრილებით უამბო თავისი გასაჭირი.

— დიამ თუ შეიტყო, მე რომ ვინახულე? მაშინ ეძინა და მგონი არც გაუგია ჩემი მისვლა.

— მაშინ გაიგო თუ არა, მაგას ვერ გეტყვით, ბატონო, მაგრამ ახლა კი იცის ჩვენგან, რომ ექიმების უნებართვოდ იყავით მის პალატაში.

— ხომ არ სწყენია, თუ შეატყვეთ?

— არა, ბატონო. რატომ უნდა სწყენოდა თქვენისთანა სახელოვანი კაცისაგან ყურადღების გამოჩენა, ის კი არა, მე მგონია, გაეხარდა და ეამაყება კიდეც.

მირიანს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

არა, რომ სწყენოდა, წერილს როგორღა მისწერდა! ალბათ, არც მაშინ ეძინა ისე უგრძნობლად და ნამდვილად გაიგო, როგორ ხარბად კოცნიდა გონებადაკარგული მის გულმკერდს. აკი წამით გაახილა კიდეც თვალი!

მირიანი კარგ გუნებაზე დადგა. ექიმს გაუღიმა და სხვათა შორის ჰკითხა:

— სხვა ხომ არაფერი დაუბარებია?

— არაფერი, — დაიბნა ექიმი, — მოკითხვა და სალამი დამაბარა. ძალიან შეწუხდა, თქვენი ავადმყოფობა რომ შეიტყო. მაგრამ ისიც შევატყვე, თქვენი აქ დაწოლა რომ გაეხარდა.

მირიანს ექიმი ქალის ენაგაკრეფილობა არ მოეწონა და მაშინვე შუბლი შეიკრა.

ქალი შეშინდა, მეტისმეტი ხომ არ მომივიდაო, დაიმტერა და ნათქვამს განმარტება მიაყოლა:

— ბუნებრივია, გაეხარდებოდა, მალე წამოდგება და დამლაპარაკებელი, ხმის გამცემი ეყოლება, [illegible] ისიც თქვენსავით ახლობელი.

მირიანმა ენაჭარტალა ქალთან ამ თემაზე საუბრის შეწყვეტა არჩია და ცივად უთხრა:

— მთავარ ექიმს სთხოვეთ.

— უი, არა, ბატონო მირიან! ჩემი თანდასწრებით არ დაუძახოთ და არც სთხოვოთ, თქვენი ჭირიმე!

— კარგი... კარგი... ალბათ, მალე თვითონ შემოივლის და მაშინ ვეტყვი. დასჯას გიპირებს ნამდვილად?

— სამსახურიდან მოხსნას მიპირებს იმის გამო, რომ მაშინ დიას სანახავად თქვენი მოსვლა ვერ გავიგე.

— ვიცი... ვიცი... დამშვიდდი და დიასაც გადაეცი, რომ მის თხოვნას სიამოვნებით შევასრულებ.

მირიანმა იმავე ექიმის პირით დიას რამდენჯერმე შეუთვალა, მნახე, სანამ გონებაზე ვარო.

მირიანისაგან დიდად დავალებული ექიმი თავის მხრივ სულ აქეზებდა დიას, შედი და ნახე, შენი დირექტორია და ვინ რა უნდა თქვას, კიდეც რომ გნახონ მის პალატაში, სკოლის ექიმი ვალდებულიც ხარო. თან იმას უმატებდა, როგორც სიცხე აუწევს და ბოდვას იწყებს, სულ შენს ხსენებაშიაო.

ყოყმანობდა დია, უჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ უარიც აღარ ეწყობოდა.

აქ კი არა, გარეთ რომ ყოფილიყო, მაშინაც ვალდებული იქნებოდა, ავადმყოფი დირექტორი მოენახულებინა.

საღამო ხანს მიაკითხა, როცა მორიგე ექიმის მეტი აღარავინ ეგულებოდა განყოფილებაში.

მირიანს არ ეძინა.

სიცხისაგან წამოგზნებული სახე მის დანახვაზე კიდევ უფრო აელეწა, თვალებში შუქი ჩაუდგა და ერთბაშად მოცოცხლდა.

— სადა ხარ, დია, შენს მოლოდინში თვალები ამომიღამდა.

დია კართან აპირებდა ჩამოჯდომას.

მაგრამ მირიანმა სასთუმალთან ანიშნა.

— თუ ქალი ხარ, ახლოს დაჯექი, ჩუმად სათქმელი მაქვს.

დია ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ შეჰბედა და სასთუმალთან ახლო დაეშვა სკამზე.

— როგორა ხართ, ბატონო მირიან? თავს როგორ გრძნობთ?

— მე რაღა მიშავს, რაკი შენ ხარ კარგად, — შეჰღიმა მირიანმა და ხელი ხელზე დაადო.

სიცხისაგან გავარვარებული ხელის შეხებამ მთელ ტანში მოუკიდა ცეცხლი დიას.

თითქოს სცადა კიდეც ხელის წართმევა, მაგრამ მირიანმა რომ ხელი უფრო მოუჭირა, დანებდა და გაიტრუნა.

— ალბათ, არ იცი, დია, რომ ამ საავადმყოფოში შენმა სიყვარულმა მომიყვანა.

დიამ ხელის გამოტაცება და წამოხტომა მოინდომა, მაგრამ მირიანმა მეორე ხელიც მოიშველია, მხარზე დაადო და შესთხოვა:

— იჯექი და მომისმინე აღსარება. თურმე ორივენი ავად უნდა გავმხდარიყავით, რომ ამდენ ხანს საიდუმლოდ ნატარები გრძნობა გამემხილა შენთვის. ალბათ, გეცოდინება, როგორ გავხდი ავად, მაგრამ ის კი არ იცი, რომ სახადი დიდი ხნის ნატვრის ასრულებით დავიმართე: შენს პალატაში ქურდივით შემოპარულმა დაგიმარტოხელე, გონება დავკარგე, სახადიც დავივიწყე და შესაძლებელი სკანდალიც, მუხლებზე დავეცი და გულმკერდი დაგიკოცნე.

— რას ამბობთ, არავინ გაიგონოს! — ისევ სცადა დიამ ხელიდან დასხლტომა, მაგრამ ვაჟკაცის ხელებმა კიდევ უფრო მაგრად შებოჭა.

— იმწამს, აღარც თავი მახსოვდა და აღარც სხვა რამ ძალა იყო, რომელიც გონს მომიყვანდა და შენს მკერდს ამაგლეჯდა. სახადით კი არა, მეხის დაცემით რომ დამმუქრებოდნენ, ალბათ, ამდენი ხნის ოცნებაზე — შენს ალერსსა და კოცნაზე ხელს ვერ ამაღებინებდნენ.

დია ცახცახებდა. ხან რომ ბრაზი აიტანდა, ხანაც საოცრად მომვებული ინაბებოდა და მირიანის ალერსით მოგვრილი სიამე დაუსრულებლად უხდოდა განეცადა.

— შენ ექიმი ხარ და იცი, ინფექცია ასეთი უშუალო კონტაქტით გადადის. ავად რომ გავხდი, ის მახარებდა, აქ, შენს ახლოს ვიქნებოდი, შენთან ყოფნისა და საუბრის საშუალება მომეცემოდა, ბოლოს და ბოლოს, გავბედავდი და გულისნადებს გაგიმხელდი. როგორც იქნა, ასრულდა და გავბედე. მე აქედან ცოცხალი არ გავალ, თუ შენს თანხმობას არ მივიღებ. მე უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია.

მირიანი დიას კალთაზე დაემხო და ღედაკაცივით აქვითინდა.

— არც ქმარს, არც დედას, არავის ისე არ ეყვარები, როგორც მე მიყვარხარ! არავისთვის ისე საჭირო არა ხარ, როგორც ჩემთვის.

— გეყოფათ! გონს მოდით! გრცხვენოდეთ!

დიამ ძალ-ღონე მოიკრიფა, მირიანს მუხლები გამოაცალა, ერთიანად ანთებული წამოხტა და პალატიდან გავარდა.

ის დღე იყო, და, დიას მირიანის პალატისკენ აღარ გაუხედავს. როგორ არ უტრიალა ექიმმა ქალმა, საიდან არ სცადა შემოვლა და ყინულის გალღობა, მაგრამ გაკერპებული დია შეუვალი და მიუდგომელი იყო.

დიას იმისა ეშინოდა, ეგრე გაოგნებულმა მირიანმა კიდევ არ აიღოს თავზე ხელი და რაიმე სასკანდალო არ ჩაიდინოსო. თან ისიც აფიქრებდა, ვაითუ საავადმყოფოდან ხმა გავიდეს და გურამმა ეჭვი აიღოსო. ატყობდა, საავადმყოფოში დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

უკვე განკურნებული იყო, მთავარი ექიმისგან ნებართვა ითხოვა და ისე ჩუმად გაიპარა, მირიანს კი არა, მის მესაიდუმლე ექიმ ქალსაც არ შეუტყვია მისი წასვლა.

საავადმყოფოდან გამოსულ დიას ქმრისადმი სიყვარული და პატივისცე-

მა კიდევ უფრო მოემატა. მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რაც საავადმყოფოში გადახდა და რაც მარტო მან და მირიანმა იცოდა.

ქმრისათვის გამხელა ვერ გაებედნა, არადა, სინდისი ქენჯნიდა, რომ ქმრის გაუნდობლად, ამდენხანს ინახავდა საიდუმლოს, რომელიც ქმრის ღირსებასაც ისევე ეხებოდა, როგორც თავად მას.

გრძნობდა, რომ ეს თითქმის ღალატს უდრიდა, მაგრამ გურამისთვის ალსარების თქმის ნებას ისევ გურამზე ზრუნვა არ აძლევდა.

გურამი თავმოყვარე ვაჟკაცი იყო, მირიანს თავხედობას არ აპატიებდა და, ვინ იცის, რა ხიფათსა და ფათერაკს გადაჰყროდა.

ერთგულ ქმარს სულ თვალში შესციცინებდა. ოდნავ უგუნებობას რომ შეამჩნევდა, იმის შიშით კრთოდა, ეჭვი ხომ არ აილო, ან ჭორი ხომ არ მიუტანესო.

მაგრამ ჯერჯერობით არც ხმა რამ იყო გამოსული საავადმყოფოდან და არც გურამს ეცალა ეჭვიანობისათვის.

საყვარელი ცოლის გამოჯანმრთელებამ სიცოცხლის სიხარული და მუშაობის სურვილი გაუორკეცა. თავაულებლად შრომობდა ველზე და მაგიდასთან და თავის თავზე ბედნიერი ქვეყნად არავინ ეგულებოდა.

მირიანის აჩრდილი ერთ წუთს არ სტოვებდა დიას. როგორც ამბობდნენ, დირექტორი საავადმყოფოდან მალე უნდა გამოსულიყო და სკოლას დაჰბრუნებოდა.

იმ დღის მოლოდინი ძილს უკრთობდა და გულში შიშს უნერგავდა: ვაითუ კვლავაც განაგრძოს საავადმყოფოში დაწყებული, ისევ დაკარგოს თავშეკავების უნარი და ქვეყანას გააგებინოს ის აზირებული საიდუმლო, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ორმა იცის!

რამე უნდა ილონოს დიამ, ისეთი რამ უნდა მოიგონოს, რაც მირიანს სამუდამოდ გაუქრობს მისი დაუფლების იმედს და გულს აუყრის მასთან შეერთების ოცნებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი! შვილი!

შვილი უნდა გააჩინოს დიამ, რომ ქმარსაც კიდევ უფრო მიეჯაჭვოს და მირიანის თავხედ ოცნებასაც ფრთები შეაკვეცოს.

ეს აზრი ერთადერთ ხსნად დასახა, თავისა და ოჯახის ღირსების დაცვის ამ ერთადერთ შესაძლებლობას ჩაეჭიდა და ცოტა დამშვიდდა.

ბავშვის გაჩენა, ოჯახში ახალ სიხარულს მოიტანს, ცოლ-ქმრის ურთიერთსიყვარულს ახალ ძალას შეჰმატებს.

ის ახალი არსება დედასაც ფარად დაუდგება და დიასა და მირიანს შორისაც კედლად აღიმართება.

მირიანი განიკურნა.

საავადმყოფოდან გამოსული, მუშაობას მაშინვე არ შესდგომია, ერთხანს შინ ისვენებდა და ჯან-ღონის აღდგენაზე ზრუნავდა.

დია ზოგჯერ ეზოში ან აივანზე მოჰკრავდა თვალს გამხდარსა და სნეულებისაგან დასუსტებულ დირექტორს, გული შიშით შეუქანდებოდა და ფერს ჰკარგავდა. მაშინვე პირს იბრუნებდა და თავს ძალას ატანდა, რომ იქით აღარ გაეხედა.

მასწავლებლები ყოველდღე აკითხავდნენ მარტოხელა მირიანს, ზოგს ძღვენი მიჰქონდა, ზოგი სახლს ულაგებდა და ზოგიც საუბრით ართობდა.

— ჩვენ არ უნდა ვინახულოთ შენი დირექტორი? სხვა რომ არა, სკოლის ექიმი ხარ და სხვაზე მეტად ვალდებული, — იკითხა ერთ დღეს გურამმა.

— მე ბავშვების ექიმი ვარ და ამდენად არც ვალდებული ვარ, — ცივად თქვა დიამ.

— მაინც უხერხულია, მისი თანამშრომელი ხარ, ერთხელ რომ მაინც არ ნახო, ეწყინება და სხვებისთვისაც სალაპარაკო შეიქნება.

— ვინახულოთ. ციცინოსა და შიოს ვეტყვი და ერთად ვესტუმროთ, — დაეთანხმა დია და, ქმარს რომ მის სა-

ხეზე ავარდნილი ალი არ დაენახა, მეორე ოთახში გავიდა.

სტუმრობა როგორღაც ცივი და ოფიციალური გამოვიდა.

დიამ ხელი ცივად ჩამოართვა და მირიანიც თავშეკავებულად მიესალმა.

საუბარიც როგორღაც ვერ აეწყო და, როგორც კი ციცინომ გაიწია ოჯახის მისახედავად, დიაც მაშინვე წამოდგა და გაჰყვა.

დარჩა სამი კაცი, უქალებოდ.

მირიანმა სუფრის გაწყობა დააპირა, მაგრამ შიომ არ დაანება.

— აგერ ხილია და, ცოტა სასმელსაც თუ მოიტან, სხვა არა გვინდა რა, — თქვა შიომ და ხილით სავსე სინი სუფრაზე გადმოდო ღია თახჩიდან.

მირიანმა ხილის ნაყენით სავსე გრაფინი შემოდგა და სტუმრებმა მისი გამოჯანმრთელება დალოცეს.

უყურებდა გურამს მირიანი და მის ავ-კარგს წონიდა:

გურამს დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ცოტა მოსაწყენი და ერთფეროვანი ეჩვენა. ადამიანებთან დამოკიდებულებაში იმდენი სითბოს გამოჩენა არ შეეძლო, რომ ვინმეს გული თავისკენ ადვილად მიეზიდა და მასთან ყოფნა მონატრებოდა. მას სულ არქეოლოგიასა და ისტორიაზე უნდოდა საუბარი. მაგრამ ნუთუ ლამაზ ახალგაზრდა ქალს მარტო ისტორიით ან სხვა მეცნიერებით მოხიბლავდა?! სხვები თავიანთ ცოლებს მოსკოვსა და ლენინგრადში დაატარებდნენ და სახელგანთქმულ კურორტებზე ასვენებდნენ. გურამის ცოლი კი თბილისს იქით არსად ყოფილა და ზაფხულსაც ველზე ატარებდა პაპანაქება სიცხეში, ძველ სამარხებსა და ადამიანთა ჩონჩხებს შორის.

გურამს იუმორის გრძნობაც არ უნდა ჰქონდეს, იშვიათად იცინის და მაგის ნათქვამით გაცინებული კაცი არ მინახავს. სიმღერა მაგან არ იცის და ანეგდოტის მოყოლა. მათ სახლში, ალბათ, სიცილ-კისკისი იშვიათობაა და დრო უფრო თავჩაღუნულ შრომასა და მეცადინეობაში გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სულ შრომა ახალგაზრდა ლამაზ ქალს კი არა, სახედარსა და ხარს ბეზრდება.

განა მირიანი დიას მოაწყენდა?

დია რომ მირიანის ცოლი ყოფილიყო, ცხოვრებას ლხინსა და მხიარულებაში ისე გალევდა, მოსაწყენად ვერ მოიცლიდა.

მაგრამ ბედი ბრმა არი და ისე კვანძავს ადამიანების გზებს, ფერი-ფერს იშვიათად ხვდება.

იცის კია, გურამმა დიას ფასი?

აფსუს, მადა ვისა აქვს და ფლავი ვის უდგას!

მირიანს ერთი ისეთი ოხვრა აღმოხდა, სტუმრებმა შეშფოთებულებმა შეხედეს.

— დაგღალეთ, მირიან, — ფეხზე წამოდგა შიო, — შენ დასვენება გჭირდება, ახლა წავალთ და მალე კიდევ მოგინახულებთ.

— სხვა დროსაც გინახულებთ, ახლა კი დაისვენეთ, — დასძინა გურამმაც!

წამით გათიშული მირიანი უცებ გამოერკვა და ფეხზე წამოდგა.

— მინახულეთ, თორემ მარტო ვარ და გამოვყრუვდები, — თქვა მწარედ გაღიმებულმა, სტუმრებს შუაში ჩაუდგა და ჭიშკრამდის მიაცილა.

მიდიოდნენ სტუმრები თავთავიანთ სახლებისკენ და მირიანი შურით აყოლებდა თვალს.

ერთსაც და მეორესაც შინ ცოლის ალერსი და ოჯახის სითბო ელის; მხოლოდ მირიანია მარტოხელა და მიუსაფარი. ცხოვრება თითქმის თავდება და მან ჯერ არც ცოლის ალერსი იცის, არც შვილის სიყვარული. მუდამ სხვათა კარზე, სხვათა ოჯახებსა და რესტორნებში გამუდმებულმა ქეიფმა დაღალა, სულიერად გამოფიტა კაცი.

რა ბედნიერი იქნებოდა მირიანი, ის რომ მიდიოდეს ახლა გურამის მაგივრად იმ სახლისკენ, სადაც დიასახლისი დია არის! როგორ აიტაცებდა ხელში კართან გამოგებებულს და როგორი

ვნებით დაუკოცნიდა მაცდუნებლად მოქუქუნე თვალებს!

ვაგლახ! ბედი ბრმა არი და როდემდის უნდა უცადოს მირიანმა მისკენ წყალობის თვალით იმ ბრმის მოხედვას?!

მირიანმა ერთხელ კიდევ ღრმად ამოიოხრა და სახლისკენ შებრუნდა, სადაც მარტოობა, სიჩუმე და სიცარიელე ელოდა.

ქმრის ალერსში ჩაძინებულმა დიამ სიზმარი ნახა: თითქოს მოკვდა და უნდა დაასაფლავონ.

ერთმანეთისკენ მიმართულ ორ ქვევრში, ერთ დროს რომ გურამმა დახატა, დიაზე ადრე გარდაცვლილი მირიანი და გურამი განისვენებენ.

დიას ქმართან ერთად, ერთ ქვევრში უნდა საუკუნო განსასვენებლის დასაკუთრება, მაგრამ ჭირისუფლები განზე გამდგარან, არც მხარს უჭერენ და არც წინააღმდეგი არიან.

— ეს საკითხი თავად დირექტორმა გადაწყვიტოს, დია მისი ხელქვეითიაო, — მოჭრა რაიონიდან ჩამოსულმა ხელმძღვანელმა და დავაც ამით დასრულდა: მირიანი ქვევრიდან გამოვიდა, დიას ხელი ჩასჭიდა და თავის განსასვენებლისკენ გააქანა.

დია არ მიჰყვება, იხვეწება, ჩემს კანონიერ ქმართან დამმარხეთ, დირექტორთან რა მინდაო, მაგრამ კაციშვილს არ ესმის მისი მუდარა.

იქ მყოფთაგან რომ არავინ გამოესარჩლა, დიამ მუხლზე დაიჩოქა და მირიანს შეევედრა:

— ჩემ ქმართან დამმარხეთ, ცოცხალიც მასთან ვიყავი და მკვდარიც მას ვეკუთვნიო.

— იმას ისიც ეყოფა, ცოცხალი რომ ეკუთვნოდი. მე სიცოცხლეში არ მეღირსა შენთან ყოფნა და მკვდარს მაინც არავის დავუთმობ შენს თავსი, — შესძახა მირიანმა, დიას ხელი დაავლო და გააქანა.

დია ხელ-ფეხს აფხარკალებს, ცდილობს თავი დაიხსნას, მირიანის მკლავებისაგან. ბევრი იწვალა, მაგრამ ღონიერ მამაკაცთან ვერაფერს გახდა.

ბოლოს, სასოწარკვეთილი ქალი კბილებით დააცხრა მირიანის ხელს და მწარედ უკბინა.

მირიანი ტკივილისაგან დაიღმიჭა, წამით შეეშვა დიას და ქალი მაშინვე ხელიდან გაუსხლტა.

უკანასკნელი ძალა მოიკრიფა დიამ და იმ ქვევრს მიაწყდა, სადაც გურამი ეგულებოდა.

მუხლზე ჩაკეცილმა ქვევრს ხელი დაუშინა და ჩასძახა:

— გურამ! მიშველე, გურამ!

შენჯღრევამ და ჩაძახილმა გურამი გამოაღვიძა და დიამაც თვალი გაახილა.

— რა იყო? რა მოხდა?

— არაფერი... არაფერი... ცუდი სიზმარი ვნახე.

— რა სიზმარი? სიზმარმა ეგრე როგორ დაგაფრთხო?

— ვითომ მოვკვდი, გურამ და შენთან არ მმარხავდნენ.

— მე უკვე დამარხული ვიყავი? — ხუმრობის გუნებაზე დადგა გურამი.

— ჰო, შენ უკვე დამარხული იყავი, დიდ ქვევრში.

— რაო? ქვევრში?

— ჰო, ეტყობა, იმ დროში დავიხოცეთ, როცა მიცვალებულებს ქვევრში მარხავდნენ.

— ეგ უკვე არქეოლოგიით ჩაგონებული ფანტაზიაა, ჩემო კარგო.

— შენთან დამარხვას მოვითხოვდი და ამ თხოვნას არ მისრულებდნენ. შენ შენი ქვევრიდან უყურებდი, როგორ მიმათრევდნენ სხვა ქვევრში დასამარხავად, ხმას არ იღებდი და საშველად ხელს არ მიწვდიდი.

შენმა გულგრილობამ გული მატკინა, შენს ქვევრს ხელი დავუშინე, გურამ, გურამ-მეთქი, ჩაგძახე და თურმე ლოგინში განჯღრევდი ხელით.

დიამ შუბლზე ჭირის ოფლი მოიწმინდა. მირიანის ძალადობაზე კრინტიც არ დაძრა, ქმრის შემოჭდობილ მკლავებს მინებდა და გაინაბა.

— ეს იცოდე, შენ თავს არც ცოცხა-

 

ლი დავუთმობ ვისმე და არც მკვდარი! მაგრამ საიდან გეწვია ეს უცნაური სიზმარი?! რა დროს სიკვდილზე და დამარხვაზე ფიქრია, როცა...

— გურამ! — ჩურჩულით გააწყვეტინა დიამ, სახე რომ მოერიდებინა, თავი ვაჟის მკერდში ჩამალა და კდემით თქვა:

— ორსულადა ვარ, გურამ და აქამდე ვერ გიტყდებოდი.

— რას ამბობ, დია, — ლოგინზე წამოიწია გურამი, — როგორ გამახარე, შენ გენაცვალე!

— განა დრო არ არის? შენი ორეული — პატარა გურამი გაჩნდება და, კიდევ უფრო ბედნიერები ვიქნებით!

— ჩვენზე ბედნიერი ქვეყნად არავინ იქნება!

კვერი დაუკრა აღფრთოვანებულმა გურამმა, ცოლს კიდევ უფრო მაგრად მოხვია მკლავები და რაღაც განსაკუთრებულად, ჩვეულებრივზე სათუთად ამოუკოცნა თვალები.

სკოლიდან მობრუნებულმა მირიანმა, ის იყო, თავისი ჭიშკარი შეაღო და ნაცნობი ხმა მოესმა:

— ბატონო მირიან!

მირიანი შეჩერდა. მისკენ ვალერიანი მოდიოდა. ცალ ხელში განუყრელ ყავარჯენს მოათამაშებდა, მეორეში გატენილი პორთფელი ეჭირა.

— ოჰ, ბატონო ვალერიან! აქეთ სად ყოფილხართ?

— თქვენთან მოვდივარ სტუმრად.

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა!

— აი, თქვენი ეგ სიტყვა მომწონს! მაგ ბრძნულ ნათქვამში ჩვენი ხალხის კეთილშობილი ტრადიციაც არის გამოხატული და ღვთის სარწმუნოებაც... სკოლაში მინდოდა მენახეთ, მაგრამ ფეხად გამომასწარით და გავბედე, ბინაზე გხლებოდით.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით.

მირიანმა სტუმარი ჭიშკარში გაატარა და თვითონ უკან მიჰყვა.

— საავადმყოფოშიც მინდოდა მენახეთ, მაგრამ ინფექციურში მნახველებს არ უშვებენ. მადლობა ღმერთს — უკვე კარგადა ხართ და მუშაობასაც შეუდგომიხართ.

— კი, უკვე ერთი კვირაა სკოლას დავუბრუნდი... აქეთ მობრძანდით, ბატონო ვალერიან.

მირიანი კიბისკენ წაუძღვა და აივანზე ავიდნენ.

— მშვენიერი ხედი გქონიათ!

— ჰო, კარგია... დაბრძანდით, ბატონო ვალერიან.

ვალერიანი დაჯდა, პორთფელი გახსნა და ჟურნალ-გაზეთები ამოალაგა.

— ეს ჟურნალ-გაზეთები შენ მოგიტანე, ზოგი რამ, ალბათ, დაგაინტერესებს, გადახედე და გამოიყენე.

— ოო, დიდი მადლობა, ბატონო ვალერიან, დიდი მადლობა!

მირიანმა ჟურნალების თვალიერება დაიწყო.

— ეგ მერე ათვალიერე, დაგიტოვებ. ახლა კი საქმეზე მინდა გელაპარაკო.

— ჰო, კი ბატონო. ბრძანეთ.

მირიანმა ჟურნალ-გაზეთები გადადო და სმენად იქცა.

— სკოლაში ამისათვის მოვედი, ერთი წინადადებით მინდოდა შემოვსულიყავი... რამდენიმე გაკვეთილი მინდოდა გადამეცა უფროს კლასებში.

— რომელ დისციპლინაში?

— ისტორიაში. მაგრამ მე ისტორიის სწავლება კი არ მინდოდა, საერთოდ, უფრო რელიგიის ისტორიის და, კერძოდ, ჩემი ახალი მოძღვრების გაცნობა მეწადა მოწაფეებისათვის.

— სამწუხაროდ, ერთი საათიც არა გვაქვს თავისუფალი. ისტორიას ჩემი მოადგილე შიო სამხარაძე ასწავლის და ისიც არ არი მთლიანად დატვირთული. თვითონ მეც ისტორიკოსი ვარ და იმის გამო, რომ საათები არ გვყოფნის, არც ერთი გაკვეთილი არა მაქვს.

— ცუდია... მე მეგონა, გამომიყენებდით.

— საშუალება რომ გვქონდეს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გამოგიყენებდით.

— იქნებ ფაკულტატურად წამაკითხოთ ჩემი კურსი, სავალდებულო გაკვეთილების შემდეგ, შრომის აუნაზღაურებლად.

— ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს. ის, რაც პროგრამაში არ არის, სკოლაში არ ისწავლება, და ეს სულაც არ არი დამოკიდებული შრომის ანაზღაურებაზე.

— საწყენია... საწყენია, მაგრამ რა გაეწყობა.

— დაამთავრეთ, ბატონო ვალერიან მუშაობა?

— ჯერ არა, მაგრამ სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულებულია.

— საინტერესოა! როგორ ათანხმებთ ერთმანეთს საწინააღმდეგო მოძღვრებებს.

— ერთიმეორის საწინააღმდეგოდ პირველად გეჩვენებათ, შორიდან, საქმეში ჩაუხედავებს. ახლო რომ დააკვირდებით და შეისწავლით, არც იმდენი განსხვავება და დაუძლეველი წინააღმდეგობაა.

უპირველეს ყოვლისა მე მოვახდინე უმთავრესი რელიგიების ძირითადი ცნებების კლასიფიკაცია. ბევრი მათგანი ერთმანეთს ემთხვევა და, არსებითად, აზრობრივად იმეორებს.

ყველა მონოთეისტური რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, ყოვლის მპყრობელს, ცათა და ქვეყანათა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა შემოქმედს. ამ რელიგიების მცნებათა უმრავლესობაც არსებითად ერთიმეორეს ავსებს და იმეორებს. ხოლო იქ, სადაც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ურთიერთს გამორიცხავენ, გარდამავალი საფეხურები დაიძებნა. ეს ის რელიგიებია, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებების მიმართ საშუალო პოზიციაზე დგანან, ამ წინააღმდეგობებს არბილებენ და ერთგვარ წინაპირობებს ქმნიან ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად. მაგრამ ეს სამუშაო აუთავებელია, ბევრ დროსა და ენერგიას თხოულობს, მე კი აღარც ერთი მაქვს და აღარც მეორე. ბოლო დროს იმაზე ვფიქრობ, დამხმარე ვინმე გავიჩინო, თანამოაზრე, რომელიც მხარში ამომიდგება და ჩემს საქმეს განაგრძობს უჩუმრად, მე რომ აღარ ვიქნები. ეს დრო კი შორს აღარ არი, სიკვდილის მოახლოებულ სუსხს ვგრძნობ, მირიან, და არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, ჩემი მისია ვერ შევასრულო.

აი ახლაც, შენ რომ გესაუბრები, სიკვდილზე ფიქრი არ მშორდება, დაღლილობა მერევა და ტკივილმა ლამის თავის ქალა ამხადოს, ო, როგორ მომწყინდა სიცოცხლე!

— რათა, ვალერიან ბატონო? ამოდენა საქმით, ახალი რელიგიის შექმნით გატაცებულ შემოქმედს, სიცოცხლე როგორ უნდა მოგწყინდეს, ან სადა გაქვთ ამაზე ფიქრის დრო!

— ერთადერთი ეგ გატაცებაღა მაკავშირებს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან და ეგეც რომ აღარ იყოს, აქამდე ვაქცევდი ზურგს ჩემს მიერ უკვე მოძულებულ სიცოცხლეს. ჰო, რა ბედნიერები არიან ისინი, ვინც ამ ქვეყნიდან ადრე წავიდნენ, ისე რომ თავიანთ რწმენაზე გული არ გასტეხიათ, ცხოვრების განვლილი გზა შემცდარად და გამრუდებულად არ უცვნიათ და ჩადენილი, გამოუსწორებელი შეცდომები არ დაუგმიათ და არ უნანიათ.

ვალერიანი გაფითრდა, შუბლზე ოფლმა დაასხა.

— ცუდად ხომ არა ხართ, ბატონო ვალერიან? — შეშფოთდა მირიანი, — აგერ წამოწექით, ტახტზე, ახლავე წყალს მოგიტანთ.

— არა, წყალი საჭირო არ არი. ტახტზე კი ცოტა ხანს წამოვწვები. ვალერიანი ტახტზე გაიშოტა.

— უკაცრავად, მირიან... სულ ცოტა ხნით და, გამივლის.

— საბოდიშო რა არი, ბატონო ვალერიან. იწექით. მე ექიმს დავუძახებ. სკოლის ექიმი აქვე ცხოვრობს:

„სკოლის ექიმის“ თქმა და მირიანის გულის შექანება ერთი იყო.

რამ გაახსენა დია, როგორ უნდა დაუძახოს სახლში, და რა გარანტია აქვს, რომ მოვა?!

— არავითარი ექიმი! — იყვირა ვალერიანმა და კალთაზე წაავლო ხელი მირიანს, — ექიმი საჭირო არ არი. ახლავე გამივლის... თუ კაცი ხარ, დაჯექი... ახლავე გამივლის, ასე იცის...

მირიანი სკამზე ჩამოჯდა. თვალს არ აშორებდა თვალმიხუჭულ ვალერიანს, გრძლად და მძიმედ რომ სუნთქავდა.

ხუთიოდე წუთი ასე გავიდა.

— როგორა ხართ, ბატონო ვალერიან? — იკითხა მირიანმა.

ვალერიანმა თვალი უცებ გაახილა.

— კარგად! — წამოიძახა და ტახტზე წამოიწია.

— გადამიარა... კარგადა ვარ, — მირიანის გასამხნევებლად გაიღიმა და წამოდგა.

— იწექით, ბატონო ვალერიან, სად მიდიხართ?

— არა, წავალ... უკვე კარგადა ვარ.

— ასე როგორ გაგიშვათ... დაწოლილიყავით, დაგესვენათ.

— არა, საჭირო არ არი... ბოდიში შეწუხებისათვის... ნახვამდის მირიან...

— ნახვამდის, მაგრამ...

— დარდი ნუ გაქვთ, კარგადა ვარ. აბა, წავედი... მაგ ჟურნალ-გაზეთებს რომ გადაათვალიერებთ, დამიბრუნეთ და ახალს მოგცემთ. ნუ დამივიწყებთ...

— თქვენ როგორ დაგივიწყებთ!

— ჰოდა, კარგად იყავი... კიოსკში შემოიარე!

— უსათუოდ...

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

მირიანი თვალს აყოლებდა მიმავალ ვალერიანს. წელში მოხრილი ბერიკაცი სხეულს გაჭირვებით მიათრევდა, თავს ძალას ატანდა, რომ ნაბიჯი გამართულად გადაედგა და ამაოდ ცდილობდა, თავი მხნედ ეჩვენებინა.

— საწყალი! ეტყობა, დიდი დღე აღარა აქვს! — თავის გულში თქვა მირიანმა და შემბრალებელი თვალებით გააცილა მოსახვევში გაუჩინარებული „მესია“.

დიას თანდათან უფრო შეეტყო ორსულობა. მის მოხდენილ ტანს სისრულე ემატებოდა და ძველ კაბებში ვეღარ ეტეოდა.

გახარებული და თავმოწონებული გურამი სამსახურში მარტოს აღარ უშვებდა, დღის ბოლოსაც საგანგებოდ შემოუვლიდა ხოლმე და შინ ხელგაყრილი მიჰყავდა.

თანამშრომლები ორივეს გულით ულოცავდნენ და გულწრფელად შეჰხაროდნენ ახალგაზრდების ბედნიერებას.

ვისაც რით შეეძლო, ყურადღებას იჩენდნენ. ზოგს მჟავე მოჰქონდა, დიასათვის, ზოგი რჩევა-დარიგებას აძლევდა და ზოგიც სხვა დახმარებას სთავაზობდა.

— ეშველა დიას და გურამს! — მოაყოლა სხვა ამბებს კაბინეტში დირექტორთან მარტო დარჩენილმა შიომ.

— რაო? რა მოხდა, რა სჭირდათ ამისთანა უსაშველო?! — ვითომ არ აინტერესებდა, ისე იკითხა მირიანმა.

— შვილს არ აჩენდნენ და, როგორც იქნა, ჭკუაზე მოსულან... დია ფეხმძიმედაა.

მირიანი გაშრა, ფერი ეცვალა.

მეხის დაცემასავით იმოქმედა დირექტორზე შიოს ნათქვამმა, მაგრამ იმდენი ღონე კიდევ აღმოაჩნდა, რომ გარეგნულად არ შეემჩნია.

ერთხანს ხმის ამოღება ვერ მოახერხა. შიოს თვალი ვერ გაუსწორა, თავი ჩაღუნა და თითები მაგიდაზე ნერვიული კანკალით აათამაშა.

— ნამდვილია ეგ ამბავი?

გრძელი პაუზის შემდეგ ამოღერღა მირიანმა.

— ნამდვილიაო? ვერ ხედავ, კაბა რომ ზედ ასკდება შენს თანამშრომელს?

— მე რას ვხედავ, შიო! ის ჩემთან არ შემოდის და მეც იქით არასოდეს ვაკითხავ, — როგორღაც გულდაწყვეტით თქვა მირიანმა.

— ეგ ცუდია, ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ დირექტორმა თავისი თანამ-

შრომლების ავ-კარგი უნდა იცოდეს. ადრე შენ თავად გვარიგებდი, ისიც უნდა იცოდეთ, რით სუნთქავენ თქვენი თანამშრომლებიო.

— ადრე? ადრე სხვა იყო, მაშინ მეც სხვა კიყავი და ჩემი თანამშრომლებიც სხვები იყვნენ.

— ვითომ ასეა, მირიან? ჩვენ არ გამოვცვლილვართ და შენ რამ გამოგცვალა?! — შეპლიმა შიომ.

მირიანმა მხრები აიჩეჩა და ხელი ულონოდ ჩაიქნია.

შიომ უგუნებობა შეატყო დირექტორს. თავისი ქაღალდები აკრიფა და უსიტყვოდ გავიდა.

დიას ორსულობა რომ შეიტყო, თავდაპირველად გაბრაზდა მირიანი. დიას მიერ ნაყოფის შენარჩუნება იმის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა, რაზეც ოცნებითაც ცხოვრობდა. ვერ წარმოედგინა: ესოდენ ჰაეროვანი და ნაზი დია — მუცელგამობერილი და სახედაფოთლილი.

ადრე, ფეხმძიმე ქალს რომ შეხვდებოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მის მიმართ რაღაც კრძალვითა და მოწიწებით იმსჭვალებოდა. ახლა, დიას ორსულობა რომ გაიგო, საერთოდ შესძულდა ორსული ქალი. მათში ახლა ცხოველსა და პირუტყვს უფრო ხედავდა, ვიდრე დედობრიობის კეთილშობილ საწყისს — წმინდასა და ამაღლებულს.

მაგრამ ერთხელ სკოლის კორიდორში შეეფეთა დიას. მაშინ დია ჯერ კიდევ სამი თუ ოთხი თვის ორსული იყო. მუცელი ჯერ იმდენად არ ეტყობოდა. სისრულემომატებულ მის ტანს ძველი გრაციოზულობა შენარჩუნებული ჰქონდა და, რაც მთავარია, თვალებსა და სახეს ახალი უფრო ნაზი და თბილი შუქი ჩასდგომოდა და გადაჰფენოდა.

ასე მშვენიერი არასოდეს მოსჩვენებია დია. მის მიმართ რაღაც ახალი გრძნობა აღეძრა, სიყვარულს კდემა და მოწიწება დაერთო, და მირიანი დიასადმი უზომო პატივისცემით გაიმსჭვალა.

ბოლო თვეებში შინიდან იშვიათად გამოდიოდა სკოლის ექიმი. საღამოობით გურამი ასეირნებდა ხოლმე. დირექტორი თავისი აივნიდან ხედავდა, როგორ მძიმედ დააბიჯებდა გაზიზინებული დია, მაგრამ ახლა უკვე ცხოველურს კი აღარ ეძებდა მის ორსულობაში, ეცოდებოდა იგი და იმის ფიქრს ეძლეოდა, თუ რით შეეძლო მისთვის ამ ახალი, მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება.

ქალისადმი ძველი ცინიკური დამოკიდებულება გაუქრა და გადაავიწყდა. მისი მხრიდან იქნებ სასაცილოც იყო, მაგრამ თავისთავს ანგარიშს აღარ სთხოვდა, როცა საგონებელს ეძლეოდა, ვაითუ ძნელი მშობიარობა ჰქნეს დიას და ვერ გადაიტანოსო.

შორიდან იგებდა დიას ამბავს. დაახლოებით ისიც კი იცოდა, როდის უნდა მოელოგინებინა.

მეცხრე თვეში რომ გადავიდა, ყოველდღე ელოდა, როდის წაიყვანდნენ მოსარჩენად.

ზოგჯერ, წამიერი გამოფხიზლებისას, თავისთავს რომ ჩხრეკდა, თავმოყვარე კაცისათვის დამამცირებელ ფიქრსა და ზრუნვაში იჭერდა და საკუთარ თავს ჩასძახოდა, შენ ვისი ჭირისუფალი ხარ, გურამის ცოლისა და შვილის ამბავი შენ რაში გეკითხებაო.

მაგრამ გამოფხიზლება ხანმოკლე იყო ხოლმე, მირიანს ისევ დიას გადარჩენაზე ფიქრი ეუფლებოდა და მოსვენებას უკარგავდა.

მეცხრე თვეც რომ მიიწურა, დია რაიონის საავადმყოფოსკენ გააქანეს.

დირექტორის კაბინეტი მასწავლებლებით აივსო.

— მირიან ბატონო, დია მოსალოგინებლად წაიყვანეს და, როგორც გვპირდებოდი, იქნებ საავადმყოფოს დაელაპარაკო, — აღელვებით უთხრა შიომ ყველას სათხოვარი დირექტორს.

მირიანმა მაშინვე დარეკა, გამოარკვია, რომ გინეკოლოგი ადგილზე იყო

და ყველაფერი მზად ჰქონდათ მშობიარის მისაღებად.

— პირველი მღელვარება დაცხრა, კოლეგებმა გული დაიიმედეს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ნელ-ნელა დაიშალნენ და ყველა თავის საქმეს ეწია.

მარტო დარჩენილი მირიანი ადგილს ვერ პოულობდა, ზურგზე ხელებდაწყობილი, გრძელ კაბინეტში ბოლთას სცემდა და ვერ ისვენებდა.

ყოველ საათში ურეკავდა საავადმყოფოს, მაგრამ მშობიარობა იგვიანებდა და ნერვიულობა ემატებოდა.

ბოლოს, შინ წასვლა რომ დააპირა, ტელეფონმა აქეთ დარეკა.

ხაზზე მთავარი ექიმი იყო.

— მომილოცავს, თქვენზე მალარიჩია, ბატონო მირიან!

— ჰა! როგორ არის საქმე?

— ბიჭია, ბატონო მირიან, ბიჭი!

— თავად დია როგორ არის? — ამ საზეიმო წუთისთვის შეუფერებელი სუსტი ხმით იკითხა მირიანმა.

— ჩიტივით! ისე დაბადა, ერთი არ დაუკვნესია!

მირიანმა ყურმილიანი ხელი ნელ-ნელა დაუშვა.

ჰაერში კიდევ ისმოდა მთავარი ექიმის ყაყანი, მაგრამ მირიანს მოსმენა აღარ შეეძლო, ყურმილი მიაგდო და სკამზე დაეშვა.

ცივი წყალი მოსვა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და დამძიმებული თავი ხელებში ჩარგო.

ფიქრსმიცემულ მირიანს, ერთის მხრივ, რომ დიას გადარჩენა ახარებდა, მეორეს მხრივ, ახლად გაჩენილი სიცოცხლის მიმართ გულში შურისა და მტრობის გრძნობა ეპარებოდა.

ხვდებოდა, რომ დიასა და მას შორის ახალი დაუძლეველი ზღუდე აღიმართებოდა, შვილი დედ-მამას ერთმანეთთან კიდევ უფრო მტკიცედ შეაკავშირებდა და მისთვის ადგილი აღარ რჩებოდა ამ ქვეყანაზე.

დიასთან შეერთებაზე ოცნებას სამუდამოდ ეცლებოდა ნიადაგი.

დამლაგებელმა რომ ხმაურით შემოალო კარი, მაშინღა ასწია [illegible]. უკვე ღამდებოდა.

ბიბლიოთეკა

დირექტორი მძიმედ წამოდგა და ლასლასით გაუდგა შინისკენ გზას.

ომის გამოცხადების პირველმა დღემ, მოულოდნელ ზართან ერთად ათასგვარი მღელვარება, საზრუნავი და გაურკვევლობა მოუტანა ყველას.

სამშობლოს ძლიერებისა იმდენად სწამდა დიდსა და პატარას, ხანგრძლივ ომზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ მაინც ყველა ხვდებოდა და გრძნობდა, რომ ერთი ცხოვრება, რომელსაც ასე იყვნენ შეჩვეულნი, იმ დღეს დასრულდა და ახალი, ძნელი ცხოვრება იწყებოდა, რომელსაც, უნდოდათ თუ არა, უნდა შესჩვეოდნენ.

გაწვევის პირველმა უწყებებმა ყველგან მრისხანე ომის სუსხი მოიტანა და უძვირფასეს ადამიანებთან მალე განშორების მოლოდინით მოძალებული ცრემლი და ოხვრა-კვნესა გაახშირა.

მირიანის ახლობელთაგან პირველი მეხი შიოს დაეცა: ორივე ვაჟის გაწვევის ქაღალდი მირიანის კაბინეტში გადასცეს შიოს.

ზარდაცემულმა მამამ აცახცახებული ხელით ჩამოართვა ორი უწყება, ცრემლმორეული თვალები იმ უწყებების ჩამბარებელს საცოდავად მიაშტერა და გულაჩუყებულმა ამოიგმინა:

— ორივე, კაცო?! ორივე ბიჭი?!

— ორივეს მოუწია, ბატონო შიო.. თქვენს გარდა სხვაც ბევრია მაგ დღეში, — დაყვავებით უთხრა უწყების მომტანმა, მაგრამ თავადვე მიხვდა, რომ ვერაფერი ნუგეში გამოუვიდა, თვალზე მასაც ცრემლი მოეძალა და შიოსგან პირი იბრუნა.

— კიდევ ვინ გაიწვიეს ჩვენი დასახლებიდან? — ხმადაბლა ჰკითხა მირიანმა.

— თქვენი დასახლებიდან ბლომად. რამდენიმე კაცი არქეოლოგებიდანაც.

— არქეოლოგებიდან ვინ? — უცებ გამოცოცხლდა მირიანი.

— თავად მათი უფროსი და...

— გურამი? — არ აცალა დანარჩენების ჩამოთვლა მირიანმა.

— დიახ, გურამი...

— გურამი, მგონი, მეთაურია.

— დიახ! მაგას უნივერსიტეტშივე აქვს სამხედრო მომზადება გავლილი, ლეიტენანტია.

— მეთაურები, ალბათ, სხვაზე მეტად სჭირდებათ.

— რა თქმა უნდა, მაგათ მოუმზადებლად, პირდაპირ ფრონტზე გზავნიან.

მირიანის გულის სიღრმეში მიმქრალი სხივი ნელ-ნელა აენთო და თითქოს დიდი ხნის მოლოდინი ასრულებოდეს, ისე გაიხარა.

უადგილო აღფრთოვანებით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდე და თავი არ გავცეო, გაიფიქრა, შიოს მკლავში ხელი ჩაავლო და შეუძახა:

— გამხნევდი, შიო, რამ წაგახდინა! მარტო შენ ხომ არა ხარ მაგ დღეში! მე წამოგყვები, ციცინოს მე დავამშვიდებ, — იმედიანად უთხრა, შიოს მხარზე ხელი გადახვია და სკოლის შენობიდან გაიყვანა.

— ორივე ბიჭი, კაცო? როგორი საქმეა, მირიან?

— არაფერია, შიო, სანამ შენს ბიჭებს საომრად გაწვრთნიან, ეს ომი გათავდება.

— შენ ასე ფიქრობ, მირიან?

— მარტო მე კი არა, მთელ ქვეყანას სჯერა, რომ ჰიტლერი მალე დაემხობა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

— შენს პირს შაქარი, ჩემო მირიან, მარა არ გინდა ახლა ამ ქაღალდით სახლში მისვლა?!

ნასადილევს, ტახტზე წამოწოლილი მირიანი გაზეთებს ათვალიერებდა.

კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — გასძახა მირიანმა და ტახტზე წამოიწია.

კარი გურამმა შემოაღო.

— იწექით,.. იწექით, ბატონო მირიან! მე სულ რამდენიმე წუთით მოვედი და, ბოდიში, რომ დასვენება არ გაცალეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერია... არა უშავს...

დაფაცურდა მირიანი და სტუმარი მაგიდისკენ მიიწვია.

გურამი სკამზე ჩამოჯდა. წინ, მაგიდაზე სქელი საქაღალდე დაიდო.

— ალბათ, შეიტყობდით, ფრონტზე მივდივარ.

— შევიტყე, შიოს ბიჭებმა მითხრეს.. რაო, ხომ არ შეშინდი?

— შიში რა სათქმელია, მაგრამ ოჯახის დარდი კი მიმყვება, ცოლსა და ბავშვს უპატრონოდ ვტოვებ.

— შენს ოჯახს პატრონი მოაკლდება?! აგერ არა ვართ?! ესეც არ იყოს, ომი მალე დამთავრდება.

— ეგ ვინ იცის, მირიან ბატონო.

— ვინ იცისო? ეჭვი გეპარება, თუ?

— არა, ეჭვი კი არ მეპარება, მაგრამ მტერიც ძლიერია.

— ნახავ, რა ძლიერიც არის, კისერს რომ მოიტეხს!

— ღმერთმა ქნას... მაგრამ მე ერთმა სათხოვარმა მომიყვანა და ეს ომი რომ არ დაწყებულიყო, ალბათ, შენი შეწუხება არ მომიხდებოდა.

მირიანი გაურკვევლის მოლოდინში სმენად იქცა.

— რომანი დავასრულე, — გურამმა თავი მორცხვად ჩაღუნა და სქელი საქაღალდე მიუწია.

—მომილოცავს! ეს დიდი საქმეა.

— მე რომ საამისო დრო მრჩებოდეს, შენ არ შეგაწუხებდი, თბილისში თვითონ ჩავიტანდი და რომელიმე ჟურნალის რედაქციას ან გამომცემლობას გადავცემდი, მაგრამ ხვალ უკვე სამხედროში უნდა გამოვცხადდე... ჩემი სათხოვარი ეს არის, როგორმე დრო გამონახო, რომანი წაიკითხო და, თუ მოგეწონება, მერე თბილისში შენვე გაუკაფო გზა დასაბეჭდად; ვიცი, მეგობრები გყავს რედაქციებსა და გამომცემლობებში.

— მყვანან, როგორ არა! — დაუდასტურა თავმომწონედ მირიანმა. საქა-

ლალდე ხელში აიღო, გახსნა და ბოლო გვერდს დახედა.

— ექვსასი გვერდია... სოლიდური წიგნი გამოვა... მოწონებით რომ მომეწონება, წინასწარ ვიცი, შენ ცუდს არ დაწერდი.

— არ ვიცი... ეს კია, რომ დიდხანს ვიმუშავე და ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გავიღე, — მორცხვად თქვა გურამმა.

— მაშ, მე მანდობ ამ წიგნის ბედს, არა?

— შენ განდობ და შენს იმედად ვტოვებ.

— ჰოდა, მე ვიცოდე და ამ წიგნმა!

— შენგან სამუდამოდ დავალებული ვიქნები, მირიან ბატონო, რა დასამალია, და თუ დაიბეჭდა, ცოტას მატერიალურადაც შეეშველება ჩემს ოჯახს.

— აბა, როგორ! ცოტას კი არა, გვარიანადაც!

მირიანმა სქელი საქაღალდე ხელით ასწია, თითქო სასწორზე წონისო და თავიც დააქნია იმის დასტურად, რომ ამოდენა წიგნი ოჯახს ხელს გაუმართავდა.

— მპირდები, მირიან ბატონო?

— გპირდებიო? გპირდები კი არა, პატიოსან სიტყვას გაძლევ.

— მე კი მეშინოდა, ვაითუ დედაჩემზე განაწყენებულმა, დახმარებაზე უარი მითხრას-მეთქი...

თავაუღებლად თქვა გურამმა.

— განაწყენებული კი ვარ, დედაშენზეც და შენზეც, მაგრამ...

— ვიცი და მაგის მეშინოდა. აქამდე როგორღაც შემთხვევა არ მქონდა, ისე კი, დიდი ხანია, შენთან გულახდილი საუბარი მინდოდა. მაგრამ რაკი აქამდე ვერ მოხერხდა, ახლა, ალბათ, მაგის დრო არ არის.

— სწორი ხარ! შენ ახლა ომში მიდიხარ და მტყუან-მართლის რკვევისა და ანგარიშის სწორების დრო არ არი, — მოჰრა მირიანმა, — ღმერთმა ქნას, გამარჯვებული დაბრუნდე და ეს წიგნიც დაბეჭდილი დაგხვედროდეს!

გურამი ფეხზე წამოდგა.

მირიანისაგან ამდენ თანაგრძნობას არ მოელოდა და მისმა კეთილშობილმა თავგამოდებამ, ცოტა არ იყოს, გული აუჩუყა.

მირიანმა ხელი გაუწოდა.

ერთიანად მომბალი გურამის თვალში ცრემლი შენიშნა.

— აბა, შენ იცი! ვაჟკაცურად იომე და გამარჯვებული დაგვიბრუნდი! აქაური ნურც ამ წიგნის დარდი გექნება და ნურც ცოლ-შვილის!

ერთხელ კიდევ გაამხნევა კაი სიტყვით, მხარზე ხელი მოხვია და ჭიშკრამდე მიაცილა· გადაკოცნა და უკან გამობრუნდა.

ოთახში შესვლისთანავე გურამის საქაღალდეს დაავლო ხელი.

ერთი სული ჰქონდა, როდის წაიკითხავდა.

ტახტზე კარგად მოეწყო და წამოწოლილი შეუდგა კითხვას.

ათიოდე გვერდი, რომ იტყვიან, სულის ერთი მოთქმით წაიკითხა.

კი ელოდა რაღაც მნიშვნელოვანს, მაგრამ ასე მიმზიდველი და საინტერესო თუ იქნებოდა, ვერ წარმოედგინა.

წიგნის ყველა გვერდზე უხვად იყო გაბნეული ხალხური სიბრძნისა და ენამახვილობის მარგალიტები. მდიდარი და ხატოვანი ენით იყო მოთხრობილი ქართველი ხალხის დუხჭირ ცხოვრებაზე, სამშობლოსათვის თავდადებული გმირების ქედუხრელობაზე.

ოთახში ჩამოღამდა·

მირიანმა ელექტრონი ჩართო, ტანისამოსის გახდაზე არც უფიქრია, ისევ ისე მიწვა ბალიშზე და კითხვა განაგრძო.

დალეული და დაფერფლილი პაპიროსის სანაცვლოდ ახალი ინთებოდა, ფურცელს ფურცელი მისდევდა და რომანის გმირთა თავგადასავლისადმი ინტერესი თანდათან ცხოველდებოდა.

ნაშუაღამევს წიგნის თითქმის მეხუთედი ნაწილი იყო წაკითხული.

ახალი თავის დაწყებამდე მირიანმა ერთხელ კიდევ შეისვენა, პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა.

თუ წიგნის წაუკითხავი დიდი ნაწილიც წაკითხულივით საინტერესო იქნებოდა, გურამის რომანის წარმატებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ღრმად პატრიოტულ ნაწარმოებში ავტორის ფართო განათლება, ისტორიის, რელიგიისა და ფილოსოფიის საფუძვლიანი ცოდნა გამოსჭვიოდა და თუმცა იგი უფრო ძველი ქართული პროზის ტრადიციებში იღებდა სათავეს, მისთვის თანამედროვე ბელეტრისტიკის გამოცდილებაც არ უნდა ყოფილიყო უცნობი და გაუთვალისწინებელი.

მირიანი სქელტანიანი რომანების კითხვით თავს არასოდეს იწუხებდა, მაგრამ ნიჭიერი კაცის ინტუიციით ხვდებოდა, რომ ეს წიგნი ახალი სიტყვა იყო ქართულ რომანისტიკაში და იგი ავტორს უთუოდ მოუტანდა სახელსა და ხალხის სიყვარულს.

ხომ შეიძლებოდა, მირიანსაც დაეწერა ასეთი წიგნი, წერა რომ დასაწყისშივე არ მიეტოვებინა და ამაო ფუსფუსს არ გადაჰყოლოდა.

ეს წიგნი რომ მირიანისა იყოს, იგი უცებ ამოაგდებდა დავიწყების ბინდიდან აწ უკვე ყველას ხსოვნაში ფერფლწაყრილ ავტორის სახელს, რომელმაც თავის დროზე ნიჭიერად დაიწყო.

ეს წიგნი რომ მირიანისა იყოს!..

ამ მიმართულებით ფიქრის გაგრძელებამ მირიანი მოულოდნელად მიიყვანა მკრეხელურ აზრამდე:

ამ წიგნის ავტორი ომიდან რომ ვეღარ დაბრუნდეს, მაშინ ხომ შეიძლება, მისი ცოლიცა და მისი რომანიც მირიანის კუთვნილებად დარჩეს, ერთსაც და მეორესაც ის დაეპატრონოს და...

ომში ტყვიამ ნიჭიერისა და უნიჭოს გარჩევა არ იცის. სადაც ათასობით ადამიანი იღუპება, იქ გურამიც ადვილად შეიძლება დაიღუპოს.

თუ ასე მოხდა, უპატრონოდ დარჩენილ დიასაც სხვა გზა აღარ ექნება, მირიანის სიყვარულს ანგარიშს გაუწევს და, ბოლოს და ბოლოს, მისი ცოლი გახდება. მოყვარული და მორჩილი ცოლისთვის კი სულერთი იქნება, რომელი ქმრის სახელით გამოქვეყნდება უპატრონო წიგნი.

ჯერ რომ ყველაფერი ასე დალაგებულად ეჩვენა მირიანს, მერე უცებ მეორე შესაძლებლობაც წარმოიდგინა: ომიდან შინ მალე დაბრუნებული გურამი... და ოცნებაში აშენებული კოშკი ხუხულასავით უცებ დაინგრა.

ტუჩთან მწარე ღიმილმა გაითამაშა.

თვალებში შემოპარულმა ძილმა იძალა. შუქის გამოსართველ ღილაკზე თითის დაჭერა და თვალის დახუჭვა ერთი იყო.

რომანის კითხვამ სამი ღამე კიდევ გაატეხინა თეთრად.

და განა მარტო ღამეები!

დღისითაც რომანის გმირებით გარემოცული განაგრძობდა მირიანი ცხოვრებას, ყველგან ისინი ელანდებოდნენ და მათი ხმა ესმოდა.

ზოგჯერ ფიქრში ისევ ის მკრეხელური გეგმა ამოტივტივდებოდა, ოცნებაში იმ წიგნის ავტორად და დიას მეუღლედ თავისი თავი წარმოუდგებოდა და, ვიდრე რაიმე გარეგანი ბიძგი არ გამოაფხიზლებდა, თავი უბედნიერეს ადამიანად ეჩვენებოდა.

გამოფხიზლებული იმ მკრეხელურ ოცნებას გმობდა, ბოროტ განზრახვას ემიჯნებოდა და საკუთარ თავს კიცხავდა ესოდენ დაბლა დაცემისათვის.

მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მის მიერ დაგმობილი და უკუგდებული ბოროტი განზრახვა, მაინც არ ეხსნებოდა, სადღაც მიმალული, დროდადრო ისევ წამოყოფდა თავს და შესაძლებელი ბედნიერების შორეული განცდით ტკბობას ჰგვრიდა.

გურამის წასვლის დღიდან გულს ჩასახული იმედი მირიანს თანდათან რწმენად გადაექცა. სჯეროდა, დრო მის მხარეზე იყო, დია დიდხანს ვერ გაუძლებდა დაუსრულებელ მოლოდინს. თვალი შორს და გული შორსო, იმეორებდა თავის გულში და სასოე-

ბით უცდიდა იმ დღეს, როცა დია თვითონ ჩაუვარდებოდა ხელში მწიფე ნაყოფივით.

მარტოდმარტო დარჩენილ დიას პირველ ღამეს გაუჭირდა. რაკი ერთხელ გაიფიქრა, სიბნელეში არავინ შემომივარდესო, მერე ვერ იქნა და ვეღარ მოისვენა.

საძინებელ ოთახში შესასვლელი კარი გასაღებით დაკეტა, მაგიდა მიადგა, მაგრამ შიში მაინც ვერ დასძლია და თვალი ვერ მოხუჭა.

ათასი მთვრალი და ოხერი დადის და თუ იციან, რომ უპატრონოდ დარჩენილი ახალგაზრდა ქალი მარტოდმარტოა, რა დააკავებთ, სახლში შემოუვარდებიან!

ბალღს მაინც არაფერს დაუშავებდნენ და თავის თავს აღარ ჩივის!

დიამ ბავშვს დახედა: ბიჭუნას მშვიდად ეძინა. მან არც ის იცოდა, რომ მამამისი სისხლისმღვრელ ომში იყო წასული, არც ის, რომ მასთან მარტო დარჩენილ დედას მისი დარდი არ აძინებდა.

ბავშვი პირწავარდნილი გურამი იყო. პირველად როდი აკვირდებოდა დია თავის პირმშოს და პირველად როდი ეძებდა ამაოდ მის ნაკვთებსა და იერში თავის მსგავსებას.

ასე როგორ დაიმგვანე, რომ ჩემი არაფერი გამოჰყვაო, ეტყოდა ხოლმე გურამს სიცილით და თან ხარბად ჰკოცნიდა გულში ჩაკრულ ბიჭუნას.

გოგო რომ გეყოლება, ის შენ გემგვანებაო, გუნებას უკეთებდა ბუნებისაგან „განაწყენებულ“ დედას და თავის მხრივ ხვევნითა და კოცნით „ამშვიდებდა“ შვილის მკოცნელ დიას.

ჩვილ ბავშვს რომ ძილში გაეღიმება, მელა გაუგორდაო, იტყვიან. პატარას ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა, დედას გაეცინა, ნაზად აკოცა და თავის ლოგინში გადაიყვანა.

ჩვილის სხეულს რომ ჩაეკრა დია, მეორე უახლოესი არსების სითბო იგრძნო, ცოტა გული მოეცა, საბანი თავზე წაიხურა და, როგორც იქნა, დაიძინა.

ბიბლიოთეკა

მეორე საღამოსაც ისევ ის შიში ეწვია. ისევ დაგმანა კარ-ფანჯარა და ისევ იმის ფიქრმა დაუფრთხო ძილი, ვაითუ ვინმე შემომივარდეს და როგორ მოვიგერიოო. ოღონდ ახლა ის „ვინმე“ უკვე ნაცნობი კაცის სახით წარმოიდგინა: ვაითუ მირიანმა დაჰკარგოს გონება და, როგორც ერთხელ საავადმყოფოში, ახლა სახლში შემოვიდეს ჩემთან, უჩუმრადო.

მერე რა უნდა ქნას დიამ? ეყოფა კი ძალა სიყვარულით გაოგნებული ვაჟკაცის თავიდან მოსაცილებლად?! დაუძახებს მეზობლებსა და შეჰყრის ქვეყანას? მერე როგორღა უნდა იმუშაოს მასთან ერთად ერთ დაწესებულებაში?!

ყაჩაღებისა და მთვრალების თავდასხმაზე მეტად მირიანის მოსვლის გაფიქრებამ შეაშინა.

ფეხზე წამოდგა, ერთხელ კიდევ შეამოწმა დაკეტილი კარ-ფანჯრის საიმედოობა, მერე აკანკალებულმა ფარდის კუთხე ასწია და მირიანის სახლისკენ გაიხედა.

იქ სინათლე ენთო, ეტყობოდა, მირიანსაც არ ეძინა.

ამან კიდევ უფრო შეაშინა, ოთახში თვალი შემკრთალმა შემოატარა, ღვთისმშობლის ხატზე შეაჩერა მზერა და, თითქოს უცებ მყუდრო თავშესაფარი იპოვაო, მუხლებზე დაეცა, ჩოქვით იმ კუთხისკენ წავიდა და ხელებაპყრობილმა შეავედრა დედა ღვთისას სასაკლაოზე წასული ქმარი, მშვიდად მძინარე ერთადერთი შვილი და თავისი უღონო თავი.

ცა რომ სარიყრაყოდ შეიმღვრა, მაშინ დაასრულა ლოცვა.

ლოცვითა და ვედრებით, უფლის სიახლოვით გამხნევებულ დიას შიში გაჰქრობოდა.

მირიანი არ მოვიდა.

ყაჩაღებსა და ქურდებსაც გზა აუბ-

ნია ალბათ დედალვთისამ და უკვე დამშვიდებულსა და დაქანცულ დიას ბალიშზე თავის დადებისთანავე დაეძინა.

მეორე დღეს სკოლის კორიდორში შეეფეთა მირიანს.

დირექტორს ამჯერად გვერდის აქცევა აღარ უცდია, შეჩერდა და მიესალმა.

— დილა მშვიდობისა, დია.

— დილა მშვიდობის, ბატონო მირიან.

— გამოუძინებელსა გავხარ; მარტო დარჩენილს, ალბათ, გეშინია და ვერ იძინებ.

— რისა უნდა მეშინოდეს?! — ნაღვლიანად გაეღიმა დიას.

— შეუჩვეველი ხარ მარტო ყოფნას და, ალბათ, ათასი ყაჩაღი და ხულიგანი გელანდება.

დიამ მხრები აიჩეჩა.

— მეც ვერ ვიძინებ გვიანამდე... ნურაფრის გეშინია, ჩემი აივნიდან შენი სახლი კარგად მოჩანს, თუ ვინმემ რამე გაბედა, ერთი დაძახების მეტი არ მინდა, მაშინვე იქ გავჩნდები.

დია თავს აღარ იღებდა. სახე ერთიანად ასწითლებოდა და გატრუნული უსმენდა.

— გუშინღამაც, წუხელაც, შენთან რომ სინათლე ჩაქრა და დაძინებული დაგიგულე, მხოლოდ მაშინ დავწექი. ისე რომ, შენი არ იყოს, არც მე ვარ გამოძინებული.

დიამ გაოცებული თვალებით ახედა. მისი თვალები გაკვირვებასთან ერთად მადლობასაც გამოხატავდნენ.

— იცოდე, რომ შენთან ვარ, შიში არაფრისა გექნება, — ჩურჩულით თქვა მირიანმა და გრძლად ამოიოხრა.

დიამ თავი დაუქნია და ერთმანეთს გაშორდნენ.

მიდიოდა დია, გაბრუებული. გულს ჯერ კიდევ გაჰქონდა ბაგაბუგი და მღელვარება ვერ დაეცხრო.

დიას ის ერჩია, მირიანი სახლში შემოვარდნოდა და ძალა ეხმარა, მაშინ შეურაცხყოფილი ქალი თავადაც ხელს გამოიღებდა, გაუძალიანდებოდა, იყვირებდა და მის დაუმორჩილებლად ატეხილ ვაჟკაცს როგორმე მოიგერიებდა.

ასეთ მირიანთან კი, რომელიც აივანზე ღამეებს უთევს და მისი დარდით არ იძინებს, ულონოა დია. მისი ამოოხვრა და სევდით სავსე გამოხედვა ცვილივით ალბობს გაკერპებულ ქალს და წინააღმდეგობის გაწევის უნარს უკარგავს.

არა, ასე თუ გაგრძელდა, რამდენჯერმე რომ კიდევ შეხვდეს და ასე ელაპარაკოს, მიუკარებლობის ჯავშანი შემოაძნება დიას, ვაჟკაცის ოხვრასა და ნაღვლიანი თვალების უხმოდ ვედრებას ვეღარ გაუძლებს დია; და...

სხვა ვერაფერი მოიფიქრა, როგორც ოთახში შევიდა, ტელეფონს მიაშურა და თბილისი შეუკვეთა. სანამ ტელეფონით დედას შეუერთდებოდა, ვერ მოისვენა, საქმეზე გული არ მიუვიდა. იჯდა სანახევროდ გონწართმეული და, მთლიანად გათიშულს, ამ ქვეყანასთან ტელეფონის ზარის მოლოდინიღა აკავშირებდა.

როგორც იყო, თბილისს შეაერთეს. დედას აღელვებული ელაპარაკა და ხვეწნა-მუდარით დაითანხმა, იმ დღესვე ჩამოსულიყო.

თავის გადარჩენის ამ უკანასკნელ იმედს ჩაჭიდებული ნელ-ნელა დამშვიდდა და გულს ჯავრი გადაეყარა.

იმ ღამეს ძილი გაუკრთა მირიანს.

ადრე თუმცა ცოლი არ ჰყავდა, მაინც მარტო იშვიათად იძინებდა, თითო ღოგინის გამთბობი არ ელეოდა და უცოლობა სულაც არ აწუხებდა.

რაც ამ ახალ სახლში დაიწყო ცხოვრება და დიაზე ფარული ოცნება, ქალი ერთხელაც არ მოუსაკლისებია. ლოგინში, თავის გვერდით, დიას მეტი ვეღარავინ წარმოედგინა და სწორედ აქ გაუჩნდა თავისთავისადმი მანამდე უცნობი კრძალვა, რომელსაც ადრე არასოდეს განიცდიდა. ადრე, როცა სხვადასხვა ქალები რჩებოდნენ მასთან

ღამით, მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, იმ ქალების მოსვლა და წასვლა არავის დაენახა.

საკუთარი თავის მიმართ კი არასოდეს არავითარი ისეთი გრძნობა არ გასჩენია, რომელიც მისი ზნეობისათვის ჩრდილის მომყენებლად მოეჩვენებოდა, ან საკუთარ თვალშივე დაამცირებდა.

იმ დღიდან, რაც დიასთან შეერთება ექცა ოცნებად, მირიანი ჯერ კიდევ მისთვის მიუწვდომელი ქალისადმი ისეთსავე ერთგულებასა და შეუბღალავ პატივისცემას იჩენდა, როგორიც ცოლზე უზომოდ შეყვარებულ ქმრებსა აქვთ ხოლმე თავიანთ „მეორე ნახევრისადმი“.

უკვე რა ხანია, დია დაეუფლა მირიანის გრძნობასა და გონებას და, მირიანი ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ ხნის განმავლობაში ბერივით ცხოვრობდა, მის სახლში ღამით დასარჩენად აღარავინ შემოდიოდა და დიასთან გასაყოფ სარეცელს სხვას არავის უყოფდა.

ამის გაფიქრებაზე გაეცინა, რადგან ერთგულების ეს გრძნობა მანამდე უცხო იყო მისთვის. სასაცილოდ ეჩვენა იმაზე ზრუნვაც, რომ ჯერ კიდევ მისთვის შორეული ქალის თავმოყვარეობას, სხვა ქალთან დროის გატარებით შელახავდა და ეს ღალატის ტოლი იქნებოდა.

რაკი მირიანისათვის დიას გარდა სხვა სასურველი ქალი აღარც ცხოვრებაში არსებობდა და აღარც ოცნებაში და რაკი უმისოდ ყოფნა ყოფნას აღარ ჰგავდა, მირიანს უნდა რამე ეღონა, უნდა ემოქმედნა. ასე შორით წვა და შორით დაგვა ამ ხნის კაცისათვის შეუფერებელი და გაუმართლებელი იყო.

გამოუცდელი ბავშვის კრძალვა და გრძნობის გამხელის შიში სასაცილოდ ეჩვენა მირიანს.

დრო უაზროდ გადიოდა, საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა, მოქმედება. ისედაც ბევრი დრო დაკარგა ტყუილუბრალოდ.

ჯერ ქალი არ მოსწონებოდა მირიანს, რომ მიზნისათვის არ მიეღწია, მიუკარებლობის ზღუდე არ გადაელახა და არ დაუფლებოდა.

მართალია, დია სხვა ქალებს არ ჰგავდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ყველა ქალი ქალია და ვერც ის უნდა აღუდგეს წინ ესოდენ მომხიბვლელი ვაჟკაცის გულწრფელ სიყვარულს!

მირიანმა თვალი მოხუჭა, მაგრამ ძილი მაინც არ მოდიოდა, ფიქრმა წაიღო და თავისი და გურამის წარსულის მოგონებებს მიჰყვა.

გურამის ბავშვობამ მირიანის თვალწინ გაიარა.

ბავშვობის ის წლები, როცა საფუძველი ეყრება ცოდნასა და განათლებას, მირიანმა და გურამმა ერთმანეთისაგან განსხვავებულად განვლეს.

მირიანი მრავალშვილიან ოჯახში ისე იზრდებოდა, მასთან საგანგებოდ დასაჯდომად და სამეცადინოდ არავის ეცალა. მაგრამ დროც რომ ჰქონოდა, თავად უსწავლელი და გაუნათლებელი დედ-მამა რას მისცემდა ცხრა შვილს. ხელმოკლე დედ-მამა რომ საარსებო ლუკმის საშოვარზე იყო გასული, თავიანთი თავის ანაბარა დარჩენილი ბავშვები მთელ დღეს გარეთ იყვნენ, უაზრო თამაშსა და ცუღლუტობაში ატარებდნენ დროს.

უცხო ენა კი არა, რუსულსაც არავინ ასწავლიდა მირიანს, მაშინ, როცა გურამს ფრანგულისა და ინგლისურის მასწავლებლები შინ დაუდიოდნენ და დედ-მამაც, თავის მხრივ, დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ აკლებდა სწავლასა და საკითხავი წიგნების შერჩევაში.

მარტო ბიბლიოთეკა რად ღირდა სანდროს ოჯახში!

გურამს საკითხავი წიგნის საშოვნელად შინიდან გასვლა არც დასჭირდებოდა, ჭერამდე ამართული თაროები გაჭედილი იყო ქართული და რუსული, ფრანგული და ინგლისური წიგნებით.

მირიანს თავის სახლში კი არა, მეზობლებშიც არსად ეგულებოდა საინტერესო წიგნი. ასეთ პირობებში თვითგანვითარების არავითარი საშუალება არ იყო და კითხვის მოყვარული ყმაწვილი იმას სჯერდებოდა, რაც ხელთ ჩაუვარდებოდა.

უსისტემო, შემთხვევითმა კითხვამ მირიანის ცოდნას საფუძველი ვერ შეუმზადა, სკოლამაც ვერ შეუვსო ეს ხარვეზი და სიყრმეში გაცდენილი წლების დანაკარგი ვერც მერე აღიდგინა.

არადა, მერეც შეიძლებოდა, ბეჯითი თავაუღებელი კითხვით გაცდენილის ანაზღაურება!

მაგრამ მერე ამისათვის მირიანს აღარ ეცალა. სკოლაში გამოჩენილმა მისმა ნიჭიერებამ მასწავლებლების ყურადღება იმთავითვე მიიპყრო. პირველივე ლექსები მოუწონეს, ყოველნაირად წაახალისეს და სხვა მოწაფეებში გამოარჩიეს.

მირიანი თამამი, კარგად მეტყველი ყმაწვილი იყო, კრებებზე გამოსვლას თავიდანვე შეეჩვია და კომკავშირის აქტივისტთა შორის პირველობას არავის უთმობდა.

საოცარი ალღო და მეხსიერება ჰქონდა. ყურმოკრულსა და გაგონილს ისე ითვისებდა, იმახსოვრებდა და, შემდეგ საუბარში ისე ოსტატურად იყენებდა, თითქოს გუშინ თვითონ ჰქონოდეს წაკითხული.

ცოტა წაკითხულით და ცოტა გაგონილით იოლად გასვლას ისე მიეჩვია, რომ სერიოზულ კითხვას სულაც თავი გაანება.

რომელიმე გახმაურებული წიგნი თუ ხელთ ჩაუვარდებოდა, ბოლომდე გულს ვერ უდებდა, წინასიტყვაობის წაკითხვას სჯერდებოდა და, თუ იმ წინასიტყვაში წიგნის ავ-კარგის გარჩევის გარდა, სიუჟეტიც იყო გადმოცემული, მეტი არა უნდოდა რა! წიგნის გარშემო გამართულ კამათსა და მსჯელობაში ისე ავტორიტეტულად ერეოდა, ეჭვიც არავის შეეპარებოდა, რომ თავიდან ბოლომდე კი არა, ერთი თავიც არ ჰქონდა წაკითხული.

ბოლოს, იქამდე მივიდა, სქელტანიანი წიგნი, საერთოდ, დასანახავად შეიძულა და, ალბათ, ყველაზე დიდ სასჯელად იმას ჩათვლიდა, მისთვის ოცთაბახიანი წიგნის წაკითხვა რომ მიესაჯათ.

პირველი ლექსებისათვის ბავშვობის შთაბეჭდილებებიც ეყო. იდეურობა და ნიჭიერება მაშინვე მოუწონეს, პირველი წიგნი შეუქეს და სახელიც გაუთქვეს.

მაგრამ, ცარიელი ნიჭის ამარა, მაინც შორს ველარ წავიდა, კარიერას მიჰყვა, შემოქმედებისათვის ველარ მოიცალა და, ბოლოს, სულაც ხელი აიღო წერაზე.

გურამი კი, ალბათ, კიდევ ბევრს დაწერდა, ძნელმა ბავშვობამ ბევრი სიმწარე აწვნია და, ამიტომაც, ცხოვრებას კარგად იცნობდა, საფუძვლიანი ცოდნა და ფართო განათლება ჰქონდა და იმ ცოდნასა და განათლებას სულ იფართოებდა და იღრმავებდა.

აფსუსი კი იქნება, გურამი რომ ვერ დაბრუნდეს ომიდან!

მაგრამ რომ დაბრუნდეს? მაშინ მირიანმა რა ქნას, სოფლის უსახელო მასწავლებლად მოკვდეს და უცოლშვილოდ გადაეგოს?!

ცხოვრება თავდება და იგი, ალბათ, უკანასკნელი შანსის წინაშე დგას: თუ გურამი დაიღუპება და მისი რომანი მირიანის სახელით გამოქვეყნდება, იგი ისევ ამოტივტივდება, ის სახელი და დიდება, რომლისკენაც ასე ისწრაფოდა, თავისთავად მოვა.

გურამის დაღუპვის შემდეგ დიასაც აღარ ექნება სხვა გზა, მირიანის ნატვრა და ოცნება ასრულდება — დია მისი ცოლი გახდება და სახელის, მდგომარეობის, ოჯახური ბედნიერების სიტკბოსა და სიკეთეს ერთბაშად ეზიარება.

ეს ყველაფერი ისე მოხდება, მირიანს თითის განძრევაც არ დასჭირდება.

ერთადერთი მისი დანაშაული უავ-

ტოროდ დარჩენილი წიგნისა და უქმროდ გატანჯული საყვარელი ქალის დაპატრონება იქნება, მაგრამ არც ერთია დიდი დანაშაული და არც მეორე, რადგან მირიანის დაუხმარებლად ვერც გურამის წიგნი ნახავს დღის სინათლეს და ვერც მისი ცოლი იქნება, მირიანის გარდა, სხვა ვინმესთან ბედნიერი.

თუ მირიანს ბედი აქვს, გურამი უნდა ჩამოეცალოს გზიდან.

ცხოვრება ასეა მოწყობილი, როცა ორი ადამიანი ერთ ადგილას ვერ თავსდება და ერთიმეორეს ხელს უშლის, ერთ-ერთი თამაშიდან უნდა გავიდეს, რომ მეორის ბედნიერება სრული იყოს.

ხოლო თუ იმ მეორის გასვლა მირიანის გაურჯელად მოხდება, პასუხს ვერავინ მოთხოვს, მით უფრო, რომ გურამის რომანის არსებობა მხოლოდ ორმა ადამიანმა იცის ამ ქვეყნად — დიამ და მირიანმა.

გამოფხიზლებული მირიანი მკრეხელურ ოცნებას გმობდა, ბოროტ განზრახვას ემიჯნებოდა და საკუთარ თავს კიცხავდა ესოდენ დაბლა დაცემისათვის.

მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მის მიერ დაგმობილი და უკუგდებული ბოროტი განზრახვა მაინც არ ეხსნებოდა, სადღაც ჩამალული, დროდადრო ისევ წამოყოფდა თავს და შესაძლებელი ბედნიერების შორეული განცდით ტკბობას ჰგვრიდა.

იმ წელიწადს უჩვეულო ზამთარი დაიჭირა. ერთხელ დადებულ თოვლს გადნობა არ აცალა, თოვლი მეორედ წამოვიდა და ბარაქიანადაც დადო.

მირიანი სიცივემ გამოაღვიძა. აკანკალებულმა მეორე საბანიც წაიხურა, მაგრამ მაინც ვერ გათბა. უშეშობის გამო ბუხარს ვერ დაანთებდა, არადა, სახლში ისე ციოდა, ძვლებამდე ატანდა.

სარკმლის შეჭირხლულ მინებში, როგორც იყო, მზემ შემოიჭყიტა და მირიანმა ცივ ლოგინში წოლას ადგომა ამჯობინა.

თბილად ჩაიცვა.

ეროვნული

საათს დახედა. დრო ჯერ კიდევ ჰქონდა სწავლის დაწყებამდე და გადაწყვიტა ჰაერზე ესეირნა.

ხელთათმანები ჩაიცვა, პალტოს საყელო აიწია და გზას გაუყვა. მოყინულ გზაზე, ფეხი რომ არ დასხლტომოდა, ფრთხილად მიაბიჯებდა.

დაგვიანებით ამოსული, ღონეგამოლეული ზამთრის მზე დილის სუსხს ვერაფერს აკლებდა და უფრო თვალის საამებლად ანათებდა.

ჯანმრთელი, უნაღვლო კაცის არხეინი ნაბიჯით მიდიოდა მირიანი. ლოყებზე ყინვა ეკლებს აყრიდა და საამოდ ჩხვლეტდა.

სოფლის მაღაზიას გაუსწორდა.

უკვე შეჩვეული იყო მაღაზიასთან გრძელი რიგის დანახვას და იქით გახედვას არც აპირებდა, მაგრამ ბავშვის ტირილი მოესმა და მიაყურა.

— სსუუ... სსუუ... ნა-ნა... ნა-ნა...

ქალის ხმა ეცნაურა მირიანს და შეჩერდა.

თავი მაღაზიისკენ მიიბრუნა და გრძელ რიგში ჩამდგარი დია რომ დაინახა, გული მოუკვდა.

თვალზე ცრემლმოდგარი, ყინვისაგან სახეგათოშილი დია ბავშვს მკლავებზე არწევდა და ამაოდ ცდილობდა ატირებულის დაწყნარებას.

სკოლის დირექტორი გაწითლდა, თითქოს ყველა იქ მყოფმა მას მიაყენა შეურაცხყოფა.

რიგში მდგომებმა მირიანი დაინახეს, ქუდი მოუხადეს და მიესალმნენ.

— ნუთუ რიგში აყენებთ ჩვილ ბავშვიან დედას? — აღშფოთება ვერ დაფარა დირექტორმა, — ომი და გაჭირვება კია, მაგრამ წესი და ადამიანობა სულ დავკარგეთ?

იკითხა ყველას მისამართით მირიანმა.

— არა, რიგში როგორ დავაყენებთ, მაგრამ ჯერ მაღაზია არ გაუღიათ. — უპასუხა რიგიდან პირველმა.

ამ პასუხმა კიდევ უფრო მოუმატა

შეურაცხყოფისა თუ სირცხვილის გრძნობა თავის თავის მიმართ.

ერთხანს დაბნეული იდგა. მერე, ალბათ, რაღაც გადაწყვიტა, თავი პალტოს საყელოში ჩარგო და, ნაცემივით მობუზული, სახლისკენ გაბრუნდა. შინ რაც მოეძევებოდა, კარაქი თუ ყველი, შედედებული რძე თუ კონსერვები, კალათაში ჩააწყო და შიოს სახლისკენ გაემართა.

სკოლაში წასასვლელად გამზადებული ციცინო კიბეზე ჩამოეგება.

— თუ ქალი ხარ, დამეხმარე, ციცინო!

შორიდანვე მიმართა.

— რა იყო, რა დახმარებას მთხოვ? — გაეცინა ციცინოს.

— საცოდაობა ვნახე, დია ჩვილი ბავშვით დგას რიგში, გაყინული.

— განა პირველად! მაგრამ რა ქნას, რომ არ დადგეს, ვინ მოუტანს.

— მე მამუნათებ, არა?

— შენც, ჩემს თავსაც, ყველას, ვისაც დახმარება შეგვიძლია და ვერ ვეხმარებით.

— მართალი ხარ, ყველა დამნაშავე ვართ, მაგრამ ხომ უნდა გამოვასწოროთ და, აი, შენ გადაეცი, აგერ არი ყველაფერი.

— შენთვის აღარაფერი დაიტოვე? — შეწუხდა ციცინო.

— მე უამისოდაც ოილად წავალ, ოღონდ ჩემგან უხერხულია, დია თავმოყვარე ქალია და ეგებ შენ გადასცე.

— ღმერთმა გიშველოს, კარგად გიფიქრია! — გაიხარა ციცინომ.

მირიანმა ისევ მიაყურა.

— ბავშვის ტირილი გესმის, ციცინო?

— როგორ არ მესმის! საწყალ დიას ჯავრისაგან რძე გაუშრა და ბავშვი სულ ასე გაბმით ტირის, ვეღარაფრით აწყნარებს.

— ახლა ვერ წავუღებ, მირიან, გაკვეთილების შემდეგ გადავუტან, — თქვა ციცინომ და მირიანის ძღვენი შინ შეიტანა.

— ცივა თქვენთანაც, ციცინო?

შეეკითხა გარეთ გამოპრანჭულს მირიანი.

ბიბლიოთეკა

— ცივა, კი არა, ვიყინებით.

— ალბათ, დიაც ამ დღეშია.

— ალბათ. ცოტა შეშა კი ჰქონდა, გურამის დანატოვარი, მაგრამ, მგონია, გაუთავდა.

მირიანმა თავი გადააქნია, ციცინოს ხელი მკლავში გაუყარა და სკოლის გზას გაუდგნენ.

მეორე დღეს მირიანი თათბირზე იყო რაიონში. თათბირი რომ დამთავრდა ალმასკომში შეიარა და თავმჯდომარეს აუწერა მასწავლებლების გასაჭირი.

— ვიყინებით, ანდრო ბატონო, გვიშველეთ.

— სკოლისათვის ხომ გაქვთ შეშა.

— სკოლისათვის ჯერ გვაქვს.

— აბა სახლებში უნდა გაიჭირვოთ, კიდევ ერთხანს.

— აღარ შეგვიძლია, ჩვენი სახლები ისეა აშენებული, შიგ ქარი დაჰქრის.

— რას იზამთ, უნდა გაუძლოთ... ომია, — კუშტად თქვა თავმჯდომარემ, მაგრამ მირიანის შეწუხებულ სახეს რომ შეხედა, მოლბა.

— შენც სხვების დღეში ხარ? არც შენა გაქვს შეშა?

— არც მე მაქვს, მაგრამ ჩემ თავს არ ვჩივი.

— პატარა ელექტროღუმელს გამოვნიწებ, რეფლექტორს რომ ეძახიან, ერთ ოთახს მაინც გაგითბობს, — თქვა თავმჯდომარემ და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— უნივერმაღია? ბაგრატი ხარ?.. ჰო, მე ვარ... ელექტროღუმელი ხომ გაქვს?.. ჰოდა, რაც დაგრჩა, იქიდან ჩვენი სკოლის დირექტორს მიეცი...

მირიანმა ორი თითი ამართა და ალმასკომის თავმჯდომარეს შეეხვეწა:

— შენი ჭირიმე, ორი უთხარი, ანდრო.

— ორი ცალი... ჰო, ორი... ახლავე გამოგიგზავნის.

მირიანმა ცალ-ცალკე შეახვევინა ღუ-

მელები და უნივერმაღიდან ფრთაშესხმული გამოვიდა.

ორი რომ სთხოვა თავმჯდომარეს, მაშინვე ის გადაწყვიტა, ერთს თავისთვის დაიტოვებდა და ერთს დიას მიუტანდა.

ეს ისეთი სიურპრიზი იქნებოდა დიასათვის, რომ შუამავალს ვერ ანდობდა, თვითონ უნდა მიეტანა, შტეპსელშიც თვითონ უნდა ჩაერთო და თავის თვალით უნდა ენახა, როგორ ნაკვერცხლებივით გაწითლდებოდა ღუმელის სპირალები.

კარს, ალბათ, დია გაუღებს, ღუმელს ქაღალდს შემოაცლის მირიანი და, ვიდრე დია დირექტორის საჩუქრით აღფრთოვანებას გამოთქვამდეს, სტუმარი ოთახში შესვლას მოასწრებს, ღუმელს ელექტროქსელის შტეპსელში ჩართავს და სპირალი რომ გაწითლებას დაიწყებს თავმომწონედ გადგება განზე და დიასახლისის სახეს თვალს არ მოაშორებს.

მერე, დია რომ სიხარულით ტაშს შემოჰკრავს და დირექტორს ათას მადლობას ეტყვის, მირიანი წასვლას დააპირებს, მაგრამ დია, ალბათ არ გაუშვებს და...

მერე რა მოხდება, არც კი იცის მირიანმა, და არც უნდა ამაზე მკითხაობა.

აჩქარებული ნაბიჯით მიდის მირიანი, ერთი სული აქვს, როდის მივა დიასთან და როდის შეიპატიჟებს შინ, მოულოდნელი საჩუქრით გახარებული.

მაგრამ, რაც უფრო უახლოვდება დიას სახლს, მით უფრო იპყრობს შიში მირიანს. როგორ გაბედავს დიას კარზე დაკაკუნებას?

ჩამოართმევს კია, ამ საჩუქარს და შეიპატიჟებს შინ?

ვაითუ საჩუქარზე ხელი უკრას და კარი ცხვირწინ მიუჯახუნოს?

იქნებ სჯობს, შიოს ან ციცინოს გაატანოს და იმათ გადასცენ, როგორც თავიანთი ნობათი?

არა, ამას არ იზამს მირიანი. ამისთანა შემთხვევა როდისღა ექნება დიასთან მისასვლელად!

მერე დია ქაჯი ხომ არ არის, [illegible] ბინაში გამოკეტილი ჩვილი ბავშვის დედა, ბალღისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელ ღუმელს როგორ შეუმგუნებს, უკან როგორ გაატანს?!

აი, უკვე გამოჩნდა დიას სახლი.

ბევრი ფიქრის დრო აღარ არი. მირიანი თვალს ხუჭავს. რაც მოხდება, მოხდეს!

კიბე აირბინა და კარზე დააკაკუნა.

გული ლამის საგულედან ამოუვარდეს.

აი, ახლა გაიღება კარი და დია...

კარი დიას დედამ გააღო.

დაბნეული, აფორიაქებული სკოლის დირექტორი თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! დიას სთხოვეთ, — ძლივს ამოილუღლუღა ცივწყალგადასხმულივით გონსმოსულმა მირიანმა.

— დია შინ არ არის.

— მაშინ, ეს გადაეცით.

მირიანმა ღუმელს ქაღალდი შემოაცალა და გაუწოდა.

— ელექტროღუმელია, სახლის გასათბობად.

— უი, გიშველათ ღმერთმა! ვერსად ვერ ვიშოვეთ და ვიყინებოდით.

— დიახ... გადაეცით...

— შინ შემობრძანდით, დია მალე მოვა.

— არა, მეჩქარება... ნახვამდის...

თქვა მირიანმა, შემობრუნდა და უკანმოუხედავად, სირბილით ჩავიდა კიბეზე.

ბედი უნდა ყველაფერს!

ძლივს ბედნიერი შემთხვევა მიეცა მირიანს; როგორც იქნა, გაბედა დიას სახლში მისვლა და...

მაინცდამაინც სწორედ მაშინ არ დაუხვდა სახლში.

ძალიან გულდაწყვეტილი გამობრუნდა მირიანი, ერთი გულით თავის უიღბლობას რომ წყევლიდა, მეორე გული

ეუბნებოდა, სჯობდა, შინ რომ არ დაგხვდაო.

სატრფოსთან რჩეული ვარდები და ლამაზი ყვავილების თაიგულები მი-აქვთ, შენ კი რაღაც ღუმელით მიადექი კარს შენს საოცნებო ქალსო.

ასეთი ნობათით ცოლი ან დედა და დაი შეიძლება გაახარო და, ისიც მაშინ, როცა შეშა არ იშოვება და სახლი არ თბებაო.

საჩუქარი მართლაც მეტისმეტად პრაქტიკული იყო და, ალბათ, დია არაერთხელ დალოცავს მის მიმტანს, მაგრამ ვაჟისაგან ქალი ყოველთვის იმას მოელის, რაც მის პატივმოყვარეობასა და ქალურ ღირსებას შეასხამს ფრთას და სხვათა და საკუთარ თვალშიაც აამაღლებს.

ელექტროღუმელი კი დიდების კვარცხლბეკად ვერ გამოდგება და ვერც ვერასოდეს შეცვლის ვარდების თაიგულს ქალის გულის მოსანადირებლად.

ღუმელი ოთახს კი გაათბობს, მაგრამ ქალის გული ღუმელით ვის გაუთბია?!

კიდევ კაი, რომ ხელი მოეცარა და დია შინ არ დაუხვდა!

სკოლის ექიმი ამაყი ქალია და, ვინ იცის, ეგებ უკან ისე გაებრუნებინა თავისი ნობათიანა, კარიც არ გაეღო და შინ არ შეეშვა.

კიდევ კაი!

კიდევ კაი!

ჩურჩულებდა თავისთვის მირიანი და მწარედ ეცინებოდა იმ თამამ ოცნებაზე, რომელიც ცოტა ხნის წინათ ფრთებს ასხამდა, და რომელიც ასე უშნოდ დაინგრა.

მირიანი თავის თავს ადანაშაულებდა, კაცის ზრუნვას მოკლებულ ოჯახს, უმწეოდ დარჩენილ ქალსა და ბავშვს აქამდე რომ ვერ მიხედა.

იცოდა, თავმოყვარე დია მისგან დახმარებას არ მიიღებდა, იმის შიშის გამოც, რომ სოფელი ამას გრძელ ქუდს გამოაბამდა და პატრონსაც ქალის ჭორის ყბაში ჩააგდებდა.

ამიტომ, თუ რამეს იშოვიდა, ციცინოსა და შიოს ატანდა დიასთან, თან სულ იმას ახსენებდა, ნამუსი შეენახათ და დიასათვის მისი მოსაკითხი ისე გადაეცათ, ვითომ თვითონ უნაწილებდნენ თავიანთ ულუფას.

სხვა მხრივ კი ოფიციალური ყურადღების გამოჩენას არ ერიდებოდა. როგორც სკოლაში სურსათ-სანოვაგე ან ფეხსაცმელი და ტანისამოსი მოვიდოდა, პირველ რიგში დიას და მის ოჯახს უნაწილებდა და არც არავის უკვირდა, რადგან უკაცოდ დარჩენილ ფრონტელის ოჯახს სხვაზე მეტად უჭირდა.

მირიანს თანდათან ემატებოდა სითამამე.

მანამდე თუ გაურბოდა დიასთან შეხვედრას, ახლა პირიქით, მასთან შეხვედრის საბაბს ეძებდა, გზად გადაყრილს აჩერებდა, გურამისა და ბავშვის ამბავს გამოჰკითხავდა და ამხნევებდა.

ზოგჯერ დიას სამუშაო ოთახშიაც შეიხედავდა, ვითომ ძალიან სჭირდებოდა, რაიმე წამალს გამოართმევდა, ცოტას წაიხუმრებდა, დიას კარგ გუნებაზე დააყენებდა და მერე კაიხანს გაჰყვებოდა იმ დღის ბედნიერება.

თავის მხრივ დიაც აღარ იჩენდა ადრინდელ სიცივეს.

რაც თბილისიდან დედა ჩამოიყვანა, თავი ზურგგამაგრებულად იგრძნო და გული მოეცა.

დირექტორისადმი რიდი, ძველებურად რომ ასე ბორკავდა, ნელ-ნელა ეხსნებოდა და ყინული ლღობას იწყებდა.

მირიანის გულში დიდი ხნის ოცნების ასრულების იმედი ძალას იკრეფდა, ის მკრეხელური აზრი, რომლის თავიდან მოშორებას ეგრე ცდილობდა, უკვე თამამად სწვდა თავს და მთელ მის არსებას ეუფლებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხუხაშვილი

# ჯარისკაცები მღერიან ქარში

## პოემა-რეკვიემი

*შესაძლოა ყოველ ადამიანში მოცარტია მოკლული.*
ეკზიუპერი

დრო თითქოს ხელით აღებს დარაბას, ფანჯრის ჩარჩოში ლურჯი სივრცეა,
და საათები თვლიან თანაბრად თბილისისა და ჩემს გულისცემას.
ჩემს ქუჩაზედაც თითქოს სიზმარში შეიშრიალეს ჩუმად თელებმა,
რომ შეაჩეროს ეს გარიჟრაჟი და საოცარი დღის გათენება.
ძილში მესმოდა მისი ნაბიჯი, მოვიდა, დადგა სახლის კარებთან,
და დედამიწის ბრუნვის გრაფიკით ერთი ფურცელიც მოსწყდა კალენდარს,
და ამოქმედდა არსი ყოველი გარჯით, ხმაურით და ლაპარაკით,
როგორც ხომალდი დაუცხრომელი ღამის ფსკერიდან იწევს ქალაქი.

მშვიდობა, დილო, შენს მობრძანებას, მშვიდობა ქუჩებს, სახლებს, რეკლამებს,
მშვიდობა ფანჯრებს, ლურჯი თვალებით მზის პირველ სხივებს რომ ირეკლავენ.
დღე შეუმჩნევლად ისრებს გადასწევს და ჟრუანტელად ქუჩებს დაუვლის,
ადექით ფეხზე, ათიათასჯერ რომ განიცადოთ ეს სასწაული!
ასწიეთ ფარდა, ბინდგადაცლილი დღე მოაბიჯებს, გვიახლოვდება
და ცვლის ღამეულ დეკორაციებს ადამიანთა რთული ცხოვრება.
დრო გვაკავშირებს, ჩემს ფანჯარაში რაც მოძრაობის რიგად ჩაივლის,
როგორც ღამესთან ღამის დარაჯი, ან გადახრილი მზისკენ ყვავილი.

ადექით ფეხზე და განიცადეთ მზე გადმოღვრილი ათას ტონობით,
თვლიან ნაბიჯებს დედამიწაზე ქუჩის საათი თუ მეტრონომი.
ერთად გაიღოს ყველა გარაჟი, ერთად გაიღოს ყველა ონკანი,
გესმით? რიჟრაჟის ცისფერ გამაში ასი ათასი უკრავს ორგანი.
ადექით ფეხზე და ზეცა ლურჯი ასწიეთ მხრებით და დაილოცეთ,
უდიადესმა მხატვარმა ფუნჯით სიცოცხლე ხატოს ზეცის ტილოზე.
ადექით ფეხზე, წამოიშალეთ, ნუ აგვიანებთ, ეს დღე მობრძანდა,
ორკესტრს უდიდესს თითქოს ნიშანი ხელის აქნევით მისცა მოცარტმა,

როგორ მომძლავრდა, როგორ მოდიდდა, როგორ წალეკა ღამის ჩრდილები,
დღეა პირველი ახალშობილთა, ბოლო დღე — წუხელ გარდაცვლილთა!
მზე დგას სიცოცხლის ქვეყნად სათესად, ყველას ძალას და იმედს გვირიგებს,
და უყიყინებს, როგორ გათენდა, უძილობისგან დაღლილ კლინიკებს.
მოდის ძლიერი, მხნე და უბიწო, მოდის მხურვალე, მძლე და ხალასი,
მზე ვან-გოგის და ნოდარ დუმბაძის, მზე ერთადერთი და მზე ყველასი.
შენც ამ ნათელში უნდა იწვოდე, მზით ილორძინო ნედლი ნერგივით,
მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე იყოს აღსავსე მზის ენერგიით,

ეს მზე შენს სულში დააბინავე, რომ ღამის ჩრდილი დარჩეს ალარსად,
უცებ რად შეკრთი, შორ თვითმფრინავმა ცა ალმასივით როცა გახაზა?
ხომ გვჯერა მზის და კაცის გონების, რასაც უკვდავი აზრი გასწვდება,
ჯარისკაცები პოლიგონებზე რატომ გადიან დღესაც საწვრთნელად?
და რად იქცევა ფიქრი იარად, როცა ვერ ახსნის ასეთ პარადოქსს,
ტანზე რად ისხამს კაცი იარაღს ისევ სალაშქროდ და საპარადოდ?
რა ვუყოთ კითხვებს: რისთვის და როგორ? რას გვემუქრება და რას გვიქადის
მზემდე ასული მრისხანე სოკო, ატომურ ბომბის სოკო-გიგანტი?
თუ გაიგონებ შორით ნაკივარს, მერე სიმშვიდის არ ხარ მპოვნელი,
როცა წყლულები ტანზე აგტკივა ნაგასაკელი იაპონელის,
თქვენც გაიგონეთ, როგორ განიცდით მოახლოებას შორი ფორტების,
გამოანგრიეთ ქვა და გრანიტი მდუმარე რისხვით და შეშფოთებით.
რად მოგეჩვენათ დიდი ხანძარი, თქვენი გულიდან გზა სად უპოვეთ
შემაშფოთებელ ხმებით დაბზარულს თქვენი სიმშვიდის მყუდრო კუბოებს?
იქნებ ამაოდ ეძებთ მიზეზებს და ისევ კვამლით გეწვით თვალები?
ისევ კაცი ჰყავს თოფს სამიზნეზე, ესვრიან კაცის სახეს ღვთაებრივს.
და იმ კაცს რა აქვს კაცისეული, ვისაც ლაჩრულად და სამარცხვინოდ
ძალუძს ინდირა განდის სხეული ცხელი ტყვიების ჯერით დაცხრილოს?
უშველეთ, კლავენ, ვინლა მიგიშვებთ, ვის გააგონებთ ნათქვამს გულითადს,
როდესაც მკვლელის შმაგი სიგიჟე გიმზერს შემართულ თოფის ლულიდან.
მზეს, მზეს უშველეთ, მზესაც ესვრიან, გახშირებულა მზეზე ლაქები
და ვერ უძლებენ სუნთქვას გესლიანს შორი სოფლები და ქალაქები.
მზეს, მზეს უშველეთ, მძიმე ფარივით რომ ალუმართავს კეთილ დონ კიხოტს,
უძვირფასესი მეგობარივით ამ დილით კარი რომ შემოგვიღო.
მზე ქვეყანაზე იყოს დღეგრძელი, რომ მოუძლვება მშვენიერ მაისს
და პლანეტების ბრუნვას ენძელა თბილი მიწიდან ამოჰყავს მაინც.
გზა და სავალი რატომ დამოკლდეს, თუ ერთმანეთის გვესმის ძახილი,
რა მოგასვენებთ, როცა დამოკლემ ისევ დაჰკიდა მძიმე მახვილი.

ხმა მეკარგება როგორც სიზმარში, დარბეულია ჩემი სამოთხე,
მეც მხრებით მომაქვს ეს გარიჟრაჟი, რომ მზესთან ერთად ფეხზე წამოვდგე.
და ისევ რეკენ რისხვის ზარები; ახლა თუ არა, მერე როდისლა?
ილება ჩემი სახლის კარები და დღესთან ერთად თქვენ შემოდიხართ.
რამ ააბორგა თქვენი ძეგლები, ძილი გაგიტყდათ დაღლილ მეომრებს?
ღია თვალებით მზეს ეგებებით, რომ ისევ მზისთვის მოჰკვდეთ მეორედ?
თქვენს თვალებს ძილი არ ეკარება? უსიტყვოდ იხდით მტვრიან ფარაჯებს,
ფეხებს გაიწმენდთ ჩუმად კარებთან და ჩემს ოთახში შემოალაჯებთ.
იქნებ მოგვნატრდა ტკბილი პურობა, მოდით, ერთმანეთს მხარი ავუბათ,
შეჩვეული ხართ ჩემთან სტუმრობას, თუთუნის წევას და მშვიდ საუბარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაგკარგვიათ, რა გაქვთ საპოვნი, სიკვდილ-სიცოცხლის გზა და სავალზე?
თავი შაქარი, თავი საპონი, თუ უკანასკნელ ტყვიით სავაზნე?
ჩამოისვენეთ, მუხლი მოხარეთ, ნუ გიყვართ ასე დგომა მდუმართა,
ჩვენ ქვეყნად ერთი გვყავს მტერ-მოყვარე, მე ყველა თქვენგანს თვალს გავუმართავ.
რით გიმასპინძლოთ? პური და წყალი თქვენ ჯარისკაცურ ჩანთით ატარეთ,
იქნება ჩინი დაგაკლდათ თვალის, გამოგადგებათ ჩემი სათვალე?
იქნებ გაგიხმათ პური აბგაში, წვიმის წყალი სვით ჭის წყლის მაგიერ?
რამ წამოგაგდოთ უცებ განგაშით, საფლავები რომ ამოანგრიეთ?

ეს სტრიქონებიც გზებს გადაება, თქვენი ჩექმებით მტვერში დაკეცილს,
ასწიეთ მიწა და უკვდავებად იქვე ალსდექით სადაც დაეცით.
დრო დაძრა, როგორც გრანიტის ლოდი, გაშიშვლებულმა თქვენმა ხელებმა,
დრო მოძრაობდა, თქვენ მოგკლეს ოდეს, მაჯის საათზე გზას აგრძელებდა.
სულ ოცი წელი არ იცოცხლეთ, მაინც საფლავში არ მოგასვენათ,
ერთი წამის გზა გედოთ მოკვდავებს უკვდავებაში გადასასვლელად.
რას უცდით, მოდით მყუდრო ბინაში, სავსე დგას თქვენი ღვინის ჭიქები,
შორეთში ჩნდებით როგორც მირაჟი, დაუსრულებელ გზას ეჭიდებით.
თითქოს ვიღაცა ზარს მარეკინებს, ხმა გაიტყორცნა ზეცას მიხლილი,
თქვენ სიცოცხლეზე ნათქვამ რეკვიემს ღვინიან თასში ვისხამ სისხლივით.
და ვადღეგრძელებ, ვინც დაიფერფლა, თქვენთან გადმოვალ სავსე ფიალებს,
ძმებო, ცხოვრება არ ჰგავს ციფერბლატს, ისარს უკან ვერ დაატრიალებ.
ორმოცი წელი ჩვენ შორის დგება, გავთეთრდი, თქვენი ძმა ვარ იგივე,
თუ ერთმანეთი ვერ ვიცნოთ ძმებმა, ასე ძალიან ნუ გაიკვირვებთ.
მე თქვენს დუმილში თითქოს გავები, კვალში მოგყვებით როგორც მთამსვლელებს,
რეაქტიული თვითმფრინავებით ეს დრო ჩაგძახით და არ გასვენებთ.
დგახართ შეცვლილნი დალლა-დაქანცვით, ერთგულებით და არა ღალატით,
ბიჭები იმ დიდ ომში დაკაცდით და საფლავებში გაჭაღარავდით.
მოგნატრებიათ ლოგინის სითბო, ხართ გრილ მიწაზე წოლას ნაჩვევი,
დგახართ, სანგრიდან კი არა, თითქოს ჭიდან ამოგყვათ სველი კანჭები.

როგორ ღალანებს ჩვენი სოფელი, აპრილი ისევ გზებზე ანთია,
ასე ნაცნობი და მახლობელი ველების სუნთქვა მოაქვს განთიადს.
მშვიდი ფერები უხვად დაღვრილა, უკვე დამცხრალა მარტის ქარები,
თქვენს მოლოდინში დღემდე დაღლილნი გზისპირას დგანან ჩუმი ქალები.
იქნებ იცანით თქვენი დედები, იქნებ იცანით თქვენი ცოლები?
თქვენზე ფიქრებით და იმედებით ხეებად დგანან გზის გაყოლებით.
გზას ვერ მიაგნეთ ძნელად მისაგნებს? ვარსკვლავებს საით ეთამაშებით?
რა ხანი არი, გზებზე მზისაგან გახუნებულან მათი თავშლები.
დედაჩემია ერთი იმათში, ხელმოჩრდილული რომ დგას ჭიშკართან,
თქვენ თავშიშველნი დგახართ წვიმაში, შინ მოსასვლელი გზა დაგიკარგავთ.
ველარ იცანით ჩვენი ჭადრები, შეყუდებულნი ზეცას კედლებად?
ისევ გელიან და ენატრებით, დედისთვის შვილი არ დაბერდება.
იცანით კიბე მკვიდრი შენობის, თუ აივანი ფეხქვეშ გერყევათ?
ნაცნობ ეზოში ოლონდ შემოდით, არ დაგიყეფებთ ძაღლი ერთხელაც.
გაბრწყინებული შემოგხვდეთ დედა, რომ სიხარულის ზღვაში ცურავდეთ,
გამოხუნებულს კედლებზე ვხედავ თქვენს გადიდებულ ფოტოსურათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სურათებზეც თითქოს ბერდებით, სევდა ეტყობა თვალებს ეშხიანს
და გარდაცვლილი თქვენი დედები ვერ ისვენებენ სამარეშიაც,
არ დაანახვოთ თქვენი სიბერე, არ დაანახვოთ სისხლის კორიდა,
საფლავებს ისე გამოეპარეთ, გამოპარულხართ თითქოს სკოლიდან...

ჰეი, ბიჭებო, ჩემო ტოლებო, მეოცნებენო სოფლის ღამეში,
სად გაიყოლეთ ის ათრთოლება ომის ქარცეცხლში რომ გადაეშვით?
ახალგაზრდობავ, ქვეყნის იმედო, სიცოცხლეს შენსას ვინ ჰყავს მოცილედ?
თქვენ სასიკვდილოდ ვინ გაგიმეტოს, ან თქვენს მაგიერ ვინ იქორწინებს?
აღარ შობილან თქვენი შვილები, არ დარწეულა მათი აკვნები,
ომის წყვდიადში დარჩენილებო, — შორს სადგურების აყრილ ბაქნებზე.
ვინ გაგამტყუნებთ ყელამდე მართლებს, პირველ სიყვარულს როგორ მოგწყვიტეს,
კაცობრიობას აქამდე მართებს, თვალი რომ დაგრჩათ იმ სიცოცხლისკენ.

და მაინც ერთი იმედი მშველის, ის შთამაგონებს და ვწერ ამიტომ,
რაც უნდა იყოს, მე ძმა ვარ თქვენი და ძმის ტკივილი უნდა გავიგო,
სიცოცხლე თქვენი, მზის თანაბარი, მთელ დედამიწას აიწონიდა,
ომს გამოვტაცე თქვენი ამბავი, როგორც დაჭრილი გაჰყავთ ბრძოლიდან.
ვინ გაგახსენოთ ის ძნელი ჟამი, ცა და ხმელეთი როცა შეიძრა?
თქვენი დაცემის ის ერთი წამი ქვასავით ვზიდე ორმოც წელიწადს.

თუ თქვენი წმინდა ხსოვნის შელახვად ვიღაც ცოდვილი ხელებს ამართავს,
თქვენ ნიურნბერგში მოხვალთ ხელახლა, მსოფლიოს ისევ მოსთხოვთ სამართალს!
ჩვენი ჯერია, ახლა ჩვენ გვმართებს, — მშვიდობა! ჩვენ ვართ თქვენი მემკვიდრე.
ცარიელია სკამები მათი, ეშაფოტებზე რომ დაეკიდნენ.
ნუთუ იქნება: დედამიწაზე ახალი წარღვნა ცეცხლით მოვარდეს?
თქვენ წამოდგებით და პასუხს მოსთხოვთ პარლამენტებსა და დიპლომატებს.
თქვენ პასუხს მოსთხოვთ ყველა გენერალს, ყველა დიპლომატს — ფლიდს და უპიროს,
ვინაც ატომურ მტვერში შერევას თქვენი საფლავის მიწას უპირებს...
შენივთებია მიწას ნოყიერს წმიდათაწმიდა ძმათა საუფლო,
მოდით და ძმურად ხელი მომხვიეთ, ვიაროთ ერთად და ვისაუბროთ.
მეც ამატკივებს იმ ძველ იარას ტკივილიანი ჩვენი სერობა,
თქვენს ნაკვალევზე უნდა ვიარო, თქვენი ამბავი ვკითხო ევროპას.
და თქვენ ამბავსაც ვიწყებ თავიდან, რომ კვლავ გამეხსნას ყველა ჭრილობა,
რადგან ვერასდროს მე ვერ ავიტან თქვენს დავიწყებას და გულგრილობას...

რამდენი უნდა განვვლო ტრამალი, ვიარო თქვენთან ქარშიც, წვიმაშიც,
რომ განვიცადო ქვიშა ტამანის, მარილიანი მიწა სივაშის.
კატაკომბები ჰაჯი-მუშკაის, ქერჩის ყურე და ქუჩა ჯანკოის,
ნავენახარი და ნამუსრალი, გადარჩენილი თქვენი ჯან-ღონით.
ჯარისკაცური ყოფა დუხჭირი, პური და წყალი ნაგუბარიდან,
იქნებ მივდივარ მეც იმ ბუქსირით, ორმოცდაორში აქ რომ გავიდა.
იქნებ მიცურავს ბარჟა იგივე, ცეცხლწაკიდებულ ზღვაში ვბრუნდები
და მაზუთიან წყალში ტივტივებს გამორიყული თქვენი ქუდები.

დამწვარ გემების შავი ჩონჩხები ნავსადგურებთან დგანან ძეგლებად,
თქვენც იმ საოცარ გზებზე ცოცხლდებით და თქვენს თვალებშიც ზღვა
ირეკლება.

ერთად ვიმღეროთ, ერთად ვიდარდოთ, ქვამლიან ზღვაზეც გავკრათ მხარული,
კვლავ გავაგონოთ მითრიდატეს მთას ჩვენი ყიჟინა და სიხარული.
ვგავდეთ მოვარდნილ ტალღის აბორდაჟს, შევძრათ მდუმარე შემოგარენი,
სადაც გრანიტზე ბოლო რაპორტად მწკრივად წერია თქვენი გვარები...

სად არ ვიარე, სად არ გეძებდით, დუნაის ცისფერ წყალშიც გაველი,
რა უნდა ეთქვათ ბორცვებს გელერტის, ან ულამაზეს ხიდს ელზავეტის?
არც საყვედური, არ სამდურავი, ძმები ძმასავით შემეგებებით,
ისევე მშვიდად მიდის დუნაი და მიცურავენ თეთრი გემები,
ძმაო, შენც აქ ხარ, მდინარის ახლოს, მეც ბუდაპეშტი თითქოს მელოდა,
გვიყურებს დედა და ჩვენი სახლი აქედან შორი სამეგრელოდან.
მე თქვენთან მოველ, ჩემი ნაბიჯი, ევროპავ, ახლა უნდა გესმოდეს,
ამ სიშორეზე მყავს ძმადნაფიცნი, უძვირფასესნი ჩემთვის ესოდენ.
ახლა გარშემო სიმყუდროვეა, მზე დაჰკაშკაშებს ძეგლებს ათენის,
არყევს ტაშისკვრა პალეროიალს, კონცერტს გადასცემს კონვენტგარდენი.
ნულარასოდეს ნულარ გამხდარა სიცოცხლე ასანთზედაც იაფი,
ისევ უმღერდეს მილანს ლასკალა, პარიზს უმღერდეს ედიტ პიაფი.
დედამიწაზე ყველას ეყოფა, რაც შექმნილია კაცის გონებით
და თუ რაიმე შეგძრავს, ევროპავ, ისევ ყიჟინა სტადიონების.
ჩემი თბილისიც ასე შორიდან სასიხარულო ზარებს რეკავდეს,
უსისხლო იყოს მადრიდს კორიდა, ზღვა კარს ულებდეს ფერად რეგატებს.
მშვიდობა ჰქონდეს ლუვრს და ვატიკანს, მიქელანჯელოს და ტინტორენტოს
და ლაჟვარდოვან ადრიატიკას კვლავ გასძახოდეს ლურჯი სორენტო.
აფეთქებების ცეცხლად კი არა, მზევ, სიხარულად ქუჩებს მოედე
და რაფაელა კარას სიმღერა ასე შვენოდეს რომის მოედნებს...
მშვიდობა სავსე კინოთეატრებს, ახმაურებულ მეტროს სადგურებს,
ნურც აფეთქების ტალღა შეამტვრევს, ნურც წყალდიდობა გაანადგურებს.
მშვიდობა ნევის პროსპექტს, პიკადილს, მშვიდობა ძეგლებს ამიერიდან,
რომ არ დასჭირდეს ისევ პიკასოს აპოკალიფსად ხატოს გერნიკა.
მშვიდად მწიფობდეს ხეზე ნაყოფი, ქვეყნად სიცოცხლე არვის მობეზრდეს,
არლის მინდვრებში იდგეს ვან-გოგი და მზეს ხატავდეს გაშლილ მოლბერტზე.
მშვიდობა სახლებს, ვარდებს, შადრევნებს, ესპანურ ჰანგებს, რიტმებს
არმსტრონგის...
და არ გაშავდეს ცა ნაადრევად აფეთქებებით და კატასტროფით.
მშვიდობა ფანჯრის რაფაზე ყვავილს, ადამიანებს მყუდრო კაფეში,
მთვარე მარგიტის კუნძულზე ყვავის და ჩირაღდნებში დგას ბუდაპეშტი.
მშვიდობა მყუდრო აკვარიუმებს, მშვიდობა ხომალდების ტრიუმებს,
მშვიდობა ბავშვის სათამაშოებს და ოპერების უვერტიურებს.
ღვინოს, რომელსაც მშვიდად წურავენ, ხორბალს, რომელიც ამ წუთს იფქვება,
მაღალ ანტენებს და სახურავებს, ატმის ყვავილებს ფრქვეულს ფიფქებად.
მშვიდობა ვაგზლებს და ნავსადგურებს, და რკინიგზებზე ყველა მეისრეს,
მშვიდობა ცაში გადაკარგულებს მამაც პილოტებს ღამის რეისზე.
ამ ყვავილების მომტანს მადლობა, არ გაგრძნობინეს დედის სიშორე,
თავს რაფაელის გადგას მადონა და თბილი ხელით საფლავს გისწორებს.

ენთოს საფლავი, როგორც კოცონი, ნუ მიატოვებთ, ხშირად მოსჯარდით.
მოხეტიალე მუსიკოსივით თქვენს საფლავებთან უკრავს მოცარტი.
მშვიდობა დაძრულ ავტომანქანებს, მშვიდობა პოვონ თქვენმა სულებმა,
ბრუნავს პლანეტა და მიგვაქანებს დრო და სივრცეში დაუსრულებლად.
პარკში ქვიშაზე მოთამაშენი, როგორც მტრედები მოფარფატენი,
აქ იქნებიან მუდამ ბავშვები, ქარი, წვიმა და თოვლის ფანტელი,
მოვლენ ქალები, ლურჯი იები წყლიან ქილებში იყოს ყოველდღე.
მდუმარე, თითქოს გთხოვთ პატიებას, თქვენთან მოხუცი მოვა გოეთე.
და როცა მშვიდად შრიალებს ალვა თქვენი ძეგლების საგუშაგოზე,
წამოაყენეთ პოეტი კრძალვით და ჩვენებურად მხარზე აკოცეთ.
ნიშნად იმისა,რომ სულდიდობა მზემდე ასწიონ თქვენმა გულებმა,
რომ ილორძინოს ქვეყნად მშვიდობამ და არ გვეწეროს განადგურება...
მარადისობის მკვიდრო ბიჭებო, სანამ ვარსებობთ, უნდა გვახსოვდეთ,
თქვენ საფლავებზე გადმობიჯება, რომ ვერ გაბედონ ველარასოდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ასანიშვილი

# მ ო ლ ო დ ი ნ ი

## ჩანახატი

— ნუ ზოზინობ, ნინუცა!

— ეხლავე, დედი, ეხლავე! — თან ძველ, ცხვირგაცრეცილ სანდლებს იკრავდა. იქვე კაკლის ჩრდილში მთლად გათეთრებული მოხუცი მუხლებზე დაჩოქილიყო, გვერდით ბლომად შინდის წნელი დაეგროვებინა, გოდორსა წნავდა.

— ფიდო პაპა, შენც წამო რა! — შეეხვეწა ნინუცა.

— თადარიგის დასაჭერად მე შინ დავრჩები, ქვევრს გადავხდი, ღვინოს ამოვიღებ...

— ქვევრს მერეც მოვხდით, პაპი!

— არა, შვილო, სადგურზე ვერ გამოვჩნდები.

— რატო, პაპი? — უკვირს ნინუცას.

— ბიჭების დანახვაზე ღვიარება წამსკდება და იმ მილეთ ხალხში თავი მომეჭრება.

— ჰოოო...მთელი სოფელი მიდის და...

— ჭიშკარს რო შემოაღებენ, შინ სულიერი ხო უნდა დახვდეთ?!

— სადგურზე დახვედრა სულ სხვაა, პაპი!

— გეყოფა ნინუცა, ნუ შეაყელთე... წავედით, მამი, ქათამი დაბალ ცეცხლზე დგას.

— ფიქრი ნუ გაქვს, შვილო. სიკეთით გევლოთ! — მოხუცი ფეხზე წამოდგა. თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა. მიმავალთ მარჯვენით პირჯვარი გადასწერა.

ჩითის თავსაფრიანმა კანჭმაღალმა, გამხდარმა ქალმა ჭიშკარი გაიხურა. სოფლის შარაზე გავიდა. უკან ექვსი წლის ცისფერთვალება გოგო მისდევდა.

სოფლის შარას ალმური ასდიოდა. სიცხისაგან დაყურსულ ჰაერში მტვრისა და ნეხვის სუნი იდგა.

— დედი, დამიცა. — ძლივს ეწეოდა ნინუცა.

— დროით გადმოადგი ფეხი,— სოფო მაღალ, მწვანე ლობესთან მიდგა, დაიძახა:

— ზინა, ზინა!

— მოვდივარ! — მალე გამოეპასუხნენ. სოფოს იმედისა და სულწასულობის შუქი ჩასდგომოდა თვალებში.

დიდ-პატარა რკინიგზის სადგურისკენ მიიჩქაროდა. მიდიოდნენ ფეხით, ცხენით, ვირის ტაჭკით.

სადგურზე მილეთის ხალხი ირეოდა.

ნინუცა დედას გარშემო უვლიდა.

— დედი, დედი...

— ჰა?!

— დედი!

— რა იყო, გოგო?

— მატარებელი მალე მოვა?

— მოვა, მა რას იზამს.

— დედი, დედილო.

— ჰა-მეთქი! — ქალი მოლოდინად ქცეულიყო, შვილს უგულოდ პასუხობდა.

— მატარებელი ომიდან დაუსვენებლივ მოდის?

— რას ამბობ, გოგო?!

— ისიც მოიჩქარის?

— ვინ ისიც?

— მატარებელი.

— გაჩუმდი ნინუცა, თორემ სულ არ მოვა!

ნინუცა ერთხანს მიყუჩდა, მერე ისევ:

— დედი, მამა მართლა ჩამოვა?

— ჩამოვა, მაშ!

ხალხი ლოდინით გათანგული ელოდა შინმოსასვლელებს. ზოგი შინმოუსვლელის პატრონიც გამოსულიყო სადგურზე, ლოდინი ავსებს გულს!

— დედილო, რათ იგვიანებს?

— რა ვიცი, შვილო.

— ხო არსად გაფუჭდა?

— რა გააფუჭებდა იმ ჩვენი ცოდვით სავსეს...

— დედი, ხო მოვა?

— მოვა, შვილო, მა ამდენ ხალხს ტყუილა რა გამოიყვანდა სადგურზე?!

მზე დასავლეთით გადაყუდებულიყო. მაინც დიდი სიცხე იდგა.

ოფლით დაცვარულ სახეებს, ამოღამებულ თვალებს იმედის შუქი ედგათ.

შორს ორთქლმავლის კივილი გაისმა.

ხალხმა ერთ წამს ყურები ცქვიტა, მერე შეირხა, აყაყანდა.

— დედი, მოდის! — შეჰკივლა ნინუცამ.

— ჰა?! — უაზროდ აღმოხდა ქალს. შიშჩამდგარი თვალებით გაჰყურებდა თეთრად მოლაპლაპე ლიანდაგების ზოლს.

— არა ჩანს?

— ჯერ არა...

— რა დაემართა, აკი შეიკივლა?!

ცოტაც მოიცა, ნინუცა.

მალე გალექებული ორთქლმავალი გამოჩნდა, ერთი ვიშითა და ქოთქოთით მოიწევდა სადგურისკენ.

— დედი, გამოჩნდა! — იყვირა ნინუცამ.

— ჰო, შვილო!

— ნეტა მამას თუ ჩამოიყვანს?!

— მა რას იზამს... — თითქმის ჩურჩულით ამოთქვა ქალმა და მოუთმენლობისგან გაშრა.

ორთქლმავალი ხვნეშით შემოგორდა ბაქანზე, თან ათიოდე ძველი ვაგონი მოიყოლა.

ხალხი ერთხელ კიდევ გაინაბა და:

— ნიკო, ბიჭო, ნიკო!

— შვილო, ფირო!

— შალიკო!...

— მამი, მამი!

შეიქნა ყვირილი, ტირილი, ხვევნა-კოცნა და სადგური გულამომჯდარ ქალს დაემსგავსა.

— დედი, მამა არა ჩანს?

— ჰა?!

სოფო ვაგონის ფანჯრებს თვალებითა ჭამდა. ცალი ხელი ბავშვისთვის ჩაევლო, ზღვა ხალხს მიარღვევდა.

ქალი შეჩერდა, მზერა გაეყინა, სუნთქვა შეეკრა.

მისკენ სამი ჯარისკაცი მოდიოდა: ძმა, ქმარი და ძმის ამხანაგი. სამივეს რიგით გადაეხვია. თავსაფრის ბოლოთი ცრემლს იმშრალებდა.

დედის ზურგს ამოფარებული ნინუცა კაბას ექაჩებოდა, თან ჩუმად ეძახდა:

— დედი, დედილო...

სიხარულით სავსე ქალი, როგორც იქნა, გამოერკვა. ბავშვს მიუბრუნდა:

— რა იყო, გოგო?

— დედი, მამა რომელია?

დედა მოგიკვდეს, შვილო! — თქვა და პატარა ნინუცა მამის წინ დააყენა.

სახენამზეურევი კაცი დაიხარა, შვილი ხელში აიყვანა. მაგრად, ძალიან მაგრად ჩაიკრა მკერდში და ვეება ვაჟკაცს ობოლი ცრემლი ჩამოუცურდა ყვრიმალზე.

სიცილ-ქვითინმა გადაიარა. ჩაშოშმინებულმა ხალხმა შინისაკენ იბრუნა პირი.

ოდნავ შემაღლებულ ბაქანზე თითო-ოროლა შაოსანი დარჩა. ზოგი ხანშიშესული იყო, ზოგიც — ახალგაზრდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლეონიდ რეშეტნიკოვი

# პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე კოლოდნისათვის ბრძოლის ჟამს

*იური ბონდარევს*

იდგა ივლისი ბობოქარი ორმოცდაერთის,
იყო ომი და...
        ქვეყნის გულთან იწვოდა მიწა.
იმ სასტიკ ბრძოლის დიდ გრუხუნზე ერთობ ყრუდ ვწერდით.
რამეთუ მზეც კი მაშინ დენთის ბურუსში იწვა.

ჰა, დივიზიას თავგანწირვის ჭიდილი ელის
და ჩანჩიბაძემ საომარი გაშალა რუკა.
ამოცანაა — თვით სიკვდილზე ათასჯერ ძნელი,
ჰიტლერელები კოლოდნიდან გარეკონ უკან.

და შედრკა მტერი...
        წაძუნძულდა კვნესით და ოხვრით,
ოლონდ სოფელში დაწვა ყველა სახლი თუ ქოხი.

ირგვლივ ეყარა დალეწილი ხეები მკვდარი,
იყო ქცეული ყველაფერი ნახშირად, ნაცრად.
ბუხრები,
        ბორცვზე გაშიშვლებულ სვეტებად მდგარი,
იმ ღამის ცაში ჩანდა როგორც მრისხანე ჯვარცმა.

იყო გვრგვინვა და...
        სავსავებდა ზეცაში ალი,
წიოდა ტყვია
      და ნაღმები მიწას დაღავდნენ...
მაშხალები კი,
        როგორც მსტოვრის წითელი თვალი,
ჩვენს თავზე ენთო განთიადამდე.

ავ, ჯოჯოხეთურ ღამისა და ტყვიის ავდარში
ეს საარაკო, მძიმე ბრძოლა მოვიგეთ როცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი,
ვინც კი სასწაულით ცოცხლად გადავრჩით,
ომის იმ ცეცხლის სინათლეში ჩავმწკრივდით ბორცვთან.

ჰა, დივიზიის მეთაურმა გვიყურა დიდხანს,
სულს გვინათებდა ვაჟკაცური თვალების ელვა,
ასე უსიტყვოდ, გულმხურვალედ მადლობა გვითხრა
ყველა მეთაურს, ჯარისკაცს ყველას.

აი, თვალები თითქოს უცებ აევსო მზითო,
ზეცას ახედა სასოებით, მხედრულ ვედრებით,
მერმე მოიძრო,
რაც კი მკერდზე შვენოდა ჯილდო,
ჩამოურიგა მწკრივს თავისი ორდენ-მედლები.

ხოლო როდესაც მებრძოლთა მწკრივს ვერ გასწვდა მისი
ორდენ-მედლები,
ფერი მისივ ხორცის და სისხლის,

შემოიარა ჯარისკაცთა გალავან-ბორცვი,
გალავან-ბორცვი გულმხნედ მდგარი ჭურვების ხნულში,
და როგორც მამა გამარჯვებულ ღვიძლ შვილებს კოცნის,
ყველა მებრძოლი რიგრიგობით ჩაიკრა გულში.

უხაროდა, რომ ვერ ხედავდა ვერავის მოხრილს,
სახეზე არვის არ ეხატა შიში და ზაფრა,
ყველას თვალებში ჩაჰყურებდა ბოდიშის მოხდით
და მეთაური ხელს ართმევდა ჯარისკაცს მაგრად.

აქ გენერალი მეომართა თვალების ელვებს
ხვდებოდა თბილი,
უწმინდესი თვალთა ელვებით.
ის ხელს ართმევდა დაშაშრულ და დაკოჟრილ ხელებს,
თვითონაც ჰქონდა ასეთივე ხელის მტევნები.

აქ ახლა მებრძოლს ჭრილობაც კი ვარდივით შვენის
და გენერალიც ყველას უმხელს გულის ხვაშიადს:
— თქვენა ხართ ქვეყნის სიცოცხლე და...
სიცოცხლე ჩემი,
რაც გამაჩნია, თქვენთვის მინდა,
რაც გამაჩნია...

იმ ღამის შემდეგ ჩაიქროლეს წლებმა გუნდებად,
ცარგვალსაც მოსწყდა სამუდამოდ ვარსკვლავი ბევრი,
მატარებელი იმ დრო-ჟამის არ დაბრუნდება,
ის დღე კი ჩემში ისევ ცოცხლობს მაშინდელ ფერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მხნე განთიადს ცხადად ხედავს კვლავ ჩემი თვალი,
ტოლ-სწორთა გვერდით მწკრივში ვდგავარ,
იქვეა ბორცვი...

და დივიზიის მეთაური
მხნე მწკრივის ჩავლით
ყველა მეომარს მამასავით ეხვევა,
კოცნის.

ნათდება ზეცა...
ცას მზიან გულს ტყვია ვერ უქრობს,
არც ის ხუნდება,
რაც თვით დრო-ჟამს მოუფარჩია.
გვიახლოვდება ხმა უკვდავი უფრო და უფრო:
— რაც გამაჩნია, თქვენთვის მინდა,
რაც გამაჩნია...

---

იური ანოხინი

## „... სიყვარულს უშენებია!"

როცა ვიყავი ყმაწვილი,
დილით თუ დაღამებისას,
მე გულს მითბობდა ხმატკბილი
ერთი სიმღერა დედისა.

გზად ბევრჯერ მომგებებია,
სულის მზედ შემომნთებია:
„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია!"...

გაფრინდნენ წლები ბავშვობის,
მიწამ დაიწყო ზანზარი,
ბევრი სიცოცხლის ჩამქრობი
აგრგვინდა ომი საზარი.

ტანკმა ყანები გათელა,
სისხლმა შეღება მთა-ბარი,
სამშობლოს გადასარჩენად
ხალხმა აისხა აბჯარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შმაგი და გულამღვრეული,
ფიქრსისხლიანი, ავბედა,
ფაშისტთა ურდო წყეული,
ანგრევდა, სწვავდა, არბევდა...

ვერ სძლია ძერამ არწივებს,
შევმუსრეთ ომი მნგრეველი
და დროშა მზემდე ავწიეთ
იმ სისხლდიდობის მძლეველი.

მზე მშვიდობასთან შეუღლდა,
გუთნად გადადნა მახვილი
და მშენებლობას შეუდგა
ხალხი ფარაჯაგახდილი.

კვნესა და ცრემლი შემცირდა,
თითქოს გაცხადდა ზღაპარი,
წამოდგნენ ნაცარ-ფერფლიდან
ქალაქ-სოფლები დამწვარი.

სად მიწას ფერფლი ეყარა,
სიცოცხლე ამოკაშკაშდა,
ამაყად დადგა ქვეყანა
ძეგლად დაცემულ ვაჟკაცთა.

ვინც ჩვენთვის სისხლი დაღვარა,
სამშობლო გადმოგვაბარა,
ვხედავ, უკვდავნი გამხდარან,
მზიურ ძეგლებად დამდგარან.

კვლავ მესმის დედის სიმღერა,
სულის გამთბობი სიმღერა.
მიწა მზის კაბას იკერავს
და ფიქრიც მნათობს მზისფერად.

სიმღერა სულად მქცევია,
დღენიც ამ სულით თბებიან:
„რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია!“

თარგმნა **აკაკი გეწაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე ლომია**

## საუბარი გმირთან

(თავები პოემიდან)

ვუძღვნი მამაცი მფრინავის ქიაზიმ აგრბას ნათელ ხსოვნას.

ვალი!
    სხვა ვალზე მოგითხროთ მინდა,
რომელსაც ველარ აწონი ქისით;
მემართა ვალი მაღალი, წმინდა
და გამიძნელდა გადახდა მისი.

ვამბობდი: გულო, პასუხი გამე,
მაინც სანამდე ვატაროთ ვალი?
რამდენჯერ თეთრად ვათიე ღამე,
არ მომიხუჭავს წამითაც თვალი.

მეკითხებოდნენ ქედებიც თითქოს:
ეს მერამდენე მაისი მოდის? —
სადაა შენი პწკარების სითბო,
გაალხოს ბარემ დუმილის ლოდი.

როცა გაგრისკენ გავწევდი, გზაზე
შემაჩერებდა სოფელი ჯირხვა[1]
და მერამდენედ მტუქსავდა ასე:
პოეტო, ვალში ყელამდე ზიხარ!

კალამი ასჯერ გადავდე განზე,
მეასედ ვიხმე იმედი ხვალის...
ქიაზიმ აგრბა,
        დე იყოს ასე, —
შენებრ მამაცთა მემართოს ვალი!

**გმირის ნაკვალევზე**

სასრიყვას[2] ძმაო,
ამაღლდი მზემდე;
იცავდი მოსკოვს,
სტალინგრადს,
ყირიმს...
შენს კვალს გავყევი
ოცი წლის შემდეგ,
როცა ჭრილობამ
შეიკრა პირი.

ვესტუმრე ვოლგას,
ბურუსის პერანგს
იხდიდა ვოლგა,
ბორგავდა ვოლგა...
შენ ამ ლაჟვარდში ეკვეთე ვერაგს,
ფრთა შეალეწე ურჩხულთა მოდგმას.
აქ დაიმშვენე ვარსკვლავით მკერდი...
აი, აქედან დაგიწყე ძებნა;
კლუჟ-ტურდის[3] გზაზე

---

1 ჯირხვა — ქიაზიმ აგრბას მშობლიური სოფელი.

2 სასრიყვა — ნართების ეპოსის მთავარი პერსონაჟი.

3 კლუჟ-ტურდი — ადგილი რუმინეთში, სადაც დაიღუპა ქ. აგრბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგულე გვერდით,
„გვახსოვს!“ — შემძახეს კარპატის
გზებმა...
„ამაოდ ეძებ!“ — ანაზდად ყრუ ხმა
გაისმა...
მზერა მივაპყარ ზენიტს:
„ის აქ დაიწვა!“... ღრუბელმა რუხმა
მომისამძიმრა ქუხილის ენით.
ქიაზიმ!..,
ჩვენთა დღეთა მშვენებად
ჩაგთვლიან ათსნის
ასულნი, ძენი...
გავცქერი ლაჟვარდს და მეჩვენება,
თეთრი ღრუბელი — ფერფლია შენი.

## მოსკოვის კართან

ყინვას დაერთო თარეში ქართა, —
ეს იყო ომის პირველი წელი.
როგორც სატანა,
მოსკოვის კართან
იდგა ვერმახტი სიკვდილის ცელით.

მაგრამ პასუხად აიჭრა მაღლა
ცეცხლის და რკინის უშრეტი ღვარი;
შენ ამ ნიაღვრის იყავი ტალღა,
ცას მიეახლე
საჭესთან მჯდარი.

შენ მუდამ ცასთან იყავი ახლოს,
ლურჯი თაღედი იმედით გავსებს...
შენი სახელი იმ ლაჟვარდს ახსოვს,
რომელიც მოსკოვს დაჰნათის თავზე!

## ოცნებით ვხედავ

ოცნებით ვხედავ,
მიარღვევ ლაჟვარდს...
და აი, ვილებ ლაჟვარდის რუკას,
თითქოს წარსული ბრუნდება უკან:
აი, ტოლები უკუნეთს ლაშქრავთ!
ვხედავ,
ქარცეცხლში სამიზნეს ეძებთ...
და ჰა, სურათი იცვლება სწრაფად:
მტრის ბომბდამშენი
რუსეთის ველზე
ღრმულებს აჩენს თუ
საკუთარ საფლავს!
ქალაქებს დამზერ —
ნამეხარს ასგზის,
იგონებ ჯირხვას —
დარჩენილს უკან...
წინ ომის ღმერთი —
ბებერი მარსი,
ჭურვებით, ნაღმით,
ნაღარას უკრავს...

შენ თვითმფრინავი გამაღლებს შენი,
ხმელეთი ეჭოდ გაგებებს ვაშას
და მიჰყიყინებ ტყვიების ენით,
შავი ყორნების შიშნაჭამ ლაშქარს!
შენ გჯერა:
რისხვა მოუღებს ბოლოს
მას,
ვინც დათესა ცრემლი და გლოვა...
შენ ციდან ხედავ, თუ როგორ ბოლავს
სვასტიკიანი ტანკების გროვა;
მიმოფანტულებს ხევ-ხუვში ოხრად,
ზედ აფარიათ ნაღვერდლის კალთა...
ლეგენდად მოხვალთ,
თქმულებად მოხვალთ,
დადგებით სვეტად მომავლის კართან!
ოცნებით ვხედავ,
ცას ეჭიდებით,
ზარივით რეკავს სუსხი და თოში...
და ძირს ცვივიან მესერშმიდტები,
გახვეულები საკუთარ ბოლში.

## პოლკოვნიკის წერილი

იხევდა უკან
ვერაგი მტერი,
იხევდა ჭირი მიხაკისფერი...
და ბოროტებამ პირველად იგრძნო,
ახლოვდებოდა დღე მწარე წერის.
უკვე მოასწრეს
გაცნობა შენი,
ქიაზიმ,
გიფრთხის
მტრის ბომბდამშენი.
ცას შეესევით ძმადნაფიცები,
თუ ჩანს ჰაერში
გუნდი ფრიცების;
თავს გარიდებენ
ლაჟვარდის კართან
„ფარიკაობას“ როდესაც მართავთ.

და ივანოვმა — თავკაცმა პოლკის,
ჯირხვას აფრინა ბარათი თბილი:
„მინდა აფხაზებს მოგითხროთ მოკლედ,
ამბავი თქვენი მამაცი შვილის.
თავად ვარ მოწმე,
    ღრუბლის საფრიდან
ანაზდად როგორ დააცხრა ვერაგს.
აშვენებს აგრბას — მამაც კაპიტანს,
ნართების გული,
    არწივის მზერა.
გაიცნო გინდა? —
ის უნდა ნახო
ღრუბლების ახლოს,
ლაჟვარდის ახლოს.
ერთხელ მტრის „ძერა“ წამოეპარა:
„მოემზადეთ!“ — ანიშნა ალომ,
და მოემზადა:
    ცის მრუმე თაღზე
კამარა შეჰკრა,
    ეკვეთა „ძერას“...
და „ფოკე-ვულფი“ აბოლდა წამსვე,
შემდეგ აენთო ყაყაჩოსფერად.
შეერგოს დედის ალალი ლოცვა,
ხარობდეს ასგზის დალოცვის ღირსი:
ის გზაში იყო, რადიომ როცა
ქვეყანას ამცნო გმირობა მისი.
ხომ ზღაპრულია
წუთები ესე:
იყო მფრინავი, ცაში მიქროდე
და გილოცავდეს სარდლობა ძლევას
და ალექსანდრე ნეველის ორდენს!...“

●

ქიაზიმ,
    ვერვინ გიბედავს შებმას
და „შავი რისხვა“ შეგარქვეს მტრებმა...
გახარებს ცხრაას
ორმოცდახუთის
ყოველი წამი,
ყოველი წუთი.

წინ რუმინეთის მთა და ველია,
იბრძვი,
სამშობლოს თვალში მაღლდები.
ისევ გმირობის ამბებს ელიან,
ისევ მღერიან მჭიშთას ტალღები
და აფხიარცას მგზნებარე სიმი,

სულში ჩაგწვდება ქუხილის დოისაც...
მამა — შორიდან გაგებ[illegible]
დედა — შორიდან გა[illegible] ლოცვას.

ბოლში გახვეულს დასცქერი ხმელეთს
და რისხვის ცეცხლი ძარღვებში
                    გივლის.
მჭიშთას გაგონებს ყოველი ღელე,
ლურჯი დუნაი — მტკვარსა და თბილისს.

## უკანასკნელი დღე

ვაგლახ, თვალები რამ დაგილამა,
ნუთუ გიმტყუნა — ბიჭო — იღბალმა!

კვლავაც აფრინდე — ნუთუ ძნელია —
კვლავაც ღრუბლების ჩოხას იცვამდე!
თანაპოლკელნი ისევ გელიან, —
ათი დღე დარჩა ცხრა მაისამდე!

●

დიდხანს გელოდნენ ცაში დაფერფლილს,
დიდხანს ეგონათ, იყავ ცოცხალი;
თითქოს ჩაუწყდათ გულის ძაფები,
იდგა დუმილი გასაოცარი.
დუმდა სარდალიც
გულდაწყვეტილი...
ასე დაესვა იმედს წერტილი.

## შავი უწყება

შენი ნაზიმი — ძმა უმრწემესი,
წერილს ელოდა გულის ფანცქალით;
დრო მიდიოდა მალულ ცრემლებში,
იმედს ფარავდა ნავლი, ნაცარი.

ველარ გაანდო ეჭვი ვერავის...
ბოლოს,
    დუმილის გატყდა საკანი
და ხამუტოვი — დღეს გენერალი,
გაეხმიანა პირველთაგანი:

„როგორ დავიწყო, რა ვთქვა არ ვიცი,
რას შევადარო ჯავრი, ნაღველი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ძმა დაკარგე, ჩვენ —— ძმადნაფიცი,
გიმხელ...
გეხვევი პოლკის სახელით!

იგი მტრებისთვის იყო თავზარი,
აი, ამიტომ ქვეყნის ღვიძლია!
ახლა, როდესაც ბარათს ვაგზავნი,
მკვდარი დავარქვა. — არ შემიძლია.

არ შემიძლია,
ვთქვა სინანულით,
ველარ შეესწრო ჩვენს გამარჯვებას!..
მარადცოცხალი შვილი მამულის,
გმირის სახელით სახლში დარჩება“.

აფხაზურიდან თარგმნა **შოთა აკობიამ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ტაბატაძე

## ბალადა ომის ინვალიდისა

არც მზეს ეფიცხება,
    არც ყვავილებს ყიდის,
ომის ინვალიდი
    შეხვედრაზე მიდის.
ცალი ფეხით მიდის
    ომის ინვალიდი,
შემხვდურები უხმოდ
    გზას უთმობენ რიდით.
ჩია ტანის კაცი,
    სულით დიდზე დიდი,
ჩვენი გადამრჩენი,
    ჩვენი მეხამრიდი,
ცეცხლის არდამრიდი,
    ლეგენდა თუ მითი,
გულზე ორდენებით
    შეხვედრაზე მიდის.
და იხსენებს: მაშინ
    იყო ოცდაშვიდის,
ალმერთებდა მამულს,
    სიმართლეს და სინდისს,
წელში გამართული,
    როგორც სახრე შინდის,
ჰქროდა ბრძოლის ველზე,
    ფიქრობს: ჰაი, გიდი!
...ყავარჯნების ბაკუნს
    ისმენს არე-მარე,
„შევისვენო? არა,
    ხიდს გადვივლი ბარემ!“

აგერ ისიც, მტკვარზე
    გადებული ხიდი,
ომის ინვალიდი
    უკვე ხიდზე მიდის.
„ხიდი... ხიდზე...“ ფიქრმა
    გაიტაცა კაცი,
მუხლი მოეკვეთა
    მოხუცს ღონეგაცლილს,
წამოვიდა სეტყვა
    ტყვიისა და რკინის,
გზა გაეხსნა იმ ძველ
    ჭრილობას და ტკივილს...
ათას ტყვიას მხოლოდ
    გადაურჩა გული,
გდია ხიდზე კაცი
    გრძნობადაკარგული.
...ტრიბუნასთან მიჰყავთ
    ომის ინვალიდი,
ჩია ტანის კაცი,
    სულით დიდზე დიდი;
და იხსენებს, ფერფლად
    როგორ იქცა ხიდი,
როგორ გადაურჩა
    ცეცხლის არდამრიდი
ყუმბარების წვიმას
    და უეჭველ სიკვდილს
ერთხელ, როცა იყო
    ზუსტად ოცდაშვიდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ცეცხლში გახვეული დედამიწა*

## (ომგადახდილის მოგონება)

. . . . . . . .

სოფელს მდინარესავით ჩაუდიოდა ფართო გზატკეცილი.

ცხენების ფლოქვებსა და ჩვენ ჩექმებქვეშ მოყინული თოვლის ხრაშუნმა და ფურნების თვლების ჭრიალმა დაბზარა სოფელზე ჩამოწოლილი ღამის მკვდრული დუმილი.

მივდიოდით დაღლილები, დამშეულები, მოწყურებულები.

წყურვილმა შემაწუხა უსაშველოდ.

გზის მარცხენა მხარეს გადავუხვიე, ჭიშკარი გავაღე, ფართო ეზოში მდგარი სახლის კართან მისულმა ყოველი შემთხვევისათვის ქამარზე დაკიდებული ბუდიდან რევოლვერი ამოვიღე და კარის სახელურს გამოვწიე. კარი ღია იყო. მეორე ხელში ღამის ფარანი მოვიმარჯვე და ზღურბლზე გადავაბიჯე. ოჯახური სითბო მეცა. ადამიანის სუნი დავყნოსე. ერთ ოთახში შევედი. არავინ იყო. საათის წიკწიკი შემომესმა. კედლის საათი მუშაობდა. მეორე ოთახიც ცარიელი იყო, ღუმელი კი ენთო.

ნამდვილად ვიღაც არის სახლში! მჯერა და თან არც მჯერა. ჯერ ხომ არცერთ სახლში არ დაგვხვედრიან მობინადრენი...

კორიდორის ბოლოს კიდევ ერთი კარი დავლანდე.

გავაღე.

გუმანმა გამიმართლა!

სქელი ფარდით ფანჯრებჩამობნელებულ პატარა ოთახში სიცივეში გამოსული პეპლის ფრთებივით ფარფატებდა ოდნავ მბჟუტავი ლამპის შუქი. იმ მისუსტებულ შუქზე ოთხი ადამიანის ჩრდილი დავლანდე. სამი ჩრდილი ფეხზე იდგა, მეოთხე — ტახტზე იჯდა. ისიც წამოხტა, ცალ ფეხზე წამოხტა და ოთხივემ მაღლა ასწიეს ხელები. ხელები დაუშვით-მეთქი, — ვანიშნე და რევოლვერი ბუდეში ჩავაბრუნე. ლამპასთან მივედი, პატრუქი ამოვუწიე. ჩრდილები უკვე მკაფიოდ გამოკვეთილ ადამიანებად იქცნენ. ჩემს წინ იდგნენ შვიდი-რვა წლის ბიჭი, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილი, შუახანს მიტანებული ქალი და ცალფეხა მოხუცი კაცი.

წყალი დამალევინეთ-მეთქი, — ვუთხარი. დედაკაცმა ვეება ფინჯნით მომაწოდა წყალი. სულმოუთქმელად დავლიე, ფინჯანი მაგიდაზე დავდგი, გმადლობთ-მეთქი, — ჩავილაპარაკე და გამოვბრუნდი.

გზაზე გამოვედი და წინ წასულ ჩვენს ასეულს წამოვეწიე.

პოლკის ლაშქრობის დროს, როგორც წესი, ჩვენი მესამე ბატალიონი სულ ბოლოში, პირველი და მეორე ბატალიონების შემდეგ მიდიოდა ხოლმე, ხოლო ბატალიონის მწყობრის შემკვრელები ნაღმმტყორცნელები ვიყავით მუდამ. ჰოდა, პოლკის კოლონის კუდს წამოვეწიე და გზა განვაგრძე.

სულ რაღაც სამასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ჩვენამდე მოაღწია კოლონის თავიდან სინათლესავით წამოსულმა ბრძანებამ: „შეჩერდი შესასვენებლად!"

შევჩერდით. რაკი სოფელში ვიყავით, რაღა თქმა უნდა, ჰერქვეშ მოგვიწევდა რამდენიმე საათით შესვენება.

— ლეონიდ პავლოვიჩ, — ვუთხარი ასეულის მეთაურს, — სულ რაღაც ნახევარ კილომეტრზე ერთი მშვენიერი სახლია. რაც მთავარია, სახლის პატრონები არიან შინ. აგერ ახლა წყალი დამალევინეს. დიასახლისი, ალბათ, ცხელი საჭმელის მომზადებაშიც მოგვეხმარება...

ხმირნოვმა არ დამიჯერა, ყველანი გარბიან და იმ სახლში ვინ დარჩებოდაო. ღამის დამაფიცა, რომ არ ვატყუებდი.

ასეული უკან მოვაბრუნეთ და იმ სახლს მივადექით. ალაყაფი ფართოდ გავაღეთ, ცხენებშებმული ფურნები ეზოში შევიყვანეთ და ვიდრე ბიჭები ცხენ-იარაღს დააბინავებდნენ, პეტროვიცკი გავიყოლე და სახლში შევედით.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ა. წ. „მნათობი", № 4.

ბინადრები ისევ იმ ოთახში დამხვდნენ, რომელშიც ნახევარი საათის წინ ვნახე ისინი. ოღონდ ქალიშვილი აღარსად იყო. ცალფეხა მოხუცი კაცი ისევ იმ ყუთივით შეკრულ ტახტზე იჯდა, ბავშვი დედას მიჰკვროდა კაბაზე, თვალებში შიშჩამდგარი ქალი ქანდაკებასავით იდგა.

— ნურაფრისა ნუ გეშინიათ, — პეტროვიცკიმ ჩემი სიტყვები გადაუგერმანულა დამხვდურებს. — ცოტას დავისვენებთ და დილის ექვს საათზე წავალთ.

ცალფეხა კაცი შეტოკდა, ბიჭი წელში გაიშალა, ქალს თვალებში ცრემლები ჩაუდგა.

— ბიტე შონ! — ლამის ერთდროულად აღმოხდა სამივეს.

სახლში ასეულის სხვა მებრძოლებიც შემოვიდნენ.

შინლები დავიხადეთ. სანთელი სხვა ორ ოთახშიაც ავანთეთ და სკამებ-სავარძლებზე მივესვენეთ.

ასეულის ზემდეგმა პური, კარტოფილი და ღორის ხორცი შემოიტანა. დიასახლისს ქვაბები ვთხოვეთ. ის იყო, ხორცის დაჭრას და კარტოფილის დათლას შევუდექით, რომ პეტროვიცკიმ გადმოგვითარგმნა ქალის სიტყვები:

— თქვენ დაისვენეთ, საჭმელს მე გაგიმზადებთ, ოღონდ მითხარით, რა გავაკეთო.

„სოუზზე" შევჩერდით.

ღუმელზე ორი მოზრდილი ქვაბი ათუხთუხდა.

ქალი ჯარასავით ტრიალებდა, ბიჭი უკვე ჩვენს გვერდით იჯდა და რაღაცას ჟღურტულებდა. თანდათან აეწყო ჩვენი საუბარი.

— მაგ ცალფეხას ჰკითხე, ჭიშკრისა და სახლის კარი რატომ არ ჰქონდათ ჩაკეტილი.

— ვისთვის უნდა ჩაგვეკეტნა კარი, თქვენთვის? — გაიკვირვა ცალფეხამ. — მთელი ევროპის ჯავშნის მფლობელმა ჰიტლერმა ვერ გადაგიკეტათ გერმანიის კარი და ჩვენი უსუსური ბოქლომი რას დაგვიფარავდა. კი გვეუბნებოდნენ, რუსები მოსვლისთანავე ამოგხოცავენო, მაგრამ, ვერ დავიჯერე. ყველა ყველა და მე ვერ დავიჯერებდი. პირველ მსოფლიო ომში დაჭრილი ჩავუვარდი რუსებს. თქვენს ჰოსპიტალში მიმკურნალეს, ღვთისნიერად მექცეოდნენ.

ოთახებში თავბრუდამხვევად დატრიალდა მადის აღმძვრელი სურნელება. მაგრამ რაღა მადის აღძვრა გვინდოდა, უიმისოდაც გვახრჩობდა ნერწყვი.

დიასახლისმა ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა და თუჯის განიერი ღუმელის კიდეზე დადგა. და როცა მეორე ქვაბის გადმოსაღებად წაიღუნა, ადრე გადმოდგმულ ქვაბს როგორღაც იდაყვი წამოჰკრა. ქვაბი პირქვე დაეცა იატაკზე.

ქალი შეცბა. ჭამის მოახლოებით გადაშუქებული სახეები მოგვიღრუბლა. მუშტმოღერილი ზემდეგი სკამიდან წამოვარდა. ის აქამდეც ხმის ამოუღებლად იჯდა და [illegible] თვალით შეჰყურებდა გერ[illegible] მკვდრის ფერი დაედო და გაშეშდა.

— არა უშავს რა, დიდი უბედურება არ მომხდარა! — წამოვიძახე და მყისვე ქვაბთან გავჩნდი. მერე მათლაფასა და დიდ კოვზს დავავლე ხელი და იატაკზე დახვავებული კერძი ქვაბში ფრთხილად ჩავაბრუნე. იატაკს თხელ ფენადღა შერჩა საჭმლის ნარჩენი. ქვაბი ღუმელზე შემოვდგი, მაგიდიდან თეფში ავიღე (მაგიდაზე უკვე გაწყობილი იყო ჭურჭელი), კერძი გადმოვიღე და ფეხზე მდგომარემვე გემო გავუსინჯე:

— ზღაპრულად გემრიელი რამ არის, ბიჭებო, — მხიარულად წამოვიძახე და მაგიდას მივუჯექი.

გაწბილებული ზემდეგი მოწყვეტით დაეშვა სკამზე. მან მაინც არ ისურვა იმ ქვაბიდან ამოღებული კერძის შეჭმა. მისთვის ყურადღება არავის მიგვიქცევია. დამთბარ ჭერქვეშ ისევ აღუღუნდა კეთილგანწყობილების მტრედი.

გვარიანად დავნაყრდით.

ორი საათით წაძინებაც მოვასწარით.

მასპინძლებს თვალი არ მოუხუჭავთ. ყველანი ტახტზე ისხდნენ.

არც მე მძინებია.

ვფიქრობდი მშვიდობიან გერმანელ მოქალაქეებზე, რომელთაც არანაკლები ტანჯვა მოუტანა ფაშიზმმა, ფაშისტებისაგან გაჩაღებულმა ომმა. ვფიქრობდი ადამიანებისათვის წარმოუდგენელ იმ ჯოჯოხეთზე, რომლის მოდუღარმა კუპრმაც ლამის მთელი პლანეტა დამდუღრა. ვფიქრობდი ბავშვებზე და ქალებზე, დაობლებულ ბავშვებზე და დაქვრივებულ ქალებზე, დანგრეულ ოჯახებზე, ჩამქრალ კერებზე. მეცოდებოდნენ გერმანელი ბავშვებიც და ქალებიც. ვფიქრობდი შურისძიებაზეც. ბრმა და ყრუა შურისძიება, ნაბიჯმოუზომელი და საზღვარმოშლილი. ვაი რომ, მისი წერა ბევრი უდანაშაულო ადამიანიც ხდება! ვფიქრობდი ომის ჯოჯოხეთურ კანონზე, რომელიც თვით კეთილი ადამიანების სულებშიც კი გაავებულ აფთარს ასახლებს, კაცს ამხეცებს და აურზემებს, დიდი ვაჟკაცობა, დიდი ადამიანური სიკეთე და სინათლე უნდა გქონდეს, კაცთმოყვარეობის მაღალ იდეალებზე უნდა იყო აღზრდილი, რომ ის აფთარი დაიმორჩილო, დარჩე ავ-კარგის სალად მჭვრეტელ და განმცდელ ადამიანად.

თვალწინ ოთხიოდე საათის წინ აქ ნახული ნაზი და ლამაზი ქალიშვილიც დამიდგა. მაინც სად გაქრა? სად გადამალეს? მე არავისთვის მითქვამს, რომ ოჯახში ქალიშვილიც იყო, ისე კი სუფრიდან ადგომის შემდეგ ყველა კუთხეკუნჭულში შევიჭყიტე და იმ გოგოს თვალი ველარსად მოვკარი.

დილის ექვსი საათისათვის ყველანი ეზოში

ვიყავით უკვე სალაშქროდ გამზადებულები. და როცა ფორნები ეზოდან გავიდნენ და ბიჭებიც თან მიჰყვნენ, სახლში შევბრუნდი.

იმ ოთახში შევედი, სადაც ტახტიდან აუდგომლად იჯდა ცალფეხა მოხუცი კაცი. მოხუცს ვთხოვე ამდგარიყო. სახეზე ნაცრისფერმა გადაჰკრა. ადგა. ტახტს სახურავი ავხადე. შიგ იწვა ის ქალიშვილი, სულშეხუთული და ფერდაკარგული. შეშინებული თვალებით ამომხედა. გავუღიმე. კეთილად გავუღიმე. თმაზე ნაზად გადავუსვი ხელი. სიტყვითაც და მიმიკითაც ვუთხარი, ცოდო ხარ, ადექი, ნურაფრისა ნუ გეშინიან-მეთქი. ჰაერს დახარბებული ქალიშვილი წამოდგა. მერე იქვე მდგარ ბიჭს, უთუოდ მის ძმას, ლოყებზე მოვუთათუნე ხელი და ოთახიდან გამოვედი.

ჭიშკრამდე მომყვა იმ და-ძმის დედა და მადლიერებით განათებული მზერა გამომაყოლა.

. . . . . . .

ოდერი უკვე ხელის ერთ გაწვდენაზეა!

ოდერის გასწვრივ ტყე-ტყე მიმავალ გზატკეცილს მივდევთ. სამხრეთისკენ მივდივართ.

გზატკეცილის ორივე მხარეს მაღალ კედლებად აღმართულა ტანაყრილი წიწვნარი.

ამ ვიწრო მწვანე ტალანში აჩქარებულ მდინარედ მიედინება ჩვენი დივიზია — მან ამაღამ უნდა გადალახოს ოდერი, ეს-ეს არის, ჩვენების მიერ ხელში ჩაგდებულ მცირე პლაცდარმზე გადავიდეს და ახალ ბრძოლაში ჩაებას ოდერს გაღმა გადარეკილ გერმანელებთან.

ისეთი ლამაზი და მშვიდი დილაა, ლამის არის კაცს ომის სახსენებელიც დაგავიწყოს. მზის ცინცხალი სხივებით დაცხრილულ მაღალ ნაცრისფერ ღრუბლებს მომწვანო ფერის ალი წაეკიდა. ფიჭვთა დათოვლილი ტოტები ზღაპრულ ყვავილებად გადაქათქათდა.

ჩვენსა და გერმანელებს შორის ჩაწოლილა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მდინარის — ოდერის განიერი კალაპოტი და მის მარჯვენა ნაპირსა და ამ გზატკეცილს შორის ტანაყრილი ტყის კილომეტრნახევრიანი ზოლი.

ეტყობა, ჩვენმა საველე სამზარეულომ საუზმის მომზადება ვერ მოასწრო. ზემდეგმა ფორნით ჩამოგვიარა და მშრალი ულუფა ჩამოგვირიგა.

დღესაც სიარულში უნდა ვისაუზმოთ.

მეფორნეს მივუჯექი და პური გავტეხე.

მეფორნეც ილუკმება, ცალ ხელში სადავეები უჭირავს და ცალი ხელით პურდება.

ჭამა მოვათავე და ფორნიდან ჩამოვხტი.

სამნი მივაბიჯებთ მხარდამხარ. საუბრით მივდივართ.

სრულიად მოულოდნელად თვითმფრინავის გუგუნი შემომესმა. და ის ხმა ისეთი გამაყრუებელი იყო, რომ მეგონა, თავი თვითმფრინავის ძრავებში მქონდა შეყოფილი.

ავიხედე. ჩვენი ტალანის ჭერზე არაფერი ჩანდა, მაგრამ იმწამსვე ჩვენს ცოტა ქვემოთ, ხეთა კენწეროების ზემოდ[illegible]მიტი" გამოსხლტა და მიწისკენ [illegible]ტყვიამფრქვევის ლულიდან ცეცხლის შეუნელებელი ნაკადი დაუშვა. ჩემს თვალწინ მფრინავი მეტყვიამფრქვევის გაბოროტებულმა სახემაც გაიელვა. თვალებზე დიდი სათვალე ეკეთა.

„მესერშმიტი" გზას ალმა ამოჰყვა გაავებული ცეცხლის ფრქვევით.

ბიჭები გზის აქეთ-იქით გახტნენ და ტყეს შეეფარნენ. ზოგიერთები გზისპირა თხრილებში ჩაწვნენ. ჩემს მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ მომავლები იქვე გაიშოტნენ, სადაც გზას მივუყვებოდით. მეც მათ შორის ჩავწექი, გულაღმა დავწექი და თვალი გავაყოლე ჩვენს თავზე გადაფრენილ თვითმფრინავს.

და როცა „მესერშმიტი" ოციოდე მეტრით დაგვშორდა და დავრწმუნდი, რომ საფრთხე აღარ გველოდა, წამოვჯექი.

— ბიჭებო, ადექით, — მუჯლუგუნები გავკარი ჩემს მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ მწოლებს. პირქვე დამხობილი ზუბკოვი არ განძრეულა. მიხაილოვმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ წამოდგა.

ზუბკოვი გულაღმა ამოვატრიალე. გულში მქონდა ტყვია მოხვედრილი. საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა. მიხაილოვი ფერდში იყო დაჭრილი.

როგორც ეტყობა, ტყვიამფრქვევის ერთმა ჯერმა ჩაგვიარა და ახლაც ვერ ამიხსნია, რანაირად გადავრჩი ტყვიაგაუკარებელი.

„მესერშმიტმა" ორიოდე კილომეტრის სიგრძეზე დაცხრილა გზა და მერე თავი ისევ ცას მისცა.

როგორც ჩანს, გერმანელმა მფრინავმა, როცა ტყეში მიმავალი ჩვენი კოლონა შენიშნა, ძრავები ჩააქრო, გზატკეცილს უხმაუროდ მოუახლოვდა, ტყის სიმაღლეზე დაეშვა და სრულიად მოულოდნელად დაგვესხა თავს.

...შებინდებისას ჩაგვესმა ოდერის ხმაური.

ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ წაკითხულიდან: „ოდერზე გასვლით და მის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების ხელში ჩაგდებით დამთავრდა ვისლა-ოდერის ოპერაცია — მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ოპერაცია. თავისი შედეგებით მას დიდი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა ჯარებმა პოლონეთის ჯარის I არმიასთან და პარტიზანებთან ერთად გაათავისუფლეს პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და გავიდნენ გერმანიის ტერიტორიაზე.

...ვისლა-ოდერის უდიდესი ოპერაცია სტრატეგიული ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების ნიმუშია. მისმა შედეგებმა გვიჩვენეს, რომ გადამწყვეტი მიზნის მიღწევა შეიძლება არა მარტო გარშემორტყმისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებით, არამედ

ღრმა და მძლავრი ფრონტალური დარტყმების გამოყენებითაც. ვისლა-ოდერის ოპერაციამ დიდ გაქანებას მიაღწია: ის გაშლილი იყო 500-ზე მეტი კილომეტრის ზოლში: საბჭოთა ჯარებს სულ 25 დღე დასჭირდათ, რათა წინ წასულიყვნენ 500-ზე მეტი კილომეტრით, წინსვლის საშუალო ტემპი დღე-ღამეში თითქმის 25 კილომეტრი იყო".

## პლაცდარმი

ოდერზე გადასასვლელ ხიდს გერმანელები ჯვარედინ ცეცხლს უშენდნენ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. მიზნის სიშორე და ღამის სიბნელე მაინც თავისას აკეთებდა — ასიდან ერთი ჭურვი თუ ფეთქდებოდა ხიდზე, რომელიც თითქმის უმსხვერპლოდ გადავიარეთ ჩვენც და ფორნებმაც.

გაცრიატებული წყვდიადის ფონზე მდინარისპირა სახლების შავი სილუეტების კონტურები მოიხაზა. ჩვენს წინ ქალაქი იყო, ჩვენს პლაცდარმად ქცეული ქალაქი, ოდერის მარცხენა ნაპირს მჭიდროდ მიკრული პატარა ქალაქი მალჩი.

ქალაქის დასავლეთ გარეუბნისაკენ გავეშურეთ.

ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლის წინა ხაზიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდგარი დიდი სამსართულიანი სახლის ეზოში შევარჩიეთ საცეცხლე პოზიციები.

ჯარისკაცები ნაღმსატყორცნების გამართვასა და ჩასანგრებას შეუდგნენ.

ერთხანს მეც ვიტრიალე ჩემი ოცეულის ბიჭებთან. მერე იმ სახლში შესვლა გადავწყვიტე.

პირველი სართულის ყველა ოთახში შევიჭყიტე. სულიერის ჭაჭანება არ იყო. მეორე სართულზე ავედი. ერთ-ერთ ოთახში დივანზე მიყრილი გენერლის მაზარა, კიტელი და ქუდი შევნიშნე. მაზარას დავწვდი. თვალი მომჭრა სამხრეებისა და სხვა მოსართავების ბრჭყვიალმა. კიტელზე ნაირნაირი ჩინ-მედლები ზიმზიმებდა.

ალბათ, რომელიმე შიშნაჭამმა გენერალმა სამოქალაქო ტანსაცმელი არჩია ამ საპარადო მუნდირს.

და მაინც რა ეშმაკი ჩამიჯდა თავში? — კიტელსა და მაზარას ვიცვამ და სარკეში ვიყურები. მერე გენერლის ქუდსაც ვიხურავ. ისევ სარკეში ვიყურები და ვხარხარებ. ალბათ, ამ ხარხარში ერთად რეკდა სიცოცხლის სიყვარულიც და სიკვდილის სიძულვილიც, გამარჯვებულის სიამაყეც და დამარცხებულის დაცინვაც.

ჩემს ულმერთოდ დაღლილ და მოშიებულ ბიჭებსაც გავაცინებ-მეთქი, — ვიფიქრე და დაბლა დავეშვი. საპარადო გასასვლელთან შევჩერდი და ბიჭებს რამდენიმე გერმანული სიტყვა შევძახე. წამსვე ჩემკენ შემოტრიალდნენ.

მათი პირველივე მოძრაობა ავად მენიშნა — ნამდვილად გერმანელ გენერ[illegible] და ავტომატები მომიშვირეს. მე [illegible] იტენანტი ვარ-მეთქი, — ვიყვირე, მაგრამ ყური ვილამ მიგდო. ცეცხლი გახსნეს. პირი ვიბრუნე და ტყვიასავით შევვარდი სადარბაზოში. სასწაულებრივად გადარჩენილმა იმ წამსვე გავიძრე მაზარა, რომლის კალთაც ტყვიით იყო გახვრეტილი. მერე ჩემს ნაღმმტყორცნელებს ხუმრობით ვეტყოდი ხოლმე: რა გინდათ, თუ ფაშისტი გენერალი პირისპირ ბრძოლაში არ მოგიკლავთ, გენერლის მაზარა ხომ დაგახვრეტინეთ-მეთქი.

მთელმა დღემ უშფოთველად ჩაიარა. ნეტავ რამ მოათვინიერა გერმანელები... ერთი კი ცხადზე ცხადი იყო — ოდერის დასავლეთ ნაპირზე ჩვენს ფეხისმოკიდებას გერმანელები არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებოდნენ. ავის მომასწავებელი იყო მათი იმდღევანდელი გაყუჩება.

ასმეთაური სმირნოვი დილიდანვე წინა ხაზზე წავიდა სათვალთვალო პუნქტის შესარჩევად და მოსაწყობად. თან პეტროვიცკი წაიყვანა მხარზე ჩამოკიდებული ხატელეფონო მავთულის ხვეულითა და ტელეფონის აპარატით. მიდიოდა პეტროვიცკი. მავთულის ხვეული ტრიალებდა, წინა ხაზისკენ მიიკლაკნებოდა.

სმირნოვმა მთელი დღეს სათვალთვალო პუნქტზე ისე დაჰყო, რომ მის ბაგეებს ერთხელაც არ წარმოუთქვამთ ბრძანების სიტყვა: „ცეცხლი!".

ასმეთაურმა საღამოს დარეკა და მითხრა, შემცვალეო. მისამართის კითხვა არ დამჭირვებია. ჩვენი ტელეფონის აპარატზე გამობმულ მავთულს გავყევი. მავთულმა წინა ხაზის საბრძოლო განლაგებაში მდგარ სამსართულიან სახლთან მიმიყვანა. იმ ოთახის დასავლეთის მხრის ფანჯრიდან ხელისგულივით ჩანდა ყველაფერი. სმირნოვი იმ ფანჯარასთან იჯდა, პეტროვიცკი — დაბალ მაგიდაზე დადგმულ ტელეფონთან.

სმირნოვი საცეცხლე პოზიციაზე დაბრუნდა. მისი ადგილი ფანჯარასთან მე დავიკავე. თვალებადქცეული გავყურებდი იმ ადგილებს, სადაც გერმანელების წინა ხაზი მეგულებოდა.

ღამე ძალაში შევიდა. ირგვლივ სიწყნარე იყო. ჟამი-ჟამ ჩაბნელებულ ცაში მაშხალები თუ შეცურდებოდნენ და ზღაპრულ ფერად ყვავილებად გადაიფურჩქნებოდნენ. მერე ლეროებწაწყვეტილებივით უცებ თავებს ჩამოშქინდრავდნენ და განქარდებოდნენ.

პეტროვიცკის ვუთხარი, დაიძინე-მეთქი. თავის მიდება და ძილი ერთი იყო. ნაშუაღამევს გავაღვიძე და ახლა მე მივწექი.

ყოველთვის მშურდა ადამიანებისა, თვალის მოხუჭვისთანავე ტკბილ ძილს რომ მიეცემიან ხოლმე. რაც არ უნდა უძილო და დაღლილი

ვიყო, თუ კარგა ხანს არ ვიწვალე და შამფურივით არ ვიტრიალე, ძილის ანგელოზი კეთილი თვალით არ გადმომხედავს. ახლაც ასე იყო. ალბათ, ახალი ჩაძინებული ვიქნებოდი, რომ აფეთქების მძლავრმა ხმამ გამაღვიძა.

გათენების ჟამი დგებოდა.

გერმანელები არტილერიის ცეცხლს გვიშენდნენ.

— შეტევაზე გადმოდიან წყეულები, — გავიფიქრე და მაშინვე ვუბრძანე პეტროვიცკის, საცეცხლე პოზიციას დავუკავშირებინე.

— გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გახსნეს! — ჩავყვირი ყურმილში.

— ვიცით. მათი ცეცხლი ჩვენამდეც აღწევს, — მპასუხობს სმირნოვი. — გათვლები მზად არიან ბრძოლისათვის.

მაგრამ ჯერ ისევ ბნელა და საჭირო მონაცემებს ვერ ვაძლევ.

ინათა. გერმანელებმა არტილერიის ცეცხლი სიღრმეში გადაიტანეს. ჩვენსკენ ქვეითები დაიძრნენ.

ტელეფონით გადავცემ საცეცხლე კოორდინატებს.

— **Беглый огонь!** — ვყვირი სათვალთვალო პუნქტის ჭერქვეშ.

— **Беглый огонь!** — იმეორებს სმირნოვი საცეცხლე პოზიციაზე.

ერთმანეთის კუდში გამობმული ნაღმები ჩვენს თავზე გადაჭქრიან და გერმანელთა საბრძოლო განლაგებაში ფეთქდებიან.

მაგრამ გერმანელები ბევრნი არიან და თავაწყვეტით მოიწევენ. ქრება სივრცე ჩვენს წინა ხაზსა და იერიშზე მომავალ გერმანელებს შორის. სანაღმტყორცნო ცეცხლის წარმოება უკვე სახიფათოა — შეიძლება ჩვენებიც დავაზიანოთ.

სათვალთვალო ხვრელიდან გავყურებ ბრძოლის ველს. გერმანელებმა ჩვენი დაცვის მარცხენა ფლანგი გაარღვიეს. მალე ჩვენს განლაგებაში მარჯვენა ფლანგიდანაც შემოიჭრნენ, ჩვენი შენობიდან რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით.

— პეტროვიცკი, გადაეცი, რომ გერმანელები ჩვენს საბრძოლო განლაგებაში შემოიჭრნენ და ჩვენ გარემოცვის საფრთხე გვემუქრება.

პეტროვიცკი ტელეფონის სახელურს ატრიალებს. მავთულის მეორე ბოლოდან კი არავინ ეპასუხება. როგორც ჩანს, მავთული ყუმბარის ნამსხვრევებმა გაწყვიტა.

ჩვენი შენობა უკვე ზურგში მოიქციეს კონტრშეტევაზე გადმოსულმა გერმანელებმა.

აი თურმე რას ნიშნავდა მტრის გუშინდელი გაყუჩება! ახალი ძალები მოუყვანიათ. რიცხობრივად დაგვჯაბნეს. როგორც შემდეგ გავიგე, მალჩთან რამდენიმე სამხედრო სასწავლებლის ახალგაზრდა და ჯანიანი კურსანტები გადმოუსვრიათ.

— პეტროვიცკი, ახლავე მოხსენი ტელეფონი, აქედან უნდა გავაღწიოთ.

— ვერ მოვხსნი, ამხანაგო ლეიტენანტო, უფროსებისგან უკან წასვლის ბრძანება არ მიგვიღია.

— ახლავე მოხსენი! — ვუმეორებ ბრძანებას.

ის ისევ მიჯიუტდება.

საიდან ჰქონდა ამ კაფანდარა ჯარისკაცს ასეთი დიდი გული?

ტელეფონის აპარატს ხელი დავტაცე, მავთული წავაწყვიტე. აპარატი პეტროვიცკის მივაჩეჩე და მკაცრი ხმით ვუბრძანე:

— ახლავე მომყევი სირბილით!

ქუჩაში ვერ გავალთ. იქ გასვლა სიკვდილს უდრის. გერმანელების ხელთ არის შენობის გვერდით ჩამავალი ქუჩა. ეზო-ეზო უნდა ვიაროთ. ეზოები კი ერთმანეთისაგან მავთულის მაღალი მესერებით არის გადაღობილი. და მაინც ეზოებით უნდა ვიაროთ.

უცებ ქუჩაში, ჩვენს გასწვრივ, სირბილით მიმავალი სამი გერმანელი შევნიშნე. მათი მხარის აქცევა ვიფიქრე, მაგრამ არ გამომივიდა — მათაც შეგვნიშნეს. თითქმის ერთდროულად მივუშვირეთ ერთმანეთს ავტომატები. მაგრამ, ეტყობა, რაღაც სულ ერთი წამით დავასწარი — ჩემმა მოკლე ჯერმა სამივე მოცელა.

და კიდევ კარგი, რომ მათ ახლოს არავინ იყო, თორემ ეზოში მიმწყვდეული ორი კაცი რას გავაწყობდით.

როგორც იქნა, ჩვენს საცეცხლე პოზიციებს მივაღწიეთ. იქ აღარავინ დაგვხვდა. და ისევ ეზოები... ალაგ-ალაგ ქუჩებზე სწრაფი გადარბენები.

ჩვენი პოლკის მსროლელებს შევუერთდით. ისინი მძიმე ბრძოლით იხევდნენ უკან.

ჩვენი ნაღმმტყორცნელები არსად ჩანდნენ.

ქუჩებში ბრძოლისათვის ნაღმსატყორცნებისა და ქვემეხების გამოყენება შეუძლებელი გამხდარა და ვიდრე გერმანელები ხიდის მისადგომებს მიადგებოდნენ, პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ მოროზოვს ნაღმმტყორცნელები და არტილერისტები თავიანთი იარაღითა და ფორნებით ოდერის გაღმა ნაპირზე გაუხიზნავს, თქვენი ცეცხლით მდინარის იმ ნაპირიდან დაგვეხმარეთო.

ოდერის ნაპირს მიახლოებულები უფრო მეტი გააფთრებით ვიბრძვით ჩვენც და გერმანელებიც, დაღამების ჟამისათვის მხოლოდ სამად სამი სახლიღა იყო ჩვენს ხელთ, ზედ ოდერის პირზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარი, სამი მხრიდან გერმანელების ცეცხლისა და ერთი მხრიდან ოდერის ჩარჩოში ჩაჭედილი სამად სამი სახლი.

ჩვენები ოდერის გაღმიდან ქალაქს საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ. ჩვენი ყუმბარები ჩვენი სახლების კედლებზეც სკდებოდნენ. გა-

ღმელებმა არ იცოდნენ, ჩვენ სად ვიყავით და გერმანელები — სად. რაცხაც არ მუშაობდა, დაზიანებული იყო. კავშირის არავითარი საშუალება არ გვქონდა და არ შეგვეძლო გაღმა მყოფი დივიზიის შტაბისათვის გვეცნობებინა ჩვენი ადგილსამყოფელი და საერთოდ შექმნილი მდგომარეობა.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, პოლკოვნიკმა მოროზოვმა რომ გამომიძახა.

— გაღმა გასვლაა საჭირო. ხიდით, რა თქმა უნდა, ვერ გახვალ. წაიყვანე ორი კაცი, სადმე რაიმე ნავი მონახეთ, მდინარე გადაცურეთ და დივიზიის შტაბს შეატყობინეთ, რომ ჩვენ ქალაქის ამ რაიონში ვართ. — მოროზოვმა ქალაქის რუკა გადმომცა. — გააცანით ჩვენი მდგომარეობა და გადაეცით, რომ დროზე მოგვეშველონ.

ჩემი ოცეულის მებრძოლი პეტროვიცკი და ქვეითი ასეულის ჯარისკაცი ჟუკოვი შევარჩიე. მდინარის მხრისკენ მიქცეული უკანა კარიდან გავედით.

გერმანელები, ალბათ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩვენ მათი ნაღდი ლუკმა ვიყავით, და თავს დასვენების უფლება მისცეს. გუშაგების ურთიერთ გადაძახილი თუღა ისმოდა.

ოდერის პირზე ორი-სამი მეტრის სიმაღლის ბეტონის კედელი იყო ამოშენებული. იმ კედელში დატანებული ვიწრო კიბის საფეხურები ჩავიარეთ და მდინარის პირზე ჩავედით. ოდერს ქვემოთ ჩავყევით ერთმანეთისაგან ორი-სამი მეტრის დაშორებით მიმავლები. წინ ჟუკოვი მიდიოდა, შუაში მე, პეტროვიცკი უკან მოგვდევდა. ბეტონის კედელსა და მდინარის შუა დათოვლილ შლამზე უხმოდ მივაბიჯებდით.

უცებ ჭურვის შხუილი ჩამესმა, ძალიან ახლოდან ჩამესმა. ის იყო დაწოლა დავაპირე, რომ აფეთქების ხმამ გამაყრუა და ჰაერის ტალღამ წამაქცია.

ჩვენების მხრიდან გერმანელების მისამართით ნასროლი ჭურვი იყო.

გონს მოვედი და ვიგრძენი, რომ ზედ მიწა მეყარა. საშინლად მტკიოდა მარცხენა ყური, თითქოს ვიღაცას შიგ დანაყილი მინა ჩაეყარა და გამეტებით მისრესდა. უმალ ჟუკოვმაც მოირბინა. წამოდგომაში მომეხმარა. უკან გავიხედე, სადაც პეტროვიცკი გვეგულებოდა.

პეტროვიცკი აღარსად იყო.

— პეტროვიცკი! პეტროვიცკი!... — მოგუდული ხმით დავიწყე ძახილი.

ხმა არავინ გამცა.

სად გაქრა ასე უკვალოდ? დიდ მანძილზე ხომ არ ჩამოგვრჩა? მაგრამ არა, ჭურვის აფეთქებამდე ორიოდე წუთის წინ კვალში მომდევდა, იმ ადგილზე, სადაც პეტროვიცკი უნდა ყოფილიყო, წეღან აფეთქებული ჭურვისაგან მოთხრილი ორმო იყო.

გვამიც რომ ვერ ვიპოვნეთ!

რას ვიზამდით, გზა უნდა გაგვეგრძელებინა.

კარგა მანძილი გავიარეთ. ნავს ვერსად წავაწყდით.

უკვე ქალაქის ჩრდილოეთის [illegible] ვუახლოვდებოდით, კედლის ძირ-ძირ მიმავალმა ჟუკოვმა მოირბინა და ჩურჩულით მითხრა:

— აგერ, იქ რაღაც ფიცრის ყუთია. იმ ყუთით გავცუროთ.

ლამის მეტრამდე სიმაღლის მკვიდრად შეკრული ყუთი იყო, შიგ ორი კი არა, ოთხი კაციც ხალვათად ჩასხდებოდა.

— კი მაგრამ როგორ გავცუროთ? — არ ვიცი, ჩემს თავს ვკითხე თუ ჟუკოვს.

ისიც არ ვიცი, მე ვპასუხობდი თუ ჟუკოვი პასუხობდა ამ კითხვას:

— ყუთში გახდილი ტანსაცმელი ჩავაწყოთ, წყალში შევაცუროთ, შიგ წყალმა თუ არ გაჟონა, ჩვენც ჩავსხდეთ და გავცუროთ.

ყუთი ოდერის პირზე მივათრიეთ, ტანთ და ფეხთ გავიხადეთ და ყუთში ჩავაწყეთ. მე მარტო ხალათი შევინარჩუნე — ხალათს ჯიბე ჰქონდა, იმ გულის ჯიბეში პარტბილეთი მედო. ყუთში ჩავდე საველე ჩანთაც. ზემოდან ჟუკოვის კარაბინი და ჩემი პისტოლეტი დავაწყეთ.

ნავივით მოგრძო ყუთი წყალში შევაცურეთ, ერთი მხრიდან ჟუკოვი ამოუდგა, მეორე მხრიდან მე.

ორი-სამი კილომეტრის სიგანის მდინარე ყინულის ვეება ლოდებს მოათამაშებდა.

წყალში მკერდამდე შესულებს უცებ ვიღაცის ხმა ჩაგვესმა:

— ლაჩრებო, სად მიდიხართ?

ტყვიასავით მეცა ეს სიტყვები.

შემოვბრუნდი.

ნაპირთან ვიღაც უცნობი რუსი მებრძოლი იდგა. საიდან გაჩნდა და ვინ იყო, არ ვიცი.

— ჩვენ ლაჩრები არა ვართ. ბრძანებას ვასრულებთ! — ვუპასუხე და წინ წავდგი ნაბიჯი.

— მჯერა! — მშვიდად თქვა უცნობმა. ჩვენ ისევ ნაპირისკენ მივაბრუნეთ თავები. — მაგრამ ოდერს მაინც ვერ გასცურავთ. ამ ყინულივით წყალსა და ყინულის მთებს ნუ ეხუმრებით. ჩემმა ამხანაგმა, ვოლგაზე გაზრდილმა კაცმაც კი, მდინარის შუამდეც ვერ მიაღწია. თუ სიკვდილია, მიწაზე სიკვდილი ირჩიეთ, ბიჭებო...

ყინულოვანი წყლის ფსკერზე ფეხი შემეყინა. სწორედ იმ დროს ჩვენს ყუთს ყინულის ვეება ლოდმა წაჰკრა მხარი და ყუთი ხელიდან გაგვტაცა.

ყუთიდან რევოლვერის ამოღებალა მოვასწარი.

და მე მხოლოდ მაშინ დავფიქრდი, შემეძლო თუ არა ოდერის გადაცურვა საგარეჯოს თვალთხედვის გუბეებში ვითომ ცურვანასწავლ ჭაბუკს...

სიცივისაგან ცახცახატანილები მდინარის ნაპირზე გამოვედით. იმ კაცმა თუ მოჩვენებამ თავისი გზა გააგრძელა.

უკან უნდა დავბრუნებულიყავით. რამდენიმე კილომეტრი გვქონდა გასავლელი. ლამის დედაშობილები როგორ ვივლიდით?

სადმე უნდა შეგვეფარებინა თავი, რაღაცით უნდა შევმოსილიყავით.

ბეტონის კედელში დატანებულ კიბეზე ავედით.

ბედმა გაგვიღიმა. ჩვენს წინ ახალნახანძრალი სახლი იდგა. ხანძარჩაუღწეველ სარდაფში შევედით. სარდაფში ცეცხლის სიცხოველე ტრიალებდა. შევთბით, ცახცახი დავიოკეთ. რაღაც სამოქალაქო ტანსაცმლის მსგავსიც მოვნახეთ და მოვირგეთ.

სითბომ მოგვთენთა და კუნთები დაგვიბოშა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნახევარი საათით მაინც თუ თვალი არ მოვიტყუეთ, ველარ ვივლი, — მუდარით მითხრა ჟუკოვმა.

— კარგი, დაიძინე, — დავთანხმდი და სარდაფის მომცრო სარკმელს მივუჯექი რევოლვერმომარჯვებული.

ნახევარი საათი გავიდა. ჟუკოვი არ მემეტებოდა გასაღვიძებლად. ვიწექი და სარკმლისმილმა სიბნელეს ჩავყურებდი ფხიზლად.

ნაბიჯის ხმა მომესმა. დავიძაბე და რევოლვერის ჩახმახს თითი გამოვდე. სარკმლის წინ კურდღლის ნაბიჯით მიმავალი ორი კაცი დავლანდე. დავრწმუნდი რომ მათს გარდა სხვა არავინ იყო, და ხმა დავადევნე:

— ხელები მაღლა!

ჩვენი პოლკის მზვერავები აღმოჩნდნენ. ჟუკოვიც გავაღვიძე და ერთად წავედით ჩვენი ციტადელისაკენ.

მოროზოვი ოთახის შუაში დადგმულ მაგიდასთან იჯდა. სახლს ირგვლივ ჩამოწოლილი წყვდიადს შანთებივით ჩარჭმოდნენ ფანჯრებიდან გაყოფილი ტყვიამფრქვევისა და კარაბინების ლულები.

პოლკის მეთაურს მოვახსენე, რომ ოდერის გადაცურვა შეუძლებელი იყო.

— მადლობა ღმერთს, რომ ტყუილ-უბრალოდ თავი არ დაიღუპეთ, — ჩაილაპარაკა მოროზოვმა და პეტროვიცკი მოიკითხა. ვუთხარი რაც მოხდა. მოროზოვმა ერთხანს იყუჩა. მერე თავისი ადიუტანტი იხმო და უთხრა:

— ბიჭებს ჩექმები და ფარაჯები უნდა ვუშოვოთ. ეგ გერმანული კოსტუმები კი ჯერჯერობით ეცვათ ფარაჯებქვეშ.

სახლის ერთი ოთახი დახოცილებისათვის იყო განკუთვნილი. რაღაც ტახტის მაგვარზე იწვნენ ამ სახლში გერმანელთა იერიშების მოგერიებისას დაღუპული ბიჭები.

იმ ოთახში გავიდა ადიუტანტი.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და ორ-ორი წყვილი ჩექმა და ორი ფარაჯა შემოიტანა.

ისე გამაჟრიალა, თითქოს ცივ-ცხელებას დაერიოს ხელი.

— ახე ნუ განიცდით, ლეიტენანტო. ფარაჯების მაგივრად საბნები წავაფარე. იმათ აღარც ჩექმები დასჭირდებათ, [illegible] ჭუყოთ, სხვა გამოსავალი არ არის.

ქირზის ჩექმები შემხვდა, ჩემი ფეხისათვის საკმაოდ ხალვათი.

ზეწარი დავხიეთ წვივსახვევებად.

ირიჟრაჟა თუ არა, გერმანელებმა განაახლეს იერიშები.

სროლის ხმა სამხრეთიდანაც მოდიოდა. ეტყობა, ქალაქის სამხრეთ უბანში ჩვენი სხვა ნაწილიც გარემოცვაში ჰყავდათ გერმანელებს.

თითქმის მთელ დღეს მუშაობდნენ ფანჯრებთან ჩაჩოქილი ჩვენი მეტყვიამფრქვეველები. ზემო სართულის ფანჯრებიდან ავტომატებით, კარაბინებითა და ხელყუმბარებით ვიგერიებდით მტრის იერიშებს.

ნაშუადღევს ჩვენამდე მძლავრმა საარტილერიო სროლის ხმამ მოაღწია. ხმა შორიდან მოდიოდა, ჩრდილოეთის მხრიდან. როგორც შემდეგ გავიგეთ, ჩვენს ჯარებს გერმანელთა თავდაცვა გაეტეხათ და ოდერი გადაელახათ.

იმ მრისხანე სროლის ხმამ გაანელა გერმანელთა იერიშები. სახლის სახურავის ოთახიდან ვხედავდი, გერმანელები პატარ-პატარა ჯგუფებად ქალაქის დასავლეთ რაიონებისაკენ ინაცვლებდნენ ადგილს.

დაღამების წინ სროლა თითქმის მიწყდა.

მდინარის მხრისკენ მდებარე გასასვლელიდან გავედი, ბეტონის კედლის ვიწრო კიბით ოდერის ნაპირზე ჩავირბინე და იქითკენ წავედი, სადაც უკვალოდ დავკარგეთ პეტროვიცკი.

უნდა გამეგო, რა ბედი ეწია იმ საოცრად კეთილ და ნათელ ბიჭს!

და მე გავიგე.

ნაყუმბარევიდან ოთხიოდე მეტრის მოშორებით, კედლის ძირში ეგდო იდაყვში წაწყვეტილი ხელი. მაჯაზე ჭრელციფერბლატიანი საათი ეკეთა.

ის საათი ჯერ კიდევ ოდერამდე სადღაც იშოვა პეტროვიცკიმ. მერე იმ საათით ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნახე, რა კარგი საათია. ფეშქაშად აიღე, ჩემს სახსოვრად გქონდეს.

უარი ვუთხარი. მაინც არ მომეშვა, გინდა თუ არა, უნდა გამომართვაო.

— მაშინ, იცი რა, სხვა საათს რომ იშოვი, ის მომეცი. მე ჯიბის საათი მაინც მაქვს, შენ კი არც ისა გაქვს, — ვუთხარი ბოლოს.

დამთანხმდა. საათს კი, რომელიც თვითონ ეკეთა მაჯაზე, ჩემსას ეძახდა. ხშირ-ხშირად დახედავდა ხოლმე და მეტყოდა: თქვენი საათი ამა და ამ დროს უჩვენებსო.

ჰოდა, იმ საათით ვიცანი პეტროვიცკის ხელი.

ახლომახლო სხეულის სხვა ნაწილებიც ეყარა. როგორც ჩანს, მას პირდაპირ გულმუცე-

ლში მოხვედრია ჭურვი და ისე აფეთქებულა.

## ისევ დღეების ფრაგმენტები და შტრიხები პორტრეტებისათვის

ზამთრის დღემ უცებ იცის ჩამოღამება.

ოდერის პირზე თვალს და ხელსშუა გამიქრა დღის სინათლე პეტროვიცკის ხვედრით გულდამძიმებულს, იმ ჯარისკაცის ხვედრით გულდამძიმებულს, რომლის მიწას გაკრულ ჩია სხეულშიც ჩემგან შვიდიოდე ნაბიჯზე აფეთქდა ჭურვი.

ბეტონის კედლის ძირ-ძირ წავედი და ჩვენს „ციტადელს" დავუბრუნდი. კედლებს კანტი-კუნტადღა აწყდებოდნენ მტრის ტყვიები.

მაინც ფხიზლად და ფრთხილად იდგა ჩვენი სამად სამი სახლი.

თვალები თავისით მეხუჭებოდა. თითქოს წამწამის ყოველ ღერზე გირები მქონდა დაკიდებული.

— მცირე ხნით თვალს მოვიტყუებ, თუ რამე მოხდეს, გამაღვიძე, — ვუთხარი ჯარისკაც ჟუკოვს და იმ ოთახში გავედი, რომლის ყრუ, უფანჯრო კედელთანაც დაღუპულები გვყავდა დასვენებული. გვამებს შორის დარჩენილ ადგილზე წავწექი.

ღრმად ჩამძინებოდა.

ღამის სამი საათი იქნებოდა, ვიღაცამ ღონივრად რომ შემანჯღრია. სიბნელეში ქვეითთა ოცეულის მეთაურის სინიცინის ჩრდილი გავარჩიე.

თურმე პოლკის მეთაურს, თუმცა რაღა პოლკი ვიყავით — სამ სახლში სამასამდე კაცილა ვტრიალებდით! — გარემოცვიდან გასვლა გადაეწყვიტა. უკვე შესაძლებლად ჩაეთვალა ქალაქში დარჩენილ მცირერიცხოვან გერმანელთა გარემოცვიდან თავის გაღწევა. შენობებიდან ყველანი გასულიყვნენ და უკვე გზას უნდა დასდგომოდნენ, როცა მოროზოვს სინიცინისა და ორი სხვა ოფიცრისათვის დაუვალებია, სახლებში შებრუნდით და შეამოწმეთ, ცოცხალი ხომ არავინ გვრჩებაო.

სინიცინმა ასე მიპოვნა მკვდრებს შორის ჩაძინებული. ჩემს მარცხნივ კიდევ ერთი ჩაძინებული ცოცხალი აღმოჩნდა — ჟუკოვსაც ჩემთვის მოუბაძავს და ძილის ანგელოზს დანებებია.

ჩრდილოეთისაკენ გეზაღებულები ჩუმად, ხმის ამოუღებლივ დავადექით ქალაქის ქუჩებს. ქალაქში მაინც საკმარისად დარჩენილიყვნენ გერმანელები. ჰაერში წამიწამ შიშხინით არბოდა შუშხუნები და სახლების სახურავებს აცდენილები მოწითალო, მომწვანო, მოთეთრო ყვავილებად იშლებოდნენ. იძულებული ვხდებოდით კედლებს ავკრობოდით, და თუ შუქი შუა ქუჩაში შეგვისწრებდა, დავწოლილიყავით. სიფრთხილემ გაგვიმართლა. ქალაქიდან ისე გავედით, რომ გერმანელებმა ვერ შეგვნიშნეს.

მინდორზე გავედით.

იმ დღეებში უკვე საგრძნობლად ჩამოთბა. ის ღამეც თბილი იყო. ფეხი აცრემლებულ თოვლში გვეფლობოდა. ცოტა კიდევ გავიარეთ და, როგორც ჩანდა, ნახნავზე მოვხვდით. წყალჩაყონილ ნახნავში ჩექმა ღრმად მიდიოდა და წებოსავით ტალახიდან მისი ამოღება ძნელდებოდა. გზატკეცილის მოძებნაზე კი ფიქრიც ზედმეტი იყო. თავს უეჭველ საფრთხეში ჩავიგდებდით.

ყველაზე მეტად კი, ალბათ, მე გამიჭირდა. სხვისეული ჩექმები მეცვა, საკმაოდ ხალვათი ქირზის ჩექმები. ჩავდგამდი ფეხს და ჩექმა აღარ ამოსდევდა, ტალახში რჩებოდა დალურსმულივით. ვერა და ვერაფერი მოვუხერხე. იმ წვალებაში ჩვენებს ჩამოვრჩი, კარგა მანძილით ჩამოვრჩი. თეთრი ველის ჩაქუფრულ ფონზე ძლივსღა ვხედავდი მიმავალთა შედედებულ ჩრდილს. იქნებ დავუძახო — მომხედონ, მომეშველონ... მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ისინიც საფრთხეში ჩავაგდო. ჩვენს ახლომახლო გერმანელები არიან...

სხვა გზა არ იყო, ფეხშიშველას უნდა მევლო.

ჩექმები ტალახში ჩავტოვე, წვივსახვევები ტერფებზე მაგრად წავიჭირე და გზა გავაგრძელე. ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ წვივსახვევებიც ტალახში ჩამრჩა.

ფეხისგულებს მისერავს ყინულის ნამსხვრევები. მალე ფეხისგულები უგრძნობელი მიხდება, ტკივილებს ველარ ვგრძნობ.

ჩვენებს წამოვეწიე. უკვე მათს შორის მივაბიჯებ. არავის არაფერს ვეუბნები — ზედმეტი ჩექმები ვის ექნება...

ვიღაცა რაღაცას მეუბნება. ჩემამდე მოდის მისი სიტყვები, რომელთა შინაარსსაც ვერ ვიგებ. და მე მას სართულებიანი გინებით ვპასუხობ, კაცი ვერ გაიგებს, და მეც არ ვიცი, ვის და რას ვაგინებ. ჯარისკაცური გინება გულიდან სიმწრის ლოდს გადააცურებს ხოლმე. ისევ ის ხმა მესმიანება. ქალის ხმაა, გინების გამო ჩემზე გამწყრალი ქალის ხმა. სიტყვებიც მესმის და მათი შინაარსიც. ვწითლდები. მაგრამ ღამეა და როგორ დაინახავს ჩემს გაწითლებას. მედდას მაინც არაფერი გამოეპარა, თავშალი მოიძრო, ორად გახია, ფეხებზე შემომახვია და ბინტით შემიკრა.

იმ „ფეხსაცმლით" შევხვდი გათენებას. გერმანელთა გარემოცვიდან გასულები შეტევაზე გადმოსულ ჩვენს ნაწილებს შევუერთდით.

გარს მეხვევიან ჩვენი ასეულის ნაღმმტყორცნელები, უხარიათ, რომ ისევ მათთან ვარ. მეხვევა და მკოცნის თვალებში ცრემლებჩამდგარი გიორგი ჩაჩხუნაშვილი. ყველას ეგონა, რომ მე სათვალთვალო პუნქტზე ყოფნისას გერმანელებს ჩავუვარდი ხელში.

მე კი თოვლზე ვზივარ და ხელის გულებით ვისრეს ნაიარევ და გაყინულ ფეხისგულებს, ვისრეს და თან მეფიქრება, ვაითუ ტერფები მომეყინა-მეთქი.

გვერდით მემიზნე პოპოვი მომიჯდა. ზურგჩანთას პირი მოხსნა და ბამბაზიის ქათქათა წვივსახვევები ამოიღო.

— შავი დღისთვისა მქონდა გადანახული, ამხანაგო ლეიტენანტო, აიღე და შემოიხვიე, — მეუბნება გულაჩვილებული და თავის ვეება თათს მხარზე მითათუნებს.

. . . . .

უმცროსი სერჟანტი გრიგორი პოპოვი ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნება. ეს ჩაფსკვნილი, დათვივით ბაჯბაჯა უმცროსი სერჟანტი, ჩემი ოცეულის მეორე ათეულის მემიზნე, ეროვნებით იაკუტია. დინჯი, ნერვების აშლამდე ზანტი და მოუქნელია მოძრაობაშიც, ლაპარაკშიც, ჭამაშიც. სიტყვაგემრიელი კია, სათქმელს ძლივს ამოსთქვამს, მაგრამ თუ რამეს იტყვის, ენით კი არა, გულით იტყვის. ყველაზე საინტერესო მოუბარი კი მაინც მაშინ არის, როცა თავის იაკუტიაზე, თავის თითქმის მარადთოვლიან სამშობლოზე, ოჯახზე და მეგობრებზე მყვება ხოლმე. ვოლგისპირეთიდან, სტალინგრადიდან ვისლამდე ბრძოლით მოსულს თავის საბრძოლო საქმეებზე კი, რაც არ უნდა ეცადო, ვერაფერს წამოაცდენინებ. და თუ მაინცდამაინც ძალიან ჩააცივდები, ფართოყვრიმალებიან სახეზე ალალი, ბავშვურად დარცხვენილი ღიმილის სიწითლე გადაუვლის და თავჩაღუნული ძლივსგასაგონად ჩაილუღლუღებს: ჩემზე რა უნდა გითხრა, რა ჭეილიცა ვარ, შენ თვითონაც კარგად ხედავო.

მე კი ვხედავ, უკვე სამი თვეა ვხედავ და მიკვირს, ასეთმა ზანტმა და მოუქნელმა აქამდე როგორ იარა, და ისიც მიკვირს, რისთვის დაუჯილდოებიათ მედლით „მამაცობისათვის". ერთ რამეში კი თანდათან ვრწმუნდები — საქმის ერთგული, ულალატო კაცი უნდა იყოს — მართალია, ზანტად, მაგრამ გულიანად ასრულებს მოვალეობასაც და დავალებასაც.

პოპოვი ჩემთვის ყველაზე აუტანელი მაშინ ხდება, როცა წვერის მოსაპარსად ჯიბის სარკეს მიუჯდება ხოლმე. მიუჯდება და ლამის ერთ საათს უნდება მოპარსვას. მოპარსვას-მეთქი, სხვანაირად როგორ ვთქვა, თორემ ეს რა მოპარსვაა — ჯიბიდან პინცეტს ამოიღებს და ცალ-ცალკე, სათითაოდ იგლეჯს ლაწვებზე, საულვაშეზე, ნიკაპზე ამოსულ მეჩხერ, მაგრამ საკმაოდ ძირმაგარ ჩალისფერი თმის ღერებს. სამართებლის ხსენებას ვერც გააგონებ, ჩემი წინაპრები წვერს ასე იპარსავდნენო, იაკუტებს ოდითგანვე წვერის მოპარსვის ასეთი წესი გვაქვსო. არადა ყოველი ღერის მოგლეჯაზე სიმწრისაგან თვალები ეხუჭება და წამწამზე ცრემლის ცვარი აჰყვება ხოლმე.

ზანტად მიდიან თავდაცვაში დგომის დღეები. ზანტად მისდევს ამ დღეებს უმცროსი სერჟანტი გრიგორი პოპოვი.

ასეულის მეთაურს ლეონიდ სმირნოვს ვეკითხები, — თუ ძმა ხარ, მითხარი, ეს იაკუტი მუდამ ასეთი ზანტი და წელანგარა იყო-მეთქი. სმირნოვი ეშმაკური ღიმილით გადმომხედავს და მეტყვის: ნუ ჩქარობ, თავის დროზე ნახავ, ვინც არისო.

და, აი, ერთხელაც, შეტევის დროს, პოპოვს ვიწროდ წაგრძელებულ თვალთა ჭრილებიდან ცეცხლის ალი ამოუთამაშდა და მე მომეჩვენა, რომ იმ ალმა მას ოდნავ შესამჩნევი უფერული წარბ-წამწამიც შეუტრუსა. უმცროსი სერჟანტი მუხის გაჩაღებულ მუგუზალზე ახლეტილ ნაპერწკლებს დაემსგავსა. ჩვეულებრივ პირობებში ეს ყველაზე ზანტი და ზოზინა კაცი ახლა სხვის სიზანტესაც ველარ იტანდა.

იმ ნაღმსატყორცნის გამტენმა, რომლის მემიზნეც პოპოვია, ოდნავ შეაყოვნა ლულაში ნაღმების ჩაშვება. სამიზნესთან ჩაჩოქილი პოპოვი წამოუხტა, ერთი ალიყური უთავაზა ზოზინა თანამებრძოლს, ხელიდან ნაღმი გამოსტაცა, აი ნახე, ნაღმის ჩაშვება როგორ უნდაო, შესძახა და ერთმანეთს ისე მიაყოლა, რომ ნაღმსატყორცნის ლულიდან ამოფრენილმა სიკვდილის შავმა ფრინველებმა ჰაერში ლამის უწყვეტი ხაზი გაავლეს.

ომის ბოლო საათამდე ამ სიფიცხით იარა პოპოვმა, გულადმა, გულიანმა და ჯანიანმა კაცმა, რომელიც თუნდაც მთელ ნაღმსატყორცნს მოიგდებდა ზურგზე და სირბილით ისე წაიღებდა, რომ წელში ოდნავადაც არ მოიხრებოდა.

. . . . . . . .

ნისლჩამოწოლილ ტყეში ფეხით დაქნილ ვიწრო გზას მივყვებით.

პოლკის კოლონა თოკივით დაწვრილდა და გაება იმ გზას.

ბრძანებაა — უხმაუროდ და რაც შეიძლება სწრაფად ვიაროთ.

ტყის დუმილს ცხენების ფრუტუნი თუ არღვევს.

პოლკის მეთაური ხშირ-ხშირად დაჰყურებს რუკას — მასზე ჩვენი გასავლელი გზაა აღნიშნული. დაღამებამდე უნდა გავიდეთ ტყის მეორე ბოლოში. ხოლო დილით არცთუ შორს მდებარე რომელიღაც დასახლებულ პუნქტში განლაგებულ გერმანელებს შევუტიოთ.

მივდივართ და სმენადაძაბულები ვუსმენთ ტყის დუმილს, თვალგაალმასებით ჩავყურებთ მის დაბურულ სიღრმეს. დარწმუნებული არა ვართ, რომ ტყეში გერმანელები არ არიან ჩასაფრებულნი.

უკვე შუა ტყეში ვართ.

არა, არ მეჩვენება: გზისპირიდან ათიოდე მეტრზე მდგარი ფიჭვის მსხვილი ტანი ორად გაიყო და ის ანასხლეტი და ფეხადგმული ნაწილი იმ ხის იქით მდგარ ხის ტანს შეენივთა, მერე იმასაც მოსწყდა და ჩემს თვალთაგან გაუჩინარდა.

ავად მენიშნა. ჩვენს ასეულს გადავასწარი, კოლონის შუაში მიმავალ ბატალიონის მეთაურს

პოდპოლკოვნიკ ივანე მუკასაევს წამოვეწიე და ჩემი ეჭვი გავუზიარე.

— ჩვენც შევნიშნეთ რაღაც, — მითხრა მუკასაევმა. — ჩვენს ირგვლივ უთუოდ გერმანელები არიან. დაბრუნდი შენს ასეულში და ასმეთაურს გადაეცი, რომ მოსალოდნელი საფრთხისათვის მზად იყოს.

ასეულში დავბრუნდი.

და უცებ, მანამდე რომ არ გაგვეგო, ისეთი ბათქის ხმა გაისმა. მარცხენა მხრიდან ჩვენი გზა ელვამ გადაკვეთა და მეორე მხარეს მდგარი ტანმსხვილი ხეები ჩალის ღერებივით გადაამსხვრია.

არც ჭურვი იყო და არც ნაღმი.

ჩემგან არცთუ შორს ისეთივე რაღაც აფეთქდა და ორიოდე მეტრის რადიუსში არაფერი დატოვა უვნებელი. ამ უცნაურ აფეთქებებს ავტომატებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი მოჰყვა და ვიდრე პოლკი გაიშლებოდა, შესამჩნევი ზარალი მოგვაყენა.

მეფორნეებმა ფორნები უკან შეაბრუნეს. სხვები ტყეში შევცვივდით. მე გზის მარცხენა მხარეს მოვხვდი, სადაც ერთ კილომეტრზე გაიწელა ჩვენი პოლკი. ბრძოლისათვის წინასწარ გამზადებული გერმანელები კარგად იყვნენ შენიღბულები და იშვიათად თუ ისროდნენ მიზანშეუცდომლად. მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით უკან უნდა დაგვეხია და ტყიდან გავსულიყავით. ასეთი იყო პოლკის მეთაურის ბრძანება.

ბრძოლით ვიხევდით უკან. ათი-თხუთმეტი ნაბიჯის გავლის შემდეგ ზურგისკენ შემოვბრუნდებოდით ხოლმე, მდევრებს ცეცხლს ვუშენდით და შეჩერებას ვაიძულებდით.

ერთ-ერთი შემობრუნების დროს დავინახე, რომ პოლკის მეთაური ჩამოგვრჩა. არც გამკვირვებია — სამოქალაქო ომის მონაწილე პოდპოლკოვნიკი მოროზოვი ჯანგატეხილი კაცი იყო. მისთვის თვალი აღარ მომიშორებია, და როცა მორიგი საპასუხო სროლის შემდეგ უკან შემობრუნდა, წაიქცა. მაშინვე წელში წავილუნე და მისკენ გავიქეცი. კოჭნაღრძობი ძლივს წამოვაყენე, ზურგზე მინდოდა წამომეკიდნა, მაგრამ ნება არ დამრთო. არადა სიარული გაუჭირდა. ჩვენ უკვე ჩვენებისა და გერმანელების შუაში მოვექეცით. ჩვენს ირგვლივ მტრის ტყვიებიც წიოდნენ და ჩვენების ნასროლი ტყვიებიც. ხან ხოხვით მივდიოდით, ხან ფორთხვით — ორმხრივ ცეცხლში მოხვედრილები. და როცა ჩვენები დარწმუნდნენ, რომ გამოუვალ საფრთხეში ვიყავით ჩავარდნილები, მოიერიშე მწკრივებად წინ წამოვიდნენ და მძლავრი ცეცხლი გახსნეს.

ჩვენ მათკენ განვაგრძობდით ხოხვით სიარულს.

და ის იყო მოროზოვი და მე ჩვენების მწკრივს შევუერთდით, რომ საარტილერიო დივიზიონიდან მოგვაკითხეს. დივიზიონი ტყის პირზე საცეცხლე პოზიციებზე განლაგებულიყო და მზად იყო ცეცხლი ეწარმოებინა. მალე ჩვენს თავზე ჭურვებმა გადაიფრინეს და გერმანელების განლაგებაში იფეთქეს. ფიცხელ იერიშზე გადავედით. გერმანელები შედრკნენ და უკან დახევა იწყეს.

პოლკმა საბრძოლო დავალება შეასრულა.

საღამოსათვის უკვე ტყის მეორე ბოლოში ვიყავით და დასახლებულ პუნქტში გამაგრებულ მოწინააღმდეგეზე იერიშის მისატანად ვემზადებოდით.

იმ დღეს, იმ ტყეში ვიგემეთ სიმწარე ჩვენთვის მანამდე უცნობი იარაღისა — „ფაუსტპატრონისა", რომელიც გერმანელებმა პირველად იმ ხანებში გამოიყენეს. ეს იყო ერთ-ერთი მძლავრი იარაღი ახლო მანძილზე ბრძოლაში, რომელსაც ყოველგვარი ჯავშნის შენგრევა შეეძლო. გერმანელები თავიანთი უკანდახევის გზებზე ბევრ „ფაუსტებს" სტოვებდნენ. მალე ჩვენც ვისწავლეთ მათი ხმარება და წარმატებითაც ვიყენებდით მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში.

ვერმახტის სარდლობა თავის ჯარებს ყოველდღე ჰპირდებოდა ახალ, საიდუმლო იარაღს. ამ იარაღს ხშირად ახსენებდა ჩვენთვის ჩამოყრილ ფურცლებშიც, რომლებსაც არავინ ვკითხულობდით და თუ ვინმე წავიკითხავდით — მხოლოდ თავის შესაქცევად.

რა თქმა უნდა, ფაშისტი მესვეურები „დიდი გერმანიის" მხსნელ იარაღად „ფაუსტპატრონებს" ვერ იგულისხმებდნენ. ის სხვა, საზარელი მომხდენი რამ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასეთი იარაღის შექმნა აღარავის ძალუძდა.

და მაინც მოცვიოდა და მოცვიოდა ფურცლები უკვე ღრუბლებაკრეფილი ციდან.

მესამე რაიხის აღსასრულის წინა დღეებში განსაკუთრებული გაფაციცებით ტრიალებდა ფაშიზმის პროპაგანდის წისქვილის ქვა, რომელზეც კვლავ უხვად ეყრებოდა სიცრუის, ბოროტების, ვერაგობის, კაცთმოძულეობის შხამიანი მარცვალი.

— ჩვენც ვიყავით მოსკოვთან და სტალინგრადთან, — ეწერა ერთ-ერთ ფურცელში, — მაგრამ ისინი ვერ ავიღეთ. თქვენც ვერ აიღებთ ბერლინს. ხოლო აქ ისეთ დარტყმას მიიღებთ, თქვენგან აღარაფერი დარჩება. ჩვენს ფიურერს ჰყავს ადამიანთა უდიდესი რეზერვები და აქვს საიდუმლო იარაღი, რომელსაც ის იმისათვის ინახავდა, რათა წითელი არმია საბოლოოდ გაანადგუროს გერმანულ მიწაზე.

ნამუსგარეცხილი მუქარის ხმას ხშირად ბზარიც ეპარებოდა.

— თქვენ უკვე ცივილიზებულ ევროპაში ხართ, — მახსენდება სხვა ფურცელში ამოკითხული, — საკაცობრიო კულტურის კერაში, რომელსაც ახლა თქვენ ანგრევთ. გაიხსენეთ, სად და როგორ ცხოვრობდით და შეადარეთ

ევროპელთა ცხოვრებას, ჩვენს ცხოვრებას. ჩაუფიქრდით, რისთვის იბრძვით, რას ებრძვით...

ფაშისტებს ბომბების ჩამოსაყრელად თვითმფრინავები აღარ ჰყოფნიდათ (თუმცა აღარც ბომბები ჰყოფნიდათ) და ფურცლების ჩამოსაყრელად კი არ იშურებდნენ სვასტიკიან სვავებს.

. . . . . . . .

ყველა ქვეგანაყოფში ტარდება ღია პარტიული კრება.

ყოველი კრების დღის წესრიგში ერთი და იგივე საკითხია: — შეტევის ტემპის დაჩქარება!

1944 წლის ზაფხულში ევროპის კონტინენტზე გადმომსხდარი მოკავშირეების — ინგლისისა და ამერიკის ჯარები უკვე გერმანიის ტერიტორიაზე შემოვიდნენ. დასავლეთის ფრონტი თითქმის მთლიანად მოშიშვლდა — ფაშისტური გერმანიის სარდლობამ ძირითადი დამრტყმელი ძალები აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოისროლა. და მაშინ, როცა ჩვენს ჯარებს მძიმე და გაფთრებული ბრძოლები უხდებათ ყოველი დასახლებული პუნქტისათვის, ყოველი ქუჩისათვის, ყოველი კვარტალისა და სახლისათვის, ყოველი სართულისა თუ კიბისათვის, ინგლისელები და ამერიკელები უბრძოლველად მოიწევენ წინ.

ჩვენი ბატალიონის პარტიული კრება რომელიღაც დიდი შენობის წინ, პირდაპირ ქუჩაში ტარდება. ქვეითი ასეულების კომუნისტებმა ცეცხლის წინა ხაზიდან გადმოირბინეს, რომელიც ამ სახლის უკან გაბმულ ქუჩაზე გადის.

კედლის ძირში დგას ბატალიონის პარტორგი — კრების თავმჯდომარე. კრების მდივანი იქვე რაღაც ყუთზე ჩამომჯდარა და პლანშეტზე დადებულ ქაღალდზე წერს ოქმს. სხვები ზეზე ვდგავართ იარაღით ხელში. ბატალიონის პარტორგის გამოსვლის შემდეგ ოფიცრები, სერჟანტები და ჯარისკაცები ადგილებიდანვე წარმოსთქვამენ სიტყვებს. კონკრეტული, მოკლე და საქმიანია მათი სიტყვები. მათს ხმაში რვალი რეკს და თვალებში ნაპერწკლები დახტიან.

— გთხოვთ, ოქმში ჩაწეროთ, — ამბობს რიგითი ციმბირელი მსროლელი სუბოტინი,— გერმანიის დასავლეთის გზებზე სიმღერით მომავალმა ინგლისელთა და ამერიკელთა ჯარებმა ვერ უნდა დაგვასწრონ ბერლინში შესვლა, ფაშიზმის ბუნაგი აუცილებლად წითელმა არმიამ უნდა აიღოს, ჩვენ უნდა ავიღოთ!

და ამ სიტყვებს სუბოტინმა მომთხოვნელად დაამატა:

— ვინ არის ჩემი წინადადების მომხრე? გთხოვთ, ასწიოთ ხელი!

ხელების ნაცვლად აღიმართა ავტომატები, ხიშტებწამოცმული კარაბინები, პისტოლეტები, რომელთა ლულებზეც უკვე [illegible] მზის სხივები ალიცლიცდა.

. . . . . . . .

აღმოსავლეთისაკენ მომავალ გზებზე ნიაღვრებად დაიძრა ადამიანთა დაუსრულებელი ნაკადები. მოდიან ქალები და მოზარდები — ფაშისტების მიერ ევროპის დამონებული ქვეყნებიდან და დროებით ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიებიდან გერმანიაში ძალით გარეკილი, მონური შრომისათვის განწირული ადამიანები. მოდიან არაქათგამოცლილები, გაწამებულები, უმეტეს შემთხვევაში აჩრდილებად, მხოლოდ და მხოლოდ თვალებად ქცეული ადამიანები. უმეტესობას ზურგზე წამოკიდებული ტომრებით მოაქვს სულის მოსაბრუნებელი ლუკმა, ხოლო იმედის სხივჩამდგარი გულით — მშობლიურ კერაზე დაბრუნების, მშობლიურ ადამიანებთან შეხვედრის უსაზღვრო სიხარულის საგზალი. მოდიან, ტირიან და იცინიან. მათი ტირილიც სიხარულისაა და სიცილიც.

უმრავლესობა ფეხით მოდის და თან მოაქვს მცირე ტომარაში ჩაწყობილი თავისი ავლადიდება, ზოგი ურიკაში შებმულა და პირად ნივთებს ისე მოეზიდება. შიგადაშიგ ეტლის მსგავს ორთვალებსაც შეხვდებით, გაძვალტყავებული ცხენები რომ შეუბამთ. ჯანიანი და სალი ცხენები ბრძოლებში არიან! რომელიღაც გზაზე სახედარშებმული ორთვალაც შეგვხვდა.

— სახედარი! შეხედეთ, როგორი ყოფილა სახედარი! — დათვივით აღრიალდა იაკუტი პოპოვი.

ბატალიონის მთელი კოლონა შეჩერდა ლამის. უმრავლესობამ იმ დღეს ნახა პირველად სახედარი — მათთვის ეგზოტიკად ქცეული სამხრეთული ცხოველი.

ბოლო არ უჩანს ქალებისა და მოზარდების ნაკადს — მესამე რაიხის ყოფილი ტყვეების ნაკადს, ევროპის თითქმის ყველა ერის ქალებისა და მოზარდების მოდიდებულ მდინარეს.

არცთუ იშვიათად ვხვდებით საოჯახო ბიბლიოთეკებს. ძირითადად ავტორების გვარებს ვკითხულობ, სათაურების ამოცნობასაც ვცდილობ. მაგრამ ეს უფრო მიჭირს. მაგრამ სად არის ჩემთვის ცნობილი გერმანელი თუ სხვა ეროვნების მწერალთა გვარები?! ჰაინეს ვინ ჩივის, გოეთეს და შილერის წიგნებიც კი არ შემხვედრია. სამაგიეროდ თითქმის ყველა სახლშია მესამე რაიხის ფიურერის — ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფ“ — „ჩემი ბრძოლა“. ფაშიზმის ამ სახარების უამრავ და ნაირნაირ გამოცემებს წაულეკავს მთელი გერმანია. ზოგიერთ სახლში მისი ყველა გამოცემის კოლექციაა და ზოგჯერ ერთი და იმავე გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარიც. ბევრი მათგანი გადაუფურცლავლელი და ხელდაუკარებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვალავი არ აქვს ფიურერისადმი მიძღვნილ, სხვადასხვა მოცულობისა და ზომის ალბომებსა და წიგნებს, რომლებშიც ჰიტლერი ნაირნაირ პოზაშია წარმოდგენილი — ადოლფი შიკგრუბერობისას და ადოლფი ჰიტლერობის ჟამს, ჰიტლერი ეიფელის კოშკზე და ჰიტლერი თავისი ძაღლის გვერდით, ჰიტლერი ბავშვებთან და ჰიტლერი გენერლებში, ჰიტლერი ტრიბუნაზე და ჰიტლერი სასადილო მაგიდასთან. ალბათ, ტუალეტშიღა აკლდა სურათის გადაღება. ფერადი თუ შავთეთრი ფოტოებიდან და მხატვრების მიერ შესრულებული პორტრეტებიდან ხან მღიმარი და ხან წარბშეკრული გამოიყურება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პირსისხლიანი და უბოროტესი კაცი, რომელიც თავის მგლის ბუნაგში უკვე უმაღლეს აგონიას მისცემია და აღსასრულის მოახლოებით გაავებული თვით გერმანელ ერსაც აღარ ინდობს.

...სტუმრების მისაღებ ფართო ოთახში შევდივარ. ოთახში სერგეი მაკაროვი მხვდება. ოთახის შუაში მდგარ დიდ მაგიდაზე ჩაუმწკრივებია ერთმანეთს მიყუდებული ბარე ოცდაათამდე სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ყდებში ჩასმული „მაინ კამპფი“ და ალბათ, ამდენივე, თუ მეტი არა, ალბომი, მათს შორის მოუქცევია ტანთხელი გამოცემები „ფიურერ უნდ მუსოლინი“, „ფიურერ უნდ ანტონესკუ“ და სხვები, ხოლო მათს წინ აუყუდებია ალბომი, რომლის სუპერიდანაც შუბლზე ქოჩორჩამოყრილი, მოკლეულვაშებიანი ფიურერი იმზირება.

— სერგეი, რისთვის დაგჭირდა ამ შხამიანი წიგნების პარადი? — ვეკითხები მაკაროვს.

— შენ განზე გადექი და ახლავე ნახავ რისთვისაც დამჭირდა. — მრავალმნიშვნელოვნად მპასუხობს მაკაროვი. მერე მოღებულ კარებში დგება, მხრიდან ავტომატს იხსნის, ალბომის სუპერზე დახატული ჰიტლერის შუბლს უმიზნებს. ფიურერის შუბლის დამცხრილავი მოკლე ჯერი წიგნ-ალბომების მწკრივს ბოლომდე გასდევს.

. . . . . . . .

სარდაფიდან ერთიმეორის მოყოლებით სამნი ამოვიდნენ, სამი ხელაწეული უიარაღო ჯარისკაცი.

პირველამომსვლელის ქუდისა და მუნდირის თვალისმოკვრისთანავე მამაევისა და ჩემი ავტომატების ლულებმა მისკენ იშვირეს პირი. თუნდაც უიარაღო მოწინააღმდეგის დანახვისთანავე კაციც იძაბება და იარაღიც. ეს თავისით, ავტომატურად ხდება, რაღაც გაუცნობიერებელი შეგრძნების კარნახით, რომელსაც არც შიში შეიძლება დაერქვას და არც სიფრთხილე. ეს უფრო მტრის სიძულვილის გრძნობა უნდა იყოს.

ისინი ხელაწეულები და უიარაღონი იყვნენ და ავტომატები კი მაინც მათკენ გვქონდა მიშვერილი. გასროლაზე არც ვფიქრობდით, მაგრამ მაინც მათკენ გვქონდა მიშვერილი.

პირველამომსვლელმა გამბედაობა მოიკრიბა და გვითხრა:

— ავსტრიელები ვართ, არმიაში ძალით წამოყვანილები...

ავტომატები მაინც არ გვნებდებოდნენ დაბლა დასაშვებად. ჩვენს წინ მდგომნი კი განაგრძობდნენ:

— სამივენი მიწის მუშები ვართ, გლეხები ვართ, წვრილშვილის პატრონები...

ხელები დაუშვითო, არ გვითქვამს, მაგრამ მარჯვენა ხელი სამივემ დაბლა დასწია და მარცხენა გულის ჯიბეში იკრა. ფოტოსურათების დასტები ამოალაგეს. მაშინ კი ვანიშნე, ხელები დაბლა დაუშვით-მეთქი. სურათების დასტები მარცხენა ხელში გადაანაცვლეს და დაიწყეს თავიანთი ოჯახური ფოტოსურათების ჩვენება.

ტყვეები გვერდში ამოვიყენეთ და ჩვენი ასეულის განლაგებაში წავიყვანეთ. ვიდრე მათი ზურგში გაგზავნის საშუალება მოგვეცემოდა, ჩვენთანვე იყვნენ ბრძოლებში, ნაღმებს ეზიდებოდნენ, ყველაფერში ცდილობდნენ ხელის შეშველებას. ვახშამ-საუზმის დროსაც გვერდიდან არ ვიცილებდით.

სამი დღის მერე გავგზავნეთ ზურგში, სხვა ქვეგანაყოფების მიერ დატყვევებულ გერმანელებთან ერთად.

. . . . . . . .

ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლაა აუცილებელი.

ამ ქუჩის თავში, მისი გადამკვეთი ქუჩის პირზე მდგარ დიდ სახლში გერმანელი სნაიპერები სხედან თავიანთი ოპტიკური შაშხანებით. ჩვენი ქუჩა წინ ხელისგულივით უდევთ და მასზე გავლილი ჭიანჭველაც არ რჩებათ შეუმჩნეველი. ზუსტად მუშაობენ წყეულები.

— ჯერ მე გადავირბენ და მერე შენ გადმოდი, — მეუბნება ბატალიონის კომორგი, ჩემი კბილა რუსი, ვაჟკაცური ბიჭი და პატიოსანი მეომარი.

წელში მშვილდივით მოილუნა და ტყვიასავით გავარდა.

აწივლდნენ ტყვიები.

უკვე გაღმა ტროტუარს მიაღწია. საცაა იქვე მდგარი შენობის ეზოში შევარდება.

და ის უცებ წამიერად ჩერდება და თავს უკან გადმოაქანებს. მერე ისევ ღუნავს თავს და ტროტუარის გვერდით ჩაყოლებულ მავთულბადიან ღობესთან იქცევა.

ალბათ ტყვია მოხვდა...

კომორგი მძიმე-მძიმედ ითრევს ტანს, მავთულბადიან ღობეს ზურგით ებჯინება ჩემკენ პირი-სახით მოქცეული.

პირზე ცალხელმიდებული მეორე ხელით მანიშნებს, არ გადმოხვიდეო.

მერე იმ ცალ ხელს პირიდან იხსნის. ფარ-

თოდ გაღებული პირიდან კბილები და ენის ნაგლეჯები უცვივდება. იმ ბაგეთა შორის მუქწითელი ვარდი იშლება, ელვის სისწრაფით მუქდება, დიდდება, ნიკაპს ჭფარავს და მკერდისკენ მიიწევს.

პირის ღრუში ხლეჩადი ტყვია — დუმ-დუმი მოხვედრია.

ფაშისტები ყველა სასროლი იარაღისათვის, რევოლვერებისთვისაც კი ამზადებენ ტყვიის ამ სახეობას, რომლის გამოყენებაც სპეციალური საერთაშორისო კონვენციით არის აკრძალული. დუმ-დუმი სხეულში მოხვედრისთანავე მრავალ წვრილ ნაწილებად იხლიჩება და მისგან მიყენებული ჭრილობა ათასჯერ მტკივნეულია და ათასჯერ ძნელსაკურნელი.

...გერმანელი სნაიპერებიც მავიწყდება და ის საფრთხეც, რომელიც მემუქრება. ქუჩის მეორე მხარეზე გადარბენისას ერთი ტყვია მარჯვენა ჩექმის ქუსლში წამაფრინდა და ფეხის ქუსლი ამიწვა.

კომორგი მოფარებულში შევიყვანე.

უენო და უკბილო პირის ღრუს აფარებული სისხლიანი ბაგეები ტოკავენ, და მე მხოლოდ ხორხიდან ძლივს ამოღწეული ყრუ ხრიალი ჩამესმის.

და მე მხოლოდ მის თვალებს ვხედავ, ტკივილად ქცეულ, სიტყვებად ქცეულ, ყვირილად ქცეულ თვალებს...

იმ ბიჭის გვარ-სახელი აღარ მახსოვს.

. . . . . . . .

სათვალთვალო პუნქტიდან მზის ჩასვლის ჟამს ვბრუნდებოდი. ჩვენი საცეცხლე პოზიციებისაგან გზად მიმავალს საარტილერიო და სანაღმტყორცნო ორთაბრძოლამ შემისწრო. ის იყო ჩვენს პოზიციებს მივუახლოვდი და ქუჩიდან იქითკენ უნდა გადამეხვია, რომ ზურგს უკან ჭურვმა გამიშხუილა და, ვიდრე გონს მოვეგებოდი, ლამის ჩემს ლაჯებს შუა დაასკდა მიწას. იმწამსვე ძირს განვერთხე. ვიცოდი, უკვე ყველაფერი ამაო იყო, მაგრამ ახლაც ვერ ამიხსნია, შიშმა წამაქცია თუ ინსტინქტმა.

ვწევარ და ჭურვის აფეთქებას ველოდები. წამები წუთებად იკინძებიან და თვალდახუჭული და სუნთქვაშეკრული აღსასრულს ველოდები. აფეთქების ხმა კი არ ისმის. იქნებ ის ჭურვი ზომელანდა... გონება დავძაბე, არა, არ მომლანდებია... მაგრამ რატომ არ ფეთქდება... თავს ოდნავ მაღლა ვწევ, თვალებს ვახელ და კისერმოღრეცილი უკან ვიხედები, წამოდგომას კი ვერ ვახერხებ. და როგორც იქნა, შიშის ლურსმნებით მიწას მიჭედილი, გულაღმა ამოვბრუნდი და წამოვჯექი. ჭურვი ჩემი ქუსლებიდან ოდნავ მოშორებით კარგა ღრმად ჩასობია მიწას.

— ლეიტენანტო, წამოდექი! რაკი აქამდე არ აფეთქდა, საშიში აღარ არის, — სერჟანტ სოპოვის ხმა გავარჩიე სროლისა და აფეთქებების გრუხუნში. ჩემი გასაჭირი შორიდან შეემჩნია ომის პირველი დღიდან ბრძოლაში მყოფ სოპოვს.

დაღამების წინ, ცეცხლი რომ შეწყდა, მე და სოპოვმა მოვინახულეთ მიწაში წვერით ჩარჭობილი, აუფეთქებელი ჭურვი. ცარიელი ჰილზი აღმოჩნდა.

— ცუდად ჰქონიათ საქმე ფაშისტებს, — ჩაილაპარაკა სოპოვმა. — ეტყობა, ასაფეთქებელი მასალაც გამოელიათ.

სწორი იყო სოპოვი. ფაშისტებს ყველაფერში ეტყობოდათ ხელის დამოკლება. ბოლო ხანებში თვითმფრინავებიდან ხან ლითონის ძელებს ჰყრიდნენ, ხან ლითონისავე ცარიელ კასრებსა თუ ბიმბების ფუტლიარებს. მაინც რა შემზარავი წივილით მოჰქროდნენ ცალთავლია ლითონის კასრები...

. . . . . . . .

სერჟანტი სოპოვი ჩვენს ასეულში ყველაზე ხნოვანი, ორმოც წელს კარგად გადაცილებული კაცია — მესამე ათეულის მეთაური სმოლენსკელი სოპოვი. ერთთავად გულჩათხრობილია ეს მორჩილი ტანის სერჟანტი. ვგონებ, გაღიმებული არც მინახავს. ბრძოლაში ულალატო, საქმეში დაუღალავი, არაფერს დაიზარებს, მხიარულ საუბრებში მონაწილეობის გარდა. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ გული ვერ გადავაშლევინე. ბოლოს ვიფიქრე, რა მოხდა, ამ ქვეყანაზე ასეთი ხასიათის ადამიანებიც ხომ იბადებიან-მეთქი და მოვეშვი. გულში კი თურმე ჯოჯოხეთური ტკივილი უტრიალებდა. ეს მე მხოლოდ ომის ბოლო დღეებში გავიგე.

აპრილის შუა რიცხვებში რამდენიმე დღეს ბრესლაუს დასავლეთ გარეუბანში მდებარე აეროდრომის რაიონში გვქონდა საცეცხლე პოზიციები. აეროდრომისათვის გაafთრებული ბრძოლების დროს ბენზინის ცისტერნის ახლოს ჩვენი ცეცხლგამჩენი ყუმბარა აფეთქდა. გაავებულ ხანძარში მოექცნენ გერმანელები. მათი უმრავლესობა ცოცხლად დაიწვა და ფერფლად იქცა. ზოგი ძლიერი დამწვრობით მოკვდა. ნახანძრალის ახლომახლო მათი გვამები იყო მიმოფანტული. ზოგს თავპირი ჰქონდა მომწვარი, ზოგს ფეხები, ზოგის მარტო სხეულის შუა ნაწილიღა გადარჩენილიყო. ამ შიშველი გვამების აკრეფისა და ჩამარხვის დრო და თავი ვის ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მიწა სქლად იყო მობეტონებული და მის ამონგრევას ცოტა დრო და ღონე როდი სჭირდებოდა. არადა, საკმაოდ ცხელოდა და გვამები იხრწნებოდა. აუტანლად ძლიერდებოდა სიმყრალის სუნი. მეტი გზა არ იყო, ბეტონი უნდა მოგვენგრია და გვამები მიწაში ჩაგვეფლა. თხრილის ამოღებას რომ მოვრჩით, უკვე შეთენდა. ერთი, ხანძრისაგან შედარებით საღად დარჩენილი გვამი თხრილთან სოპოვმა მოათრია. და როცა თხრილის კიდესთან მიიტანა, ხელი გაუშვა, წელში გასწორდა და გვამს საოცრად შეცვლილი გამომეტყველებით ჩააც-

ქერდა. ვიფიქრე, დაიღალა და ისვენებს-მეთქი, მაგრამ უცებ კარაბინის ხიშტი მუცელს ქვემოთ, ლაჯების დასაწყისში ჩასცხო და გვამი ისე ჩააგდო თხრილში. ჯოჯოხეთურად შემზარა სოპოვის საქციელმა.

— რა ჰქენი, სოპოვ! — ვუყვირე, მყისვე მასთან გავჩნდი, ხელი უბეში ვუტაცე და ჩემსკენ მოვქაჩე — რა ჰქენი, რა, შე..

ერთიანად აცახცახებულმა სოპოვმა გაავებით შემომხედა, მერე თავი ჩაღუნა და ის გაავება თავის ხმასლა გამოაყოლა.

— რა გინდა ჩემგან, ლეიტენანტო, რა... ამათ ჩემს მეუღლესაც ახადეს ნამუსი, ჩემს ქალიშვილსაც და ჩემს დასაც... მერე კი დედაჩემთან ერთად ყველანი ამოხოცეს... — ერთხანს იყუჩა, სული მოითქვა, მერე პირდაპირ თვალებში ჩამხედა და მკითხა: — შენ რას იზამდი ჩემს ადგილას?

სოპოვის უბეში ჩავლებული ხელი თავისით ჩამომივარდა. უხმოდ შემოვბრუნდი.

— შენ რას იზამდი ჩემს ადგილას?

დღესაც ჩამესმის მისი შეკითხვა.

. . . . . . .

უფრო და უფრო შეუპოვარი ხდება გერმანელთა წინააღმდეგობა. ბრძოლები სწარმოებს ყოველი ქალაქისათვის, ყოველი სოფლისათვის, ყოველი ქუჩისათვის, ყოველი სახლისათვის, ყოველი სართულისათვის, ყოველი ოთახისათვის.

ფაშისტები უკვე მოხუცებსა და მოზარდებსაც იწვევენ არმიაში. არავის და არაფერს ზოგავენ. ყოველ შენობას ხანგრძლივ საცეცხლე წერტად აქცევენ და უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძვიან.

ყველა შენობა თითქმის ხანგრძლივი თავდაცვისათვის აუგიათ. მიწას ამოცილებული მათი სარდაფების სარკმლები მკვიდრად ნაგებ ამბრაზურებად ქცეულან. მათ კედლებს დიდი დარტყმითი ძალის ჭურვები თუ შეანგრევენ.

. . . . . . . . . .

ყინვიანი დილა.

პატარა დასახლება.

სულ ათიოდე სახლი.

ერთ-ერთი სახლის ეზოში შევდივარ. წყალი მწყურია.

სახლის კარი მიხურულია.

ეზოში ჭაა.

პირით სახლისკენ მდგარი ჩარხს ვატრიალებ და თოკმობმულ მომინანქრულ ვედროს ჭაში ვუშვებ.

ნახევრად სავსე ვედრო ამომაქვს და ისე ვიყუდებ პირზე.

და უცებ სახლის კარი იღება.

ხნიერი კაცი გამოდის.

ხელში ფინჯანდადგმული ლამბაქი უჭირავს.

ფინჯანს ორთქლი ასდის.

— იქნებ ცხელი რძე გერჩივნოთ, — მეუბნება. რუსულად მეუბნება და დამძიმებული ნაბიჯით მიახლოვდება.

ვედროს ძირსა ვდგამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გმადლობთ, ჰერ. რძე [illegible] მეტად თქვენ უფრო შეგერგებათ, — ირიბად ვეუბნები და ისევ ვედროს ვიყუდებ.

მოხუცი ხმას არ იღებს. ჩემ წინ დგას, ჭიქადადგმული ლამბაქით დგას და ჩაშტერებით შემომყურებს სახეში.

ვედროს თავის ადგილზე ვდგამ, მკერდზე ჩამოღვრილ წყალს ხელით ვიბერტყავ და ბერიკაცს ვეკითხები:

— საიდან იცით რუსული ენა?

— რუსული კი არა, ცოტ-ცოტა ქართულიც ვიცოდი.

— და თქვენ საიდან იცით, რომ მე ქართველი ვარ?

კითხვაზე კითხვითვე მპასუხობს:

— და მაინც ხომ ქართველი ხართ?

— კი-მეთქი, — თავს ვუქნევ და გაკვირვებით შევყურებ.

მოხუცმა ისე ამოიოხრა, ლამის გული თან ამოაყოლა.

— ოცდაათი წლის წინათ ვოცნებობდით რუსეთის წაქცევაზე. ვოცნებობდით კი არა, ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ეს ასე იქნებოდა. და აკი მოვხვდი კიდეც რუსეთში, ოღონდ ტყვედ მოვხვდი. ამ ოთხი წლის წინათ კი ჩემს შვილს ეგონა, რომ გამარჯვებული შემოვიდოდა თქვენს ქვეყანაში... და ის სამუდამოდ ჩარჩა რუსეთის მიწაში..

. მოხუცის თვალებში მწუხარებაც იკითხება, სინანულიც გამოსჭვივის და თითქოს დანაშაულის შეგრძნების გრძნობაც ირეკლება.

ვჩქარობ. მისი აღსარების მოსმენის დრო არ არის.

— და მაინც საიდან იცოდით ქართული ენა, ან როგორ შემიცანით ქართველად?

— საიდან და საქართველოდან. იქაც ვიყავი ტყვეობისას... და მე რას წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ჩემს მიწა-წყალზე შევხვდებოდი ქართველს, როგორც ჩვენი დამპყრობი არმიის მეომარს...

— ჩვენ თქვენს დაპყრობაზე არასოდეს გვიფიქრია.

— ჰო, როგორც არის, ისე იყოს. ეს კი იცოდეთ, რომ ქართველებს ჩემთვის მარტო რძე კი არა, ღვინოც დაულევვინებიათ. გთხოვთ, მიირთვათ ეს რძე. მენდეთ, მოწამლული არ არის...

ისე მეუბნება, უარის თქმას ველარ ვახერხებ.

. . . . . . . . . .

მოწმენდილმა ცამ ჯერ კიდევ ამოუსვლელი მზის სხივები აირეკლა, მაღლობზე წაგრძელებულ ჭალაში რომ შევედით. მჭახე ყინვა უცოდველი სითეთრით გადაქათქათებულ ხეების ტოტებს ატკაცუნებდა.

ხელმარჯვნივ ველი ჩაწოლილიყო, ხოლო

ველის იქითა მხარეს, საკმაოდ მაღალ მიწაყრილზე დაგებული სარკინიგზო ხაზი გადიოდა.

უცებ ერთ ადგილზე გამაშეშა ძახილმა:

— Хлопцы, замерз... Помогите!

ის ხმა რკინიგზის ყრილსა და ჩვენს შორის ჩაწოლილი ველიდან მოდიოდა.

ჭალის კიდესთან მივედით.

ხმა ისევ განმეორდა.

ველის შუაგულში თოვლზე იწვა კაცი.

ადგილს მოვწყდი.

წინ მამაევი გადამიდგა.

— ნუ ფიცხობთ, ლეიტენანტო. ამ ხელისგულივით მოსწორებულ ველზე გასვლა ნაღდი თვითმკვლელობაა. ჯერ ხომ არ ვიცით, გერმანელი სად არის ჩასაფრებული...

ველის შუაგულიდან ისევ მოგვწვდა ძახილი.

ჩვენგან ოციოდე მეტრის მოშორებით რომელიღაც ჯარისკაცი გავარდა ჭალიდან. თხუთმეტიოდე მეტრიც არ ექნებოდა გარბენილი, რომ რკინიგზის ყრილის მხრიდან წამოსულმა ტყვიამფრქვევის ჯერმა მოცელა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჭალიდან ვიღაც სხვა ჯარისკაცი გავიდა ცოცვით. და როცა თოვლის სითეთრეზე მოძრავი შავი სხეული ოციოდე მეტრით გასცილდა ჭალას რკინიგზის ყრილის სხვადასხვა ადგილიდან დაუშინეს ტყვია. თოვლზე გართხმული სხეული შეჩერდა. ცეცხლიც შეწყდა. და როგორც კი სხეული შეტოკდა, თოვლზე ისევ აცეკვდნენ ტყვიები.

ჭალაში მყოფებმა რკინიგზის ყრილს ცეცხლი დავუშინეთ, რათა თოვლზე მწოლარე კაცისთვის უკან გამობრუნების საშუალება მიგვეცა. უკან გამოცოცებულმა თოვლზე სისხლის კვალი დატოვა.

ჭალაში შემოცოცებული ფეხზე ველარ ადგა. ბარძაყში იყო დაჭრილი.

სროლაც შეწყდა. და როგორც კი სროლა შეწყდა, ისევ მოგვწვდა ხმა ველის შუაგულიდან:

— ბიჭებო, ჩემი გულისათვის თავს ნუ იხოცავთ.

ალბათ, ადამიანი ყველაზე საცოდავი მაშინა ხარ, როცა შენს მოყვასს შველა სჭირდება, შენ კი უძლურებისაგან ხელფეხშეკრული გარეშე მოწმესავით შეჰყურებ მის წამებას...

ის ხმა კი აგრძელებდა:

— ასე ჰქენით, ასე! მე მაინც არაფერი მეშველება...

ეტყობოდა, ძალიან უჭირდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა ამ სიტყვების ამოსათქმელად. მძიმე იყო, უმძიმესი იყო სასწორის ის მხარე, რომელზედაც იმ უცნობი დაჭრილი მებრძოლის სიცოცხლე იდო.

რამდენიმე წუთს ველის შუაგული მიყუჩდა. და უცებ სიმღერის ხმა მოგვწვდა. ჯერ ახლადდაბადებულ წყაროსავით წამოვიდა, მერე ნიაღვრად აჩანჩქერდა და მძლავრი ტალღებით გადმოთქერა ჩვენსა და მის შორის ჩაწოლილი სივრცე. ეს იყო რისხვაც და ტკივილიც, ურუოლაც და მოწოდებაც. ეს იყო რაღაც დიდი და უჩვეულო, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევ.

მტერსაც ესმოდა ის სიმღერა. და მათ, მარტო იმ დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცის მოსაკლავად კი არა, იმ სიმღერის მოსაკლავადაც დაძრეს ცეცხლის ნიაღვარი ველის შუაგულისაკენ. მაგრამ მისი მოკვლა ვერ შეძლეს — იმ სიმღერამ დაგვძრა, გაგვიტაცა, ყოველგვარი საფრთხე დაგვავიწყა და რკინიგზის ყრილთან გამაგრებული მოწინააღმდეგე გაგვანადგურებინა.

და როცა ველის შუაგულში მწოლი მეომრისკენ შემოვბრუნდით, ის უკვე ცოცხალი აღარ იყო.

გულაღმა იწვა. ღიად დარჩენილი თვალებით იმედიანად შეჰყურებდა ცას, რომელზეც დილის მზე შლიდა მხრებს. პირიც ღია ჰქონდა, გეგონებოდა, საცაა ჩაისუნთქავს და ისევ განაგრძობსო თავის სიმღერას.

. . . . . . . .

გამიგონია: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო.

სკოლაში გერმანულს გვასწავლიდნენ. შესანიშნავი მასწავლებელიც გვყავდა — ალექსანდრე კალანდაძე — დღეს უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი და მეცნიერი, ომის დაწყების წინა წელს საგარეჯოდანვე რომ გაიწვიეს არმიაში. უკვე მაშინვე ვეწაფებოდი გოეთეს, შილერს, ჰაინეს, რა თქმა უნდა, ქართულ თარგმანებში. და მიუხედავად ამისა, ჩემი მოუნდომებლობისა თუ უნიჭობის გამო, გერმანული ენის გაკვეთილებიდან თავში მაინცდამაინც არაფერი მრჩებოდა. იმას კი როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს ენა ძალიან მალე პურივით დამჭირდებოდა და ამ პურის უქონლად, გერმანელებთან ურთიერთობის დროს, ნახევარი კაციც არ ვიქნებოდი.

ჩვენი წინსვლის გზაზე, ტყვედ დანებებულ სამხედროებზე რომ აღარაფერი ვთქვა, ყოველდღე მატულობდა შინდარჩენილი გერმანელი მოქალაქეების რიცხვი. ახეულშიც უკვე აღარავინ გვყავდა გერმანული ენის ცოტად თუ ბევრად მცოდნე. ჰოდა, ხომ რაღაც უნდა გვეთქვა გერმანელებისათვის, მათაც ხომ რაღაც უნდა გაეგებინებინათ ჩვენთვის. ჩვენცა და ისინიც ხელ-თითის ქნევად და მიმიკად ვიქეცით.

მატულობდნენ და მატულობდნენ შინდარჩენილები. და მხოლოდ მოხუცები, ქალები, ბავშვები, ავადმყოფ-ინვალიდები.

გვხვდებოდნენ ლაგამამოდებული და სულის სიღრმეში ჩამწყვდეული მტრობით.

...დაფარული თუ დაუფარავი შიშით.

...ჰიტლერული არმიის მიერ ჩვენი ხალხის

წინაშე ჩადენილი უბოროტესი დანაშაულის სიმძიმის შეგნებითაც.

...ნაციზმის სისხლიანი რეჟიმის დამხობისათვის მადლიერების გრძნობითაც.

მრავალნაირი იყო ის შეხვედრები.

ერთი ასეთი შეხვედრაც მახსოვს.

მთელი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, საღამოს ჟამს, არცთუ დიდი დასახლებული პუნქტი ავიღეთ. სახლში, სადაც მცირე ხნით სულის მოსათქმელად შევჩერდით, ორნი დაგვხვდნენ — ხანში შესული მანდილოსანი და ოცდახუთიოდე წლის ქალი.

მთელ დღეს ბნელ სარდაფში მსხდარან — ქვაზე ქვის დამდუღებელ ცეცხლს ემალებოდნენ, შიშის ნისლით ჩაღამებულ მათს თვალებში ჩვენს დანახვაზე გულის სიღრმიდან წამოსული შუქი აციაკდა, და როცა ფორნებსა და ცხენებს ადგილი მივუჩინეთ და ცოტად თუ ბევრად დავლაგდით, ხნიერი ქალი მოგვიახლოვდა და რაღაც ლაპარაკი დაგვიწყო. როცა შეატყო, რომ მაინცდამაინც არაფერი გაგვეგებოდა, გამოკვეთით, დამარცვლით წარმოთქვა სიტყვები: „კომუნისტ“, „ლენინ“, „ტელმან“.

და იმ ქალს მთელ სახეზე გადაეფინა უკვე გადაწმენდილი თვალებიდან გამოსული გულის შუქი.

ხნიერი ქალი ახალგაზრდას მიუბრუნდა და რაღაც უთხრა. ახალგაზრდა ქალი ოთახიდან გავიდა.

ის ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. ხელში წიგნი ეჭირა. ხნიერმა წიგნი გამოართვა, ფრთხილად და მოწიწებით გადაწმინდა, გარეკანი გადაშალა და ჩვენკენ შემოაბრუნა.

სატიტულო ფურცლის წინა გვერდიდან მშობლიურმა ღიმილმა შემოგვანათა.

ლენინი!

ხელიდან ხელში გადავიდა გერმანიის ხელისუფლებაში ფაშისტების მოსვლამდე ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული ლენინის წიგნი.

სარდაფის კედლიდან სპეციალურად გამონგრეულ ხვრელში ჰქონიათ გადამალული.

ოჯახის მამა კომუნისტი ყოფილა, რომელიც ფაშისტებს ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველ დღეებშივე დაუხვრეტიათ.

— თერთმეტი წლის შემდეგ პირველად ვხედავთ ამ წიგნს და ლენინის ღიმილს, — თქვა უფროსმა დიასახლისმა და წამწამები შეეცრემლა.

ვუყურებდით ჩვენს მასპინძლებს და წარმოვიდგენდით მშრომელ, მართალ, პატიოსან გერმანიას, რომლის ნათელი ახალი გზა ჩვენს ნაკვალევს მოჰყვებოდა.

. . . . . . . . . . .

თითქმის ორი კვირაა ჩრდილო-დასავლეთისკენ მივიწევთ ბრძოლით.

სამი დღის წინ მკვეთრად შემოვბრუნდით აღმოსავლეთისაკენ, უკვე კარგა მანძილით უკან მოტოვებული ოდერისაკენ. იქ ჩვენი ჯარების გარემოცვის რკალშია ჩაჭედილი ოდერის ორივე მხარეს გაშენებული ქალაქი ბრესლაუ, დიდი სამრეწველო ცენტრი და უდიდესი სტრატეგიული კვანძი, რომლის გარნიზონიც გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევა.

ორ დღეს ყოველგვარი ბრძოლის გარეშე ვიარეთ ფართო ავტოსტრადებითაც და ვიწრო სასოფლო გზებითაც.

ოცდაორი თებერვლის საღამოს მივადექით ბრესლაუს ერთ-ერთ განაპირა საქარხნო რაიონს.

ქარხნების იმ უბანს, რომელთანაც ჩვენ შევჩერდით, რკინა-ბეტონის მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. იმ გალავნის ძირში გადაწყდა სანაღმმტყორცნო ასეულის საცეცხლე პოზიციის გამართვა. ბიჭებმა ჯერ ნაღმსატყორცნები გააწყეს, მერე თავიანთთვის სანგრების თხრა დაიწყეს. მიწა რბილი იყო და ადვილსათხრელი. ღამის თორმეტი საათისათვის ყველაფერი მზად გვქონდა.

როგორც ვიცოდით, გერმანელების საცეცხლე პოზიციებისაგან საქარხნო კორპუსების ორი რიგი გვყოფდა.

საჭირო იყო რკინა-ბეტონის კედლის გადაღმა მდგარ შენობაში სათვალთვალო პუნქტის შერჩევა და მოწყობა. ხმირნოვმა ეს საქმე მე და მამაევს დაგვავალა.

კედელს დიდი წვალებით გადავალწიეთ. თან ტელეფონის კაბელი და აპარატიც გადავიტანეთ. თხუთმეტიოდე ნაბიჯს იქით მდგარ შენობას შესასვლელი კარი ვუპოვეთ და სახურავისკენ მიმავალ კიბესაც მივაგენით. სათვალთვალო პუნქტისთვის ადგილი შევარჩიეთ, ტელეფონი იქვე დავტოვეთ და მასზე ცალი წვერით მიბმული კაბელის ხვეულის გაშლით უკან დავბრუნდით. ოდნავ მაინც უნდა დავნაყრებულიყავით.

ის იყო კედელზე გადმოვედით, რომ ჩვენს პოზიციებს გერმანელთა ჭურვები დააცხრა. ალბათ, რაღაც იყნოსეს წყეულებმა. ახლადმოთხრილ რომელიღაც სანგარში თავით გადავეშვი. წელზევით მაღლა დამრჩა სხეული. ჭურვების ნამსხვრევები კი კალიებივით დახტოდნენ. სანგარში, უფრო სწორად, არცთუ ღრმა ვიწრო ორმოში, ვიღაც იჯდა.

— ძალიან ნუ მაწვები, ზურგი მეტკინა, — აბუზღუნდა თანამოსანგრე. ლეიტენანტ მაკაროვის ხმა ვიცანი.

გულში ჭურვის ცხელი ნამსხვრევივით მომხვდა მისი ნათქვამი. ამ ცეცხლის თავსხმაში კაცი ნახევრად მაღლა ვარ და მაკაროვს კი თურმე წელი ეტკინა!

იმწამსვე ამოვედი სანგრიდან.

— სად მიდიხარ, სად? — აყვირდა სერგეი, — დაბრუნდი, თავს არაფერი აუტეხო!

წყენის ტყვიამოხვედრილმა ფეხაუჩქარებლად გავწიე ჩემი ოცეულის განლაგებისაკენ.

ახლაც არ ვიცი, უვნებლად როგორ გავიარე ის ოციოდე მეტრი, რომელიც სულ უბრალოდ შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა.

...გათენებას სათვალთვალო პუნქტზე შევხვდი.

ხელისგულივით მოჩანდა გერმანელთა პოზიციები.

გულდასმით გავიაანგარიშე ცეცხლის საწარმოებელი მონაცემები.

დღეს ხომ არმიის დღეა, ჩვენი საბჭოთა არმიის დაბადების დღე!

მტერმაც უნდა გაიგოს ამ დღის ფასი!

— ცეცხლი! — ჩვენი ასეულის საცეცხლე პოზიციაზე მთელი ხმით იმეორებს სმირნოვი ტელეფონის ყურმილში ჩემგან ხმადაბლა წარმოთქმულ სიტყვას.

დაღამდა. სათვალთვალო პუნქტზე ჩაჩხუნაშვილმა შემცვალა.

— რა მოხდა, შე კაიკაცო, — საცეცხლე პოზიციაზე დაბრუნებულს ისევ ჩამესმა მაკაროვის ბუზღუნი. — წელი მეტკინა და არ მეთქვა? რა ბუზანკალნაკბენივით წამოხტი. თავს უნდა გაუფრთხილდე, ახალგაზრდავ, თავს.

. . . . . . . .

პირველი ოცეულის მეთაური, კალუგელი ლეიტენანტი სერგეი სერგეის ძე მაკაროვი „უხუცესია" ჩვენი ასეულის ოფიცერთა ოთხეულში — ჩემზე და სმირნოვზე ერთი, ხოლო ჩაჩხუნაშვილზე სამი წლით უფროსია. კიდეც იფერებდა თავის „წლოვანებას", მაგრამ მაინც ბოლომდე არ ჰქონდა მორგებული დაბრძენებული და ზედმეტად დასერიოზებული კაცის ნიღაბი. ისე კი არც ფხა აკლდა და არც სიმამაცე. ხუმრობას მუდამ გაურბოდა, მაგრამ მტკივნეულად გამკენწლავი ენა ჰქონდა და ხშირად მიკვირდა ასეთი უბოროტო გულის კაცს ასეთი ცინიზმით გაბასრული ენა როგორ მისცა-მეთქი ბუნებამ.

მაღალი და კუნთმაგარი ვაჟკაცი სახითაც ლამაზი იყო. განსაკუთრებით დიდი ცისფერი თვალები და თავთუხისფერად მბზინავი თმები უხდებოდა.

— სერგეი, ლამაზი ბიჭი ხარ და, ალბათ, ბევრი გოგო გყავს მოხიბლული, — ვუთხარი ერთხელ ვისლისპირა ტყეში გულალმა წამოწოლილმა.

— როგორ გითხრა, — უხერხულად შეიშმუშნა, — როცა ახლოს გამიცნობენ ხოლმე, მერე შორს იჭერენ საქმეს.

მინდოდა მეთქვა, შენი ენის პატრონს ახლოს ვინ გაგეკარება-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. მან კი განაგრძო:

— გულახდილად რომ გითხრა, აი, წიგნებში რომ წამიკითხავს, ისეთი სიყვარული რა არის, ჭერაც არ ვიცი. — მითხრა მშვიდად, შემოდგომის მოწმენდილ ცა[illegible] მაკაროვმა, მერე ოდნავ იყუჩა და უცებ, სრულიად მოულოდნელად ხორკლიან ქვაზე აილესა ენა: — აბა, სხვა რაღა გინდა, შენი ეშხითა და შენზე დარდით ხომ დნებიან გოგოები! ალბათ იქ, შენს კახეთში, შენზე დარდსმიცემულმა ქალიშვილებმა ცრემლებით დაალბეს ბალიშები...

ერთი გვერდულად გადავხედე მაკაროვს და ხმა აღარ ამომიღია.

მაკაროვს ენაგაუკრავი არც ხელქვეითი დარჩენია, არც თანატოლი, არც უფროსი, მით უმეტეს მაშინ, როცა თუნდაც ოდნავ მაინც იყო გადაკრულში. სასმელი კი უყვარდა. ოღონდ თუ გასაკენწლავად ვერავის დაიგულებდა, განაპირდებოდა და თავისთვის ღიღინებდა ერთ აჩემებულ სიმღერას: «Серый камень, серый камень, серый камень на груди...» ხმა კი არ უვარგოდა, ჩემსავით ხმა ჰქონდა, მაგრამ მის ღიღინში რაღაც სევდა გამოსჭვიოდა. თუ მეტი დოზის მიღება მოუხდებოდა, სხვასაც აუხირდებოდა, გინდა თუ არა, უნდა დალიოო.

ერთხელ მეც მომადგა ბოთლ-ჭიქით ხელში.

— დალიე!

— არ მინდა, სერგეი.

— უნდა დალიო!

— ვერ დავლევ, სერგეი.

— გიბრძანებ, დალიო!

— არ დავლევ, სერგეი.

ბოთლი და ჭიქა ერთ ხელში მოიქცია, მეორე ხელით რევოლვერი დაიძრო და როცა ჩემს გაალმასებულ მზერას შეეჩეხა, დადრკა. მაპატიეო, დარცხვენით ჩაილაპარაკა და გამშორდა. ვგრძნობდი, რომ გამოფხიზლების მერეც ერცხვინებოდა თავისი ახირებისა.

სერგეი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაუწვევიათ არმიაში. მოწაფეობის დროს ფოტო-საქმით ყოფილა გატაცებული. მახსოვს, რა საოცრად იყო გახარებული, როცა ოდერს გაღმა, რომელიღაც მიტოვებულ სახლში ფოტოაპარატს წააწყდა. სხვა საჭირო მასალებიც იშოვა და თავისი ზურგჩანთა ფოტოლაბორატორიად აქცია. ახლა კი ჰარბად გვიჩვენა თავისი სითბო. როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ჩვენის მხრივ ყოველგვარი თხოვნისა და თავის მხრივ ყოველგვარი ბუზღუნის გარეშე, ფოტოაპარატს ჩააჩხაკუნებდა, სურათებს გადაგვიღებდა, დაამზადებდა და ჩამოგვირიგებდა. მაკაროვი რომ არა, ომში ყოფნის დროინდელი არც ერთი სურათი არ დაგვრჩებოდა არავის. და როცა სურათებს მოგვცემდა, მაინც მოუვიდოდა ხოლმე ჟინი ცინიკოსობისა:

— ინგლისის დედოფალს გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყოლია. გაუგზავნე ეგ სურათი და

დედოფლის სიძეობა არავითარ შემთხვევაში არ აგცდება.

ანდა:

— ალბათ, იცი, პარიზში ულამაზესი მამაკაცების კონკურსი ეწყობა. დროზე აფრინე შენი სურათი.

ომის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ გამოვემშვიდობე მაკაროვს. ახლა ის კალუგაში ცხოვრობს და ხამუშ-ხამუშ ღია ბარათებით ვეხმიანებით ერთმანეთს.

. . . . . . .

ჩვენს საასპარეზოდ ბრესლაუს შემოგარენი იქცა.

რომელიღაც გარეუბანში ნახევრად დანგრეული დიდი ნაგებობის გადმოლმა ვართ განლაგებული.

ბრძოლა მცირე ხნით მიწყდა.

ნაღმსატყორცნების ცხელი ლულები ოდნავ მაინც გაგრილდებიან.

კედლის ძირას ჰურვის ნამუსრევ აგურებზე ჩამოვჯექი. ნენაშევი სარდაფში ჩაძვრა, იქნებ რამე სასუსნავი ვიშოვოო. რამდენიმე წუთის შემდეგ შორიდანვე მომესმა მისი ყვირილი:

— ლეიტენანტო! ლეიტენანტო! — გაფიცხებით ამორბოდა სარდაფის კიბეებზე. — ღვინო ვიპოვე, ღვინო!

ხელში ლიტრიანი ბოთლი ეჭირა.

— თქვენ ხომ ღვინის სამშობლოდან ხართ და რამდენი ხანია, ღვინო არ დაგილევიათ!

ვისლისპირა მიწურებში, დაცვაში დგომის მოცლილ დღეებში ღვინოზე იმდენს ვუბედობდი, რომ თვითონვე ნერწყვი მომდიოდა ხოლმე. ალბათ, ეს ახსოვდა ნენაშევს.

და მაინც ბავშვი ვიყავი ისევ! — რატომღაც მოვინდომე, რომ იმ რუსი ჭარისკაცისათვის მეჩვენებინა, ღვინის როგორი ვაჟკაცური სმა ვიცოდი. ბოთლი გამოვართვი, საცობი მოვხსენი, შევაჭანჭლარე, გაგიმარჯოს-მეთქი, — ვუთხარი ნენაშევს და მოვიყუდე. ღვინის ნაცვლად სპირტზე დაყენებული შეფერილი ხილის წვენი აღმოჩნდა.

ბოთლი ცივად მოვიხსენი პირიდან.

ნენაშევი განცვიფრდა.

— კი მაგრამ ეგ ხომ ღვინოა და თქვენ ხომ ქართველი ხართ?!

— მე კი ქართველი ვარ, მაგრამ ეს არ არის ღვინო, ნენაშევ.

ბოთლი უკან გავუწოდე.

სასმელზე ჩამოვარდა სიტყვა. სპირტიან სასმელებს ბევრ სახლში ვხვდებოდით. რამდენგანმე რუსული არაყიც ვნახეთ, ჩვენებური ეტიკეტებითვე. ვინ იცის, იქნებ ნაალაფარიც იყო. უფრო ხშირად სუფთა სპირტი გვხვდებოდა.

ეს სასმელები კი ბევრ შემთხვევაში მოწამლული იყო, განზრახ მოწამლული. ამასაც ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად იყენებდნენ ფაშისტები. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა სარდლობამ მკაცრი ბრძანებით აკრძალა მაგარი სასმელებისა და შეუმოწმებელი პროდუქტების ხმარება. მაგრამ კაცნი ვართ და ცოდვა გამხელილი სჯობია, ზოგიერთებს მაინც წაგვძლევდა ხოლმე სული. პირადად მე საერთოდ ვერიდებოდი სასმელს, მაგრამ ხანდახან მეგობრისათვის მაინც უნდა გამეწია თანაგრძნობა, სხვანაირად უხერხული იყო.

და ჩვენ, ასეულის ოთხმა ოფიცერმა ასე გადავწყვიტეთ: თუ სასმელს შევხვდებოდით, პირველ დღეს მარტო ერთ ჩვენთაგანს უნდა დაელია — თუ მოწამლული იყო, დაე, ერთი კაცი დაზარალებულიყო, და თუ ერთი დღე-ღამის შემდეგ ის სასმელი ცუდად არ იმოქმედებდა დამლევზე, მერე ყველანი დავლევდით, ოღონდ არა დათრობამდე, ესე იგი, არა უმეტეს ას-ასი გრამისა.

. . . . . . . . . . )

ხსოვნაში ჩამრჩა ბრესლაუს გარეუბნების სახელები: კლაინ ლუბრიუკ, მარია ჰოფხენ, აურას...

რომელ გარეუბანში მომიხდა ეს ამბავი, აღარ მახსოვს.

ბრძოლაში დაიღუპა ჩვენი ბატალიონის მესამე ასეულის ერთ-ერთი ოცეულის მეთაური ლეიტენანტი მოლოდკინი. მეორე დღეს ბატალიონის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა მუკასაევმა გიორგი ჩაჩხუნაშვილი გამოიძახა. მას მეთაურდაღუპული ოცეულის უფროსობა დააკისრეს. გიორგის ნაცვლად ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეორე ოცეულის მეთაურად ჩვენთან ახლად მოსული ალაგირელი ოსი ლეიტენანტი კარლ აგუზაროვი დანიშნეს.

დღედაღამ არ ცხრებოდა გააფთრებული ბრძოლები.

უკვე იშვიათადღა ვხვდებოდით მე და გიორგი.

და აი ერთ დღეს გაცხარებული ორთაჭიდილის დროს ჩვენს პოზიციებზე ჩამოიარა ბეჭდაბინტულმა ჩაჩხუნაშვილმა, ახლადგახვეული ბინტიდან სისხლს ხალათშიც გამოეჟონა.

— დამჭრეს, ძმაო. — მითხრა ტკივილით დამძიმებულმა. — წინა ხაზიდან გამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ასმეთაურმა მაიძულა, ჰოსპიტალში მივდივარ.

მისმა ტკივილმა მეც ამწვა ბეჭი.

— ყოჩაღად იყავი, ჟორა. მალე გამოშუშდი. იცოდე, გელოდები! — ვუთხარი და ჩემი ოცეულისკენ შევბრუნდი. ოცეული შეუჩერებელ ცეცხლს აწარმოებდა.

— ნახვამდის! კარგად დამხვდი! — დამადევნა სიტყვა უორა ჩაჩხუნაშვილმა და თავისი გზა გააგრძელა.

. . . . . . . . . . .

მარტი ჩვეულებრივ ჭირვეულობდა. ერთ წამში ცა ერთიანად გადაიშუქებდა და მზე ხმელშემაშეკეთებული ბუხარივით გაფიცხდებოდა, მეორე წუთში შავად, მოიღრუბლებოდა და ხრეშივით მსხვილ-მსხვილ ფიფქებს ჰყრიდა. ხან მშიერი ძაღლივით აღრენილი ქარი გამოტყვრებოდა და ძვლებზეც კი გვკბენდა.

არ ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა — მაღალმა სიცხეებმა გამთანგეს. ორი დღის შემდეგ ბატალიონის მეთაურმა პირდაპირ მიბრძანა, — ჰოსპიტალში უნდა წახვიდეო. მალე გამივლის და ნუ გამგზავნით-მეთქი, ვთხოვე. მაინც დამაწვინეს ფორანზე და წამიყვანეს.

ფარაჯაწაფარებული გულაღმა ვიწექი. ლია თვალებში ქარისაგან დაჩრიბებული ფიფქები ეკლებივით მეყრებოდა და გული ჩემს ოცეულში მრჩებოდა.

რაღაც ათიოდე კილომეტრის სავალზე ყოფილიყო ჰოსპიტალი. მიმიღეს, სიცხე გამიზომეს, ძირფესვიანად გამისინჯეს გული და ფილტვები — ისევ ბრონქიალური ანთების ნიშნები.

ორი დღის შემდეგ ტემპერატურამ დაიწია.

ჰოსპიტლის ტალანში გამოვედი.

ფანჯარასთან მიმდგარი კაცი გარეთ იყურებოდა.

მხარ-ზურგის მოხაზულობა მეცნო — გიორგი ჩაჩხუნაშვილი იყო.

ერთ სახურავქვეშ ვყოფილვართ თურმე.

— რა არის, ძმაო, ჰოსპიტალშიც არ მტოვებ მარტოს? — გულიანად გაიცინა და მარცხენა ხელი გადამხვია.

მთელ დღეს ერთად ვიყავით.

ჰოსპიტალში ყოფნის მეოთხე დილას პალატაში შემოსულ ექიმს განვუცხადე, სიცხე აღარა მაქვს და გამწერეთ-მეთქი. თერმომეტრი მომაჩეჩა და სხვა ავადმყოფს მიუბრუნდა. და როცა თერმომეტრი იღლიიდან გამოვიღე, დავხედე — ოცდაჩვიდმეტნახევარ გრადუსს უჩვენებდა.

— ექიმო, აი ნახეთ, ყველაფერი რიგზეა, არც თერმომეტრი უჩვენებს სიცხეს, — ვთქვი მხიარულად და ვიდრე ექიმი მის გასასინჯად მომიახლოვდებოდა, დავბერტყე.

ჰოსპიტლიდან შუადღისას გამწერეს. გიორგი ჩაჩხუნაშვილმა ქუჩამდე გამაცილა.

ქალაქიდან ფეხით უნდა გავსულიყავი და შემდეგ რაიმე შემხვედრ ტრანსპორტს ფრონტის წინა ხაზისკენ გავყოლოდი.

ვიწროქუჩებიანი პატარა ქალაქი იყო, მოსახლეობისაგან მთლიანად მიტოვებული. აქაიქ ისევ ეყარა ბრძოლაში დახოცილ გერმანელ ჯარისკაცთა გვამები. განსაკუთრებით გულშემძვრელი იყო შუა ქუჩაში დაყრილი ტრანსპორტგადავლილი სხეულები, უსაშველოდ გაწელილ-გაბრტყელებული თავისქალები...

ამ უსაშინელესი სანახაობით შეძრულს პოლონეთის თოვლიან გზებზე დაყრილი გაშიშვლებული, ჩაშავებულ-კანდახეთქილი გვამებიც გამახსენდა. ვისაც ყოველივე ეს არ უნახავს, ის ბოლომდე და მთლიანად ვერც შეიგრძნობს იმ ჯოჯოხეთურ უბედურებას, რაც ომებს მოაქვთ ადამიანებისა და ხალხებისათვის.

საღამოს უკვე ჩვენს საცეცხლე პოზიციებზე ვიყავი.

. . . . . . . . .

ოცდარვა წლის შემდეგ, თბილისში, ვაჟაფშაველას პროსპექტზე გიორგი ჩაჩხუნაშვილის კეთილ ჭერქვეშ გაწყობილ სუფრას სამნი ვუსხედვართ: კოსტრომის ოლქიდან ჩამოსული ლეონიდ სმირნოვი, მე და გიორგი.

ომის დღეებს ვიგონებთ, დავიწყების ნავლწაყრილი მეხსიერების მიღვენთილ ნალვერდლებს ვჩხრეკთ, აღვიდგენთ და ვაზუსტებთ ამა თუ იმ საბრძოლო ეპიზოდის დეტალებს, თარიღებს, თანამებრძოლთა გვარ-სახელებს, სადაურობას.

გიორგი ჩაჩხუნაშვილის „გაქვეითებაც“ გავიხსენეთ.

ლეონიდმა ჯერ გიორგის გადახედა, მერე — მე, და თქვა:

— ახლა გაგიმხელთ მაშინდელ ამბავს. ეგებ არასწორადაც მოვიქეცი, და თუ ასე ჩამითვლით, ერთმაც მაპატიეთ და მეორემაც.

ქვეითთა ოცეულის მეთაურის დაღუპვის დღესვე ბატალიონის მეთაურმა მუკასაევმა თავისთან მიმიხმო და მითხრა, ვიდრე ახალ კაცს გამომიგზავნიან, ლეიტენანტი ჯანგულაშვილი უნდა დამითმოო ქვეითთა ოცმეთაურად.თანხმობა ვერ მივეცი. რატომაო. სხვა ვერაფერი მოვახერხე და ვუთხარი, ქვეითთა ოცეულს ვერ გაუძლვება-მეთქი. გეხსომებათ, იმ დღეებში როგორი მძიმე ბრძოლები იყო და ქუჩის ბრძოლების მთელი სიმძიმე თითქმის ქვეითებზე მოდიოდა. იქ გაცილებით უფრო სახიფათო იყო. და თეიმურაზი ვერ გავიმეტე.

— რატომ, ლეონიდ, შენ ხომ ორივეს არ გვაკლებდი ძმურ ზრუნვასა და სიყვარულს, ერთმანეთისაგან არ გვარჩევდი, — ვკითხე გაკვირვებულმა.

— რატომ და იქ, განსაკუთრებით კი სანდომირზე თავდაცვაში ყოფნისას განზე რომ გადგებოდი, ხელში ფანქარ-ქაღალდი გეჭირა და რაღაცას წერდი, იმიტომ. მე რა ვიცოდი, რას წერდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცხოვრებისათვის შენ უფრო საჭირო იყავი, ვიდრე ჩვენ. ჰოდა, ამიტომ გიფრთხილდებოდი.

და მე გამახსენდა, თუმცა გახსენება რათ მინდოდა, როცა ყველაფერი კარგად მახსოვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სმირნოვი რამდენჯერმე თავისი სხეულითაც კი გადამეფარა. ასეთი რამ კი ადამიანს არასოდეს ავიწყდება.

— მერე, ლეონიდ, მერე? — წინ გადმოიწია ჩაჩხუნაშვილმა.

— მუკახაევს ამ კაცის ნაცვლად შენი კანდიდატურა შევთავაზე და დავითანხმე კიდეც. ასე გახდი შენ ქვეითთა ოცეულის მეთაური და მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩი. ის არცთუ მძიმე ჭრილობა კი ახლა უკვე რა გასახსენებელია.

სმირნოვი ფიქრიანი მზერით ჩააშტერდა ჩაჩხუნაშვილს.

ვიფიქრე, გიორგიმ გულში რაიმე წყენა არ ჩაიტოვოს-მეთქი, და ხუმრობა ვცადე:

— მადლობაც უნდა გითხრას. შენ იქ რომ არ გაგეგზავნა, ნეველის ორდენსაც ვერ გაირტყამდა.

ვგონებ ადრე დამავიწყდა მეთქვა: ქვეითთა ოცეულის უნარიანი ხელმძღვანელობისა და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის გიორგი ჩაჩხუნაშვილი ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოეს.

— სამაგიეროდ ლეონიდს არც შენს პოეტობაზე უმტყუნა გუმანმა, — თქვა გიორგიმ და ჭიქები შეავსო.

ორივემ განმეორებით შევსვით სმირნოვის სადღეგრძელო.

. . . . . . . . .

ცეცხლში რიგით ჯარისკაცად შესულ ლეიტენანტ სმირნოვს საბრძოლო ნათლობა კურსკის შვერილთან გაჩაღებულ ცნობილ ბრძოლაში მიუღია. მას მერე მოსდევდა ფრონტულ გზებს. მე მას უკვე როგორც ასეულის მეთაურს შევხვდი.

განსაცვიფრებლად გულთბილი და გულჩვილი კაცია სმირნოვი, გახარებაც ცრემლის დადენამდე იცის და წყენაც. გულის ყოველგვარი შეტოკება ღრმა ცისფერ თვალებში აერეკლება ხოლმე. წრფელი და წყლიანი სიტყვაც იცის, მაგრამ არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდება არც დალხინებისას და არც გაჭირვებისას.

ყველა უყვარს ასეულში. ყველას უყვარს ასეულში.

ეს გოგოსავით ლამაზი და ვაჟკაცური გულის კაცი ამ დიდ ქვეყანაზე მარტო ორად ორ ადამიანს სწერს წერილებს და ერთ ქალაქში — მშობლიურ ნეიაში გზავნის. ორივე ადრესატი იქ ცხოვრობს: დაქვრივებული დედა და მისი სკოლელი გოგო, რომლისთვისაც სიყვარულის ფიცი მიუცია. ერთ რამედ ღირდა მისი ხმამაღალი ფიქრების მოსმენა მიწურში, ჩალაზე რომ ვიწექით და ნესტიან ჭერს შევყურებდით.

ის უფრო ხშირად თავის შეყვარებულს ესაუბრებოდა, რა გულიანად და მოფერებით, როგორი სიყვარულით ესაუბრებოდა, როგორ ოცნებობდა მასთან შეხვედრაზე.

ვერცხლისწყალივით მოძრავ კაცს კურდღლის ძილი ჰქონდა, არც დალლა იცოდა. ხშირად ვფიქრობდი კიდეც, ამ მორჩილი ტანის კაცს ამდენი ძალა საიდან მოსდევს-მეთქი.

აპრილის დასაწყისში ლეონიდი ნაღმის ნამსხვრევებით დაიჭრა. ჰოსპიტალში ვერ ვინახულეთ — ამისი დრო და საშუალება არ მოგვეცა. იქიდან ომის დამთავრების წინადღეებში დაბრუნდა.

— სხეულიდან თოთხმეტი ნამსხვრევი ამომიღეს, — გვითხრა და ბარძაყი მოიფხანა. მოშუშების ზღვარზე მისული ჭრილობები ექავებოდა. — სხვათა შორის, ერთი მედდა გადამყვა განსაკუთრებით. დღედაღამ თავს დამტრიალებდა. მგონი შევუყვარდი.

— მერე, მერე შენ რა უთხარი? — შენ ხომ იცი, რომ ჩემს ქალაქში საცოლე მელოდება — მომიბრუნდა ლაწვებშეფაკლული.

იმ ნეიელი გოგოს სიყვარულმა კი არ გაუმართლა სმირნოვს. ეს ამბავი ცალკე მოთხრობის თემაა და ვეცდები სხვა დროს მოვუყვე მკითხველს. ლეონიდი ომის შემდეგ, იქვე, გერმანიაში დაქორწინდა ჰოსპიტალში გაცნობილ მედდაზე და ისე დაბრუნდა სამშობლოში.

. . . . . . . . .

ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ. ქალაქი ნეია, რუსული უბრალოებითა და ფაქიზი გემოვნებით გაწყობილი ბელეტაჟიანი სახლი. ღუმელთან ტრიალებს სმირნოვის მეუღლე, საველე ჰოსპიტლის ყოფილი მედდა ანტონინა, მოფერებით ტოსიას რომ ვეძახით. ვახშმის მომზადებაში ჩემი ქალიშვილი ნანა ეხმარება.

სახლს ირგვლივ დიდი ეზო აკრავს. ერთ კუთხეში მარწყვი ხასხასებს მწვანედ. მისი ნერგები ლეონიდმა ექვსი წლის წინათ წამოიღო საგარეჯოდან, ჩემი ეზოდან. სმირნოვი მეუბნება:

— შენეულმა მარწყვმა კარგად იხარა და ჩვენებურ დიდ სიცივეებსაც არ შეეპუა. ამ ხუთ წელიწადში იგი ბევრმა ნეიელმა გადარგო თავის ეზოში. და იცი, რა დაარქვეს? — „გრუზინკა".

ძირს ვიხრები და მარწყვს ფოთლებზე ვეფერები.

— აგერ, იქ კი კაკალი მიდგას, — ხელი ღობის ძირას მომყუდროებული კუთხისკენ გაიშვირა. — შენგან რამდენიმე ცალი კაკალი გამოვიყოლე და დავთესე. ეს ერთი ამოვიდა. ოღონდ ძნელად, ძალიან ძნელად იზრდება. ისიც ვიცი, რომ არც დიდი გაიზრდება, არც ნაყოფს მომცემს, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში თივაში ვფუთავ, ყინვამ არ დამიზროს-მეთქი. უბრალოდ მიხარია, რომ შენი მიწის შვილს ჩემს მიწაზე ვხედავ.

უკვე ბინდდება.

სმირნოვი იშმუშნება და მეუბნება:

— ამაღამ ამინდი შეიცვლება.

— საიდან იცი, რომელი სინოპტიკოსი შენ მეავხარ.

— სწორედ რომ სინოპტიკოსი ვარ, — ეღიმება სმირნოვს. — იმ აპრილში ნაღმის თოთხმეტი ნამსხვრევი კი ამომიღეს სხეულიდან, მაგრამ სამი ისევ დამრჩა. აი სწორედ იმათგან ვიცი, ამინდის შეცვლის წინ ძვლებს მიკაწრავენ. — და მერე ფიქრიანად დაამატა. — ჩვენ, ომში ნამყოფებს ხომ სულშიაც ჩარჩა გაუყუჩებელი ტკივილის ნამსხვრევები. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ასე განსაცვიფრებლად ვგრძნობთ საერთოდ ყოველგვარი ამინდის ცვალებადობას...

ხმა არც ერთს აღარ ამოგვიღია.

ოთახში სავახშმო სუფრას ოთხნი მივუსხედით: სამი ომგამოვლილი ადამიანი და ერთი გოგონა, რომელსაც ომი მხოლოდ ეკრანებზე უნახავს, მასზე ჩვენი ნაამბობიდან მოუსმენია და წიგნებში წაუკითხავს.

— იმ ეკრანებიდან და წიგნების ფურცლებიდან ნურც გამოსულიყოს ომი დედამიწაზე! — ეს პირველი სადღეგრძელო ჩვენმა დიასახლისმა, ომის გზებიდან ჩემი ფრონტელი ძმის გულთან მისულმა უკრაინელმა ქალმა წარმოთქვა.

. . . . . . . . . .

ცხრაასორმოცდახუთი წლის მარტის ბოლო რიცხვებში ჰოსპიტლიდან დაბრუნებულმა გიორგი ჩაჩხუნაშვილმა ისევ თავისი სანაღმმტყორცნო ოცეული ჩაიბარა. სწორედ იმ დღეებში მაკაროვი დაიჭრა და მისეულ ოცეულს სათავეში ჩაუდგა კარლ აგუზაროვი, რომელიც თვეზე მეტ ხანს ჩაჩხუნაშვილის ოცეულს მეთაურობდა.

...ჩვენმა ბატალიონმა საღამოს მიიღო პოზიციების შეცვლის ბრძანება შვიდი-რვა კილომეტრით უნდა გადავინაცვლოთ ჩრდილოეთისკენ. შებინდებისთანავე დავიწყეთ სამზადისი და ღამის პირველ საათზე დავიძარით. ცეცხლის ხაზის გასწვრივ ისე უნდა ვიაროთ, რომ მოწინააღმდეგემ ვერაფერი შენიშნოს. ჩვენდაბედად განსაკუთრებით სქლად შედედდა ღამის წყვდიადი.

კარგა გრძლად გაიშალა ქვეითთა კოლონა. ბოლოში ჩვენ მივდივართ. არც მახორკის ცისნათელები ფეთქავენ და არც ჩვენი ბაგეები ტკავენ. მეფორნეებიც კი უხმოდ მოდიან. შლეტები ფორნებზე დაუწყვიათ და ცხენებს წინ მიუძღვიან.

გზა რომელიღაც დასახლებაში შედის. გზის ორივე მხარეს შენობებია ჩამწკრივებული. არ შეიძლება, რომ იმ შენობებში არავინ იყოს, ისიც არ შეიძლება, რომ იმ სახლებში მყოფთ ეძინოთ. როგორც ვიცით, დასახლება ჩვენების ხელში უნდა იყოს, და მაინც უხმოდ, ფეხაკრეფით მიდის ბატალიონი. და მაინც წყვდიადს ბურღავს ჩვენი მზერა და გზის ორივე მხარეს მდგარი შენობების ჩაკუპრულ კარ-ფანჯრებს აწყდება. სხეული მიგრძნობს, რომ კარ-ფანჯრებიდან ჩვენსკენ არიან მომართულები ადამიანთა თვალებიც და იარაღის ლულებიც.

კოლონის ბოლო უკვე უკანასკნელ სახლებს გაუსწორდა. უცებ აღმოსავლეთ მხარეს მდგარი სახლიდან ავტომატის გრძელი ჯერი ნიაღვრად წამოვიდა. მაშინვე დასავლეთის მხარეს მდგარი სახლიც გაფიცხდა და მოპირდაპირე სახლის კედლებს ტყვიამფრქვევის ცეცხლი შეუნთო.

სახლებმა ერთმანეთს დაუშინეს. სირბილზე გადასულმა კოლონის ბოლომ, სადაც ძირითადად ნაღმმტყორცნელები ვიყავით, ამით ვისარგებლეთ და დასახლებიდან გავედით.

თურმე ნახევარ საათზე მეტ ხანს გვივლია ბეწვის ხიდზე — ჩვენებსა და გერმანელებს შორის ჩაწოლილ ათიოდე მეტრი სიგანის გზაზე. თურმე, ჩვენდაბედად, გერმანელებსაც თავისიანები ვეგონეთ და ჩვენებსაც. ორივე მხრიდან გვითვალთვალებდნენ და ცეცხლს არ გვიხსნიდნენ. და მხოლოდ ბოლო სახლში ჩამსხდარი გერმანელები დაეჭვდნენ ჩვენს არაგერმანელობაში, და მათმა დაეჭვებანმ ჩვენებიც დაარწმუნა, რომ ბეწვის ხიდზე საბჭოთა მეომრები მივდიოდით.

დანიშნულ ადგილზე დანიშნული დროისათვის განლაგდა ჩვენი ბატალიონი.

. . . . . . . . . .

ვგონებ, უკვე ვთქვი, რომ ჩვენ მაინც ბავშვები ვიყავით, ნაადრევად დაკაცებული ბავშვები და დროდადრო ვნებდებოდით კიდეც ბავშვური ცულლუტობის ეშმაკუნებს.

ახალი საცეცხლე პოზიციები ერთსართულიანი ბელეტაჟებიანი სახლების უბანში გვქონდა. ყველა სახლს მოზრდილი ხეხილიანი ეზო ეკრა გარს. და მე იმ დილას პირველად შევამჩნიე, რომ ხეების ტოტებზე კვირტები დაძრულიყვნენ და ოდნავ გამობურცულები უკვე ბაცი სიმწვანით იმოსებოდნენ.

ეზოში, სადაც ჩვენი ასეული განლაგდა, ჩემი ოცეულის პოზიციის ახლოს მდგარი კოპწია სახლის გვერდით ყრუკედლიანი ფარდული იყო. კარზე კლიტე ედო. სოპოვმა გატეხა ის კლიტე. შევედით. კედლების გასწვრივ გაწყობილ თაროებზე სასულე ორკესტრის ინსტრუმენტები ეწყო აკურატულად.

მოშუადღევების ჟამი იდგა. მზე თანდათან ფიცხდებოდა. დილის ბრძოლების შემდეგ სიმშვიდეს დაესადგურებინა. ნაღმსატყორცნებთან მხოლოდ მემიზნეები იდგნენ.

ორკესტრის ინსტრუმენტებს ავხედ-ჩავხედე. თვალწინ წარმომიდგნენ ჩვენი სამხედრო სასწავლებლის ორკესტრის ლოყებდაბერილი ბიჭები, ბარაბნების თავზე აცეკვებული ჯოხებიანი ხელები. თითქოს იმ ორკესტრის დაკვრის ხმაც ჩამესმა. დაფდაფს დავწვდი, თავისი ჯო-

ხებიანად კარში გამოვრბოდი და ოცეულის ბიჭები ვიხმე.

— ბიჭებო, ინსტრუმენტები დაათვალიერეთ და ვისაც რისი დაკვრის იმედი გაქვთ, აიღეთ.

გაკვირვებით შემომხედეს, ნეტავ, რა დაემართა ჩვენს ლეიტენანტსაო.

ვინ მომცრო საყვირი აიღო, ვინ — დიდი. ერთი დოლს დასწვდა, მეორე — ლითონის თეფშებს. მესამე — ვალტორნას...

ორკესტრი მთელი შემადგენლობით მზად იყო.

— მომყევით! — გავეცი ბრძანება და ყველანი სახლის წინ მდგარ ტოტებგაფარჩხულ დიდ ხესთან მივიყვანე. — ამ ხეზე უნდა ავიდეთ, ტოტებზე ჩამოვსხდეთ და კონცერტი გავმართოთ.

კონცერტში მონაწილეობაზე ორმა უარი თქვა: ხოპოვმა — ჩემს წლოვანებას ეს არ შეეფერებაო, და პოპოვმა — ხეზე ასვლა გამიჭირდებაო.

— კი მაგრამ დათვები ხომ ადიან ხეზე? — უყვირა მამაევმა.

— მერე მე რამ გამადათვა? — გაწყენდა მართლაც დათვივით მობაჯბაჯე და ტანსრული პოპოვი.

ხეზე პირველი მე ავედი. დაფდაფი ამომაწოდეს. ლამის კენწერომდე ავიტანე და ორ ტოტს შორის გავმართე. ტოტებზე ბელურებივით ჩამომსხდრებს დაფდაფზე ჯოხის დაკვრით ვანიშნე კონცერტის დაწყება. დავცხეთ და რა დავცხეთ! ატყდა და რა ატყდა! ლამის ნახევარ საათს გაგრძელდა არეული ხმების გუგუნ-ზრიალი, რომელიც ნადირსაც კი თავზარს დასცემდა და დააფეთებდა. ეს „კონცერტი" კიდევ გაგრძელდებოდა, ისე ვიყავით როლებში შესული, რომ ჩვენს თავზე „მესერშმიტს" არ გადაექროლა. ჩვენივე „მუსიკით" გამოყრუებულებს თვითმფრინავის ძრავების გუგუნი მხოლოდ მაშინღა ჩაგვესმა, როცა მისი ფრთების ნიავმა დაგვიქროლა.

ჩვენზე საუკეთესო სამიზნე კი რაღა იქნებოდა!

ხიდან ქარიშხალდაქროლილი ფოთლებივით ჩამოვცვივდით. როგორღაც ჩემზე წინ დაფდაფი დაეცა და მე ზედ მოვადინე ბრაგვანი. დაფდაფზე გადაკრული უხეში ტყავი ჩაიხა და იქიდან ძლივსღა გამოვძვერი.

ჩვენდა იღბლად ჩამოყრილი წვრილი ბომბები ჩვენგან მოშორებით აფეთქდა, ტყვიამფრქვევის ჯერმა კი რაღაც სანტიმეტრებით ჩაგვიარა. რამდენიმე კაცს სახე და ხელები ჩამოეკაწრა ხის ტოტებზე, ეგ იყო და ეგ.

ჩემი თაოსნობით გამართული იმდღევანდელი „კონცერტის" ამბავი მთელ პოლკს მოედო.

— მორიგი კონცერტი უჩემოდ არ ჩაატარო, — იმავე საღამოს მითხრა ბატალიონის მეთაურმა მუკასაევმა, — და იქნებ ფასიანი კონცერტის გამართვა სჯობდეს, შემოსავალიც გექნებათ.

თავჩაღუნული ვუსმენდი და ჩემი თავისთვის ვერ მეპატიებინა.

დროა, ბავშვობას თავი დაანებო, — ვფიქრობდი ჩემთვის. — ომი და ბავშვობა ერთმანეთს ვერ შეეთვისებიან, სულ სხვადასხვა პოლუსებზე დგანან...

. . . . . . . . . . .

ეს ამბავი კი უფრო ადრე მოხდა.

ერთ-ერთ სახლში იატაკზე დაგდებულ დიდ თოჯინას წამოვკარ ფეხი.

— მა-მაა... — მომესმა წრიპინა ხმა. თოჯინას დავწვდი. გულმოცელშენგრეულმა თოჯინამ ცისფერი თვალები დააჭყიტა. ჩამტვრეულში ხელი ჩავუყავი და ამოვიღე კოლოფი, რომელმაც გადაბრუნების დროს ისევ გამოსცა ბავშვური ხმა: „მა-მაა".

კოლოფი ფარაჯის ჯიბეში ჩავიდე, რისთვის, არც მიფიქრია. იქნებ იმიტომაც, რომ ბავშვის ღუღუნა ხმის გაგონება მონატრებული მქონდა.

იმ ღამესაც მტრის ცეცხლის ხაზის გასწვრივ გავლით პოზიციები შევიცვალეთ. ორ-ორ, სამ-სამ კაცად დაწალიკებული ბატალიონი, ფრთხილი და ჩუმი ნაბიჯით მიდიოდა. რატომღაც მარჯვენა ხელზე ხელჯაგი გავიძრე და ფარაჯის ჯიბეში ჩავიყავი. ხელში იმ დილას ჩადებული კოლოფი შემრჩა. ჯიბეშივე ამოვატრიალე და გაისმა „მა-მაა". ჩემმა ბიჭებმა ყურები ცქვიტეს, ერთმანეთს გაოგნებულებმა და გაკვირვებულებმა გადახედეს, კითხვით კი ვერაფერი იკითხეს — ლაპარაკი არ შეიძლებოდა. და მე რომელიღაც ჭინკა ჩამიჯდა თავში — ფეხი ავაჩქარე და კოლონას ავყევი. ყოველი ხუთი-ექვსი ნაბიჯის შემდეგ კოლოფს ამოვატრიალებდი და ჯიბიდან ამოდიოდა წრიპინა ხმა:

— მა-მაა...

რა თქმა უნდა, ის ხმა მოწინააღმდეგემდე ვერ მიაღწევდა, მაგრამ ღამის სიჩუმეში, უკიდურესობამდე ყურადღებადაძაბულ მებრძოლებს გარკვევით ესმოდათ ბავშვის ხმა, აქეთ-იქით იყურებოდნენ გაფაციცებით, ვერც კითხულობდნენ, რა ხმაა და საიდან მოდისო. ლამის კოლონის თავში გავედი „მამა-მაას" წრიპინით.

ყველასათვის გამოცანად დარჩა ის იდუმალი „მა-მაა".

დიახ, სადღაც მაინც ბავშვები ვიყავით. იქნებ ესეც გვშველოდა სიკვდილის დამარცხებაში, რომლის შიშიც ლამის მთლიანად გაგვიქრა. ეს სისხლისგამყინავი განცდა მხოლოდ მაშინ თუ მოგვენუსხავდა წამიერად, როცა ჩვენს მკლავზე თავმიდებული თანამებრძოლი კვდებოდა, როცა ჯერ ისევ გაუციებელი ადამიანის სხეულისათვის საფლავსა ვთხრიდით...

დიახ, ისე შევიჩვიეთ და გავიშინაურეთ სიკვდილი, რომ მისი სიახლოვე აღარ გვზარავ-

და. სიკვდილსაც ისევე ჩვეულებრივად და აუცილებელ საქმედ ვთვლიდით, როგორც დაძინებას და გაღვიძებას, ნაღმის გასროლას და ავტომატის ჯერის მიშვებას, როგორც პურის ჭამას, როგორც წყლის დალევას...

და საერთოდ ფრონტული ცხოვრების ყოველი დღე ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როგორიც სამსახურში წასვლაა, დაკისრებული საქმის გაკეთებაა და თუნდაც ტელევიზორის ყურება თუ მეგობრულ სუფრასთან ჯდომა.

. . . . . . . . . .

უკვე ორი თვეა, რაც ბრესლაუს ცა ჩვენი ბომბდამშენების საასპარეზოდ ქცეულა. ან როგორ უძლებს ქვა-ქვაზე დადუღებული ეს ცეცხლოვანი კუნძული ბომბებისა და ცეცხლის ასეთ სიმძიმეს... ასე გრძელდება გათენებიდან შეღამებამდე. მტრის საზენიტო ცეცხლი ჩვენი თვითმფრინავებისათვის უკვე საშიში აღარ არის, ფაშისტთა ავიაციაც უსუსურია.

ბრესლაუს გარნიზონი დამშეულია საომარი მასალებითაც და სურსათითაც.

და როცა ღამის სიბნელე მკვიდრად მოიკიდებს ფეხს ცაშიც და მიწაზეც, სკასავით აზუზუნდება ხოლმე დასავლეთის ცა — გერმანელები სურსათისა და საომარი მასალების ჩამოსაყრელად მოფრინავენ. მძიმე ტვირთით დაბარგული სვასტიკიანი სვავები დიდ სიმაღლეზე მოფრენენ, და არა მარტო დასავლეთის მხრიდან — სამხრეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც ცდილობენ ჩვენი პროჟექტორების სვეტთა შუა გასხლტომას, მაგრამ იშვიათად თუ აღწევენ საწადელს. ცაში ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდება ხოლმე, მგონია, პროჟექტორთა შუქის სვეტები რომ არა ჰქონდეს შედგმული, ცა ჩამოწვება და ჩამოინგრევა-მეთქი.

ბრესლაუს ცეცხლოვან ცაში შეღწეული და პროჟექტორთა შუქის სვეტებზე ფრთებწამოცყრული გერმანელთა თვითმფრინავები უთავბოლოდ ყრიან თავიანთ ტვირთს. ამ ტვირთის ნაწილი ვერც აღწევს მიზანს — პარაშუტები ჩვენს განლაგებაში ცვივიან.

მიწისა და ცის ბრძოლა ღამის თერთმეტ საათზე იწყება და დილის ხუთ საათამდე გრძელდება.

კარლ აგუზაროვთან და გიორგი ჩაჩხუნაშვილთან ერთად ჩვენი საცეცხლე პოზიციის ახლოს, დაბანძრული სახლის კედელზე ზურგმიბჯენილი ვზივარ და აქუხებულ ცას შევყურებ.

პროჟექტორების დამაბრმავებელი სინათლის წრეში მოხვედრილი თვითმფრინავი ობობას ქსელში გაბმული ბზიკივით აქეთ-იქით აწყდება. მის ირგვლივ აფეთქებულ საზენიტო ჭურვთა ელვის ხანჭლები სერავენ ცას. ის თვითმფრინავიც უცებ კოცონად იქცა და კუდიანი ვარსკვლავივით ჩახია ღამის სიბნელე.

— ჩვენს მთებში ცას ასე მოსწყდება ხოლმე ვარსკვლავი, — ჩაილაპარაკა [illegible]ირულმა კარლ აგუზაროვმა.

— შენცა სთქვი რაღა, [illegible] გიორგი ჩაჩხუნაშვილი. — ვარსკვლავს როგორ შეადარე ეგ ჯოჯოხეთის მაშხალა?

კარლი შეცბა. ენა ერთი კი შეატოკა, მაგრამ, ეტყობა, შეკამათება ველარ იკისრა, ცოტახანს იყუჩა და მერე თქვა:

— იქ, ცაში ისეთი ბათქაბუთქია, შეიძლება ცას ვარსკვლავიც ჩამოსწყდეს და ჩამოვარდეს.

გიორგი ახლა კი ველარ შეედავა კარლს.

ცა ჰქუხდა, დუღდა, ზანზარებდა, წიოდა, შხიოდა, იწვოდა, თითქოს ზღვაში მთელი მილეთის ნავთ-ბენზინი ჩაუსხამთ და ცეცხლი წაუკიდებიათო.

. . . . . . . .

ლეიტენანტი ჩაჩხუნაშვილი... უკვე ბევრი რამ ვთქვი ამ კაცზე, რომელთანაც თითქმის მთელი ჩემი სამხედრო სამსახურის გზა მაკავშირებდა. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიიდანაც ერთად დავადექით სამშობლოსაკენ მომავალ გზას. უკრაინაშიც ერთად ვიმსახურეთ რამდენიმე თვეს. ვორონეჟის სამხედრო ოლქის განკარგულებაშიც ერთად გაგვგზავნეს. გზად მიმავლებმა კიევში, კრეშჩატიკზე სამახსოვრო სურათი გადავიღეთ, ხოლო ორი დღის შემდეგ ვორონეჟში ჩასულები ერთმანეთს დავშორდით — სხვადასხვა ნაწილებში გაგვამწესეს სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად.

და მერე, კარგა ხნის მერე შევხვდით ერთმანეთს.

თბილისში, მთაწმინდის უბანში ერთი პატარა ოთახი დაექირავებინა. უმაღლესში შესულიყო.

მთელ ღამეს ორნი ვუსხედით სტუდენტურ მაგიდას. რაჭის მთებში დედამისის მოწეული ხვანჭკარა ვერ გვათრობდა ომში გამოვლილი გზის გახსენებით თავბრუდახვეულებს.

— თუ გახსოვს ჩვენი პირობა? — გარიჟრაჟისას მკითხა გიორგიმ.

— რა პირობა? — კითხვა შევუბრუნე დაბნეულმა.

— აი, შვილები რო გვეყოლებათ...

მახსოვდა, როგორ არ მახსოვდა: თუ ცოცხლები გადავრჩებოდით, სამშობლოში დავბრუნდებოდით და დავცოლშვილიანდებოდით, ვაჟიშვილებისათვის ერთმანეთის სახელები უნდა დაგვერქმია.

გიორგიმ პირობა შეასრულა.

დედამიწაზე მუხლგამართულად დადის ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენი სარაკეტო ჯარების სერჟანტი და ამჟამად სტუდენტი თეიმურაზ ჩაჩხუნაშვილი.

მე კი... რა მექნა გოგოების მამას...

და ჩემი ქალიშვილები გიორგი ჩაჩხუნაშვილს ჟორა ბიძიას ეძახიან სიყვარულით და ჩემი ღვიძლი ძმებისაგან არ არჩევენ.

ხოლო გვიან შემოდგომაზე რაჭიდან თბილისში, თავის დედისერთა შვილთან ჩამოსუ-

ლი მოხუცი დედა, რძალ-შვილიშვილებს რომ გადაკოცნის და მოიკითხავს, თავის ვაჟს მიუბრუნდება და ეტყვის: შვილო გიორგი, იმ შენი კახელი ძმის ნახვაც მომენატრა, დაურეკე, შემოგვიაროსო.

ძმის დედის სურვილს როგორ არ შევასრულებ!

და ყოველი შეხვედრისას, რაც არ უნდა ბევრი სადღეისო რამ გვქონდეს განსახჯელი, ბოლოს მაინც ომის გზებს გადავწვდებით ხოლმე. ვიგონებთ ისედაც დაუვიწყარ დღეებს, ვიხსენებთ თანამებრძოლებს.

ჩვენს 288-ე მსროლელ პოლკში ქართველები მარტო მე და გიორგი ჩაჩხუნაშვილი ვიყავით. სანდომირიდან გასვლის შემდეგ, შეტევის გზებზე სხვა პოლკებში მომსახური ორ ქართველ ჩვენდივიზიელსაც შევხვდით. ერთი მათგანი — მიხეილ სვანიძე საარტილერიო ბატარეას მეთაურობდა, ხოლო მეორე — ჟღენტი მსროლელთა ასეულს მიუძღოდა. ერთმანეთს სულ რამდენჯერმე შევხვდით, და იმის დროც კი არ გვქონდა, ერთიმეორეს ბოლომდე რომ გავშინაურებოდით. და მარტო გვარ-სახელებისა და სადაურობის გამოკითხვა თუ მოვასწარით.

ორივე ოფიცერს დიდი საბრძოლო გზა ჰქონდა გამოვლილი და ღირსეულადაც იყვნენ დაფასებულები.

თუ არა ვცდები, სტალინგრადის 181-ე მსროლელ დივიზიაში ჩვენ ოთხნი წარმოვადგენდით საქართველოს.

ჟღენტსაც და სვანიძესაც ომის დამთავრების პირველ დღეებში გერმანიაშივე შევხვდი, მერე კი მათ შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდი.

... როგორც მახსოვს იმ წელიწადს ფაშიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავს აღნიშნავდა ჩვენი ხალხი. იმ ლამაზ გაზაფხულზე ქართული ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელმა ქალმა მომაკითხა სამსახურში. 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამომგზავნეს, თქვენთან შეხვედრა გვინდა და სკოლაში გვესტუმრეთო. დათქმულ დღესა და საათზე მივედი. მასპინძლები ეზოშივე შემომეგებნენ.

— გამარჯობა, თეიმურაზ! — ხელი მაგრად ჩამომართვა ჩემზე ოდნავ უფროსმა, პირლიმილიანმა კაცმა. — არ შეცვლილხარ, ისევ ისეთი ხარ.

მომსალმებელს შევხედე და კითხვის ნიშნად ვიქეცი. ვიცანი და ვერც ვიცანი. თავს ძალა დავატანე. ხსოვნის ყველა სეიფი გადმოვქექე, მეხსიერების ყველა სიმი დავჭიმე. და უცებ ვიღაცის უხილავმა ხელმა, მხოლოდ ჩემს დასანახად, ჩემს წინ მდგომ კაცს ტანზე ოფიცრის ფორმა გადააცვა, მხრებზე უფროსი ლეიტენანტის სამხრეები დააბნია და თავზე ვარსკვლავიანი ქუდი დახურა.

ვიცანი!

ჩემს წინ ოცი წლის უნახავი თანამებრძოლი და ჩემი მასპინძელი, სკოლის დირექტორი მიხეილ სვანიძე იდგა!

ორი თანამებრძოლის შეხვედრით ნეტარულით ხარობდნენ ბავშვებიც, მშობლებიც, მასწავლებლებიც.

ჟღენტს კი უფრო ადრე შევხვდი, შემთხვევით შევხვდი რაიონიდან რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსულს.

ახლა სადა ხართ და როგორა ხართ ჩვენდივიზიელო თანამებრძოლებო?

. . . . . . . . . .

„4. IV. 45. კლაინ ლუბრიუკ. გუშინ დილით შემოვედით ბრესლაუს ამ გარეუბანში. ყოველი ფეხის გადადგმაზე გერმანელთა გვამები. წუთით არ წყდება გაფთრება. ქუხს ყოველივე. ბომბდამშენები ბომბავენ ხშირად. გერმანელი მაინც არ გვნებდება".

ამ ჩანაწერით იწყება ჩემი უბის წიგნაკის პირველი გვერდი. იქვე ჩამიწერია იმდღევე თარგმნილი ლევ ოშანინის ლექსი „სიმღერა", რომელიც თვენახევრის შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქართული გაზეთის „მუშურგლეხური წითელი არმიის მებრძოლის" ფურცლებზე დაბეჭდეს.

ჩემი თავისთვის ახლაც ვერ მიპატიებია, რომ იმ აპრილის დასაწყისამდე არაფერი ჩამინიშნავს და ჩამიწერია. არადა, დრომ მეხსიერებიდან ბევრი საყურადღებო ეპიზოდი, ბევრი გეოგრაფიული სახელი, თანამებრძოლის გვარი თუ სახელი ამოშალა და წაშალა.

გაფერმკრთალდა იმ ცხრაასორმოცდახუთის გაზაფხულზე ფანქრით ჩაწერილი სტრიქონებიც:

„6. IV. 45. წუხელ მოვედით აქ. ნაცნობი ადგილია. დღეს რატომღაც სიწყნარეა. მხოლოდ თვითმფრინავები მუშაობენ".

„11. IV. ბრესლაუს დასავლეთი აეროდრომი. ჩვენ ვუტევთ. მძიმე ბრძოლებია და წინსვლა — ნელი. გერმანელებს მათ მიერ აგებული სიმაგრიდან ვუშენთ ცეცხლს. ირგვლივ გერმანელთა შიშველი გვამები ყრია, შიშველი, დამწვარი გვამები".

„12. IV. „მებრძოლის" რედაქტორის ვანიონ დარასელის წერილი მივიღე. შენი, როგორც აქტიური სამხკორის, ფოტოსურათი გვინდაო სახუთმაისოდ. გუშინ ჩვენმა პოლკმა ბრესლაუს ერთი კვარტაალი აიღო".

„19. IV. ბრესლაუ. აეროდრომს დავშორდით. ქალაქის კვარტალებში ვართ. „მესერშმიტები" ხშირად შეშლილებივით მოვარდებიან ხოლმე. არ გვილევენ თითოროლა კამფეტებს. ბევრნი გვნებდებიან ტყვეებად. გუშინ ტყვეებს ჩვენი დაჭრილები გამოჰყავდათ ცეცხლიდან. ტყვე გერმანელი სანიტარი მათ მზრუნველად უხვევდა ჭრილობებს. ტყვეებმა ჩვენი ნაალაფარი გერმანული ქვემეხი თავისიანებისაკენ შეაბრუნეს და ცეცხლი გაუხსნეს..."

„27. IV. ბერლინი გარშემორტყმულია. მწყინს,

რომ ბრესლაუში ჩავრჩი, ვერ მოვხვდი ბერლინისათვის ბრძოლაში, რაზეც ასე ვოცნებობდი".

. . . . . . . . .

აპრილის ბოლო რიცხვებში, ბერლინზე ჩვენი ჯარების შეტევის დაწყების შემდეგ, ფრონტის ჩვენს უბანზე დღეების დაჭიმული ზამბარა მობოშდა და მოდუნდა. მოწინაალმდეგენი ერთმანეთს ხანჭლებად ქცეული თვალებითღა ვიყავით ჩაფრენილები, ერთიმეორის შეტოკებასა თუ თავის წამოწევას დადარაჯებულები. ჩვენმა თვითმფრინავებმაც ძალზე გაიშვიათეს ბრესლაუს ცაზე ფრენა. პროჟექტორთა შუქის სვეტებით შემორაგული ქალაქის ღამის ცაში მტრის თვითმფრინავებიც შეთხელდნენ.

ჩვენი სარდლობა ზედმეტი მსხვერპლის გაღებას ერიდებოდა — ბრესლაუს გარნიზონი დღეს თუ ხვალ მაინც უნდა დაგვნებებოდა, სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა.

აპრილის ოცდაშვიდი თუ ოცდარვა რიცხვი იყო. იმ დღეს ასეულის საცეცხლე პოზიციებზე ოფიცერთაგან მარტო მე ვიყავი — მაკაროვი სათვალთვალო პუნქტზე იყო, ჩაჩხუნაშვილი და აგუზაროვი პოლკის შტაბში წავიდნენ.

საცეცხლე პოზიციები ვაშლის ხეების ბაღში გვქონდა განლაგებული. ბაღს ჩრდილოეთის მხრიდან ბეტონის ყრუ, მაღალი ლობე ეკრა, ხოლო ცეცხლის წინა ხაზი იმ ლობიდან ხუთასიოდე მეტრის მოშორებით, საცხოვრებელი კორპუსების კვარტალში გადიოდა. ლობის ჩვენს მხარეს რამდენიმე თითოსართულიანი სახლი იდგა, რომლებშიც ღამღამობით თვალს ვიტყუებდით ხოლმე.

ის-ის იყო მოშუადღევდა. ჩემი ოცეულის პოზიციებზე მყოფმა შევნიშნე — პირველი და მეორე ოცეულების ბიჭებმა ბეტონის ლობეში ჭურვის აფეთქებისაგან გამოღებულ დარანში რაღაც კასრისმსგავსი ჭურჭელი გადმოათრიეს და ციმციმ წაიღეს პირველი ოცეულის პოზიციებისაკენ.

ნეტავ რა იპოვეს, რა მიაქვთ-მეთქი, ვიფიქრე და მათკენ წავედი. კასრისმსგავსი მოთუთიავებული ჭურჭელი სპირტით იყო სავსე. ერთ-ერთ ჯარისკაცს სუფთა თეფშის მოტანა დავავალე. ცოტა სპირტი თეფშზე გადმოვასხი და ასანთი მივეცი. მოცახცახე ლურჯი ალი ავარდა. სპირტი ამოიწვა. თეფშზე რაღაც უფერული დანალექი დარჩა.

— როგორც ვიცი, სუფთა სპირტი მთლიანად უნდა დაიწვას, არავითარი დანალექი არ უნდა დატოვოს, — ვთქვი შეფიქრიანებულმა და ბიჭებს მივუბრუნდი, — ამ სპირტის დალევა საშიშია. ახლავე დააქციეთ.

ბიჭებიც შეფიქრიანდნენ. არ დავლევთო. ეგრე, აუცილებლად ეგრე გააკეთეთ-მეთქი, — ვუთხარი და ჩემს ოცეულში დავბრუნდი.

მცირე ხნის შემდეგ დავინახე — რამდენიმე ჯარისკაცი ისევ ლობის იმ დარანში გაძვრა. ოციოდე წუთის მერე რაღაც მილებით და ქვაბებით დაბრუნდნენ და გაფაციცებით ამუშავდნენ. არყის სახდელი გამართეს და სპირტით სავსე, მკვიდრად თავდახურულ ქვაბს ცეცხლი შეუნთეს.

გულახდილად ვიტყვი, გამახარა და გამაამაყა კიდეც ჯარისკაცების საზრიანობამა და მოხერხებულობამ.

ჩაჩხუნაშვილი და აგუზაროვი შებინდებისას დაბრუნდნენ. ივახშმეს და ახლადგამოხდილი სპირტიც დააყოლეს. მეგონა, ცოტას ჩემს ოცეულსაც მოაწვდიდნენ, მაგრამ აღარ გავახსენდით.

სოპოვი აბუზღუნდა: შენ მაინც რატომ არ დაგპატიჟეს, ეს რანაირი „ზემლიაკები" გყოლიაო.

არადა, იმ საღამოს საოცრად მინდოდა, მოწყურებით მინდოდა ოდნავ გაბრუება მაინც...

დასამახსოვრებლად მზიანი და თბილი დილა გათენდა.

ვაშლის ხის ტანზე ზურგმიბჯენილი ვიდექი და ტოტებით დახაზულ ზენას შევყურებდი.

ვაშლის კვირტების სკდომის ხმა ჩამესმოდა და როგორ არ მინდოდა ბომბ-ჭურვების სკდომის ხმის გაგონება.

სდუმდნენ ჩრდილოეთისაკენ ლულებმიშვერილი ჩვენი ნაღმსატყორცნები. ბეტონის ლობის მიღმიდანაც არ ისმოდა ჩამიჩუმი. სულში მზის ჩქერი მეღვრებოდა და ქამარზე დაკიდებული ნადავლი „პარაბელუმი" მამძიმებდა.

— რა ოცნებას მისცემიხარ, ვეფო! — გიორგი ჩაჩხუნაშვილის ხმამ გამომაფხიზლა. ჩემკენ მოდიოდა, სპირტით სავსე ბოთლითა და ჭიქით მოდიოდა, — გუშინ საღამოს ვერ დაგიძახეთ, არ გეწყინოს. აი ახლა დავლოცოთ გაზაფხულის მოსვლა, — მხიარულად მითხრა, ჭიქაში სპირტი დაასხა და გამომიწოდა.

ჩემში წუხანდელმა წყენამ იფეთქა. თქვენი არაფერი მინდა-მეთქი, — ბოღმიანად ვუთხარი და გამოწვდილ ხელზე ხელი ავუკარი.

ჭიქა ხელიდან გაუვარდა. სპირტი ის-ის იყო მიწიდან თავამოყოფილ ბალახებში ჩაიღვარა.

ჩემი ოცეულისაკენ წავედი.

გიორგი ერთხანს გაოგნებული იდგა. მერე სპირტიანი ბოთლი მიწაზე დაანარცხა და ისიც თავისი ოცეულისაკენ შებრუნდა.

შუადღისას კარლ აგუზაროვი მომადგა. ასე რამ მოგაყვანინა გული, შენი წილი სპირტი არ დაგვილევიაო.

— ზრუნვისათვის მადლობელი ვარ, — ვუთხარი ღიმილით, — ღმერთმა ის ჩემი წილიც თქვენ შეგარგოთ.

დაღამდა ის დასამახსოვრებლად თბილი და ლამაზი დღე, იქნებ იმიტომაც უფრო ლამაზი და თბილი, რომ იმ დღეს თითქმის სულ არ გაგვიგია ნაღმ-ჭურვის ყეფა და ტყვიის სისინი.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ტანსაცმელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაღიანად მიწოლილს ვიღაცამ ხალათის საყელოზე მომქაჩა, თავზე პოლკის არტილერიის უფროსი მედგა.

— სწრაფად თქვი, ხომ არ დაგილევია?

ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდა. რა უნდა დამელია-მეთქი, — ვკითხე და წამოვხტი.

— თქვი, თქვი, სწრაფად თქვი! ის სპირტი მოწამლული იყო!

— ოფიცრის პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ დამილევია.

— არც შენს ჯარისკაცებს?

— არც იმათ.

არტილერიის უფროსი მაშინვე გავარდა ოთახიდან. მეც ფეხდაფეხ მივყევი.

— ბიჭებო, რა მოხდა, როგორა ხართ? — შორიდანვე შევყვირე გულშემოყრილმა.

— არაფერია, არაფერი! — ღიმილით გადმომძახა აგუზაროვმა, — ოღონდ გულში წყენა არ ჩაგრჩეს, იმ საღამოს რომ სტუმრად არ დაგპატიჟეთ.

მანქანა დაიძრა და მთელი სისწრაფით მიმავალი უმალ მიეფარა თვალს.

ჰოსპიტლიდან სამი დღის მერე დაბრუნდა გიორგი ჩაჩხუნაშვილი.

გიორგი საერთოდ სასმელს არ ეტანებოდა, თუ დალევდა, ბევრს არ დალევდა და, ალბათ, ამანაც უშველა.

ერთხანს მდუმარედ შევყურებდით ერთმანეთს. მერე გიორგიმ მხარზე ხელი მომხვია და მითხრა:

— ჩემი მადლობელი იყავი. მე რომ არ გამენაწყენებინე, ალბათ ჰოსპიტალში იქნებოდი.

. . . . . . . .

ზოგიერთი ეპიზოდის მოსათხრობად მაგიდას რომ მივუჯდებოდი, ეჭვი მიპყრობდა, ადრე ხომ არ დავწერე-მეთქი. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარწმუნებულიც ვიყავი, რომ უკვე დაწერილი მქონდა, და იქამდე დარწმუნებულიც, რომ თვალწინ ოკრობოკროდ დაწერილი სტრიქონებიც კი წარმომიდგებოდა და ძველ საქაღალდეებს ვქექავდი სამუშაო ოთახშიცა და წიგნებითა და ხელნაწერებით ამოვსებულ სარდაფშიც. და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა ვერაფერს ვპოულობდი, ვრწმუნდებოდი, რომ ისინი, ქაღალდზე კი არა, სულში მქონდა დაწერილი.

და აი ახლა ის სტრიქონები ქაღალდზე გადმოვიტანე, სხვებმაც წაიკითხოს, ბევრმა წაიკითხოს, დაინახოს ცეცხლში გამოვლილი გზა ომში აჩეხილი და დამეჩხერებული ჩემი თაობისა — და განა მარტო ჩემი თაობისა! — დაინახოს და გაითავისოს მისი გაუტეხელი სულის სიალალმართლე, რწმენის ერთგულების სიმტკიცე, სიწმინდე და შემართება. იყოს ჩვენზე უფრო ძლიერი, უფრო ფხიზლად დადარაჯებული მშვიდობის სიკეთის სინათლესთან, მამულის სიყვარულის სათავეებთან.



## ბოლო დღეების ქრონიკა

1 მაისი.

მზით გადაბრდღვიალებული ცა და... თოვა.

უღრუბლო ციდანაც და მოღრუბლული ციდანაც დღედაღამ შავ და შავმოთეთრო ფიფქებად ჩამოდის ფერფლ-ჭვარტლისა და ნავლის თოვლი.

გაუნელებელი ვულკანის ღია კრატერად ქცეულა ბრესლაუ. მუდმივი ცეცხლით იწვის ხე, ქვა, მიწა.

ნატისუსალის მახრჩობელა სუნთან ერთად ნიავს იასამნის სურნელებაც მოაქვს. გაგიჟებით ჰყვავიან იასამნები, რომლის მოშენებაც თურმე აგრერიგად ჰყვარებიათ აქაურებს.

2 მაისი.

გამთენიისას კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ჩარეცხა და ჩავარცხნა ფერფლ-ჭვარტლით ფერშემღვრეული ჰაერი.

როგორც იტყვიან, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდება. უკვე ერთ კვირაზე მეტია, იშვიათად თუღა ისმის თვითმფრინავთა მოტორების ღმუილი, ჭურვ-ნაღმების ყეფა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის გამოსაფხიზლებლად ავტომატების მოკლე ჯერებსა და შაშხანების ცალკეულ გასროლებს ვჯერდებით.

ნაშუადღევს ბატალიონის შტაბიდან დარეკეს: ბელორუსიის პირველი ფრონტისა და ჩვენი, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა ბერლინი აიღესო.

— ბერლინი ავიღეთ! ბე-რლი-ნი!!!

ჩვენი ასეულის ყოველი ლულიდან ზედიზედ ხუთ-ხუთი ნაღმი გამოენთო. მათს ხმას ავტომატ-შაშხანების ზალპი ჩაერთო. ბერლინის აღების ამბავი და უეცარი ცეცხლის ტალღა ესტაფეტასავით გადავიდა ასეულიდან ასეულში, ბატალიონიდან ბატალიონში, პოლკიდან პოლკში...

უეცრად ატეხილმა ცეცხლმა შეაფორიაქა გერმანელთა პოზიციები. მოწინააღმდეგეს ეგონა შეტევაზე გადავდიოდით და იმათაც ცეცხლი დაგვიშინეს.

წვიმა კი წვიმდა, გადაუღებლად წვიმდა.

საღამოს ამბავი მოგვწვდა: ბრესლაუს დაჯგუფების სარდლობამ კაპიტულაციაზე უარი განაცხადაო.

როგორც გერმანელი ტყვეებისაგან გავიგეთ, აპრილის ბოლო რიცხვებში ჰიტლერის პირადი ბრძანებით ბერლინიდან ბრესლაუში ჩამოფრინდა ქალაქში გარშემორტყმული ჯარების ახალი სარდალი. წინა სარდალი, ჰიტლერისავე ბრძანებით, ბერლინში გაიწვიეს და სიკვდილით დასაჯეს, რადგან ბრძოლის გაგრძელება უაზრობად მიიჩნია და ბერლინისაგან კაპიტულაციის თანხმობა ითხოვა.

სტრიქონები იმდროინდელი უბის წიგნაკიდან:

3 მაისი.

„მაისი — ჩემი დაბადების (იქნებ სიკვდილისაც?) თვე. მაისი ბერლინის აღებისა და უთუოდ ომის დამთავრების თვე. მოწყენილი და წვიმიანი დილაა. ალუბლები მაინც ჰყვავიან. გაზაფხული დადის დანგრეულ და გადამწვარ მიდამოებში“.

იმ დილას განახლდა ჩვენი შეტევა. ისევ მთელი ხმით ალაპარაკდა ყველა საბრძოლო იარაღი. ბომბდამშენებმა კვლავ ჩამოაბნელეს ქალაქის ცა.

4 მაისი.

„დილიდანვე ბომბავენ ჩვენი არწივები. გერმანელები კვლავ გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევიან“.

სალამოს მივიღეთ ბრძანება: ფხიზლად ვიდგეთ ჩვენს საბრძოლო პოსტებზე და არც ერთი ნაღმი, არც ერთი ტყვია არ გავისროლოთ.

5 მაისი.

ფრთები დაუკეცავთ თვითმფრინავებს.

ლულები გაჰგრილებიათ ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებს.

დადუმებულან ავტომატები, შაშხანები, ტყვიამფრქვევები.

წვიმით დამბალ მიწაში გარინდებულან ტანკების მუხლუხოები.

დადუმებული ლულები და ნაკვერჩხლებად ქცეული თვალები გაჰყურებენ მტრის პოზიციებს.

პოზიციები?

დამსხვრეული რკინის, რკინა-ბეტონის, ქვისა და აგურის გროვები, კარ-ფანჯრის ნამუსრევები, ქვაფენილებსა და ნანგრევებში ღრმად ჩათხრილი ტრანშეები.

6. მაისი.

დილიდანვე სათვალთვალო პუნქტზე ვარ, ცეცხლის სულ წინა ხაზზე, ნაწილობრივ სახწაულებრივად გადარჩენილი შენობის სახურავქვეშ ვზივარ და თვალებადქცეული ვუთვალთვალებ მტრის პოზიციებს.

გვერდით ავტომატი მიდევს.

მეკავშირე ჯარისკაცი ტელეფონს მისჯდომია.

შენობის სარდაფებში ჩვენი ბატალიონის მსროლელები ჩასანგრებულან.

ჩვენსა და გერმანელებს შორის, ეგრეთწოდებულ, ნეიტრალურ ზონად ჩვეულებრივი სიგანის ქუჩა ჩაწოლილა, ჩემს სათვალთვალო პუნქტად ქცეულ შენობას რომ აუდის მარცხენა მხრიდან.

შუადღე გადაიწურა. მზე თავქვე დაეშვა, დაცხრა და დაილეველდა.

ჩემს წინ, მოხისხლეთა გამყოლი ქუჩის გადალმა ჩათხრილ ტრანშეაში ჩაგუბებული კუპრიდან რალაც სითეთრე გაკრთა. ის სითეთრე უცებ გადიდდა და გამოიკვეთა.

ტრანშეიდან ხიშტზე მიბმული ზეწრისა თუ პერანგის ნახევი ამოცურდა.

ხიშტისტარიან თეთრ დროშას სიკვდილივით ჩაშავებული ზური და იმ ზურჩივით შავი ადამიანის თავი ამოჰყვა. შემდეგ ტანიც გამოჩნდა და მთელი სიმაღლით დადგა ტრანშეის მიწაყრილზე.

სულ რალაც ერთი ხელის გაწვდაზე მთელი ტანით დგება გერმანელი მაღლა აწეული ხიშტისტარიანი თეთრი დროშით.

მედროშე გერმანელის გვერდით უხილავმა ხელმა ჩვენკენ ლულამოშვერილი ხელის ტყვიამფრქვევი ამოდგა.

სახურავის მარცხენა კუთხისკენ გავენთე — ისიც უნდა ვნახო, ჩვენები რას იზამენ.

შენობის სარდაფიდან ჩვენი ჯარისკაცი გადის, შუა ქუჩაში დგება, ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და თავზემოთ აქნევს. მეორე ჯარისკაცი საფრიდან ხელის ტყვიამფრქვევით გამოდის, ტროტუარზე დაყრილ კედელლორლის გროვას ეფარება და იმ გროვაზე ხელის ტყვიამფრქვევს აყენებს.

ხან წინ, გერმანელებისკენ ვიყურები, ხან მარცხნივ, ჩვენებისკენ.

გადის შვიდი წუთი, რვა. ცხრა...

ტრანშეის ბრუსტვერზე მდგარი გერმანელის მარცხნივ და მარჯვნივ ჩნდება ჯოხებზე თუ ხიშტის წვერებზე წაბმული თეთრი ჰინჰები და იმ ჰინჰებს ადამიანთა სხეულებიც ამოსდევს.

ქუჩაში ჩვენი სხვა ჯარისკაცებიც გადიან და გვერდში უდგებიან პირველგასულს.

სანამდისაც თვალი მიმიწვდება, მზერას მიმოვაქროლებ გერმანელთა წინა ხაზზე. თეთრი დროშები ტოკავენ ტრანშეების თავზე, ნანგრევების გროვებზე, გადარჩენილი სახლების კარ-ფანჯრებში.

გადის თხუთმეტი წუთი, თექვსმეტი. ჩვიდმეტი...

ჩვენი შენობის გადაღმა ტრანშეის ბრუსტვერზე მდგართაგან ერთი გერმანელი ჩვენკენ მოდის.

შენობის მარცხნივ ამავალ ქუჩაზე ჩვენების ჯგუფისაგან ერთი ჯარისკაცი ცალკევდება და გერმანელებისკენ მიდის.

ერთმანეთისკენ მიდიან დაძაბულად, უნდობლად, მიდიან მიწის იმ ნაგლეჯზე, სადაც გუშინ და იმის წინ ფეხის დადგმაც კი სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთისკენ ლულებმიშვერილ ტყვიამფრქვევებთან ჩაწოლილი მეტყვიამფრქვევეები სუნთქვაშეკრულები ითვლიან ნეიტრალური ზონის შუა ადგილისკენ მიმავალთა ნაბიჯებს.

და აი ისინი ხვდებიან ერთმანეთს!

ერთმანეთისაგან ორი ნაბიჯის დაშორებით ჩერდებიან. წამიერად გაქვავებულებივით დგანან და ერთმანეთს შეჰყურებენ. გერმანელი თეთრტილოწაბმულ შაშხანას მიწაზე აგდებს და ხელს უწვდის ჩვენს ჯარისკაცს.

ერთმანეთს ხელს ართმევენ!

მხრებზე ხელებს უტყაპუნებენ!

გადის ოცი წუთი, ოცდაერთი. ოცდაორი...

ჩვენსკენ მოდის ტრანშეის მიწაყრილზე მოქანავე სხვადასხვა ზომებზე ჩამოხეული ზეწრებისა და პერანგების მწკრივი.

მათს შესახვედრად მიდის შენობის მარცხენა მხარეს ამავალ ქუჩაზე გასული ჩვენი ჯარისკაცების ჯგუფი.

პირველშემხვედრები ახალმისულთა რკალში ექცევიან. ერთმანეთში ირევა რუსული და გერმანული შეძახილები, სიცილი და ტირილი...

და ეს ყველაფერი თავისით ხდება, ბუნებრივად ხდება, ყოველგვარი ბრძანების გარეშე. და ეს ყველაფერი ხდება სიცოცხლის ბრძანებით, სიცოცხლის სიყვარულის ბრძანებით. სიცოცხლეზე უმაღლესი მბრძანებელი კი არავინ არის ამ ქვეყანაზე!

გერმანელთა განლაგების ტრანშეებიდან და ნანგრევებიდან ახალი ჯგუფები გამოდიან.

ახალი ჯგუფები გადიან ჩვენი განლაგების საფრებიდანაც.

და ერთმანეთისკენ მიეშურებიან.

სანამდისაც თვალი მიმიწვდება, მზერას მიმოვაქროლებ გერმანელთა წინა ხაზზე. ერთი ორი, სამი, ოთხი... ათი... ოცი... ბოლომდე ვერ ვთვლი გუშინდელ მოსისხლეთა ერთმანეთში არეულ ჯგუფებს.

ერთმანეთს ულოცავენ ომის ჯოჯოხეთური ცეცხლის ჩანავლებას.

და რამდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, სიხარული იკითხება დამარცხებულთა სახეებზეც.

სამსართულიანი სახლის სახურავიდან დაბლა ჩამოვრბივარ, ქუჩაში გავდივარ და ერთერთ ჯგუფს ვუერთდები.

ქოთქოთებს, ხმაურობს, ერთმანეთში არეული სხვადასხვა სამხედრო ფორმიანი ადამიანების მღვრიე მორევი. ერთურთს თავთავიანთ ენებზე ელაპარაკებიან ათასნაირი მიმიკისა და ჟესტის გამოყენებით .

ერთ გერმანელს რუსი ჯარისკაცისთვის ხელში ხელი ჩაუვლია და თავისკენ ექაჩება:

— ქომენ ზი, შნაფს. ვოდკა...

ბინდის მკვრივად შედედებამ გაგვყარა ერთმანეთს.

გერმანელები თავიანთ ტრანშეებსა და ნანგრევებს დაუბრუნდნენ.

ჩვენ ჩვენი განლაგებისაკენ შევბრუნდით.

და ორივე მხარეს გაისმა სიმღერა.

გერმანელთა მხრიდან მოწყვლენილი მოგუდული და ნაღვლიანი სიმღერები ჩვენი ჯარისკაცების ხალისიანი და მჭექარე სიმღერების ხმაში ინთქმებოდა.

ლამის შუაღამისას მიწყნარდა ორივე მხარე.

7 მაისი.

დღევანდელ დილასაც სათვალთვალო პუნქტზე შევხვდი. და საერთოდ ყველანი საბრძოლო პოზიციებზე ვიდექით — ოდნავაც არ მობოშებულა ალყის გაურღვევი რკალი.

წუხელ დაიწყო ბრესლაუს გარნიზონის კაპიტულაცია. გერმანელები დანიშნულ დროსა და ადგილებზე აწყობენ იარაღს. უიარაღონი თვითონაც ეწყობიან კოლონებად და ჩვენი ბადრაგის თანხლებით გადიან ქალაქის აღმოსავლეთით გახსნილი კორიდორებიდან.

საღამოს შვიდ საათზე დამთავრდა ბრესლაუს გარნიზონის კაპიტულაცია.

მოსკოვმა ათ საათზე ორასოცდასამი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით აღნიშნა ბრესლაუს აღება.

8 მაისი.

მხოლოდ წუხანდელ ღამეს გავიგე ბავშვობიდანვე ყურსშეჩვეული სიტყვების — მკვდრული სიჩუმის—სრული მნიშვნელობა. ჩქამგაღებლად იწვა ნანგრევებისა და ნახანძრალებით ვეება ქალაქი, რომლის ჰაერს სულიერის სუნთქვაც კი არ ატოკებდა. გაუკაწრავი დუმილი სუფევდა ჩვენს განლაგებაშიც და ჩვენს ზურგშიც. თითქოს დედამიწამაც შეაჩერა თავისი ბრუნვა. უხმოდ ვიწექით და ვერ ვიძინებდით ძნელგასაძლები და ძლივასატანი დუმილისაგან გაოგნებულები.

რიურაჟის პირველი სხივის გაკრთომისთანავე ავიშალენით.

დღეს სამხრეთისაკენ უნდა წავიდეთ. ჩვენგან ასობით კილომეტრის დაშორებით კვლავ წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობენ ჩვენი ჯარების მიერ გარშემორტყმული გერმანელთა დიდი დაჯგუფებები.

ნაშუადღევამდე ვემზადებოდით სალაშქროდ. გავწმინდეთ და წესრიგში მოვიყვანეთ საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა. ჭვარტლი და ნავლი ჩამოვიბერტყ-ჩამოვიწმინდეთ ტანსაცმელ-ფეხსაცმლიდან და სხეულებიდან. მუხლებში ქარი ჩავიყენეთ და დღის ორ საათზე დავიძარით.

კვლავ გზებზე გაიწელა და წაგრძელდა ჩვენი დივიზია. მოასფალტებულ-მოცემენტებულ გზებზე ცხენების ნალების წკრიალს ჩვენი დანალული ჩექმების წკარაწკურიც შეუერ-

თდა. ახმაურდნენ მეფორნეები, გადასწრების მოწადინე ავტომანქანების შოფრები.

საღამოს ათ საათზე რომელიღაც ავტოსტრადის პირზე გაშენებულ დასახლებაში შეჩერდა ჩვენი ბატალიონი. დასახლება დაცარიელებული იყო — გახიზნული მცხოვრებლები ჯერ არ დაბრუნებოდნენ. დილის ხუთ საათამდე გამოცხადდა მუხლის ჩახვრა და თვალის მოხუჭვა.

9 მაისი.

სროლის ხმამ გამომაღვიძა. წამოვჯექი და სმენად ვიქეცი — შაშხანებისა და ავტომატების ხშირი სროლის ხმას შიგადაშიგ ქვემეხების ბათქიც ერთვოდა.

საათს დავხედე — სამი ხდებოდა.

ყველანი ფეხზე დავდექით და კარში გავცვივდით.

...სროლის ხმა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოდის.

ღამის ცა მგეზავი ტყვიებისაგან დაჭიმული სინათლის სქელი ძაფით იქსოვება. ახალ ვარსკვლავებად ენთება სხვადასხვა ფერის შუშხუნები. ქარდაქროლილი მინდორივით ტოკავს ყვავილებდასხმული ცა.

და იმ ხმაურიანი სინათლის ტალღები ჩვენკენ მოიწევენ და მოირხევიან.

ასობით კილომეტრის რადიუსში მოქმედი მტერი არ გვეგულება და თუ მაინცდამაინც გერმანელებთან გაჩაღდა ბრძოლა, ცას რატომღა აწყდება ამდენი მგეზავი და მანათობელი ტყვია-ჭურვი?...

ცაზე დანთებული ცეცხლი კი ჩვენსკენ მოიწევს და სწრაფად გვიახლოვდება.

ყოველი შემთხვევისთვის საბრძოლო განგაში ცხადდება.

ავტოსტრადის გასწვრივ გაშლილი ჩვენი ბატალიონი იარაღმომარჯვებული საფრდება. ნაღმტყორცნელები ჩასაფრების მარცხენა კიდეზე ვართ ჩაწოლილები.

ბეტონის ფილებით გაწყობილ ავტოსტრადაზე ჭენებით მომავალი ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. ხმა ასიოდე ნაბიჯზე რომ მოგვიახლოვდა, რომელიღაც მარცხენაფლანგელმა შესძახა:

— შესდექ! ვინ მოდის?

ჯერ უცნაური სიცილის ხმა მოგვწვდა, მერე სიტყვები:

— თქვენ რა, ომს იწყებთ? ომი დამთავრდა, ხალხო, ომი დამთავრდა! ყველა სალუტს აძლევს და თქვენ კი გზისპირას იარაღით ჩასაფრებულხართ...

ცხენოსანმა ჩვენი ჩასანგრების წინ, ავტოსტრადაზე ჩაიქროლა.

— ომი დამთავრდა!

ამ ორმა დიდმა სიტყვამ ქარივით გადაუქროლა გზის პირას ჩაწოლილ ბატალიონს და გზა განაგრძო მქუხარედ, თავაწყვეტილად, სინათლის სისწრაფითა და სიძლიერით.

— ომი დამთავრდა!

დღე დღეზე, წუთი წუთზე ველოდებოდით ამ სიტყვების გაგონებას, თითქოს შეჩვეულიც ვიყავით იმ სიხარულს, რაიც ამ სიტყვებს უნდა მოეტანა, და მაინც რა განსაცვიფრებლად მოულოდნელი, თითქმის დაუჯერებელი იყო მათი გაგონება! და რა წარმოუდგენლად დიდი იყო სიხარული, რომელიც ამ ორმა დიდმა სიტყვამ მოგვიტანა!

ომის დამთავრების აღსანიშნავი სალუტის მისაცემად ავტოსტრადაზე ორ მწკრივად ეწყობა ჩვენი ბატალიონი.

ყველა ოფიცერი თავისი ქვეგანაყოფის წინ დგას და იმეორებს ბატალიონის მეთაურის ბრძანების სიტყვებს:

— აღმართეთ იარაღი!

მებრძოლთა მწკრივების თავზე ტყესავით წამოიქოჩრა ხიშტწამოცმული თუ უხიშტო შაშხანებისა და ავტომატების ლულები.

— გატენეთ!

ერთდროულად გაიხმაურეს საკეტებმა.

ოფიცრებს მარჯვენა ხელი მაღლა გვაქვს აღმართული და ენებზე გვადევს ბრძანების მთავარი სიტყვა „ცეცხლი!"

და უცებ...

მსროლელთა მეორე ასეულის რომელიღაც ოცეულის მწკრივში ავტომატის მოკლე ჯერი არღვევს საზეიმო დუმილს.

ბეტონის ფილებზე მწკრივის პირველ რიგში მდგარი ოთახი ჯარისკაცი პირქვე ეცემა.

მწკრივის მეორე რიგში მდგარმა რომელიღაც ჯარისკაცმა, ავტომატის მოკლე ჯერი მიუშვა. ის ჯარისკაცი ერთი იმ ახალბედათაგანი იყო, რამდენიმე დღის წინ შევსებად რომ მიიღეს მსროლელებმა.

ძახილის სიტყვა — „ცეცხლი" ბაგეებზე ფიფქივით გვადნება, მაღლა აღმართული ხელი იმ ძახილზე ძირს რომ უნდა დაგვექნია, დამბლადაცემულივით გვივარდება.

ჩვენს თვალწინ ორი დაჭრილი ჯარისკაცი ფართხალებს და ორი უმოძრაოდ წევს.

დიდი სიხარულის, ჩვენს სიცოცხლეში ალბათ ყველაზე დიდი სიხარულის შუქს მძიმე, ძალზე მძიმე ჩრდილი ეცემა, გულისგამგმირავი ჩრდილი თუ ლახვარი...

ბეტონის ფილებზე დაცემულებს მყისვე მისცვივდნენ ასეულის ოფიცრები და მწკრივში მათ ახლოს მდგარი ჯარისკაცები. სანიტრებიც უმალ გამოჩნდნენ.

გაქვავებული დგას ცისკენ ლულებაღმართული ბატალიონი.

და ჩვენ მოგუდული ხმით ვიმეორებთ ბატალიონის მეთაურის ბრძანების სიტყვებს.

— განმუხტეთ იარაღი!

უკან ბრუნდებიან ლულების პირში შესრიალებული პატრონები.

— დაუშვით იარაღი!

უჩინარდება ხიშტწამოცმული თუ უხიშტო ლულების ტყე.

— დაიშალენით!

მწკრივები ზლაზვნით იშლებიან.

მოულოდნელი ტკივილით ჭუდამძიმებული მებრძოლები და ოფიცრები ერთხანს ავტოსტრადაზე დაგებულ ბეტონის ფილებს სტკეპნიან.

დაჭრილებს ჭრილობებს უხვევენ და ჰოსპიტალში მიაქროლებენ.

დაღუპულთა გვამებს მიასვენებენ.

დამნაშავე ბადრაგის თანხლებით მიჰყავთ.

ჩვენს ირგვლივ ხშირდება სალუტის ზალპების ხმა.

ულრუბლო ცაზე ტალღებად გადადის მეწამული ტყვიებისა და ჭურვების შუქი.

ჩვენ კი თავჩაღუნულები და ენაჩავარდნილები ვტოვებთ ავტოსტრადას.

ჩემი ასეულისაგან ვნაპირდები. უკაცრიელ ეზოში ქამრიდან ინდაურის კვერცხზე ოდნავ მოზრდილ ხუთივე გერმანულ ხელყუმბარას ვიხსნი და ერთმანეთის მიყოლებით ვტყორცნი სიბნელეს, ვტყორცნი ტკივილს, ვტყორცნი სიკვდილს, ადამიანისავე ხელმა რომ მიუშვა ყველა სადავე, ახსნა ყველა ბორკილი და გაცოფებით მიუსია მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს...

ჩემგან ნატყორცნი ხელყუმბარების აფეთქებათა ხმა ლონივრად ფეხადგმული სალუტების გუგუნში ინთქმება.

იმ შენობაში, იმ ოთახში ვბრუნდები, რომელშიც ორი საათის წინ, ომის დამთავრების ამბის გაგებამდე, შფოთიანი სიმშვიდით მეძინა ჩვენი ასეულის ოფიცრებთან ერთად.

მაგიდას უსხედან სმირნოვი, მაკაროვი, ჩაჩხუნაშვილი, უხმოდ უსხედან იდაყვებდაბჯენილები.

— სად დაიკარგე? — მეკითხება სმირნოვი.

— ჩემებურად მივეცი სალუტი, — ვპასუხობ და მის გვერდით ვჯდები.

ისევ დუმილი.

— წერილები მაინც მივწეროთ ჩვენიანებს, — წინადადებას იძლევა მაკაროვი. — ოჯახებს მივულოცოთ გამარჯვება.

ყველა ჩვენგანს წინ ქაღალდის ფურცელი გვიდევს.

გვიდევს და წერის დაწყებას ვერ ვახერხებთ.

პირველმა სმირნოვმა შეატოკა ფანქარი.

თვალი იმ ფანქრისკენ გამექცა.

ვკითხულობ:

«Мама, война кончилась, ура! Твой Леонид».

მეტი არაფერი.

კვალში დგებიან მაკაროვისა და ჩაჩხუნაშვილის ფანქრებიც.

მზის პირველი სხივი კრთება აღმოსავლეთისაკენ მაცქერალი ფანჯრის მინაზე.

ფანქარი თავისით მიტოკდება:

— მშვიდობის პირველი დღის გათენებას ცოცხალი ხვდება შენი შვილი, დედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ზრეგაძე

# სოციალისტურ ერთა თანამეგობრობა დიდ სამამულო ომში

მეორე მსოფლიო ომი იყო ყველაზე მძიმე, სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდა როგორც საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებათა ავკარგიანობის, კლასებისა და პარტიების, მათი ხელმძღვანელობით მოქმედი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის, ისე ეროვნული ენერგიის, ერთა შორის ურთიერთობის სისტემათა შესამოწმებლად. სწორედ ამ საშინელ ომში დაამტკიცეს ყველაზე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ საბჭოთა წყობილებამ, სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ და სოციალისტური ერების თანამეგობრრობამ თავისი უდიდესი უპირატესობა ფაშისტური გერმანიის, იმპერიალისტური იაპონიისა და მათი მოკავშირეების, ყველა აგრესიული ძალის წინაშე.

გერმანელი ფაშისტები, როცა სსრ კავშირის გასანადგურებლად და საბჭოთა ხალხის დასამონებლად იწყებდნენ ომს, იმედებს ამყარებდნენ არა მარტო იმაზე, რომ მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო მაშინ ტანკების, თვითმფრინავების რაოდენობისა და მოტომექანიზებული სამხედრო ნაწილების თანამედროვე ომში გამოყენების გამოცდილებით ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა გერმანიას, არამედ იმაზეც, რომ მრავალეროვან სსრ კავშირში ერთიმეორეს დაუპირისპირებდნენ ხალხებს, გამოიწვევდნენ მათ შორის კონფლიქტებს, შეაჯახებდნენ ერთმანეთს არარუსებსა და რუსებს და მიაღწევდნენ გამარჯვებას.

სწორედ ამ მიზნით შექმნეს ფაშისტებმა ჯერ კიდევ ომის წინ „ნაციონალისტური გამოკვლევებისა და აღზრდის ცენტრი“, აგრეთვე „არიული სულის ისტორიის“ ინსტიტუტი მიუნხენში, ხოლო „ბიოლოგიისა და რასების მეცნიერებათა“ ინსტიტუტი — შტუტგარტში. მთელ გერმანიაში გააქტიურდა კაცთმოძულე შოვინისტური პროპაგანდა რუსების, ბოლშევიზმისა და საერთოდ საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ, წინა პლანზე წამოიწია ანტიკომუნიზმმა და ნააზრევმა „სასიცოცხლო სივრცის“ მოპოვების შესახებ.

გერმანელი დამპყრობლები ხელმძღვანელობდნენ ძველი პოლიტიკით: „დაჰყავი და იბატონე“, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, ექსპლუატატორული კლასების მოსპობისა და ერთა ჩაგვრის ლიკვიდაციის შედეგად თვისებრივად შეიცვალა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, ინტელიგენციის მდგომარეობა, ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ ძველი, კაპიტალისტური ერებისაგან ძირეულად განსხვავებული ახალი, სოციალისტური ერები, რომელთათვისაც უცხოა იმპერიალისტურ ერთა დამახასიათებელი, სოციალური და ეროვნული ანტაგონიზმი, ნაციონალიზმი, შოვინიზმი, რასიზმი.

დიდი სამამულო ომის დროს ყველა სოციალისტური ერის შვილს გულში სწვდებოდა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ალექსი ტოლსტოის სიტყვები: „ყველა ჩვენგანისათვის, ასორმოცდაათი ენიდან რომელზედაც არ უნდა ვმეტყველებდეთ, სადაც არ უნდა იდგეს ჩვენი მშობლიური სახლი — ფაშისტების მიერ შებილწულ, ხალხთა სისხლითა და ცრემლით მორწყულ დნეპრის ნაპირას თუ ფერგანის ველზე წყნარად მოდუდუნე მშვენიერ არხთან, ციმბირის მკაცრ ტაიგაში თუ მაღ-

ლიან სამხრეთის ზღვასთან, სამშობლო ყველასათვის ერთია, ეს არის საბჭოთა კავშირი, ჩვენი ცხოვრების წყარო, ჩვენი ურყევი ციხე-სიმაგრე".

გაზეთი „პრავდა" 1942 წლის 14 ოქტომბერს წერდა: "17 ძმა იყო ქართველი კოლმეურნის აბესაძის ოჯახში. 14 მათგანი იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე. სახლში დარჩნენ მხოლოდ მცირეწლოვანნი. ქვეითი ვლადიმერი და კავალერისტი ლადო აბესაძეები ლენინგრადს იცავენ, მესაზღვრე ვანო დასავლეთის ფრონტზე იბრძვის, მეზენიტე ვასილი შავი ზღვის ფლოტშია, არჩილი, თედო, შაქრო და კიდევ შვიდი ძმა მთებში იბრძვიან და იცავენ მშობლიურ კავკასიას, თავის საყვარელ საქართველოს, თავის საბჭოთა სამშობლოს".

ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახიდან 4 ვაჟკაცი გმირულად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. უფროსმა ძმამ გენერალ-პოლკოვნიკმა კონსტანტინე ლესელიძემ მრავალგზის ასახელა როგორც ქართველი ერი, ისე მთელი საბჭოთა სამშობლო. მას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. პოდპოლკოვნიკმა ვიქტორ ლესელიძემ, კარელია-ფინეთის ფრონტზე თავგანწირულმა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა, მაიორი დავითი მდინარე დონთან და ყველაზე უმცროსი ძმა უფროსი სერჟანტი ვალერიანი ყირიმში უტევდნენ ფაშისტებს. კონსტანტინე ლესელიძის ვაჟი ოთარი მოხალისედ იყო მამამისთან ერთად ფრონტზე, შემდეგში მან პოლკოვნიკის წოდება დაიმსახურა.

1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მამაცი მებრძოლის სპირიდონ ქირიას აღზრდილი ძმიშვილები ვალერიანი, შალვა და თედო ქირიები თავდადებით იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ვალერიანი თავის სატანკო ნაწილთან ერთად ვორონეჟიდან ვარშავამდე მივიდა ბრძოლით და გმირულად დაიღუპა მდინარე ვისლის გადალახვისას, მეზღვაურმა თედომ თავი შესწირა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებას, საშუალო ძმა შ. ქირია კი საბჭოთა კავშირის გმირი და ავიაციის გენერალ-მაიორი გახდა.

სოციალისტურ სამშობლოს იცავდნენ მახარაძელი ხუთი ძმა — კუკური, დავითი, პეტრე, ტიტე და ალექსანდრე ჩხარტიშვილები.

დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში საქართველოდან ფრონტზე წასვლა ითხოვა 13 600-ზე მეტმა მოხალისემ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, სტუდენტთა მთელი ჯგუფები მიდიოდნენ წითელ არმიაში.

შავი ზღვიდან ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე საბჭოთა კავშირ-გერმანიისა და შემდეგ მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ გაშლილ შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზე, ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში არ ყოფილა ჯარის ისეთი სახეობა, რომელშიც თავი არ გამოეჩინათ ქართველებსა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერებისა და ეროვნებების შვილებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა საქართველოსათვის მესამე ლენინის ორდენის გადაცემისას აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველომ 780 ათასზე მეტი მეომარი გაგზავნა დიდი სამამულო ომის ფრონტზე და მათგან დაახლოებით მესამედმა შესწირა თავი სოციალისტური სამშობლოს ხსნას. საქართველოდან ფრონტზე წარგზავნილთაგან 23 ათასამდე ოფიცერი და 60-ზე მეტი გენერალი იყო. საქართველოს სსრ მიწა-წყლის შვილთაგან 244700-ზე მეტმა მეომარმა დაიმსახურა ორდენები და მედლები, ხოლო 164-მა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. საქართველოს სსრ მცხოვრებთაგან „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის" მედლით დაჯილდოვდა აგრეთვე 333 334 და მედლით „კავკასიის დაცვისათვის" — 46 191 მშრომელი.

ქართველმა სოციალისტურმა ერმა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერთა წარმომადგენლებმა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მისცეს გამოჩენილი მხედართუფროსები: საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი ა. გელოვანი; გენერალ-პოლკოვნიკები — ა. ინაური, კ. ლესელიძე, პ. ჩანჩიბაძე; გენერალ-ლეიტენანტები — გ. ალფაიძე, ბ. ვლადიმიროვი, ვ. მჟავანაძე, ვ. ნანეიშვილი, რ. როჟდენსტვენსკი, მ. ღლონტი, ი. ჯანელიძე, ვ. ჯანჯღავა, ი. ჯორჯაძე; გენერალ-მაიორები — პ. აბრამიძე, მ. არუთინოვი, ი. ბაბალაშვილი, ლ. გოლიაძე, ნ. დალაქიშვილი, ვ. ზარელუა, ნ. თავართქილაძე, ნ. კალაძე, მ. კიკნაძე, ე. კობერიძე, ვ. ლისინოვი, ს. მიანსაროვი, მ. მიქელაძე, დ. ნამგალაძე, შ. ქიქილაშვილი, ი. რაზმაძე, მ. როსტომაშვილი, ი. სილაგაძე, ბ. სულაქველიძე, ე. ტატანაშვილი, შ. ქირია, გ. ყურაშვილი, გ. ყუფარაძე, დ. შანშიაშვილი, ი. შაიშმელაშვილი, პ. შიოშვილი, პ. ჩხობაძე, ვ. ძაბახიძე, შ. ჭანკოტაძე, ხ. ხარაზია, ა. ხარებოვი, ზ. ხარებოვი, ვ. ხუბულური, კ. ჯახუა, გ. ჯინჭარაძე; ვიცე-ადმირალი გ. აბაშვილი; კონტრ-ადმირალები: ს. კაპანაძე, ვ. ლექავა, ს. რამიშვილი, კ. სუხიაშვილი, მ. ჯინჭარაძე; პოლკოვნიკები: კ. არშბა, ბ. ბარაბაძე, ა. ბაჯელიძე, ჰ. ბექანიძე, ა. ბერიძე, გ. ბილანიშვილი, ლ. ბრეგვაძე, ა. ბუკია, ა. გეგეშიძე, მ. გეთია, მ. გვასალია, დ. გიორგაძე, ლ. გიორგაძე, ა. დალაქიშვილი, მ. დიასამიძე, შ. ვასაძე, ბ. ზუმბულიძე, მ. იაშვილი, გ. კანაჩაძე, ვ. კილაძე, დ. კობიაშვილი, ო. ლესელიძე, ვ. ლომთაძე,

ვ. ლურსმანაშვილი, გ. მანაგაძე, მ. მენთეშაშვილი, ვ. ობოლაძე, გ. ოკრიბელაშვილი, ა. პირმისაშვილი, გ. სანაკოევი, ა. სოტნიკოვი, კ. სოხაძე, ე. ქანთარია, გ. ჩარგეიშვილი, გ. ჩიქოვანი, შ. ცხოვრებაშვილი, პ. წიქორიძე, ა. ჭოლოშვილი, გ. ხაზარაძე, ვ. ჯანჯღავა და სხვები.

ბრესტის ციხე-სიმაგრის გარნიზონის შემადგენლობაში რუს, უკრაინელ, აზერბაიჯანელ, სომეხ და სხვა სოციალისტურ ერთა შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ნ. აბზიანიძე, ო. ასათიანი, ა. აფხაზავა, ს. ბაშალეიშვილი, პ. გივიშვილი, მ. გელბახიანი, ს. ინჯია, შ. ზარქუა, ა. კალანდაძე, ვ. მენაბდე, დ. მიქაბერიძე, მ. მუმლაძე, ვ. უგრეხელიძე, ი. უჩიძე, მ. ფირცხალაიშვილი, ა. შევარდნაძე, გ. ჭანტურიძე, რ. ხარაზი, ა. ჯარიაშვილი და სხვები, რომელთაგან ბევრი მამაცურად დაიღუპა ბრძოლაში.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიაში პირველ გმირ ქალაქებად შევიდნენ საბჭოთა ფლოტის ისეთი უდიდესი ბაზები, როგორიც არის ოდესა და სევასტოპოლი, მათ დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებებითაც. ფაშისტური გერმანია დიდ იმედებს ამყარებდა ომში თურქეთის ჩაბმაზე. მისი მილიონიანი შეიარაღებული ძალების დახმარებით ფიქრობდნენ ჰიტლერელები შავ ზღვაზე და ამიერკავკასიაში გაბატონებას, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალათ.

გერმანელმა ფაშისტებმა ვერ შეასრულეს მთავარი ამოცანა — დანიშნულ ვადებში ვერ აიღეს ოდესა და სევასტოპოლი.

ოდესის სამხედრო-საზღვაო ბაზის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვემეხიანი ნავების — „წითელი საქართველოს“, „წითელი აზერბაიჯანის“, „წითელი სომხეთის“, „წითელი აფხაზეთის“ საზღვაო ნაწილები; კრეისერი „კომინტერნი“, ნაღმოსანი „შაუმიანი“ და სხვა მძლავრი დამცველი ნაწილები, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს მტერს პირველსავე ბრძოლაში და გერმანელი ფაშისტები იძულებული გახდნენ გაედიდებინათ რუმინეთის ჯარების რიცხვი 18 დივიზიამდე, რამაც მტერს ხუთმაგი უპირატესობა მისცა, მაგრამ ოდესისათვის ბრძოლებში, საბჭოთა სამხედრო ნაწილებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა სახალხო ლაშქრის ოდესის დივიზია, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის 90 პროცენტი წინა ხაზზე იყო. ოდესაში თავი ისახელეს ქართველებმა — ტორპედიანი კატარღის მეთაურმა ა. კანანაძემ, მფრინავმა ა. წურწუმიამ; სომეხმა მფრინავმა ნ. სტეფანიანმა და სერჟანტმა ვ. ბაბაჯანიანმა; აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა კ. მამედოვმა და ათასობით სხვამ.

სევასტოპოლის გმირული დაცვა დაიწყო 1941 წლის 30 ოქტომბერს და 8 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მის დამცველ ცალკე საზღვაო არმიის რიგებში გმირულად მებრძოლი 64 971 კაციდან 5 234 ქართველი იყო.

სევასტოპოლის — შავი ზღვის ამ მთავარი სამხედრო ციხე-სიმაგრის — თავდადებულ დაცვაში განსაკუთრებით გვასახელეს საბჭოთა კავშირის გმირებმა — უმცროსმა მეთაურმა ნ. ადამიამ, პოლიტხელმა მ. გახოკიძემ, აგრეთვე სხვა ბევრმა ქართველმა და კავკასიელმა.

გმირი ქალაქის საპატიო სახელწოდება დაიმსახურა აგრეთვე ქერჩმა, სადაც 1941-1942 წლების თავგანწირულ ბრძოლებში, სხვა სოციალისტური ერების მამაც მეომრებთან ერთად, მრავალი ქართველი მონაწილეობდა. ჰ. ბეჟანიძის მეთაურობით მებრძოლ პოლკში, რომელიც მეტწილად ქართველებისაგან იყო დაკომპლექტებული. პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ამ სტრიქონების ავტორმაც. ამ პოლკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო უფროსი პოლიტხელი დ. ჭეიშვილი, რომელმაც მტრის გარემოცვიდან გამოიყვანა მებრძოლი პოლკის მეომრები და გადაარჩინა პოლკის დროშა. ომის დამთავრების შემდეგ დ. ჭეიშვილი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა და მახარაძის რაიალმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ინიციატივიანი მუშაობისათვის სოციალისტური შრომის გმირი გახდა. ამ პოლკის ერთ-ერთმა მებრძოლმა, პოლიტხელმა რ. მიქელაძემ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გამოიჩინა ისეთი გამძლეობა და მამაცობა, რომ მისი სახელი უკვდავყოფილია თბილისის ხალხთა მეგობრობისა და გორის დიდების მუზეუმებში.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მოსკოვის ბედი მთელ საბჭოთა ხალხსა და მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე მშრომელებს აღელვებდა. მოსკოვთან შერკინებაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა ი. პანფილოვის მეთაურობით მებრძოლმა დივიზიამ, რომლის მეომართა ერთ-ერთ ჯგუფს — 28 პანფილოველს დუბოსეკოვოს ასახვევთან თავს დაატყდა მტრის 50 ტანკი, მაგრამ მათ უკან არ დაუხევიათ.

მოსკოვის ჭეშმარიტად გმირულ დაცვაში, ყველა სოციალისტური ერის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, გვასახელეს ქართველებმაც. 1943 წლის 16 მაისს „პრავდა“ წერდა: „ქართველები იყვნენ პირველ რიგებში, ისინი იცავდნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს, როგორც თავის მშობლიურ ქალაქს“. მოსკოვის დამცველი ქართველებიდან შემდეგში საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ — გ. ალფაიძე, ე. კობერიძე, კ. ლესელიძე, პ. ჩანჩიბაძე, ი. ციციშვილი. მოსკოვს გმირულად იცავდნენ აგრეთვე თავიანთი სამხედრო ნაწილებით ფ. გვენეტაძე, ნ. დალაქიშვილი, გ. კანაჩაძე, მ. კიკნაძე, კ. სუხიაშვილი, ე. ტატანაშვილი, ბ. ფარჯიკია, პ. შიოშვილი,

გ. ჩიტაიშვილი, ი. ჯორჯაძე და სხვები.

სახელოვანი გმირი ქალაქის სტალინგრადის დამცველთა დევიზი გახდა: „არცერთი ნაბიჯი უკან!“, „ვოლგის იქით ჩვენთვის მიწა არ არის!“ სტალინგრადში იბრძოდნენ თითოეული ქუჩისა და სახლისათვის. მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი სერჟანტ ი. პავლოვის მეომართა ჯგუფმა, რომელიც 58 დღე იცავდა სახლს და მტრის ასობით იერიში მოიგერია, მოსპო ფაშისტთა უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერს ეგონა, რომ ამ სახლს სულ ცოტა ბატალიონი იცავდა, მებრძოლნი კი მხოლოდ თვრამეტნი იყვნენ. ეს პატარა კოლექტივი სოციალისტურ ერთა საბრძოლო ძმობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია. აი რას წერს თვითონ პავლოვი: „ჩვენი სახლის გარნიზონი განასახიერებდა საბჭოთა მეომრების ერთსულოვან ოჯახს. მზვერავი ალექსანდროვი, მეტყვიამფრქვევე ვორონინი და მე რუსები ვიყავით; საბგაიდა, ჩერნოგოლოვი და გლუშენკო — უკრაინელები; ჩვენს ქვეგანაყოფში მამაცურად იბრძოდა თათარი რამაზანოვი; საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ მსროლელები მოსიაშვილი და სტეფანიშვილი, შავი ზღვის ფორთოხლის კორომებიდან ჩამოვიდა ვოლგაზე აფხაზი სუკბა; პამირიდან — „მსოფლიოს სახურავიდან“ — ტაჯიკი ტურდიევი; ყაზახეთის ველებიდან — ყაზახი მურზაევი; უზბეკეთიდან — ტორგუნოვი... თუმცა სახლს ჩემი სახელი უწოდეს, მართალი რომ ვთქვათ, მისთვის შეიძლებოდა დაერქმიათ თითოეული მისი დამცველის სახელი. ყველა ჩვენგანისათვის ეს სახლი საყვარელი სამშობლოს პაწაწინა ნაწილი იყო და ეს შეგნება გვიასკეცებდა ძალებს“. ფაშისტებმა ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლეს ამ სახლის აღება, ხოლო როცა საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა დაიწყო, აღნიშნული ჯგუფი მტერს ებრძოდა გენერალ ა. როდიმცევის მე-13 გვარდიული დივიზიის მეომრებთან ერთად.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ დასაბამი მისცა წითელი არმიის მძლავრ შეტევას ჩრდილო კავკასიაში, დონის ველებზე, ვორონეჟთან, ფრონტის ცენტრალურ უბანზე და ლენინგრადთან. დაიწყო უბოროტესი მტრის — გერმანელი ფაშისტებისა და მათი სატელიტების მასობრივი განდევნა საბჭოთა ტერიტორიიდან.

კავკასიაში ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში, საბჭოთა არმიის რუსულ შენაერთებთან ერთად, დიდი როლი შეასრულეს ეროვნულმა ნაწილებმა და მრავალეროვანი კავკასიის ხალხებმა. 1942 წ. 23 აგვისტოს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის ანტიფაშისტური მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ერების სახელოვანმა შვილებმა.

აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა განაცხადა: „ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ გავანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა ურდოები. ეს შესაძლებლობები მთლიანად უნდა გამოვიყენოთ და სინამდვილედ ვაქციოთ. ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, პირობას გაძლევთ, ძვირფასო ძმებო და დებო, რომ მტკიცედ და ბოლომდე ვიმუშავებთ ჩვენს საბრძოლო პოსტზე ფრონტის დასახმარებლად!“

„ფაშისტ ბანდიტებს დიდი ხანია არ ასვენებს აზერბაიჯანის ნავთობის საგანძური, — თქვა მიტინგზე ორჯონიკიძის სახელობის ნავთობტრესტის მმართველმა ს. ორუჯევმა, — მათ აკლიათ ნავთობი — საარსებო პური ომის საწარმოებლად და იბრძვიან, რადაც უნდა დაუჯდეთ, დაეუფლონ აფშერონის წიაღისეულს. არაფერი გამოუვათ! ფაშისტი არამზადები ბაქოს ნავთობს ვერც დაინახავენ და ვერც დაყნოსავენ! აზერბაიჯანის ნავთობი ჩემი ხალხის კუთვნილება — საბჭოთა კუთვნილება იყო და იქნება. აფშერონის შავი ოქრო — ბენზინი ასაზრდოებს საბჭოთა ტანკებსა და თვითმფრინავებს და კვლავაც მომაკვდინებელი ცეცხლის ნაკადად დაატყდება თავს გაბოროტებულ ფაშისტებს“.

აკადემიკოსმა ი. ორბელმა ასე მიმართა საბჭოთა არმიის მეომრებს: „არავის ვათქმევინოთ, კავკასიის შვილებს სუსტი მარჯვენა აქვთო; ჭალარით მოსილი მშობლიური კავკასიონის თვალწინ დაამხეთ ჰიტლერელი აფთრები, რომლებსაც თან სდევს ლეშის სიმყრალე, ნუ შემოუშვებთ მათ ჩვენს საყვარელ მდელოებში, ნუ მიუშვებთ ჩვენს ანკარა ნაკადულებთან, რომლებიც ქათქათა თოვლით დაფარული მწვერვალებიდან მოჩუხჩუხებენ“...

სომეხმა მწერალმა ნაირი ზარიანმა განაცხადა: „სანამ ჰიტლერიზმი არსებობს, არავინ არ შეიძლება იყოს ბედნიერი, სადაც უნდა იყოს, რა ენაზეც ლაპარაკობდეს და რა ტომსაც ეკუთვნოდეს. სწორედ ამიტომ, წითელი არმიის გამარჯვება ყველა ხალხის გამარჯვებაა. მაშ დავაჩქაროთ ეს გამარჯვება!“

მიტინგზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს სამედ ვურღუნმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ დელბამ, ჰაიკანუშ დანელიანმა, გერონტი ქიქოძემ და სხვებმა.

ი. სტალინმა შეაჯამა რა 1942 წლის ნოემბრიდან 1943 წლის ნოემბრამდე განვლილი წლის შედეგები, ხაზგასმით აღნიშნა: „...ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსებიც ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ვარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში“ (ი. სტალინი, საბჭოთა

კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, თბ., 1947, გვ. 132).

1943 წელს მოპოვებული გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ უფრო განავითარეს შეტევითი ოპერაციები, გამანადგურებელი დარტყმები აგემეს ფაშისტურ გერმანიასა და მის მოკავშირეებს. განმათავისუფლებელი ომის ცეცხლი გადაიტანეს მტრის ტერიტორიაზე და 1944 წლის შუა ხანებიდან დაიწყო საბჭოთა არმიის ძლევამოსილი ლაშქრობა ევროპის ხალხთა დასახმარებლად, ფაშიზმის უღლისაგან მათი განთავისუფლების მიზნით.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლევამოსილმა შეტევამ მკვეთრად გააძლიერა ფაშისტური „წესრიგის“ წინააღმდეგ ევროპის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა. იუგოსლავიაში შეიქმნა ხალხთა ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი, ბულგარეთში — სამამულო ფრონტი, რუმინეთში — ეროვნულ-დემოკრატიული ბლოკი, უნგრეთში — დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტი, პოლონეთში ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების აზრთა გამომხატველი და გამაერთიანებელი გახდა „კრაიოვა რადა ნაროდოვა“, იტალიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა მოუწოდეს თავიანთი ქვეყნების ხალხებს ოკუპანტების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ფაშისტ დამპყრობთაგან ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ მილიონობით საბჭოთა მეომრები. ისინი ყველგან, მათ შორის გერმანიის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, ურყევად იჩენდნენ მორალურ სიწმინდეს, კლასობრივ შეგნებულობასა და სოციალისტური ერების დამახასიათებელ ჰუმანურობას, რაშიც სავსებით კანონზომიერად გამოვლინდა კომუნისტური პარტიის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდაში გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგები.

საბჭოთა არმიასთან ერთად, თავიანთი სამშობლოს გასათავისუფლებლად იბრძოდნენ პოლონეთის ჯარი, ჩეხოსლოვაკიის კორპუსი, რუმინელთა დივიზია, იუგოსლავიელთა ბრიგადა, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მშრომელები. 1945 წელი გახდა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დაგვირგვინების წელი. 30 აპრილს ბევრი საბჭოთა მეომარი შეიჭრა ბერლინის რაიხსტაგის შენობაში და მის სვეტებზე, ფრონტონებსა და ფანჯრებში წითელი დროშები ააფრიალეს. 1 მაისს, გამთენიისას, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით, მამაცმა მზვერავებმა — მ. ეგოროვმა, მ. ქანთარიამ გამარჯვების დროშა აღმართეს რაიხსტაგზე. ბერლინის აღების შემდეგ საბჭოთა არმია ელბაზე შეხვდა მოკავშირეთა ჯარებს. 1945 წლის 8 მაისს გერმანია იძულებული გახდა ხელი მოეწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე. 9 მაისს საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ის უკანასკნელი დაჯგუფებაც, რომელიც გარს ერტყა აჯანყებული ხალხის მიერ განთავისუფლებულ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებებს უზრუნველყოფდა განუწყვეტლივ მზარდი შრომითი წარმატებები ზურგში. სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობა 1941 წელთან შედარებით 1944 წელს ყოველთვიურად 5-ჯერ მეტ თვითმფრინავსა და ტანკს აწარმოებდა. საბჭოთა არმიამ მარტო 1944 წელს მიიღო 29 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 40 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 120 ათასზე მეტი ზარბაზანი, ჭარბი რაოდენობით დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევები, შაშხანები და ავტომატები. იმის მიუხედავად, რომ სსრ კავშირი მაშინ ფოლადს აწარმოებდა დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებს, ვიდრე გერმანია და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნები, ჩვენ მათ გავუსწარით საბრძოლო ტექნიკის მხრივ. ეს იყო საბჭოთა სამხედრო ეკონომიკის უდიდესი გამარჯვება, რომელმაც დაადასტურა მეურნეობის სოციალისტური სისტემის, უდიდესი მრავალეროვანი სახელმწიფოს უძლეველობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების, მთელი საბჭოთა ადამიანების უმაგალითო ბრძოლისუნარიანობა.

ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთგული, თავის მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო სამართლიანობის ყოველმხრივ დამცველი საბჭოთა კავშირი დაეხმარა აგრეთვე ჩინეთსა და კორეას, ინგლისსა და აშშ-ს მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიაც იძულებული გახდა ხელი მოეწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე.

ასეთი ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი და მასთან ერთად მეორე მსოფლიო ომიც. სსრ კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იხსნა კაცობრიობა იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული და აგრესიული ძალის — კაცთმოძულე ფაშიზმისაგან. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა სოციალისტური ერებისა და ეროვნებებისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

საბჭოთა კავშირის გამარჯვება აგრესორებზე სავსებით კანონზომიერი, სამართლიანი მოვლენაა. სოციალისტური ერებისა და ეროვნებების, მათი შეიარაღებული ძალების უძლე-

ველობა განაპირობა თვით სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ბუნებამ, გამწვავებულ, ღრმა საერთო კრიზისში მყოფი კაპიტალისტური სისტემის წინაშე მისმა უდიდესმა უპირატესობამ.

სოციალისტური ერების ძმურმა კავშირმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ცხადყო თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა, ფასდაუდებელი ისტორიული გამოცდილებით დაუმტკიცა ყველას, რომ იგი ყოველგვარ მტრებზე გამარჯვების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

სსრ კავშირის სოციალისტურმა ერებმა თავიანთი ჩამოყალიბებისა და განვითარების მდიდარი ისტორიული გამოცდილებით ფასდაუდებელი მაგალითი უჩვენეს ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ და რევოლუციური, სოციალისტური გარდაქმნის გზით ვითარდებიან მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში მყოფ სსრ კავშირთან ერთად.

ძალა ერთობაშია — ასეთი იყო მუშათა მოძრაობის ოდინდელი ლოზუნგი, დღეს იგი სავსებით ესადაგება მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს. ასე იქნება კვლავაც; სოციალისტური ქვეყნების ლენინური თანამეგობრობა ურღვევია. ამიტომ განაცხადა ასე ხაზგასმით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმზე:

„ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პირველი მცნებაა ვუფრთხილდებოდეთ და ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ძმურ მეგობრობას ჩვენს უახლოეს თანამოსაგრეებთან და მოკავშირეებთან — დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავაფართოოთ თანამოქმედება სოციალისტურ სახელმწიფოებთან, გავზარდოთ სოციალიზმის როლი და გავლენა მსოფლიო საქმეებში. ვისურვებდით, სერიოზულად გაუმჯობესებულიყოს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან... საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს ხალხთა ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის და დღესაც ჩვენი სიმპათიები აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების მხარეზეა, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლების გზას ადგანან. მათ მეგობრებად და პარტნიორებად მივიჩნევთ მტკიცე მშვიდობის, ხალხთა შორის უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, მინდა ვთქვა შემდეგი: ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს. კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს კეთილი ნებით, ნდობას — ნდობით. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამშობლოსა და მისი მოკავშირეების ინტერესებს არასდროს არ დავთმობთ".

თანამედროვე რთულ საერთაშორისო ვითარებაში სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო თანამეგობრობა ყველაზე გავლენიანი და ძლევამოსილი ძალაა მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზა გენძეხაძე

## „მუსიკა ქარში“ და ომის ექო

დიდმა სამამულო ომმა მისი დაწყების პირველი დღეებიდანვე დაიმკვიდრა თავისი საკუთარი ტრადიციები ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ღირსეულად შეასრულა ის როლი, რომელიც საზოგადოდ აკისრია სულიერი და მორალური ცხოვრების წარმმართველ ამ მნიშვნელოვან დარგებს. დროის თანდათანობით გასვლასთან ერთად ამ მეტად სერიოზული თემის დამუშავებისას ახალმა პლასტებმა, მორალურ-ეთიკური პრობლემების ახლებურმა გააზრებამ იჩინა თავი.

დიდი სამამულო ომის ისტორიად ქცევის შემდგომ დღის წესრიგში დადგა ომის გმირებისა და გმირობის არსის შესწავლისა და გამომზეურების გვერდით აღწერილი და გააზრებული ყოფილიყო იმ ადამიანების ცხოვრებაც, ვინც სუსტი აღმოჩნდა, ვინც ვერ გაუძლო გამოცდას და უარყოფითობის ჭაობში ჩაიძირა, — იმათიც, რომლებიც ზურგში დარჩნენ, მაგრამ თავიანთი ძლიერი თვისებებით, მორალით, ზნეობით გვერდში ედგნენ ომის გმირებს. საჭირო შეიქნა საერთოდ ომისდროინდელი ადამიანების შინაგანი სამყაროს ყოველმხრივი გაშუქება.

ისტორიზმის პრობლემამ ერთგვარად თავისთავშივე მოიცვა ფსიქოლოგიზმის პრობლემაც. იმ მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწარმოებებში, რომლებიც 60-იანი წლების შემდეგ შეიქმნა დიდი სამამულო ომის თემაზე, აღწერილია არა მხოლოდ იმჟამინდელი, 1941-1945 წლების მდგომარეობა სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ფსიქოლოგიური თვალთახედვითაც. ბუნებრივი საფუძველი მოეპოვება ამ სერიოზულ საკითხს, — ესაა საომარი სიტუაციების ჟამს, ომის ზურგში მომხდარი ამბებისა და მოვლენების დროს წმინდა ადამიანური და პიროვნული ასპექტების გამოვლენა.

ახლა უკვე ისტორიად ქცეული დიდი სამამულო ომი და ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ცოცხალ პროცესებად აღიქმება. ადამიანი ხომ თავად არის ისტორიის შემოქმედი, თანამედროვე ცხოვრების აქტიური მონაწილე, — ე. ი. ფსიქოლოგია ამ ადამიანებისა ხელოვნებასა და ლიტერატურაში უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ სინთეზს, რაც იმის საწინდარია, რომ იგი იქნება ისტორიის იდეურ-მხატვრული აღქმის ღერძი. მაშინ, ბუნებრივია, მხატვრული სიმართლე განუყოფელი იქნება დროის ობიექტური სიმართლისაგან.

ომის დამთავრებიდან 4C წლის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომის თემაზე შექმნილ, ზოგადად საბჭოთა და კერძოდ ქართულ, ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა სწრაფვა, რათა ზუსტად იქნეს გადმოცემული ომისდროინდელი ცხოვრების სუნთქვა და მისი ფსიქოლოგიური სიმართლე.

რ. ჰეიშვილის ნაწარმოებში „მუსიკა ქარში“ (1982 წ.) ფსიქოლოგიურად ღრმად და სათუთად არის გახსნილი მთავარი მოქმედი გმირის მორალური სახე, მისი გამძაფრებული, სპეციფიკური დამოკიდებულება მოვლენებისადმი, გარე სამყაროსადმი. მწერალმა შეძლო ომისდროინდელი სიმართლისა და მშვიდობიანი პერიოდის რეალური ყოფის შეფარდების საშუალება მიეცა მკითხველისათვის. 40-იანი წლების — ომის მიმდინარეობის პერიოდის ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებებსა და მოვლენებში ჩვენ დავინახეთ ის ძირითადი, სუბსტანციონალური, რაც ჩვენს აწმყო ცხოვრებას ეხმიანება, დღევანდელობას უფრო მწვავედ განგვაცდევინებს და მომავლის გამო გვაღელვებს და გვაფიქრებს.

ცხოვრების ჯერეთ გამოუცნობ გზებზე დადის პატარა ყმაწვილი, ვეცნობით მის ურთიერთობებს თავისი ქალაქის ადამიანებთან და მწვავედ შევიგრძნობთ ომით გამოწვეულ ათას დარდსა და ვარამს, გაჭირვებას და უბედურე-

ბას. ზოგი ომს კიდევაც გადაუგვარებია, ზოგს კეთილშობილი კაცის ნიღაბი ოსტატურად მოურგია და იოლი ცხოვრებისთვის მოუკიდია ხელი, ზოგი უბედურებას გატეხია, დაუჩაჩანაკებია, შეუშინებია კიდეც, მაგრამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის ხასიათზე მავანისა და მავანის საქციელს უარყოფითი გავლენა მაინც ვერ მოუხდენია. უცქერის ბადრი გვიმრაძე თავისი ბავშვური, გულუბრყვილო თვალებით ახლობლებსა და შორებლებს, მასწავლებლებს, ჯარისკაცებს, მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებსა და უცნობებს, სულიერსა და უსულოს და უხარია, რომ არსებითად სიკეთეს დაუთრგუნავს ბოროტება, მაგრამ ზოგჯერ გაოცებულიცაა, რადგან იმასაც ამჩნევს, რომ დრომ როგორღაც ფერი იცვალა და არაიშვიათად: „ერთმანეთს გლეჯენ და ართმევენ ყველაფერს, ყველაფერი მიაქვთ, რაზედაც კი ხელი მიუწვდებათ. საქმე მორევაზეა. თუ ერევი, უნდა წაართვა კიდეც, რისი წაღებაც შეიძლება, უნდა წაიღო, რისი წაგლეჯაც — უნდა წაგლიჯო. ხელში თუ არაფერი უჭირავს, თავზე თუ არაფერი ახურავს, უადგილო ადგილს მიკერებული ღილი მაინც უნდაააწყვიტო. უნდა ცემო, უნდა ატირო, უნდა გალახო, აბღავლო, აღრიალო. სუსტი ძლიერს ჩაგრავს, ღონიერი— უღონოს. დედამიწაზე ჯუნგლის კანონია გამეფებული“. („სურათებიანი წიგნი“). აკვირდება ბადრი ყოველი მათგანის, ძლიერებისა და სუსტების ცხოვრების წესს, ბევრს ფიქრობს, მოქმედებს, მოძრაობს და მუდამ მართალია, თითქმის არასდროს არაფერი ეშლება „ჯუნგლის კანონს“ აგრერიგად ადვილად არ ემორჩილება. თვითდადგენის არცთუ ისე ხანმოკლე და რთულ გზაზე მის სულში ჩაბუდებული სიკეთის მარცვალი სულ უფრო მეტად ღვივდება და მისი ხასიათის წარმმართველ ძალად იქცევა. სიკეთე, პატიოსნება და კეთილშობილება, ერთ მთლიანობად წარმოდგენილი ის მთავარი გენია, რომლის დათრგუნვა და გაუკუღმართება არანაირ გარეშე ძალას არ ძალუძს, ეს ის „ლურჯი ფრინველია“, რომელიც მუდამ გზას უნათებს თვითდადგენის ჟინით შეპყრობილ ახალგაზრდას, რომელსაც გონებას უმღვრევს ქვეყნად გამეფებული მომძლავრებული სიავე, ეძებს სიკეთეს და ხშირად თვალწინ წარმოუდგება ხოლმე ლურჯთვალება, ქოჩორგადავარცხნილი ბავშვი, რომელსაც წიგნი უჭირავს ხელში, წიგნი კი არა, საოცარი სურათებით მოხატული და წარწერებით აჭრელებული ალბომი და არ ეშინია, რომ წაართმევენ და წაგლეჯენ. მართალია, ცხოვრება შეიცვალა და იქნებ სხვა რომელიმე ავი და ბოროტი წაართმევდა ამ ლამაზ და კარგ წიგნს ნათელსახიან ყმაწვილს, მაგრამ ბადრიმ იგი დაათვალიერა და დაუბრუნა პატრონს, აი, რას ამბობს ნაწარმოების გმირი ამ ეპიზოდის გამო: „ზოგჯერ, როცა სატანა წაეპოტინება ჩემი არსების უხილავ ნაწილს, ისევ და ისევ იმ გამოცხადებულ სახეს დავინახავ და სულში რაღაც განათებული ფერით, განათდება, როგორც მზეში გადაშლილი სურათებიანი წიგნი („სურათებიანი წიგნი“). ამ ნოველის მიგნებულ და სწორ ინტერპრეტაციას გვაწვდის კრიტიკოსი ნ. შავგულიძე, რომელიც წერს: „ეს „სახენათელი ბავშვი“ ავტონომიურ-მჭვრეტელობითი ღირებულების (ა. ლოსევი) შემცველი მხატვრული სახე-სიმბოლოა, რომელშიც მთელი ნაწარმოების ძირითადი პათოსის განმსაზღვრელი სიკეთის, მშვენიერის ფორმალურ-ლოგიკური ცენტრია კონცენტრირებული“ („ლიტერატურული საქართველო“, 1960, 15 VIII).

„მუსიკა ქარში“ 101 ნოველისაგან შედგება. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მაგრამ საერთოც არის ამ ნოველებში. ესაა უპირველესად ომში გავლილი ბავშვობა და, საერთოდ, დიდი სამამულო ომი, რომელზეც კონკრეტულად შეიძლება რომელიმე ნოველაში არც იყოს საუბარი (ცხადია, ასეთი ნოველაც საკმაოდ ბევრია ამ კრებულში), მაგრამ მაინც გაიელვებს ხოლმე ასეთი ფრაზები; „ნამყენი ქლიავის ხე, ომის დამთავრების შემდეგ რომ დავრგეთ, უსაშველოდ დიდი გაიზარდა, ყორე-მესერს გადაადგა ტოტებით და ტროტუართან მშვენიერი ჩრდილი გააკეთა“ („ზამთარი, ყინული, ქალბატონი მანანა“); „ომმა, რასაკვირველია, თავისი კვალი დააჩნია ცხოვრებას. ადამიანები ისე მშვიდად და უშფოთველად აღარ სვამდნენ ჩაის, როგორც ადრე. თავისი დარდი, სატკივარი, საშოვარი და მოსახვეჭელი აღარ ასვენებდათ და ერთის ამბავი მეორეს ნაკლებ აწუხებდა და აინტერესებდა“ („ვილას ყარაულობდა ის ჩემი ცოდვით სავსე მიტროფანე“); „ომის სულ უმნიშვნელო ცვალებადობასაც შესანიშნავად გრძნობს მოსახლეობა, რაც არ უნდა ღრმა ზურგში ცხოვრობდეს იგი“ („მე ტყვედ ვარ წამოყვანილი“) და ა. შ. და ა. შ.

საერთოა ქალაქი ქუთაისი, დასახლებული საოცრად მსგავსი და საოცრადვე განსხვავებული ადამიანებით, და, რაც მთავარია, ყოველი ნოველის მთავარი გმირი ბადრი გვიმრაძე, რომელიც ხან მჭვრეტელის როლშია, ხან მსაჯულის, ხან აქტიურად მოქმედია; ხან 10 წლისაა, ხანაც სკოლადამთავრებული, ხან დამჯერი, ხანაც დაუჯერებელი, მაგრამ ყველგან ფაქიზი და სულიერად ამაღლებული, რომლის მეშვეობითაც მკითხველს თვალწინ წარმოუდგება მთელი ქალაქის ყოფა, საქმიანობა, მისწრაფებანი, ფიქრები.

კრიტიკოსი გ. ხუხაშვილი, წერილში „დაბრუნებული ბავშვობის მოგონება“ სამართლიანად წერს: „მუსიკა ქარში“ იმ ომზე დაწერილი წიგნია, ჩვენ რომ გამოვიარეთ. ომზეც ბევრი დაწერილა და ბავშვობაზეც. ბევრი რამ

მეორდება ცხოვრების კანონზომიერებებშიც და ბავშვობაშიც, მაგრამ აღმოჩენის, განუმეორებლობის პროცესი თურმე უსასრულოა. ეს ის ცხოვრებაა, ომის წლებში ჩვენ რომ გავიარეთ, მხოლოდ ჩვენ და სხვამ არავინ, არც მომავალში გაივლის ვინმე. ეს შინაგანი ნათესაობა თაობისა შემძვრელია. ჩვენ ჩვენსავე ბავშვობას ვკითხულობთ. („ლიტერატურული საქართველო", 1979, 24 VIII). მართლაც, საოცარი სიცხადით არის ხშირად აღწერილი ნაწარმოებში ისეთი რამ, რაც მკითხველთაგან, ალბათ, ძალიან ბევრს თვითონაც განუცდია ან უნახავს. რეზო ჭეიშვილი თავად იყო პატარა ბავშვი ომის წლებში და აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იმდენად ძლიერი ყოფილა იმდროინდელი შთაბეჭდილებები, ბავშვის თვალით აღქმული მშობლიური პროვინციული ქალაქი მთელი თავისი მცხოვრებლებითა და ცხოვრების წესით, რომ ასე ცხოველმყოფელად შემონახული აღსდგა უკვე მოზრდილი კაცის მეხსიერებაში და ჭეშმარიტი მწერლური ოსტატობით აამეტყველა ყოველი პერსონაჟი, ამბავი თუ მოვლენა, ფერწერული სიზუსტით აღწერა თავისი მშობლიური ქალაქის ბევრი ქუჩა და უბანი, ხიდი და მდინარე, სახლი და ეზო, სადგური და თეატრი, სკოლა და სასაფლაო. „მუსიკა ქარში" ესაა ერთი გაბმული მოგონება იმ დღეებისა, რომელთა დავიწყებაც სიკვდილამდე არ შეიძლება და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ შეუძლებელი იყო რ. ჭეიშვილს ეს ნაწარმოები არ შეექმნა. იგი მკაცრიცაა და გულახდილიც. ნახევარ საუკუნეს მიტანებული მწერალი „თითქოს ხელახლა გახდა ბავშვი, რათა დაეწერა „მუსიკა ქარში"...

ომმა ბავშვობა დაუკარგა ბავშვებს. ბადრი გვიმრაძის ცხოვრებაც აჩქარებულმა ტემპმა იმდაგვარად წარმართა, რომ აიძულა დროზე ადრე დაენახა ის, რაც ბავშვის თვალებს არ უნდა დაენახა, დროზე ადრე მიხვდა, რა იყო თანაგრძნობა, უბედურება, სიხარული, გაჭირვება, ბედნიერება. „საწერი მაგიდა დგას ფანჯარასთან. ფანჯრიდან საჯაიას სახლის აივანი, ჩვენი ეზო, ტანაყრილი კაკალი, მშენებარე სახლის პალატის კედლები, დაბალი ხარაჩო, კედლის ძირში მიხვეტილი ფოთლები, ბალავრიდან ამოყრილი წითელი მიწის ბორცვები ჩანს. ქარი სისინებს, ხმელ ფოთლებს დააქანებს წაღმა-უკუღმა, საჯაიას სახლის კიბეს, აივნის ბირკვილებს და ბოკონებს აყრის... სადღაც საყვირს უკრავენ. რომელიღაც ეზოში დგას, ეტყობა, მარტოხელა მუსიკოსი. შეიძლება სამხედროები ვარჯიშობენ პლაცზე. შეიძლება ვიღაც თავს ირთობს. ყველაფერი შეიძლება, მაგრამ რა აზრი აქვს ქარში მუსიკას?. მგონი, მეყურება" („სადღაც მუსიკას უკრავენ") — ეს ბადრის სიტყვებია. მართლა არა აქვს აზრი მუსიკას ქარში? ამას თავისთვის ამბობს ბადრი, თუ მკითხველისათვის? ალბათ, მკითხველისათვის. მკითხველ[illegible]ნაწარმოების ბოლომდე წაკითხვის შემდეგ [illegible]დავს და დარწმუნებულია, რომ ეს მუსიკა დიდებულია, რომ ამ მუსიკის გარეშე არც სიცოცხლეა და არც სიკვდილი („ჯარისკაცი მოკვდა"), რომ გვიმრაძეების სახლი უნდა აშენდეს — ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ომმა არ უნდა შეწყვიტოს არც მუსიკის ხმები, არც მშენებლობა, შეწყვეტა დასრულებას უდრის, ცხოვრების დასრულება კი არ შეიძლება. იგი მძიმეც არის, მაგრამ საინტერესოცაა, დრამატული სიტუაციებიც ბევრია („მე ტყვედ ვარ წამოყვანილი"), მაგრამ სიხარულიც არსებობს, ომია, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება, თუმცა ერთი მკაცრი ზნეც ახლავს ამ ომს: უცებ გამოაჩენს ბოროტსა და კეთილს, ავსა და კარგს. ომის მსხვერპლია მურიაცა და თეთრი თიკანიც. ომის მსხვერპლია ჯარისკაციც, რომელიც ფრონტზე დაიჭრა და ზურგში კრძალავდნენ, „ასაფლავებდნენ მშვიდად, ნახევრად საზეიმოდ, ნახევრად ოფიციალურად და ეს ამბავი სიკვდილის სიმძაფრეს ანელებდა. საცოდავი და შესაბრალისი იყო, მარტო იმიტომ კი არა, რომ მოკვდა, არამედ იმიტომ, რომ ასე მოკვდა, მიიცვალა იმ ქალაქში, სადაც ჯარისკაცები არ კვდებიან ჩვეულებისამებრ. ახლობელი, მოტირალე და მგლოვიარე ჭირისუფალი იმას არ ახლდა და პროცესიის მონაწილენი მიყვებოდნენ იმიტომ, რომ უნდა წაყოლოდნენ" („ჯარისკაცი მოკვდა"). საცოდავია ტყვეც, რომელიც გამოჩენისთანავე თავს იმართლებს, რომ გერმანელი არაა, რომ უნგრელია და ომში თავისი ნებით არ წასულა. „მხვნელ-მთესველ, მუშა კაცს რა მეომებოდაო. გულისჯიბიდან ქაღალდში შეხვეული სურათი ამოიღო, ფრთხილად გახსნა და გვაჩვენა. ეს არის ჩემი სახლი, ეს ჩემი ცოლი და შვილებიაო" („მე ტყვედ ვარ წამოყვანილი").

ყოველ კვირას დადიოდა ტყვე გვიმრაძეების ოჯახში. ხალხთან, ადამიანებთან ურთიერთობა ენატრებოდა ალბათ, ხელცარიელიც არასოდეს ბრუნდებოდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც მასპინძელს ქვამარილის მეტი ვერაფერი მოუძევია შინ, ტყვეს რომ გამასპინძლებოდა, „შეცბა, არაფერი დაიმჩნია, მარილი აიღო, ქაღალდში გაახვია, მადლობა თქვა... წავიდა და იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩენილა". მასპინძელთა გაჭირვების პატივისცემამ აიძულა, როგორც ჩანს, ტყვე, ასე მოქცეულიყო.

ფერწერული ნახატებივით ჩანან ნოველებში სიმონი, რომლის განაწყენებული კაცი არ უნახავს ახლობლებს, საველე, ბექა, მეთუნე, მეჭოკე, ტასია, დურგალი ილია, კალენიკე სიმსივე, რამდენიმე ივლიანე და შოთა ბოთე, მეელექტრონე გედია, ინჟინერი მარლენი, შალიკიანი, არსენი, მხატვარი იაშა, მეხავსე ბოლოკიძე და სხვები და სხვები. საკვირველი სი-

ცხადის, განსხვავებული ბედისა და მიდრეკილების ადამიანები არიან ისინი, მაგრამ ყოველი მათგანის ცხოვრებას რ. ჭეიშვილი თავის კუთვნილ სითბოს უნაწილებს. ცხოვრების საერთო ფერხულში აბამს და საოცარი ოსტატობით ახერხებს ამ პატარ-პატარა ნოველებში ჩაატიოს დიდი ცხოვრება. „რ. ჭეიშვილის აზრით, ადამიანს სჭირდება სიკეთის და ერთგვარი სიწმინდის რომანტიკული რწმენა. ავტორის განმარტებით, ადამიანი მძიმე პირობებშიც კი საკუთარ ილუზიას იმუშავებს და მას ეყრდნობა, გულის სიღრმეში ატარებს „იდეალს“ და ამდენად მის თვალში საკუთარი ცხოვრება „გამართლებული“ ჩანს, ცხოვრების ერთფეროვნების ატანა ბევრად გაადვილებულია. შესაძლებელია ადამიანი საზოგადოებრივად დაკნინდეს, პიროვნულად მოეშვას, სულიერად დაეცეს, მაგრამ მას რწმენის ნაპერწკალი აუცილებლად სჭირდება... რ. ჭეიშვილის მოთხრობებში — რომანტიკული ილუზია, ცხოვრებაში მშვენიერი ნაპირის წარმოსახვა ადამიანის შემამკობელი მხარეა“. (გ. კანკავა, „მნათობი“, 1963, № 6). მშვენიერ ნოველაში, რომლის სათაურიც როგორღაც პირობითია: „მდინარეები უკან აღარ ბრუნდებიან“, მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ბანაკდებოდნენ ქუთაისის სადგურზე ახალწვეულები. „დაღლილები, დამტვერილები, აკიდებული ზურგჩანთებით, ხალათებით, გუდებითაც კი“, და ეშელონის გასვლამდე როგორ „მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ყვიროდნენ, ხმაურობდნენ“. ერთ დღეს ახალწვეულთა მწყობრიდან პირტიტველა ყმაწვილი გამოვარდნილა და ბადრისა და გაბადაძეების ყორეს შორის გამავალი ღვარსადენისაკენ აუღია გეზი. „ჩვენ კანავოს მიადგა და სანამ რაიმეს თქმას, დაძახებას მოვასწრებდი, წყალს დაეწაფა. არ დალითქვა, მინდოდა მეყვირა, მაგრამ გვიანღა იყო.

გადამხობოდა ახალწვეული თხრილს და ქვის ყორისათვის მიებჯინა ორივე ხელი; ხარბად სვამდა ყორეზე გადმომდინარე წყალს. წყურვილი რომ მოიკლა, ტუჩების წმენდით, სველი ქუდის ფერთხვით და სირბილით წამოეწია წინ წასულ ჯგუფს“ („მდინარეები უკან აღარ ბრუნდებიან“). რა არის ეს, თუ არა ერთი პირობითობა? და აი, ამგვარ პირობითობათა მთელი გალერეაა ნოველათა კრებული „მუსიკა ქარში“.

„ყოველგვარ პირობითობაში მოტივაციის ელემენტი უნდა არსებობდეს“ („გ. კანკავა „მნათობი“, 1963, № 6). სხვაგვარად მხატვრულ პირობითობას არავითარი აზრი არა აქვს, იგი მოსაწყენი და მოსაბეზრებელია. რეზო ჭეიშვილის ნოველებში კი პირობითობა მუდამ იმედთან, დიდ სიყვარულთან, ადამიანთა შორის ჰუმანურ დამოკიდებულებებთანაა დაკავშირებული, უფრო ხშირად იგი მშობლიურ ქვეყანასთან პირნათელ და სხივნათელ თანაზიარობაში იჩენს ხოლმე თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ჭეიშვილი ხომ ხშირად [illegible] მხოლოდ აღმწერელი არაა, იგი მსაჯულიცაა, შემფასებელიც. რომ ეს მართლაც ასეა, მოვუსმინოთ თავად მწერალს: „...თავისი სოფლის ანკარა წყაროს მიამგვანა ჩვენი კანავო. წყალი ყველგან ისეთივე სუფთა ეგონა, როგორც იქ, საიდანაც ის წამოვიდა. ვინ იცის, შემდეგ სად წავიდა მისი სიცოცხლის ნაკადული, ღელე თუ მდინარე. რას შეუერთდა, სად დაგუბდა, სად დაშრა. შეიძლება მშვიდობიანად განვლო გზა დასაწყისიდან ბოლომდე“ („მდინარეები უკან აღარ ბრუნდებიან“). ამ პირობითობაში არის მონატრებაც, სიყვარულიც, იმედიც. ამავე მიზანს ემსახურება ეფუთის — „ბედის წიგნის“ ძიების სურვილი, რაც ლაიტმოტივად გასდევს თან რამდენიმე ნოველას. თავად მწერალ-მთხრობელს წამოსცდება უნებლიეთ, რომ იგი მთელი ცხოვრება ეძებდა ეფუთს. „სადაც ყველაფერი იყო გათვლილი და გაანგარიშებული, სადაც ადამიანის ცხოვრების, სიცოცხლის დასაწყისისა და დასასრულის თავი და ბოლო იყო განსაზღვრული, კაცობრიობის, ადამიანთა მოდგმის არსებობის მიზანი, დანიშნულება იყო განმარტებული“ („ვინ მოიტანა წიგნები, ერმილე“). ნოველიდან ნოველაში გადაჰყავს მწერალს ბადრი — ეს უჩვეულო და დაბრძენებული ბავშვი, სულგრძელი, კეთილშობილი, წიგნის წყაროს დაწაფებული, რომელიც სულ სიკეთის ძიებაში იყო დღენიადაგ. ტასიაც ეცოდებოდა, ტყვესაც თანაუგრძნობდა, მურიას სიკვდილს განიცდიდა, ჯარისკაცის დასაფლავება აღელვებდა და ა. შ. რამდენიმე ივლიანეს ცხოვრებაში გვახედებდა, თეთრი თიკანის გაყიდვა მზის ჩასვლად მიაჩნდა, დურგალ ილიას გვაცნობდა, ომის დამთავრებით აღფრთოვანებული იყო, „ბიძიების“ ფრთებქვეშ გამოზრდილ თანაკლასელს იუმორით იხსენიებდა, ზოგს შეფარვით დასცინოდა, ზოგიერთს თანაგრძნობით შესცქეროდა და მაინც, ეფუთზე დარდით და ნატვრით შეპირვებულს, ბოლომდე არაფერი აკმაყოფილებდა. თავად გვიამბობს: „ეფუთისმაგვარი რაღაც გამოანათებდა ზოგჯერ გაცრეცილი, გადაყვითლებული გვერდებიდან, მაგრამ ასე ნაწილ-ნაწილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეკოწიწებული ეფუთით როდის გავიდოდი ბოლოში. მე მინდოდა ეფუთი მთლიანად... ერთ წიგნად შეკრული ეფუთი მჭირდებოდა“. სწორად შენიშნავს ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. შავგულიძე ზემოხსენებულ წერილში: „ეფუთი, მთელ ნაწარმოებში სამყაროს ჰარმონიულობის უნივერსალურ ცენტრადაა გაცხადებული... როგორც ვხედავთ, „ტასიადან“ სხვა ნოველებში გადატანილი განწყობა ავტორისათვის არა მხოლოდ ზოგადფილოსოფიური კატეგორიაა, რომელშიც სამყაროს ჰარმონიუ-

ლობის ზოგადი პოსტულატებია კონცენტრირებული, არამედ „ადამიანის არსებაში დალექილი ყოფის მხატვრული ტრანსკრიპციაა“ (მ. ბახტინი). ვფიქრობთ, რომ პიროვნების ყოფის ეფუთისმიერი განსაზღვრულობა ავტორისათვის ნაკარნახევია არა ცხოვრების თვითმიზნური ლოგიკის ჩვენების, არამედ მთავარი გმირის (ავტორი — პერსონაჟის) მხატვრული სახის აგების აუცილებლობით“.

პირობითობის მშვენიერი მაგალითია უზარმაზარი სახლი, რომელიც უთუოდ უნდა აშენდეს, ეს კომპოზიციური დეტალი ამ ნოველათა მხატვრული სტრუქტურის, ნაწარმოების აგების ნატიფი ნიმუშია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული არა მხოლოდ მომავლის იმედთან და გამარჯვების რწმენასთან, არამედ მწერლის მსოფლმხედველობასთანაც.

31-ე ნოველადაა ჩაჩუქურთმებული კრებულში „ლურჯი ფრინველი“. ეს ნოველა ორგანულადაა დაკავშირებული იმ ეფუთისმიერ — ცხოვრების გადაშლილ წიგნისმიერ აღქმასთან, რომლისკენაც მიილტვის თხზულების მთავარი მოქმედი გმირი.

სიუჟეტი ნოველისა ჩვეულებრივია. მეკლდეეობა განუზრახავს ნაწარმოების მთავარ მოქმედ გმირს. ძაღლიც თან გაუყოლებია — მეგზურად კი არა, გზის გასაადვილებლად, რადგან ცოცხალი არსებაა, ადამიანთა მოდგმის მეგობარი და ამდენად იმედის მომცემიც. „თუ გადაწყვეტ, აასრულო უნდა კიდეც“. — ესაუბრება თავის თავს ბადრი. თავისუფლად და შეუფერხებლად გაიარეს მეგობრებმა კლდე მის შუაწელამდე. შემდეგ გზა გაცუდდა, გაჭირდა ასვლა. ბადრი დაბრკოლებებს არ უშინდებოდა. ფინიამ კი ველარ შესძლო ბადრიმდე ასვლა. ბადრი კი ფიქრობს: „ფინიას არც უცდია გზის გაგრძელება, ქვევიდანვე შეამოწმა და შეაფასა თავისი უნარი და შესაძლებლობა, შეტრიალდა, მშვიდად ჩავიდა ქვევით. დაბრუნდა იმავე გზით, საიდანაც ამოვიდა, დაყუნცდა კლდის ძირას და მომაჩერდა, ვნახოთ რას იზამს, სანამდე იარსო“. ფინია ხომ ინსტინქტებით მოქმედებს მხოლოდ. ბადრი კი აზროვნებს, ფიქრობს, იგი ადამიანია და მიზნის მიღწევაზე ოცნებობს, „სპირალური ხერხით იპყრობს პარახელებს და მიდის წინ, სულ წინ, მაშინ, როდესაც ძაღლმა სულ მიატოვა, სახლისკენ მოუსვა, როგორც ჩანს, წევს ახლა ლაფეროს ჩრდილში, ენაგადმოგდებული ქელავს, ვითომ არაფერი. კაცს არ აგებინებს, სად დამტოვა და სად მიმატოვა. რა უნდა ვქნა. კაციშვილი არ ჭაჭანებს იმ არემარეზე. დაიძახებ, ვის გააგონებ, ხმას ვის მიაწვდენ. ანდა ვინ გიშველის“. — ამასაც ბადრი ფიქრობს. ამ ფიქრებში გართულმა დაინახა სწორედ ის ლურჯი ფრინველი, თავისუფლების სიმბოლოდ რომ წარმოისახება მსოფლიო ლიტერატურაში, და ოსტატურად, მწერლური მადლითა და ნიჭით რომ გამოუყენებია რ. ჰეიშვილს არა მხოლოდ ამ ერთი, კონკრეტული ნოველისათვის. ესაა ლაიტმოტივად ქცეული ლურჯი ფრინველი — თავისუფლების სიმბოლო, გამარჯვების იმედი, მომავლის რწმენა, რაც ასე აუცილებელი და „პური არსობისაა“ ომის თემაზე შექმნილი ამ ნიჭიერად დაწერილი ნოველების კრებულისათვის. როგორია მაინც ეს ლურჯი ფრინველი ბადრი გვიმრაძის წარმოდგენაში?

„ვხედავდი, როგორ დატრიალებდა ლურჯი ფრინველი ხასხასა მინდორს. ფრთებს არც კი არხევდა, ისე ლივლივებდა ჰაერში. ხან დაბლა დაეშვებოდა რბილად და მსუბუქად, ხან ალმა აიჭრებოდა შეუმჩნევლად, კვლავ იძირებოდა ღრუბლის ნაფლეთივით და ზევით მიიწეოდა ისევ... ფრინველი იყო, ლურჯი ფრინველი“.

შეჰყურებდა კლდეზე გაჭედილი ბადრი იმ გორას, სადაც „ლურჯი ფრინველი აკეთებდა ირაოს“. და სულ ხშირად, ძალიან ხშირად აპირებდა ამ გორაზე ასვლას და ვერ ადიოდა, მაგრამ გმირიცა და მკითხველიც უკვე გრძნობენ, რომ ამ გორის დაპყრობა აუცილებელია, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა და მოპოვება საკუთარი თავისა, თვითდადგენის გზაზე უფსკრულებისა და გლუვი ზედაპირების გადალახვაა ყოველი ძლიერი, მოაზროვნე, კეთილშობილი ადამიანის დაუსაბამო სურვილი და ამ სურვილის ფლობის უფლება უსათუოდ აქვს რ. ჰეიშვილის ნოველების გმირს. „გარდაუვალს სად წაუხვალ, — ფიქრობს იგი, — დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ოდესმე ავალ ალბათ. ის გორა და ყორღანი კი არსებობდა ჩემში და ჩემს გარეშეც... მახსენდება ის გორა და ის ფრინველი და მზაფრავს, გაურკვეველი შიში მიპყრობს ახლაც, დღემდე ხან ცხადში, ხან სიზმარში ვხედავ მზის ლაჟვარდში შეფრთქიალებულ ლურჯ ფრინველს, მიწაზე დაცემულ შავ ჩრდილს, ყორღანიდან განთავისუფლებული სულივით რომ დაფარფატებს გორის გლუვ ზედაპირს“.

ომის შავი აჩრდილი ტრიალებს ყველა დანარჩენ ნოველაში, „ლურჯ ფრინველს“ რომ მოსდევს. წვალობენ და შრომობენ ადამიანები. თავისებურად საქმიანობენ ნოველების გმირები, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ომიდან აღარ დაბრუნებულან კუკური და ბუჭუტა, მავანი და მავანი, ბევრი დარდს გადაჰყვა, ბევრი თავისი ბუნებრივი სიკვდილით გადავიდა ამ ქვეყნიდან. ამასობაში გაილია ხუთი წელიც და გამარჯვების ზარმაც ჩამორეკა. და დაიწყო ცხოვრებამ კალაპოტში ჩადგომა. მაგრამ ომმა ადამიანების სულში ისეთი კვალი დატოვა, რომლის ამოშანთვა არანაირ ძალას არ შეუძლია. თუმცა ქრებოდნენ ომისდროინდელი ნივთები, ფერს იცვლიდა ქალაქი და სოფელი, კაცი და ქალი, მაინც იმის დავიწყე-

ბა, რაც იყო, არ ხერხდება. ომის მიერ მიყენებული ჭრილობები, ადამიანების მსხვერპლი, უბედურება არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს. ამ მიზანს ისახავდა, ალბათ, რ. ჭეიშვილიც, როცა ასე ხელშესახებად, სულისშემძვრელად აგვიწერს ომისდროინდელ ქალაქს თავისი ადამიანებით, მათი წუხილით, სიკეთით, სიავით, სიხარულით.

ძალზედ სიმპტომატურია ნაწარმოების დასასრულს ერთად თავმოყრილი რამდენიმე სიმბოლო, რომელთაგან თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა გაუნათოს გზა მომავალ თაობებს და კიდევ ერთხელ შეახსენოს ომის საშინელებანი, რათა გააზრებულად წინ აღუდგნენ ახალი ომის გამჩაღებლებს. ამას ადასტურებს ნაწარმოების ღრმად გააზრებული ფინალიც.

როგორც ომის, ნგრევის, გაჭირვების, ადამიანთა სულის აღზევების, ხან კი სულმოკლეობის დღეები დამთავრდება, „ფარდების ჩამოშვების წინ... ქარში დაფანტული მუსიკის ხმა რომ მოწვდება სმენას, როცა ლურჯი ფრინველი გააკეთებს ირაოს გლუვი გორის ზედაპირზე, ყორღანიდან განთავისუფლებული ჩრდილი როცა დაეცემა მიწას, მაშინაც მხოლოდ იმ დღეებს მოვიგონებ, გავიხსენებ მუდარით მზირალს, ყელმოღერებულ, თეთრ თიკანს, მშვიდი სახის ბიჭს, ხელში რომ მზით განათებული, გადაშლილი წიგნი ეჭირა“ („ადმირალი“).

ორიოდე სიტყვა რ. ჭეიშვილის ნოველათა კრებულის სტილურ თავისებურებებზე.

60-იანი წლებიდან მოყოლებული საგრძნობლად თვალში საცემი გახდა ომის თემით დაინტერესება. მთელი საბჭოთა მწერლობა გამდიდრდა რამდენიმე მეტად ღირებული ნაწარმოებით, თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ უმეტეს მათგანში აღწერილია არა თავად ომის ამბები, საომარი სიტუაციები და საბრძოლო ეპიზოდები, არამედ ომის დროის ადამიანები თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, მორალითა და ზნეობით. განვლილი წლების გადასახედიდან მწერლები ცდილობენ მოიაზრონ და შეაფასონ წარსული დღევანდელი თვალთახედვით. გაძლიერდა ინტერესი პიროვნების რაობის, ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნისადმი. როგორც უკვე დავინახეთ, ისტორიზმის პრობლემამ თავისი კუთვნილი ადგილი მოიპოვა, რის გამოც ბუნებრივი შეიქნა ყურადღების გამახვილება მორალურ-ეთიკური, ზნეობრივი პრობლემებისადმი. ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ამ პერიოდის ნაწარმოებებში ზურგიდან დანახული ომი და ის გავლენა, რაც ომმა მოახდინა ადამიანების ყოფაზე, მათი ცხოვრების წესზე, ხასიათზე, ფსიქიკაზე. ამდენად, ამ ტიპის ნაწარმოებებში ფსიქოლოგიზმმა წარმმართველი და ძირითადი ადგილი დაიკავა. ჟანრობრივი თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით რაიმე უპირატესობაზე საუბარი ძნელია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მცირე ზომის ნაწარმოები — თითქოს [illegible] მოერგო სათქმელს — მოთხრობა და ნოველა როგორღაც მეტად გამოცოცხლდა, ყოველ შემთხვევაში ქართულ საბჭოთა მწერლობაში ამგვარი ტენდენცია უთუოდ შეიმჩნევა, თუმცალა იწერება მნიშვნელოვანი რომანები, პოემები და ლექსები.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისათვის ნოველა არასოდეს ყოფილა უცხო. ამჯერად ტრადიციამ კვლავ იჩინა თავი და ომის თემა საგრძნობლად ძლიერად გამუქდა კ. ლორთქიფანიძის, ა. სულაკაურის, რ. ინანიშვილის, გ. ციციშვილის, გ. ფანჯიკიძის, ნ. წულეისკირის, ო .იოსელიანის და სხვათა და სხვათა ნოველებში. ნოველათა კრებულებსაც იცნობს ქართველი მკითხველი, მაგრამ უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ რ. ჭეიშვილი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ომის თემას ნოველათა იმგვარი კრებული უძღვნა, როგორიცაა „მუსიკა ქარში“ (თუმცა თავად რ. ჭეიშვილს ადრეც ჰქონდა ნოველათა ჩვეულებრივი ციკლი „გზიანეთი“. ე. გ.).

„მუსიკა ქარში“ ესაა კლასიკური ნოველათა კრებულის განახლებული და ჩინებული ფორმა. 101 ნოველაა ამ კრებულში და ყოველ მათგანს აერთიანებს ერთი ჩარჩო — ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა ომის დროს საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში. მთავარი მოქმედი გმირიც ერთია ამ ნოველებში — თავად მწერალი, თუმცა ზოგიერთ მათგანში იგი პერსონაჟია, ზოგიერთში მთხრობელი, ზოგში მსჯავრმდებული და ზოგიერთში კი, მჭვრეტელი. ადგილი და დრო განსაზღვრულია. მართალია, კრებულიდან ცალკე აღებული ნოველებიც, განსაკუთრებით ზოგიერთი მათგანი, დასრულებული და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა, მაინც ეს არის ერთი მთლიანი ნაწარმოები განსხვავებული ადამიანებით, განსხვავებული ფსიქოლოგიის მატარებელი პერსონაჟებით დასახლებული (გავიხსენოთ საკეტტი, ბოკაჩო, ქართულ ლიტერატურაში, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე და სხვები).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ მწერალი წიგნის ანოტაციაში თავად აფრთხილებს მკითხველს: „ეს ნაცოდვილარი, გახსოვს, ვიცი, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ორიოდე წლის წინათ. წიგნად პირველად გამოდის. ბევრი დაემატა, ბევრი გადასხვაფერდა და ნუ იტყვი, გადაბულბულებული მაქვსო. „ნოველების ციკლადაც“ მოინათლა თავის დროზე, მაგრამ ერთი მთლიანი ნაწარმოებია და ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ, შუიდან ან ბოლოდან ნუ წაიკითხავ, თუ გიყვარდე!“

შთაბეჭდილების ერთიანობა, რომლის მიღწევასაც ცდილობს რ. ჭეიშვილი ნოველათა

კრებულში „მუსიკა ქარში“, ერთ-ერთი ძირითადი სტილური ნიშანია ამ წიგნისა. „ნოველა გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა პოეტურ განწყობილებათა ხორცშესასხმელად, ვიდრე პროზის რომელიმე სხვა ფორმათაგანი“ (მ. გვეტაძე, „კრიტიკა“, 1977, № 4). რ. ქეიშვილის ნოველათა დასახელებულ კრებულში მართლაც შესამჩნევ ნაკადადაა შემოჭრილი ლირიზმი, „პოეტური განწყობილებანი“, რაც ამ მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდებოდა, მაგრამ ამ კრებულში თავი იჩინა, როგორც დამახასიათებელმა სტილურმა თავისებურებამ; თვად სათაურიც „მუსიკა ქარში“, რომელშიც თავისთავად ომისა და იმედის, ნგრევისა და რწმენის სიმბოლიკაა ნაგულისხმევი, ლირიკულ და ჰარმონიულ ბგერათა და ხატთა ერთობლიობას გულისხმობს. მუსიკა ქარში იმ განწყობის სიმაღლეზე, იმ დიდ და გამაკეთილშობილებელ რწმენაზე მიგვანიშნებს, რომელიც სიმფონიის მთავარი თემის დარად გასდევს მთელ ნაწარმოებს პირველი ნოველიდან უკანასკნელამდე; ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ლირიკული სიმბოლოები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლურჯი ფრინველი, ეფუთი და თეთრი თიკანი, აგრეთვე ის გადამკვეთი და პარალელური სახე-სიმბოლოებია, რომლებიც ხან თვალნათლივ, ხანაც უჩინრად გადადიან ნოველიდან ნოველაში და კეთილი იმედით ავსებენ ადამიანთა ცხოვრებას.

რ. ქეიშვილის სტილის ერთი ნიშანდობლივი თვისებაა აგრეთვე ხაზგასმული რიტმი: „ქარი უბერავდა წინანდებურად, სადღაც როიალს უკრავდნენ. მაღალი სახლის მოღიავებული ფანჯრის მოცისფრო, გამჭვირვალე ფარდას აწვებოდა ქარი და როიალის აკორდებს არწევდა ზეფირში“ („ადმირალი“). ამ თვალსაზრისით მაგალითების მოყვანა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ოღონდაც, როგორც ტიპიური, მკითხველმა შეიძლება გაიხსენოს ნოველები: „ლურჯი ფრინველი“, „ტასია“, „სურათებიანი წიგნი“ და ა. შ.

კიდევ ერთი სტილური თავისებურება იქცევს მკითხველისა და მკვლევარის ყურადღებას — ესაა გამახვილებული პათოსისათვის მისადაგებული იუმორი, რომელშიც მუდამ იგრძნობა მწერლის სულგრძელი ბუნება და მიმნდობი გული.

სიცილი რ. ქეიშვილისა მუდამ კეთილშობილურია, რადგან მისი იუმორის საფუძველს განსაზღვრავს ადამიანებისადმი რწმენა და სიყვარული, სიძულვილი ყველაფერი იმის მიმართ, რაც ჩრდილს აყენებს და ამახინჯებს ცხოვრებას და ადამიანებს. მწერლისათვის იუმორი თვითმიზანი კი არაა, არამედ ჩვენი ყოფის ნაკლოვანი მხარეების, მოქმედი გმირების უარყოფითი თვისებების გამოაშკარავების მიმზიდველი მხატვრული ხერხია, მწერლის თხრობის სტილის ერთი მშვენიერი ფორმაა.

ეს თავისებურება ძალზედ ხშირად იჩენს ხოლმე თავს ნოველებში, მაგრამ უფრო დამახასიათებელია ალბათ: „[illegible]“, „პროფილი“, „ბერბუთაშვილის ქალი, მაიკო“, „ბიძია“.

ნაწარმოების კითხვისას, ხშირად, საოცარი უშუალობის გრძნობა, ერთგვარი კონტაქტი წარმოიშობა ხოლმე მკითხველსა და მწერალს შორის. ეს არის მისი თხრობის მანერის ერთი ძირითადი თვისებათაგანი. რ. ქეიშვილი სათქმელს გვაუწყებს, როგორც ძალიან ახლობელი ადამიანი და ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმაზე, რაზედაც მკითხველსაც უფიქრია, ან უნახავს კიდეც და განუცდია. ეს ის რეალიზმია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ფასეულისა და მნიშვნელოვანის შექმნა, რომლის გარეშეც ნაწარმოები რჩება წიგნად თავისთვის. „მუსიკა ქარში“ კი მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს, რადგან ამ ნოველებიდან იგრძნობა დიდი სიმართლე, რომელიც ხან სევდის მომგვრელია, ხან იუმორით გასხივოსნებული, ხან ტრაგიკულიც კი, მაგრამ ყოველთვის ჭეშმარიტი და ნამდვილი, სწორედ ისეთი, რომელსაც უნდა ენდო და გაიზიარო.

მთხრობელი რ. ქეიშვილის ნოველებში მუდამ მოგონებების ავტორია. ერთ მოგონებას ენაცვლება მეორე, მეორეს მესამე და ა. შ. და ეს მოგონებები ხშირად პერსონაჟთა დახასიათებისთვისაა მოხმობილი, ხშირად რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ხაზგასასმელად, ზოგჯერ კი საკუთარი პიროვნული თვისებების წარმოსაჩენად. ნოველებში მომეტებულად იჩენს ხოლმე თავს დიალოგები საკუთარ თავთან, ფიქრები, წარმოდგენები და შინაგანი მონოლოგები. ეს თვისებები ადრიდანვე გამოჰყვა ნოველების კრებულის ავტორს, მაგრამ წიგნში „მუსიკა ქარში“ იგი რ. ქეიშვილის წერის მანერის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად უნდა ვაღიაროთ. ყველა ზემოაღნიშნულის გამო ხდება ის, რომ თითოეული ნოველა გარკვეული მიზანდასახულების მქონე ფერწერულ ტილოდ, პატარა ესკიზად აღიქმება მკითხველის მიერ. და ეს შემთხვევითი მოვლენა არაა. კინემატოგრაფიული თვალი და ხედვა რ. ქეიშვილისათვის, ვფიქრობთ, მისი, როგორც მწერლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სტილური თავისებურებაა.

საგულისხმოდ და საგულდაგულოდაა აგებული კრებული „მუსიკა ქარში“ კომპოზიციურად. აქ ნოველები მაღალი და დაბალი შაირის დარად ენაცვლებიან ერთმანეთს. ავის მომასწავებელი ამბავი იცვლება კარგით, ბოროტებას ცვლის სიკეთე, უიმედობას აქარწყლებს იმედი და ა. შ. ჩვენი ცხოვრების ნაირნაირი ეპიზოდებია აღწერილი და მხატვრულ ენაზე ამეტყველებული. სწორედ ამიტომაც ვხვდებით აქ ადამიანურ გრძნობებს, რომლებიც გადმოცემულია ამ ადამიანთა ყოფის სხვა-

დასხვა ასპექტის ჰარმონიული მონაცემებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რიგ ნოველებში იგრძნობა საერთოდ სიკეთითა და ახლობელთა კეთილშობილებით აღფრთოვანება, ზოგიერთი მათგანი სულისშემძვრელი სევდითაა დაღდასმული. სწორედ ამ დროს, იმედის ნაპერწკალი გაიელვებსო თითქოს, გამოჩნდება ნოველა, რომელშიც ამაღლებულ სულის ადამიანს წარმოაჩენს მწერალი; ამას მოსდევს საკვირველი და მიუღებელი, უზნეობას ნაზიარევი პიროვნებების საქმიანობის გამომზეურება, რომელსაც კვლავ ენაცვლება რ. ჰეიშვილისათვის დამახასიათებელი იუმორით გასხივოსნებული ამბავი თუ პერსონაჟი, რომელიც „არსობის პურის“ მსგავსად გაიელვებს ხოლმე. და აღსანიშნავია, რომ თითოეული ნოველა აწონილდაწონილია, განსაკუთრებული მიზანდასახულების დარად თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული ავტორის მიერ. ნოველათა ეს ჰარმონიული მონაცვლეობა იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ძალზედ განსხვავებული პატარ-პატარა ამბების მეშვეობით, პერსონაჟთა საპირისპირო ხასიათების ჩვენებით გამოიკვეთება ერთი მთავარი და განზოგადებული, გამოიძერწება მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება ომის დროიდან მოყოლებული დღემდე, გამოჩნდება სატირალიცა და სასაცილოც, დიდიცა და პატარაც, კეთილიცა და ბოროტიც, საერთოდ ადამიანები თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ყოველივე კი ემსახურება ერთადერთ მიზანს — სიკეთემ უნდა დათრგუნოს ბოროტება, იმედითა და რწმენით უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „მუსიკა ქარში“ ერთი ჯანსაღი მთლიანი ორგანიზმია, რომლის ნაწილებადაც წარმოიდგინება ნოველები, რომელთა შესახებაც გვქონდა საუბარი.

დასკვნის სახით დავსძენთ, რომ ამ წიგნში რ. ჰეიშვილი ხსნის ადამიანთა ხასიათებს ისე, აანალიზებს მომხდარ ამბებსა და ეპიზოდებს იმგვარად, რომ დიდი სამამულო ომის, ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის დიალექტიკურ ხასიათსაც ითვალისწინებს. მთავარი და არსებითი ამ თხზულებისათვის ისაა, რომ მწერალი მხოლოდ ზურგში დარჩენილთა ცხოვრებას, 40-იანი წლების პირველი ნახევრის პრობლემებს, ომით გამოწვეულ უბედურებათა არსს კი არ იკვლევს თავისთავად, არამედ მასში მიღწეულია განზოგადებათა მაღალი დონე, დასმულია ზოგადი მორალურ-ეთიკური პრობლემები, რომელიც ჩვენი თანამედროვე ადამიანისთვისაც, და საერთოდ, მთელი საზოგადოებისათვის არსებითია და ამაღელვებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი...

საქართველოში დიდი სიყვარულით აღინიშნა გამოჩენილი პოეტის ანა კალანდაძის იუბილე. ჟურნალ „მნათობის" სარედაქციო კოლეგია, მთელი კოლექტივი, თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად, უერთდებიან ამ სახალხო პატივისცემის გამოხატვას და ჯანმრთელობას, ხანგრძლივ შემოქმედებითს მოღვაწეობას უსურვებენ ქართველი ერის საყვარელ მწერალს.

ყოველი ჭეშმარიტი პოეტის მხატვრულ ქმნილებებში ბუნებრივი აუცილებლობის გარდუვალი ლოგიკით ხდება მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი ხასიათის ცვლილებები. ვრცელი შემოქმედებითი გზის გავლა მხოლოდ ამგვარ ცვალებადობას გულისხმობს. შემდგომ მკვლევარნი დიდი მონდომებით ცდილობენ ღრმად ინტიმური პოეტური ქმნილებების მიხედვით მოახდინონ მისი სულიერი ბიოგრაფიის რესტავრაცია, განსაზღვრონ ის საოცრად მკრთალი და მერყევი „მატერიალური" ორიენტირები, რომელთა ჰაეროვან მშვენიერებასაც შეერთვის მისი პოეტური სული. ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ზუსტი და უცდომელი, უფრო სწორედ კი კონკრეტული და დამაჯერებელი ახსნა გონებისათვის ძნელად მისაღწევ იდუმალებასთან თანაშერწყმისა, ალბათ, შეუძლებელია. თუმც ის მაინცაა შესაძლებელი, რომ ლირიკულ განწყობილებათა მრავალსახეობიდან მოვინიშნოთ პოეტის სულიერი მიმოხვრის ორნამენტები და მათზე დაკვირვებით შევქმნათ მიახლოებითი წარმოდგენა შემოქმედის გრძნობად-ემოციურ (სააზროვნო) სისტემაზე. ამგვარი მოკრძალებული მიახლოების აუცილებლობას ბადებს ჩემში ანა კალანდაძის უნიკალური პოეზია. ესთეტიკური კრედო, რომელიც მის ლექსებშია განფენილი, ორგანულად არის შერწყმული პოეტურ ქმნილებათა მხატვრულ ქსოვილთან და არასოდეს ჩნდება თეორიული აბსტრაქციების სახით. თუმცა მათში გაბნეული მინიშნებებით შესაძლოა გავიცნობიეროთ მთელი რიგი ფესვეული პრინციპები მისი პოეტური აზროვნებისა, და ამ გზით წარმოვიდგინოთ მისი მხატვრული სამყაროს ხელშესახები კონტურები.

ფრიად საინტერესოა ის, რომ ანა კალანდაძის ლირიკაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს თემა პოეტისა, მისი კონცეპტუალური მნიშვნელობისა და ამ თემასთან დაკავშირებულ ესთეტიკურ პოზიციათა თვალნათელი გადახსნისა. ეს ყოველივე განსაკუთრებული სიმძაფრით მის 70-იანი წლების ლექსებში გამჟღავნდა. საკუთარი მოწოდების უჩვეულოდ ღრმა განცდა და მისთვის ჩვეული ჩუმი ექსტაზით გამოხატვა შინაგან ხილვათა სივრცეში აღმოჩენილი ღვთაებრივი მშვენიერებისა, მაუწყებელი იყო საკუთარი პოეტური მისიის გაცნობიერებისა. და კიდევ იმისა, რომ ამ ულრუბლო სულის შვებაში, უჩუმარ სევდასთან რომ არის ხოლმე წილნაყარი, ადამიანის შემოქმედებითი ლტოლვის თამამი ზრახვა ილანდება. ახალგაზრდობაში თავდაუზოგავი ვნებით თქმულ მიწიერ აღტაცებათა ვრცელ ციკლს, რომელიც აღმერთებდა ყვავილების დამათრობელ სურნელებას, — სინორჩის სუნთქვასა და როკვის წადილს, და რომელმაც გამაოგნებელი სურნელით „დათრგუნა" მასთან ნაზიარები მკითხველი, დაუდგა ჟამი დაცხრომისა და ლირიკული თრთოლვის ახალი სააზროვნო სიტუაციებით აღბეჭდვისა.

დადინჯებისა და ახალ პოეტურ სიმაღლეებთან მიახლოების პროცესი, რაღა თქმა უნდა, არ იყო მოულოდნელი, უპირველეს ყოვლისა

— მისთვის. შინაგანი აუცილებლობის ძალამ განსაზღვრა მსოფლშეგრძნების ის გრადაცია, რომელმაც რეალური ხილვების ტკბობით გამოწვეულ პოეტურ ემოციებს, სულიერი ცხოვრების საზრისზე ღრმად დაფიქრებული მედიტაციები შეუნაცვლა.

რილკეს, თავისი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს, ამგვარად განუჭვრეტია პოეზიის აზრი და მისი საკრალური მნიშვნელობა. თავს უფლებას მივცემ პოეტის ეს შინაგანი აღსარება რუსული თარგმანით წარმოვადგინო, რათა არ დავარღვიო აზრისა და მელოდიის მაღალი ჰარმონია, მისი განუმეორებელი წარმოსახვის სიღრმისეული მნიშვნელობა.

**В глубоком сне не прекращая бдений,**
**Из бытия, рыданий и видений**
**Они творят... И вот — поэт сражен,**
**И жизнь, и смерть коленопреклоненно**
**Он славит, и наклон его колена,**
**Являет миру царственный закон.**

სამყაროს პოეტური საწყისის მარადიულობისა და პოეტის, ვითარცა ამ შეუვალი ჭეშმარიტების რეალური მტვირთველისა და მისთვის მსხვერპლად შეწირულის მაღალ დანიშნულებაზეა ლექსის აზრობრივი ნერვი ამ შემთხვევაში პროეცირებული... პოეტის ამგვარი ტიპის განსახიერებას წარმოადგენს ჩემთვის ანა კალანდაძე. ანალოგიური სიმძიმილის ამ ხარისხითაა აღბეჭდილი მისი პოეტური მონოლოგები.

მიუსაფრობის, მარტოობის დარეკეს ზარი
ჩუმ სავანეში დავიწყების და მწუხარების...
აქ... კვლავ იდუმალ ნათლის მოსვლას
აღიარებენ,
ელიან უტყვი მოლოდინით, ელიან კვალად...
მე კი... შენ გიხმობ — უზენაესს ზენათა
შორის,
გიხმობ, რამეთუ სასოების დამტოვებს ძალი!

ლექსის ამ სტრიქონებში თითქოს იხსნება პიროვნების თვითგანცდისა და მისი მაღალი მოწოდების შინაგანი წარმოდგენის სურვილი. დავიწყებისა და მწუხარების ჩუმი სავანის სიმბოლიკა ჩემთვის რომანტიკული ირონიის განსახიერებაა, რომლის გამკვეთრებული შეგრძნება იმპულსად უნდა იქცეს ნიველირებული და სულიერად გაღარიბებული ყოფიერებიდან გარიდებისა და უწმინდეს სივრცესთან შერწყმისა. უზენაესის ხმობა, ერთადერთი საშუალებაა, რომელმაც სასომიხდილი მშვენიერების უმაღლეს სამყაროს უნდა აზიაროს.

მაგრამ პარნასის უდაბურ ციცაბოთა დაძლევისაკენ მე მიმიზიდავს ნაზი და ნეტარი ვნება სიყვარულისა — ვირგილიუსის ეს სიტყვები მაღალ პოეტურ ციცაბოთა ძლევის მსურველთა თავისებური შეგონებაა. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ ნაზი და ნეტარი სიყვარულის ვნება შეაძლებინებს შემოქმედს მუზათა მაღალ სამბრძანებელში დაასცეს საკუთარი „კარავი" და განიცადოს მიწიერთათვის შეუცნობელი იდუმალ „სხივთა შეკონება".

ანა კალანდაძის ელეგიურ განწყობილებებს ხშირად ეწვევა ხოლმე დაუოკებელი ხვაშიადი განუცდელის განცდისა, უჩვეულო ხილვებთან პირისპირ შეყრისა. ეს პოეტური „ნირვანა" ზმანებათა უტკბეს ტალღებს აქვავებს და ამ სტატიკურ ვიზიონებს ჰაეროვნების სამოსელში ხვევს.

თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა
დაუნჯებულად გულში ანთებდი...
ბრწყინავდა ირგვლივ, ელავდა ირგვლივ
მარადიული შარავანდედი...
უხილავისა გაიღო კარი —
მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს,
ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა
შრიალს:
თვით... სიხარული იდგა ჩემს ახლოს!

პოეტის ამ დახვეწილ მედიტაციებში ძალზედ იშვიათია მხატვრულ ორნამენტაციათა მხოლოდ სამკაულებრივი ბრწყინვალება. ძნელად თუ მოიძიება მეტაფორა, ნახმარი მხოლოდ იმისათვის, რომ სტილისტურად აამაღლოს ესა თუ ის პოეტური ფრაზა. გაცილებით ხშირად ისინი გამოხატავენ რაღაც განსაზღვრული მნიშვნელობით აღბეჭდილ საazროვნო მომენტს, ან, ყოველ შემთხვევაში, მიანიშნებენ რაღაც არსებითსა და არამეორეხარისხოვანზე. სახეობრივი სისტემის რთული სტრუქტურა პოეტის მსოფლშეგრძნების შთამბეჭდავ ილუსტრაციებს წარმოადგენს და საოცარი ელასტიურობით მორჩილებს ფილოსოფიური ინტერპრეტაციის რთულ პროცესს.

ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი
ხელყოფისაკენ წააქეზებს ზოგიერთ გვამებს...
ამიტომ მე მათ მოვიხილავ მთვარიან ღამით,
რომ მათის ბრწყინვით დავიამო
გულისტკივილი!

რომანტიკული კულტი პირველქმნილი უბიწოებისა ძვირფასი ქვების სახითაა ლექსში წარმოდგენილი. მაღალ ადამიანურ ღირებულებათა გადარჩენის საზრისი მსჭვალავს ამ პოეტურ ქარაგმას, ღირებულებას ნათელს, შეურყვნელსა და იდუმალების სუნთქვით მოსილს.

პოეტის საზრისის უშუალო საფუძველი და ამ ტიპის ქმნილებათა მნიშვნელობის სწორი გაცნობიერების წინაპირობა, ალბათ, მაინც მხატვრულ წარმოსახვათა წიაღში დაუნჯებულ მაღალ სულთან შინაგანი შერწყმის, მოსიყვარულე ერთარსებად ქცევის სურვილია. სუ-

ლით ძლიერი, იგი წარმოიდგინება, ვითარცა ყოვლისმომცველი შინაგანი ნათელი ყოველი პოეტური ფიქრისა, მოძალებული მედიტაციები უზენაესი სულის, ანუ ეთიკურისა და ესთეტიკურის პერსონიფიცირებული უსასრულობის განცდიდან აღმოცენებული შინაგანი სინათლის ფერადოვან სხივთა ციაგია, რომლის საკრალურ მშვენიერებაში საკუთარი სუბსტანციის წვდომა, ანუ მისი უმაღლესი მნიშვნელობის ამოცნობის ვნებიანი წადილი ჩნდება. ამ განცდით ალვსება საოცარ ხმებს გამოსცემს:

აპა, დასრულდა შენი ციმციმი
და მწუხარების ბურუსსა შევალ:
გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა
მეუფებამან მაუწყა შენმა!

საგანთა „ცრუ წარმოდგენებს" განრიდებული, იგი სულიერი ჭვრეტის იდუმალ კანონებს ითავისებს, რომელიც მშვენიერების ჭეშმარიტ არსთან აახლოებს თითქოს მის სულს. პოეტის ღრმა რწმენით მშვენიერების ცნება უნივერსალური ხასიათისაა და იგი არ უნდა შემოვზღუდოთ მხოლოდ გარეგანი, ფორმისა და სახის წარმოდგენით, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ გრძნობადი გრაციის, ანუ ხილვადი კანონზომიერების განსახიერებას წარმოადგენს.

მშვენიერება მისთვის უფრო სულიერი მნიშვნელობითაა აღბეჭდილი — რომელიც სიყვარულით გათანგული არსების ღრმა განცდებიდან მომდინარეობს და წარმოადგენს მისივე გრძნობათა და ემოციათა შინაარსს. ამ არაჩვეულებრივ აღმოჩენებს უსასრულობასა და ღვთაებრივ ნეტარებასთან მიახლოების სასწაულებრივი ძალა გააჩნია — ძალა წარმოსახვით მოძიებული ხატის შინაგანი წარმოდგენისა, რომელიც თითქოს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება გონებრივ განზომილებებს.

უსაზღვროდ ღრმაა ის სააზროვნო სივრცე, რომელსაც პოეტის წარმოსახვა გადაშლის. მეხსიერება და მოლოდინი, ორი ის ცნობიერი საწყისია, რომელთაც შეერწყმის სხვა გარემოებანი ფიქრისა. ამ განზავების ნაყოფია პოეტის სტრიქონები:

დუმს ძალი შენი სასწაულებრი —
გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი...
დამატყდა თავსა უგუნურება —
გარდამოვიდა სასჯელიც შენი!
დავკარგე ლარი მე უთვალავი
და სინანულთა ვიქეცი ვანად...
დამეხშენ ცანი და ქვეყანანი;
გაზაფხულისა დამექცნენ გზანი —
დუმს ძალი შენი სასწაულებრი...

პოეტის ამ ელეგიებში პიროვნების ფილოსოფიური თვითგანცდისა და სულიერ სფეროთა დიალექტიკის მძაფრი სურვილი ჩქეფს. მისთვის სწორედ ეს ნეტარი პროცესია მიწიერი არსებობის აზრისა და მშვენიერების მიმნიჭებელი.

თვით ყველაზე უფრო მარტოდმთქმელი და ინტიმური პოეტური ქმნილება თვალნათელი ნიმუშია ლირიკული გმირის მიწიერი და მარადიული სულის ფარული პოლემიკისა. მათში სიოსავით დაჰქრის ჟამი განწონვისა და ჟამი შეერთებისა — უსასრულო მე-სა და წამიერ არსებობას შორის. სხვათა შორის თვით პოეტური აზროვნების ფორმა წარმოადგენს საუბარს საკუთარ თავთან, წყებას კითხვებისა და პასუხებისას. მაგრამ ბუნებრივია აქ ფორმა არ მძლავრობს, რამეთუ უმაღლესია საზრისი, სული, მნიშვნელობა გრძნობისა. სულიერი ჭვრეტა განსაზღვრავს მის მთლიანობას, მისთვის მხოლოდ შეხებითა და შერწყმით არის შესაძლებელი მჭვრეტელისა და საჭვრეტი ობიექტის ერთობლიობა და საბოლოოდ კი წვდომა სულის მთლიანობისა. მე გავიხსენებდი ერთ ასეთ ხილვას პოეტისას:

ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი:

გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს
მკრთალად
და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი
კვალად —
წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა
ნება
და მაღალის მზის ამოხდომა კვლავ
მეუწყება...
ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი...

ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა არა ჩვეულებრივი, არამედ უმაღლესი სულიერი ჭვრეტის ნიმუში, რომელიც მხოლოდ გრძნობათა მაქსიმალური ძაბვით ამოიცნობა. ამიტომაცაა მის მიმართ მიდრეკილი მაღალგემოვნებიანი მკითხველის ცნობისწადილი. პოეტის ერთი წარმტაცი და ფრიად გრაციოზული განცდა მინდა წარმოვიდგინო:

„შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების",
ძალი მაღალი ყოველთა ძალთა...
მომმადლე შენი კვლავ ბრწყინვალება,
მომხვდეს ნათელი ყოველთა ნათელ!
შენის დიდების მე ვარ საყდარი!

პოეტური წარმოსახვის შესაძლებლობები და მისი განვრცობის არე ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია სიყვარულზე, ან მრავალმხრივი განფენილობით გამორჩეულ, განუსაზღვრელ და უსასრულო გატაცებაზე. წარმოსახვის ძალა და უნარი ხელაღებით ემორჩილება სიყვარულსა და შინაგანი დაჭანცურლობის რაღაც იდუმალ ხმას. პოეტის მთელ რიგ ლექსებში, იქ, სადაც სიყვარულის ძალა, ანუ ვნების აღმაფრენა უნაპიროდ ღაღია, ბობოქარია თვით წარმოსახვაც, ფერადოვანი და ერთგვარად თეატრალიზებული:

აყვავდა ჩემი სიხარულის ლამაზი ტოტი —
ზეცად მხმობელი...
დავხარე თავი ყვავილებით უცხოდ მკობილი
მშვენებისა მისის წინაშე...
მესმის ჩურჩული ქერუბიმთა ფრთათა
შრიალში:
— მალე, სულ მალე დაცვივიან ეგე
ყვავილნი,
უძლეველი ბრწყინვა რომ ჰქონდათ!
. . .
აყვავდა ჩემი სიხარულის ლამაზი ტოტი.

ხოლო იქ, სადაც დაქანცულობის დამთრგუნავი განცდა იქცევა პოეტური ამეტყველების „უხალისო“ იმპულსად, წარმოსახვაც იძარცვება ფერადოვანი ანტურაჟისაგან და მიმწუხრის დაღლილ სალებავებსღა ასხივებს. რაღაც მძიმე მოლოდინის სევდა განსაზღვრავს განწყობილების საერთო ტონალობას. ამ უსასოობით აღბეჭდილი სულის პეიზაჟის გამოვლენას წარმოადგენს პოეტის სტრიქონები:

აჰა, დამეხშო მე კარიბჭე, შენი მაღალი
შენს სხივთა ქვეშე წარმავლობას შენსას
ვჩიოდი...
არარაობა ცივი გულით მომეახლება
იმავ კარებით, სით მოყვასი შემოდიოდა.

დროდადრო პოეტის დამცხრალი მღელვარება სკეპსისის მომწამვლელი შხამითაა ნასაზრდოები. მგრძნობიარე გული პოეტისა საოცარი სიზუსტით აღნუსხავს შინაგან რყევებს და შესაბამისი სახიერებით ავლენს მათ აზრსა და მნიშვნელობას. მისი ქალური სინაზე და კდემამოსილება ცდილობს ლამაზი ჟესტით გაფანტოს და დააყუჩოს ემოციათა მკვრივი და მძაფრი პირველსახე. წარმტაცი „სამოსელით შემოსოს“ მათი გაშიშვლებული ვნებათაღელვა. თუმცა არსი მისი მწუხარებისა ყოველთვის ნათელი და უცვლელია, რადგან სწორედ იგია მისი ძალის ერთადერთი წყარო.

ბლოკის პოეზიაზე დაკვირვებამ ი. ტინიანოვი ერთ საინტერესო აღმოჩენამდე მიიყვანა: «И подобно тому, как в наиболее эмоциональном из родов театрального искусства — мелодрэме получает совершенно особое значение конец пьесы, ее разрешение, так и у Блока совершенно особую роль играет конец стихотворения.

В ранних его вещах конец повторяет начало, смыкается с ним — эмоция колеблется: дан эмоциональный ключ, эмоция нарастает — и на высшей точке напряжения вновь падает к нэчалу; таким образом целое замыкается началом и как бы продолжается после конца вдаль»

ბლოკის უდიდესი მცოდნის ეს აღმოჩენა ფრიად სიმპტომურია და საოცარი სიზუსტით წარმოსახავს არა მხოლოდ ბლოკის პოეტიკისათვის დამახასიათებელ ელემენტს.

ანალოგიური ნიშნითაა აღბეჭდილი ანა კალანდაძის ზემოთ აღნიშნული პოეტური ციკლის უმრავლესი ნიმუშები. მათი აზრობრივ-ემოციური განვითარებაც ამგვარი გზით მიიმართება და ბოლოს, ვითარცა მოულოდნელი ფინალი, „ეცემა“ დასაწყისისაკენ. ამგვარად იქმნება შთაბეჭდილება პოეტური განცდის დაუსრულებლობისა და მისი დაუმთავრებელი სიცოცხლის გაგრძელებისა.

პოეტის უმაღლეს აღმაფრენათა პოეტური ფრაგმენტები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ღვთაებრივი სიწმინდისა და ზნეობრივი იდეალების განცდის ადამიანურ შესაძლებლობებზე. ძლიერი, ღრმა და ინტენსიურია გასხივოსნების წამები, სულიერი თავისუფლებისა და გრძნობათა მაქსიმალური აღვსების ჟამი. ეს არის ჟამი მრავალგანზომილებიანი სიყვარულის უსაზღვრო ზეობისა, რომელიც საკუთარი ძლევამოსილების გამომხატველი გრაციოზული ჟესტით აერთებს ხსოვნას უსასრულო წარსულზე და დაუბოლოებელი შინაგანი სისავსის მოლოდინს. ერთ თავის ქმნილებაში პოეტი ასე გამოხატავს ხსოვნისა და წინათგრძნობის ძლიერ განცდას:

წამოვიწიე ცრემლის ტახტით —
ძახილი მესმა
და ჩამესახა სასო ახალი:
ის დაეშვება ვარსკვლავების
ბრწყინვალე ეტლით,
გაზაფხული უნდა მახაროს!

განცდის ეს გაელვებაც კი გვაუწყებს არსებულისა და იდეალურის ხელშესახებ კონტრასტს — ცრემლის ტახტისა და ჟრუოლის მომგვრელი გაზაფხულის უსასრულო სიშორეს. ღრმა არის მიზეზი მათი დაშორიშორებისა, რამეთუ წარსული აქ გააზრებულია ვითარცა უკვე შინაგანად გაცნობიერებული და დაძლეული სინამდვილე, რომელსაც უკვე აღარ ძალუძს ქმნა აღარავითარი ახლისა... ყოველი ცდა მხოლოდ ხელახალი გამოწვევაა ძველისა... ერთადერთი ქმედითი სხივი პოეტისათვის წინათგრძნობაა, რომელიც დიდი მოლოდინის იმედით ავსებს მის სულს.

შინაგანი სულიერი ლტოლვა უსაზღვრო, ბუნდოვანი „შორეთისაკენ“, ღრმა სიმძიმილი ჯერ განუცდელი და ბოლომდე გაუცნობიერებელი ბედნიერების მიმართ და იმავ დროს სავსებით ცხადი წინათგრძნობა — უსასრულო სიდიადისა და ნეტარებისა — აი ამ ციკლის ლექსების გამსჭვალავი რწმენის კონცეფცია, მისი საფუძველთასაფუძველი. რა სიცხადით შეიგრძნობა ყოველივე ეს თუნდაც პოეტის ამ ხატოვან ამოთქმაში:

შუაღამისას მოვიხილე წმინდა სავანე,
შუაღამისას მოვყევი მას ისევ და ისევ,
არ მიწიურის კავშირისთვის, არ მიწიურის,
არ მიწიურის გვირგვინისთვის,
არამედ... ცისა!

განუცდელთან ზიახლოებით განცვიფრებული, საკუთარ მდგომარეობას იგი პოეტური მონოლოგებით ავლენს, ენით უთქმელი ნეტარების სიხარულს აუწყებს მისკენ მიყურადებულ მკითხველს... შინაგანად სწუხს და იტანჯება, თუკი დროდადრო მკრთალდება ნანატრი მდგომარეობის განცდის სიმძაფრე. თუკი მიწიერმა ვნებებმა კვლავ თავისკენ მოიხმეს მშვენიერებაში მოლივლივე სული. ასე მიმოდის, ვითარცა მიწიერი ელჩი ცასა და დედამიწას შორის და გვამცნობს ჩვენთვის უჩვეულო სიმაღლეების სისპეტაკეს.

უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ,
დიდება შენი ქართაგან შლილა...
აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს
ქვეყანას ზედა და ცათა შინა...
იყო მაღალი შენი ციმციმი,
იყო ნათელი წიაღთა შენთა...
უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ,
ცათა შინა და ქვეყანას ზედა.

ეს არ არის, რა თქმა უნდა, გაუბედავი, სულის შემოფარგლულ შესაძლებლობათა საჭიროებიდან მომდინარე, ან, მხოლოდ უხეშ ხხეულებრივ გარსში დატყვევებული სულის უმწეო ძახილი.

იგი საზღვარდაუდებელი შემოქმედებითი ძალაა, საკუთარ თავისუფალი ქმედების სტიქიაში გაჭრილი, როდესაც იგი შინაგანად მზადაა უშურველად გასცეს ყველაზე უფრო ფარულ და ძვირფას გრძნობათა სისავსე და გაამხილოს სულიერი ცხოვრების უმაღლესი საზრისი.

●

როგორც ადრე აღვნიშნე, მისი პოეზიის მთლიანი განვითარება თითქოს ყოველთვის ითვალისწინებდა სულიერ განცდათა უკიდურესი სიღრმეების წარმოჩენის აუცილებლობას. ადრეულ პოეტურ ოპუსებში უკვე ფეთქავდა ფარული წადილი იმ ღირებულებათა აღმოჩენისა, რომელთა იდუმალი მნიშვნელობა ჩვეულებრივი თვალთახედვისათვის ღრმად იყო დამარხული. თვით ხილული სამყარო იძლეოდა ხოლმე მისთვის იმგვარი ფიქრის მასალას, რომელიც ანალიტიკური ხასიათის ძიებებისაკენ მიისწრაფოდა და სულის ნოყიერ საზრდოს ეძიებდა. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ მიახლოება იყო იმასთან, რასაც შემდეგ გათავისება და სულის საკუთრებად ქცევა უნდა მოჰყოლოდა. ხილულით გაკვირვება და ამ გაკვირვებით აღფრთოვანება მიაცილებდა მის ქმნილებათა საოცრად მომხიბვლელ ვანწყობილებებს. ინფანტილური ცნობისწადილი, სულისწარმტაცი ემოციებით [illegible]ლი ჩუმი ოხვრით გამოხატავდა [illegible]ნათა სიხარულს... და ასე იწერებოდა მცირე პოეტური შედევრები:

ნუ შეგაშინებს სიჩუმე ღამის,
ახლა მე გავშლი ჩემს ლამაზ ყვავილს
და შევუერთებ წყლის უხმო ლივლივს.
გადაფრინდება წყალზე ღამურა...
ო, ეს ლერწამიც როგორ ხმაურობს,
როგორ ირხევა ბანანის ჩრდილი...
ყოველი ფიქრებს მოუცავს თავისს...
როცა აანთებს ტალღებს ავრორა,
ზღვის წიაღიდან მზე რომ ამოვა,
მიესალმება ჩემს ლამაზ ყვავილს...

პოეტის სულიერი ნების ლირიკული გამოვლინებანი ბუნების მრავალფეროვანი სამყაროს ალქმას ესწრაფოდა. ისინი შინაგან კანონზომიერებათა იმ ფორმებს ამკვიდრებდნენ, რომელნიც ზნეობრივი იდეალების ესთეტიზაციას მიიჩნევდნენ უმაღლეს მოთხოვნილებად. მომხიბლავ ფიქრთა პლასტიკური მიმოხვრითა და შთამბეჭდავი კონფიგურაციებით ალბეჭდილი პოეტური სტრიქონები ალქმისეულ შესაძლებლობებს უფრო ბადებდნენ, ვიდრე მათი სრულყოფილი განსაზღვრისას. თუმც ისიც შესანიშნავად იგრძნობოდა, რომ პოეტის მიერ შემოთავაზებული ფერადოვანი განწყობილებები არ წარმოადგენდნენ ხატოვან, თუმც მაინც მშრალ აბსტრაქციებს. მათში სისხლსავსე, პირველქმნილი უშუალობის ძალუმად მფეთქავი ნერვი თიმთიმებდა და საოცარი ჟინიანობით ითხოვდა თანაგანმცდელის სითბოს. სხვათა შორის, ამ ტენდენციაში განსაკუთრებული ძალით ვლინდებოდა პოეტის ნოვაციური მხატვრული გრძნობის ფენომენი — ხილულისა თუ უხილავის სიღრმისეული მნიშვნელობის ამოზიდვა და მისი ჰაეროვანი ემოციების წარმტაცი სიმსუბუქით განხატება. თვით ზნეობრივი პრობლემატიკა, ეს უკომპრომისო და კატეგორიული ძალმოსილების ცნება მის ლექსებში კარგავს პათეტიკისა და მაღალი ირონიის ინტონაციებს და მაქსიმალურად დაუნჭებულ, სილამაზის თვალთახედვიდან განჭვრეტილ მღელვარებად გარდაისახება. ქმედებისა და სიმშვიდის, ენთუზიაზმისა და ჰარმონიის ბუნებრივი შერწყმაა მათი უჩვეულო მშვენიერების საფუძველი:

რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ,
უსიამოვნოდ რაღაცამ გამკრა...
და ყველაფერი გაქრა ჩემს ირგვლივ,
ო, ყველაფერი უეცრად გაქრა...
ალბათ, გგონია, მშვენიერებას
მე გულს გავუხსნი ყოველთვის მაინც?..
მალე დაგვტოვეს მზის ფერიებმა,
შენ ეშმაკებმა წაგილეს აიდს...

. . . . . .

რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ...

ამგვარი ტიპის მონოლოგების შინაგანი განცდა და რეალიზაციის ხარისხი, მიუხედავად ფილოსოფიური შეფერილობისა, არასოდეს კარგავს უკიდურესად ინტიმურ, ნდობის გამომხატველ ტონს და არ განიზიდება პირადული კონტაქტის გულწრფელი ატმოსფეროდან. გრძნობად-ემოციური გამოვლენის ღრმად ინდივიდუალური სტილისტიკა ადამიანთა უბიწოების ნათელ სურათებს წარმოაჩენს. გარეგნული ფორმისა თუ სააზროვნო მასალის მრავალფეროვნება არ გამორიცხავს ამ ქმნილებათა გაცნობიერებულ დამოკიდებულებას ერთმანეთთან. ისინი მეტ-ნაკლები ხარისხით აგრძელებენ პოეტის საკრალურ სათქმელს და თითქოს ერთ დიდ პოეტურ მონოლოგად გააზრებიან. ცვალებად სიტუაციათა ერთი მთლიანი მოზაიკა, საოცარი მშვენიერებით აჩენს შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრეს. აღსანიშნავი ის არის, რომ თვით უკიდურესად უბრალო თემატურ სივრცეს მისი მრავალსახოვანი ვარიაცია ანიჭებს განუმეორებელ სახეს. რამდენადაც არ უნდა იყოს შემოზღუდული წრე მისი გამოსახვის ფორმებისა, და უბრალო მეთოდები მისი მხატვრული ვარიაციებისა, პოეტი მაინც ახერხებს თავისი მაღალი ხელოვნებით, ემოციური სიმდიდრითა და განუმეორებელი გრძნობადი სიწრფელით აღბეჭდოს პოეტური მონოლოგები და მნიშვნელოვანი საფიქრალი დაუტოვოს მკითხველს.

ის, რაც მრავალი მისი თანამედროვისათვის მიზანია, მისთვის მხოლოდ საშუალებაა მთლიანი აზრის გამოსახატავად. ამიტომაცაა ღრმად ალეგორიული მისი მედიტაციები — ეს არის ტენდენცია, მიზანი და ხასიათი მისი შემოქმედებითი მანერისა. ეს ალეგორიის ის სახეა, რომელიც სიკეთისა და ბოროტების უსასრულო დაპირისპირების გამოვლენისაკენ ისწრაფვის და ამას სჩადის არა მხოლოდ მნიშვნელოვანის ჩვეულებრივი წარმოსახვით, არამედ მისი სიმბოლოდ გარდასახვის გზით. ხელშესახებადაა ეს ტენდენცია წარმოდგენილი მის ადრეულ ლექსებში. ვითარცა დიდი ფერმწერი, პოეტი მშვენივრად ახერხებდა იმ ემოციურ შუქ-ჩრდილთა შერჩევას, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენდა მხატვრის დახვეწილ ოსტატობას. მათი ჭვრეტა მკითხველის გონებაში არეკლავდა ღვთაებრივი მოვლენებისაგან გაცისკროვნებულ სიხარულსაც და სიმძიმილით ჯაცხადებულ გრძნობათა მდუმარებასაც. მათში თითქოს ყველაფერი იყო — წმინდა სიხარული თუ სიმსუბუქე, ნათელი ღიმილი თუ გულწრფელი ცრემლი, ამიტომაც იყო მისი ქმნილებების პერსპექტივა და კოლორიტი ოდენ ნათელმოსილი და გამჭვირვალე. რა საოცარი მუსიკალობითა და ფერთა შეკონებითაა აღბეჭდილი პოეტის თუნდაც ეს ლექსი:

შენ გგონია, რომ მოვიდა იგი?
ჩემი კაბაა, რომ საუბრო[illegible]

შენ გგონია, რომ... მისი ხელი შეეხო ჩემს
თმებს?
ო, აკაციის ყვავილია, ყვავილი მარტო...
ათრთოლებული მისი ხელი მოშორდა ჩემს
თმებს?
ო, არა, იგივ ყვავილია თმებზე ნათოვი:
წაიღო ქარმა, ნაპრალებში წაიღო ქარმა
და ღამეებთან უსასოოდ, მარტო დატოვა...

პოეტის ადრეულ მონოლოგებში, იდილიურ განწყობილებებს არასოდეს დაჰკრავდა უსაზღვრო სიმყუდროვით გამოწვეული შინაგანი განცხრომის სურნელი. იდუმალებასთან უცილობელი შერწყმის მოლოდინი თითქოს არასოდეს სტოვებს მის მაძიებელ ბუნებას და ამიტომაც ამოუცნობი მტანჯველი თრთოლვითაა ატანილი მისი თვით უმშვიდესი პასტორალური ხილვები. ამ ლექსებში, უცოდველობის ღრმა განცდით მფშვინავ გარემოს, პოეტის ცელქი და თავნება ნიავივით მოუსვენარი სულიერი თრთოლვა აფხიზლებს და არ აძლევს უფლებას გარინდების უსაზღვროებაში დანთქმისა. თრთოლვის ამ დაუოკებელ ჩურჩულში იბადება ბუნებრივი სისადავით აღბეჭდილი სწრაფვა სამყაროს ეთიკურ და ესთეტიკურ გამოსხივებებთან ჰარმონიული ერთიანობისა, რომელიც დაუშრეტელ წყაროდ უნდა იქცეს ახალი, ჭეშმარიტი ყოფიერებით, მაღალი სურვილებითა და შინაგანი თავისუფლებით გამორჩეული სიცოცხლისა.

როცა ნამიან ველზე გავივლი
ნამი ბალღივით მათრობს, მახარებს...
ქარო, მოიტა ატმის ყვავილი,
ქარო, ფოთლებიც შემომაყარე...
და, როგორც გიჟი, ო, როგორც გიჟი,
თმააწეწილი მოლი ხარხარებს...
ხეთ სამკაული მოიხსნეს შიშით
და ხელუკულმა შემომაყარეს...
და... მეც გავგიჟდი... ო, მე კი არა,
გული ხარხარებს, გული ხარხარებს...
და შენ, ქუჩაში რომ გაიარო,
ფოთლები წალმა შემომაყარე...

მის პოეტურ შთაგონებას, არცთუ იშვიათად სასაფლაოთა მდუმარე რომანტიკაც აკრთობდა. რადგანაც, ალბათ, ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ადამიანთა უსაზღვრო სურვილებისა და განცდების დამარხულ ამ საუფლოში, ყველაზე ცხადად იგრძნობოდა დროის ჭიდილთან დამარცხების სევდაცა და ღვთისგან ბოძებული წამიერი არსებობის მაღალი აზრიც. სასაფლაო — ვითარცა სიცოცხლის სრული განზომილების ღრმად სიმბოლური ნიშანი, როგორც მეტყველი გამოხატულება ფიზიკური ზეობის აბსურდულობისა და,

კიდევ, ოდენ ძალუმი მოწოდება უფრო მაღალ, სულიერ განცდებთან მიახლებისა, რომელთაც ხელეწიფებათ ოდნავ მაინც განაქარვონ არადქცევის მოლოდინის მოძალებული ტკივილი. ბუნებრივია ეს შეგონება ღრმად არის შეფარული ლექსის ტექსტუალური განცხადების მიღმა.

სასაფლაოზე ქარი დაძრწის სავსე კაეშნით.
დუმს სასაფლაო ქვის ძეგლებით,
ვით ძველი ქალდუ...
სასაფლაოზე ქარი დაძრწის და აკლდამებში
დაეძებს სადგურს...
ყვავნი სამრეკლოს გარს უვლიან და
თვალთა კრთომით
დაეძებენ მყუდრო სავანეს...
და ტირის თოვლი
ობოლთ სამარეს...

პოეტის ამ ტიპის მედიტაციებში ზოგჯერ უფრო ღრმა და მწარე ისტორიული გამოცდილების მოძახილი ისმის. წარმოსახვა მათში უფრო მასშტაბურია და ადამიანების წარუვალ ცოდვათა მონანიების მისტიური რიტუალი ცხადდება მხატვრული ხილვის საგნად. გარდაცვლილთა დამცხრალი ვნებათაღელვა თვინიერი მორჩილებითღა ავლენს საკუთარ უმწეობას უმაღლესი სამსჯავროს წინაშე. მრავალგანზომილებიან ამ სააზროვნო სიტუაციებში ადამიანის არსებობის მარადგანმეორებადი ფილოსოფიური საზრისი ვლინდება, თავისი დრამატიზმითა და ონტოლოგიური არსით.

ჩამოუქროლებს სასაფლაოს ძპძით
შებურვილს
ქარი ხორშაკი თვით მწუხარე ძაძით
მოსილი...
იქ ანგელოსი დაღონდება ფრთადაშვებული,
ცაც თავს ჩაკიდებს ანგელოსივით...
ქვის მაღალ ჯვარზე გულსაკლავად
კვნესის მესია
და ახმაურებს ხმელ ყვავილებს,
აშფოთებს ქარი...
კაცობრიობის დიდი ცოდვის გამოსასყიდად
იესოს ფეხთით სისხლი ღებავს ადამის
ქალას...

თემატიკური რეპერტუარის მრავალფეროვნებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა (და ახლაც განაპირობებს) ეროვნული განცდის ღრმააზროვანი გაცნობიერება და მისი გამოხატულების უჩვეულოდ თავშეკავებული მონოლოგები. მათში ვერასოდეს აღმოაჩენთ უაზრო აღტყინებათა ფრაგმენტებს, შიშველ ემოციათა ხელოვნური დრამატიზაციის ნიმუშებს, ესე იგი ყოველივე იმას, რაც შეურაცხყოფს და ამდაბლებს პოეტური ხელოვნების მაღალ დანიშნულებას.

სამშობლოს თემა ანა კალანდაძისათვის ყველაზე სათუთი და ძნელად დასაძლევი ტვირთია, რომლის გრანდიოზულმა სიმძიმემაც ბოლომდე უნდა დაღრიკოს, საკუთარი მიწის განუმეორებელი სურნელს აზიაროს და მხოლოდ ამგვარად განწმენდილს აზიდინოს მავედრებელი მზერა ქართული ცის უსაზღვრო სიღრმეებისკენ. მხოლოდ მაშინაა მისთვის შესაძლებელი გრძნობებისა და ემოციების იმ უნიკალური სიმართლით აღბეჭდვა, რაც ძნელად თუ მოეძევებათ პატრიოტის ლამაზ ფრთებმორგებულთ, რომელთა სივრცეში თხტატურად გაკეთებულ სალტო-მორტალეს, ზოგჯერ უაზრო თვალთახედვისათვის სასიამოვნოსაც კი, მხოლოდ ჯამბაზობის თვალთმაქცური იერი დაჰკრავს და ვერაფრით გარწმუნებს სამშობლოს ტკივილიანი განცდის უხმაურო გულწრფელობაში.

როგორ არ ჰგავს ანა კალანდაძის სევდა მავანთა წყლად ჩამომდინარე უხვ ცრემლთადენას, ჯილდოს დალოდინებულ მაღალ მკერდს რომ ასველებს და ახალი სამომავლო იმედებით ავსებს შორს გაჭრილ მზერას.

ლოცვასავით წმინდაა კრძალვით მომდინარე ლირიკული „ნაკადულები".

როდესაც მზეი თბილი სხივით მინდვრებს
შემოსავს
და ცვარნაპკური შეირხევა მთაზე მოცხარი.
ნინოს ნათელი დაადგება საქართველოსა,
ქვაბში ჩურჩულით გადაიწერს პირჯვარს
მოძღვარი...

საოცრად ბევრს ეუბნება, საკუთარ ტკივილში ჩაძირული ეს უჩუმარი სუნთქვა ქართველის სულს. იგი ისტორიული მეხსიერების საკრალიზაციაცაა და იმედის ცხოველი განცდაც, ამ ლექსში წარსულის ჭვრეტის იდუმალება ისეთ სულიერ ღირებულებას ეფინება, რომლის რწმენისეულმა ძალამ და შეუვალობამაც არ შეიძლება საპასუხო ემოცია არ გამოიხმოს და შინაგანად არ გამოაღვიძოს ეროვნული ცნობიერება. თურმე რა ცოტა და იმავ დროს რა ბევრია საჭირო დადუმებული სულის ასამოძრავებლად. რა დიდი ინტუიციური ძალმოსილებით უნდა იყოს დაჯილდოებული ხელოვანი, რომ მიუახლოვდეს და ხელი შეახოს იმ ღრმად შეფარულ სიმებს, რომელთა თვით უხმაურო ჟღერაც კი საპასუხო გამოძახილს იწვევს ქართველის სულში. ანალოგიური ძალითაა აღბეჭდილი პოეტის არა ერთი და ორი პატრიოტული მედიტაცია. დაუცხრომელი სულისკვეთებითაა მათში მოძიებული ის არსებითი და მნიშვნელოვანი, რამაც უცილობლად უნდა შეარხიოს ეროვნული ნერვი და შინაგანი ღირსების ღრმა შეგნებით აანთოს მინავლებული რწმენის ნათელი.

შედარებით სადა ხატოვნება ამ ლექსებისა, თითქოს უფრო უკეთაც კი აჩენს პოეტის სუ-

ლიერ სიღრმეს, რომლის სუნთქვის მასშტაბუ-რობა და დაუშურველად სხივჩამდგარი ნა-თელი სულაც არ საჭიროებს ფერწერული სა-ღებავების აბობოქრებულ ცეცხლოვანებასა და მგზნებარე ფანტაზიის მოულოდნელ ვარიაცი-ებს. იგი საკუთარი უბრალოების ღრმა შეგნე-ბითაა ამაყი და ღვთაებრივ განცდასთან ნაზი-არები. სხვა ყოველივე ყალბი ფერადოვნებაა მისთვის, რომელიც არასოდეს ეკარება მის უაღრესად მკვრივად შეკრულ პოეტურ სულს. მხოლოდ მისი სიღრმიდან ამომავალ განცდებს ეძლევათ უფლება არსებობისა და ისინიც, ვი-თარცა ულამაზესი ზმანებები დროდადრო ევ-ლინებიან ქართულ სამყაროს:

ამ უკაცრიელ კლდეთა კალთებზე,
ამ ბამბისქულა ღრუბლებში თითქოს
ლალადებს ვილაც... ვინ დამაჯერებს,
იქ ზენათაგან არავინ იყოს?
იდუმალების ბურუსით მოცულთ
მიუპყართ ყური, ო. თქვენც მიხედეთ, —
სამარადისოს ჩურჩულებს ვილაც...
გორიდან თითქმის უფლისციხემდე!

გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ, ჩემი აზრით, ანა კალანდაძისათვის ასე ორგანულად და ღრმად გაცნობიერებული მინიშნებების პოეტიკა უფრო შორსმიმავალ და ამდენად სიცოცხლისუნარიან ფიქრებს აშლის ხოლმე, ვიდრე უშუალო მიმართვის ფორმა, როდესაც ობიექტი თაყვანისცემისა (ამ შემთხვევაში სა-მშობლოს ხატი) ქვეტექსტის გარეშე ამოიცნობა და რეალური სახით წარმოდგება. ეროვნული პატრიოტული ლირიკით განებივრებული ქა-რთველი მკითხველი ამ ტრადიციული თემა-ტიკის იმგვარი წარმოსახვისაკენ უფრო ილტ-ვის, რომელიც ღრმა სიმბოლური შრეებით ტვირთავს მის ბევრის აღმქმელ გონებას და უღვიძებს ძიებისა და აღმოჩენის სურვილს. შეუძლებელია ეროვნულით გამსჭვალვის ადამიანური ცნობისწადილი არ გაალვივოს პოეტის სტრიქონებმა.

და განფენილა მხურვალე მიწა,
და განფენილან მხურვალე ცანი...
კლდეს შეფარვიან ანგელოსები:
და ხვატისაგან დაეწვით ფრთანი...
დგანან მაშვრალნი წყლის სავუბართან...
ალბათ... დავითი და ლუკიანე...

გრძნობების ღრმა თავისთავადობა და ფან-ტაზიის იდუმალი მინიშნებები მკითხველში ოცნებათა იმ ვრცელ სამყაროს აცოცხლებს, რომელიც გმირულ ეპოქათა მონუმენტური ხა-სიათებისა და შთამბეჭდავი პეიზაჟების რომა-ნტიკულ განცდას ჰბადებს.

შიომღვიმისა თუ ბეთანიის, უფლისციხისა თუ გარეჯის, იყალთოსა თუ ოშკის ისტორი-ულ სავანეთა მწუხრით, იდუმალებითა და ში-ნაგანი სიდიადით შეფერილი წარმოსახვები, წარსულის პოეტური გააზრების საკმაოდ ილუ-სტრაციებს წარმოადგენენ. ეროვნული თემა-ტიკის ამ ფრიად მნიშვნელოვან ნაკადს არსე-ბითი ხასიათი აქვს და ამიტომ იგი, ალბათ, უფრო გულდადინჯებულ დაკვირვებას მოით-ხოვს.

მშობლიურ მიწაზე, თითქოს მარადიული დუმილისათვის განწირულნი, ისინი (ისტორი-ულ ძეგლებზეა ამ შემთხვევაში ლაპარაკი) ცივი გამომეტყველებითღა ამჟღავნებენ გარ-დასულის განუმეორებელ სუნთქვას. გონის განსაკუთრებული სიღრმე და ემოციური გა-მომსახველობის არაჩვეულებრივი უნარია სა-ჭირო, რომ ეს სივრცობრივი ჰარმონია საკუ-თარი სულის მაღალ სამრეკლოდ წამოიდგინო და განუცვიფრებელი მშვიდი პათეტიკით მკი-თხველს ამცნო საკუთარი გულის ჭამოძახილი. ეროვნულ ძეგლთა მარადიული ერთფეროვ-ნებით აღბეჭდილი სიმყუდროვე და ღვთაებ-რივი განდეგილობა, თითქოს მიწიერი განცდით ამეტყველდა, შორეული შთამომავლის ნებას დაჰყვა და გულწრფელად გადაშალა ამაყად მდგარი კედლების სევდაცა და ტკივილიც. ბი-ბლიური აღწერილობის მსგავსად, პოეტის ამ მშვენიერ ქმნილებებშიაც მთლიანის ერთი არ-სებითი ნიშანია წარმოჩენილი, მაგრამ სწორედ იგი შესძრავს ხოლმე ჩვენს წარმოსახვას და სრული სისავსით წარმოგვადგენინებს პოეტუ-რი აღტაცების მაღალ საგანს.

ბევრი წყარო და ბევრი ხევია
ბეთანიამდე,
სადაც სანთელი მარადისობის
იწვის ნიადაგ,
სად დიდებული მეფეთ-მეფე დგას
ხელაპყრობილი,
რომ ქართველობას ისევ მაღალი
აზრი მოჰფინოს...

პოეტის ამ მონოლოგში გრიგოლ ორბელი-ანის უსაშველოდ დიდი საწუხარიც ფეთქავს, საწუხარი ზოგადქართული და აროდეს დასა-ვიწყებელი.

საოცარი ის არის, რომ წარსულის ამ საკ-რალურ სიმბოლოებთან მიახლების თრთოლვა ზოგჯერ განწყობილების იმგვარ უშუალობას ავლენს, რომლის ემოციურმა ხიბლმაც არ შეიძლება გულგრილი დატოვოს მკითხველი. ადამიანური შეძრწუნებისა და გაოცების გრძნობა ახლებური სუნთქვით ავლენს წარსუ-ლის წინაშე კრძალულებასა და თაყვანისცემას. პოეტური მაღალი ხელოვნების ეს გამოვლენა შესანიშნავად სახიერდება მრავალთა შორის ერთ ბრწყინვალე განწყობილებრივ გაელვება-ში:

რკინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...

სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?

ბევრის მთხრობელია წვდომას დაწაფებული პოეტური წარმოსახვისათვის ბუნების მფარველ კალთას შეფარებული ეროვნული რწმენის მატერიალური გამოხატულებანი. მისი ხილვა მოგონებებისა და გრძნობების იმგვარ იმპულსს იძლევა, რომელსაც ძალუძთ მაღალი შემოქმედის მხატვრულ შესაძლებლობათა სრული წარმოჩენა.

„თუ პეიზაჟი შიშველი, გაცრიატებული და გაუდაბურებული გეჩვენებათ, აზიდეთ მის ცენტრში სოფლის ჩვეულებრივი სამრეკლო და იმავე წამს გაცოცხლდება ყოველივე: ირგვლივ ყოველივე შობს აზრს მწყემსსა და მის სამწყსოზე, მგზავრის თავშესაფარზე, მომლოცველის მოწყალებაზე, ქრისტიანულ შეთვისებასა და ძმობაზე... რამდენადაც უფრო კეთილმსახური იყო ეპოქა, რომლის დროსაც შეიქმნა არქიტექტურის ძეგლი, მით უფრო გვთრგუნავს მისი სიდიადე და კეთილშობილება“. შატობრიანის ამ მოსაზრებაში ჭვრეტის ქრისტიანული არსი წარმოისახება, რომლისთვისაც ცისკენ აღმართულ რელიგიურ ისარს ღრმად სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ბუნებრივია, თანამედროვის თვალთახედვა განსხვავებული აზრობრივი რაკურსით გაიცნობიერებს ღვთის მიწიერი სახლის მართლაც შთამბეჭდავ კონტურებს და მას ისტორიულ-ზნეობრივი კატეგორიის გამოხატულებად წარმოიდგენს. სწორედ ეს ასპექტია გათვალისწინებული პოეტის იმ ლექსებში, რომელნიც საყდრული მყუდროების სივრცეს წარმოიდგენენ მღელვარე ცხოვრებისაგან დროდადრო განსარიდებელ ალაგად, სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისა და დიდი იმედის სიმბოლოდ, რომელმაც უნდა განუმტკიცოს რწმენა ჯერ კიდევ საძირკველმოურღვეველ ეროვნულ სულისკვეთებას:

იყალთოს კედლებს ადგას ნათელი:
აქ მოღვაწებდნენ დიდნი ქართველნი...
დღესაც გვირგვინი გვახურავს მათი...
აქ ყურს ესმოდა ძვირფასად მკული
ტკბილი ქართული — ცხოველი გული
ჩემი ქვეყნისა და შარავანდი!

მონუმენტური ხასიათების ვრცელი გალერეაა განსახოვნებული ანა კალანდაძის პოეტურ ხილვებში. მათი სასწაულებრივი მოწამეობის მაღალეროვნული ხასიათი ის წარუშლელი გაკვეთილია, რომლის სრულყოფილმა წარმოდგენამაც მხოლოდ განცვიფრების გრძნობა უნდა დაბადოს თანამედროვის სულში. სწორედ ამ მაღალაზროვანი განცვიფრების რომანტიკული ორნამენტაციისაკენ იხრება პოეტის მხატვრული გემოვნება. გმირი — არა როგორც ისტორიის ფურცლებიდან გამოსული მოხხანება, ან, უკეთეს შემთხვევაში მოწყალე და მფარველი სულის განსახიერება, ძლიერიცა და მოუდრეკელიც, არამედ ადამიანური ვნებებითა და მომავლის ნისლოვანებაში მზერაგაჭრილი, ფიქრით თვალამოღამებული წინაპარი.

●

ანა კალანდაძის პოეტური განცდების თვალსაწიერი გარესამყაროს მრავალფეროვნებით ტკბობას ეძლეოდა. არ იყო სფერო ემოციური აღქმისა, რომლის პოეტურად გარდასახულ მშვენიერებასაც არ ეპოვა ნავსაყუდელი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. თუმცა ისიც საცნაური იყო, რომ გარესამყაროსაკენ მიდრეკილი მზერა თანდათანობით საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ იკვლევდა გზას.. დროის ჭიუტ მდინარებასთან პირისპირ მდგარი. და წარმავლობის ულრმეს იდუმალებასთან განდობილი იგი შეეცადა იმ მაღალი, ბედის წინაშე მუხლმოუდრეკი, თითქოს ყოველივე მიწიერისაგან განწმენდილი და ნათლით მოსილი მშვენიერების წარმოსახვას, რომელიც ზნეობრივი სიკეთითაა სურნელქმნილი. დგებოდა ჟამი იდუმალებასთან პირველი პაემანისა.

ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის
ვარსკვლავო,
ნუ მიახლოვდები:
ხომ ხედავ, შიშისგან მიწაზე გართხმულან
კვლავ ჩემი ტოტები...
ო, ნულა შემიქცევ კვლავ ბედნიერების
ყოველი წამით...
— რას ამბობ, ეს არის... სხვა იდუმალებით
ავსების ჟამი!
— ნუ მიახლოვდები, შენ იდუმალებავ,
ნუ მიახლოვდები!

ქვეცნობიერის ჯერ სუსტად მფეთქავი იმპულსი, თანდათანობით იძენდა ძალმოსილებას და ეუფლებოდა მისი მხატვრული წარმოსახვის მთელ სივრცეს. ყოველდღიურობის განცდას, თითქოს აღარ შეეძლო დაედუმებინა საკუთარი სულის სიღრმიდან დაძრული თრთოლვის სიამე, რომელიც უჩვეულოდ წარმტაც ჰანგებს გამოსცემდა. დროისა და სივრცის განზომილებიდან შორს გატყორცნილ ვნებათაღელვას სულიერი მდგომარეობის თითქოს ის წამი უნდა აღენუსხა, რომელიც გრძნობათა მთელი სისავსითა და განცდის უკიდურესი ინტენსივობით გამოასხივებდა პოეტის სიცოცხლის უმაღლეს აზრსა და მშვენიერების სათავეს. ამ ნეტარების გამოვლენა თუა მისი აღფრთოვანებული სტრიქონები:

უცხო ტაბლაზე, აჰა, პურნი შესაწირავნი
და აჰა, ზეთი... დგანან ირგვლივ ჩუმი
ლანდები...
და... უცებ... ვარდის კრეტსაბმელის ჩუმი
შრიალი
და ჩემს წინაშე... სიხარულის
გამოცხადება...
გალობენ სადღაც და ვიღაცის ციმციმებს
ცრემლი...
სული ნათელი სასოებით ივსება ჩემი...
თეთრია მისი მოსასხამი თეთრად
მბრწყინავი...
უცხო ტაბლაზე, აჰა, პურნი შესაწირავნი...

●

და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ანა კალანდაძის პოეტური სამყარო გათანგული და შეძრულია სიყვარულის ღვთაებრივი განცდით. მისი უნაზესი სულის წმინდა საყდარი სწორედ სიყვარულის მოციაგე სანთლითაა სხივფენილი და იდუმალი შუქ-ჩრდილებით მოხატული.

ბუდისტებს ერთი ასეთი ლეგენდა ჰქონიათ. საკია-მუნი, მრავალი წელი განუძრევლად ცისკენ მზერამიბჯენილი და მიწისკენ არმხედი, დაყუდებულა უდაბნოში. იგი მარადისობას ჰვრეტდა და ახლოსაც იყო ნირვანასთან. ზეაპყრობილი ხელები გაუძვალდა, და მაშინ, რახან იგი ქვა ან ხე ეგონათ, მის ხელისგულებში მერცხლებმა ბუდე გაიკეთეს. ისინი ყოველ გაზაფხულზე მოფრინდებოდნენ ხოლმე მასთან, მაგრამ ერთხელ გაფრინდნენ და მეტი აღარ დაბრუნებულან. და მან, ვინც თავისთავში ჩაკლა ყველა სურვილი და ნება, ვინც არ იტანჯებოდა და არ ფიქრობდა, ვინც იძირებოდა ნირვანის ნეტარ სიმშვიდეში და ვისიც თვით ღმერთებსაც კი შურდათ — იხილა რა მერცხლების გაუჩინარება, მათზე ატირდა. ასეთია ადამიანური გული: მას არ ძალუძს მიაღწიოს სრულ სიმშვიდესა და სიბრძნეს, რამეთუ მას არ შეუძლია არ უყვარდეს და ვინ იცის, ხომ არ არის მისი ეს სისუსტე მისივე უდიადესი ძალა (დ. მერეჟკოვსკი).

გაივლის დრო და მისმა ულმობელმა მდინარებამ შესაძლოა დღეს ბრწყინვალებით მოსილი ბევრი რამ ნანგრევებად აქციოს. გინდა დაიჯერო, რომ ამ ნანგრევებზე ბუნება მაინც აღმოაცენებს ლამაზ ყვავილებს, რომელთა შორის იქნება ერთი, მორცხვად თავდახრილი, ყველასაგან გამორჩეული და წარმტაცი ოცნებებით გაბრუებული, რომლის უჩუმარ ბუტბუტსაც, მასთან შეხუმრებული ნიავი აიტაცებს და აბიბინებულ მინდორს უცნაურად საყვარელ სიტყვებს გადააფენს:

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა
ყანამა,
მით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის
იავნანამა...
ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქია აფრიდონიძე

# „ცათა მაღალთა მადლი“

არამცთუ ზუსტად, მიახლოებითაც კი არ ვიცით, რამდენი ლექსი აქვს დაწერილი ანა კალანდაძეს (ბოლო, შედარებით სრული გამოცემების შეჯერების საფუძველზე მათი რაოდენობა 700-მდე ლექსით შეგვიძლია განვსაზღვროთ). ამ გაურკვევლობას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ მრავალი სხვა თანამედროვე პოეტის შემთხვევაში ეს რაოდენობა ცნობილია ხოლმე ნაწერ-ნაბეჭდის პირდაპირპროპორციულობის გამო (მათგან ცოტა როდია ისეთი, პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში რომ უნდა დარჩენილიყო) არაერთგზის შენიშნული ორგანული კავშირი ანას ენისა ძველ ქართულთან სხვა ანალოგიასაც წარმოშობს: როგორც „შუშანიკის წამების“ დახვეწილი ენა, სხვა მტკიცებათა უქონლობის მიუხედავად, გვავარაუდებინებს სალიტერატურო ქართულის უფრო ხანგრძლივ ისტორიას, ვიდრე ის დოკუმენტურადაა დადასტურებული, ისე ანა კალანდაძის ლექსების ხარისხი ეჭვმიუტანლად მოწმობს შედევრების შემამზადებელი სტრიქონებისა თუ მთელი ლექსების უხვად არსებობას. უკვე აქ იჩენს თავს უპირველესი ნიშან-თვისება ანა კალანდაძისა, როგორც პიროვნებისა და პოეტისა: თავშეკავებულობა და გემოვნება — ურთიერთგანმსაზღვრელი და ერთმანეთისაგან გამომდინარე. ამ თვისებების გამო არც ხარვეზიანი წლებია ანა კალანდაძის შემოქმედებისათვის სახიფათო სიმპტომი. პირიქით, ეს წლები აუცილებელი სულისმოთქმაა ახალი ალმართის ასავლელად, ასასხლეტი ყოვნაა, წინსვლისათვის ბიძგის მიმცემი. ამ თვისებებში გაცხადებული ანა კალანდაძის მრწამსი — უსმინოს პოეზიის ერთადერთი კანონის ხმას.

ანა კალანდაძის პოეზიაში ერთმანეთთან გადაჯაჭვულია მარტოსულობა და პოეტის უდიდესი პასუხისმგებლობის ბოლომდე უთქმელი განცდა, ადამიანური, მიწიერი სურვილები და მათი დამთმენი სასოწარკვეთილი სტოიციზმი; პარადოქსულადაა შერწყმული მორიდებულობა და სიამაყე, გულახდილობა და გულდახურულობა, სიწრფელე და შეუვალობა. პოეტის ლექსებში ეს თვისებები იმდენად კი არ მონაცვლეობენ, რამდენადაც თანაარსებობით გულისხმობენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. სწორედ კეთილშობილი თავშეკავებულობისა და ზომიერების გამოა, რომ პოეტის ეს განცდები მკითხველისათვის არასდროს შემაწუხებელი არ არის: იგი ხან იმ მხუბუქი სევდის სახით არის მოწოდებული, ქარის მიერ მოტაცებული ან მაჟახელას წყალს გაყოლილი ფოთოლი რომ აღძრავს, ხან სიამაყითა და შეუვალობითაა დაძლეული („არ კვნესის, არ მოთქვამს გული ქვადქცეული“), ხან კი გასულიერებულ ბუნებასთან გულამაჩუყებელი საუბრითაა დამშვენებული. ამიტომ მკითხველის თანაგრძნობა მუდმივი თანმხლებია ანა კალანდაძის ლექსებისა. მაგრამ ამ საიდუმლოს გახსნა არა მარტო ფაქიზ სახეებსა და დახვეწილ ენაშია საძებარი, არამედ თქმა-უთქმელობის მიჯნის ფაქიზადვე განჭვრეტაში. „გრძელი სიტყვის მოკლედ (და, ამასთანავე, მინიშნებით) თქმაში“ ანა კალანდაძემ დაუძლეველ სიმაღლეს მიაღწია.

ხოლო თუკი მკითხველთან ურთიერთობას ვიგულისხმებთ, პოეტის მხრივ ერთგვარ დაუნდობლობასაც კი შევნიშნავთ, — იმ აზრით, რომ არცთუ იშვიათად აუხსნელი რჩება „ბევრი ქარაგმა“. მაგრამ, როგორ პარადოქსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ დაუნდობლობას უნდობლობა კი არა, სწორედ მკითხველისადმი დიდი ნდობა კვებავს. შთამაგონებელი სახეებისა და ლექსის მაჰიპნოზებელი მუსიკის ერთმანეთში არევით ანა კალანდაძე თავის განწყობილებათა ზუსტ ტალღაზე ათავსებს მკითხველს, რათა შემდგომ იგი ოცნებათა ზღვაში შეაცუროს ან უკიდეგანო ოკეანეში გადაისროლოს...

მაგრამ ნათქვამი მხოლოდ მაშინ შეიძლება მართალი გამოდგეს, თუკი ნამდვილად მკითხველთან ურთიერთობას ვიგულისხმებთ. ჩვენ კი, როგორც რიგითი მკითხველი, ანა კალანდაძისათვის დამახასიათებელ ბოლომდე უთქმელობაში ერთგვარ თვითდაცვის ინსტინქტის მოქმედებასაც ვხედავთ (შდრ.: „მაშ... დუმილი რაა, ხანგრძლივი და მწველი? — გულგატეხისაგან დამცველია ჩემი“). პოეტის ლექსები ჩვენ იმ დღიურებს გვაგონებს, რომელთაც უცხო თვალის შესწრება ემუქრება, რის გამოც სათქმელი შუა გზაზეა შეწყვეტილი. და ამ მხრივ ანას ლექსები თავისი სტაბილური პერიოდული გამოსხივებით, — თუ ბანალობაში არ ჩამოგვერთმევა ეს შედარება, — მისსავე ციცინათელებს ემსგავსება.

ანა კალანდაძის პოეტური აზროვნების სტილისათვის ნიშანდობლივია სწრაფვა მარადიული ზნეობრივი პრობლემებისადმი. მათი გააზრებისას და მხატვრულად დამუშავებისას პოეტი ხშირად იშველიებს როგორც ბიბლიურ სიუჟეტებს — ძველი და ახალი აღთქმიდან, ისე ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ და საისტორიო მწერლობას. პოეტის შთაგონების მასაზრდოებელი გამხდარა ძველი და ახალი ცივილიზაციების, სხვადასხვა რელიგიების მატარებელი ხალხების ისტორიულ-კულტურული მონაპოვრებიც. ამიტომაა, რომ წარსულისაკენ მზერა მხოლოდ ბავშვობის ნაჩვევობაზე დაფუძნებული პატრიოტის ან ცნობისმოყვარე ტურისტ-მოგზაურის მზერა არ არის. სამშობლოს სიყვარული განცდილია ეთიკურ მრწამსად, როგორც ეს შეეფერება, ერთი მხრივ, მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში შობილს, მეორე მხრივ კი — მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხის რჩეულ შვილს, რომელმაც კარგად იცის, საიდან მოდის და „ვისი გორისაა“ და, თუნდაც არ იცოდეს, „გზა საით არს“ წასავალი, ის მაინც იცის, საით არ ეგების წასვლა. აი, სწორედ აქ იწყება ქართველობის და, განსაკუთრებით, ქართველქალობის მძიმე ტვირთი, რომელსაც ანა კალანდაძე ღირსეულად და სტოიკური გამძლეობით ეზიდება.

არა გვგონია შემთხვევითი იყოს, რომ ანა კალანდაძემ, როგორც პოეტმა, თავისი ზნეობრივი არჩევანი პირველი წლების ლექსებში-ც განსაზღვრა, როდესაც შექმნა ნამდვილი შედევრები საქართველოს წარსულის ოთხ გმირ ქალზე — წმინდა ნინოზე, შუშანიკ დედოფალზე, თამარ მეფესა და ქეთევან დედოფალზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოეტური შემოქმედების დასაწყისში, მის კარიბჭესთან მდგომ ახალგაზრდა პოეტს ეს „მარად ნეტარნი დედანი“ სულიერი მხნეობისა და ცხოვრების ნათელი მაგალითის მიმცემად ესახებოდნენ. და ამიტომ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ჭერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ოცდაორი წლის ანა კალანდაძე თავად იწყებს ბრძნობას და მოძღვრავს მის შემდგომ [illegible]:

ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი,
მოყვარე,

გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა.

მართალია, ანა კალანდაძეს არც ერთი ლექსი არ დაუწერია უშუალოდ პოეტის დანიშნულების შესახებ; ხალხის სამსახურში ჩამდგარი მწერლის პროგრამაზე საუბრისას ანასეული სტრიქონები ვერ დაგვემოწმება (თვით სიტყვა „პოეტი“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება ანას პოეზიაში, „მგოსანი“ კი — ორსამჯერ და ისიც ბულბულის სინონიმად). „ერის წინ წარსაძღოლად ღმერთთან ლაპარაკი“, „ქარიშხალთან და სისხლიან ანგელოსთან დგომა“, „გარემოების საყვირის“ როლი ანა კალანდაძეს არ უკისრია, მაგრამ მისმა შთაგონებულმა პოეზიამ მშობელ ხალხს უმაღლესი ზნეობის გაკვეთილები მისცა, რამაც ანა კალანდაძე მისი სახელოვანი წინაპრების ღირსეულ მემკვიდრედ აქცია. ზემოთ აღნიშნული ნაწარმოებები და პოეტისეული ცოცხალი განცდა მაცხოვრის ჯვარცმის მისტერიისა ერის ცოდვათა მტვირთველი პოეტის ბედის არცთუ შორეულ გამოძახილად უნდა ვიგულოთ („დროდადრო ჩვენს გზას შეგვახსენებს ეკლიანს ღმერთი“). მოყვასისათვის პასუხისმგებლობის განცდა ძლიერი მუხტი შეიქნა ანა კალანდაძის შემოქმედებითი პროცესისათვის. ერთ-ერთ ლექსში „წმინდა ცრემლის“ სახე სიკეთის მძებნელ მკითხველს უთუოდ აღუძრავს ასოციაციას ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილის პირით გამოთქმულ იმედთან ძმათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების თაობაზე...

ძველისძველი, მარადიული აზრები და გრძნობები, ციკლური წესით დატრიალებულ-განმეორებული ისტორიები და ხასიათები პოეტის მუდმივი ჭვრეტისა და ინტერესის არეშია. შორეულ წარსულში ანალოგიების ძიება და მიგნება თავისი ჭკუის სასწავლებელი შედეგებით ისტორიკოსის კვლევის ძალას იძენს. ოღონდ ნიშანდობლივია ისიც, რომ ეთიკურ დონეზე პარალელებისა და ანალოგიების ძიებას პოეტი უპირატესად სულიერი კრიზისის ჟამს და მის დასაძლევად მიმართავს, რამდენადაც ჰირთათვის ფილოსოფიურად მაცქერალი პოეტისათვის საფრთხის წინაშე ინსტინქტური შიში და ძრწოლა, ხელჩაქნეულობა მიუღებელია („— თქვენ რომ შხამს ანთხევთ, თქვენი წესია, მე რატომ უნდა დაგილოთ თავი?“).

დროთა კავშირის ამგვარ განცდას პოეტმა შესაფერისი, სრულიად განსაკუთრებული ენობრივი გამოხატულება მოუძებნა, როცა ცოცხალ, განვითარებად საერო (და საერთო) ენას ძველი ქართული ენის ძლიერი ბურჯები შეუყენა. სათქმელის სამსახურში ჩაყენებული

ძველი ქართულის ელემენტთა ფაქიზი დოზირებით ანა კალანდაძემ სრულიად თავისებური, უნიკალური და უნივერსალური ენა შექმნა.

მაგრამ ანა კალანდაძისათვის ძველი ქართული მხოლოდ გარდასულ დროთა საილუსტრაციოდ და კოლორიტის შესაქმნელი ორნამენტი როდია (რაც ესოდენ დამახასიათებელია, მაგალითად, ისტორიული რომანებისათვის). იგი უფრო კლასიკური ენის განმასახიერებლად გვევლინება, ოღონდ კლასიკური — არა მკვდარი ენის გაგებით, არამედ იმ ენისა, რომელზედაც იქმნებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკური ძეგლები, „საღმრთოდ გასაგონი“ ნაწარმოებები — ქრისტიანობის გარიჟრაჟიდან მოყოლებული ვიდრე „ვეფხისტყაოსნამდე“. და ეს ენა უკან დახევა კი არ არის, არამედ განვითარება და წინსვლა, ოღონდ არა მხოლოდ და არა იმდენად მომავლისაკენ, რამდენადაც დასაბამისაკენ, — იმ აზრით, რომ დასაბამიდან ანუ „პირველითგან იყო სიტყუა“. ამ სიტყვასთან — ლოგოსთან შერწყმისაკენ ლტოლვა ისეთივე ძლიერია ბოლო წლების ანა კალანდაძისათვის, როგორც ადრინდელისათვის იყო დაუოკებელი სწრაფვა ბუნების სტიქიასთან შერწყმისადმი.

ამ ორგანულმა ენობრივმა ნაერთმა ჯადოსნური სულის შთაბერვით, პიგმალიონის უცხო ნახელავის დარად, შექმნისთანავე დამოუკიდებული სიცოცხლე შეიძინა და თავისი შემდგომი ბედი თვითონვე განისაზღვრა. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს უნივერსალური ენა თავად გახდა ერთგვარი ბიძგის მიმცემი უკანასკნელი წლების მოტივებისათვის. და თუ ეს ასე არ არის, მით უფრო მისნურია და წინასწარმეტყველური, მით უფრო მშვენიერია თავისი გულთამხილაობით წარსული ლოდინი ფორმისა და შინაარსის, სათქმელისა და სამოსლის მომავალი შეხვედრისა.

უკანასკნელი წლების უსათაურო ლექსები, რომლებიც ფსალმუნთა თუ საგალობელთა კრებულს უფრო მოგვაგონებს, „ზეშთა“-სთან შერწყმისა და მის საიდუმლოთა ზიარებისადმი სწრაფვის მიმანიშნებელია. ეს ლექსები გარეგნული ნიშნებითაც ერთიანდებიან: იზრდება ძველი ქართულის ლექსიკისა და გრამატიკული არქაიზმების ხვედრი, მცირდება ადრინდელი ლექსებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული სახეები თუ ხატები. სახელთა შორის ჭარბობს აბსტრაქტული სახელები (*სიხარული*, *სახოება*, *მწუხარება*, *ბედნიერება*, *მშვენიერება*...), სემანტიკა კი თავს იყრის სინათლისა და მისი გამოვლენის გამომხატველ სიტყვებთან: *მზე*, *ხხივი*, *ვარსკვლავი*, *ნათელი*, *წმინდა*, *ბრწყინვა* და ა. შ. შორისდებულებში ჭარბობს *აჰა* და *ჰა*, რომლებითაც ხშირად იწყება ამ პერიოდის ლექსების უმრავლესობა. მათი ხშირი მხოლოდ მარცვალთარაოდენობის სქემებით არ უნდა იყოს გამოწვეული: აქვე — ძველი ქართული ლექსიკის მიუცილებელ კომპონენტად უნდა ვიგულოთ, განსაკუთრებით, ასოციირებულ ფსალმუნთა ილუზორულ დასაწყის ელემენტად (შდრ. ბიბლიურ ტექსტებში: აჰა ესერა, აჰა ეგერა...). მიუხედავად განყენებული ცნებების სიმრავლისა, რაც მუდამ სხვასთან დამსგავსების საფრთხითაა დანაღმული, ანას ამ პერიოდის ლექსები ძალზე თავისთავადია და სიტყვიერი დამთხვევები სხვა პოეტებთან შემთხვევითია. „უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ“ — ამ სტრიქონის უნებლიე ასოციაცია მარინა ცვეტაევას სტრიქონთან —

«Лицо без обличия, строгость, прелесть».

(„Бог“)—მოახლებისთანავე კარგავს ანალოგიის ძალას და მქრქალდება, რამდენადაც თითოეული მათგანი სხვადასხვა მხატვრულ სისტემაშია ჩართული.

მაგრამ ანა კალანდაძის სხვა ციკლის ლექსებში (კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ფშაური ციკლის ლექსები) ძველი ქართულის ელემენტები დიალექტიზმებად გარდაისახა და ხალხური კილოს მჩქეფარე ნაკადს შეუერთდა. შეიცვალა კილოც, ტემპიც, რიტმებიც. ამაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ციკლის ლექსებში დიალექტიზმები სხვაგვარად უნდა შეფასდეს, ვიდრე, მაგალითად, მშობლიური გურიის მოგონებათა ამსახველ ლექსებში. აქ ნოსტალგირებული ადგილები ძუნწადაა მონიშნული ადგილობრივი ლექსიკით. მათგან ზოგიერთი თუ შემთხვევითია განმეორებადობის თვალსაზრისით (მაგ., ღვინიანი კოპე, ჩიჩილაკები...), ზოგიც კანონზომიერია და ხსოვნას მიახლებული ნაცნობი სანახების განუყრელ ატრიბუტად იქცევა. ასეთია, მაგალითად, *ლობის* სახე: *ჩახლართული ლობე*, *ლერწის ლობე*, *წნელის ხუსტი ლობე*...

მაგრამ სურათი შეუდარებლად მდიდრდება, როცა აღწერილი პეიზაჟი სახარებისეული ხმებითაა გახმოვანებული.

ადრინდელ ლექსში „შემოდიოდა ჩვენში კალანდა“ წუთიერი იმპრესიონისტული მოგონებითაა განათებული საუკუნეებგამოტარებული კულტურის მიუცილებელი საშობაო რიტუალი, რომლის კონკრეტული ფონი ლოკალური ლექსიკითაა შემოსაზღვრული (კალანდა, ჩიჩილაკები, მეკვლე, თოლია). „ხმობდა ქათამი გურიის სოფელს“ — ეს მაგიური სტრიქონი მაცხოვრის გაცემის ღამეული ლოდინის ძველი ხმებით აღვიძებს შობის წინაღამეს გარინდებული მშობლიური სანახების მთვლემარე მონატრებას (ანალოგიური გამოთქმა „ხმობდნენ კაკბები“ სხვა შემთხვევაში ბიბლიური იერემიას ტექსტთან მიგვაახლებს)...

ანა კალანდაძის პოეზიის ენა ერთ უნებლიე ფუნქციას, რომელიც ეკისრება ანა კალანდაძის მიერ შექმნილ უნივერსალურ ენას — დროთა კავშირის განხორციელებას, — პოეტის სახეთა სისტემაში ქ ა რ ი ასრულებს. ამ სახესთან დაკავშირებით ბლოკისა და გალაკტიონის გახსენება ბევრს არაფერს მოგვცემს, რადგან ამ პოეტებთან უფრო დომინირებს ქარის მ უ ს ი კ ა. ანა კალანდაძის პოეზიაში კი ქარი მრავალი ფუნქციითაა დატვირთული. მსგავსად „ენა ტკბილისა“ და „ენა მწარისა“, იგი, ერთი მხრივ, „იავნანას“ გრძნეული მომღერალია, ხოლო სტვირისათვის ისეთივე ძალის მიმცემი, როგორიც მითიური ანტეოსისათვის დედამიწაა, სხვა შემთხვევაში კი „ტიალი“, „ველური“ და „აშარი“ ქარი, რომელსაც „მსტოვრის“ უსახელო როლი აქვს დაკისრებული, ქვეყანას მოსრვითა და წარღვნით ემუქრება. და მაინც, დღევანდელი ანა კალანდაძის „გული“ და „სიცოცხლე“ კვლავ „მაღალ“ და „ამაყ ქარიშხლებს“ ეკუთვნის, რადგან ანას ქარი აქ იმავე ფუნქციისაა, რაც ილიას მიერ კურთხეული „გიჟი“ და „დამთხვეული“ თერგი. იქნება ამიტომაც ეხმაურება ილიას „ელეგიის“ ფინალურ სიტყვებს — „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ — ანახეული სტრიქონები: „ტყევ, დუმილი გვეყო, გვეყო, — მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...“, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული „ეთიკური გენების“ მატარებელი სტრიქონები.

მაგრამ უფრო ნიშანდობლივი ისაა, რომ ანას ქარი თითქმის მუდმივი თანმხლებია ისტორიის პოეტური წარმოსახვისა, წარსულის ჭირთა და გმირთა ზმანება-ხილვებისა. ქარი არა მარტო დავიწყების ფერფლისა და ნავლის გამფანტველია, არამედ — ამავე გზით — ფიქრთა და მოგონებათა ამშლელიც. ძველი ქვეყნები — ხეთა და მიდია, ურარტუს ქვაბები ამ მარადიული ქარის ვულკანურ გუგუნს უსმენენ (და ეს გუგუნიც პოეტის საყვარელი „ხმიერი სახეა“); ნინოს სამოციქულო მსვლელობა და „უდრეკი დედოფლის“ — ქეთევანის მოწამებრივი აღსასრული კი ისევ და ისევ „ცეცხლის ალმგზნები“ ქარის მრისხანე აკომპანემენტის ფონზე განიცდება:

რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
ღილინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ
დედოფალსა,
უდრეკ იყო დედოფალი!

ქარი თავისი მარადიული ქროლვით შორეულ სივრცეთა და გარდასულ დროთა მაგიური გამაერთიანებელია. და თუ ბარათაშვილთან ეს ფუნქცია ბუტბუტით მდინარ მტკვარს ეკისრება („მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“), ანა კალანდაძესთან ამ როლში ქარისაგან დევნილი და „[illegible]-დაძრული ღრუბლები“ გამოდიან; ისევე როგორც პოეტის კეთილი ფიქრები თავს დასტრიალებენ მთელ სამყაროს, მზით გაკაშკაშებული ლურჯი ცის ფონზე მიმავალი თეთრი ღრუბლებიც ფიქრთა მტვირთველად (მსგავსად ვაჟასეული ნისლისა თუ ჯანღისა) თავს დასტრიალებენ და უმოკლეს ტალღებზე აკავშირებენ შორეულ სივრცეებს, წარსულსა და აწმყოს, ხოლო ქარი მათზე ამხედრებულ მარადიულ მეეტლედ თუ მათ მდევრად წარმოგვიდგება.

* * *

ყველაზე მეტი და გრძელი ლექსები დაიწერა 1945-46 წლებში და ამ ლექსებში თავიდანვე გამოიკვეთა ანა კალანდაძის მთლიანი, გაუბზარავი პოეტური პიროვნება. 21-22 წლის პოეტის ასაკთან დაკავშირებულ შეღავათებზე საუბარი ამთავითვე არ გვჭირდება. ყველა ის ნიშანი, რომლითაც შეიძლება დავახასიათოთ დღევანდელი ანა კალანდაძე, ჩამოყალიბებული თუ ჩანასახის სახით, კანონზომიერად თუ გაკვრით, უკვე ამ პერიოდში იჩენს თავს. პიროვნული თავმდაბლობა და მოკრძალებულობა ხელს არ უშლის პოეტური სითამამის გამოვლენას. და თუ რაიმე გაუბედაობაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს მხოლოდ სათაურებსა და რითმებს ეხება: დაახლოებით ნახევარი ამ დროის ლექსებისა დასათაურებულია, მაშინ როცა გვიანდელ ნაწერებში თითო-ოროლა ლექსი თუ არის დასათაურებული.

მეორე — რითმის საკითხი: თითქმის ყოველთვის გამოყენებულია ჭვარედინი რითმები, და თუ ეს წესი დარღვეულია, სულ ერთია, ამ პერიოდის ლექსებში სტრიქონი ურითმოდ თითქმის არ რჩება. მომდევნო ლექსებისათვის ამგვარი „სიმწყობრე“ დამახასიათებელი არ არის: პოეტი ხშირად ლუწი სტრიქონების გარითმვით კმაყოფილდება. ამას თავისი გამართლება აქვს — თვით ლექსების ხასიათით განსაზღვრული.

რაც შეეხება რიტმიკას, თავისი იშვიათი მუსიკალობით, ერთთავად მონაცვლე, დაუდეგარი რიტმებით ანას ლექსები სხვადასხვა, მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებს მოგვაგონებენ. ანა კალანდაძის პოეზიაში ხან ნოქტიურნის ელეგიური ხმები გვიზიდავს, ხანაც მაზურკისა თუ სკერცოს მფეთქავი რიტმები გვაჯადოებს, ხან ხალისიანი ხალხური აგვიყოლიებს, ხან კი შუასაუკუნოვან საგალობელთა მონუსხველ ძალას ვემორჩილებით.

პოეტს თითქმის ყველანაირი რიტმიკული ყალიბი აქვს გამოყენებული: 8, 10, 12, 14, უფრო იშვიათად, 11, 9, 7, 6-მარცვლიანი ლექსები, ძირითადად დაქტილური ტერფებით და, შესაბამისად, ასეთივე რითმებით გაწყობილი.

პოეტის მედიტაციურ განწყობას, როგორც ჩანს, დაბალი შაირი უფრო შეეფერება. იშვითად თუ არღვევს ამ სტაბილურ ინტონაციას მაღალი შაირი და ქორეული რითმები. მაგალითად:

იშრიალე, დიდო ვერხვო,
იგუგუნე, დედამიწავ!

ანდა — ხალხურ კილოზე დაწერილი:

ნისლაურო, ნისლი ხარო,
გამიქრები: მზისი ხარო...

დაუვიწყარ მუსიკალურ შთაბეჭდილებას ქმნის 12-და 11-მარცვლიან სტრიქონთა მონაცვლეობა:

და რა ქალი?! ხელის გულით სატარები,
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი,
ბოშა ქალი — ვარსკვლავების სადარები,
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი.

შდრ. ამას უმოკლესი, 6-მარცვლიანი სტრიქონები:

აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...

ანდა:

— ყვავილების ღამე
საიდუმლოს მქონე.
ქალბატონო ანა,
აღარ გახსოვთ მგონი...

უცხოდ ისმის, თუმცა (ან იქნებ ამიტომაც) არანაკლები ჰიპნოზური ძალითაა მოსილი 12-მარცვლიანი ლექსი, რომელშიც ხან სიმეტრიულადაა განლაგებული დაქტილოვანი ტერფები („ზედაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა,/ციმციმებს ვენერა,/ლურჯ სხივთა მფენელად,/ნაზ სხივთა მფენელად,/მკრთალ სხივთა მფენელად,/რამდენი ხმებია, რამდენი მუსიკა, რა უცნაური,/გავჩერდეთ, გავჩუმდეთ და ფეხქვეშ მიწყდება ფოთლების ხმაური"), ხან კი დაქტილები მსჭვალავს ოთხმარცვლიან სიტყვებს და იშვიათ მუსიკალურ ეფექტს ქმნის; მხურვალე ლოცვასავით ისმის ეს სტრიქონები:

რისად არ მომხედავ? თვალგანაწვიმები
მინდვრად გელოდება ლელი მკრთომარეო,
გულო, გულსა შინა ცრემლთა მაწვიმებო,
სულო, სულსა შინა სევდის მთოვარეო.

განსაკუთრებით დამახასიათებელია და ახლობელი ანა კალანდაძისათვის 10-მარცვლიან ან, უფრო იშვიათად, 12-მარცვლიან ლექსებში ლუწი სტრიქონების განახევრება. შეიძლება ითქვას, ეს პოეტის საყვარელი რიტმიკული ჩარჩოა:

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...

ანდა:

და კვლავ ვიხსენებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...

განახევრებული სტრიქონები თავისებურ სინკოპებს ქმნიან და ფაქიზი პედალიზებით ექოსავით ეხმიანებიან წინამავალი სტრიქონების სემანტიკურად მნიშვნელოვან ფრაგმენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ანა კალანდაძეს ძირითადად მოკლე ლექსები აქვს (გამონაკლისია „საქართველოო, ლამაზო", „შორია თამარ" და კიდევ ერთი-ორი), მათ პოეტი ხშირად უცვლის ინტონაციებს და არცთუ იშვიათად — რიტმებსაც. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ ლექსის მდინარება სიტყვიერი მასალის კლებისაკენაა მიმართული, რაც თარისა თუ გიტარის სიმის ჩამოკვრის დარად, დარხეული ხმების თანდათანობითი გაფანტვისა და გაყუჩების ილუზიას ქმნის. და გვეჩვენება, რომ ანა კალანდაძის საყვარელი ვერსიფიკაციული ხერხიც — ლექსის ბოლოში (ზოგჯერ შუაშიც) ზუსტი თუ სახეცვლილი გამეორება ლექსის პირველი სტრიქონებისა — პოეტური ხატის განმტკიცებასთან ერთად, ამ სიმის მიერ გამოცემული ხმების ერთგვარი ვიბრატორის ფუნქციითაა აღჭურვილი.

* * *

ნიშანდობლივია — და ეს სრული გარკვეულობით უნდა ითქვას, რომ ანა კალანდაძე მედიტაციური განწყობილებების პოეტია. მაგრამ იგი იმდენად „შვებით მომზირალი" არ არის, რამდენადაც თრთოლვით მზირალ-მომლოდინე. თვითჩაღრმავების ფონად პოეტი გაყუჩებულ და გარინდებულ პეიზაჟს ირჩევს, რადგან მხოლოდ აქ ხორციელდება საიდუმლო კავშირი სულთა შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ურბანისტულ ხმებს აქ ადგილი თითქმის არ ურჩება (საკმარისია ითქვას, რომ გეოგრაფიულ, მცენარეთა და პირთა სახელების გარდა ინტერნაციონალიზმები თითქმის არ იხმარება); მეტიც, ვერც სოფლის მიეთ-მოეთისა და ჟივილ-ხივილის ხმებს მოვისმენთ ანა კალანდაძის ლექსებში. საგანგებო სიჩუმეს ხაზს უსვამს ან თოვლიანი ღამეული პეიზაჟი და მის ფონზე „ქათმის ხმობა" და „თოლიას ყეფა", ტყეში ჭრელი კოდალას კაკუნი, ფეხქვეშ შემოდგომის ფოთლების ხმაური. სამაგიეროდ, პოეტი გვიწვევს ღამის მნათობთა ციმციმისა და „მკრთალ სხივთა" ფენის ძლიერი მუსიკის სასმენად.

ამიტომაა, რომ ანა კალანდაძესთან ობერტონები სჭარბობს მთელ ტონებს. ანას ლექსებში ყველაფერი იდუმალებითაა მოცული. პოეტის გარემომცველ სამყაროს ლოცვისა და ალსარების, გრძნეული ჩურჩულისა და შრიალის ხმები ავსებს — მკრთალი სხივების, ვარსკვლავთა ციმციმის ან სანთლების შუქზე. ანდა მუქ სანთლებად „გარინდებული ნაძვების"

ფონზე. ამ ხმათა რხევისა და სხივთა ნათების ასპარეზი კი ხან ზედაზნის ტყეებია, ხან სახაფლაო, ხანაც — ბეთანიის გამზიანებული სანახები. პოეტის თანაგრძნობისათვის ღია გული უპასუხოდ არ რჩება: ბუნება მას ნდობით აჯილდოებს და სხვათათვის დაფარულ საუნჯეს უშურველად უჩვენებს პოეტს, ახალ საიდუმლოთ აზიარებს.

ანა კალანდაძის ლექსების ფონის დასახასიათებლად ზემოთ ნახსენები საერთო ძირის მქონე ს ა ი დ უ მ ლ ო და ი დ უ მ ა ლ ე ბ ა შემთხვევითი სიტყვები არ არის. და ნიშანდობლივია, რომ „სიჩუმის“ სინონიმთაგან პოეტი აშკარა უპირატესობას სწორედ იმავე ძირის დ უ მ ი ლ ს ანიჭებს (სხვადასხვა გრამატიკული ფორმით): „დ უ მ ს სასაფლაო სევდიანი, ვით ძველი ქალდუ“, — „სასაფლაო, დ უ მ ი ლ ს რომ ერთვის“, სადაც „როგორც მოგვები, დგანან ძეგლები ი დ უ მ ა ლ ე ბ ი“, ხოლო მის ზემოთ „ცას გადაუვლის მ დ უ მ ა რ ე ცრემლი“; „დ უ მ ს მკვდარ დ უ მ ი ლ ი თ ველი ვრცეული“, „და ნაღვლიანად დ უ მ ა ნ ჩანგები“; მდუმარეა ჭადარიც, „როგორც ტაო და ქალდე, როგორც დ უ მ ი ლ ი ცისა და ქვეყნის“; „ჯერ მდუმარეა“ ჩინარიცა და ანას (უფრო ადრე — სიმონ ჩიქოვანის) საყვარელი ვერხვებიც, ქარიშხლის მოლოდინში გარინდებულნი, „ქარში“ კი „ფოთლის ექოს გამშლელი“ და „მზისკენ ზღაპრული რაშით მიმავალნი“...

სხვა სინონიმთაგან „დუმილი“ იმით გამოირჩევა, რომ იგი ა დ ა მ ი ა ნ ი ს სიჩუმეს ახასიათებს, უმეტესწილად უტყვ პასუხს რომ განასახიერებს. ზემოთ უკვე გაკვრით ვახსენეთ, რომ მინიშნებები და ბოლომდე უთქმელობა, „მწველი დუმილი“ ანა კალანდაძის სათქმელის ძლიერი და მეტყველი საშუალებაა და წარმოსახვით ადრესატებთან ინტიმური ურთიერთობის მაუწყებელი. ბუნებასთან პოეტის ამ ინტიმური საუბრის ადრესატებად და მონაწილეებად პატარა, სიმპათიკური გრძნობების აღმძვრელი პერსონაჟები არიან: ია და შროშანა, ჩიტი და პეპელა, ციცინათელა და ჭია-მარია, ლერწმის ღერო და ხის რტო... ალბათ შემთხვევითი არც ის არის, რომ საალერსო და კნინობითი სახელები ენაში ერთი და იმავე ელემენტებით იწარმოება; ამიტომაა, რომ ყველა ეს მოსაფერებელი პერსონაჟი ანა კალანდაძის ლექსებში დაპატარავებულია (შდრ.: „პატარა ვარ, მოფერება მინდა“) და საამისოდ მრავალი სინონიმი ან ერთი და იმავე სიტყვის ემფატიკური ფორმები გამოიყენება: პ ა ტ ა რ ა, პ ა წ ი ა, პ ა წ ა წ ა, პ ა წ ა წ ი ნ ა, პ ა წ ა წ კ ი ნ ტ ე ლ ა, თ ო ხ ი ტ ა რ ა და ა. შ.

ცალკეა საკვლევი ანას პოეზიაში საკუთარ სახელთა, განსაკუთრებით, საქართველოს პატარ-პატარა ადგილების, წყალთა და მცენარეთა ადგილობრივი სახელების უნიკალური გამოყენების ეფექტი. ამ ეფექტის წყაროა, ჩვენი აზრით, ქართული წარმოშობის გამო ყოველი ქართველისათვის ნაცნობი, მაგრამ სხვაენოვანი მკითხველისთვის უცნობი სახელების მშობლიურად განცდა. ასეთებია, კერძოდ: ჯ ო ჭ ო ს წ ყ ა ლ ი და ს ი ნ დ ი ე თ ი ს ღ ე ლ ე, ჯ ა მ ჯ ა მ ა ს მ თ ა და ჭ ი ჭ ა კ ვ ი ს ჭ ა ლ ა, ა რ ჯ ა კ ე ლ ი და ფ უ რ ი ს უ ლ ა, ვ ა რ დ კ ა ჭ ა ჭ ა და ბ ო რ ბ ო ლ ი ჭ ყ ე ბ ი...

* * *

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა აღმოსავლური პოეტური არტისტიზმის ერთ-ერთი სახის გამოყენება — საკუთარ სახელთან გათამაშება. სიტყვის მაგიას აქ ერწყმის პოეტის საკუთარი სახელის ჰიპნოზური განცდა. მაგრამ ამ თამაშს სხვადასხვა ქართველ პოეტთან სხვადასხვა ხასიათი აქვს:

გალაკტიონს საკუთარი პოეტური გამორჩეულობის შეგნება ათქმევინებს ჯერ ამ სიტყვებს: „ეზმანება რა დიონისე, ს ხ ვ ა ა მოჩვენება გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი ს ა“; შემდეგ კი ეს შეგნება უფრო ღრმავდება: „როგორც ერთია ქვეყანა ვრცელი, ისე ე რ თ ი ა გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი“; სხვაგან პოეტი თავის სახელს უცვლელ და, თანაც, ფარულ რითმად უფარდებს მშობლიურ ადგილთა სახელებს (რიონი, სიონი, ბახტრიონი, კავკასიონი) და იმავდროულად მას ქართული პოეზიის ტიტანთა უცვლელ რიგში აყენებს (შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა... იგულისხმება: და გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი), მისი თანამოგვარე კი საიათნოვას პერიფრაზირებას ასე ახდენს: „ტ ი ც ი ა ნ მქვია, ვრჩები ტ ი ც ი ა ნ ა დ, ლ ე ქ ს ი თ და ღვინით ყ ვ ე ლ ა მ მ ი ც ა ნ ი თ“. ახალგაზრდა სიმბოლისტი პაოლო იაშვილი, რომელიც თავის „ავტოპორტრეტში“ რუსთაველთან გადადის ალავერდს, ფუტურისტის დამანგრეველი სითამამით აცხადებს: „პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ს მომეწყინა ყვითელი დანტე, ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი“; მუხრან მაჭავარიანი კი თავის „ფამილარულ კომპლიმენტში“ ინგლისელ გენიოსს ასე მიმართავს: „ყურს ათხოვებ მ უ ხ რ ა ნ ს თუკი,/უნდა გითხრა, უილიამ!/შენისთანა დრამატურგი/ტყუილია!“, მეორე მხრივ კი, შეშფოთებული ეკითხება თავის თავს: „ქუხილი მუხის, ქუხილი ჭადრის, — ვაითუ, მარტო შენ გესმის — მ უ ხ რ ა ნ!“ მურმან ლებანიძის სტრიქონებში განსაკუთრებით ხშირად ისმის პოეტის ნებაყოფლობითი ტანჯვის ხმები: „და ვთქვი: — ოჰ, მ უ რ მ ა ნ! შენ შენს ხრიოკს მოჰყვები კენტად“, ან: „მ უ რ მ ა ნ, სულ ბრძოლა გენება! მაგ ბრძოლაშია მშვენება!“ ანდა: „წინ, ჩემო მ უ რ მ ა ნ, მოეშვი ფიქრებს, რომელთაც შავი გრიგალი გიქრობს“ და მისთ. ამის

მაგალითები სხვაც არაერთია მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

ანა კალანდაძე აქაც გამორჩეულია: პოეტი ლამობს თავისი „აი ია“-სავით მარტივი სახელი, ბედნიერი დამთხვევით ჩვენი ანბანის პირველ ასოს რომ განასახიერებს, ხალხური ლექსის ლაღ დინებას გააყოლოს, შეუერთოს, მშობლიურ სტიქიაში გახსნას და გათქვიფოს. ერთი მხრივ, ომახიან, თითქოს ჩახმახზე შეყენებულ მიმართვის ფორმებს, თანხმოვნებით შემოსაზღვრულ შიშველ ფუძეებს — გალაკტიონ, ტიციან, მუხრან, მურმან, ჯანსულ, ჯავახ — უპირისპირდება ხმოვნებით დაცული და შემოსილი ნაზი და ნარნარი ანამა და ანასა — სუბიექტი და ობიექტი, თავი და ბოლო:

ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“ როგორ არ
შესვას ანამა?
„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი
დანამა“.

ანდა, ისევ ხალხურ კილოზე ნათქვამი:

განა სოფლის გზას ჩამოჰყევ,
ოჩიაურთა კარასა? —
სხვა გზით ჩახვედი არაგვზე, გულს
მოუკლავდი ანასა.

ან კიდევ: „როცა ცხენები მოგვგვარეს:
ნისლისფერაი — ანასო!“

რითმებში მონაწილეობამ და მელოდიურმა ხალხურმა კილომ პოეტის სახელი — პროსოდიული ფორმებით — ორგანულად ჩართო ლექსის ქსოვილში. მაგრამ ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. თავის მხრივ, ანა-ჩართულმა რითმებმა უკვდავყო არა მარტო ლოკალური ადგილის მინიშნება („ოჩიაურთა კარასა“), არამედ ხალხური კილოთი მოწოდებული მარადიული ბუნების მოვლენებიც. და თუ ომის გათავებამდე „ჟუჟუნა წვიმის“ მაცოცხლებელი მოქმედება — დანამა — „გულის გამპობ დანა“-ს ერითმებოდა, 1945 წლიდან მოყოლებული, იგი მტკიცე ასოციაციით დაუკავშირდა ანა-ს და მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისი ამ ახალი ასოციაციითაც გაახალისა.

სახელებზე ლაპარაკი შემთხვევით არ ჩამოგვიგდია: ქართველი ოდენ სახელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს — მწერლის უმაღლესი შეფასების იქნებ უცნაურ, მაგრამ უტყუარ კრიტერიუმად იყენებს, რაც ღმერთთან „შენობით“ ლაპარაკის, ინტიმური მიმართვის შეგრძნებას ბადებს.

ჩვენი პოეტი სხვადასხვა დროსა თუ ადგილას სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: ანა კალანდაძე, ქალბატონ ანად, ანიკოდ (მავანთა „ფამილარულ გარემოცვაში“, როგორც პოეტი იტყოდა, — ახე განსინჯეთ, ანა პავლოვნადაც კი!), მაგრამ პოეტის ლექსებმა ძვირფასი სახელი განძარცვა ყოველგვარი დანართისაგან და ქართველთა გულებში, ქართულ პოეზიაში დღეგრძელობა დაუმკვიდრა ამ უმოკლეს არტისტულ სახელს — ანას.

## პუბლიკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძე

# ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში პროფ. სარგის კაკაბაძემ წაიკითხა მოხსენება ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ. ეს მოხსენება დღემდე არ გამოქვეყნებულა.

რედაქციას საჭიროდ მიაჩნია გამოაქვეყნოს განსვენებული მეცნიერის სარგის კაკაბაძის მოხსენების მასალები. ეს მასალები, რომლებიც მეცნიერის პირად არქივში ინახება, რედაქციას გადმოსცა ს. კაკაბაძის ოჯახმა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

...ბოლნისის სიონის უძველეს წარწერებს და კერძოდ წარწერას პეროზის მოხსენიებით აქვთ მრავალმხრივი მნიშვნელობა. ამ წარწერებს შეუძლია დაადასტუროს მოქც. ქართლისაჲს ქრონიკის ცნობა, რომ ბოლნისის სიონი გაშენებულია ბაკურ მეფის დროს IV-V ს-ნეთა მიჯნაზე და ამით ხელი შეუწყოს ხსენებული ქრონიკის ავთენტიკურობის დამტკიცებას ანდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გააძლიეროს სკეპსისი ხსენებულ ქრონიკისადმი.[1] გარდა ამისა, ხსენებულ წარწერების დათარიღებისას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული ძველი დამწერლობის ისტორიისათვის და საერთოდ პალეოგრაფიის საკითხებისათვის. შემდეგ, ბოლნისის ძეგლის სწორი დათარიღება წყვეტს უძველესი ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლების პერიოდიზაციის საკითხს და აძლევს მას ამა თუ იმ მიმართულებას.

მხედველობაში მისაღებია ის, რომ ბოლნისის სიონის ამ წარწერის მხოლოდ შუა ნაწილია შედარებით კარგად შემონახული (154 სმ). ეს ნაწილი აღმოჩნდა 1937 წ. მისი ჩამოვარდნის ადგილას კარის ზღურბლში ჩატანებული. მაგრამ ადგილზე კარს შერჩენილი აქვს ქვის ბლოკის ნაწილები, როგორც მარჯვნივ (109 სმ), ისე მარცხნივ (87 სმ). სამწუხაროდ, წარწერის ეს ნაწილი ეხლა მეტნაწილად (ზოგიერთი ასოების გარდა) მთლად გამქრალია. ცხადია, რომ ბლოკი გატეხილა და ჩამოვარდნილა სულ ცოტა 3-4 ს-ნის წინ და მაშინ მთელი ეს კარი ამოუქოლიათ ჩამოვარდნილი ნაწილის მოთავსებით კარის ზღურბლში. ასეთ მდგომარეობაში ეს კარი დარჩა 1937 წლამდის, როდესაც კარის გახსნით პოვნილ იქნა ბლოკის ხსენებული ძირეული (შუა) ნაწილი (ამ ძირეული ნაწილის ჩამოვარდნისას მისი მარჯვენა ნაწილი და მცირედ მარცხენა ნაწილიც ჩამოტეხის დროს დაზიანებულა: მთელი ბლოკის სიგრძე კი ყოფილა 362 სმ).

---

1 მატიანე არ იხსენიებს ბაკურ მეფეს და მის მაგივრად მეფედ ასახელებს თრდატს, ხოლო ამის შემდგომად ფარსმანს, რომელსაც ის სთვლის ბოლნისის სიონის აშენებლად. რატომ ბაკურის სახელი მატიანეში შეცვლილია თრდატით, გაურკვეველია. შესაძლებელია მატიანის გვიანდელ რედაქტორს ეს შეცდომა მოუვიდა წყაროს ხელნაწერის დეფექტურობის გამო — (ბაკურ) თრდატისძე გაგებულ იქნა როგორც თრდატი. მაგრამ ამის მიუხედავად ამ რედაქტორმაც საჭიროდ ჩასთვალა ბოლნისის სიონის აშენება V ს-ნის დასაწყისის ფარსმან მეფის დროისთვის მიეკუთვნებინა.

ამჟამად ორთოსტატის ძირეულ ნაწილს, რომელიც საქართველოს მუზეუმშია გადმოტანილი, 1937 წლის მდგომარეობასთან შედარებით აკლია მესამე და მეოთხე სტრიქონის ბოლოში სულ ხუთი ასო. გარდა ამისა, მულაჟის დამზადების დროს დაზიანებულია რიგი ასოები. ხოლო ორთოსტატის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებიც, რომელნიც მე საურმაგ კაკაბაძესთან ერთად 1951 წ. სექტემბერ-ოქტომბერში გავსინჯე დეტალურად ორჯერ, ესლა დაზიანებულია. სახელდობრ, პირველი სტრიქონის მარჯვენა ნაპირას ჩამოვარდნილა ქვის ზედა ტკეცი, რომელზედაც გამოყვანილი იყო ასო პ და იყო ე-ს ნაშთიც.[2] პ-ს ნაშთი ამ ადგილას შენიშნული ჰქონდა ლ. მუსხელიშვილსაც.[3]

...ბოლნისის სიონის მთავარი ჩრდილოეთური წარწერის მიღებული წაკითხვა (ა. შანიძის) არის შემდეგი:

[შეწევნითა წმიდ]ისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფ[ისა ზე] [ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოვთმეტ წლის [ა შემდგომად განხეშორა ვი]ნ აქა შინა თაჳყანის ხცეს ღნ შეიწყალენ და ვინ ა[მის ეკლესიაჲსა დ-თ ე]პისკოპოსსა ხოჳლოცოს, იგიცა ღნ შეიწყალენ [ამ]ჱნ].

მთავარი მნიშვნელობა აქვს პირველ სტრიქონს, რომლის წაკითხვაში დაშვებულია შემდეგი აშკარა შეცდომები:

„ოც წლისა" შემცდარი წაკითხვაა, რადგანაც 1) ც-ს მაგივრად იქ ზის ა და 2) წაკითხვა „წლისა"-ც არაფრით არაა გამართლებული. შემდეგ 3) სიტყვა „მეფისა" არაა სწორად აღდგენილი, რადგანაც წარწერაში ამ სიტყვის მეოთხე ასოს თავი ნაწილი ცხადად ჩანს და ის იკითხება ე და არა ი. გარდა ამისა წაკითხვა „ოც წლისა პეროზ მეფისა ზე" გაუმართლებელია ენობრივადაც. ამიტომ სწორი იყო ამ წარწერის შესახებ ლევან მუსხელიშვილი, რომელიც 1938 წელს (ენის, ისტ. და მატერ. კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 326) სწერდა: „მე ვფიქრობ, რომ ამ ადგილის აღდგენაში ჯერჯერობით თავის შეკავება უმჯობესია, რადგანაც ვერც პალეოგრაფიულად, ვერც ენობრივად და ვერც შინაარსობლივ აკ. შანიძის აღდგენის ცდა საკმაოდ ვერ დასაბუთდება. საძიებელ ადგილას სხვაზე უფრო მოსალოდნელია პეროზ მეფის რაიმე ეპითეტი „უძლეველისა" ან რაიმე მაგდაგვარი და აქ შეიძლება ისეთი ტერმინი იყოს ნახმარი, რომლის შესახებაც ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, რაც V ს-ნისთვის ადვილი დასაშვებია".

ზემოთ თქმულის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ამ წარწერის არსებული წაკითხვა არ შეეფერება სინამდვილეს და წარწერის ტექსტის სწორად გაგებას ხელს ვერ შეუწყობს.

თვით წარწერის ტექსტის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ბოლნისის ეკლესიის მთავარი წარწერა ცხადჰყოფს მისი აშენების დროს და პირობებს. წარწერა, ნაკლოვნად მოწევნილი, შეიძლება აღდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

1. შეწევნ[ითა წმიდ]ისა სამებისაჲთა ო[არიზ]ისა პეროზ მეფე [თა ავადაგი] სა[ნ] ახპე-
2. [ტობასა ხიწყეს]ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოჳთმეტ წლი[სა ზედა სროჳლიადღ]ა [გან-
3. ხეშორა და რომელმა]ნ აქა შინა თაჳყანისხცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ა[მი]ს[ე]კლე[სია]ჲსა[ჲ შინა].
4. მშრომელსა დ-თ ე]პისკოპოსსა ხოჳლოცოს იგიცა ღ-ნ შეიწყალენ [ამ]ჱნ.

სრულად: შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა ოარიზისა პეროზ მეფეთა ავადაგისა ნახპეტობასა (ნახაპეტობასა) ხიწყეს იმის ეკლესიაჲსაჲ და ათხოჳთმეტ წლისა ზედა სრულიად და განხეშორა და რომელმან აქა შინა თაუყანისხცეს, ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა შინა მშრომელსა დთ ეპისკოპოსსა ხოჳლოცოს, იგიცა ღ-ნ შეიწყალენ, ამენ.

...ბოლნისის სიონის აღმოსავლეთური წარწერა ტაძრის აშენების დროინდელად სჩანს, ხოლო ჩრდილოეთური წარწერა ტაძრის დამთავრების შემდეგ არის გამოკვეთილი.

ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი:

სიტყვაში ოარიზისა ო-ს შემდეგ არის ასო, რომელიც რასაკვირველია არ არის ც (მას ამისათვის საჭირო ფეხი არა აქვს), მაგრამ ის არც მთლად ა-ს ჰგავს.

ამ შენიშვნის მიხედვით ტექსტი თანამედროვე ქართულით იკითხება შემდეგნაირად: სახელითა წმიდისა სამებისა ხელმწიფე — წინამძღოლის პეროზ მეფეთა ძის დროს ვიწყე ამ ეკლესიის შენება და 15 წლის შემდეგ აწ დავამთავრე. ვინც აქ თაყვანისაცემად მოვიდეს, ღმერთმან შეიწყალოს და ვინც ამ ეკლესიის აშენების მოღვაწე დავით ეპისკოპოსი ლოცვაში მოიხსენიოს, ისიც ღმერთმან შეიწყალოს, ამინ.

წაკითხვა „ვიწყე" და სხვ. მოცემულია მოქც. ქ-საჲს ტექსტის მიხედვით: „ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა".

---

2. ე. ი. ს. კაკაბაძის აზრით, სტრიქონის ბოლოში „ახპე" იკითხებოდა (რედ. შენიშვნა).

3 ლ. მუსხელიშვილი (იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, 1938) სტრიქონის ბოლოს (ვარაუდით) ახპ-ს კითხულობდა (რედ. შენიშვნა).

ტერმინი ნახპეტი, რომელიც ძველს სომხურში დადასტურებულია ფორმით ნაჰაპეტ (ოლქის უფროსი, შეად. არაბ. ნაჰიე — ოლქი), იხსენიება ამ სახით (ნახპეტი) დაბადების ერთ-ერთ წიგნში — (III ეზდრა, 5,1 (ციტირებული აქვს საბა-სულხანს). ნახპეტი ქართულში იხმარებოდა აგრეთვე ფორმითაც ნახაპეტი და ნაჰაპეტი.

...ძეგლის თარიღის საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს ქრონოლოგიურ საკითხებს.

ვარაზ-ბაკურის შემდეგ ქართლის სამეფოს ლეგიტიმურ მემკვიდრედ ითვლებოდა ბაკურ თრდატის ძე. სპარსელებმა ის არ მიიღეს და ის იძულებული გახდა წასულიყო რომის იმპერიის სამსახურში. ქართლის მართველად კი სპარსელებმა დანიშნეს ნახაპეტი. ეს ბაკური (დიდად წოდებული, როგორც ამას ამოწმებს პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ვერსია) 390 წელს ჯერ კიდევ პალესტინაშია და როგორც რომაელების მხედართმთავარი ებრძვის იმპერატორ თეოდოსი I-ის კონკურენტს მაქსიმეს.

სოკრატი (V ს) იხსენიებს, რომ ბაკური ეხმარებოდა (მომავალ) იმპერატორ თეოდოსის (408-410) მის ბრძოლაში ტირან მაქსიმეს წინააღმდეგ. რუფინი კი (XI, § 33) ამბობს, რომ ბაკური ღებულობდა მონაწილეობას არა მაქსიმეს, არამედ ევგენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორივე შემთხვევაში იგულისხმება ბაკურის ჩყოფობა რომის იმპერიაში, სადაც ი ს მხედართმთავრის მოვალეობას ასრულებდა. თეოდოსიმ დაამარცხა მაქსიმე 388 წ. ხოლო ევგენი (რომელიც იმპერატორად იყო გამოცხადებული) — 394 წ., და ამ ბრძოლაში ის მოკლულ იქნა კიდეც. ამიტომ 394 წ. ბაკური ჯერ კიდევ რომაელების სამხედრო სამსახურში ყოფილა, ხოლო რუფინი, რომელმაც თავისი ისტორია 402 წელს დაამთავრა, მას უკვე იბერიელების მეფედ იხსენიებს. საფიქრებელია, რომ ბაკურის დაბრუნება ქართლს და მისი იქ გამეფება 395 წელს ან ამის ახლოს უნდა მომხდარიყო. ამ ბაკურის შესახებ რუფინი სწერს, რომ ის არის „ამ ტომის (იბერიის) მეფე და ჩვენს (რომაელების) კარზე მსახურთუხუცესი (დომესტიკორუმ კომეს), როდესაც ის ცხოვრობდა ჩვენთან იერუსალიმში სავსებით თანხმობით პალესტინის საზღვრის უფროსად მყოფობის დროს".

სოკრატი (430 წლების ახლოს) იმოწმებს რუფინს და სწერს შემდეგს: „რუფინი ამბობს, რომ მან გაიგო ეს (ქრისტიანობაში იბერიების მოქცევის ამბავი) ბაკურისაგან, რომელიც ჯერ იყო იბერიების მეფუკად (მეფედ), და შემდეგ ის გადავიდა რომაელებთან და დანიშნული იყო პალესტინის ჯარის უფროსად. ამის შემდეგ სტრატილატის ხარისხში მყოფი ის ეხმარებოდა იმპერატორ თეოდოსის მის ომში ტირან მაქსიმეს წინააღმდეგ". სოკრატის ცნობა აზუსტებს რუფინის ცნობას და მას მეტი თანამიმდევრობაც შეაქვს ბაკურის შესახებ თხრობაში. სოკრატის შესაძლებლობა ექნებოდა დამატებითი ცნობებით შეეჯერებინა რუფინის თხრობა, რის გამო მის ცნობას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. გამოდის, რომ ბაკური ჯერ ყოფილა იბერების მეფუკა (მეფე), ცხადია როგორც სპარსეთის ვასალი. მაგრამ შემდეგ ის გადასულა რომაელების მხარეს და შესულა მათ სამსახურში. ის ყოფილა დანიშნული ჯერ პალესტინაში იქაური ჯარის უფროსად და შემდეგ კონსტანტინოპოლის კარზე მსახურთ-უხუცესად, უკეთ მხედართმთავრად.

გელასი კესარიელი (რომლის ნაწარმოები უშუალოდ მოწევნილი არაა, მაგრამ მისი ნაწარმოებით სარგებლობდა 475 წლის ახლოს გელასი კვიზიკელი) ბაკურს იხსენიებს მეფის შთამომავლად, რომელიც იყოო იბერთა შორის სახელოვანით. ის გახდა რომაელთა სატრაპი და მან აწარმოვა ომი ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვაო. გელასი კესარიელი გარდაიცვალა 395 წელს და ხსენებული ტირადა ბაკურ მეფის შესახებ დაწერილი უნდა იყოს 390 წლის ახლოს. აქ იგულისხმება იმპერატორ თეოდოსი I-ის (379-395) ბრძოლა ტახტის პრეტენდენტ მაგნ კლემენტ მაქსიმთან, რომელიც 388 წელს მოკლულ იქნა.

ბაკური თავდაპირველად სპარსელების ხელქვეითი იყო, რაც ჩანს პეტრე ქართველის ასურული ცხოვრების უსახელო ავტორის ცნობიდან, რომ დიდი ბაკური, პეტრეს პაპა (დედით), ერთხელ გაჰყვა ლაშქრობაში სპარსეთის მეფეს, რომლის ერთ-ერთ მხედართმთავრად ის ითვლებოდა და როდესაც მზის ამოსვლისას სპარსეთის მეფე და მისნი მხედართმთავარნი მზის თაყვანისსაცემად ცხენიდან ხტებოდნენ, ბაკურმა, როგორც ქრისტიანემ, ამაზე უარი განაცხადა, მაინც ბაკურის ეს საქციელი დაუსჯელად დარჩა, რადგანაც ამ დროს ბაკური სპარსელებისათვის საჭირო იყო.

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბაკურის წინა-მოადგილე მეფე ვარაზ-ბაკური იხსენიება ამმიან მარცელლინის მიერ 369 და 374 წელს. ბაკურის გამეფება იბერიაში ვარაზ-ბაკურის შემდეგ ამიტომ საგულისხმებელია 380-382 წლებში.

;ბაკური გამეფდა, როგორც სპარსელების ვასალი. შემდეგ კი ის 384 წლის ახლოს გადასულა რომაელების მხარეს და წასულა კიდეც ქართლიდან. ერთხანს (385-387 წლების ახლოს) ის ყოფილა მხედართმთავრად პალესტინაში, 388 წელს კი იბრძოდა ევგენის წინააღმდეგ. ხოლო ქართლი კი განაგრძობდა სპარსეთის ხელქვეით ყოფნას. ბაკურთან ერთად

რომაელების (ბერძნების) სამსახურში ყოფილა იმავე ქართული დინასტიის წევრი ფარსმანი.

როდესაც ბაკური რომაელების მხარეს გადავიდა, იბერიის მართველად ქართველების მიერ სხვა პირი იქნებოდა დამტკიცებული (384 წლის ახლოს). ეს სხვა პირი უნდა ყოფილიყო ბოლნისის წარწერაში მოხსენებული ნახაპეტი პეროზი, სპარსული ტიტულის თარიზის მქონე, ეს პეროზი უნდა იყოს მირიანის ასულის ქმრის ფეროზის შთამომავალი. მირიანის სიძეს ფეროზს დაუმტკიცეს სამშვილდის საერისთავო სამშვილდიდან ვიდრე თავადმდე აშოცისა. ეს არის მომავალი საპიტიახშო. ბოლნისი ამ სამფლობელოს ფართობზე მდებარეობდა. ბოლნისის წარწერაში უნდა იგულისხმებოდეს ამ ფეროზის შთამომავალი პეროზი (რაც ერთი და იგივე სახელია) არა როგორც სამშვილდის საერისთავოს მფლობელი, არამედ როგორც მთელი ქართლის სამეფოს მართველი („ნახაპეტი“).

ბოლნისის სიონის ერთ-ერთ ჩრდილო სვეტზე ამოჭრილია წარწერა: „ესე ჯუარი ვაჰან ნახაპეტისაჲ (ვ-ნ ნ-პჲ). ეს ვაჰანი უნდა იყოს პეროზის შემდგომი ნახაპეტი (როგორც სჩანს, პეროზი მალე მომკვდარა და მას შესდგომია ახალი ნახაპეტი). ქრონოლოგიურად ეს ფაქტები თავსდება შემდეგნაირად. თეოდოსიმ დაამარცხა მაქსიმე 388 წ. ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა ბაკურიც, როგორც დომესტიკორუმ კომეს (მსახურთ-უხუცესი). მანამდის ის იყო პალესტინის ჯარის უფროსად. ამ თანამდებობაზე მყოფობისას მან იერუსალიმში გაიცნო რუფინი. უფრო ადრე კიდევ ის იყო როგორც სპარსეთის ვასალი იბერიის მეფედ. ამის მიხედვით ბაკურის მეფობა ქართლში ვარაზ-ბაკურის შემდეგ მოდის 380 — 384 წლებში. 384 წლის ახლოს ის გადაუდგა სპარსელებს და 385 — 387 წლებში მხედართმთავრად მსახურობდა პალესტინაში. 388 — 394 წლებში ის დანამდვილებით რომაელების მხედართმთავარია. შესაძლებელია, რომ ბაკურის დაბრუნება ქართლში მოხდა 395 წლის ახლოს. ცხადია, რომ ბაკური შერიგებია სპარსელების ხელისუფლებას.

ფეროზის ნახაპეტობა ე. ი. სპარსელების ხელქვეით ქართლის გამგებლობა მოდის 384 წლის ახლოს დროიდან. ფეროზი ფარსმანის პაპა იყო, მაშასადამე უკვე მოხუცებული და ის მალე მოკვდა. მის მაგივრად ბოლნისის ტაძრის მშენებლობის პირველ ხანაშივე ნახაპეტად ყოფილა ვაჰანი, რომელიც ტაძრის ერთს სვეტზეა მოხსენებული ფორმით ვ-ნ ნ-პტი.

მოქ. ქართლისაჲს ქრონიკა ბოლნისის სიონს სთვლის ბაკურ მეფის მიერ აშენებულად, მაგრამ თვით ძეგლის წარწერებში ეს გარემოება არაა აღნიშნული. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ თუმცა სიონი შენდებოდა ფეროზ ნახაპეტის დროს, მაგრამ სამშენებლო ხარჯების გაწევაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა პალესტინაში სარდლად მყოფი ბაკური. გარდა ამისა უკვე დამთავრებული სიონის შემდგომ მოწყობას (ზღუდის და დამხმარე შენობათა გაშენებას) შესაძლებელია ადგილი ჰქონდა უკვე ბაკურის მეფედ დამტკიცების შემდეგ. ამიტომ შეიძლება გადმოცემით, არა მთლად ზუსტად ბაკური შემდგომ თაობათა ხსოვნაში შეიძლება მართლაც მიჩნეული ყოფილიყო ბოლნისის სიონის მშენებლად.

ყველაფერ ამის გამო ბოლნისის ტაძრის აშენების დაწყება შეიძლება მიეწეროს 385 წლის ახლო ხანას, მისი დამთავრება კი მე-15 წელს 399 წლის ახლოს.

ბაკურის შემდგომი მეფე იყო ფარსმანი.

პეტრე ქართველის ცხოვრების სირიელ ალმწერლის სიტყვით ამ ფარსმანის დაბრუნება თავის ქვეყანაში მოხდა შემდეგ პირობებში. ფარსმანი „არკადი (აღმოსავლეთ) რომაელთა მეფის დროს (895 — 408) გავლენაში იყო შესული, (რომაელთა) მხედართმთავრად ითვლებოდა და პირველი ადგილი ეჭირა. მაგრამ შემდეგ არკადის მეუღლესთან ევდოქსისთან ახლოს კავშირის გამო ილტვოდა და მიიმალა. შემდეგ ის სწრაფად მოვიდა თავის ქვეყანაში და იბერიელებზე თავისი ბატონობის დროს მოიყვანა თეთრი ჰუნნი, იბერიელების მეზობლად მყოფნი, და რომელთა ქვეშევრდომობაში მყოფთ ბევრი უბედურება მიაყენა“. გამეფებისას არკადი (895 წ.) იყო 18 წლის. ორიოდე წლის შემდეგ მან შეირთო ცოლად ფრანკთა წინამძღოლის ასული ევდოქსია, რომელთანაც ახლო კავშირის გამო ფარსმანი იძულებული გახდა გაქცეულიყო კონსტანტინოპოლიდან და თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. ეს უნდა მომხდარიყო 400 — 403 წლების ახლოს. არკადი კეისარის სიცოცხლეში, რადგანაც მისი სიკვდილის შემდეგ (408 წ.) დარჩა მისი მცირეწლოვანი შვილი თეოდოსი II და ფარსმანს უკვე შურისსაძიებელი მოტივები ნაკლებ ექნებოდა. საფიქრებელია ამიტომ, რომ ფარსმანი წამოვიდა კონსტანტინოპოლიდან 400 წლის ახლოს და მალე ამის შემდეგ ჩასდგომია სათავეში ქართლის სამეფოს.

მაგრამ ბაკურ მეფის ძმა იყო არჩილი, რომელსაც პეტრე იბერიელის ცხოვრების ავტორი წმიდას ეძახის. მისივე ცნობით ეს არჩილი თავის მოხუცებულობაში ბაკურთან და ბოსმარიოსთან ერთად განაგებდა ქართლს. რადგანაც არჩილი მეფედ 430 წლის ახლო ხანებში არის საგულისხმებელი, გამოდის, რომ ბაკურიც ამ დროს ცოცხალი ყოფილა. ყველა ამ ცნობების შერიგება შეიძლება იმგვარად, რომ 400 წლის ახლოს ფარსმანი დაბრუნებულა

ქართლს, გადაუყენებია ბაკური და თვითონ გამხდარა მეფედ, ბაკურს კი მიეცა სამართველოდ და საუფლისწულოდ რომელიღაც მხარე.

ფარსმანის (400 — 410 წლების ახლოს) შემდეგ მეფედ ყოფილა შვილი მისი მირდატ (410 — 420 წლების ახლოს), რომელიც სპარსელების პიტიახშმა ვარაზმა წაიყვანა ბაბილონს (ბაღდადს) და იქ მოკვდა. რამოდენიმე წელიწადი (მატიანით სამი წელი) ქართლში მეფე არ იყო. შემდეგ კი გამოცხადებულ იქნა მეფედ არჩილი, რომლის დროს ცოცხალი იყო ბაკურიც. არჩილის (423 — 432 წლების ახლოს) შემდეგ მეფედ იყო ვახტანგ გორგასალის მამა მირდატი (432 — 435 წლების ახლოს.). ყველაფერი ამის მიხედვით ბოლნისის ტაძარი დაწყებული უნდა იყოს ნახაპეტ ფეროზის დროს, ხოლო დამთავრებული მეფე ბაკურის დროს. ის შენდებოდა მაშასადამე დაახლოებით 384 — 399 წლებში. ზოგი რამ ტაძრისთვის გაკეთდა ფარსმან მეფის დროსაც, რის გამო მემატიანეს შეეძლო ტაძრის დამთავრება მიეწერა ამ ფარსმანის ხანისათვის. ჯუანშერი იხსენიებს მირიანიდან ვახტანგამდე ათ ნათესავს და რვა მეფეს, ზოგ ხელნაწერებში, თვით ანასეულ და მარიამისეულ ხელნაწერებში მოხსენებულია 10 მეფე და რვა ნათესავი, მაგრამ ჯერ ერთი მირიანიდან ვახტანგამდის თანჩათვლით მხოლოდ 9 მეფე მოდის და მეორეს მხრივ გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს ასეთ შემთხვევაში გამოთქმა მირიანიდან ვახტანგამდის რვა ნათესავის შესახებ. წაკითხვა 10 ნათესავი და 8 მეფე — კი ნიშნავს, რომ ამ ხანაში (მირიანიდან ვახტანგამდის, მაგრამ ვახტანგის ჩაუთვლელად) იყო 8 მეფე და სულ ამ მეფეების ჩათვლით 10 ნათესავი, ე. ი. 10 მართველი. ასეთი გაგებით გამოდის, რომ მირიანიდან ვახტანგამდის 8 მეფის გარდა ქართლის სათავეში ყოფილა კიდევ ორი პირი არა მეფის ხარისხით. ეს ორი პირი უნდა იყვნენ რომის იმპერიაში ბაკურის გაქცევის შემდეგ ნახაპეტად დანიშნულნი პეროზი და ამის შემდეგ ვაჰანი.

ნახაპეტი არის იგივე სომხური ნაჰაპეტი, რომლის ბგერითი შესატყვისი ტერმინი სპარსულშიც იქნებოდა. ტერმინი შედგებოდა ორი სიტყვისაგან — ნაჰ, პეტ, რომელთაგან პირველი უნდა ნიშნავდეს ოლქს, მხარეს (შეად. არაბული ნაჰიე), მეორე კი — უფროსს. სომხურში ნ. ადონცის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ფაუსტოსი ჩვეულებრივ ხმარობს სენიორების აღსანიშნავად ტერმინებს ნახარარს და ნაჰაპეტს. სამჯერ იგივე ავტორი ნაჰაპეტს იხსენიებს ტანუტერის (მამასახლისის) გვერდით. ლაზარე ფარპელი სრულებით არ იხსენიებს ნაჰაპეტს; ის ხმარობს ტერმინებს ტანუტერს, ტერს და ნახარარს. ელიშეც არც ერთხელ არ იხსენიებს ნაჰაპეტს და ტანუტერს და ხმარობს ნახარარს. ქართველებში ნახაპეტის მნიშვნელობის გასაგებად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ადგილი: „ნახაპეტნი და წინამძღვარნი სახლთა ნათესავთა“ (II ეზდრა, 5). დაბადების მეორე ვერსიაში ეს ადგილი შესწორებულია ბერძნულთან უფრო ზუსტად შეხამებით: „უხუცესნი სახლთა მამეულთა ტომთაებრ მათთა“. ნახაპეტი ამგვარად ნიშნავს აქ უხუცესს, უფროსს.

კიდევ: „ნახაპეტნი იგი და მთავარნი ძეთა ისრაელისათანი“ (II ეზდრა, 6, 65).

„ერისთავნი და ყოველნი სოფლებისა მთავარნი მარზაპანები და ნახპეტები“ (დაბ. 6).

ნახაპეტი მაშასადამე იხსენიება შემოკლებულადაც, როგორც ნახპეტი.

საყურადღებოა ეპითეტი ოარიზი, რომელიც მიკუთვნებული სჩანს ნახაპეტ პეროზისადმი.

უარიზი არის სპარსული ტერმინი. პროკოპი კესარიელი (BI, 12) ამბობს, რომ სპარსეთის მეფემ კობადმა (კაბადმა) სპარსელებისაგან გადადგომილ გურგენ იბერიის მეფის წინააღმდეგ გააგზავნა ჯარით „სარდალი ვინმე სპარსელი სახელით ბოე, უარიზის პატივის მქონე“. ახალ სპარსულში ამ ტერმინის შესატყვისი უნდა იყოს სიტყვა ა ვ ა რ ი ს — ძვირფასი ქვებით შემკული. უარიზი არის, მაშასადამე, სასანიანთა კარის რაღაც მაღალი საპატიო ხარისხი.

წარწერაში იგივე პეროზი იხსენიება მეფეთა ავალაგად. ტერმინი ავალაგი მოხსენებულია მოქც. ქ-საში, რიფსიმეს შესახებ იქ ნათქვამია, რომ ის იყო მეფე ევალაგი, ვარიანტი — მეფეთაგანი ავალ[ა]გი. ნინოს ვრცელ ცხოვრებაში რიფსიმეს შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო „დედუფალი ვინმე, მეფეთა ვალაგი“. ვარიანტით: „დედაკაცი ვინმე მეფეთა ავალ[ა]გი“. ლეონტი მროველს კიდევ ესევე ადგილი ქართლის ცხოვრებაში შეტანილი აქვს ასე: „დედოფალი ვინმე, მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე“. ნათესავი აქ ნიშნავს ტომს, ჩამომავლობას. ამ სიტყვას უდგება სომხური ჰ ა ვ ა ტ — სარწმუნოება, რწმენა; და ჰავატარიმ — სარწმუნო, სანდო. ქართულში ამ სიტყვას ავალაგის სახით მიუღია თავისებური მნიშვნელობა — წარმოშობის, ჩამომავლის.

ბოლნისის სიონს ზემოთ მოტანილი წარწერის გარდა აქვს სხვა წარწერებიც. აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებული წარწერა იკითხება შემდეგნაირად: „ქრისტე (ქ-ე), — დავით (დ-თ) ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის მცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე. ი. ი. „უკანასკნელი ორი ასო უნდა ნიშნავდეს: ინდიკტიონსა ათსა. ინდიკტიონობით (ლათ. ინდიქციო — ჩვენება, განცხადება) ანგარიში შემოღებულ იქნა 312 წლიდან იმპერატორ კონსტანტინეს განკარგულებით ოლიმპიადური ანგარიშის შესაცვლელად. ყოველ ინდიკტიონში ითვლებოდა 15 წელიწადი, IV ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში მორიგი ინდიკტიონი თავდებოდა 386 წელს. აქედან შემდგომი ინდიკტიონის მეათე წელი 396 წელზე მოდიოდა. ამ წელს დამთავრებულა ბოლნისის სიონის მშენებლობა. შენდებოდა ბოლნისის სიონი, მაშასადამე, 381 — 396 წლებში.[4]

---

4 მეათე ინდიკტიონი 396 წლის წინ და შემდეგ იქნებოდა 381 და 411 წლებში. მაგრამ 366 — 381 წლებს შეუძლებელია ბოლნისის სიონის აშენება მიეკუთვნოს. ხოლო 411 წელს კიდევ ქართლის მეფედ არ შეიძლება ყოფილიყო დიდი ბაკური, რადგანაც ამ წელზე ადრე ქართლის მეფედ უკვე ბაკურის შემდგომი ფარსმანი მეფობდა და შემდეგ კიდევ არჩილი. ამგვარად რჩება ბოლნისის სიონის დამთავრების თარიღად მეათე ინდიკტიონი 396 წელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ხუციშვილი

# სახელოვანი მოქალაქე და მოაზროვნე

(სოლომონ დოდაშვილის დაბადების 180 წლისთავი)

**ვიმსჯელეთ იმ შევიწროებაზე, რომელსაც ადამიანი განიცდის...**

(ს. დოდაშვილის პასუხიდან გამომძიებელს 1832 წ. 15 დეკემბერს).

სოლომონ დოდაშვილი 1805 წლის 17 მაისს დაიბადა (ძვ. სტ.). ეს იყო ხსენების დღე მოციქულის ანდრონიკესი და წმ. მოწამე სოლომონისა. მისმა მამამ, იოანემ, კალენდრის მოსახსენებელთა მიხედვით პირმშოს წმინდა მოწამის სახელი დაარქვა. რა იცოდა სოფ. მაღაროს მკვიდრმა იოანემ, რომ მისი შვილი წამებულის ბედს გაიზიარებდა!

ს. დოდაშვილი ერთი თვისა და ათი დღის დაპატიმრებული იყო ავლაბრის ყაზარმაში, როცა მან მორიგი წერილობითი ჩვენება მისცა საგამომძიებლო კომისიას: „...მაქვს პატივი კომისიას შემდეგი მოვახსენოო“ და შვიდ პუნქტად ჩამოაყალიბა მიზეზები იმისა, თუ რა იწვევდა უკმაყოფილებას ხალხისას. ახლავე უნდა ითქვას, რომ როგორც მან, ისე სხვებმა ცადეს თავიდან აეცილებინათ „დანაშაულის“ პოლიტიკური საფუძველი, მაგრამ არც ის მიზეზებია უბრალო, რომელთაც დაპატიმრებული მოაზროვნე ასახელებდა: „სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ. არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათ-ზნე-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად განმარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება; დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქაღალდზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კმაყოფილი რჩება; წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც გერბიან ქაღალდზეა ნაბრძანები; საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს, და — ძალიან სწრაფადაც, ნაბრძანებია, მაინც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჭიანურდება; მომჩივანთაგან როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე ღირს; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეს არავინ მოისმენს და არ გაარჩევს; ძალიან პატიოსანი და ყველასაგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ როგორმე მოუხდა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველი კაცის მხიარული ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს...“ პატიმარმა იქვე ერთი მაგალითი მოიყვანა უსულგულობისა და იმდროინდელი სამართლის უსამართლობისა: „ერთი საწყალი მოხუცი ქალი, რომელიც სოფელში მამაჩემის მეზობლად ცხოვრობს, 1813 წლიდან წვალობს თავისი ძროხების შესახებ, რომლებიც გაურეკიათ იქაურსავე მცხოვრებთ... დღემდე (ეს იწერება ძროხების დაკარგვიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ — ს. ხ.) ვერ მიიღო დაკმაყოფილება ოლქის უფროსისაგან“. მსგავსი საქმეები უამრავიაო, ეს მეტად უმძიმს მოსახლეობასო, ასკვნიდა პატიმარი. იგი რეკომენდაციასაც აწვდიდა საქმის გამარტივების მიზნით: „სასამართლოში უნდა იყოს არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხსო“.

ს. დოდაშვილის ამ მოსაზრებებს ილია ჭავჭავაძე, რასაკვირველია, არ იცნობდა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მანაც ასეთივე აზრი გამოთქვა 1899 წელს, როცა რუს მწერალსა და ეთნოგრაფს ევგენი მარკოვს მიმართავდა: „იშვიათია, რომ რომელსამე რუსს ასჩენოდეს სურვილი და ხალისი იცოდინოს რამ ჩვენი, ჩაიხედოს ჩვენს გულში, გაიგოს

ჩვენი გულთნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვიწყას. ჩვენ აუცილებლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო. მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადი, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვით".

ს. დოდაშვილის სახით XIX საუკუნის 20-იან წლებში ქართულ კულტურას ჰყავდა პრინციპული მოღვაწე, აღზრდილი ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების ტრადიციაზე, რომელსაც ემატებოდა რუსულ-ევროპული ფილოსოფიური მეცნიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ცოდნა, იგი მხურვალე დამცველი იყო ეროვნული საუნჯისა, ქართული ენის განვითარების მოღვაწე და მოაზროვნე და ახალგაზრდობის აღმზრდელი. მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა განსაზღვრა იმ ისტორიულმა ვითარებამ, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება, და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-სოციალურმა მდგომარეობამ, რის ცოდნაც მას საკმაოდ დიდი ჰქონდა. იგი პირველი ქართველი ინტელიგენტია XIX საუკუნეში — დაბალი ფენიდან წარმოშობილი, რომელმაც შეაღო პეტერბურგის უნივერსიტეტის კარი, შეისწავლა ევროპული ფილოსოფია და უნივერსიტეტის კურსის შესრულებისას დაბეჭდა კიდეც ფილოსოფიის კურსის პირველი ნაწილი — „ლოგიკა" (1827 წელს). უნივერსიტეტის კურსშესრულებული და „ლოგიკის" ავტორი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დაინიშნა ქართული სიტყვიერების მასწავლებლად, სადაც ხუთნახევარი წლის განმავლობაში ხსენებული სასწავლებლისა და 1830 წლიდან თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებს ასწავლიდა მშობლიურ ენასა და მწერლობის ისტორიას. 1830 წელს მან გამოსცა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, მუშაობდა ფილოსოფიის კურსის გაგრძელებაზე, დაწერა რიტორიკა, ამასთან ერთად, 1828 წლის ივლისიდან იგი მუშაობდა „ტფილისის უწყებების" რედაქციაში, ამ გაზეთის ქართული გამოცემის ხელმძღვანელად, ხოლო 1832 წლიდან დაიწყო გამოცემა „ტფილისის უწყებების" სალიტერატურო ნაწილისა, რომლის მხოლოდ ხუთი ნომერი დაიბეჭდა. პედაგოგიური და ჟურნალისტური მუშაობის პარალელურად, დროდადრო, იგი მოგზაურობდა ქართლსა და კახეთში, აკვირდებოდა და სწავლობდა მშობლიური ხალხის ყოფას, ცხოვრების პირობებსა და წესებს, რამაც იგი მიიყვანა იმ ახალგაზრდათა ჯგუფთან, რომელმაც განიზრახა პოლიტიკური ცვლილების მოხდენა მაშინდელ საქართველოში. ახალგაზრდათა ეს ჯგუფი თავის საიდუმლო შეკრებებზე, რაც ხშირად დროს ტარებით იყო შენიღბული, მსჯელობდა იმ ისტორიულ მოვლენებზე, რაც მოჰყვა 1795 წელს თბილისის დარბევას, 1783 წლის ტრაქტატთან დადებულ ხელშეკრულებას, 1801 წლის მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან მიერთებაზე და სხვ. ეს ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო პოლიტიკური აქცია, რაც საქართველოს და რუსეთის ურთიერთობას ჩააყენებდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვითარებაში.

ახალგაზრდათა ჯგუფის მუშაობაში შეინიშნება აქტიურობის პერიოდები, რომელთაც მოჰყვებოდა მათი საქმიანობის მოდუნება. ერთი აქტიური ეტაპი შეთქმულთა ურთიერთობაში აღინიშნა 1832 წელს, რომელიც, მესაიდუმლეთა გადაწყვეტილებით, უნდა ყოფილიყო დათქმული მიზნის სარეალიზაციო წლად. ვიდრე ამ ჯგუფის მოღვაწეობის ლეგალიზაცია მოხდებოდა შეიარაღებული აჯანყებით, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა და მათ მოხელეთა დაპატიმრებით, საიდუმლო შეთქმულების ერთმა მონაწილემ — იასე ფალავანდიშვილმა მთავარმართებელ გრიგოლ როზენს დასმენა გადასცა 1832 წლის 11 დეკემბერს. შეთქმულნი დააპატიმრეს, მათ შორის ს. დოდაშვილიც. ასე დასრულდა ამ ნიჭიერი და შესანიშნავი ადამიანის მოღვაწეობა და მრავალმხრივი საქმიანობა.

სტუდენტობის ხანს პეტერბურგში ს. დოდაშვილი ცხოვრობდა იონა ხელაშვილთან, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებთან. იმ წლებში, როცა ს. დოდაშვილი უნივერსიტეტში სწავლობდა (1824-1827), იონა ხელაშვილი ბატონიშვილ ბაგრატ გიორგის ძის კარის მოძღვარი იყო და მის სახლში ცხოვრობდა მასთან შეფარებულ ს. დოდაშვილთან ერთად. სტუდენტი დოდაშვილი იცნობდა ყველა ბატონიშვილს, მათთან მცხოვრებ ქართველებს. მას ნაცნობობა ჰქონდა სოლომონ რაზმაძესთან, გიორგი პაიჭაძესთან და იმ პირებთან, რომლებიც იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ ბატონიშვილებთან იმყოფებოდნენ რუსეთში, ან მათი სტუმრები იყვნენ. ს. დოდაშვილი თვალითმხილველი იყო 1825 წლის დეკაბრისტების აჯანყებისა, მაშინდელი სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი თავისი განწყობილებით პირველი რუსი რევოლუციონერებისაკენ სიმპათიით იხრებოდნენ. ამისი ერთი საბუთი ისიცაა, რომ 1832 წელს ს. დოდაშვილის ქაღალდებში გამოძიებამ ნახა ასლი კონდრატი რილეევის წერილისა, რომელიც მან ჩამოხრჩობის წინა დღეს საპატიმროდან ცოლს გამოუგზავნა. ქართველი სტუდენტიც ჩართული იყო იმ მითქმა-მოთქმაში და ამბებში, რაც მაშინ პეტერბურგის საზოგადოებას აღელვებდა.

ის ჩუმი პროტესტი, რაც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, „დეკაბრისტების" აჯანყება და

მათი ტრაგიკული დასასრული, სხვადასხვა იდეებთან დაახლოება ფილოსოფიური აზროვნების შესწავლისას, ფრანგი განმანათლებლებისა და მატერიალისტების შეხედულებების გაცნობა და, რაც მთავარია, სამშობლოსი და მშობლიური ერის ბედით დაინტერესება იყო ის პირობები, რამაც ს. დოდაშვილი მოაქცია პოლიტიკური საქმიანობის ცენტრში. იგი ერთი მთავარი ფიგურა იყო შეთქმულებისა და ყველაზე მემარცხენე, რადგან სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს მომავალი პოლიტიკური მართვა-გამგეობის რესპუბლიკური იდეები.

ჯერ კიდევ შეთქმულთა დაპატიმრებამდის ქართულ საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ ს. დოდაშვილი თავისი მწერლობითა და ჟურნალისტური მუშაობით ხელს უწყობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას. გამოძიებამაც გარკვეული ყურადღება მიაქცია ს. დოდაშვილის ჟურნალს და მისი ხუთივე ნომერი საგამომძიებლო საქმეებში ჩააკერეს.

ს. დოდაშვილის მეცნიერული მუშაობის დასაწყისი პეტერბურგთან და მის უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, ხოლო როგორც ჟურნალისტი და მაშინდელი პერიოდიკის ხელმძღვანელი იგი თბილისში ჩამოყალიბდა. როცა 1828 წელს გადაწყდა ქართული გაზეთის გამოშვება, მაშინ თბილისში ერთადერთი ს. დოდაშვილი იყო, რომელსაც შეეძლო გაზეთის გამოცემისთვის ეხელმძღვანელა. ამიტომაც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა იგი მიიწვია რუსული გაზეთის ქართული გამოცემის ხელმძღვანელად. ამის შესახებ ს. დოდაშვილმა იონა ხელაშვილს პეტერბურგში წერილით აცნობა: „დამნიშნა ღუბერნატორმან კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთთასა, სადაც იქმნებიან სხვა და სხვა გვარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიცა შემთხვეულან ან შემთხვეულ იქმნებიან. ჩვენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში".

საგაზეთო მუშაობას ბევრი დრო და ძალღონე შეალია ს. დოდაშვილმა, სხვა სამუშაოთათვის ვეღარ იცლიდა, თითონაც მუშაობდა და სხვებსაც ამუშავებდა, განსაკუთრებით მას სურდა ახალგაზრდების მობილიზება ამ მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის. ზოგიერთი წერილის დაწერას თავის მოწაფეებს ავალებდა. 1829 წელს, მაგალითად, მან დაუბეჭდა წერილი ლუარსაბ არღუთაშვილ-მხარგრძელს „ლ. ა-დ"-ს ხელმოწერით (ლუარსაბ არღუთაშვილი-დოლგორუკოვი) „რაიმე რუსთაველისათჳს", რომელიც წარმოადგენს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საერთო მიმოხილვას. ავტორი ახასიათებს რუსთაველს, როგორც უდიდეს შემოქმედს და ადარებს ჰომეროსს, იძლევა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს... ახასიათებს პოეტის ბავშვობას და აღნიშნავს თამარის მიერ სხვა ჭაბუკებთან ერთად მის ათენში გაგზავნას, სადაც მან მიიღო ბერძნული [illegible] განათლება. ავტორის შენიშვნით, რუსთაველს იქვე უნდა დაბადებოდა სიყვარული მაღალი პოეზიისა. საქართველოში დაბრუნებისას რუსთაველი მტრებთან ბრძოლაში მეთაურობს მხედრობას და მამულის წინაშე ვალს იხდის, წერს „ვეფხისტყაოსანს", რომელშიც ის მისწვდა ილიადის სიმაღლესო. ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი ქართული ენის რეფორმატორი იყო, მან გაამდიდრა ქართული მეტყველება ახალი სახეებით, ლექსიკით. რუსთაველის ენა ავტორს მიაჩნია „პირველ მამად აწინდელისა ენისა" (გ. იმედაშვილი, „რუსთველოლოგიური ლიტერატურა", გვ. 2).

ს. დოდაშვილი რუსთაველს მიიჩნევდა „სრულების მაღალ ხარისხად", ამას ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომელთაც მასწავლებლის აზრები თავის შემოქმედებაში გადაუტანიათ. მან ასევე დაუბეჭდა პოეტური ნაწარმოები მეორე მოსწავლეს — დავით მაჩაბელს, რომლის ლექსი „თოვლი" „სალიტერატურონი ნაწილნის" მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა.

„ტფილისის უწყებებში" რეალიზებულია ს. დოდაშვილის ჟურნალისტური ინტერესები. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი ანარეკლი ადასტურებს მათ არსებობას: შინაური, რუსეთის თუ ევროპის ქვეყნების ვითარება, ხელისუფლების საქმიანობა საქართველოში, ომები სპარსეთთან და ოსმალეთთან და ქართველთა მათში მონაწილეობა, ქართველ მხედართმთავართა დამსახურება აღმოსავლეთის ომებში და სხვა ვრცლად შუქდებოდა ქართულ გაზეთში. ს. დოდაშვილს ანგარიში უნდა გაეწია ცენზურისათვის, ან თვით ცენზურა არ მისცემდა დამოუკიდებელ უფლებას ქართულ გაზეთს. მიუხედავად ამისა, ს. დოდაშვილი მაინც ბეჭდავდა ინფორმაციას თურქების მძლავრობაზე ბერძენთა მიმართ, ბერძენთა ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლაზე, პოლონეთის მოძრაობაზე. მართალია, მცირე, მაგრამ მაინც არის ცნობები ლიტერატურაზე. იმდროინდელი ქართული ლიტერატურის სალონური ხასიათი, მწერლობის კარჩაკეტილობა, ცხადია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო უხვი მასალა ლიტერატურული პროცესის საჩვენებლად. მაშინდელ ქართველ პოეტთა შემოქმედება ვერ აისახა გაზეთში. ის წერილი შოთა რუსთაველზე, პუშკინის ლექსის ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი, მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობები პუშკინის თხზულებებზე, ძლიერ ცოტაა, რასაკვირველია. ს. დოდაშვილი საგაზეთო მასალას თარგმნიდა რუსულიდან, მის კალამს ეკუთვნის ანაპის ციხის ოსმალთაგან გათავისუფლებისა და მისი რუსთა ხელში გადასვლის ამბავი, აღწერა ომარ ხანის შემოსევისა და იორზე მისი ჯარის განად-

გურებისა, ა. გრიბოედოვის ავადმყოფობისა და მისივე თეირანს გამგზავრების ცნობები და ა. შ.

გაზეთში მოღვაწეობამ ს. დოდაშვილის წინაშე დააყენა საკითხი ლიტერატურული ორგანოს გამოცემისა. ეს მან განახორციელა 1832 წელს. პირველ ქართულ ჟურნალს მან უწოდა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ეს იყო შესანიშნავი ფაქტი ს. დოდაშვილის ჟურნალისტური და საგანმანათლებლო მოღვაწეობისა. ს. დოდაშვილი იყო პირველი ქართველი, მოღვაწე, მოქალაქე, ჟურნალისტი, რომელმაც იტვირთა ჟურნალის დაარსება და ხელმძღვანელობა. თვით ჟურნალის დაარსების ფაქტია მნიშვნელოვანი, რადგან იგი აჩვენებს XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული ინტელიგენციის, საზოგადოების მოწინავე ნაწილის განწყობილებას.

მართალია, ჟურნალის მუშაკთა და ხელისმომწერთა რიცხვი მცირე იყო, ხელმძღვანელსაც არა გააჩნდა რა, გარდა მისწრაფებისა და სურვილისა, მაგრამ მაინც გამოსცა ჟურნალი, თუმცა უსახსრობის გამო მან დიდხანს ვერ იარსება. ყოველ შემთხვევაში, ქართული ჟურნალისტიკის და, საერთოდ, კულტურის ისტორიაში ამ ჟურნალმა მკაფიოდ გამორჩეული ადგილი დაიჭირა. სწორედ მისმა არსებობამ ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს, როცა გაზეთ „დროების“ ათი წლისთავის იუბილეზე წარმოსთქვა პატარა სიტყვა და სოლომონ დოდაშვილს ქართული ჟურნალისტიკის მედროშე უწოდა: ს. დოდაშვილმა და გ. ერისთავმა გადმოგვცესო ის დროშა ჟურნალისტური მოღვაწეობის, რომელიც ახლა, 70-იან წლებში, „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ გამოვლით, „დროებას“ უჭირავსო. ამას გულისხმობდა ი. ჭავჭავაძე 1876 წელს.

რასაკვირველია, წინასწარი აზრის შემუშავებისა და შეთანხმების გარეშე მაშინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ს. დოდაშვილი ვერ წამოიწყებდა სალიტერატურო ჟურნალის გამოცემას. ცხადია, მას საუბარი ექნებოდა ყველა იმ პირთან, ვისაც იგი საჭიროდ თვლიდა ემსჯელა ჟურნალის დაარსებაზე. მართლაც, საბუთების მიხედვით დასტურდება, რომ ქართული გაზეთის დაარსების შემდეგ გაჩენილა სურვილი ახალი ორგანოს დაარსებისა. ს. დოდაშვილს ამის თაობაზე საუბარი ექნებოდა და ჰქონია კიდეც ალექსანდრე ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან და რასაკვირველია, ალექსანდრე ჭავჭავაძესთანაც. ეს დასტურდება შეთქმულების მასალით. არაერთგან არის იქ მოხსენებული მსჯელობა ჟურნალის დაარსებაზე, მის ხელისშემწყობთა ძიების კვალი.

ს. დოდაშვილს საპროგრამო წერილი პირველ ნომერში არ დაუბეჭდავს. ჟურნალის მიზანსა და დანიშნულებაზე მან მეხუთე ნომერში დაბეჭდა „განცხადება“, სადაც წერდა: „...იწყო ქართულსა ენასა [illegible] გამოცემა ტფილისის უწყებათამან [illegible] წელსა, უმეტეს ამისთვის, რათამცა მისცემოდა ესე გვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოვებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“.

ს. დოდაშვილისათვის მთავარი იყო ზრუნვა ეროვნული ღირსებისა და ღირებულების დაცვისათვის. ჟურნალის არსებობის მოკლე მანძილზე მას არ შეუჩერებია ფიქრი ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ბედზე. ამ დროს გამოჩნდა მისი მოქალაქეობრივი ინტერესი, ეროვნული სიკეთისა და წარმატების დიდი სურვილი, ქართული ენისა და სიტყვიერების განვითარებისათვის სამსახური, ქართული ეროვნული ნაკადის გალონიერების ცდა. თავის კორესპონდენტებს, საქართველოში თუ რუსეთში, ყველას ეხვეწებოდა, ჟურნალისათვის ეგზავნათ მასალები ისტორიისა, ენისა, ლიტერატურისა და სხვათა შესახებ, რაც დაკავშირებული იქნებოდა ქართულთან და საქართველოსთან. წერდა ფილადელფოს კიკნაძეს, წერდა იონა ხელაშვილს, თანაც ამ უკანასკნელს ევედრებოდა, რათა მას პეტერბურგში ქართველთა შორის მოეკითხა საყურადღებო მასალები, იქაურ ქართველებს ხელი მოეწერათ ჟურნალზე. ერთ განცხადებაში იგი წერდა: „მიმღებთა ამისთა, ვჰსთხოვთ უმორჩილესად, რათა მიიღონ შრომა, რათამცა არა სარცხვინელ იქმნას საქართველოს საზოგადოობა, განუცხადოთ ყოველთა მემამულეთა და განაღვიძოთ მათ შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენის და სიტყვიერებისა, მოაწერონ ხელი და შეძლებისამებრ თვისისა მოსცენ შემწეობა განმრავლებისათვის ღონისძიებათა და საშუალობათა, რითამცა ზემოხსენებული გამოცემა განგრძელდეს საქებელად მამულისა...“ „თუ ლადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია. როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე“ — ესაა წერილიდან, რომელიც გაეგზავნა ფილადელფოს კიკნაძეს 1832 წლის 6 თებერვალს.

იდეური მიზანსწრაფებით და მიმართულებით ს. დოდაშვილის ჟურნალი ასახავდა XIX საუკუნის ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყის ეტაპს, რაც შემდეგ, 60-იანი წლების თაობის მთავარ მამოძრავებელ იდეად იქცა.

პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალის წერილების ავტორობა წილად ხვდათ ჟურნალის მესვეურს და მის თანამედროვეთ; ესენი იყვნენ: თადეოზ გურამიშვილი, გიორგი

დავითის ძე ერისთავი, გიორგი იასეს ძე ერისთავი, დავით მაჩაბელი, ალექსანდრე ორბელიანი, ჟურნალში დაიბეჭდა პუშკინის ორი ნაწარმოების სოლომონ რაზმაძისეული თარგმანი.

ს. დოდაშვილის სახელი ჟურნალში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს აქვს მიწერილი. ესაა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, გამოქვეყნებული მის სიცოცხლეში (აქ არ იგულისხმება პეტერბურგში დაბეჭდილი წიგნი რუსულ ენაზე „ფილოსოფიის კურსი", 1830 წელს თბილისში დაბეჭდილი „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა" და წერილები სხვადასხვა პირთა მიმართ). გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია საარქივო საქმეები 1832 წლის შეთქმულებისა, სადაც უხვად არის მასალები გამოსული მისი ხელიდან და მის შესახებ (იხ. „1832 წლის შეთქმულება", სამი ტომი, გამოცემული პროფ. გიორგი გოზალიშვილისაგან 1935-1976 წწ. ამ წიგნებში ჩადებულია გ. გოზალიშვილის კოლოსალური შრომა)...

ს. დოდაშვილის ნაწერთა შორის პრინციპული ხასიათისაა მისი წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)", გამოქვეყნებული ჟურნალის პირველ და მეორე ნომრებში. წერილი მიმართულია მათ წინააღმდეგ, რომელთაც გამოუთქვამთ, რომ ქართული ენა „გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესაძლებელადცა გარმონიისადმი არავითარისამე მექონ არს სიამოვნისა". ეს ნიჰილისტური და მტრული აზრი ქართული მწერლობის მიმართ, რომელიც ცხადია, გამოთქმული იყო მაშინდელ პრესაში, იყო უმართებულო დასკვნების წყარო, რომლის წინააღმდეგაც ს. დოდაშვილმა მიმართა თავისი მახვილი კალამი. ეს წერილი არის დაცვა ქართული ენისა და ლიტერატურისა, დაცვა მისი ღირსებისა, ღირებულებისა, შინაარსისა და ისტორიისა. საინტერესოა, რომ პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალის პირველსავე ნომერში ასეთი ხასიათის წერილი გამოქვეყნდა. ცხადია, წერილი მიმართული იყო მათ წინააღმდეგ, რომელნიც ბარონ ბრამბეუსის (ოსიპ სენკოვსკის) ჯილაგისანი იყვნენ და რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს ერთ ტაფაში წვავდნენ, როგორც ცოტა ხნის შემდეგ ცნობილი რეაქციონერი ნ. კატკოვი და ძმანი მისნი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის განხილვას ავტორმა ხელი მოჰკიდა ამ ლიტერატურის ორგინალურ და ნათარგმნ თხზულებათა ხასიათისა და ხარისხის გამოსაჩინებლად. ს. დოდაშვილის ეს წერილი პირველია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში, როგორც მიმოხილვა და მოწესრიგებული შეფასება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა. ავტორი მეცნიერული კვლევის საფეხურზე იდგა, როცა პირმოთნეობისა და [illegible]ლობის გარეშე აფასებდა [illegible]ნის (ანუ ავტორის) შემოქმედებას. მაშინ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იყო ცნობილი ქართული ლიტერატურის წარსულიდან, არ იყო ცნობილი დავით გურამიშვილიც კი, არ იყო ცნობილი გიორგი მერჩულე და საერთოდ ბევრი რამ. ამიტომაც იყო, რომ ს. დოდაშვილი ინტუიციით ამბობდა, რომ საერთოდ პროგრესის მოყვარულთა თვალთათვის მდიდარი ქართული ლიტერატურა წყვდიადით არის დაფარული, ამიტომ განათლებულ კაცობრიობას არ შეუძლია ქართველთა სულიერი სამყარო მართებულად შეაფასოსო. მისი აზრით, ქართული ერთ-ერთი უძველესი ენაა, რომელიც შემდეგ „განწრფელებულია პირველი მეფის ფარნავაზისაგან ქრისტეს შობამდის 327 წელს". იგი აბათილებს ცრუ თეორიათა ანეგდოტურ დებულებებს, რომ ვითომც ადამი არმენთა ენაზე მეტყველებდა, რომ მისი ენა არის პრაენა კაცობრიობისა. ს. დოდაშვილისათვის ცხადია, რომ ცოცხალ ენას, ისტორიის მანძილზე ემატება ლექსიკური ელემენტები სხვადასხვა ენებიდან, ქართულს სპარსულიდან, არაბულიდან, სომხურიდან, შემდეგ ხანებში რუსულიდან... ენის სიცოცხლე, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმ ხალხის ისტორიასთან და ყოფასთან, ვისი ეროვნული საუნჯეც იგი არის, მაგრამ ენა არ დგას განმარტოებულად და არც არის შემთხვევა, რომ ერთი ენიდან მეორეში არ გადასულიყოს და არ დამკვიდრებულიყოს ლექსიკური ერთეულები, რაც ცხადია, არ შეიძლება გამოყენებული იყოს რაიმე სერიოზული მოსაზრების დასადასტურებლად. ს. დოდაშვილი ასახელებს ქართველ მწერლებს, რომელთაც შორეულ წარსულში შექმნეს სულიერი საზრდო თავისი ერისათვის, გაამდიდრეს სააზროვნო საგანძური მხატვრული თუ მეცნიერული ნაშრომებით: ილარიონ ქართველი, ეფთვიმე, იოანე პეტრიწონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე. ესენი არა მხოლოდ მთარგმნელები იყვნენ საფილოსოფიო და საღვთისმეტყველო წიგნებისა, არამედ ავტორები სიტყვიერების სხვადასხვა დარგის თხზულებებისა. ს. დოდაშვილი ოქროს საუკუნეს უწოდებდა დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს, რომელიც აღსავსე იყო სწავლით, ხელოვნებით, სათნოებით და ტალანტებით. ამ ეპოქის კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შემოქმედებისათვის, სამწუხაროდ, ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება „განვითარებულ კაცთაგან", რომ წარმოჩენილიყო მხატვრული აზროვნების ბრწყინვალე მაგალითები, რომელთა საფუძველი შექმნილია სარგის თმოგველის, მოსე ხონელის, ჩახრუხაძისა და რუსთველისაგან. „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამია-

ნი“, ქართული სიტყვიერების უმაღლესი ხარისხი „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“, მათი ზომიერი და გაწყობილი ლექსი, მათი სიმფონია, იდეები ადასტურებენ ქართული ლიტერატურის ხნოვანებას, თვითმყოფობასა და მაღალ აზროვნება-ხელოვნებას. ბარბაროსულმა თავდასხმებმა, რომელნიც ქართველ ხალხს XVIII საუკუნის დასასრულამდე მოჰყვნენ, ვერაფერი დააკლეს დიდ ლიტერატურას: „სამწუხაროსა დროისასა სული სიყვარულისა დიდებისათვის მამულისა არა განჰქრა ნათესავთა შორის ივერიისათა“. ეს გაუქრობელი სული აღორძინდა თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვათა შემოქმედებაში. აღდგინების ეპოქას უწოდებს ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდს იგი, განსაკუთრებით კი, მეფე ერეკლეს დროს, როცა ამ მეფემ „ელვარებიანი ძლევანი“ მოიპოვა. ანტონ კათალიკოსი, ვახუშტი, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები, გაიოზი, იასე ერისთავი, დიმიტრი ციციშვილი „განსხვავდებოდნენ შვენიერ სიტყუაობითა, თხზულებანი მათნი... ღირს არიან გონებაგანხილველისა ყურადღებისა“ — დაასკვნის იგი.

ეს მიმოხილვა კონსპექტურია, თუმცა მნიშვნელოვანია პათოსით, მასალის სიუხვით, ლიტერატურისა და ერის ურთიერთკავშირების ძიებით. რაც მთავარია, ეს გამოკვლევა არის დადასტურება დიდი და სახელოვანი წარსულის არსებობისა, ივერიელთა გონებრივი ვითარებისა და მათი მოქალაქეობის სიძველისა. ავტორს მიაჩნია, რომ ამგვარი სულიერი სიმდიდრე უფრო მართებულ და წესიერ შეფასებას იმსახურებს, ვიდრე ეს ხდება უვიცთა და პირველობის დაფნის ხელთ პყრობის განუკითხველ მსურველთაგან.

ს. დოდაშვილმა, პირველმა ქართულ მწერლობაში, ლიტერატურის განვითარება განიხილა სისტემატურად. მართალია ეს განხილვა შეკუმშულია, მაგრამ მაინც პირველია თავისი ხასიათით და პათოსით და, ამრიგად, მაგალითის მიმცემია მომავალი მკვლევარებისათვის.

ს. დოდაშვილის ეს ნაშრომი აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ ასე შეაფასა: „ს. დოდაშვილის ამ შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა, რომელიც მიღებული იქნა შემდეგში ა. ცაგარლის მიერ და სხვადასხვა ვარიაციით ზოგადად მომდევნო ხანის სამეცნიერო ლიტერატურაშიც მეორდება“ („ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, მესამე გამ., გვ. 17).

მნიშვნელოვანია ს. დოდაშვილის კრიტიკული წერილი „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომელიც დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამასა წელსა“. წერილი დაბეჭდილია რუბრიკაში „კრიტიკა“ და შეეხება „ტფილისის უწყებების“ რუსული გამოცემის თანამშრომლის, გრიგოლ გორდეევის წერილს. ამ წერილშიც ჩანს ს. დოდაშვილის პრინციპულობა და დაცვა ქართული ისტორიის წყაროებისა. ყოველგვარი შელავათის გარეშე მან ამხილა ფალსიფიკაცია საბუთისა და მსჯელობისა.

საინტერესო მოვლენა არა მხოლოდ „სალიტერატურო ნაწილისა“, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისა არის ჟურნალის მეოთხე და მეხუთე ნომრებში გამოქვეყნებული თხზულება ს. დოდაშვილისა, პირველი ქართული რომანი „ელენა“. ავტორს მკითხველი გადაჰყავს XVIII საუკუნეში. ნაწარმოების სახელწოდება, სრულიად მოსალოდნელია, ავტორისათვის მისი მეუღლის სახელს ეკარნახა. ს. დოდაშვილის მეუღლე იყო ელენე, კობიაშვილის ასული.

ნაწარმოებში განვითარებული ამბავი აჩვენებს ავტორის შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობელ საკითხებზე, სოციალურ პრობლემებზე, ადამიანის გრძნობათა თავისუფლებაზე. ნაწარმოები XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისშია შექმნილი. მაშინ დაიბადა ის მწერალი, რომელიც გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ბატონყმობაზე. ეს იქნება დანიელ ჭონქაძე. მაგრამ, ჯერ „ელენას“ ვუგდოთ ყური.

„ელენა“ პროტესტით აღსავსე თხზულებაა. ადამიანთა უბედურების სათავეს ავტორი იმაში ხედავს, რაც ერთს აფიქრებინებს, რომ ყველაფრის მფლობელი და შემძლებელია, მეორეს კი ამისი უფლება არა აქვს. ადამიანთა შორის განსხვავებაა, ერთი ხარისხიანია, მეორე — არა; ერთი მაღალი ფენისაა, მეორე არა. მართალია, სიყვარულმა არ იცის მაღალი და დაბალი, მაგრამ ხარისხის მქონეს არ სურს საკითხი გრძნობათა არეში გადაიტანოს და შესაფერისად მიაგოს შვილის გრძნობა-სიყვარულს.

ავტორი თავისი დროის საზოგადოებრივ დიფერენციაციას და ცხოვრების წესებს უარყოფითად აფასებს. მართალია, მას აღწერილი ამბები წინა საუკუნეში გადაუტანია, მაგრამ, ვინ არ მიხვდებოდა იმ ხერხს, რომელიც შემდეგ დ. ჭონქაძემაც გამოიყენა, როცა „სურამის ციხის“ მთავარი ამბავი — ნოდარის თავგადასავალი ისტორიულ წარსულში, სურამში ციხის აგების დროში გადაიტანა. იმდენად მძაფრია ს. დოდაშვილის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის პროტესტი, რომ იგი კრიტიკული რეალიზმის შორეულ სათავეებში შეიძლება დადგეს, ხოლო მოქალაქეობრივი გულისტკივილი საკმაოდ ცხადად არის გამომჟღავნებული ნაწარმოების ლაკონიურ თხრობაში. ეს ნაწარმოები XIX საუკუნის დასაწყისის პირველი ქართული რომანია, აგებული სოციალურად და ეკონომიურად ერთურთს დაცი-

ლებული ფენების ტრაგიკული დაპირისპირების ფონზე.

სამშობლოს ღრმა სიყვარული არის გამოხატული ძმათა შორის მიწერ-მოწერაში — „მოწერილი ს.-პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან“ და „პასუხი ტფილისიდამ“. სრულიად დასაშვებია, რომ ეს იყოს ძმების — სოლომონისა და სტეფანე დოდაშვილების მიწერ-მოწერა და არა რედაქტორის ხერხი, ვითომც ორივე წერილი ეკუთვნოდეს ჟურნალის რედაქტორს. სოლომონის მომდევნო ძმა — სტეფანე (რომელიც ზ. ჭიჭინაძემ აურია სოლომონში და ერთგან დაწერა — სოლომონ დოდაშვილი დუშეთში იყო პოლიციის მოხელედო) პეტერბურგში იონა ხელაშვილთან ცხოვრობდა. მისი რუსეთს გაგზავნა ითავა უფროსმა ძმამ სოლომონმა. ყოველ შემთხვევაში, ამ წერილებში გამოხატულია ქვეყნისა და ერის სიყვარული. „კარგად იცი, — წერს თბილისიდან პეტერბურგს, — რომელ ბუნებამან არა უარგვყო ზნეობითთა და ფიზიკებრთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს, ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული, თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველისა ელლადისათა. გარნა არა განხმულ იყო ჭურჭელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითთა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა საჭიროებანი გარემოებათანი და არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნისმოყვარეობითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა...“

ასე გამჟღავნა შვილიერი სიყვარული სამშობლოს მიმართ ს. დოდაშვილმა. თანაც აღნიშნა, თუ რა არის საჭირო „ჭურჭელთა განსახმელად“, გონების გასაფართოებლად და მომავლის საწინდრად. „მე აწინდელისა მდგომარეობისა მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომ მომეტებული შეუძლებელ არს“... და უხაროდა იმიტომ, რომ ახალი შემოქმედებითი თაობა მოდიოდა. ამიტომო: „გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაიდგან მრავალთა ახალგაზრდა კაცთა იწყეს თხზვა მშვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხვა საგანთა...“ ეს ახარებდა მოქალაქესა და მოღვაწეს, მწერალსა და მასწავლებელს სოლომონ დოდაშვილს.

განსაკუთრებული ადგილი ს. დოდაშვილის მემკვიდრეობაში უჭირავს მის წერილებს, რომლებიც გაუგზავნია სხვადასხვა პირთა მიმართ, განსაკუთრებით იონა ხელაშვილთან. წერილების თარიღებია 1825 წლის ივლისიდან 1832 წლის თებერვლის ჩათვლით. სამოცამდე წერილია მოღწეული, რომლებიც შეიცავენ მრავალ ბიოგრაფიულ ცნობას პეტერბურგისა და თბილისის პერიოდიკაზე, ნაცნობთა წრეზე, პედაგოგიურ მუშაობაზე, სამეცნიერო და საჟურნალო მოღვაწეობაზე, მისგან შესრულებულ სამუშაოებზე, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფაქტებზე. ს. დოდაშვილის წერილები (რიცხვით 24) ჰქონია სტეფანეს (მასთან მიწერილნი თბილისიდან პეტერბურგს), მაგრამ ისინი დაკარგულად ითვლება, რადგან სტეფანე 1833 წელს დააპატიმრეს პეტერბურგს, ჩამოართვეს, ნაწერები, მათ შორის ძმისგან გაგზავნილი წერილები და საქმეებში ჩააკერეს წერილთა შინაარსი, თვით დედნები კი პოლიციას სტეფანესათვის დაუბრუნებია. როგორც განსვენებული მიხეილ გოცაძე წერდა (იხ. გორის გაზეთი „სტალინელი“, 1955 წ., № 50, 12 მარტი — „ქართველ მოღვაწეთა წარსულიდან“), წერილებში უნდა ყოფილიყო ბევრი საინტერესო ცნობა სოლომონ დოდაშვილისაგან გლეხების დაცვისა, ქართული ჟურნალისა და გაზეთისათვის პეტერბურგში ხელისმომწერთა შოვნისა, საცენზურო წესდების და სხვ. შესახებ.

●

1834 წლის ივლისში, ერთი წლისა და შვიდი თვის პატიმრობის შემდეგ ს. დოდაშვილი ვიატკაში გადაასახლეს. მან თან წაიყვანა მეუღლე და ორი პატარა შვილი (ერთი მათგანი — ივანე, შემდეგ პოეტი იყო, ლექსებს რუსულად წერდა და 1850 წელს თბილისში გამოსცა ერთი პატარა წიგნაკი). ჯერ კიდევ სტუდენტობისას ს. დოდაშვილი პეტერბურგში ხშირად ავადმყოფობდა, შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისას და ცხოვრებისას განუწყვეტლივ დაძაბულად შრომობდა, პატიმრობამ და შემდეგ ვიატკაში გადასახლებამ მას საბოლოოდ შეურყია ჯანმრთელობა, დაეწყო ტუბერკულოზის პროცესი. სოლომონი—ავადმყოფი და გამწარებული თავისი და ცოლ-შვილის ბედით — მსახურობდა ვიატკის გუბერნატორის კანცელარიაში, სადაც მასთან ერთად მსახურობდა თავის პირველ გადასახლებაში მყოფი ახალგაზრდა გერცენი.

ს. დოდაშვილის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. იმპერატორს გუბერნატორის შუამდგომლობით თხოვნაც გაუგზავნა, რომელიმე სამხრეთის გუბერნიაში გადამიყვანეთო, ამაზე ჯერ უარი მიიღო, ხოლო როცა თანხმობა მოვიდა, მთხოვნელი ცოცხალი აღარ იყო. სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში გარდაიცვალა 1836 წლის 20 აგვისტოს. „გულმოწყალე“ იმპერატორმა განკარგულება გასცა, რომ ს. დოდაშვილის ცოლ-შვილი სამშობლოში დაებრუნებიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ცქიტიშვილი

# „ივერიის“ სურვილი და დღევანდელობა

თითქმის ასი წლის წინათ, 1888 წლის 22 და 23 მარტს, გაზეთ „ივერიაში“ (№ 61 და 62) დაბეჭდილია ვრცელი წერილი სათაურით — „მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში 1886 წ.“ წერილის ავტორია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, სტატია ეხება იმდროინდელი ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს დედაქალაქ ვენაში 1886 წ. (25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე) ჩატარებულ აღმოსავლეთმცოდნეთა მორიგი მეშვიდე საერთაშორისო კონგრესის მუშაობის შედეგებს.

ირკვევა და თვით სტატიაშიც არის აღნიშნული ერთ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პ. უმიკაშვილისათვის ვენის კონგრესის მუშაობის თაობაზე ძირითადი ინფორმაციის წყარო იყო XIX ს. მეორე ნახევრის რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის აღიარებული მეთაურის და ვენის კონგრესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის აკად. ვიქტორ როზენის ვრცელი სტატია:

**«Седьмой международный съезд ориенталистов в Вене», გამოქვეყნებული «Журнал Министерства народного просвещения»**-ში 1887 წ. იანვარში (ნაწ. 149, განყოფ. 4 გვ. 1-31). ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ვ. როზენს თავის წერილში ვენის კონგრესის მხოლოდ წინარე ხუთი კონგრესი აქვს მოხსენიებული (მესამე კონგრესის გამოკლებით), „ივერიის“ ავტორიც ვ. როზენის მიერ აღნიშნულ ხუთ კონგრესს ჩამოთვლის და აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონგრესის ჩატარების დროსა და ადგილს არ უთითებს.

თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „ივერიაში“ დასტამბული სტატია თავისი მიზნებითა და ამოცანით, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ვ. როზენის წერილისაგან. იგი ძირითად მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს არა მხოლოდ ზოგადი ცნობები ვენის კონგრესის მიმდინარეობის შესახებ, არამედ, ამავე დროს, ფართოდ გააშუქოს და გაანალიზოს, ერთგვარად შეაჯამოს კიდეც, ავსტრია-უნგრეთის აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ ვენის კონგრესამდე ჩატარებული ფართო სამეცნიერო მოღვაწეობა და მისი შედეგები, აჩვენოს მათ მიერ მოპოვებული ხელნაწერების მდიდარი აღმოსავლური კოლექციები და სხვ.

როგორც ჩანს, 1888 წლის მარტში განსახილველი სტატიის გამოქვეყნება „ივერიაში“ ქრონოლოგიურად დაკავშირებული იყო (ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით) სტოკჰოლმში, იმავე 1888 წ. მომავალი მერვე საერთაშორისო კონგრესის მოწვევასთან, თუმცა ვ. როზენს თავისი წერილის ერთ-ერთ შენიშვნაში ისიც აქვს აღნიშნული, რომ, მ. ი. დეგუეს მიერ მიწოდებული ცნობის თანახმად, სტოკჰოლმის კონგრესი გაიმართებოდა არა უადრეს 1890 წლისა.

როგორც აღმოსავლეთმცოდნეთა ყველა საერთაშორისო კონგრესმა, ვენის კონგრესმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების საქმეში.

პ. უმიკაშვილის სტატია შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს.

პირველ ნაწილში ავტორი ქართველ მკითხველს აცნობს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ ევროპაში უკვე საკმაოდ ფესვებგამდგარი და განვითარებული სამეცნიერო დარგის აღმოსავლეთმცოდნეობის, არსებობას. წერილის ავტორის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის.

ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წ. დაარსებული „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი „ივერია“ მიზნად ისახავდა, მისი რედაქტორისა და დამაარსებლის მრწამსისა და მსოფლმხედველობის შესაბამისად, ქართველი ხალხის

ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას, გათვითცნობიერებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლისა და განვითარებისათვის მის დარაზმვას.

სტატიის ავტორი აღფრთოვანებით მიესალმება და აღნიშნავს ისეთ მნიშვნელოვან და კაცობრიობისათვის სასარგებლო სამშვიდობო ღონისძიებას, როგორიც იყო აღმოსავლეთმცოდნეთა ვენის საერთაშორისო კონგრესის მოწვევა. „რა მშვენიერი სანახავი უნდა იყოს ამისთანა ყრილობა მეცნიერთა, — აღნიშნავს პ. უმიკაშვილი, — ათასი მთითა და ზღვით დაშორებული ერთმანეთისაგან, სხვა და სხვა რჯულისა, სხვა-და-სხვა ენისა, სხვა-და-სხვა ჩამომავლობის მეცნიერნი ერთად იყრებიან იმისათვის კი არა, რომ ერთმანერთს შეეჯახნენ, შეებნენ, ეომონ და ებრძოლონ მშვილდ-ისრითა ანუ მეხის მტყორცნელ ზარბაზნითა. არა, ისინი იყრებიან იმისათვის, რომ ერთმანერთს დაუახლოვდნენ, ერთმანერთს აცოდინონ საცოდნელი; აუხსნან, რაც ერთმანერთსა არ ესმით, გააგებინონ თავისი ცხოვრება, ნიჭი, სწავლა, ენა და სარწმუნოება. დედამიწის ერთის ნაპირიდამ მოსული კაცი მეორე ნაპირის მოსახლესა ხვდება, ძმურად ელაპარაკება, თავის გულს უხსნის და ახედებს გულის სიღრმესა, ნიჭიერებასა, ყოფა-ცხოვრებასა და ენა-მეტყველებაში და ეუბნება: აი, ნახე შენც კაცი ხარ და მეც კაცი ვარ, ჩვენ ყველანი ძმები ვართ“. შემდეგ სტატიის ავტორი განაგრძობს: „დიდება შენს ძლიერებას მეცნიერებაო! შენ უნდა გაანათლო ქვეყნის სიბნელე, მტრობა მოშალო და მშვიდობა დაამყარო კაცთა შორის, რაც უნდა იჭექოს ზარბაზანმა, იმისი ძალა უნდა შეიმუსროს მეცნიერების ძლიერებითა; უნდა გადნეს და დანაცრდეს მტრობით ამართული კედელ-საზღვარი და გაიდვას სამშვიდობო ხიდი კაცთა და ერთა ბედნიერებისა“.

ბუნებრივია, ქართველ ხალხს, გაზეთ „ივერიასა“ და მის რედაქტორს, განსახილველი სტატიის ავტორთან ერთად, ისევე როგორც მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებსა და მშვიდობისმოყვარე ხალხებს, ყველა კეთილი ნების პირს, აწუხებდა და საგონებელში აგდებდა კაცობრიობის მომავალი. სტატიაში გამოთქმული თვალსაზრისი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გაფრთხილებაცაა იმ ძალებისა, რომლებიც ვალდებული და მოწოდებული იყვნენ დაეცვათ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ცხადია, ორიენტალისტთა ვენის საერთაშორისო კონგრესი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კონგრესში მონაწილეობდნენ მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობის საუკეთესო წარმომადგენლები: აკად. ვ. როზენი, დ. ხვოლსონი, ა. კნაუერი და ქ. პატკანოვი რუსეთიდან, ა. ფონ კრემერი — მასპინძელი და კონგრესის პრეზიდენტი, მისი თანამემამულე ი. კარაბაჩეკი, გერმანელ მეცნიერთა მთელი ჯგუფი, მათ შორის ცნობილი თ. ნელდეკე, მ. ი. დე გუე, არაბისტთა მძლავრი ჰოლანდიური სკოლის იმდროინდელი მეთაური, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კ. სნუკ-ჰურგრონიე, რომელმაც ყურადღება მიიპყრო მთელი რიგი ნიჭიერი და ღრმა მეცნიერული ნაშრომებით მუსლიმურ კანონმდებლობაში (იგი ახალი დაბრუნებული იყო მექიდან, საიდანაც ჩამოიტანა ჩანაწერები მექელ არაბთა ანდაზებისა და გამოსცა კრებული, ვრცელ კომენტარებთან ერთად, იმ დროისათვის ევროპაში ნაკლებად ცნობილი მუსლიმთა ამ „წმინდა ქალაქის“ მოსახლეობის ენობრივი თავისებურებებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ); ფრანგი შ. შეფერი, უნგრელი ი. გოლდციერი, იტალიელი ი. გვიდი, ფართო წარმომადგენლობითი დელეგაციები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ეგვიპტიდან, და სხვ.

კონგრესზე მოსმენილ ძირითად მოხსენებათა შინაარსის მოკლედ გადმოცემის შემდეგ ავტორი, ბუნებრივია, სინანულს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ კონგრესის მუშაობაში არ მონაწილეობდა არც ერთი ქართველი მეცნიერი. „როდესაც თვალს გადავავლებთ ამ მეცნიერთა კრების ანგარიშს, ქართველს კაცს გული უნდა ეტკინოს, რომ ქართული ენის, ან მწერლობის და ან ისტორიის შესახებ არაფერი გესმის და ეკითხები შენს თავს, ნუ თუ ქართველობაში ერთი მეცნიერი არ იპოვებოდა, რომ მეშვიდე კრებისათვის რაიმე მოემზადებინა და თუ თვითონ ვერ მოახერხებდა წასვლას, დაწერილი გაეგზავნა ჩვენის მწერლობისა და ან ისტორიის რაიმე საგანზე? ნუ თუ რაიმე შედარება ქართულ ნათარგმნის ქილილა და დამნისა ფანჩა-ტანტრასთან ანუ ცნობა თეიმურაზ მეფის ნათარგმნ „ლელი მიჯნუნზე“ და „უსუფ ზილიხაზე“ არავითარის ყურადღების ღირსი არ იყო, ან ქართული ენის შედგენილობაზე გამოკვლევა ნუ თუ არ გამოიწვევდა ევროპის მეცნიერთა ცნობისმოყვარეობას იმის გაცნობისათვის.

რამდენი საგანია, რომელსაც, უეჭველია, შეეძლო ღირსი გამხდარიყო სამეცნიერო საუბრისა. მარტო ერთადერთის ვისრამიანის შედარება სპარსულ ორიგინალთან ვგონებ ისეთს ადგილს დაიჭერდა კრების საგნებში, რომ ქართულის ენის შესწავლას შეუდგებოდნენ ერთი და ორი კი — არა, რამდენიმე მეცნიერი, იმ განზრახვით, რომ ვისრამიანი წავიკითხოთო და ჩვენ თვითონ შევადაროთ სპარსულსაო. ის ამბავი, რომ ვისრამიანი მეთორმეტე საუკუნის ნათარგმნია და დარჩენილია დღევანდლამდე შეუცვლელადაო, ბევრს მიიზიდავდა გამოკვლევისათვის.

მაგრამ ნუ დავემდურებით ჩვენს მეცნიე-

რებს. იქნება მოერიდოთ, რადგანაც ახალი საქმეა ამ კრებათა ყრილობა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს ჩვენი ქართველი მეცნიერებებიც თავის წვლილს შეიტანენ მეცნიერთა საერთო შრომის დროს ამ კრებებზე და თვით ევროპის მეცნიერნიც არ დასტოვებენ უყურადღებოდ ქართულს ენასა და მწერლობას. ორი ისეთი საგანია ამჟამად გამოსაკვლევი, რომ ენის შესწავლათა მეცნიერება და ლურსმის მგზავს ნაწერების კითხვა ვერ ასცდება ამ საგანს.

პირველი საგანი ის არის, რომ დღევანდლამდე ქართულის ენის შესახებ მეცნიერნი გამოურკვეველს ყოფაში არიან და ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ ენათა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს...

მეორე საგანი არის ლურსმის მგზავსი ასოებით ქვებზე წარწერა (ვანის ტბასთან ნაპოვნი), რომლის ენის თვისება ქართულისასა ჰგავსო. იმათს გამოკვლევას შეუდგა ლენორმანი და სეისი და ქართულის ენის შემწეობით აქვთ იმედი, რომ ეს წარწერა წაიკითხონ და გამოიკვლიონ. მაშასადამე, ქართულის ენის ცოდნა საჭიროებად უცვნიათ.

მაგრამ მაგარი ეს არის, რომ თუ მეცნიერებას თვით ადგილობრივად მცოდნე და მცხოვრებელი არ დაეხმარა, დიდ დანაშაულებად ჩაითვლება მეცნიერების წინაშე და მეცნიერთა მოღვაწეობას მრავალი დაბრკოლება დაუხვდება. არც ერთი ქვეყანა არ მოიპოვება, რომ უცხო ქვეყნის მეცნიერი გარედ შრომობდეს შენთვის და შენ — კი ადგილობრივად დახმარებას, ხელის მიწვდენას არა ჰფიქრობდე. ეს სწორედ ჩვენს მეცნიერებზე ითქმის. იმათი ხელის მიწვდენა უეჭველია უცხო ქვეყნის მეცნიერთა შრომაში. ვგონებთ, თვით იმათს მოღვაწეობას ამით მრავალი სარგებლობა მიეცემა და საზოგადოდ სამეცნიერო შესწავლასაც უმეტესის წარმატებით წინ წავა, ვიდრე აქამომდეა“.

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ სტატიის ავტორი არა მხოლოდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ აღმოსავლეთმცოდნეთა ვენის საერთაშორისო კონგრესზე არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ღებულობდა მონაწილეობას, არამედ იგი, ამავე დროს, მოუწოდებს ქართველ მეცნიერებს ამიერიდან მაინც მიიღონ მონაწილეობა და ერთგვარ რეკომენდაციებსაც კი იძლევა მომავალ საერთაშორისო ფორუმებზე წარსადგენი თემატიკის თაობაზე.

სტატიაში გამოთქმულია სურვილები და აღნიშნულია აუცილებლობა იმისა, რომ უნდა დამყარდეს, გაფართოვდეს და განმტკიცდეს როგორც ქართველ მეცნიერთა, ასევე ქართველ მწერალთა საერთაშორისო ურთიერთობანი, კონტაქტები სხვადასხვა გზით, მათ შორის, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გაგზავნითა და გავრცელებით უცხოეთში.

„ამ ჟამად მთელს ევროპაში მხოლოდ რუსეთის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში და საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში მიდის ყველა ქართული გამოცემა, სხვაგან არსად. დამეთანხმებით, რომ რომელიმე მეცნიერისათვის ძნელია პეტერბურგში მისვლა, ან დაბარება ქართულის წიგნებისა“, — აღნიშნავს პ. უმიკაშვილი.

ოცნებას მიცემული ქართველი პატრიოტი ვენის საერთაშორისო კონგრესზე წერს, რომ, „რასაკვირველია, გულ-გრილად და დაუდევრად ვერა ნახავთ ამისთანა სანახაობას, როდესაც ერთ დიდ დარბაზში ერთად ჰხედავთ თავ-მომწონე ინგლისელ, ანუ დარბაისელ გერმანელ პროფესორის გვერდით მზისაგან დამწვარ არაბის მეცნიერ შეიხს ანუ ხოჯას; ინდოეთის დარბაისელ მეცნიერ მწიგნობართან — ფრანგსა, ალტაცებულ იტალიელთან — გულ-დინჯსა და ფერ-წასულ ნოლაის მგზავს ჩინელს, ან იაპონელს; თეთრ-თეთრა სკანდინაველ პასტორთან — შავგვრემან სომხის ბერსა.

აგერ წამოდგა კრებაში სხვათა მოლაპარაკეთა შორის არაბი ვინმე მეცნიერი და დაიწყო ლაპარაკი არაბულად, წაიკითხა თავისი გამოკვლევა. გამოდის საფრანგეთის ვინმე მეცნიერი, მაგალითად სახელოვანი რენანი, და არაბულსავე ენაზე ლაპარაკობს; ამავე გამოკვლევაზე ბაასობს გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი და სხვანი, სულ არაბულად, ღმერთო ჩემო, არაბეთის ქვეყანაა ეს ქვეყანა, თუ საფრანგეთი, ან გერმანია. გამოდის სომეხი და ლაპარაკობს ფრანგულად, ებაასება გერმანელი, ფრანგი და სულ სომხის ენის შესახებ აბმენ ლაპარაკსა; გამოდის გერმანელი და ინდოეთის ენაზე ბაასსა ჰმართავს, ინდოელები გერმანულად ელაპარაკებიან; აგრე გამოდის ლენორმანი ან სეისი და ვანის ქვებზე ნაწერს ქართულს ურევს, ებაასება იმას გერმანელი ფრიდრიხ მიულლერი ქართულისავე სიტყვების ან გრამატიკის ახსნით, მაგრამ აი უბედურება, ქართველი მეცნიერი აქ ვერ იპოვება, რომ აუხსნას რამე. ეჰ, შორს წაგვიყვანა ოცნებამ!“

რა იცოდა „ივერიაში“ მოთავსებული წერილის ავტორმა, რომ მისთვის ოცნებად ქცეული მოვლენა ისტორიულად მოკლე დროში რეალობა გახდებოდა, სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის შემდეგ ძირფესვიანად შეიცვლებოდა როგორც თვით რუსი ხალხის ბედი, ასევე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალი ჩაგრული ერებისა, მათ შორის ქართველი ხალხისაც. ხოლო 1918 წ. იანვარში, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა მოწინავე სწავლულების თაოსნობით, ქართული მეცნიერება დაადგა განვითარების სრულიად ახალ და ფართო გზას,

დაიწყო ახალი ეტაპი ქართული მეცნიერების განვითარებაში.

მიმდინარე საუკუნის 30-იან და მრისხანე დიდი სამამულო ომის წლებში კი ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა უფროსი თაობის — გ. წერეთლის, ს. ჯიქიას, ვ. გაბაშვილის, ი. აბულაძის, ვლ. ფუთურიძის, მ. ხუბუას და სხვათა მიერ იმდენად ფართოდ გაიშალა მუშაობა, რომ 1945 წელსავე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, შესაძლებელი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილიყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ფართო სასწავლო-სამეცნიერო პროფილით, ხოლო 1960 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მისი ერთ-ერთი აქტიური დამაარსებლის აკადემიკოს გ. წერეთლის საპატიო სახელს ატარებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენებსა და კულტურას ღრმად დაუფლებული ახალგაზრდობა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ „ხელის მიწვდენით უცხო ქვეყნის მეცნიერთა შრომაში“, შეისწავლა არა მხოლოდ „ვისრამიანი“, „ლელი მიჯნუნი“, „ქილილა და დამნა“, „უსუფ ზილიხა“ და „ლუ-რსმის მგზავს ახოებით ქვებზე წარწერა“, არამედ, მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული, იკვლევს ძველი და ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებს, ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენებსა და ლიტერატურას, ახლოაღმოსავლური ლიტერატურის ურთიერთობათა საკითხებს ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში, ღირსეულად აგრძელებს თავისი მასწავლებლების მიერ ესოდენ წარმატებით დაწყებულ საქმესა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, შორს, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გააქვს ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის მიღწევები.

ფართო ხასიათი მიიღო ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა, სამეცნიერო კონტაქტებმა და ურთიერთობებმა მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან, ეს ურთიერთობანი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, დაწყებული უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული სტატიებითა თუ დასტამბული ცალკეული ნაშრომებით და დამთავრებული სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მონაწილეობით, მოხსენებებითა და სხვ. საქართველო თვით არის ხშირად ფრიად მნიშვნელოვანი სააღმოსავლეთმცოდნეო ფორუმების, სახელმოხვეჭილი ორიენტალისტების, მასპინძელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, უცხოეთში გამოცემულ ნაშრომებზე გაცვლის მიზნით, შეიქმნა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების მდიდარი ფონდი, შესაძლებლობა მიეცა მას აღმოსავლეთიდან, ევროპიდან და ამერიკიდან მიიღოს მრავალრიცხოვანი აღმოსავლური სამეცნიერო ლიტერატურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატალია ორლოვსკაია

# „იბერიის თემა“ XVI საუკუნის ინგლისურ რომანში

XVI საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ფილიპ სიდნი. მისმა ცხოვრებამ და შემოქმედებითმა მოღვაწეობამ მას თავის დროზე და შემდგომაც მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩინა. იგი აღორძინების ეპოქის ტიპიური წარმომადგენელი იყო — ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული: იცოდა ევროპული ენები; მოღვაწეობდა ლიტერატურის მრავალ ჟანრში — შექმნა პროზის, პოეზიის დიდებული ნიმუშები და კრიტიკული ნაშრომი; იგი ბევრს მოგზაურობდა ევროპაში. იყო დიპლომატი, პოლიტიკური მოღვაწე, სამხედრო პირი; სრულიად ახალგაზრდა ბრწყინავდა არისტოკრატიის უმაღლეს წრეებში და დიდ წარმატებას აღწევდა ყველა სფეროში; ოცდათორმეტი წლისა იყო, როცა 1586 წელს დაიღუპა ფლანდრიაში, ესპანელებთან ბრძოლის დროს.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად მან წარუშლელი კვალი დააჩნია ინგლისური რენესანსული ლიტერატურის განვითარებას; ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც ინგლისური ლიტერატურის ასპარეზზე გამოდიოდა დიდი უილიამ შექსპირი. მან, ინგლისურ ლიტერატურაში არსებითად პირველმა, შექმნა მწყობრი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომი „პოეზიის დაცვა“, ხოლო მისმა რომანმა „არკადიამ“ დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი ინგლისური პროზაული ლიტერატურის განვითარებაში.

ცნობილია, რომ აღორძინების დროინდელ ინგლისში დრამატურგიის არნახულმა განვითარებამ დაჩრდილა ლიტერატურის სხვა დარგები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „არკადია“ მაშინაც იპყრობდა მკითხველთა ყურადღებას. მასში გაცილებით უკეთ, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში, წარმოჩნდა მაშინდელი ლიტერატურული გემოვნება და ეპოქის სხვა მრავალი დამახასიათებელი თვისებები. ამ ნაწარმოებს კითხულობდნენ იმ დროის ცნობილი ადამიანები, ხოლო შექსპირმა ზოგიერთი მასალა თავისი გენიალური ქმნილებებისთვისაც კი გამოიყენა.

რადგან „არკადია“ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ნაწარმოებია, მასში გაერთიანებული სიუჟეტური ხაზებიც ძალზე საინტერესო უნდა იყოს. ამჯერად ჩვენ დავინტერესდით სიდნის რომანის იმ ეპიზოდებით, სადაც მოხსენებულია „იბერია“.

„არკადია“ მწერლის სიცოცხლეში არ გამოცემულა. იგი არსებობს ორი სახის რედაქციით. პირველი შედარებით მოკლეა; ავტორმა დაიწყო მისი ხელახლა დამუშავება, მნიშვნელოვნად განავრცო, მაგრამ დასრულება არ დასცალდა.

ნაწარმოების პირველი რედაქცია უფრო მეტად უახლოვდება ე. წ. პასტორალური რომანის სტილს. მოქმედება მიმდინარეობს არკადიაში, რომელსაც განაგებს ჰერცოგი ბაზილი. წინასწარმეტყველის მიერ დაშინებული ჰერცოგი დროებით ჩამოშორდება ხელისუფლებას, განმარტოვდება თავის ოჯახთან ერთად და გადაწყვეტს თავისი ქალიშვილები არავის მიათხოვოს, მაგრამ მისი ლამაზი ქალიშვილები შეუყვარდებათ ამ ნაწარმოების მთავარ გმირებს — თესალიელ უფლისწულს მუსიდორსა და მაკედონელ უფლისწულს პიროკლს. ავტორი ხატავს ათასგვარ თავგადასავალსა და წინააღმდეგობას, რომელთა გადალახვა უხდებათ შეყვარებულ გმირებს.

რომანის მეორე რედაქციაში სასიყვარულო ამბავი უცვლელი დარჩა, მაგრამ მას მთელი რიგი ახალი ამბები დაემატა, ბევრად გაიზარდა სარაინდო, ავანტიურისტული ელემენტები; უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული წიგნში მთავარი გმირების თავგადასავალი და საგმირო საქმენი მათს არკადიაში მოხვედრამდე.

იბერიასთან დაკავშირებული ეპიზოდები რომანის ორივე რედაქციაში გვხვდება, მაგრამ კომპოზიციური თავისებურებებიდან გა-

მომდინარე ეს ეპიზოდები განსხვავებულადაა დამუშავებული.

რომანის ამ თემაში მთავარი როლი ენიჭება პლანგუსს — იბერიის მეფისწულს. იგი იბრძვის სპარსეთის ხელმწიფესთან ერთად და მისი არმიის ერთ-ერთი უძლიერესი მებრძოლია. ისევე როგორც ნაწარმოების სხვა გმირები, პლანგუსიც სამიჯნურო ინტრიგების ფონზეა დახატული: სპარსელთა ბანაკში მან თვალი მოკრა ლიდიის დატყვევებულ დედოფალ ერონას და „ერთის ნახვით“ შეუყვარდა იგი. პლანგუსს უნდა ერონა ტყვეობიდან დაიხსნას, მაგრამ ეს შეუძლებელიაა, რადგან ერონა სპარსეთს ეომებოდა და სწორედ მის დასახმარებლად მოსულმა მუსიდორმა და პიროკლმა მოკლეს სპარსეთის მეფე; სპარსეთის მეფის დამ ეშმაკობით ხელთ იგდო ერონა, იგი დედოფალს მძევლად იტოვებს, რათა შური იძიოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებს, თუ მუსიდორი და პიროკლე მოვლენ სპარსეთში, რათა ორთაბრძოლაში შეხვდნენ საუკეთესო სპარსელ მეომრებს. პლანგუსი მიემართება უფლისწულების საძებნელად და ბოლოს მოხვდება არკადიაში, სადაც ყვება აღმოსავლეთის ამბებს.

რომანის პირველ რედაქციაში მთავარ გმირთა თავგადასავლები აღმოსავლურ ქვეყნებში ძალზე მოკლედაა ნაჩვენები; ასე რომ, პლანგუსიც, შესაბამისად, საკმაოდ მწირადაა აღწერილი ნაწარმოებში. ეს შეესაბამება რომანის საერთო პასტორალურ ხასიათს

რომანის მეორე რედაქციაში იბერიის თემა გაცილებით უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი, ხოლო თვით პლანგუსი როგორც მძლავრი მებრძოლი უფრო სრულყოფილადაა დახატული. თავისი გმირული საქმეებით მან იბერიელი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. ავტორი მის სახელს მუდამ ურთავს ეპითეტებს: „კეთილშობილი“, „ღირსეული“, „დიდებული“ და ა. შ. მწერალი მას წარმოადგენს როგორც უმამაცეს რაინდს, ვისთანაც ორთაბრძოლაში შეხვედრა სურთ რომანის მთავარ გმირებს.

მეორე რედაქციაში პლანგუსის თავგადასავალი მისი ოჯახის ამბებთანაა დაკავშირებული. ლაპარაკია მამამისზე და ადრე გარდაცვლილ დედაზე; დაწვრილებითაა გადმოცემული მისი დედინაცვლის — ანდრომანას ვერაგობა, რომელმაც პლინგუსს მამასთან ცილი დასწამა, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. იბერიის ტახტის მემკვიდრედ კი გამოაცხადეს ანდრომანასა და იბერიის მეფის შვილი.

იბერიაში მიმდინარეობს მთავარ მოქმედ პირთა ზოგიერთი თავგადასავალიც. ასე, მაგალითად, სანადიროდ გამოსული იბერიის მეფე წააწყდება მუსიდორსა და პიროკლს, რომლებიც თავს იცავენ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან. მეფე გაწყრება — „როგორ თუ ჩემს მიწა-წყალზე ასეთ კეთილშობილ ხალხს ასე უნამუსოდ ეპყრობიანო“. ღმერთი [illegible] უფლისწულებს, ხოლო მათ მტრებს [illegible]ებს და სიკვდილით დასჯის...

რომანის არქიტექტონიკაში განსაკუთრებული როლი ენიჭება იბერიის მეფისწულის პლანგუსის თავგადასავალს, რომელსაც ყვებიან რომანის ძირითადი გმირები — ჰერცოგი ბაზილი და მისი ქალიშვილები. ამ ეპიზოდებით ბევრად უფრო გაფართოებულია და განაირფეროვნებულია „არკადიის“ თემატური არე, რითაც იზრდება მკითხველთა ინტერესი.

აღმოსავლეთი ფილიპ სიდნის ძველი სამყაროს ქვეყნებთან აქვს გაიგივებული. იბერიის გარდა იგი ახსენებს სომხეთს, პონტოს სამეფოს, პაფლაგონიას, ფრიგიას და ა. შ. სავარაუდოა, რომ რომანზე მუშაობისას სიდნი იყენებდა ანტიკურ მასალებს, რომლებიც იმდროინდელ ინგლისში იყო გავრცელებული. ერთ-ერთ შესაძლო წყაროდ მკვლევარები მიიჩნევენ ქსენოფანტეს „კიროპედიას“; მასში მართლაც მოთხრობილია იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ასახელებს სიდნი, მაგრამ არ გვხვდება ცნობა იბერიის შესახებ.

ნაწარმოებში გამოყენებული იბერიის თემატიკა არ შეესაბამება რაიმე ისტორიულ სინამდვილეს. არაა ნათქვამი, თუ რა ერქვა იბერიის მეფეს, ხოლო აღწერილი მოვლენები დაკავშირებულია რომანის პასტორალურ-სათავგადასავლო ფაბულასთან. ზოგიერთი ეპიზოდი ჰელიოდორის „ეთიოპიკიდანაა“ ნასესხები; პლანგუსის თავგადასავალი ძალზე წააგავს ამ ნაწარმოების მთავარი გმირის კნემონის თავგადასავალს. თუმცა კნემონი ჰელიოდორთან უბრალო ათენელი მოქალაქეა, ხოლო სიდნის გმირი იბერიის მეფისწულია და მამაცი რაინდია.

„ეთიოპიკიდანაა“ აღებული ვერაგი ანდრომანას სახეც, მასში გაერთიანდა ჰელიოდორის ნაწარმოების ორი ქალი პერსონაჟი: ერთია კნემონის დედინაცვალი დემენეტა; მეორე კი — ბოროტი და ავხორცი არსაკა, სპარსეთის მეფის დაი და ეგვიპტის მმართველის ცოლი. სწორედ მას შეუყვარდება ამ რომანის ორი გმირი ტიამიდი და ტეაგენი, მსგავსად ანდრომანასი, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, ორი უფლისწული შეუყვარდა; მხილებულია არსაკაცა და კნემონის დედინაცვალიც. ჰელიოდორის გმირები თავს იკლავენ. სიდნი განსხვავებულად ხატავს იბერიის დედოფლის დაღუპვას. ანდრომანა თავისთავს კი არ დარდობს, არამედ თავს იკლავს იმიტომ, რომ უფლისწულების დევნაში საკუთარი ვაჟიშვილი დაღუპა. ეს მოქმედება ნაწილობრივ ალამაღლებს მის სახეს.

იბერიელი უფლისწულის თავგადასავალში საინტერესოა ერთი ამბავიც: რომანის პირველ რედაქციაში პლანგუსი სპარსეთის მეფის

ჯარშია; მეორე რედაქციაში კი იგი თავის მამიდაშვილთან, სომხეთის მეფესთან — ტირიდატთან ერთად იბრძვის. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი ცვლილება. ძვ. სომხეთში, მართლაც, ცნობილი იყვნენ მეფეები, რომელთაც ტირიდატი (ტრდატი) ერქვათ. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე რედაქციაზე მუშაობის დროს სიდნის ხელთ ჰქონდა რაიმე წყარო, საიდანაც აღებულია ეს ცნობა. ის ფაქტი, რომ პლანგუსი ტირიდატის ბიძაშვილია, გვაფიქრებინებს, რომ სიდნი ტაციტუსის — „ანალებით" სარგებლობდა. მასში სიდნი ნახავდა ცნობებს სომხეთისა და იბერიის შესახებ.

უფრო გარკვევით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ გეოგრაფიულ წყაროებზე, რომლებითაც სარგებლობდა ავტორი. გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებათა შორის ყველაზე დამაჯერებელია დოროთი კონელის მოსაზრება, რომ სიდნის ხელთ ჰქონდა იმჟამად გამოქვეყნებული ორტელიუსის გეოგრაფიული რუკები. ამასვე გვიდასტურებს ავტორის წერილი (1580 წლის 22 მაისი) ედუარდ დენისადმი. ეს წერილი მაშინ დაიწერა, როდესაც იქმნებოდა რომანის პირველი ვარიანტი. მასში სიდნი ურჩევს დენის, შეიძინოს ორტელიუსის რუკა და ნახოს ის ქვეყნები, სადაც მიმდინარეობს მოქმედება რომანში. ამ რუკაზეა აღნიშნული იბერიაც.

რომანის მოქმედების სხვადასხვა ქვეყნებში გადატანისას ავტორი არც ცდილობს აღწეროს ამ ქვეყნების ცხოვრების თავისებურება და არც აღნიშნული ეპოქის კოლორიტს ქმნის. იგი არსად მიუთითებს პოლიტიკური სისტემების ან რელიგიის განსხვავებაზე ამ ქვეყნებში. ყველა გმირი ერთი წესით ცხოვრობს. იბერიელთა ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ბერძნულ და რომაულ მითოლოგიასთან; ასე, მაგალითად, იბერიის სამეფოს კარზე იმართება ტურნირი, სადაც ჩამოდიან რაინდები კორინთოდან; პლანგუსის სამიჯნურო ტანჯვა განპირობებულია კუპიდონის ძალით. იბერიის უფლისწული შესჩივის ანტიკურ ღმერთებს — მარსსა და ვენერას. როდესაც ფიქრობს, რომ შესაძლოა ერონა ცეცხლზე დაწვანო, იგი იხსენებს „ცეცხლთან დაკავშირებულ" მითებს (ფენიქსის, ფაეტონისა და ვულკანის მითებს).

გმირები მკვეთრად არიან გაყოფილი კეთილ და ბოროტ პერსონაჟებად. იბერიის უფლისწული დადებითი გმირია. მთელი თავისი ცხოვრების მიზნად მას დაუსახავს, გადაარჩინოს საყვარელი ქალი.

მიუხედავად იმისა, რომ „არკადია" სათავგადასავლო-სამიჯნურო რომანია, თავის დროზე მას აღიქვამდნენ ნაწარმოებად, სადაც აისახებოდა იმდროინდელი საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები. ამის გარდა, მის მოქმედ გმირებში თანამედროვენი ხედავდნენ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ინგლისური საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებს, თვით დედოფალ ელიზაბეთსაც კი.

ინგლისური სინამდვილის ამბები რომანში იბერიის ეპიზოდებთანაც არის დაკავშირებული. იბერიის სამეფო კარის სურათში მკვლევრები ხედავენ ინგლისის სამეფო კარის ანარეკლს. ასე, მაგალითად, წიგნში აღწერილი რაინდთა ტურნირები ძალზე წააგავს ელიზაბეთ დედოფლის გამეფების დღისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ ტურნირებს. ერთ-ერთ ეპიზოდში სიდნი ხატავს თავისთავს და იმ რაინდს, რომელთან მას მართლაც მოუხდა ტურნირზე შებრძოლება.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ იბერიის დედოფალ ანდრომანას სახეში ჩანს მინიშნებანი დედოფალ ელიზაბეთის ხასიათის ზოგიერთ თვისებაზე. რა თქმა უნდა, ანდრომანას სახე მთლიანად გამოგონილია ავტორის მიერ; და საერთოდ სიდნის რომანში იბერიის შესახებ რაიმე ისტორიული ფაქტის ძიება ფუჭი საქმეა. მოქმედების გადატანა შორეულ და უცნობ მხარეში ავტორს შესაძლებლობას აძლევდა ნაწარმოებში სატირულად გადმოეცა ინგლისის დედოფალი და მისი კარი. ტექსტში მრავლადაა მინიშნებანი, რომლებიც უეჭველად გვაფიქრებინებენ, რომ იბერიის დედოფლის დახატვისას სიდნის მხედველობაში ჰყავდა ელიზაბეთი. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ანდრომანას აღწერისას ავტორი ამბობს, რომ სახეს ძალზე უმახინჯებდნენ მწითური თმები და პატარა თვალებიო.

ასეთი სატირული პარალელები იმ დროს უთუოდ ძალზე თამამი და ამავე დროს საგულისხმო იყო.

სათავგადასავლო თემატიკისა და სერიოზული პრობლემატიკის შეხამებით რომანი მომავალი თაობებისათვისაც გასაგები რჩებოდა. იგი ითარგმნა სხვა ევროპულ ენებზე და მრავალჯერ გამოიცა XVII საუკუნის მანძილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი მომავლის გასააზრებლად

დღევანდელი მსოფლიოს დემოგრაფიული სიტუაცია უთანაბრო და შემაშფოთებელია. სავარაუდო გამოთვლით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში დედამიწაზე 200-220 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. XIX საუკუნის დამდეგისათვის პლანეტის მცხოვრებთა რიცხვმა 952 მილიონი შეადგინა, ამჟამად მსოფლიოში ცხოვრობს 4,6 მილიარდზე მეტი ადამიანი.

მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპმა წარმოშვა მრავალი პრობლემა. მათ შორის უმთავრესი — მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, შეიქმნა ბუნებრივი რესურსების ამოწურვის საშიშროება, მწვავედ იგრძნობა ეკოლოგიური კრიზისის ნიშნები

ეს ზოგადი დემოგრაფიული პრობლემებია, რომელთაც უფრო გამოკვეთილი ხასიათი აქვთ დედამიწის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც დემოგრაფიული პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ და სოციალურ პრობლემებთან.

ბუნებრივია, ამ საკითხზე ყოველი ახალი ნაშრომი ინტერესის აღმძვრელია და ეს წერილიც ამის გამო დაიწერა. ვახტანგ ჯაოშვილის წიგნში არსებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე.

წიგნში მრავალმხრივ საყურადღებო მასალაა თავმოყრილი, რომელიც მარტო სპეციალისტებისთვის როდია განკუთვნილი, არამედ ფართო მკითხველიც ინტერესით გაეცნობა. მით უფრო, რომ საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული სიტუაცია მეტად დამაფიქრებელია.

საინტერესოა, რომ მოსახლეობის აღწერის გარკვეული ტრადიციები ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში. 1689 წელს ერეკლე I-ს (ნაზარალიხანი) უბრძანებია ქართლის ოთხი სადროშოს სარდლებისათვის თავთავისი სადროშოს აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ. ამავე სადროშოებში მოსახლეობის აღწერა „დასტურლამალით" დაუკანონებია ვახტანგ მეექვსეს.

რასაკვირველია, ეს აღწერები არაზუსტი იყო. აღწერა ხდებოდა ბეგარა-გადასახადებისა და მოლაშქრეთა რაოდენობის დასადგენად, აღირიცხებოდა მხოლოდ მამაკაცები, რომელნიც ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ.

ბედნიერი გამონაკლისია 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც ალ. ცაგარელს აღმოუჩენია 1881 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ვ. ჯაოშვილი ამ საბუთის წინანდელი გამომცემლებისა და კომენტატორებისაგან რამდენადმე განსხვავებულ აზრს გამოთქვამს საქართველოს მოსახლეობის იმდროინდელ რიცხოვანებაზე. მკვლევრის მიერ დადგენილი სურათის მიხედვით, ქართლ-კახეთში, მისი ყველა პროვინციის მოსახლეობის გათვალისწინებით, 1770 წლისათვის ცხოვრობდა 43095 კომლი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის დასადგენად ვ. ჯაოშვილი აანალიზებს რუსი და უცხოელი მოგზაურების — რაინეგსის, ბურნაშოვის, გიულდენშტედტის ცნობებს დასავლეთ საქართველოს ცალკეული პროვინციების მოსახლეობის შესახებ. ოჯახში სულთა რაოდენობის მიახლოებითი დადგენით მკვლევარი ვარაუდობს, რომ 1770 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა, მის თანამედროვე ფარგლებში, შეადგენდა 88875 კომლს, ანუ 761 ათას სულს.

ეს გამოანგარიშება, როგორც ითქვა, მიახლოებითია, მაგრამ მაინც მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებაზე XII-XIII საუკუნეებთან შედარებით, როცა, ვ. ჯაოშვილის გამოანგარიშებით, საქართველოში 1,8-2 მილიონი სული ცხოვრობდა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის მთლიანად დაცლილა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, გუჯარეთი, ყაიყული, მეტად მცირე მოსახლეობა დარჩენილა ქვემო ქართლში — სომხით-საბარათიანოში. „საბოლოოდ დაკარგეს თავისი ფუნქციები და მთლიანად გაუკაცრიელდნენ ადრე ცნობილი ქალაქები დმანისი, სამშვილდე და ასობით სასოფლო დასახლება, შესამჩნევად გაძლიერდა ქვემო ქართლიდან მოსახლეობის გახიზვნა და მათს ყოფილ სოფლებში გარედან მოსული არაქართველების დასახლება", — წერს მკვლევარი.

---

**ვახტანგ ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეში. „მეცნიერება". 1984.**

ვ. ჯაოშვილს სხვადასხვა მეცნიერული მონაცემების შეჯერებით, დადგენილი აქვს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1800 წლისათვის ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის. მისი გამოანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა ამ პერიოდში 784,7 ათას სულს შეადგენდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მოსახლეობის გამრავლებისათვის, თუმცა მატება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში არც ასე მნიშვნელოვანი ყოფილა. 1832 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 892,91 ათას სულს.

სურათი მკვეთრად იცვლება 50-60-იან წლებში, როცა შეინიშნება მოსახლეობის სწრაფი გამრავლების ტენდენცია. 1865 წლისათვის საქართველოს მოსახლეობას უკვე მიუღწევია 1289,2 ათასისათვის, ე. ი. დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში მოსახლეობის ნამატი შეადგენს 397,1 ათას სულს. თუმცა, როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდა მარტოდენ მოსახლეობის ბუნებრივი მატების მიზეზით არ მომხდარა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გარემიგრაციულ პროცესებს, კერძოდ, მოხდა რუსი სექტანტების ჩამოსახლება, რომელნიც დამკვიდრდნენ ჯავახეთსა და თბილისში, სწრაფად იზრდებოდა დაწესებულებებში მომსახურე რუსი ჩინოვნიკების რიცხვი, საქართველოში სახლდებოდნენ აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი რუსი ჯარისკაცები, წარმოიქმნა გერმანელთა კოლონია და ა. შ.

როგორც მკვლევარი მიუთითებს, გარემიგრაციული პროცესები უფრო ადრიდანაც შეინიშნება საქართველოში. მაგალითად, XVIII საუკუნის მიწურულს ერეკლე II-ს ნება დაურთავს სამი ყარაბახელი სომეხი მელიქისათვის, თავის ყმებიანად ჩამოსახლებულიყვნენ ქვემო ქართლში. მიგრანტებს მაშინ დაუკავებიათ სოფლები: დალეთი, სამშვილდე, ბოლნის-ხაჩინი და ბევრი სხვა. თურქთა მიერ შევიწროებულ სომეხ ლტოლვილთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა XIX საუკუნის დასაწყისში. ასე რომ, საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოში ჩამოსახლებულა 32 ათასამდე სომეხი და ბერძენი ლტოლვილი, რომელნიც დამკვიდრებულან სამხრეთ საქართველოსა და წალკაში. ამ გარემიგრაციულმა პროცესებმა, ბუნებრივია ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას საქართველოს ტერიტორიაზე.

1860-70-იანი წლების ბურჟუაზიულმა რეფორმებმა გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების არსებითი გარდაქმნა მთელი რუსეთის იმპერიაში. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დემოგრაფიულ პროცესებზეც. გლეხების [illegible]ლებამ გამოიწვია მისი მატერი[illegible]ბრივი გაძლიერება, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. — მრავალრიცხოვანი ოჯახის შექმნისათვის. დაიწყო ქალაქების სწრაფი განვითარება და სოფლის მოსახლეობის ლტოლვა ქალაქისაკენ, განვითარდა ტრანსპორტი, დაიწყო ქვეყნის კულტურული აღმავლობა. ყოველივე ეს განაპირობებდა მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს საქართველოში.

ამასთანავე საყურადღებოა რამდენიმე სხვა მოვლენაც.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დედა სამშობლოს შემოუერთდა აჭარა, რომელიც მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი კოეფიციენტით გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში დაიწყო ე. წ. „მუჰაჯირობა“ და აფხაზთა თითქმის ნახევარი თურქეთში გადასახლდა, რის გამოც უამრავი სოფელი დაიცალა. ამ მიწებზე მალე დაწყებულა გარედან მოსული მიგრანტების ჩასახლება, რომელთა უმრავლესობას ბერძნები და სომხები შეადგენდნენ. ასე რომ, 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოხუმის ოკრუგში ამ დროისათვის 8 ათასი კაცი საზღვარგარეთიდან ყოფილა მოსული, ხოლო 6,4 ათასი კაცი ქუთაისის გუბერნიის საზღვრებს გარედან. ამავე აღწერის მონაცემებით, საქართველოს მუდმივი მოსახლეობა საუკუნის ბოლოსათვის შეადგენდა 1942,5 ათას სულს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღწერა ჩატარდა გუბერნიების და არა საქართველოს ისტორიული პროვინციების მიხედვით, რაც აძნელებს მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენას საქართველოს საზღვრებში.

ზედმეტი არ იქნება გადავხედოთ XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასაც. ნაშრომში წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით ეს პერიოდი, საკუთრივ ქართველი მოსახლეობის მატების თვალსაზრისით, არასახარბიელოა. თუ 1865 წელს მთელს მოსახლეობაში ქართული მოსახლეობის წილი 73,8 პროცენტს შეადგენდა 1897 წლის მონაცემებით ქართული მოსახლეობის წილი 69,4 პროცენტამდე შემცირდა. სამაგიეროდ, გარემიგრაციული პროცესების შედეგად, მკვეთრად მატულობდა სხვა ეროვნებათა რიცხვი. ამ პერიოდში საქართველოს კვლავ მოაწყდა თურქთაგან შევიწროებული სომეხ ლტოლვილთა ნაკადი, დაახლოებით 55 ათასი სული, რის შედეგადაც 1865 წლიდან XX საუკუნის დასაწყისისათვის სომხური მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 122 ათასიდან 197 ათასამდე, რუსული მოსახლეობისა 25,9 ათასიდან 101 ათასამდე, აზერბაიჯანული — 51 ათასიდან 81 ათასამდე.

როგორც მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ცარიზმი ყოველი ღონისძიებით ახორციელებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, „ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაენაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული, წინ აღდგომოდა ჩაგრული ხალხის თვითშეგნების გამოღვიძებას, ყოველმხრივ შეეფერხებინა ერის კონსოლიდაცია, ამ პოლიტიკის უშუალო ანარეკლი იყო ის ფაქტი, რომ 1886 წლის მოსახლეობის ოჯახობრივი სიების შედგენისას ცალკე ეროვნებებად აღნუსხეს ქართლელები, ხევსურები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სამურზაყანოელები და ქართველი ხალხის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები“.

საყურადღებოა ბურჟუაზიული რეფორმების შემდგომ პერიოდში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დინამიკა. თუ 1866 წელს საქართველოში ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა 118,8 ათასს, 1916 წლისათვის ამ რიცხვმა შეადგინა 665,9 ათასი კაცი. როგორც ვხედავთ, საგრძნობია ქალაქის მოსახლეობის მკვეთრად მატების ტენდენცია.

როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, საერთოდ რუსეთის იმპერიაში ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა საერთო რაოდენობის 18 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 25 პროცენტს.

საბჭოთა საქართველომ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების მმართველობის პერიოდში ქვეყანამ დიდი მსხვერპლი გაიღო. ბევრი შეიწირა შიმშილობამ და ეპიდემიებმა, გაჩანაგდა მეურნეობა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაქცევა ქვეყნის გარეთ.

მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური მოსაზრებებით დატოვა აგრეთვე უცხო ეროვნებათა ნაწილმა. ყოველივე ამის შედეგად, გამოიკვეთა მოსახლეობის შემცირების ტენდენცია.

დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა სწრაფი ტემპით დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობების წარმოქმნა, რაც დიდი რაოდენობით მუშახელს ითხოვდა. ამის გამო გაძლიერდა სხვა რესპუბლიკების მკვიდრთა ჩამოსახლება საქართველოში, ამასთანავე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბუნებრივი მატება თვით რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობაში. ამრიგად, 1939 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვანება გაიზარდა 3612 ათასამდე. მკვეთრად შეიცვალა თანაფარდობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. შეიცვალა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და ეროვნული შემადგენლობის სურათი.

40-იანი წლების დასაწყისისათვის მნიშვნელოვნად იკლო ქართული მოსახლეობის წილმა, 1939 წელს ქართული მოსახლეობა შეადგენდა 61,4 პროცენტს და როგორც ავტორი აღნიშნავს: „პირველად თავის ისტორიის მანძილზე ქართველები აღმოჩნდნენ თავის რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის 2/3-ზე ნაკლები“. ამის ერთ-ერთ მიზეზად ჩანს ქართული მოსახლეობის, უმთავრესად სპეციალისტების გასვლა რესპუბლიკის გარეთ. თუ 1926 წელს საქართველოდან გასული იყო 33 ათასი კაცი, ომის წინა პერიოდში, მკვლევრის თქმით, ეს რიცხვი ორჯერ გადიდდა.

სხვა რესპუბლიკების მკვიდრთა ინტენსიურმა ჩამოსახლებამ საქართველოში, მკვეთრად შეცვალა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სურათი. მაგალითად, სომხური მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია 414,182 ათასს, აზერბაიჯანულმა — 187,621 ათასს, საქართველოში ცხოვრობდა 307,988 ათასი რუსი, 46 ათასი უკრაინელი, 84,960 ათასი ბერძენი და სხვა ეროვნებანი.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში „თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში“ განხილულია ომის შემდგომი პერიოდისა და თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება ჩვენს რესპუბლიკაში.

ცნობილია, რომ ომის შემდგომ პერიოდში ერთგვარად დაირღვა დემოგრაფიული წონასწორობა მთელს მსოფლიოში, რაც სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. მკვეთრად გამოისახა მოსახლეობის სწრაფი მატების ტემპები განვითარებად ქვეყნებში. საპირისპირო მოვლენამ იჩინა თავი განვითარებულ, უმეტესად ევროპის ქვეყნებში, სადაც სამოცდაათიან წლებში მოსახლეობის მატება ფაქტიურად შეწყდა, ხოლო ზოგიერთ ქვეყნებში დაიწყო დეპოპულაცია.

ბუნებრივია, დემოგრაფიულ ვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა, ომის შემდგომ პერიოდში ტექნიკური პროგრესის სწრაფმა განვითარებამ და სოციალ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა. ომის შედეგები, ბუნებრივია, ყველაზე უფრო საგრძნობი იყო სსრ კავშირში და მან თავისი გავლენა იქონია საქართველოს მოსახლეობის დინამიკაზეც.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, 50-იან წლებში საქართველოში ჯერ კიდევ იგრძნობოდა მოსახლეობის გარკვეული მატება ბუნებრივი გზით, რადგან გარემიგრაციული პროცესები ამ დროს თითქმის აღარ მიმდინარეობდა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 60-იან წლებში, ხოლო შობადობის კატასტროფული შემცირებით აღინიშნა 70-იანი წლები. მატება ამ პერიოდში 50-იანი წლების

1,7 პროცენტის ნაცვლად შეადგინა 0,75 პროცენტი, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში მატება უკვე 0,56 პროცენტს შეადგენდა.

ყოველივე ამის შედეგად, მკვეთრად შემცირდა ქართველთა რიცხვი ამიერკავკასიის მოსახლეობაში, რადგან უფრო სწრაფად იმატებს მოსახლეობა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქართული მოსახლეობა ამიერკავკასიაში 1940 წელს შეადგენდა 44 პროცენტს, ხოლო 1979 წელს — 35,6 პროცენტს. ასევე შემცირდა ქართველთა რიცხვი მსოფლიო მოსახლეობაში — 0,157 პროცენტიდან 0,113 პროცენტამდე.

მკვლევარი გვთავაზობს სარწმუნო მოსაზრებებს შობადობის კლების მიზეზებზე, რაც მეტნაკლებად ერთგვაროვანია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ამ მიზეზთაგან საგულისხმოა ემანსიპაციის შედეგები, ქალთა მასობრივი ჩაბმა საზოგადოებრივ შრომაში, რამაც დაარღვია მრავალშვილიანობის და, საერთოდ, ოჯახში ქალის, როგორც უპირველესად შვილების აღმზრდელის პატრიარქალური ტრადიციები. საზოგადოებრივ შრომაში ფართო მონაწილეობის გამო შემცირდა დრო, რომელსაც ქალი შვილების აღზრდას ახმარდა.

დაჩქარებულმა ურბანიზაციის პროცესებმა გამოიწვია სქესობრივ-ასაკობრივი წონასწორობის დარღვევა, ახალგაზრდობა მასობრივად მიდის ქალაქში, რის გამოც მნიშვნელოვნად იკლო მატებამ სოფლის მოსახლეობაში. შობადობის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება აგრეთვე ახალგაზრდობის მასობრივი სწრაფვა სწავლისა და პროფესიის დაუფლებისაკენ, რაც იწვევს ოჯახის შექმნის დაგვიანებას, როცა უკვე შეუძლებელია ბევრი შვილის გაჩენა და აღზრდა. აქვე აღსანიშნავია მშობლების გადამეტებული მეურვეობა შვილების სწავლა-განათლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში, რაც გამორიცხავს მრავალშვილიანობას.

ქალის მიერ გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ, მისი სოციალური პრესტიჟის ამაღლებამ, შესამჩნევად გაზარდა განქორწინებათა რიცხვი, გამრავლდა მარტოხელა ქალების რაოდენობა, რომელნიც განმეორებით ველარ ქმნიან ოჯახს, ისიც საგულისხმოა, რომ საქართველოში მაღალია მამაკაცთა სიკვდილიანობა სხვადასხვა მიზეზით, რაც იწვევს პროპორციების დარღვევას სქესთა შორის, მცირდება ქორწინებათა რიცხვი, ბოლო ოც წელიწადში ქორწინებათა რიცხვი ყოველ ათას სულზე შემცირდა 10,6-დან 7,8-მდე, ხოლო განქორწინებათა რიცხვი გაიზარდა 0,4-დან 1,1-მდე. რასაკვირველია, შობადობის სტატისტიკაზე მოქმედებს ათასგვარი სხვა ფსიქოლოგიური და სოციალ-ეკონომიური ფაქტორიც, რის შედეგადაც მკვეთრად კლებულობს შობადობა და, ბოლო პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ამ საქმეში მხოლოდ მცირედი პროგრესი შეინიშნება.

ვ. ჯაოშვილის ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებულია მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემები საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. გამოყოფილია ის ძირითადი ეტაპები, როდესაც შესამჩნევი ცვლილებები ხდებოდა საქართველოში მოსახლე ხალხთა ეთნიკურ თანაფარდობაში.

პირველ ასეთ ეტაპად დასახელებულია XIII-XVII საუკუნეები, როცა ჩვენი სამშობლო გამუდმებით განიცდიდა გარეშე მტერთა შემოსევებს, რამაც გამოიწვია ზოგიერთ მხარეში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ამოწყვეტა და მათი ადგილი დაიკავეს ჩამოსახლებულმა უცხო ტომებმა, რაც გარეშე აგრესიული ძალების შორს გამიზნული ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგი იყო. მაგალითად, ამგვარ ფაქტებს ჰქონდა ადგილი შაჰ აბას I-ის დროს, როცა 1600-1605 წლებში მან ქვემო ქართლში ჩამოასახლა ბორჩალუს ტომის მუსულმანური მოსახლეობა, მაგრამ მიგრაციულ პროცესებს ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები არ გამოუწვევია და XIX საუკუნის დამდეგს, ქართული მოსახლეობა მაინც რჩებოდა საერთო რაოდენობის 4/5-ის ფარგლებში.

მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ სახეზე XIX საუკუნეში, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებით და, მეორე მხრივ, ცარიზმის რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკით, რის შედეგადაც, რევოლუციის წინა პერიოდში ქართველთა ხვედრითი წილი თავის სამშობლოში 2/3-მდე დაეცა. მართლია, ეს დონე რამდენადმე გაიზარდა მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში, როცა არაქართველთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ დატოვა საქართველო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველ ხუთწლედებში გაშლილმა დიდმა სამეურნეო მშენებლობამ, კვლავ გამოიწვია გარემიგრაციული პროცესების გაფართოება, რასაც მოჰყვა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება და 1939 წელს მან შეადგინა 61,4 პროცენტი.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან, რომელიც აღინიშნება გარემიგრაციული პროცესების უარყოფითი მაჩვენებლით, წასულთა რაოდენობა აღემატება მოსულთა რაოდენობას. ამის შედეგად 1979 წელს ქართველების ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში ამაღლდა 68,8 პროცენტამდე. თუმცა ამ პე-

რიოდში ძალზე ნელა მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის ბუნებრივი მატება. სამაგიეროდ გაიზარდა რესპუბლიკიდან გასულ ქართველთა რაოდენობა. მაგალითად, თუ 1959 წელს საქართველოს გარეთ ცხოვრობდა 91 ათასი ქართველი, 1979 წელს მათი რაოდენობა უკვე 138 ათასს შეადგენდა, ე. ი. რესპუბლიკიდან ყოველ წელიწადს გადის 900 ქართველი, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდა სპეციალისტები არიან და განაწილებით იგზავნებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში სამუშაოდ.

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოს კულტურულმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერებისა და ეროვნებათა გამრავლებისათვის. ვ. ჯაოშვილი მიმოიხილავს საქართველოში მოსახლე მრავალრიცხოვანი ხალხების — ოსების, სომხების, ქურთების, აზერბაიჯანელების, რუსების, უკრაინელების, ბელორუსების ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრების ისტორიას და გვაწვდის ციფრობრივ მონაცემებს მათი გამრავლების დინამიკის შესახებ.

ფართო მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ სსრ კავშირში მცხოვრები 488 ათასი ოსიდან (1979 წლის მონაცემებით) 160,5 ათასი საქართველოში ცხოვრობს და შეინიშნება მათი მასობრივი გასვლა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, 1926-1979 წლებში ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ოსების რიცხვი გაიზარდა 7 პროცენტით, ხოლო ოლქის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა მხარეში 81,5 პროცენტით. წიგნში ახსნილია ამ პროცესების სოციალ-ეკონომიური მიზეზები, საყურადღებო მოვლენაა, რომ ოსურ მოსახლეობაში მიმდინარეობს ასიმილაცია, მაგალითად, ბოლო აღწერის მიხედვით 27,3 ათასმა ოსმა დედაენად ჩათვალა ქართული ენა.

საქართველოში ყველაზე მეტია სომხური მოსახლეობა, რომელთა წინაპრები, როგორც ზემოთ ითქვა, ისტორიული ავბედობის გამო მკვიდრდებოდნენ საქართველოში. უკანასკნელ დროს თვით სომხეთის რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკურმა აღმავლობამ მიიზიდა სომეხთა ნაწილი და მათი გასვლის გამო შეინიშნება სომხური მოსახლეობის უმნიშვნელო კლება (1970 წელს იყო 452,3 ათასი, 1979 წელს — 448 ათასი).

საქართველოში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რომელთაც გვიან შუა საუკუნეებში დაიკავეს ქვემო და შიდა ქართლის მთელი რიგი სოფლები, სადაც დამპყრობლებთან ბრძოლებში ამოწყდა ქართული მოსახლეობა (აზერბაიჯანელ[illegible] ცხოვრობენ აგრეთვე კახეთის მთელ რიგ[illegible]).

საინტერესოა აზერბაიჯანული მოსახლეობის დემოგრაფიული თავისებურებანი, როგორც მკვლევარი მიუთითებს, არ ხდება მათი ასიმილაცია სხვა ხალხებთან, არ შეინიშნება მიგრაციული პროცესები რესპუბლიკის გარეთ, ახასიათებს ბუნებრივი მატების მაღალი დონე. თუ 1959 წლიდან 1979 წლამდე საქართველოს მთელი მოსახლეობა გაიზარდა 24 პროცენტით, აზერბაიჯანელებს შორის ეს მაჩვენებელი 66,6 პროცენტს შეადგენს. მათი რიცხვი 153,6 ათასიდან 255,7 ათასამდე გაიზარდა.

ვ. ჯაოშვილის ნაშრომში განხილულია ერთი არასახარბიელო, შემაშფოთებელი მოვლენაც: ეს გახლავთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დისპროპორცია ამ უკანასკნელის საზიანოდ, რამაც მრავალი სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემა წარმოშვა. ნაშრომში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს ამ პროცესს.

თუ 1940 წელს საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა მილიონ 106 ათასი კაცი, 1982 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 2 მილიონ 694 200 კაცს, ანუ 52,8 პროცენტს მიაღწია.

ქალაქების ზრდა უმეტესად მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ქალაქის მოსახლეობის ნამატის 44 პროცენტს შეადგენს სოფლიდან მოსული მოსახლეობა.

მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს ამ მოვლენის მრავალ ასპექტს; ასევე ნაშრომის სხვა თავებში განხილულია მრავალმხრივ საყურადღებო დემოგრაფიული პროცესები: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შრომითი კონტიგენტები და მათი დასაქმება, რეგიონალური სხვაობანი მოსახლეობის დინამიკაში, თანამედროვე მიგრაციული პროცესების ძირითადი მიმართულებანი, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიური ფაქტორები, მოსახლეობის სიმჭიდროვე და განლაგება ბუნებრივი ზონების მიხედვით.

ცალკე აღებული თითოეული ეს საკითხი ვრცელი და მრავალმხრივია, და მთლიანობაში გააზრებით ქმნის საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრ სურათს. ეს სურათი კი ძალზე დამაფიქრებელია, რაც კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს ხანგრძლივ პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული ვითარების ანალიზით.

ვ. ჯაოშვილის ამ წიგნში განხილული საკითხების პრობლემურობა და ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა შორს სცილდება მეცნიერული ინტერესების სფეროს და ფართო მკითხველისათვის საყურადღებო ბევრ მოვლენას ხსნის პოპულარული თხრობით, გულშემატკივრული პატრიოტული პოზიციითა და მეცნიერული მონაცემებ[illegible] ამ წიგნში წარმოდგენილ სა[illegible]ოგრაფიულ სახეს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს მომავლის გააზრებისათვის.

დავით მეძმარიაშვილი

# მარი ბროსეს მხატვრული ბიოგრაფია

„ბროსსე ჯერ ღირსეულათ არ არის ჩვენგან დაფასებული. იმან ასეთი ღვაწლი დასდო საქართველოს, რომ დაუვიწყარი უნდა იყოს იმისი სახელი ჩვენთვის და ჩვენის შთამომავლობისათვის“... წერდა გაზეთი „დროება“ 1869 წელს. მას შემდეგ საუკუნეზე მეტმა განვლო, მაგრამ დღესაც მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი იმ ადამიანის მეცნიერული ნამოღვაწარი, რომელმაც, მოსე ჯანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ქართველთა ერს... დაუდგა საუკუნო ძეგლი“ (იხ. „ივერია“, 1887, № 13). XX საუკუნეში მარი ბროსეს მოღვაწეობის შესახებ ქართულად გამოქვეყნდა მრავალი სტატია და ნარკვევი. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: რუსუდან დოდაშვილის მონოგრაფია — „მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი“ „საბჭოთა საქართველო“, 1962), შოთა ხანთაძის მონოგრაფია ისტორიოგრაფიის საკითხებზე — „მარი ბროსე“ („საბჭოთა საქართველო“, 1966) და გურამ შარაძის გამოკვლევა „მარი ბროსე“ და „ვეფხისტყაოსანი“, („მერანი“, 1983). აღსანიშნავია, რომ დღემდე არ გვქონდა დიდი ფრანგი ქართველოლოგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მხატვრული ნაწარმოები. ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულო და მისასალმებელია ცნობილი მწერლის და მკვლევარის გასტონ ბუაჩიძის რუსული წიგნი — „მარი ბროსე, ცხოვრების ფურცლები“.

წიგნში გათვალისწინებულია ბროსეს შესახებ აქამდე დასტამბული გამოკვლევები და ამასთანავე ახალი ნაბიჯია გადადგმული მარი-ფელისიტე ბროსეს მრავალმხრივი საქმიანობის შესწავლის საპატიო საქმეში. ეს 308-გვერდიანი წიგნი შედგება ოთხი ნაწილისაგან: „პარიზი“, „პეტერბურგი“, „მოგზაურობა საქართველოში“, „შატელროს ექო“, სადაც თანამიმდევრულადაა ასახული პირველი ევროპელი ქართველოლოგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი.

ნაწარმოები თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით იკითხება: დოკუმენტური მასალა ისე მოხდენილადაა ჩაქსოვილი თხზულების მხატვრულ ქარგაში, რომ მკითხველი ერთდროულად ესთეტიკურ სიამოვნებასაც ღებულობს და ფაქტებსაც ეცნობა; მწერალი ხატავს მარი ბროსეს, არა მარტო როგორც მეცნიერს, არამედ როგორც პიროვნებას, ფართოდ გადაგვიშლის მის კაცთმოყვარე პოეტურ სულს. მარი-ფელისიტე ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით და მიზანსწრაფვით, ადრე გამოამჟღავნა ფილოსოფიისა და უცხო ენებისადმი მიდრეკილება.

მხატვრული ბიოგრაფიის ავტორს გასტონ ბუაჩიძეს საფუძვლიანად შეუსწავლია პარიზის სააზიო საზოგადოების ოქმები, ფართოდაა წარმოჩენილი სააზიო საზოგადოების საქმიანობა. აქ დაუკავშირდა მარი ბროსე მის მასწავლებელსა და კოლეგას არმენოლოგ სენ-მარტენს. ამ უკანასკნელს არმენოლოგიური გამოკვლევების მზადებისას მრავალგზის შეხვედრია ქართული მასალები, რომელთა ღირებულება მან სწორად შეაფასა, დააინტერესა ახალგაზრდა ბროსე და დაულოცა გზა ქართველოლოგიაში.

გასტონ ბუაჩიძე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ბროსეს ქართული ენის შესასწავლად თავდაპირველად ძალიან მცირე მასალა ჰქონდა: პაოლინისა და ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც რომში გამოიცა 1629 წელს, და მისიონერ მაჯოს ქართული ენის გრამატიკა (რომში დაიბეჭდა 1643 წელს). ეს ორი წიგნი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა ისეთ საკითხშიც კი, როგორიცაა ასოთა რაოდენობა ქართულ ანბანში. ბროსე არ შეუშინდა სიძნელეებს, ანბანის დასადგენად ბიბლიის ქართულ და ბერძნულ ტექსტებში არსებულ საკუთარ სახელებს ადარებდა ერთმანეთს, შეისწავლა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში არსებული ყველა ქართული ხელნაწერი, მან პირველმა გააცნო ფრანგებს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, პარიზშივე აგროვებდა მასალებს საქართველოს ისტორიისათვის, აქ შექმნა „ქართული ენის საფუძვლები“, რომელმაც იმ დროს

**Гастон Буачидзе. Мари Броссе — Страницы жизни. «Мерани», 1983.**

დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მარი ბროსეს არ სჩვეოდა აჩქარება და დაბნეულობა კვლევაში, მიუხედავად სკეპტიკოსთა ცინიკური შენიშვნებისა, არჩეული საქმის ბოლომდე ერთგული დარჩა.

წიგნში განსაკუთრებით ნათლად ჩანს დიდი ფრანგი ქართველოლოგის მეცნიერული პრინციპულობა, ჭეშმარიტების დადგენისაკენ ენერგიული სწრაფვა. ამის დასტურია 1829 წელს იულიუს კლაპროთსა და მარი ბროსეს შორის ქართველოლოგიის საკითხებზე გამართული პოლემიკა. გასტონ ბუაჩიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ სწორედ ამით დაიწყო ევროპაში ახალი დისციპლინის, ქართველოლოგიის ისტორია.

შთამბეჭდავადაა დახატული მარი ბროსეს პირველი გასაუბრება ქართველებთან, სოლომონ მეორის ძმისწულებთან — ვახტანგთან და ტარიელთან. ბატონიშვილებმა პირველად ვერ გაიგეს, თუ რა სურდა მათთან მოსულ უცხო კაცს, მაგრამ როცა მის მიერ ლამაზი ქართული ასოებით დაწერილი ბარათი ჩაიკითხეს, გაოცებულებმა და სიხარულით დაბნეულებმა გულში ჩაიკრეს ეს „უცნაური" ფრანგი. ამის შემდეგ იმრავლეს მარი-ფელისიტეს ქართველმა მეგობრებმა და იმძლავრა მის გულში ქართველებისადმი სიყვარულმა, რომელიც დროთა განმავლობაში, როგორც ნაწარმოებში გარკვევით ჩანს, უსაზღვრო ერთგულებად და შეიძლება ითქვას თავგანწირვადაც იქცა.

თანმიმდევრულად და დამაჯერებლადაა გადმოცემული მარი ბროსეს ურთიერთობა ფრანგი, რუსი და ქართველი ინტელიგენციის ისეთ მოწინავე წარმომადგენლებთან. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბროსეს მეგობრობა-თანამშრომლობას პირველ ქართველ აკადემიკოსთან, პარიზის სააზიო საზოგადოების წევრთან თეიმურაზ ბაგრატიონთან. ეს ურთიერთობა მკითხველს იზიდავს თავისი უშუალობით, ხასიათების სისრულით. მწერალი გასტონ ბუაჩიძე გვიჩვენებს, თუ რამდენად სასარგებლო იყო ასეთი მეგობრობა არა მარტო მარი ბროსესათვის, არამედ თვით თეიმურაზისთვისაც. ბროსეს უნდა ვუმადლოდეთ „ვეფხისტყაოსნის" თეიმურაზისეულ განმარტებას და მისივე საქართველოს მოკლე ისტორიის შექმნას. ამხნევებს რა ევროპაში ქართული კულტურის პირველ დამფასებელსა და ქომაგს თეიმურაზი სწერს მას: „ზედმეტი ქება და მრავალსიტყვაობა ვნებს ადამიანს, მაგრამ სალად თუ ვიმსჯელებთ, ვიტყვი: იმ შორეულ დროში, როცა არც თქვენში და არც გერმანიაში, ხუთი კაციც კი არ მოიძებნებოდა ისეთი ანბანს რომ თავიდან ბოლომდე სწორად წაიკითხავდა, მაშინ ჩვენი ქვეყანა, ასე ვთქვათ, ყვაოდა განათლებით, ჰქონდა დამწერლობა, იფურჩქნებოდა მისი სიბრძნე. იმ დროს, როცა განათლებამ მოიცვა სირია, ეგვიპტე, სპარსეთი და საბერძნეთი, საქართველოც ეზიარა ამ სიკეთეს. ახლა ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ ყველაფერს მომავალი გადაწყვეტს".

თავის მხრივ ბროსე მაღალ შეფასებას აძლევს თეიმურაზ ბატონიშვილის მოღვაწეობას, მის „მდაბალ მოწაფედ" აცხადებს თავს. მკითხველი გულგრილად ვერ წაიკითხავს იმ სტრიქონებს, სადაც მოთხრობილია ქართული შრიფტის ჩამოსხმის ამბავი და ამასთან დაკავშირებით, ქართული ბეჭდვითი სიტყვის მოკლე ისტორია.

პეტერბურგის აკადემიაში აკადემიკოსის თანამდებობის დაკავებით იწყება მნიშვნელოვანი ეტაპი პირველი ევროპელი ქართველოლოგის — ბროსეს მეცნიერულ მოღვაწეობაში. მეცნიერების ინტერესებისათვის ტოვებს იგი სამშობლოს, მთელი ოჯახით გადმოდის საცხოვრებლად პეტერბურგში და მთელ სიცოცხლეს ატარებს იქ ქართული ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის განვითარებისათვის ტიტანურ შრომაში. ლაზარეს აღდგომად ესახება მხატვრული ბიოგრაფიის ავტორს გასტონ ბუაჩიძეს ბროსეს მიერ 1837 წლის 29 დეკემბერს პეტერბურგის აკადემიის გენერალური ასამბლეის წინაშე წაკითხული მოხსენების — „საქართველოს ისტორია და ლიტერატურა" მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებისათვის.

ნაწარმოები დამაჯერებლად ასახავს აგრეთვე ბროსეს მოღვაწეობის სხვა მნიშვნელოვან მომენტებსაც, იქნება ეს თავგადადებული მუშაობა მოსკოვის არქივებში, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომების შესწავლა, გამოკვლევები ნუმიზმატიკაში თუ ბრძოლა ქართული კულტურის მტრებთან.

წიგნში კარგადაა გაშუქებული მარი ბროსეს მეცნიერული კვლევის ხერხები და მეთოდები; ჩანს, რომ მას იტაცებდა ღრმა ფილოლოგიური ანალიზი, წლების მანძილზე არ წყვეტდა ერთსა და იმავე საკითხზე მუშაობას, ძირის ძირამდე სწავლობდა მას. ილწვოდა რა, ქართული ეროვნული მეცნიერების აყვავებისათვის, ბროსე ყურადღებას აქცევდა ეროვნული კადრების მომზადებას.

მწერალი გასტონ ბუაჩიძე თანამიმდევრულად ხატავს რუსთველოლოგ ბროსეს მუშაობას ქართველოლოგიაში, მის წარმატება-წარუმატებლობას ამ დარგში, ვხედავთ ფრანგი ქართველოლოგის შესანიშნავ თვისებას — აღიაროს და დასძლიოს საკუთარი შეცდომები. რუსთველოლოგიაში ბროსეს მოღვაწეობის ბუაჩიძისეული შეფასება ასეთია: „მარი ბროსე ევროპელთაგან პირველი ჩასწვდა რუსთაველის ქმნილების სახეებს და აზრთა არაჩვეულებრივ სამყაროს. იგი თანდათანობით უახლოვდებოდა, იმსჭვალებოდა ამ სამყაროს ხიბლით, გაოცებითა და მადლიერების გრძნობით აღსავსე აღმოაჩენდა ხოლმე მასში ახალ-ახალ სილამაზეს.

მან თავის თავში პოვა თვითგანახლების უნარი, რომ არ გაყინულიყო პირველ შთაბეჭდილებებზე, თუნდაც ნაცადი ორიენტირების საშუალებით ჩამოეყალიბებინა მისთვის აქამდე უცნობი მოვლენების საკუთარი გაგება. სამაგეროდ რუსთაველი გულუხვად ასაჩუქრებდა და მხარში ედგა მას ცხოვრების გზაზე.

კეთილისმყოფელი აღმოჩნდა რუსთაველის მიზიდულობის ძალა.

მკითხველი რწმუნდება, რომ ბროსეს რუსთველოლოგიური შეხედულებების ძირითადი ნაწილი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მაგალითად, მარი ბროსეს რუსთაველის სიტყვები — „ესე ამბავი სპარსული" მიაჩნია ავტორის ვინაობის შენიღბვის იმ დროისათვის გავრცელებულ მხატვრულ ხერხად. გასტონ ბუაჩიძე მარი-ფელისიტე ბროსეს სახელს სამართლიანად უკავშირებს ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ ახალი ეტაპის შექმნას რუსთველოლოგიაში. საინტერესოდაა წარმოჩენილი ბროსეს, როგორც რუსთაველის პირველი მთარგმნელის, მოღვაწეობა, აგრეთვე მისი ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის 1841 წლის მეორე ბეჭდური გამოცემის განხორციელებისათვის. მწერალი გასტონ ბუაჩიძე მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული თარგმანის ბროსესეულ კონცეფციას, რომელიც დღეს სულ უფრო აქტუალური ხდება. ეს არის შუალედური გზა, ეგრეთ წოდებულ, ზუსტ თარგმანსა და თავისუფალ თარგმანს შორის. მხატვრული ბიოგრაფიის ავტორი, გასტონ ბუაჩიძე მკითხველს აწვდის ბესიკის „სევდის ბაღისა" და ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!" ბროსესეული თარგმანების ღრმა და საინტერესო ანალიზს.

ნაწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ბროსეს ხანგრძლივ მოღვაწეობას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის, რაც „ქართლის ცხოვრების" გამოცემითა და ფრანგულ ენაზე თარგმნით დაგვირგვინდა. გასტონ ბუაჩიძე ყურადღებას ამახვილებს ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელ სავალალო მდგომარეობაზე: ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი თამარის მეფობის თარიღები და ისტორიული მოვლენები. ბროსეს ნარეკლიანი გზის გაკაფვა მოუხდა, იგი ნდობით ეკიდებოდა ეროვნულ ისტორიულ წყაროებს, ამასთანავე იშველიებდა უცხოურ წყაროებსაც. გასტონ ბუაჩიძე ასე აფასებს მარი ბროსეს მოღვაწეობას ამ დარგში: „ბროსემ ქართულ ისტორიოგრაფიას მიუყენა იმ დროისათვის არსებული საერთაშორისო მოთხოვნილებები და საზომები. ცდილობდა საკუთარი მტკიცებების საფუძვლად ტექსტის მკაცრი კრიტიკული ანალიზი გაეხადა. საქმე ეხებოდა კვლევის შინაგან რეორგანიზაციას, ძველი მეთოდებით შეუძლებელი იყო წინსვლა. ამ ვითარებაში არსებითი და განმსაზღვრელი აღმოჩნდა ბროსეს წვლილი, რომელმაც ქართული ისტორიული ფენომენი საერთაშორისო არენაზე გამოიტანა, საქართველოს ყოფა ჩართო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში".

გასტონ ბუაჩიძის ეს მხატვრული ბიოგრაფია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარი-ფელისიტე ბროსეს ცხოვრების ფართო მხატვრული ტილოა, დასანანია მხოლოდ ის, რომ ჩვენთვის ესოდენ საინტერესო ნაწარმოები ქართულად არ არის შექმნილი. ვფიქრობთ, იგი კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ ხელახლა დაიწეროს ქართულად, რაც, ღრმად ვართ დარწმუნებული, ხელეწიფება ავტორს. ამის შემდეგ სასურველი იქნება წიგნი ფრანგულადაც ითარგმნოს, რათა მარი-ბროსეს სამშობლოსა და სხვა ქვეყნებშიც ეზიარონ მისი შემოქმედების პოეტურ სურათს, მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და კაცურკაცობის ამ სამაგალითო ნიმუშს.

მარი ბროსეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქრისტეფორე მამაცაშვილი წერდა „დროებაში": „ჩვენ რომ სხვადასხვა მიზეზებით გაღარიბებულნი არ ვიყვენით, ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იქნებოდა აგვემართა მარი ბროსესათვის ძეგლი, მაგრამ რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ გვაძლევს, ამისათვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას".

ჩვენი აზრით, გასტონ ბუაჩიძის „მარი ბროსე" შთაგონების შესანიშნავი წყაროა მხატვრისა თუ მოქანდაკისათვის დიდი ფრანგი მეცნიერის ჭეშმარიტი და ლამაზი პორტრეტის შესაქმნელად.

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲜᲐᲕᲐ.**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1985.

გადაეცა ასაწყობად 20. 03. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 05. 85 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 05169. ტირაჟი 35.000. შეკვ. 702. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76123

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ